

517 /3
1992

ପ୍ରକାଶକ ମେଳି
ବିଦ୍ୟାଲୟା ମେଳି

ମାତ୍ରାମାଧ୍ୟାନ
ଶାଖା
ଅଭ୍ୟାସାଳା

ସାହଚରଣପାତ୍ରଙ୍କ ରମେଶ୍‌ଚନ୍ଦ୍ରପାତ୍ରଙ୍କ କଶ୍ମରକାନ୍ତି
ସାହଚରଣପାତ୍ରଙ୍କ ୫, ଲମ୍ବାନିପାତ୍ରଙ୍କ ବାବିଲାନଗର କାନ୍ତିଶ୍ଵର
ଲିଂଗରାତ୍ରକାନ୍ତିଶ୍ଵର ବାବିଲାନଗର କଶ୍ମରକାନ୍ତି





ସାହାରତୀଯୋଗରେ ରହିଥିବାରେ ଦେଖିବାରେ ଏହାରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା

ଶ୍ରୀରାଧାରୀ କାନ୍ତିକାନ୍ତି

ଟଙ୍କିଲୁଗଣ
„ମହାମଦି“
1992 ଫ.

80109 + 325 (= 999621) + 801-4

ლ 681
83 3Гр

რეგასტრი

072 მრჯობის

შეცვლილი

კართული ლიტერატურის მუზეუმის
საგამოხველო განყოფილება

კასრისმებელი გამოცემისათვის
ნინო ხოჭოელია

რეგისტრი
ცოლოვონ ხუციავილი

გამოცემების რეგასტრი
ლაგარა თურნაციი

1222007
3

სპეც-2000
გეგმვებულის

4702017200 — 241

ა ჩრდ. 91 © გამოცემლობა „მერანი“
გ 604 (08) — 92

ა დ გ მ 3 6 0 3 9
4 0 8 7 0 0 0 0 8 8

როგორ მარტინ მაშვილი

მასალები იღია თავიავაპის მკვლელობის
 ზესახებ

* * *

„არ არსებობს ჩაიმე მწერლური საზოგადოებრივი აზრი... ეს ამბავი არ ახალია, ძველია. მე ეს არ მიკვირს... ნახევარი საუკუნე ლანძლეს ილია ჭავჭავაძე, „ორჩანქის შპილი“ უძახეს და „ფეოდალი“... ქართულ ინტელიგენციაში კაცი არ გამოჩენილა, ილიას მოკვლამდის კრინტი დაეძრას მის დასაცავად“ — თქვა მწერალთა კავშირის ყრილობაზე კონსტანტინე გამსახურდიამ (ამ სიტყვის სტენოგრაფიული ჩანაწერი დაცულია ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში).

ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ წარმოებულ პროეკტის კომისანიში, რომელიც 1895 წელს დაიწყო ეურნალ „კვალში“, ხოლო 1905 წელს გაგრძელდა უურნალ „მოგზაურში“, ნ. უორდანიას, ფ. მახარაძის და სხვა ცნობილ ქართველ სოციალ-დემოკრატებთან ერთად მონაწილეობდა ზოგიერთი უცნობი პიროვნება, რომელიც მისთვის დაკისრებულ ულირს საქმეს ინიციალებს ან ფსევდონიმებს ამოფარებული იკთებდა და ცილისმწამებლური ცნობების გამოქვეყნებით ხელს უწყობდა ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტის დაცემას საზოგადოების თვალში.

ერთ-ერთი ასეთი პიროვნება იყო ვასილ ნაცელიშვილი, რომელიც ეურნალ „მოგზაურში“ ილიას საწინააღმდეგო კორესპონდენციებს ვ. ნ.-ს ინიციალებით ქვეყნებდა. ლიტერატურის მუზეუმში დაცულია პროფ. იასე ცინცაძის მოგონება, რომელიც საინტერესო ცნობებს გვაწევდის ვასილ ნაცელიშვილის შესახებ და საიდანაც იშეარად ჩანს ამ პიროვნების ავანტურისტული და პროვოკატო-

რული სახე. ფრაგმენტი პროფ. იასე ცინცაძის მოგონებიდან პირველად გამოაქვეყნა იყაყი ბაქტრები თავის წიგნში „ილია ჭავჭავაძე“.

მცხერად საჭიროდ მივიჩნიეთ მოგონების სრული სახით დაბეჭდვა.

ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით საინტერესოა პოეტი ირაკლიონ ევდოშვილის ორი წერილი, რომლებიც მან გაუგზავნა სანდრო შანშიაშვილს 1911 წელს, მათში ასახულია ქართველი პროგრესული ინტელიგენციის სულიერი განწყობილება ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორთა მიმართ. როგორც ცნობილია, ი. ევდოშვილი თვით იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ქადაგებელი, მაგრამ მან გადაჭრით უარყო მეორედები, რომლითაც ეს თრგანიზაცია ებრძოდა ილიას და უარი სტეფა მათთან თანამშრომლობაზე.

ს. შანშიაშვილისადმი მიწერილ წერილებში ნათლად იგრძნობა, რომ ი. ევდოშვილი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მიიჩნევდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორად. აღნიშნული წერილები, რომლებიც დაცულია ლიტერატურის მუზეუმში, პირველად გამოქვეყნდა 1978 წ. თვითგამოცემის ჟურნალ „ოქროს საწმისში“, მაგრამ იგი ფართო საზოგადოებისათვის უცნობი დარჩა.

მეორედ ისინი, რუსულ ენაზე თარგმნილი, დაიბეჭდა უცრნალში „ლიტერატურნია გრუზია“ (1980 წ. № 12).

ჩვენ საჭიროდ მიერჩნიეთ მათი ქართულ ენაზე სრულად გამოქვეყნება მეოთხეულთა ფართო წრისთვის გასაცნობად.

აქვთ ვძიპლივთ გიორგი ალექსანდრეს ქართველის მოგონებას „ილია ჭავჭავაძე და საგურამოელი გლეხები“.

ცალკე გამოვყავით და მკითხველს სათანადო კომენტარებითურთ ვაწვდით მასალებს რაედრენ კალაძის აჩქივიდან. ჩვენი აზრით, აქ არსებული ცნობები შემდგომი დაზუსტების და კვლევის საგანია.

იასე ციცებაში

(მოგონიგა)

1925 წელს უნივერსიტეტში სავალდებულო საგნების ჩაბარების შემდეგ, საქართველოს ცენტრალურ არქივში მიმიღეს თანამშრომლად. ამ წელს და შემდეგიც (1932 წლამდე) ამ სამეცნიერო დაწესებულებაში ვის არ ნახავდით თანამშრომლად — კავკასიის მეფის ნაცვლის კანცელარიის ყოფ. დირექტორს, სახაზინო პალატის ყოფ. თავმჯდომარეს, ყოფ. მოსამართლეებს, ყოფ. გენერალს და ოფიცერებს, უანდარმერიის ოფიციალურსა და საიდუმლო თანამშრომლებს, საპურობილეთა უფროსებს, ყოფ. ბოჭაულს და სხვა. ვინ იცის, რამდენი საინტერესო საბუთი მოსპეს ცენტრარქივის თანამშრომელთა ამ ძველი სამყაროს წარმომადგენლებმა წლების განმავლობაში უკონტროლოდ „დიასახლისობის“ შედეგად. ცენტრარქივის თანამშრომელთა ამ კოლექტივში იყო ვასილ დავითის ძე ნაცვლიშვილი. იგი თითქოს არაფრით ყურადღებას არ იქცევდა, მხოლოდ უკმაყოფილო იყო თავისი ბედის, თითქოს თავისი ახალგაზრდობა ბედინერ მომავლისათვის ბრძოლას შესწირა და ახლა არქივის მტვერში უნდა ამოხდეს სული. იგი დაბალ თანამდებობაზე იყო იქ.

ჩემს შეკითხვაზე — თუ წინად სად მსახურობდა და რა საქმიანობას ეწეოდა, მრავალმეტყველად ამოიხსებდედა — „მუშა ვიყავი და მუშად მოკვდები, ჩემისთანებისათვის ჯერ არ გათენებულოთ...“ ერთხელაც საუბრის დროს ასე მეუბნებოდა: „ჩეენ დროს სხვავარად ვემსახურებოდით ქვეყანას, ჩეენ ჩინოვნიკობა სამარცხვინოდ მიგვაჩნდა. ახლა ასეთი წარსულის მქონე აღამიანების დაფასება არ არისო“.

უათლება მას დაბალი ჰქონდა. მახსოვს, როცა ცენტრარქივის თანამშრომელთა პირადი საქმეების წესრიგში მოსაყვანად კომისია გამოიყო, ვასილ ნაცვლიშვილის განათლების მოწმობა, ბოლბისხევის ოთხწლიანი სასწავლებლის დამთავრების შესხებ, საეჭვოდინა მიჩნეული, რადგანაც ნაცვლიშვილის სახელი და გვარი გადაფხეკილ სტრიქონზე იყო ჩაწერილი.

ნაცვლიშვილი 1870 წელს დაბადებულა იანვარში, ამჟამად იგი

გარდაცვლილია. მეუღლე და შვილები ობილისში ცხოვრობენ. წელს (1956 წ.) ნომბრის ბოლოს დოც. ს. ცქიტიშვილის თანხლებით ნაცვლიშვილის მეუღლე ვინახულე გარდაცვალების თარიღის დასადგენად, მაგრამ უშედეგოდ, მეუღლემ, არ მასსოვს გვიპასუხა, ეტყობოდა, ჩვენი მისვლა სასიამოვნოდ არ დაურჩა.

რუსულ ენაზე საუბარი და წერა მას შეეძლო, მაგრამ ჩვეულებრივ იგი ქართულად ლაპარაკობდა, თავს ქიზიყელად გვაცნობდა.

დაახლოებით 1927/28 წლებში ცენტრალქივში კოლეგიის წევრად დაინიშნა ცნობილი ქართველი მოღვაწე რაფენ კალაძე. მას თუ არ ვცდები, მესამე დასის ისტორიის დაწერა ჰქონდა განზრახული და მასალებს აგროვებდა, მაგრამ აღარ დასცალდა.

ერთ დღეს, განსვენებული რაფენის კაბინეტის კარებთან ვრდები და მიხანგა ვესაუბრებოდი ახლად გადმოტანილ კირიონ ეპისკოპოსის არქიეპის შესახებ, ამ დროს ვასილ ნაცვლიშვილმა რაფენ კალაძის კაბინეტის კარი შეაღო, შესვლის ნებართვა თხოვა რაფენებს და კარები მოიხურა. არ ვიცი, რაზედ დაიწყეს საუბარი, მხოლოდ სულ მალე შემაღლებული ხმა მოისმა — „დაიყარგე აქტდან“, „გაეთრიყე გარედ!..“ ოთახიდან სახეაწითლებული ვასილ ნაცვლიშვილი გამოვარდა და კარის მოხურვა ვერ მოასწრო, ისე დავინახე, რომ კედელს მოხვდა რაფენის გამოსროლილი საშრობი პრესი და მძიმედ დაეცა იატყვნე.

მე ნახევრად ღია დარჩენილი კარი შევაღე და შევეკითხე რაფენს: „ბატონო, ხომ არაფერი გნებავო-მეტქი“. იგი საშინალად აღელვებული იყო, ხელები უცახახებდა, ფეხზე იდგა და იმეორებდა „ეს შეჩევნებული“, „ეს შეჩევნებული“. შემდეგ მომშართა მე: „კაცო, ნახეთ ახლა რომ ჩემთან კაცი იყო, ვინ ყოფილა?“ „ეს ბატონო ჩევნი თანამშრომელი ვასო ნაცვლიშვილია“ უკაბასუხე მე დამშვიდებით. „და იცი მერე ვინ არის ვასო ნაცვლიშვილი? ეგ მამიძალლი პროცესატორია ილია ჭავჭავაძის დამლუპველი. ახლა შემოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ შენ თურმე სოციალ-დემოკრატ მოღვაწეების ისტორიას აღგენ და მე არ დამტოვო, მოღვაწეთა სიაში შემიტანე, აი მასალებიცო და უურნალ „მოგზაურის“ ძველა

¹ ვასილ ნაცვლიშვილის პირადი საქმე ინახება საქართველოს ცენტრალური არქივის სათანადო განყოფილებაში ი. ფონდი 335, საქმე 20/30.

ნომრები მომაწოდა და თანაც დასძინა, რომ ილია ჭავჭავაძეს ქვის სროლა პირველად მე გაუტბედეო".

ნაცვლიშვილის გარეგნობა და განათლება სულ სხვა შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, მისი კურნალში თანამშრომლობა ძნელი წარმოსადგენი იყო.

მეორე დღეს, დასვენების საათში ვასილ ნაცვლიშვილთან შევეღი და რაედენთან კონფლიქტის ამბავი გამოვითხე, მე იმისთვის არ მითქვამს რომ აწ განსვენებულ რაედენთან საუბარი მქონდა წინდღით.

ნაცვლიშვილი დამშვიდებით მომიყვა, თუ რამ გამოიწვია არა-სასიამოვნო შესიტყვება რაედენ კალაძესთან.

მე არ შემიძლია სიტყვა-სიტყვით მოვიგონო ნაცვლიშვილის საუბარი, მაგრამ დაახლოებით ასე გადმომცა კონფლიქტის საფუძველი: „ნესტორ ცერცეაძემ ამ რამდენიმე დღის წინათ შემატყობინა, რომ რაედენ კალაძე იგროვებდა სოციალ-დემოკრატ მოღვაწეების ბიოგრაფიულ მასალებს და მესამე დასელთა ბოლშევიკური ფრთის სოციალ-დემოკრატების შესახებ წიგნის გამოცემას ფიქრობსო. რადგანაც მე დიდი ნამუშევარი ვარ ბოლშევიკ სოციალ-დემოკრატებთან, ვიფიქრე, რომ მასალებსაც მივაწოდებ და მივიწყებულ ვისო ნაცვლიშვილსაც მოღვაწეთა სიაში თავისი ადგილს მიუსწენ-მეთქი. ის იყო შევედი გუშინ და საყველურით მივმართე მას, რომ ასეთი დიდი საქმის კეთებას ერთი კაცი ფიქრობ-მეთქი. ვურჩიე, რომ გაზითში გამოცხადებინა ამ წამოწყების შესახებ. თურმე, მე ვერ მიცნო და შემეცითხა: შენ რაში გესაქმება ჩემი განხრახვაო. მე ასეთი შეკითხვა მეწყინა, რადგანაც თუ კი ნოე კორდანია და ფილიპე მახარეძე ხელის ჩამორთმევით მიცნობდნენ, რაედენ კალაძეს მით უფრო უნდა ეცცნე და მოვაგონე ჩემი წერილები კურნალ „მოგზაურში“ დაბეჭდილი მემამულე ილია ჭავჭავავაძის წინააღმდეგო. როგორც კი ეს მოისმინა, ყვირილი დაიწყო, საშრობი პრესი მესროლა, მავრამ ამცდაო".

ჩემს შეკითხვაზე თუ რა წერილები დაბეჭდა მან ილია ჭავჭავავაძის წინააღმდეგ, მიპასუხა, რომ ახლანდელი ახალგაზრდობა ჩამორჩინილი ხარით (მე მაშინ 24—25 წლის ვიქნებოდი), ნუთუ „მოგზაურში“ დაბეჭდილი წერილების შესახებ არაფერი გაგიგონია მაინც, თუ არ წაგიკითხავსო. ილია რომ გაამაორახეს გაზითში, როგორც გლეხის მჩაგვრელი, „ყინვებიან ზამთარში საგურამოს

სასახლის წყაროსთან კოკით მისულ გლეხს წყალი არ დაანება და მოვარდის გადამტვრიათ". ნუთუ იმ პროცესაც მოულის ავტორი თქვენ ხართ და აქ სამეცნიერო დაწესებულებაში სამსახური მოგცეს-მეტეი. მე ლანდღვა დამიწყო, ოთახიდან გათრევა მიბრძანა, მაგრამ სამაგიერო პასუხი არ დაეფელი და საცემრიდ მოვემზადე. ამ ხმაურზე მეორე ოთახში მყოფი პრფ. გრ. ნათაძე შემოვიდა, ხელი მომკიდა და თავის ოთახში გამიყვანა და ამბავი გამომკითხა. განსვ. გრ. ნათაძესაც ძალიან გაუკვირდა მისი ვინაობის გამოაშეარავება.

განსვ. გრიგოლი მეუბნებოდა, რომ ყოვლად შეუძლებელია ის წერილები მა ვასილ ნაცვლიშვილის დაწერილი იყოსო, ილბათ სხვა ვინებ თუ გაუკეთა პროცესაციული მიზნით და უურნალის რედაქტია შეცდომაში შეიყვანოთ. ამაზედ დასრულდა ჩვენი კონფლიქტი ნაცვლიშვილთან. რაედენიც მალე არქივიდან წავიდა. ნაცვლიშვილს ხმას არ უცემდი. 1931 წელს ცენტრალურის თანამშრომელთა „წმენდა“ ჩატარდა. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ვინე რუხაძე, ყოფ. მუშა, საქმიანდ გონიერებაზვილი კაცი. როდესაც კ. ნაცვლიშვილი გამოიხატეს და მას ცნობები მოსთხოვეს წარსული მისი საქმიანობის შესახებ, ნაცვლიშვილმა ზედმეტად მიიჩნია თავ-გადასავლის მოყოლა და თავმჯდომარეს გადასცა გაზეთ „მოგზაურის“ ის ნომრები, რომლებშიაც ილიას წინააღმდეგ მისი პროცესაციული წერილები იყო მოთავსებული და თანაც დასძინა, რომ ეს მასალა უკეთ გაგაცნობთ ჩემს ვინაობისო. თავმჯდომარემ მას გამოყითხა თუ რა წერილებზე მიუთითებდა იგი და იძულა ილიას შესახებ მოკლედ ელაბარია. თავმჯდომარის შეკითხვაზე თუ რა უნდოდა მას საგურამოში ყინვებიან ზამთარში და რას აკეთებდა ილიას სახლთან, როცა გლეხი წყაროს წყალს იღებდა, მან განაცხადა, რომ იგი ნოე ქორდანიაშ და ფილიპე მახარაძემ გააგზავნა როგორც კორესპონდენტი და ილიას დამოკიდებულებას გლეხებთან თვალყურს ვადევნებდიო. ცენტრარქივის ერთი თანამშრომელი, ქაიხოსრო ქავთარაძე („ცნობის ფურცლის“ ყოფ. კორესპონდენტი) შეეკითხა მას: „მაშინ შენ ავჭალის მოედანზე სამიკიტნო გქონდა თუ არაო“. ნაცვლიშვილი დაიბნა, მუშად და საზოგადო-მოღვაწედ ასაღებდა თავს და ხელი ვაჭრად გამოჩენა ხელსაყრელი არ იყო. ქაიხოსრო ქავთარაძის მიერ მიცემულ შეკითხვებიდან და ნაცვლიშვილის აბნეულ პასუხებიდან აშეარა შეიქნა, რომ ნაცვლიშვილი საგურამო-



ში არამც თუ მაშინ, არამედ შემდეგაც არ ყოფილა. თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ რომელმა დაავალა მას ცნობების მოწოდება — უორდანიამ თუ მახარაძემ, განაცხადა, რომ მაშინ ისინი ერთად იყვნენ, შემდეგ გადაემტერნენ ერთმანეთსო. ბოლოს განაცხადა, მახარაძე ცოცხალი ბრძანდება და შეკითხეთ მიცნობს თუ არ ის და ვაწვდიდი თუ არა ცნობებს გაზითისათვის.

მოულოდნელად კომისიის თავმჯდომარე რუხაძე შეკითხა მას: „იცნობდი თუ არა შენ პრისტავ ზუბრიცისო“. ნაცვლიშვილი შეკრთა, ხმა წაერთვა ერთი წუთით. „კარგად მოიგონე პრისტავი ზუბრიცი, შენ ძალიან მოვწონდა იგი, მას ხომ ახლო იცნობდი?“ — განმეორებით ჰკითხა თავმჯდომარემ. „არა, არ მახსოვსო“ — უბასუხა. მაშინ თავმჯდომარემ წაიკითხა ვ. ნაცვლიშვილის და სხვა რამდენიმე ვაჭრის მიერ ხელმოწერილი განცხადება თბილისის პოლიციის უფროსის სახელზე, რომელშიაც ითხოვდნენ პრისტავ ზუბრიცის იმ საპოლიციო უბანში კვლავ დატოვებას, სადაც ნაცვლიშვილი და ძმანი მისნი ვაჭრობდნენ. ზუბრიცის ისინი ახასიათებდნენ, როგორც ტერორისტების და სოციალისტების საუკეთესო მდევნელს, როგორც წმენდაზე გამოირკვა ნაცვლიშვილის სამიკიტნოში თავს იყრიდნენ არალეგალურად მომუშავე სოციალისტები. ი. იმბიძის შეკითხვებიდან გამოირკვა, რომ ნაცვლიშვილის სამიკიტნოში არალეგალურად მომუშავების ჩავარდნას ჰქონია აღვილი. ნახსენები იყო იროდიონ ევდოშვილი და თუ არ ვდები ვაჟა-ფშაველაც. ნაცვლიშვილი სამსახურიდან მოხსნეს. „გამწმენდ კომისიის“ დადგენილებაში აღნიშნულია:

«Нацвалишвили В. Д. ...Снят по категории, как бывший торговец (духанщик), домовладелец, имеющий связь с полицией».

ვ. ნაცვლიშვილის შესახებ ცნობა მიაწოდა განსვ. ფ. მახარაძეს პროფ. ვლკოლ ბერიძემ. იმ უკანასკნელის გადმოცემით, ფ. მახარაძეს ახსოვდა ვ. ნაცვლიშვილი, მასთან იგი პენსიისთვის ყოფილა კიდეც და სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ფ. მახარაძისათვის ნაცვლიშვილის კავშირი პოლიციასთან.

P. S. გაზეთ „მოგზაურში“ ვ. ნაცვლიშვილის წერილებს ქვეშ ინიციალები აქვს „ვ. ნ.“ მომავალში რომ თავსამტერევ საკითხად არ იქცეს თუ ვინ იმალება ამ ინიციალების უკან და რა ფასი აქვს კორესპონდენციაში მოცემულ ცნობებს, საჭიროდ მივიჩნიო რაც ვიცოდი დამეწერა და მწერალთა მუხეუმისათვის გადმომეცა.

იროდიონ ევლოზვილის ფარილები
საცხოვრიშვილისადმი

1

23 ნოემბერი 1911 წ.

ძმაო საცხოვრიშვილი

მივიღე შენი წერილი. მივიღე და ძრიელაც გამიხარდა. საზოგადოდ ქართველი მწერლის მდგომარეობაში და კერძოდ ჩემს აზლანდელ ყოფაში ზნეობრივი თანაგრძნობა გაზიაფხულის სხივია ზამთრის ყინვაზე დაშვებული. შენი წერილიც სწორედ ეს სხივი იყო ჩემთვის. მაღლობელი ვარ მეგობარო, იმ ტკბილი წუთებისათვის, რომელიც მე ვიგრძენ შენი წერილის წაკითხვით. მაღლობელი ვარ და გიგზავნი ჩემს გულმუხურვალე სალამს. ამ მოკლე წერილით ვერ გამოვთქვამ ყველა იმას, რაც მე მინდოდა დიდი ხანია მეთქვა, რაც შემთხვევაში ტბად გრიალებს ჩემს გულში და ეს ტბა კი ჩემმა ნამეგობრალებმა დაატრიალეს. მართალს გწერ სანდრო, ვიცი, რომ იმგვარი გადამთხვეულები, რომლისთვისაც შენ კბილები მიგიმტვრევია ბევრი არიან, მლანდლავენ, მჭორავენ. აქა ვარ, გამოვეცალე იქაურობას, მაგრამ ჩემს ლანდს მაინც უყვეფენ და მოპარვით ზურგიდამ მჩხვლეტავენ. კარგა ხანია რაც ამ გველებმა სისინი დაიწყეს. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ამგვარმავე „გადამთხვეულებმა“ ილიას მოხსც, ნავირნახულევ გულს ტუვია დაზალებული. ეს ტუვია მეც მომხვდა, როგორც სამგლოვიარო სევდა. მე სხა ამოვილე, ლექსით, წერილებით და აქ გაშუდა ჩემსა და მათ შორის შემარტოებელი ძაფი, მაგრამ მე მართალს არ ვამბობ, ძაფი კი არა, ნამდვილი ჯაჭვი. ჯაჭვი, იმიტომ, რომ მათთან ვიყავ მე მიკაჭვული მოელი თითო-თორმეტი წლის განმავლობაში იღეურად. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ არავინ იცის, როდის დაიწყო ჩემს გულში ბრძოლა. ბრძოლა ორი აზრის შორის: რას ვემსახურო, საქართველოს ერს, როგორც პოლიტიკურად დაჩაგრულს ხალხს, თუ პროლეტარიატს, როგორც ეკონომიკურდ დაჩაგრულ კლასს, ორივე ჩემთვის ძვირფასი იყო და დღესაც ძვირფასია, მაგრამ როდესაც



ქართველმა ესდეკებმა! საქართველოს ხსენებაც კი სათაყილოდ გაიხადეს, როდესაც მისი აშინდელი კენესა მომავალ სოციალიზმის შეებასთან დააკავშირეს და ცხონებას სიკედილის შემდეგ დაპირდნენ, მაშინ კი ჩემი აზრები ჩემმა გულმა გადაატრიალა მათ წინააღმდეგ. ეს მოხდა ჯერ ისევ 1903 წელს. მაშინ მივაწებე კიდეც „კეალში“ თავი მუშაობას. ნელ-ნელა მიღიოდა ეს ნაკადული ჩემს გულში, ჩუმად, მარტოდ-მარტო ჩემს ფიქრში, ძნელი იყო თორმეტი წლის ნაჭედი ჯაჭვის გაწყვეტა და ი, ილია დამეხმარა მე თავის სიკედილით. იმ დღიდან კი სამუდამოთ ვიბრუნე პირი ქართველ ესდეკებიდამ და თუ მოვარუნდები დღეს მათკენ, მივბრუნდები მხოლოდ იმისათვის, რომ მივაფუროთხო მათ. ვიმეორებ და შენს ყურადღებას მივაქცევ თრ სიტყვას: ქართველ ესდეკებისკენ-მეტე. იმიტომ, რომ ისეთი უკულმართი შეხედულება, როგორც მათ აქვთ ეროვნულ საკითხებ, არც ერთი ქვეყნის სოც. დემოკრატის არა აქვს. დააკვირდი და ყურადღება მიაქციე ავსტრიის ესდეკებს, გერმანელებს და სხვა. მაგრამ თუ დღეს ქართველ მუშას ისეთი უკულმართი შეხედულება აქვს ეროვნულ კითხვაზე, ამაში რასა-კვირველია ქართველი ესდეკი ინტელიგენციაა დამნაშავე. მეც ერთი მათგანი ვარ და მინდა ჩემი შეცდომა გავასწორო. მე ისიც კარგად ვიცი სანდრო, რომ ბევრს ამავე მიზეზის გამო შეგნებულ მუშას და ინტელიგენტს ესდეკს გადმოუბრუნდა ჩემსავით გული, მაგრამ ძრიელ ცოტანი პედაგენ მათში კერძო ლაპარაკის დროს თვის გულწრფელი აზრების გამოთქმას, წერვით ხომ ეშინიანთ და ემალებიან იმ ზიზძს, რომელიც მე მდევს თან მათი ამხანაგებისაგან, მაგრამ შენ ხომ იცი პოეტის გული კალამს ვერ გაამრუდებს და მეც ვერ გავუძელ ჩემს გულისთვეს. ვამბობ და ვსწერ იმს, რასაც ჩემი გული მელაპარაკება. მათი ნესტრის ტრიალი შეეჯახა ქიზიყის ჯიუტ გულს და დღეს უნდა გითხრა, მე გამარჯვებული ვარ ამ გვილებზე. მათი შხამიანი ისარი ვერ აღწევს მიზანს, თუმცა ძვირად კი დამიჯდა ეს სულიერი ბრძოლა. ბევრი ნაღველი გამოვიარე და ამ ნაღველმა სევდის ჩრდილი დაპქრა ჩემს სულს, ეხლა კმარა ამაზე, რასაც ვწერ, შემდეგ წერილებში უფრო უკეთესათ მოვილაპარაკებთ, მოგწერ ჩემი ახლანდელი მდგომარეობის შესახებ მოკლედ: სულის ობლობა, მატერიალური გაჭირვება... მენატრება აღა-

¹ ესდეკები — რსდმ პარტიის წევრები.

მიანი, რომ ხანდისხან გულს შეება მივსცე მასთან გამოლაპარაკებით. ქონებრივი მდგომარეობა კი ისეთია, რო ხშირათ მენატრება „ჩვიანოს“ პური და თუ საქმიანდ ვიშოვე ხოლმე ქადასაცით შევაძლევი. ქალაქი ქალაქებია. იწერები ქუჩის სახელი არ ვიციონ და ამიტომ აღრესს კარგად ვერ ვაწერ წერილსო, ძეგლამ წარმოიდგინე რა ქალაქი იქნება, როდესაც აქ ქუჩით და სახლის ნომრით კი არ ეძებენ კაცს, არამედ ვის სახლში სცხოვრობს პეტროვთან თუ პახომოვთან... როგორც მაგალითად ვსოდეთ ტლუნკაანში იციან ხოლმე ტყაჭაანთ სახლი, მუხრუჭაანთ ნაგომარიონ და სხვა. ზაფხულს ექ არა უკირს რა, უკეთესად ვატარებდი დროს, თითქმის ყოველდღე მივდიოდი მარტო-მარტო მდინარე ვოლგაზე ჩემი პატარა ქვაბით და ნემს-კავებით ვთევზაობდი, დროს ვატარებდი და ვიკევებებოდი, ზამთარი და ინწყო და ტანჯვაც გამიორკეცდა. გადმოსახლებული პოლიტიკურნი 25 კაცამდეა, მაგრამ მათთან ოფიციალური კავშირი მაქვს მხოლოდ. მათ შორის თხის ქართველი მუშაიყო, ეხლა ორიღაა, ორი წავიდა. უნდა გითხრა, რომ ოთხივე მუშა დიდად სიმპატიური ყმაწვილები იყვნენ. მათაც მოპენედრიათ საქართველოს სიუვარულის ფრთა და ხომ იცი, მე უფრო ხელს უწყობდი. ასე რო ორივ უკეთ მონათლული გავისტუმრე აქედამ. აქ ორნიღა არიან და იმედი მაქვს, ესენიც ისე წავლენ აქედამ, როგორც მათი ამხანავები. ეხლახან გაღმოიყვანეს მეზობელ ქალაქიდან ერთი ქართველი სტუდენტი — სარაჯვე. ქალაქში დაბადებული და გაზრდილი. ქართულს არ ლაპარაკობს, არ ვიციონ. ჰმალავს, მიპქარავს ეს ღორი. ქალაქში ე. ი. თბილისში გაზრდილმა, ქართველმა ქართული არ იცის. შეიძლება, კაი ბიჭიც იყოს, ჭრ არ ვიცნობ კარგად, მაგრამ სამწუხაროთ ამ ერთათერთმა მიზეზმა უკვე შემაძაგა ეს გადაგვარებული თხა. შენი მოძღვნილი ლექსი ჩრდილოეთში წავიკითხე, მიჩვენა ერთმა ქართველმა მუშამ ობმოიდედებულმა მარქსისტმა, რომელსაც უოტა აბი გადავაცალე, მაგრამ, სამწუხაროდ მალე გაანთავისუფლეს და უანგი მაინც თან გაჟყვა. ასე, ჩემი სანდრო, უნდა ვისარგებლოთ ყოველი წუთით და ყოველი შემთხვევით. ამიტომ აი რას გწერ: არ დაპქარვო ძვირფასი დრო ახალგაზრდობისა, ისწივლე, კარგად მოემზადე, ჩამოდი შეიარაღებული და შეცუდგეთ ერთად რედაქციაში მუშაობას. მე თუმცა უკვე ცხოვრებამ მიმამტკრივ-მომამტერივა, მაგრამ იმედი მაქვს კიდევ ერთი ათიოდე წელიწადი შემოგვევთ როგორმე. ამ

წუთას და კიდევ წელიწადნახევარი, ვიდრე გამანთავისუფლებენ, მე თავს მკედარივით ვგრძნობ, გავცოცხლდები მაშინ, როდესაც კვლავ დავბრუნდები თბილისში. აბა შენ იცი როგორი შეიარაღებული ჩამოხვალ და გავწევთ ერთათ ჭაპანს. მწყურიან ბრძოლა, როგორც მეტათვეში ეხის წყალი! კირგა ხანია შენი აღარა წამიერთხავს რა. რას შვრები, რატომ აღარას ჰბეჭდავ. „სახ. გაზეთში“ აღარ ვგზავნი ლექსებს. მაწყენინეს ძრიელ. რამდენიმე ლექსი ექვსი-შვიდი თვე ედვათ იქ და არ დაბეჭდეს. მართალია ცოტა სახიფათონი იყვნენ, მაგრამ საქმე ის არი რო მიზეზსაც კი არ მატყობინებენ რატომ არ ჰბეჭდავენ, მეც აღარ ვუგზავნი და მოესწერე, რომ აღარც ის ლექსები დაბეჭდონ. კერძერობით ასეა. ბეგლარია! ხომ იცი, როცა პსვამს არა სცალიან და როცა არა პსვამს ეძებს, რომ ისევ დალიოს, ამიტომ არც მაშინ სცალია წერილებისთვის.

შენი იროდიონი

22 დეკემბერი 1911 წ.

ძრავ ალექსანდრე

მივიღე შენი მეორე წერილი, ეწუხვარ, რომ ჩემი პირველი წერილი არ მიგიღია, იმ წერილში ბევრ რამეს გწერდი, სახელდობრ ჩვენს ეგრეთ წოდებულ იმ „ესდეკებზე“ რომელთაც „ესდეკობა“ იმაში მიაჩინიათ რო აგინონ ყოველივე ქართული, მისი წარსული მისი აწყო და მისი მომავალი იდეალი. ერთის სიტყვით, ყველაფერი, რასაც კი ქართული ელფერი იძევს. ეს ის ტიპი არიან, რომელთაც თავისი ინტერნაციონალობა პსურთ თავისი თავის დანინებით და უარყოფით გამოხატონ და დამტკიცონ. მათში ბევრი გულწრფელად იღიარებს ამ მცნებას, სხერა თავისი კოსმოპოლიტობა, ამაში ჰხედავს თავის სიდიადეს და როგორც ჩინეთის მწირი ფრჩხილებზე შემდგარი დაჭრერებია თავის კუჭს, სადაც მისის აზრით პმარხია ქვეყნის მხსნელი იდეა. ბევრია მათ შორის ფლი-

¹ ბეგლარი — იგულისხმება მწერალი ბეგლარ ახოსპირელი




დიც, რომელსაც ერთი შუპა ლომი მთელს ევროპას უჩიევნია, მაგრა რამ მიუხედავად თავისი უტვინობისა, ეშმაკობა მაინც შესწევს, ეგლისება მუშებს და ატყუებს მათ. ხომ იცი ზერა-ქვერობა, ეს მუშებიც პბაძავენ მას სიტყვების რახა-რუხში, ყოყლობინობაში და კმაყოფილნი, რომ გამეცნიერდნენ, ასე უცებ დადიან გაბღენ-ძილნი. ძნელია მათთან კამათი, — ძმურს სიტყვას გესლიანი ეპვი უხვდება, მამულიშეილურ წმინდა გრძნობას ბრამინის კუჭი. ის მხადაა გაგფატროს, შეგვეამოს, ოღონდ ნუ ჩამოაგდეთ იმ „ინტერ-ნაციონალურ“ ოჩოლფეხიდამ, რომელზედაც ის ასე ადვილად ავიდა. „თქვენ ნამდვილი ფილოსოფოსები ხართ“ — ასე უთხრა ერთმა ჩვენმა მართლაც ნიჭიერმა მარქსისტმა პუბლიცისტმა ერთხელ ქართველ მუშებს. ეს პირი კი მუშებს ისე სწამთ, როგორ მართლმადიდებელს ლმერთი, მოდი და ამის შემდეგ უთხარ ამ „ფილოსოფოსს“, ჩომ „ისწავლე სწავლის მძებნელო, მიჰყე დავითის მცნებასა-თქო...“ ამგვარ ნიმუშებს ბევრს შეჰვდები ჩერენში. როდის დახალისდება ეს პარტია, როდის ელიტება ქართველ პროლეტარს კეშმარიტი სიტყვა თავისი ბელადებიდან ნაციონალურ კითხვაზე, ან თვით ამ ბელადებისთვის როდის გამოირკვევა იგი იმ პირობებში, რა პირობებშიაც უნდა პრაქტიკულად იმოქმედოს კაცმა წინამძღვარებულს იდეით სამწუხაროთ ვერ გამოვიცნობთ, უკეთ ესთქვა, ეს მაღლ მაინც არ მოპენდება. ამის შესახებ კიდევ მოველაპარავები შემდეგ წერილებში. ჩემს ახალ პოემაზე მწერ სინანულს და „სახალხო გაზეთისაღმი“ საყველურს, რო არ დაუბეჭდიათ. მართალი არა ხარ, მე მათვის არ გამიგზავნია ეს პოემა, და არც მითვიტოა გამეგზავნა. მხოლოდ ნიკო კურდლელაშვილს მივსწერე შინაურულათ, რო მაქვს ერთი პოემა დათავებული მეტქი და იმან „ჩააგდო“ გაზეთში ის, რასაც შენ წარკითხავდი. ამ პოემის პირველი ნაწილი პროზითა დაწერილი, მეორე ნაწილი ლექსად, მეორე ნაწილი ცალკე მთლიანს წარმოადგენს და ლ. ბოცვაძე დაპბეჭდავს „განათლებაში“, როგორც მწერს, იქნება ცალკე წიგნათაც გამოსცეს. „განათლება“ თუ არ მოვდის, როგორც დაიბეჭდება პოემა, გამოგიგზავნი. ბაირონის ლექსები, თუ ძვირი არ იქნება გამომიგზავნე, მაგრამ უკეთეს იზამ თუ შენ „შვების თავადს“ გამომიგზავნი თუ ხელთა გაქვს, არ გამიკითხავ, რადგანაც არა მაქვს, ვერც გამოვიწერე უფლობის გამო, გიგ მწერს მოსკოვიდამ შენ „შვების თავადზე“ ორიოდ სიტყვას, ემჩ-

ବ୍ୟୋମ ଏଇ ମନ୍ଦିରଙ୍କିରଣରେ, ଗାନ୍ଧିମିହିନ୍ଦୀଙ୍କୁ ତଥ୍ବ ମନୋକ୍ଷେପକ୍ଷ, ରନ୍ଧମ ହେଠି ଏହିରେ
ମନ୍ଦିରଙ୍କିରଣ ମିଳି ଶ୍ରେଷ୍ଠତବ୍ୟାତ୍ମକ. କ୍ଷାରତୁଲି ସାମି ଗାନ୍ଧିତବ୍ୟ ମନମଦ୍ଦିଲି „ତେମିନ“,
„ସାବ. ଗାନ୍ଧି“. ଏବେ କ୍ଷୁତୀତୁଲି ପ୍ରକଳ୍ପିତା“ ରୁଷତୁଲି ଲାଭୀରାତ୍ମିକା
ତିତ୍କ୍ଷମିଲି ସାଜିଶାଳ ଗ୍ରେହିଲି.

ଶବ୍ଦ ପ. ଚନ୍ଦ୍ରପତିଲି

28689 K222002
3



გიორგი ალექსანდრეს ძე თათიშვილი¹

„ილია ჭავჭავაძის მოკვლა და საზოგადოების გლობული“

(იბეჭდება შემოკლებით)

მართალი უნდა ითქვას, საგურამოს მთელ გლეხებს ყველგან ნდობა დაუკარგეს და შეარცხვინეს.

კაცს გზაზე ვეღარ გაუვლია სოფელში.

მოკეთესთან ვეღარ მისულხარ. ქალაქში რო ჩახვალ, შიშით ვეღარ გიორგის საგურამოს სახელი. ყველა გაგინებს და გლანძლავს. მხეც ნადირს გეძახის. თბილისში ერთ კაცს შემა მიყყიდე. ნახევარი ურემი დაცუალე. როცა მჟიმთხა: სადაური ხარო, მეგონა გაეხარდებოდა საგურამოული შემა კარგიც არის და მეტიც ღირს სხვა მხარისაზე.

საგურამოს სახელის გაგონებაზე კინალამ ჭიუადან შეიძალა. არა, არა, აღარ მინდა უკან წაიღე, თქვენ ილია ჭავჭავაძე მოკალითო. ფულს აღარ მაძლევდა.

ეს ლაპარაკი არაფერია, გაზეთებში სულ ჩვენს შერცხვენაზე სწერია...

ექ გადმოსახლებულ ერთობის ხალხს როცა გაზეთში წაუკითხავთ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, სწყენიათ და გაბრაზებულან საგურამოელ გლეხებზე: ეს რა სისულელე და უგუნურობა ჩაუდენიათო.

წელან ეგ გაზეთი რომ დავინახე, გამეხარდა, უნდა მეკითხნა ახალი ამბავი რა სწერია, მაგრამ მომაგონდა იქნება კიდევ ცუდი ამბავი ეწეროს ჩვენზედა. თავი დავინებე, აღარა ვკითხე...

აბა აბ მკვლელობით რა გააკეთეს, ვინ მოუწონებს, სამოცდათი წლის მოხუცი კაცი ძლიერ დაღიოდა. გზაში რომ ჩასაფრებოდა სამი და ოთხი კაცი რათ უნდოდა შეიარაღებული, რომელი მცველი

¹ გიორგი ტატიშვილი 1908 წლის 1 ივნისს ქ. თბილისის სლმპ კომიტეტში გორის მზრიდან დუშეთის მაზრაში პასუხისმგებელ მუშაյდ გააგზაუნა. 1937 წლიდან 1939 წლამდე იყო სოფელ გალავნის ღ. სტალინის სახ. კოლშეურნების წევრი. იყო ცნობილი რევოლუციონერი.

ათასეული ყაზახი გარეშემო ერტყა. მის მოსაკლავთ განა ერთი კაცი არ ეყოფოდა? ისიც ვის?

სკოლის წინ მოწაფეების წაკითხული წიგნები გამიგონია... კაკო ყაჩაღი, ოთარაანთ ქვრივის შეილი გიორგი, გლახის ნამბობი გაბრო და თამრო, ესენი გლეხის შეილები არა ყოფილან?

რაზე იტეხდა თავს თუ მტერი იყო და გული არა სტკიოდა. გლეხებ თუ პური დაგვაცლდებოდა, იმის ბეღლებს ისევ ჩვენ არ ვცლიდით?.. ისევ ვის არ გვშველოდა, როგორც მამა შეილებს...

განა, სხვა ბატონებიც ასე იქცეოდნენ? არა! ვანო ინაშვილს და მის ამხანაგებს თუ სახელის გავარდნა უნდოდათ ერთობაში და ხალხში, ნიკო ხიმშიაშვილი მოეშორებინათ, რამდენიმე ათასი დესეტინა ტყე და მამულის პატრონია. მთავრობას რამდენიმე გლეხი ჩამოახრჩინა, დაახვრეტინა და ციმბირში გადაასახლა, მათი ოჯახები კი ეგზეკულიციით გაანადგურა.

მას მერე პავლე ფშაველაშვილი სადაც კი შხვდებოდა, ხან ტყეში, ან ქალაქის გზაზე მიმავალს, სულ იმას შემომჩიოდა, ზოგჯერ ცხარე ცრემლებითაც ბევრჯერ სტიროდა:

— იმ დაწყევლილმა ვანო ინაშვილმა ჩვენ სამი კაცი შეგვაცდინა, ერთობის ხალხში, ტოლ-ამხანაგებში და მთელ ხალხში თავი მოგვჭრა და სამუდამოდ გამოგვასალმა და შეგვარცხვინა. მას შემდეგ ის ჩვენ დაგვშორდა და აღარ გვეკარება. თუ ის სადმე ხელში ჩამივარდა, კბილებით დავგლეჭვა და მის ხორცსა და ძვლებს ტყეში ნადირებს შევაჭმევ კბილითათ.

ის ჩვენ აღარ გვენდობა, აღარ გვიკარება.

ვანო ინაშვილმა სამი კაცი შეაცდინა და ისინიც სტიროდნენ.

საგურამოელი გლეხები რა შუაშია, თუ საღმე მართალი ითქმის და დაიწერება...

ვინ მოკლა ილია, ვინ შეახო თავისი მურდალი ხელები?

მე როცა ამის კვლევა-ძიებას ვაწარმოებდი, შევქმენი ხუთი კაცისაგან კომისია:

1. მე თითონ
2. იაგორა ძოგანიშვილი
3. ლევან მამულაშვილი სოფ. ბიჭმენდი
4. იაგორა შამხოლაშვილი ს. საგურამო
5. გიგლა სინძე ს. არაშენდა

შეკრებილი მასალები, რომლებიც სინამდვილეში დაღასტურდა,
 შემდეგია:

ილია ჭავჭავაძის მოკვლის მთავარი ხელმძღვანელი და მომ-
 წყობი ორგანიზატორი იყო ილიას ახლადმოყვანილი მოურავი
 დიმიტრი ჯაში.

მკელელობაში მონაწილეობა მიეღოთ ოთხ კაცს: ვანო ინაშვილს,
 როგორც ჯაშის მოსყიდულს,

2. პავლე ფშაველაშვილს,
3. გიგლა ბერბიჭაშვილს,
4. გიორგი ხიზანიშვილს.

სიგნალისტები ყოფილან გიგოლა და შაქრო გერმისაშვილები.
 მკელელებს ტყეში თეთრი ხელსახოცებით უჩენეს ი. ჭავჭავაძის
 თბილისიდან ეტლით წიწამურის გზაზე მოახლოვება.

— მოკვლის დროს წაეღოთ ილიას ოქროს საათი, ქალალდის
 ფული 600 მანეთი, ვერცხლის ფული 100 მანეთი, ჩემოდანი ქა-
 ლალდებისა.

მოურავი ჯაში თურმე გზაში ელოდა. როცა გაევო ილა მოკ-
 ლეს, ცხენით გაქანებულიყო. მკვდარ ილიას ჭიბეებიდან თახის
 გასალებები ამოელო, საგურამოში გაეცაულიყო. ყველა თახის
 კარებები გაეღო... ძვირფასი ნივთები და რაღაც საიდუმლო ქა-
 ლალდები გამოეტანა და სოფელ ჭილაურაში ნათესავ მახარაშვი-
 ლებთან ცხენით გადაეტანა.

რეზუმე კალაპის არჩივიდან

ილია ჭავჭავაძის ფაქტიურ მკვლელთაგან (ანუ იმათაგან, ვინც სისრულეში მოიყვანა „განააჩენი“) ცნობილია ექვსი პიროვნება: თეღო-ლაბაური, გოორგი ხიზანიშვილი, ივანე ინაშვილი, პალე ფშაველაშვილი, გიგლა ბერბიქაშვილი და ვილაც იმერელი.

ეს სია რამდენადმე ეწინააღმდეგება რაედენ კალაპის არქივში დაცულ მასალას. აქ ჩამოთვლილი მკვლელები ხუთი კაცით განისაზღვრება: ვანო ინაშვილი, გოორგი მაძმანაშნილი, ვანო ლარიბაშვილი, გიგლა ბერბიქაშვილი, სანდრო დავიარგული.

რ. კალაპის ხელნაწერ რვეულში, რომელშიც 1923—25 წლებში შედგენილი დოკუმენტებია აღნუსხული, ვკითხულობთ: „1925 წ. 20.III. ამ რიცხვიდან მე „დანიშნული“ ვარ კომპარტიის ცეკასა და განსახეობის მიერ საქართველოს რესპუბლიკის საარქივო საქმეთა მთავარი სამმართველოს კოლეგის თავმჯდომარედ და რევოლუციური მუშეუმის დირექტორად“.

შემდეგ გეერდზე იწყება სხვადასხვა პირთა დაკითხვები ი. ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ.

ვინ იყო რაედენ კალაძე და გვაქვს თუ არა საფუძველი ნდობა გამოვუჩადოთ მის მიერ შექმნილ დოკუმენტს. რამდენად მისალებია მისი პოზიცია, რომელიც შეკითხვის დასმის წესში მეღავნდება და საითქმი არის მიმართული მისი ტენდენციურობა?

ამოძრავებდა მას სიმართლის დადგენის სურვილი თუ გარკვეული დირექტორებით მოქმედდება?

ოფიციალური ცნობებით რაედენ თომას ძე კალაძე (1871—1937) იყო უსრნალისტი და ლიტერატურათმცოდნე. წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. იგი გახლავთ პოეტ კარლო კალაპის მამა.

კარლო კალაპის არქივში დაცული ერთი ხელმოუწერელი წერილის მიხედვით კი რაედენ კალაძე შეიძლება იმ ფანატიკოს რევოლუციონერთა რიცხვს მივაკუთხოთ, რომელთა მსოფლიმხედველობას გაუთვითცნობიერებელი „ბრძოლის იდეა“ განსაზღვრავდა და რომელთა ცხოვრებაშიც რევოლუციური იდეები არსებობის პრინციპულ იმპულსად გადაიქცა.



შესაძლებელია, რომ ასეთ განწყობილებას წერილის ავტორული
სუბიექტური დამოკიდებულება და პათოსი ბადებს.

УВАЖАЕМЫЙ КАРЛО КАЛАДЗЕ!

Прочитав в журнале «Неделя» Ваше произведение «Отец» и вступление переводчика, я вздрогнул...

Вспоминаю ночь 9-го августа 1937 г., как я и многие другие в камере № 12, следственного корпуса тюрьмы; IV этаже, в 2 ч. ночи проводили дорогого старца Раждена Ка-ладзе на смерть. Этот день я никогда не забуду. Вслед за Ражденом увели, так же навсегда, младшего сына Барона Бибинеишвили* — Юру Бибинеишвили.


Среди всех в камере Ражден держался отважно, не боясь и здесь разоблачал Берия в фальсифицированном «труде» — «История большевистских организаций Закавказья». Эта книга, как говорил Ражден, с разоблачительными примечаниями на полях, почти всех страниц, написанные им самим, попала в руки Берия.

Помню, в одном из примечаний Ражден писал, что красное знамя на первомайской демонстрации, впервые в Тифлисе нес не Сталин, а Окуашвили Аракел. Свидетелем этого был сам, находился рядом с ним, и вообще Сталина там не было.

Ражден отрицал первенствующую роль Сталина в организации большевиков Закавказья и он был упрям...

Помню, как старик говорил: «Сидел я при царе, сидел при меньшевиках и сижу у большевиков — за что? — тоже за правду...»

* ბიბინეიშვილი ბართლომე (ბართ) ექვთიმეს ძე (1883—1938) რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. კომპარტიის წევრი 1898 წლიდან გასაბჭოების შემდეგ მცხაობდა სხვადასხვა პასუხისმგებელთა სამსახურებზე, დაწერილი აქტების მემუარული ხასიათის წიგნები და ბროშურები.





ଏହା ରାମଚନ୍ଦ୍ରମହାନ୍ତିଷ୍ଠାନୀ ଉପରେଣେ କିନାହାର୍ଜୁଣ, ଶ୍ରୀଶର୍କର୍ଣ୍ଣପାତ୍ରଙ୍କଳି ଗର୍ବରେ ଶେର-
ଶିଥାଶ୍ଵିଲିଙ୍କ ସାହମାରିତଳର ଉତ୍ତରପୃଷ୍ଠାରେ.

რ. კალაძის არქივში მისივე ხელით ჩაწერილი დაკითხვის ქამები იწყება შეკითხვით: „რა იცით იღიას მკვლელობის შესახებ. რა გამოაჩვია ს. დ. კომისიამ და სად ინახება ეს დოკუმენტები?“

პარადოქსია, რომ ი. ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეს იკვლევდა ს. დ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის კომისია, ვისი ერთ-ერთი წარმომადგენელიც პეტრე გალეიშვილი 1914 წელს წერდა: „ადრეც ვებრძოდით იღია ჭავჭავაძეს და დღესაც ვებრძვით.“

ცნობილია აგრეთვე, რომ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელსაც განხრახული ჰქონდა ი. ჭავჭავაძის მკვლელობა, საქონდულში ხმის უმრავლესობით გადაწყვიტა იღიას დაკრძალვას არ დასწრებოდა.

ერთ-ერთმა ახალგაზრდა სოც. დემოკრატმა 1907 წლის ზაფხულში ზაქარია კიშინიაძეს მიმართა საბაშეილების ღვინის სარდაფში: „ამ დღეებში იღია ჭავჭავაძის მოკვლას ვაპირებთო...“

იღიას სიკედილის შემდეგ ს. დ. პარტია აყალიბებს კომისიას. ამ კომისიის მუშაობის შესახებ რ. კალაძის შეკითხვებს პასუხობს მიშა კლიმიაშვილი¹.

„ს. დ. ცეკამ მიანდო განსაკუთრებულ კომისიას (რომელშიც შედიოდა 5 კაცი) 1. მიშა კლიმიაშვილი, 2. მიხაელ ქარცივაძე, 3. ნოე ხომერიქი, 4. ?, 5. ?:)

ამ კომისიის გამორკვევით ჯერ-ჯერობით იღიას მკვლელობის მთავარი მომწყობი არის ნაციონალისტურ ინტელიგენტთა ჯგუფი. რა მიზნით და რა შემადგენლობით, გამორკვეული არაა. მხოლოდ მტკიცდება, რომ ამ ჯგუფს იღიას მოკვლა ჯერ ისევ პეტროგრადში უნდოდა, როცა ის იქ იმყოფებოდა 1907 წელს, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრი, მაგრამ რადგან ეს არ მოუხერხდათ, მოქმედების ცენტრი ს. საგურამოში გადაიტანეს და შეადგინეს ყალბი „ქალალდი“ ს. დ. ორგანიზაციის სახელით, რომ მკვლელები დაერწმუნებინათ, რომ ეს საქმე ორგანიზაციის აზრით საჭიროა.

მკვლელთა შორის არიან, როგორც რაზმელები, ისე ს. დ. ტი-

¹ მიშა კლიმიაშვილი — მიხეილ კლიმიაშვილი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტივური წევრი. მ. კლიმიაშვილის სიტყვებია: „დაბეჭითებით მძიმელი, რომ ეს ფაქტი სოციალ-დემოკრატიული პარტიის დადგენილებით იქნა შესრულებული“.



რორისტები. სახელდობრ გიგანტ ბერბიჭვიშვილი¹. არის ავტომატურაზე ნიშნები, რომ ეს საქმე მოწყო ესდეკების რედაქციაში რამდენიმე მოურავის დიმიტრი ჯაშის საშუალებით. ერთი სიტყვით, მკელე-ლობა მოხდა რაღაც გამოუჩვეველი მიზნით.

ქვემოთ მინაწერია: „ს. დ. დოკუმენტის და ამ ორგანიზაციის ტერორისტული ელემენტების ქალალების ნაწილი ინახება მიშა კლიმიაშვილთან“.

ჩანაწერები გრძელდება ვრცელი შეკითხვებით ვინმე ვანო ბუჩაშვილთან:

„1. რა მდგომარეობა იყო შექმნილი ილიას მიმართ ს. საგურა-მოში 1905 წლიდან.

2. ვინ ყავდა ილიას მოურავად და რა განწყობილებები ჰქონდა ამ მოურავს ერთი მხრით ილიას მეგობრებთან და მეორე მხრით ილიას მტრებთან?

3. როგორი განწყობილება იყო გლეხობასა და ილიას შორის ამ დროს?

4. როგორი იყო „წითელი რაზმელების“ განწყობილება ილიასადმი?

5. რა კონფლიქტები ჰქონდა ილიას ზოგ წითელ რაზმელთან ან გლეხთან და ვინ გადაემტერა ილიას? ან ილია ვის?

6. ვინ გადაწყვიტა ილიას მოკვლა და ვისი დირექტივით იმოქ-მედა „წითელი რაზმის მეთაურმა?“ ვინ იყო ეს მეთაური.

7. რა დოკუმენტით იხელმძღვანელა ამ მეთაურმა მკელელობის შესრულებაში.

8. შეამოწმა მან ამ დოკუმენტის სინამდვილე და თუ შეამოწმა ვისთან?

9. რა კაშირი ჰქონდა პროპაგანდისტ ვანო ხანდამოვს („მიმი-

¹ ცხრასიანი წლებიდან გ. ბერბიჭვიშვილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის რეგისტრაცია, 1907 წლის 1 დეკემბრიდან ეწევა საგირაციო „მოლვაშვილას“. გლეხობას განაწყობდა მებატონეების წინააღმდეგ საბრძოლველად. იყო აღიარებული ტერორისტი. 1907 წლიდან სპარსეთში, 1923 წლიდან პერსონალური პენსიონერი, ამავე დროს მემაობდა სხვდასხვა დროს სხვადასხვა თანამდებობებზე. საგურამოს რევერსის თავმედომარის მოაღვილდა, ღუშეთის მაშრის სოცურუნველოფის ინსპექტორად, სოფ. მეხარისის რევერსის თავმედომარედ, თბილიშის სახელმწიფო ლეიის საწყობის დირექტორად. პენსიას 250 მანგთის ოდენობით დებულობდა მანამდე, სანამ არ დატესალეს და პასუხისმგებაში არ მისცეს 1941 წელს.

ნო“) ერთი მხრით წითელრაზმელებთან, ხოლო მეორე მხრით ილიას მოურავთან და თბილისის სოც. დემოკრატიულ ორგანიზაციასთან!

10. ვინ იყო ამ მკვლელობის მთავარი ორგანიზაციორი?

11. ვინ იყო შესრულების მეთაური და თვით შემსრულებელი?

12. რა კაცი იყო „წითელი რაზმის მეთაური?“

13. ვინ იყო მკვლელი — ვანო ინაშვილი?

14. მკვლელი — გიორგი . . . ?

15. მონაწილე — ბერბიქაშვილი?

16. მონაწილე — ვანო ღარიბაშვილი?

17. დაკარგული სანდრო“.

ვანო ბუჩაშვილი 1:

„ილიას არ მოსწონდა გლეხების არეულობა და თავგასულობა, რის გამოც ხშირად მოსდიოდა კონფლიქტი სოფლელებთან. ამ სოფლის ნამოსახლარის გლეხმა რომელიც საჭირო დროზე „დიაკვნობდა“ კიდეც, ვანო ინაშვილმა, გლეხებს გააჩიხევინა ილიას ოთხი ქცევა ვენახი, რისთვისაც ილიამ ეს ვანო ინაშვილი² გაასახლებინა მთავრობას არხანგელსკის გუბერნიაში, საიდანაც იგი 1907 წლის დასაწყისში დაბრუნდა და „წითელ რაზმში“ ჩაეწერა. ამავე წელს შედგა ქართლის თავადაზნაურობიდან „შევი რაზმი“, რომელიც ხშირად ქეიფობდა „წითელრაზმელებთანაც“, რომლის მეთაურთავან ის ხშირად ფულსაც ლებულობდა ქრომად და სამაგიეროდ „წითელ რაზმსაც“ აწევდიდა ილიას მამულიდან სანოვაგეს: ცხვარს, ძროხას, ლვინოს და სხვა“.

¹ ვანო ბუჩაშვილი „ძეელი რევოლუციონერი“, ტერორისტი, რომელმაც ბერბიქაშვილთან ერთად 1906 წელს გორისა და დუშეთის მაზრებში გაეტაცელა არსენა ჯორჯაშვილის წიგნები. „გ. ბერბიქაშვილმა ჩააძალლა, მოკლა მუშების და გლეხების სისხლის მსმელი ილია ჭავჭავაძე, მეც მრავალი გამოვასალმე წუთისოფელს“ ამბობდა ვანო ბუჩაშვილი.

² კ. ინაშვილი იყო მთავარი სახელოსნოს მუშა-ზეინკალი. ის იყო სოციალ-დემოკრატების გაზაფხუნილი საგურამოში მამასახლისად. „როცა ჩეენ ვაერგეთ ილიას მეცელობა მას ბრალდებოდა, ჩეენ უკეთი არ შეგვარუია, რომ ეს ინაშვილის საქმე იქნებოდა, რადგანაც ილიასა და ინაშვილს შორის დოდი განხეთქიდება იყო — წერს პეტე ხერცილავა.“

ესო ინაშვილი ჩამოახჩინეს 1909 წ.

ილიას მოურავი დიმიტრი ჭაში (გურული) იყო თბილისჩილან
ყოფილი ასოთამწყობის ძმა, ეს იყო მეტად გაქნილი კაცი და კავ-
შირი ჰქონდა, როგორც შავ რაზმთან, ისე წითელ რაზმთანაც.

წითელ რაზმელებიდან ზოგი ემტერებოდა ილიას პირადად ცუ-
ლი განწყობილების გამო. ზოგი შევიწროებული გლეხთაგანი წი-
თელ რაზმს მიმართავდა: „თუ კარგი ბუნტოვჩიყი ხარ, რატომ
ილიას თავიდან არ მოვაშორებო“ და სხვა.

ილიას ემტერებოდა მისივე მოურავი დიმიტრი ჭაში, რომელსაც
განზრახეა ჰქონდა ილიას ძვირფასი საოგანო მოწყობილობა ხელში
ჩაეგდო და „წითელი რაზმელებისაგანაც“ ფული აეღო.

წითელ რაზმში ილიასადმი მტრობა ვანო ინაშეილის შემოსვ-
ლის შემდეგ უფრო გამწვავდა და დაიბადა აზრი ილიას მოკვლის,
მაგრამ რაზმის მეთაური ს. დ. ორგანიზაციის ნებადაურთველად
ვერ ბედავდა. ამიტომ საჭირო იყო ს. დ. ქალალდი და ნებართვა. ეს
ქალალდი 1907 წ. მაისში წითელი რაზმის მეთაურს მოუვიდა, რო-
მელსაც ს. დ. ორგანიზაცია ავალებდა ილიას მოკვლას. ქალალდზე
კომიტეტის ბეჭედი იყო დასმული. წითელი რაზმის მეთაურს ეჭვი
დაებადა და ამიტომ წავიდა თბილისში. მონახა ს. დ. ვანო ხანდა-
მოვი, რომელიც იმ დროს ს. დ. ორგანიზაციის მდივ-
ნად ითვლებოდა, პროპაგანდისტიც იყო საგურამოში და წითელ-
რაზმელიც. წითელ რაზმთან შეიძრო კაშირი ჰქონდა.

მას კავშირი ჰქონდა ილიას მოურავთან — ჯაშთან და ხშირად
ქიოფობდა მასთან.

აი, ამ ხანდამოვს მიმართა ს. დ. ორგანოს ქალალდის სინამდვი-
ლის შესამოწმებლად წითელი რაზმის მეთაურმა, რომელმაც პა-
სუხად მიიღო, რომ ქალალდი ნამდვილია და ს. დ. ორგანიზაციის
ილიას მოკვლა გადაწყვეტილი აქვსო.

ამის შემდეგ მეთაურმა გამოაწყო წითელ რაზმელთა ჭკუფი
ვანო ინაშეილის მეთაურობით: გიორგი მოძმანაშეილი¹, გიგლა
ბერბიჭაშეილი, ვანო ლარიბაშეილი², სანდრო დაკარგული, რომელ-
თაც მოკლეს ილია წიწამურის გზაზე...

¹ გ. მოძმანაშეილი — წითელი რაზმელი, ტერორისტი, რომელსაც ბრალად
ედებოდა საგურამოს მოდამოებში ყაჩაღობა, ძარცვა-გლეხა, კაცის კვლა. ილიას
შეკლებობაშეც ედებოდა ბრალი.

² ვანო ლარიბაშეილის და სანდრო დაკარგულის პიროვნებები დაუდგენელია.
28

წითელი რაზმი იმ დროს გახიზნული იყო „მაღრანის ტყეში“ და თავის თავს „ტყის ძებად“ აცხადებდა. მეთაურობდა მას ნასალ-დათარი და ნაყაჩალარი, უსწავლელი (წერა-კითხვის უცოდინარი), ყოფილი ლვდელთან ნამოგამაგირალი გლეხი დუშეთის მაზრიდან, რომელსაც მოჯამავირეობის დროს დუშეთის ახლო ვინტოვკის ხელში ჩაგდების მიზნით მოუკლავს სალდათი და მერე ყაჩალიდ გაეარღნილა. — წითელ რაზმელებიდან ილიას მოსაკლავად მან მეთაურად აირჩია სანდრო დაკარგული, რომელთაც მოკლეს ილია, წიწამურის გზაზე.

... რაზმელებიდან ილიას მოსაკლავად მეთაურად აირჩიეს ვანო ინაშეილი, რადგან იცოდა, რომ ვანო პირადათ მტრობდა, შურს იძიებდა მასზე, ის მართლაც მოხერხებული ბიჭი იყო.

მეორე მკვლელი გიორგი მოძმანაშვილი იყო ძეელი სალდათი, „დეზერტირი“, ისიც ნაყაჩალევი და უსწავლელი, ხოლო გიგლა ბერბიჭაშვილი კი რამდენადმეთ ნასწავლი ს. ახატანიძან და რომელიც სასამართლომ გამართლა საქართველოს გასამშობების შემდეგ და მუხრანის თემის აღმასკომის თავმჯდომარედ იქნა არჩეული.

დანარჩენი უბრალოდ „რაზმელები“ იყენენ გლეხობიდან გამოსული.

წითელი რაზმის მეთაური, რომელმაც ჯაშისა და ს. დ. ყალბი დოკუმენტის გავლენით მოაწყო ეს მკვლელობა, დღეს თბილისში ცხოვრობს (წერა-კითხვა კარგათ იცის) და „რაბფაქში“ სწავლობს, თან კომპარტიაში ჩაწერილია...“

რ. კალაძის ხელნაწერ უურნალში შემდეგი ფურცლები ამოხე-ულია. ამიტომ ძნელდება იმის გარკვევა, თუ როგორ დამთავრდა კითხვა-პასუხი და ან რა დასკვნამდე მივიღა ამ დაკითხვების შემდეგნელი.

გურამ გამიამ

* * *

მწერალ და ლიტერატურათმცოდნე ლევან ასთიანის ხელნაწერთა მდიდარმა არქივმა 1978 წლიდან ბინა დაიდო ქართული ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდსაცავში. მასში წარმოდგენილია ლ. ასათიანის ნარკვევები ქართველ, რუს, უკრაინელ თუ საზღვარგარეთელ მწერალთა შემოქმედებაზე, კინოსცენარები, მიმოწერა და სხვა.

განსაკუთრებულ ინტერსს იწვევს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დიდძალი მასალა (საგვარეულოს გენეალოგიდან დაწყებული წიწამურის ტრაგედიამდე).

როგორც ცნობილია, ლ. ასათიანი თავად ესწრებოდა ი. ჭავჭავაძის მკვლელის გ. ბერძივეაშვილის გასამართლებას და იქ გაგონილსა და ჩაწერილს იგი აესებდა სხვადასხვა პირთა მოგონებებით.

ლევან ასათიანის არქივიდან მკითხველს გავაცნობთ ძველი მუშის სოსო მაქავარიანის მოგონებას „აღიარებული ცოდვა“ (რომელიც, როგორც ლევან ასათიანის მინაწერიდან ჩანს, მისთვის მიუცია მწერალ იაკობ ბალახაშვილს) და წიგნების ცნობილი გამომცემლის მიხეილ გაჩეჩილაძის მიერ ჩაწერილ პუბლიცისტისა და საზოგადო მოღაწის, წიგნების გამომცემლისა და გამავრცელებლის ზაქარია ჭიჭინაძის (1854—1931) ნამბობს იმის შესახებ, რაც მას გადახდა ილია ჭავჭავაძის კეთილად სხენებისათვის.

ლალი მარტაშვილი

აღიარებული ცოდვა

მოგონია ილია შავაჩავაძე

1893 წელს ჩამოველ თბილისში და მივედი ხელობის სასწავლებლად კუკიაში. იქვე იყვნენ შაგირდები. 8 ახალგაზრდა და ჩვენამდინ კი უკვე გაეთავებინად შაგირდობა 15 კაცს, რომლებიც ქარგლებათ ითვლებოდნენ და ყოველ კვირა უქმე ისტატთან იყრიდნენ თავს. მღეროდნენ, ოხუჯობდნენ, მსჯელობდნენ იმდროინდელ მწერლებზეც. მათ ყველამ წერა-კითხვა იცოდნენ და დიდათ უმაღლოდნენ ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელსაც ხშირად მოქონდა წიგნები და უფასოთ გვირიგებდა შაგირდებს. მეც ზაქარიას წყალობით დავიწყე წიგნების კითხვა. შაგირდობა გავთავე სამ წელიწადში და დავიწყე ქარგლათ მუშაობა თბილისის სხვადასხვა ქარხნებში, 1900 წლამდინ თბილისის მუშა ხელოსნებს და წერილ ვაჭრებს განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდათ დიდი ილია და დიდი თაყვანის მცემლებიც იყვნენ. გარიცებით კითხულობდნენ ილიას ნაწერებს „ოთარაუნთ ქვრივს“, „გლანის ნამბობს“ და სხვა. მაგრამ დიდად იყო გავრცელებული ილიას „ქაკო ყაჩალი“ მუშა ხელოსნებში. ილიას კაკო ყაჩალი ბევრმა ზეპირათ იცოდა და მომხიბლავ მოტივით მღეროდნენ ყოველივე ლხინში, ქორწილში, ნიშნობაში, თუ ნათლობაში. ერთხელ ქორწილი ქონდა კოლა გორელს, სადაც მიწვეულნი იყენენ სამოცამდინ მუშა ხელოსნები, მათ შორის ცნობილი რევოლუციონერი არაქელა ოქუაშვილი, მიხა ბოჭორიძე და სხვები. სუფრაზედ დასხდომისთანავე იმღერეს მაყრულის მაგივრათ ბოლომდინ კაკო ყაჩალი. მხოლოდ შეზარხოშებულებმა დაავალეს ვანო დოლმაზაშვილს (მეჩექმეა, ცოცხალია) კაკო ზეპირათ ერქვა. მართლაც, მეტათ ლამაზათ და მიმზიდველათ იცოდა დოლმაზაშვილმა კაკო ყაჩალის ზეპირათ თქმა. დაიწყო ამ მოხიბლელი პოემის კითხვა და გათავებამდინ ისე სულგანაბული უსმენდა ამოტელა ქორწილის ხალხი, რომ გეგონებოდათ აქ ქორწილი კი არ არი, ლექციის კითხულობენო. გათავებისას წმინდას დიდი ტაშის კვრით დააჭილდოეს. შემდეგ კი დიდის სამისით დალიეს ილიას სადღეგრძელო რეჩებით. როგორც სხვებში ისე ჩემ-შიაც უზომო სიყვარული სუფევდა ილიასი, მაგრამ შემდეგ როცა

გამწვავდა „ივერიის“ და „კვალის“ პოლემიკა და განსაკუთრებით ილიას და ნოე ქორბაზიას შებმა, თბილისის მუშა ხელოსნებმაც პირი იბრუნეს ილიასაგან და ტელი სიყვარული შენელდა და ბევრი შეუგნებელი მუშა მტრად და მოღალატეთ სახმდა ამ დიდ მწერალს არც მე ვიყავი ამ ცოდვისაგან შორს, და როგორც ახალგაზრდა გამიტაცა მუშათა მოძრაობამ. და ეინც ჩვენს რიგებში არ იყო: ისინი ყველა მოღალატეები და მტრები მეგონა. პირადათ ილიასთვინ ბევრჯელ მიმიკენებია უზდელი სიტყვებით შეურაცყოფა. ეხლა როცა შავხედამ ხოლმე ამ დიდი მწერლის სურათს სინდისი მქექნის და თვალს ვეღარ უშტრერებ ხოლმე. სწორედ არ მახსომს 1902 წლის შემოდგომაზედ თუ 1903 წლის გაზაფხულზედ მუშებში შაგროვილი ფულით გავხსენით ნახალოვებში მუშათა სამკითხველო, ამ დროს წესით. სამკითხველო უნდა კურთხებინა დედელს და ისე გიგებსნა. კურთხევა დანიშნული იყო კვირა დღეს და, როგორც მარიამ ივანოვნა დემუროვის¹ ქალს ეთქვა, „კვალის“ რედაქტურიში ილიას სურვილი გაეცხადებინა სამკითხველოს გასხვანზედ დასწრებისა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ილია და საერთოთ ქართველი ინტელიგენცია და მუშები უნდა შავხედროდნენ ერთმანეთს. კვალის რედაქტურიში მიგვიწვიეს იმ დროს მოწინავე მუშები და დაგვარიგეს როგორ უნდა მოვქმედულიყავთ. თუ ილია სიტყვას იტყოდა, უნდა ზრდილობიანი პოლიტიკური შინაარსის პასუხი გევცათ რკინის გზის მომზადებულ მუშებს: გიორგი თელიას, მიხა ბოჭორიძეს, ზაქრო ჩოდრიშვილს, ლასა გელაძეს და სხვებს. სამკითხველოს გასხვა უნდა გამოყენებინა სააგიტაციოთ და დაგვენახვებინა ჩვენი ძალა ქართველი ინტელიგენციისათვინ. „კვალის“ რედაქტურიდგან ინტელიგენტი არავინ ესწრებოდა. მართლაც, იმ დღეს აუკრებელმა მუშებმა მოიყარეს თვეო. ქუჩაში ტევა იღარ იყო. მოეიდნენ „ცნობის ფურცლის“ რედაქტურიდგან მთელი შემადგენლობით. მათ შორის არჩილ ჭორგაძეც. თორმეტი საათი შესრულდა და ილია არსად ჩანდა. დეკანოზი სიმონ რცხილაძე... ძალის გვატანდა კურთხევა თორმეტ საათაში უნდა დაწყოსთ. ამ დროს გამოჩნდა ილიას ფაირონიც.

¹ ივულისმხება მარიამ დემურია (ივანიშვილი) (1860—1910) პროზაიკისა, თეატრალი, ფრანგისტი, „ჩავალულის“ დამარსებელი (1904) და მისი პირველი რედაქტორი.

გადმოვიდა ილია, არტემ ახნაზაროვი და მარიამ დემურიას ქადაგის მიმდევად და დაწყო სამკითხველოს კურთხევაც. ღვდელმა რომ მოათავა კურთხევა, ყველანი ილიას შევყურებდით თუ რას იტყოდა, მაგრამ ილიამ ამოიღო ერთი თუმანი, შესწირა სამკითხველოს და გამოვიდა გარეთ. მივიდა ფაიტონთან და როგორც შადგა ერთი ფეხი მოისმა კიდეც გიორგი თელიას ხმა: ამხანაგებო! თელიამ მეტათ მოხდენილი და შინაარსიანი სიტყვა თქვა. მერე ილაპარაკეს სხვებმაც და ილია უსმენდა ბოლომდინ მუშების სიტყვებს ცალ ფეხ შადგმული ფაიტონზედ. შემდეგ კი წავიდა. და როგორც იმავე მარია ივანოვნა დემუროვის ქალმა თქვა, ილიამ თქვა მართლა შემცდარი აზრი მქონია ქართველ მუშებზედო.

1905 წელს რსდმპ კრეფდა მოქალაქეებში ფულს იარაღის შესაძნად. სხვათა შორის მე მქონდა დავალებული ფულის მოკრეფა. დავდიოდი ქართველ ინტელიგენციაში და ვკრეფდი ფულს. მივედი ილიასთან ალექსანდროვის ქუჩაზედ და დაურახუნე პადიენტი. ილია ცხოვრობდა დაბლა და კარები რომ გამიღო მოსამსახურემ, მკითხა ვინ ხარო. მე უთხარ მაჭავარიანი ვარ შეთქი. მიბრუნდა მოსამსახურე და მოახსენა ილიას. მე ილიას ხმა შემომესამა. კითხე ვინ მაჭავარიანი არიო. მოსამსახურემ როგორც კი გააღო კარი თუ არა, მე შავარდი თავხედურათ და დაუადექ თავზედ თავის კაბინეტში ილიას და გათამამებული კილოთი მოეთხოვე ფული. ილიამ ამოიღო თუმანი, მომცა და მითხრა: შვილო თან მლანძღამთ და თან ფულს მთხოვთო.

როგორც ვთქვი, ბევრი თავხედური შეხვედრა მქონია ილიასთან და ახლა გულს იმით ვიმშევიდებ, რომ ის იყო ახალგაზრდული უვიკობის ნაყოფი და ბოლოს მაინც გავიგე ამ დიდი მწერლის ფასი.

ძველი მუშა სოსო მაჟავარიანი.

მისამართი: გარებულარა სამართლება

(ଓଡ଼ିଆ ଜ୍ଞାନପତ୍ରିକା)

მგონი 1896 წ. იყო. ზაქარია ჭიჭინაძიდან წერილი მივიღე, სა-
დაც სხვათაშორის, იგი დაბეჭიოთებით მოხვდა და მირჩევდა გა-
მომეცა ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია. ამ წიგნის გამოცემა საჭი-
როა, მირჩევდა ზაქარია. ამ წიგნით ილია ჭავჭავაძეს ქართველი
ხალხი გაიცნობსო რაც ფრიად სასურველია და შენ კი გამოცემით
ფულს მოიგებო.

სულ ერთ ზეოდეს დავბეჭდავთ (1200 ც) ეს ბიოგრაფია ჩემი
დაწერილია. მე კონკრეტურა არ ვამოვაროთ და სულ რაღაც 60
მანეთი დაგიჯდება. მე თანხმობა ვანუცხალ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ზაქარია თვითონ ჩამოვიდა ზესტაფონში, ჩამოიტანა ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის აწყობილი „ოტისკები“ და მომკა წასაკითხად.

ბიოგრაფია აწყობდილი იყო მაქსიმე ზარაძის სტამბაში. ბევრი ალაგი წითელი მელნით იყო წაშლილი. ამ გარემოებას მე ყურადღება მიევაჭურ და ვკითხე ზაქარიას, ეს წითელი მელნით წაშლილი რას ნიშნავს მეთქი?

ზაქარიამ მიპასუხა: ეს, შეილო, თითონ ილია ჭავჭავაძეს წავაკითხე — რომ იცი, არ შემძლია უიმისოთ ამ წიგნის გამოშვება, მას რაც არ მოეწონა ის წაშალა. ჩვენ ახლა დავბეჭდამთ იმას, რაც წაუშლელია. მე დავინტერესდი და ბიოგრაფია მთლიანად წავიკითხე. მახსოვს კარგად, რომ ბიორგაფიაში შედარება იყო ილია ჭავჭავაძისა და აკადი წერტლის შორის, როგორც საზოგადო-მოღვაწისა და მწერლის. ზაქარია უპირატესობას ჭავჭავაძეს აკუთვნებდა და სწორეთ საღაც ასეთი შედარება იყო, ილიას ყველგან წაშალა.

ზაქარიას 60 მანეთი მივეცი. წიგნი დაიბეჭდა. ამ დაბეჭდილი წიგნიდან მე მივიღე 50 ცალი ზესტაფონში გასავრცელებლათ. დანარჩენი ზაქარიამ თითონ გაავრცელა.

... რამდენათაც მახსოვე იშავე წელს ზაქარიამ აკაკის ბიოგრა-
ფია დაბეჭდა. როგორც ზაქარიამ გადმომცა, აწყობილი ბიოგრა-
ფია აკაკისთვინ მიეტანა წასაკითხავად. აკაკის წაეკითხა და ზაქა-
34

რიასთვის ეთქვა: „ზაქარია არ არის შენი საქმე ჩემი ბიოგრაფიის დაწერაო“.

ამაზე ზაქარია ძალიან ცხარობდა. სიკეთე მინდოდა, მადლობას მოველოდი და დახე, საყვედური მივიღო...

ეს წიგნი ზ. ჭ. ალექსანდრე არაბიძეს გამოაცემინა. ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის გამოსვლის შემდეგ მე ზაქარიას ვეხვიშებოდი რამე გზით გაეცნ ჩემთვის ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი... ზაქარია ამ საქმეს არ ჩქარობდა. მე კი მაინც არ ვეშვებოდი, თავს ვაპეზრებდი.

ერთ დღეს ზაქარიამ გამომიტხადა: დღეს „ივერიის“ რედაქციაში ჭავჭავაძესთან მივდივარ, წამოდი და გაგაცნობო...

მე, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი. ჯერეთ ქოსების ლინის საწყობში შევიარეთ და შემდეგ წავედით „ივერიის“ რედაქციაში, რომელიც მაშინ მოთავსებული იყო აკვალის ქუჩის დასაწყისში. იმ შენობაში, სადაც „ივერიის“ რედაქციაა, იქევ იყო მოთავსებული სტამბა მაქსიმე შარაძისა, სპირ. ლოსაბერიძისა, ქერესელიძისა და სხვა. ზაქარიამ ჯერეთ სტამბაში შემიყვანა, გამაცნ მაქსიმე შარაძე და მითხრა: მაქსიმე ძალიან პატიოსანი კაცია, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი ქვეს: კლერიკალია და ლმერთი სწამსო. ეს დანარჩენებიც ამის ივანჩიანებია. ღვთის ლოცვაში და სამსახურში კირგავენ ძვირფას დროსო. ბეჭდავენ ისეთი შინაარსის საღმოო რჩულის წიგნებს, როგორც „ალექსიანია“, „ქალვაჟიანია“ და სხვაო.

ერთი სიტყვით, ეს ხალხი გოდორში ჩასაყრელი და მტკვარში გადასაყრელი არისო...

ამაზე ზაქარიას ძალზე აუყვირდნენ და კინალამ ხელჩართული ბრძოლა არ გაიმართა. შემდეგ ზაქარია დაემუქრა: დაჩუმლით, თორემ ახლავე ავალ ჭავჭავაძესთან და ვეტყვი, რომ გაზეთი სხვა სტამბაში გადაიტანონ დასაბეჭდათო. ჭავჭავაძე შენისთანა უღმერთო არ არის. — უთხრა ლოსაბერიძემ. მაშ წიაკითხე შენ... მისი „განდეგილი“ და დარწმუნდები რაც არიო. ჩხუბი და დავიდარაბა დიდხანს გაგრძელდა და ნამეტურ ცხარობდა სპირიდონ ლოსაბერიძე. მაქსიმე შარაძე წმინდანივით იყო გაჩერებული და ზაქარიას დრო გამოშვებით ეტყოდა ხოლმე: ჩემო ძმაო, ლმერთმა შეგინდოს შენი შეცოდებანიო...

როცა ცოტათი დამშვიდნენ, ზაქარიამ რაღაც ხელთნაწერი გადასცა მაქსიმეს და ავედით ზევით ჩედაქციაში.

ჩედაქციაში ზაქარიამ მითხრა: მართალია მაქსიმე შარაძე მორწმუნე კაცია, მავრამ ამ ნაკლთან ერთი დიდი ღირსება აქვსო, როგორც იდამიანი მეტისმეტად პატიოსანია, სწორი, უწყინარი, პირიანი და სანდო. ერთი სიტყვით, რაც რამე იდამიანური სიკეთეა, მაქსიმე შარაძეში არის თავმოყრილი. მიტომაც არის, რომ ილია ჭავჭავაძის განუსაზღვრელი ნდობით სარგებლობსო. რაც შეეხება მეორე ამხანაგს — სპირიდონ ლოსაბერიძეს, მაგას ყოველივე სიკეთე აკლია, რაც მაქსიმე შარაძეს აქვს. შემდეგში მე მაქსიმე შარაძესთან საქმიანი ურთიერთობა მქონდა და მე დავრწმუნდი, რომ იმეგიათი პატიოსნების კაცი იყო.

ჩედაქციაში იმ დროს სამი თანამშრომელი იჯდა და მუშაობდა. ერთი მათგანი, არტემ ახნაზაროვი, ზაქარიამ გამაცნო და მითხრა: ეს არის რედაქციის გამგე და მდივანიო... ცოტა ხნის შემდეგ ერთი ყმაწვილი ჩიხაახალუხში გამოწყობილი შემოვიდა და კარებიდან დაიძახა: კინაზი მობრძანდებაო.

ჩედაქციაში ერთი ფაციფუცი შეიქნა. ზოგი სერთუქს ისწორებდა, ზოგი თმას იფარცხნიდა, ზოგი გალსტუქს ისწორებდა. ყველანი კი შეკრთნენ და ფერი დაეკარგათ, ნამეტურ ეს არტემ ახნაზაროვს ემჩნეოდა.

დამატება:

ჩევაზოვის ქუჩაზე ზაქარია ჭიჭინაძის სახლში ვცხოვრობდი. ერთ სიღამოს ღამის ორ საათზე ზაქარია ნაცემი და თავპირდამტვრეული მოვიდა. თავი ორ ალაგის ჰქონდა გატეხილი და სისხლი სდიოდა. ღაპარაკის თავი აღარა ჰქონდა. მთელი ღამე ბორგავდა და იტანჯებოდა.

მეორე დღეს როცა ზაქარია ცოტათი მომჯობინდა, მიამბო შემდეგი: საბაშვილის ღვინის სარდაფში ვიყავი პურის საჭმელად. ჩემთვის ცალკე ვიკექი. მოვითხოვე ხელადა ღვინო, პური, ყველი. იქვე მეორე მაგიდაზე ახალგაზრდა ყმაწვილები ისხდნენ. სუსველა მუშები. სოციალ-დემოკრატები. ყველა ჩემი ნაცნობი...

რაღაც თაობირი ქონდათ. ჩემამდის გარკეეული ხმა ლაპარაკისა არ მოდიოდა. ერთხანს ვიყავი ჩემთვის გაჩუმებული. მერე გამიწყრა ღმერთი, მათი სადღეგრძელო დავლი. იმითაც მიპასუხეს.

მერე კიდევ სადღეგრძელო დავლი და ახლა უკვე შეზარ-

ხოშებულმა სოციალ-დემოკრატებს მათრაზი გადავკარი. არა, ვინ მყითხავდა, რას დავეძებდი, მგლის თავზე სანარება ვის წაუკითხეს. ამაზე აიმრიზნენ, აყვირდნენ და უშვერი გინებით მიპასუხეს... მაგრამ მაინც თავის ალაგას ისხდნენ.

ვიფიქრე, ვერას გამიბედავენ. მოდი ერთი ილია ჭავჭავაძის სადლეგრძელოს დავლევა...

ავიღე სტაქანი ლეინით საესე, მივუახლოედი იმათ მაგიდას და დავიწყე ილია ჭავჭავაძის ქება-დიდება. დიდხანს მაცალეს ლაპარაკი. აი შე ხულიგანო, შე არამზადა! როგორ ბედავ შავრაზმელ ჭავჭავაძის ქებას, ის სიკვდილის ღირსია და სულ მალე მოუღებთ ბოლოსო. მომესიერ, მცემეს უზომოდ. უსათუოდ მომკლავდნენ, რომ საბაშვილის სარდაფის პატრონი არ ჩარეულიყო ჩვენს საქმეში. საბაშვილი ენერგეტიკოდა მუშებს: „აქ ნუ კლავთ კაცს, თორემ მე დავიღუპებიო“. მართლაც საბაშვილის ხათრით დამანებეს თავი. (საბაშვილის სარდაფში ხშირად იმართებოდა მუშების საიდუმლო კრებები). ფეხზე ადგომა არ შემეძლო. ამწიერს ისევ მუშებმა და ამომიყვანეს სარდაფიდან და ქუჩაში დამაგდეს. აქაც წიბლები მითავაზეს და მიმატოვეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ამოვიდა საბაშვილი, მნახა რომ ქუჩაში ვაგდივარ, ამიყვანა და ძლიერ-ძლიერობით სახლამდე მომიყვანა.

მითხრა: რა ღმერთი გაგიწყრა, რომ ჭავჭავაძის სადლეგრძელო დალიყ. ჭავჭავაძე მაგათ ჭირიერით ეზარებათ. სწორედ ჭავჭავაძის შესახებ ჰქონდათ ლაპარაკი, სანამ შენ მოხვიდოდი. ზაქრო! არ გამი-ცი და ჭავჭავაძეს მოკვლას უპირებენ... ნამდვილად მოკლავენო. მადლობა ღმერთს, შენ გადარჩი. აპა, არ დამკლა და არსად არაფერი ილაპარაკო, თორემ ორიეს ანდერძს აგვიგებენო.

აი, შვილო, ახლა ნამდვილად დავრჩმუნდი, რომ ჭავჭავაძეს მართლა მოკლავენ.

მინდა ვაცნობო, მაგრამ დამიჯერებს?

ზაქარია ისე იყო შეშინებული, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ხელახლა მეხევეწებოდა, არსად არაფერი თქვა, თორემ ნამდვილად მომკლავენო.

ეს შემთხვევა არ უნდა მეთქვა შენოვის თავიდანვე, მაგრამ სხვანაირად იფიქრებდი და მიტომ გითხარიო. აპა, შენ იცი, ჩემი სიცოცხლე შენს ხელშია... მევედრებოდა ზაქარია. სწორედ სამი

კვირის შემდეგ ილია ჭავჭავაძე მოკლეს. ჩემს სტამბაში სადაც იყო მას
უურნალი „ნიშადური“ იბეჭდებოდა, მოვიდა დეპეშა რედაქციის
სახელზე ილია ჭავჭავაძის მქოლელობის შესახებ. დეპეშა ხელმო-
უწერელი იყო.

მ. გარებოლაძი

მინაშერი ლ. ასათიანისა:

ეს მოგონება მიეღილე მის. გარებოლაძისგან 1948 წ. 3 თებერვალს

როგორ იშვიათოდა ილიას გიოგრაფია

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი გამოცემა ილიას სიცოცხლეშივე განხორციელდა, 1892 წელს, რომლის ღირსებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ იგი უშუალოდ ივტორის მეთვალყურეობით და ჩარევით დაიბეჭდა. მმ თხზულებათა გამოცემა შეასრულა ახლაც დაარსებულმა „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობამ“, რომელსაც ალ. ჭაბადარი ხელმძღვანელობდა.

შეორე ცდა ილ. ჭავჭავაძის სრული კრებულის გამოცემისა, მწერლის სიკუდილის შემდეგ, ეკუთვნის ცნობილ ექიმს და საზოგადო მოღვაწეს მიხ. გელვანიშვილს.

1912 წლის 27 ოქტომბერს მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, ილ. ჭავჭავაძის ძეგლის გახსნის დღეს, მიხ. გელვანიშვილმა საჯაროდ განაცხადა თავისი სურვილი ილ. ჭავჭავაძის თხზულებათა ავადემიური გამოცემის განხორციელების შესახებ. ამავე 1912 წელს შეადგინა სარედაქციო კომისია, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ თვალსაჩინო ქართველი მწერლები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი: კირა აბაშიძე, არჩილ ჯორჯაძე, გრიგოლ ყიფშიძე, ივანე გვავაჩიშვილი, იოსებ გელვანიშვილი, ივანე გომართელი, გიორგი ლას-სხიშვილი და სხვები. კომისიის მუშაობის შედეგად ქართველმა მეოთხველებმა 1914 წელს მიიღეს თხზულებათა I ტომი, რომელიც იმ დროისათვის მაღალ მეცნიერულ და პოლიგრაფიულ დონეზე იყო შესრულებული. მხატვრული გაფორმება ეკუთვნიდა მხატვარ ჰენრი ჰირნევსკის. მმ ტომში შედის მწერლის მხოლოდ ორიგინალურ-მხატვრული ნაწარმოებები, რომელთაც დართული აქვთ ვარიანტები. აქვე წარმოდგენილია ილიას უნიკალური იქონოგრაფიული მასალა. ტომს ახლავს მიხეილ და იოსებ გელვანიშვილების წინასიტყვაობა და შენიშვნები, გრიგოლ ყიფშიძისა და კირა აბაშიძის წერილები ილ. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

ლიტერატურის მუზეუმის არქივში დაცულია მიხეილ გელვანიშვილის მიმოწერა გრიგოლ ყიფშიძესთან. როგორც ჩანს, ილ. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წერილის დაწერა დავალებული ჰქონდა გრ. ყიფშიძეს, რაც შემთხვევითი

არ იყო, ვინაიდან იგი გახლდათ მრავალმხრივი მოღვაწე, პუბლიკისტი, უურნალისტიქის ისტორიკოსი, ლიტერატურისა და თეატრის კრიტიკოსი, ბიბლიოგრაფი.

აღსანიშვანია, რომ გრ. ყიფშიძე 1881 წლიდან მუშაობდა ილიას უურნალ „ივერიის“ რედაქციის მდივნად, ხოლო 1886 წლიდან გაზეთ „ივერიის“ რედაქციის მდივანი იყო. 1903—1905 წლებში იმავე გაზეთის რედაქტორი. მიმოწერიდან ირკვევა თუ რა დიდ უურადღებას იჩინდა მის. გედევანიშვილი კრებულის სრულყოფილი და დროული გამოცემისათვის. იგი წერილებში დაბეჭიოთებით თხოვს გრიგოლ ყიმფიძეს დროულად წარუდგინოს კომისიას განსახილვებად თავისი ნაშრომი.

საილუსტრაციოდ გთავაზობთ შემდეგ წერილს:

„პატივდევაშლო გ. გიგო“

19/VIII 12 წ.

სარედაქციო კომისიამ დაადგინა თქვენ მიერ შედგენილი პიონერული განიხილოს ამა წლის 2 დეკემბერს, კვირას, ნაშუადღევის პირველ საათზე. წაყითხვის შემდეგ წინანდელი დადგენილების თანახმად, კომისია ქონიებს მსჯელობას ბიოგრაფიის შესახებ ივ-ტორის დაუსწრებლად.

რადგანაც ბ. არჩილ ჭორჭაძემ გამოთქვა სურვილი დაესწროს ბიოგრაფიის განხილვას, კომისიამ დაადგინა მოიწვიოს ამ კრებაზედ.

პატივდევაშლო მიხეილ გიგივანიშვილი“.

გრ. ყიფშიძის მიერ წარდგენილი ნაშრომის განხილვის შემდეგ მიხეილ გედევანიშვილი მას უგზავნის წერილს, რომელიც 1913 წლის 7 იანვრით არის დათარიღებული და ავტორს აცნობს კომისიის დადგენილებას, რომელიც სამ პუნქტად არის ჩიმოყალიბებული:

„დიდად პატივდევაშლო ბ-ონ გრიგოლ“

1913 წ. 7 იანვარი

პატივი მაქვს გაუწყო სარედაქციო კომისიის დადგენილება:

1. ეთხოვოს ბ. ყიფშიძეს შეამოკლოს, შეასწოროს ბიოგრაფია და გადათეთრებული, ბეჭდვისათვის საბოლოოდ დამზადებული გა-

დასცეს გამომცემელს არა უგვიანეს ამა წლის პირველ თებეჭვა-ლისა.

2. კომისია იტოვებს უფლებას — შეამოკლოს და შეასწოროს თავის სურვილისამებრ ბიოგრაფია.

3. შრომის ფასად მიეცეს გრ. ყიფშიძეს ასი მან. (100) მხო-ლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბიოგრაფია ზემოდ მოყვანილ პირობე-ბის თანახმად ვადაშედ იქნება წარმოდგენილი.

კარივის მიერ გადამარტინი.

შეორე დღეს ვრიგოლ ყიფშიძე 1913 წლის 8 იანვარს უგზავნის პასუხს მიხეილ გედევანიშვილს. იგი თანახმაა გაითვალისწინოს შე-ნიშვნები და თავის მხრივაც სოფაზობს პირობებს:

„გამოხმა მისია“

ტფილისი 8 იანვრის 1918 წ.

აი ჩემი პირობაც:

1. ვეცლები შევამოკლო, შევასწორო და საბოლოოდ შევიმუ-შაო ბიოგრაფია და გადათეთრებული წარმოვუდგინო კომისიას 1 თებერვლისათვის. რაც მალე მოვიშორებ ამ საქმეს, მით უკეთე-სია ჩემთვის. რადგან ავერ უკვე მეხუთე-მეექვეს თვეა სული ამო-მართვა მაგ საქმემ.

2. კომისიას ნება აქვს შეამოკლოს ბიოგრაფია ჩემ შემდეგ მხოლოდ ჩემი ნება-რთვით ან თანხმობით. ხოლო შესწორების ნებას არ მიუცემ, რადგან ბიოგრაფიას ჩემი სახელი უნდა ეწეროს ქვეშ.

3. კორექტურა უთუოდ მე უნდა გავასწორო.

4. გონირარი ისე მცირება, რომ დაჯილდოება კი არა, დამცი-რება იქნება მაგის მიღება ჩემთვის. ამიტომ უარს ვამბობ. „უსას-ყიდლოდ ინებეთ“.

როგორც არქივიდან ჩანს, მიხეილ გელევანიშვილს პქონდა თავისი გამოკვეთილი შეხედულება მწერლის ბიოგრაფიის შედგი-



ნის შესახებ, რასაც თავის ერთ-ერთ ხელნაწერში პუნქტუალურად აყალიბებს და აწვდის ილიას ბიოგრაფს.

მნიშვნელოვანია, რომ გრ. ყიფშიძის მიერ შედგენილ ბიოგრაფიაში გათვალისწინებულია თითქმის ყველა ის შენიშვნა, რასაც მიხეილ გედევანიშვილი თავის კონცეფციაში ჩამოთვლის.

ქვემოთ გთავაზობთ მიხეილ გედევანიშვილის „შენიშვნებს ბიოგრაფიის შესახებ“.

1. ბიოგრაფიის დამშერის პიროვნება არ უნდა ჩანდეს, ამიტომ გამოტოვებულ უნდა იქნეს სიტყვები „მე წილად მხვდა“ და სხვა.

2. კომისიის დავალების მოხსენება ბიოგრაფიაში ჰედმეტია.

3. რაც შეიძლება ნაკლები პირი უნდა იყოს მოხსენებული. მოხსენებულთა შორის უნდა იყვნენ მხოლოდ ქარგად ცნობილი საზოგადოებაში საზოგადო მოღვაწეები. თუ არიან მოხსენებული ნათესავები და მეგობრები, გვართან ერთად უნდა იწერებოდეს — მეგობარი, ამხანაგი, ესა და ეს ნათესავი.

4. გამდელ ლოლაძის მნიშვნელობა უარყოფილ უნდა იქნეს.

5. ირინა როდიონოვნას მოხსენება საჭირო არ არი.

6. ბერობის შესახებ მღვდლის მოწმობა გაზეიადებულია.

7. ილიას მახვილ-სიტყვიერების დასახასიათებლად სხვა მაგალითები უნდა იყოს მოყვანილი.

8. უნდა იყოს გამორკვეული მთავარი პრინციპიალური განსხვავება აზრთა, ილიას ერთის მხრით და დიმიტრი ყიფიანის, ნიკონიკოლაძის და განო მაჩაბლის შორის.

9. მაჩაბლიშვი არის საზოგადოებრივი მოელენა-რეაქციონული, კერძო წოდებრივი — მისი სათავე ბარონ-ყმობის გადავარდნის დროინდელია, ხოლო ბოლოს განმათვისუფლებლობის დროს იჩინა თავი.

10. ბიოგრაფიაში უნდა იქნას შესწორებული ავტობიოგრაფია ახალი ცნობების მიხედვით.

11. ბიოგრაფია შეიცსოს ახალი ცნობებით.

12. კილო ბიოგრაფიისა უნდა იყოს დინჯი, პოლემიკურ ხსიათს სრულდებით მოკლებული. პოლემიკა ნახუცრიშვილთან დაბალების დღის შესახებ ჰედმეტია და სხვა.

13. ილია უნდა გარკვევით დახასიათდეს, როგორც მგოსანი და მოაზროვნე და როგორც საზოგადო მოღვაწე. ილიას დაქორწინების შესახებ არის დოკუმენტი.

14. ილია ბანკირი, წერა-კითხვის საზოგადოების და დრამატუ-

ლი საზოგადოების თვემჯდომარე. მისი მოღვაწეობა ქართული კომ-
ნაზიის საქმეებში, მისი აზრი სწავლა-განათლების შესახებ, (სიტყვა
წინამძღვრიანთ კარში, „ლოცვა სწავლა და წამლობა უნდა იყოს
უფასო“).

15. მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის აღწერის დროს საჭიროა ქრონოლოგიის მოხსენება.

16. ჩაემატოს ცნობები მამათა და შეილთა ურთიერთობაზე.

17. ილიას ციტატების მოყვანის დროს დაცული იყოს კარგი ქართული. საცა ციტატები აჭრელებულია უცხო სიტყვებით, მაგ. „პრავდენია“, უნდა იყოს მოყვანილი მხოლოდ აზრი წერილები-დან და არა სიტყვა-სიტყვით.

18. მოხსენება გიგო აფხაზის ცუდი ქცევისა უხერხულია.

19. ქნიაზების და გრაფების შესახებ ცნობები გამოტოვებული იყო.

20. რაფსოლის მაგივრად უნდა იყოს მესტვირე.

21. ილიას აზრების კრიტიკა ვაჟა-ფშაველას პოეტური ნიჭის
შესახებ საჭირო არ არის.

22. ილიას მოღვაწეობა ბანეში ზოგან უნდა იყოს შემოკლებული, ზოგან პირიქით მომატებული.

23. ბანკის შესახებ ცნობები, სხვა და სხვა ადგილის მოხსენიერობი, უნდა მოიყაროს ერთ აღვითოს.

24. ილიას შესახებ ბევრ კორებს აერცელებდნენ — მათი უარ-ყოთა და მონაბეჭდის საჭირო იქ იყო.

25

26. რადგანაც ილიას კერძო წერილები სხვაგან იქნება დაბეჭ-
დილი, არ არი სპეირო მათი მოყვანა (მაგ. უორდროპის
წერილები).

27. საცა ციტიცერია რუსულია — უნდა გადაითარგმნოს ქირთულობა.

28. ဒေလျောမြော ၁၂၅. ဇွဲမြောက်စံပါတန သုဒ္ဓရိန အဲ အော်. သော လေ
သော မီးစွဲလမ်းလွှာလွှာ — ဗြိုလ်ခို ဤရောင်းပါဝါ၊ ဇွဲဖြောက်-
ရှာဝါပါရှာဝါ၊ — ၁၃၅. ဇွဲမြောက်စံ-ကျမ်းမာရ်ပါတန အဲ အော်

29. პიოგრაფიაში „ბებერი ლომის“ მოხსენება მეტად ხშირია.

30. ከገዕጻለሁምበስ ተናና ምንምኞች በተመሳሳይ ይረዳል

31. ივრალურ საკითხში — ოფიციალური დოკუმენტები არ არი

მოხსენებული, რომ ილია მომხრე იყოს „სამართლიანი დაფასებით“ მამულების გამოსყიდვისა, ამიტომ გამოტოვებულ იყოს.

32. ილიას ზრუნვა გლეხებისადმი რევოლუციის დროს, რათა მთავრობამ გლეხობა არ დააწიოკოს (კერძო წერილების დასაბუთებით).

33. რანდენიმე სიტყვა უნდა იყოს მოხსენებული პოეტის ცხოვრებიდან საგურამოში და აგრეოვე 20 ივლისის დღესასწაულის შესახებ.

34. ილიას დიდებული დამარხვა უკეთ აიწეროს, მხოლოდ მისი დასახელება „დაუგვირგვინებელი მეფე“ გამოტოვებულ იყოს.

35. ილიას კერაგული მკელელობის გავლენა ეროვნულ აზრის ზრდაში.

განხილული მასალის მიხედვით შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ როგორ იწერებოდა ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია მწერლის ობზულებათა 1914 წლის გამოცემისათვის.

პუბლიკაცია მოამზადა ციცო იმართვის

ნიკო ლომიშვილის უცნობი რომანი „სამძიმარი“

ნიკო ლომიშვილის სამწერლო სარბიელზე გამოსვლას ლექსებით დაიწყო. აკაკი წერეთელს წაეკითხა ისინი და ეთქვა: „შენს ლექსებში პოეზია ძლიერ მცირეა, აბა, პროზა სცადოს!“ აკაკის ეს სამართლიანი შენიშვნა სავსებით მიიღო ნიკო ლომიშვილმა — ლექსების წერას თანდათან უკლო და დაიწყო მუშაობა პროზაში.

1874 წელს გამოაქვეყნა თავისი პირველი მოთხრობა „ალი“ უურნალ „ივერიის“ № 4-ში — ლევან ცაველის ფსევდონიმით (ამ დროს ნ. ლომიშვილი კი ეცის სასულიერო აკადემიის მეოთხე კურსის სტუდენტი იყო), ერთი წლის შემდეგ იმავე ფსევდონიმით დაიბეჭდა მისი მოთხრობა „ბედი უბედურთა“ (1880 წ. უურნ. „ივერიის“ № 1-ში), ხოლო 1881 წელს კი გამოქვეყნდა მისი ცნობილი საყმაწვილო მოთხრობა „პატარა ქაჯანა“ (უურნ. „წყარო“ № 1).

ამ მოთხრობებით ნიკო ლომიშვილი ქართველ მეთხველ საზოგადოებაში საკმაოდ პოპულარული მწერალი ხდება, მაგრამ მოთხრობა „პატარა ქაჯანას“ გამოქვეყნების შემდეგ ავტორი სდუმს და აღარას ბეჭდავს თითქმის თორმეტი წლის განმავლობაში. ასეთი დიდი „შესვენება“ ცოტა არ იყოს გულისწყრომას იწვევს იმ დროის ლიტერატურულ საზოგადოებაში, რადგან მათ ეგონათ ნიჭიერმა ბელეტრისტმა ნ. ლომიშვილმა სრულიად მიანება მწერლობას თავი. 1886 წლის 10 სექტემბრის წერილში¹ ისტორიკოსი თედო ქორჩანია ნიკო ლომიშვილს გულნატენი სწერს: „ნიკა! რად არასა სწერ? ყველას უკვირს და ვერ აუხსნია შენი გაჩუმება. მე მეგონა, რომ შენ დიდ შრომის ამზადება“. თედო ქორჩანიას გუმანი სწორი იყო, ნ. ლომიშვილი მართლაც ამზადებდა „დიდ შრომას“ რომან „სამძიმარის“ სახით.

ნ. ლომიშვილის სამწერლო დუმილი ირც ქართულმა პრესამ დასტოა უყურადღებოდ. 1896 წლის უურნ. „მოამბის“ № 11-ში სალიტერატურო მიმოხილვის ფერორი ეხება რა ნიკო ლომიშვილის თხზულებებს, შენიშვნას: „ნ. ლომიშვილმა 1879 წელს დაბეჭდა უურნალ „ივერიაში“ თავისი საბელეტრისტო თხზულება „ალი“,

¹ წერილი დაცულია ლიტერატურის მუზეუმში ნ. ლომიშვილის ფონდში № 19736.



რომელმაც არა მცირედი ყურადღება მიიქცია მეითხველ სახოგა-
დოებისა. მცირე ხნის განმავლობაში ამ პირველს მოჰყვა მეორე
(„ბედი უბედურთა“), მეორეს მესამე („ქაფანა“) და ახალგაზრდა
ბელეტრისტმა, თითქოს შეულოცა ვინქემო, თითქოს თვალი
ეცაო, დასდო ძირს კალამი, შესწყვიტა მწერლობა და მას უკან
თორმეტი წელიწადი გაატარა მდუმარებაში, მხოლდ 1894 წელს
დაუბრუნდა კვლავ მწერლობას. დაწერა „გიგო ლრუბელაშვილი“
(მოამბე — 1894 წ. № 3).

6. ლომოურის სამწერლო დუმილი კი, როგორც შემდეგ გამო-
ირკვა, გამოწვეული იყო ისეთ როტულ ლიტერატურულ ჟანრში
მუშაობით, როგორიც არის რომანი. ავტორი ამ დროს ჰქმნიდა
დიდ მხატვრულ ტილოს, რომელშიც ასახული იქნებოდა ქართლის
გლეხებისაცობის ჭირი და ლხინი, გლეხთა ყოფა-ცხოვრების გულ-
წრფელი ცოცხალი სურათები.

თხზულება „სამძიმარზე“ ავტორს უმუშავია საქმაოდ დიდხანს,
რასაც ადასტურებს მისი ქალიშვილი — დოცენტი თ. ლომოური:
„სამძიმარს“ მამა წერდა გორში და სოფელ არბოში, სადაც ზა-
ფხულობით ისეენებდა და თან შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა.
იგი „სამძიმარს“ წერდა დიდი ხნის განმავლობაში და ხშირად
ჩვენც გვიკითხავდა ამ რომანის ნაწყვეტებსო. „მწერლის ხან-
გრძლივ მუშაობაზე მეტყველებს აგრეთვე თხზულების მეორე
ნაწილის ვარიანტები (ხელნაწერი ვარიანტები ავტოგრაფის სახით
დაცულია 6. ლომოურის ფონდში).

ნიკო ლომოურს ვანზრახული ჰქონია დაეწერა საქმაოდ ვრცე-
ლი რომანი, სადაც მხატვრულ ფერებში უნდა ისახა ის მტკიცნე-
ული და ქრისტული საკითხები, რომლებიც 70—80-იანი წლების
ხალხოსნური პრინციპებიდან გამომდინარეობდნენ. ამ მიზნით იგი
თავს ანებებს პატარ-პატარა მოთხოვნების წერას და მთელ თავი-
სუფალ დროს ანდომებს მხოლოდ რომან „სამძიმარის“ შექმნას
(დაახლოებით 1882 წლიდან 1894 წლამდე). „თვიურ წიგნისათ-
ვის ვამზადებ რომანს — წერდა ნ. ლომოური ეურნალ „თეატრის“
თანამშრომელს შ. დავითაშვილს, — რომლის პირველი ნაწილი (ორ
ნაწილიანია) უკვე გათავებული მაქვს... როცა მეორე ნაწილსაც გა-
ვათავებ მაშინვე მე თითონ ჩამოგიტან“. მაგრამ ნ. ლომოურს „სამ-
ძიმარის“ მეორე ნაწილი ცელაზე დაუმოავრებია და დაპირება და-
პირებად დარჩენილა, რადგან „სამსახური დიდ დროს ართმევდა“.

6. ლომოურმა „სამძიმარიდან“ გამოიქვეყნა ფრაგმენტი (1894—1904 წწ. უურნ. „მოამბეში“ და 1912 წ. უურნ. „განათლებაში“), რომანის უმეტესი და უფრო საყურადღებო ნაწილი კი დღემდე უცნობი იყო ფართო მეითხველი საზოგადოებისათვის. ავტორმა იმ დროის საცენტურო პირობების გამო ვერ შეძლო თავისი თხზულების მთლიანად გამოქვეყნება“.

„სამძიმარის“ ის ნაწილი, რომელიც დღემდე არ გამოქვეყნებულა, საინტერესო მასალას იძლევა ნიკუ ლომოურის როგორც ხალხოსნის მთლიანი მსოფლმხედველობის გაგებისათვის.

„სამძიმარის“ ავტორი, ეხება რა სავაჭრო და საეკირო კაპიტალის განვითარებას, საუცხოოდ ახასიათებს ვაჭრის შინაგან ბუნებას, ვაჭრისა, რომელსაც ცხოვრებაში არა აინტერესებს რა, გარდა დიდი მოგებისა, ავტორის თქმით: „ვაჭირი კაცის სამშობლო იქ არის, სადაც უღმერთო სარგებლის აღებით მანეთი მაღლე გადაიქცევა თუმნადა, სადაც მოტყუებაზედ დამყარებულის ვაჭრობით მოყვარის გაძირება და გაღატავება შესაძლებელია. არა, სამშობლოს დარდი მაღალი წმინდა ვრძნობაა, და ასეთი ვრძნობა ვინ მიაქვევა ანგარებით გაჭვარტლულ ვაჭრის გულსა“.

6. ლომოურის „სამძიმარი“ მრავალმხრივ არის საყურადღებო, მიუხედავად იმისა, რომ თხზულების მეორე ნაწილი დასრულებული არ არის, მასში შემოქმედის გულწრფელობით გაშუქებულია ბევრი მტკიცნეული და იმ დროისათვის აქტუალური საყითხი, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვა სოფლად ქართველ გლეხობას.

თხზულება „სამძიმარი“, როგორც 6. ლომოურის საყითხო ხანგრძლივი (12 წლის მანძილზე) შრომის შედეგად შექმნილი ნაწარმოები, მთლიანი სახით დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა.

„სამძიმარში“ მოთავსებულია მთელი რიგი ცხოვრების სინამდვილიდან ალებული სურათები, აგრეთვე სასტიკი კრიტიკა მეფის რუსეთის ბიუროკრატიული რეჟიმისა, რომელიც ისედაც განაწარებ გლეხობას კიდევ უფრო ექნინებდა და აჩანაგებდა.

თხზულება „სამძიმარი“ მართლია დასრულებული არ არის, მაგრამ მრავალფეროვანია თავისი შინაარსით.

ნაწარმოების სრული სახით გამოქვეყნება მომავლის საქმეა. ამჯერად გთავაზობს ერთ-ერთ თავს ნ. ლომოურის რომანიდან „სამძიმარი“.

ნიკო ლომაშვილი

(ირთი თავი როგორიცაა „საშმიდარი“)

ჭორქარიანი კარგა მოზრდილი სამაჩრო ქალაქია, არის გაშენებული დიდი მდინარის ნაპირზე, სწორე და რიყიან აღვილზე. აქეთ და იქედან ამ ქალაქს ორი განიერი და გრძელი ხეობა მისდგომია კარებზედა. ჩრდილოეთით კი უდევს გაშლილი, თვალგაუწვდენელი სარწყავი ცელ-მინდორი, როგორათაც ეს მინდორი, ისე მოხსენებული ხეობანი მთელს ამ მხარეში განთქმულნი არიან თავიანთ სხვა და სხვა გვარის უხვი მოსავლით. თეთრი და გემრიელი პური, წამალივით შემარგო წითელი ღვინო და ათასნაირი სანაქებო ხილეულობა, დიდალი მოდის აქა. ამიტომაც აუარებელი ხალი მოხვევია ყოველის მხრიდან ამ აღვილებს. არა მგონია, რომ მთლად საქართველოში ამაზედ მჭიდროდ დასახლებული მხარე კიდევ იყვეს სადმე. აქაური სოფლები ისე არიან ერთმანეთზე გადაბმულნი, რომ მთელი ეს მიდამო ერთ უზარმაზარ, დაუსრულებელ ბალათ გეჩენებათ. შრომის მოყვარე მცხოვრებნი ამ სოფლებისა ყოველის მხრივ ბედნიერი იქნებოდნენ, დოვლათი და ქონება მათი ზღვათ გასცემოდა, რომ ერთი უსულო და უგულო, გაუმაძლარი ვეშაპი არ. გადასწოლოდეს თავზე მათ შრომასა და მხერიანს. ეს ღორმული საზიზლარი ვეშაპი გახლავთ ქალაქი ჭორქარიანი! ამოაგდოს ღმერთმა მისი სახსენებელი..

მეორეთმეტე საუკუნის ნახევარს დიდებული წინამძღვარი მოვლინა საქართველოს ერსა. მან დაადგა ძლევამოსილების ბრწყინვალე გვირგვინი სამშობლო ქვეყანას და მერმე თავისი მაღლიანი მარჯვენა, მამობრიულის მზრუნველობით, გაუწოდა იმ უამად მეტისმეტათ გაჭირებულ მეზობელ ერსაც: მოაშორა მას მოსისხლე, მძლავრი მტერი, ძმურად მოხვია ხელი და, მიწასთან გასწორებული, ვაჟკაცურად ფეხზე დააყენა. შემდეგ შეისმინა თხოვნა-ვედრება მრავალ მათვანისა და საქართველოში გადმოსახლების ნება მისცა. იმ აღვილის, სადაც ეხლა ეს ჭორქარიანი არის გაშენებული, პირველიდ მან დაპკრა ბარი და ბრძანა: იქმნეს აქ ქალაქი და სიტყვისაებრ მისსა, იქმნა ქალაქი, რომელშიაც დაბინავდნენ გადმოსახლებული უცხოტომელნი. დიდებულო მეფევ! რომ იცოდე,

როგორ ისარგებლეს შენი კაცომოყვარული მასპინძლობით შექმნდა მომადგრადა და შენი წმინდა ძვლები მოთქმა-გოდებით, წყველა შეჩვენებით შეარყედნენ მთლად საქართველოსა!

გავიდა ღრო და უამი. სტუმრებმა მასპინძლის მფარველობის ქვეშ თავისუფლად მოისუნთქეს; ცხოვრების სახსრად მათ მეწ-კრილმანობა აირჩიეს და ცოტ-ცოტაობით წელზე ქონიც მოიკრეს. ნასპინძელს ხარებდა ესეთი მოქმედება დაჩაგრული სტუმრისა და ყოველ შემთხვევაში ხელს უწყობდა მის კეთილდღეობის წარმატებასა. მაგრამ სტუმარს კი რაღაცნაირი უქმაყოფილება სახიდამ არ შორდებოდა. მართალია მასპინძელთან მუდამ მხიარული იყო: ხან „ნათელ მირონული“ სიტყვა-პასუხით გულს ულბობდა, ხანაც თავის უშინ-უშანდლეულ მასხარაობით ართობდა მას, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ფარისევლური მოქმედნება იყო. მარტო მყოფი რომ დაგენახოთ, მაშინ ცხადათ შენიშვნავდით მის ბნელათ ალან-ჭულ სახესა, მის მრიევალ ნაოჭათ შენისყულ წარბებსა... ამის მნახველი, ეჭვი არ უნდა, იფიქრებდით: ამ უბედურ ადამიანს დაღუპული სამშობლოს სეყდა-ვარამი მოსწოლია გულშედაო. მაგრამ საქმე ამაში არ გახლდათ. როდესაც კალია თავის პაპანაქება სამშობლოს თავს ანებებს, განა იმის გულს მამულის სიყვარული თან მისდევს? კალია უზრუნველად მიდის წინა და მისი სანეტარო დღე იქა თენდება, სადაც ბლომათ დაინახავს მხენელ-მთესეველის ნაშრომ-ნალვაწევსა. ჩვენი სტუმრებიც ბევრში წააგავდნენ ამ კალიასა. ვაჭარი კაცის სამშობლო იქ არის, სადაც ულმეროო სარგებლის ღებით მანეთი მალე გადაიქცევა ოუმნათა, სადაც მოტყუებაზე დამყარებულის ვაჭრობით მოყვასის გაცარცვა და გალატაქება შესაძლებლია. არა, სამშობლოს დარღი მაღალი, წმინდა გრძნობაა და ესეთი გრძნობა ვინ მიაქვევა ანგარიბით გაჭვარტლულ ვაჭრის გულსა? სხვა, სრულებით სხვა გარემოება უკარგავდა მას მოსევენებასა! ის შესცეკეროდა მასპინძლის დოველათსა, რომელიც ნაღვერდალივით ეყრდნობდა მის გაუმაძლარ თვალებში. აღგზნებული, დაუქმაყოფილებული შური გულს უხეთქავდა. სცადა რამდენჯერმე თავის ვერაგული ხრიცები, მაგრამ მალე შეუტყეს და მუქარით შორიდამ მათრახი დაუქნიეს. შეიარაღებული, თავის უფალი ერი მის „ნათელმირონულ“ სუმრობას ვერ აიტანდა. ამის გამო შურის ზაფრას ის გულში იგუბდებდა და მოთმინებით ელოდა დროთა

ცელილებასა. მოხდა ეს საზარელი ცელილებაცა. კაცთა ცხრილებში უკავშირობის ბის ბორბალი გადატრიალდა და თან გადაიყოლა მეთვრამეტე სა- უკუნის ძნელად მოსაგონებელი უკანასკნელი დღენი. მთლად სა- ქართველოში გაისმა სამგლოვიარო ზარის რეკა. სასაფლაოსკენ მიქვონდათ კუბო, რომელსაც მიუძლოდნენ საქართველოს უკანასკ- ნელი მეფენი, მათი ძენი და ასული და აუარებელი ნათესაობა მათი. კუბოს მისდევდა გაიძევრა, ყოველი თავისუფლების მტერი, სპარსეთი, ხოლო კუბოში ესვენა ყელგამიჭრილი თავისუფლება საქართველოსი. იმ დროს, როდესაც მასპინძელი ქვეყანა ძიებით იმოსებოდა, რას შერებოდა ნეტა მაშინ ჩენი ნაცნობი სტუმარი? — აღდგომა დღე გასთენებოდა და მას აღტაცებით დღესასწაულობ- და. იმ დღიდან მოკიდებული მან წაუშვა აღვირი თავის შურსა, გზა მისცა დიდის ხნით შეტბორებული სიცრუისა და მოტყუების სურ- ვილსა. გარემოებამაც ხელი შეუწყო. ძირიან-ფესვიანათ შეირყა ძეველი, მამაპაპური წესწყობილება: უწინდელი ერთობის აღგილი, ეხლა კერძოობამ დაიჭირა: წინათ რომ სოფელი უდგა სათავეში ქვეყნის ბედილბალს, ახლა ქალაქმა ჩასჭიდა მას ხელი. ჭორქარიანი გაიზარდა, გასუქდა, გაამაყდა. ძველი მასპინძელი მის წინ შებორ- კილებული ეგდო და ამიტომ მოსულმა სტუმარმა თავისუფლად უწყო მის ჯიბე-ქისას ხელების ფათური. როგორათაც ობობამ ქსელი, ისე მან გააბა გარეშემო სოფლებში თამასუქების, გირავნო- ების, ნასყიდობის სქელი და ტყვიასავით მძიმე ბადე და მაღე მო- ამწყვდია მასში თითქმის ყოველი მცხოვრები მოხსენებულ სოფ- ლების. ამ დროდამ მოკიდებული ბეკრს აქაურ სოფელს დაესხა კერაზე წყალი, ბეკრი სანაქებო ძველი ოჯახი დაიქცა და დაიღუპა სამუდამოთ. გაპერა უწინდებური დოვლათი, თოვლიერი გაღნა ქო- ნება. და შეძლება ქართველი მუშაკისა. ჩამოვარდა ქვეყნად სა- ზიზღარი, ადამიანის გამათაბასირებელი ეკონომიკური ბატონყმობა... ყმათ განდა მასპინძელი, ხოლო ცხრა მთას იქიდამ გადმოსულს დარჩა ბურთი და მოედანი ბატონობისა. რაც კი რამ თვალმოსავ- ლები მოდის მოხსენებულ სოფლებში: პური, ღვინო, სამარხო თუ სახსნილო, ყოველივე ეს იბარება ურმებზე და შემოდგომიბით იგზავნება ჭ. ჭორქარიანში. რას აძლევს ამის საბაზლოთ ჭორ- ქარიანი სოფელსა? — თამასუქებს, აღმასრულებელ ფურცლებს, ჩინოვნიებს, ვაჭრებს, სინდის დაბშულ ნასწილებს, ქროამსა და ძალმომრეობაზე დამყარებულ სამართალს. იმაზე მეტი სიკეთე განა კიჟევლა უნდა რამე სოფელსა?

მზის ამოსვლის დრო იქნებოდა, როდესაც ჩვენ შევედით
ქ. ჭორქარიანში. ერთ პატარა უსუფთაო დუქანში ვისაუზმეთ, თი-
თო სტაქანი წიწაკანარევი არაყი დავლიერ და შემდეგ გავწიეთ
პოლიციის სამართველოსაცენ. რომელ ქუჩებშიც კი გავიარეთ,
ყველგან ვხედავედით მძიმეთ დატვირთულ ურშებსა, რომლებთანაც
ქალაქელი ფულიანი ხალხი ათას სხვადასხვანირ სანოვაგეს ეზი-
ლებოდნენ სოფლებიდან. მათი გამხდარი და ფერმკრთალი სახე,
მათი ძველი ტანისამოსი და მომეტებულად მათი უმიერდოთ ჩაფიქ-
რებული თვალები, ცხადათ ამბობდნენ, რომ ბედობაზე სოფლად
ბევრი აღარა დარჩენილა რა. მართლაცა და მრავალნი არიან ახეთი
გლეხები, რომელნიც მთელი წლის განმავლობაში მჭადითა და ქე-
რის პურით იკვებებიან. ამათზე უფრო უმრავლესია ისეთი გლე-
ხობა, რომელთაც დიდ ბედნიერ დღეებშიც კი არ მოეპოვებათ
სასმელი... ხორცეული... საჭმელი ხომ უფრო იშვიათია მათვეისა...
ჭორქილსა და ქელებს რომ დაუმატოთ აღება და კიდევ ორიოდ
ბედნიერი დღეები და შემდეგ ეს ერთად გამოვრიცხოთ წელიწადი-
დან, გლეხის ბედილბალზე დარჩებიან მხოლოდ ერთი შიმშილისა,
გაჭირვებისა და თასნანირ წვა და დაგვის დღეები, რომელთაც იგი
ატარებს გამუდმებულ შრომაში, სულისა და ჯანის დამასუსტებელ
ჯაფაში. მე მინახავს სულომაბრძოლი გლეხი, რომელიც მხიარულად
ლილინებდა. ჰკიოხეს: შე საცოდავო, რა გამღერებსო? რას ავბობთ,
წარმოსთვეა მან ლუღლულით, საცაა ჩემი ტანჯვა დასრულდება,
მოისვენებენ ძლიერიობისას ჩემი საბრალო ძვლები... და არ ვიმ-
ხიარულოვო! არ ვიცი, მკითხველო, გაგიგონიათ თუ არა ჩვენი ხალ-
ხური პატარა ზღაპარი?

შინაარსი მისი ახეთია: გლეხეცის სული მიჰყავთ ჭოჭოხეთი-
საკენ... დღისით პაპანაქება სიცნისაგან იწვის და იხრავება, ღამე
კი საშინელის ყინვისაგან ფიჩხდება უბედური... გზა არის უწყვლო,
რიყიანი... ხან მაღალ მთის ციცაბოზე ასდევს იგი, ხანაც დაქანე-
ბული უძირო უფსკრულში იმაღლება... ამგვარ ასელა-სასვლაში გა-
დიან საუკუნენი და როდესაც მოგზაური ჭოჭოხეთის კარებს და-
ინახავს, ეცემა მუხლებზე და ოტაცებით იძახის: მაღლობა ღმერთს,
მაღლობა უფალს!.. მკითხველისთვის ვგონებ ცხადია, საშინელი
დედა-აზრი ამ ზღაპრისა... ცხადია თუ რა აღუშერელ საზარელ
მდგრმარეობაშია ამჟამად გლეხეცი... წელებზე ფეხს იღგამს, გა-
მულმებული ჯაფით შუაზე წყდება. და ბოლოს რითი თავდება

ყოველივე ეს წვა და დაგვა?.. მხოლოდ მითი, ჩემო ბატონი, რომ თითქმის სრულიად მთელი შედეგი ამ ვაების უბედური მოწამოართისა ხელიდამ უცებ, რაღაც მანქანების მეოხებით უკულმართ ხელში გადადის... საბრალო მუშაკს კი მხოლოდ იმდენი რჩება, რამდენიც საჭიროა, რომ დღესვე სიმშილით სული არ ამოძრეს... რათა? რისთვის? ვინ მისცა ერთ ადამიანს მეორე ადამიანის ტანჯვისა და ჭამა-ყლაპის უფლება? მაცხოვრის თაყეანის მცემელი ერი რათ უნდა იყენეს გაყოფილი ორ სახარელ ჭვეფათა: გაუქმაძარ, მტაცებელ მგლებათ და უბედურ, დაჩაგრულ ცხვრებათა? რათ არი ეს მუხთალი წუთისოფელი ისეთი უსამართლო: ერთსა რომ წვადაგვით აშლევინებს სუფრას, მეორეს რათ გამოსჭიმავს ხოლმე მასზედ ბატონ კაცურათა?

ამგვარ შავ ფიქრებში ვიყავი გართული, როდესაც თევდორემ ხელი დამკრა მხარზედა და ლიმილით მითხრა:

— რაა, შეიძლო, რას დაფიქრებულხარ? ნუ გეშინიან! ლმერთი და ხელმწიფე ისე არ გაგვწირავენ, რომ სულ უნუებოთ დაგვანარჩუნონ! აგრე პოლიციის სახლიცა, შევიდეთ და სულ დაწერილებით მოვახსენოთ ჩემი ჯიერი და ვარამი.

— ჰო, ძალიან კარგი, თუ კი გალაპარავა ვინმემ, დალონებით წარმოსთქვა ანდრიამ, მე რომ მაგათი უსამართლობა ე ჩემი თვალით მინახავს, როდილა რამე მჯერა, შვილონა, მაგათი!

— ნუ გაიტენამ, ანდრია, გულსა, — დაუძახა მას გიგოლამა! სულ ხომ ერთ ყაიდაზე არ იქნება ადამიანი! ერთხელ რო უსამართლობა ჩაიდინოს, მეორეთ შეიძლება მართალსაც მოწყალის თვალით გადახედოს.

— თუ ლმერთი გწამს, ანდრია, ეგრე უხეირო ყვავივით ნუ დაგვჩხავი! დაიძახა ახლა დათუამ, მთელი გზა, ძმაო, სულ ეგრე გულგვისეთქმა! თათრებმა და ლეკებმაც კი იცოდნენ შელვათის მიცემა და ეგვინი ხომ ქრისტიანები არიან შე დალოცვილი შვილო, შენა!

— ქრისტიანები, თათრები, ლეკები... ლეკები, თათრები, ქრისტიანები!.. ნელნელა და გაბმით იწყო ანდრიამ ამ სიტყვების გამეორება და თანაც რაღაცას ჩუმათ, ფიქრებში ბუტბუტებდა.. ბოლოს მწარეთ გაიღიმა და წამოიძახა: ვანა, ძამიავ, ეგვინი ქრისტიანები არიან?

მე მივედი ანდრიასთან... უთხარი რამდენიმე სანუგეშო სიტყვა და მერმე სიცილით შევაცქერდ სახეზე, რომელმაც მეტად სამ-



წუხარო შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედა. მართალია გზა ანდრუშავის გარეთ, დალონებულმა გამოიარა, და თუ ხანდისხანს ხმას იღებდა, მაშინაც უიმედო სიტყვების მეტი არა გვესმოდა რა მისგან, მაგრამ შესანიშნავი რამ იქ მაინც არა ეტყობოდა რა. ეხლა კი გული სულ მთლად დამითუთქა მისმა მდგომარეობამ. საშინელი ღრმა მწუხარება და სასოწარკვეთილება იხატებოდა მის გადაფითრებულ სახეზე; თვალები პქონდა იყიდმყოფივით ანლერეული, წელში მოხრილიყო და ჯოხს ისეთნაირად დაბჯენოდა, თითქო უიმისოდ ფეხზე დგომის არაქათი აღარა პქონდა. თევდორემ შეაღო სამართლის კარები და ნელნელა გასწია ზევით ვიწრო და ბერ კიბეზე; გიგოლა და დათუა მიძყნენ მათ უკან. ანდრია კი გაშეშებულსავით იმავე ადგილას იდგა და თავჩაღუნული მიწაზე დაიცირებოდა...

— ბიძაჩემო, რა მოგივიდა, ადამიანო? უთხარი მას... გამოიარე ჩქარა, აგერ ჩვენები მიდიან კიბეზე. — ანდრიამ თავი მაღლა აიღო, დალონებით შემომხედა და მითხრა:

— ლევან, შეილო, არ მომშორდე, შენი ჭირიმე!..

— კაცო, შენ რანაირად ლაპარაკობ? ხომ არ გტკივა რა?

— არ ვიცია ძამია, არ ვიცი... რაღაც მძიმე ლოდი კი დამაწვა გულზედა-და!

— განუმდი ერთი, თუ ღმერთი გწამს... ლოდი კი არა და ის არ გინდა! რა დიდი საქმე ჩეენა გვაქვს გასაქეთებელი! შევალთ მოვახსენებთ უფროსს ორიოდ სიტყვას და გავწევო მერე შინისა-კნა!

— სადაც დაგვხვდებიან საესე ოჯახი, ჩაცმულ-დახურული ცოლ-შვილი და თბილობილი ქადა-ნაზუქი.

— კელავ როდისა გქონდა შე დალოცვილო, ყვილა ეგნი რო ეხლა დაგრკლეს!

— როგორ არა, გვქონდა, მაგრამ ღმერთს შეშურდა და წაგვართვა.

— შენ, ბიძა, როგორც გატყობა, ღმერთზედაც საჩივრის შეტანას აპირებ?

— ვისზე?

— ღმერთზე.

— ღმერთი არ არის, არა ე მზის გულის მაღლმა, არ არის ღმერთი. ღმერთი რო იყვეს, შეილოსან, განა ესეთი არეული იქნებოდა ცა და ქვეყანა...

— რას ამბობ ანდრია, დაიძახა კიბის კარიღამ თევდორემ, ჩემი მელიც ჩვენს დასახახებლად დაბრუნებულიყო უკან, — რათა სკოდამ ეგრე კაცო?.. ღმერთი როგორ არ არი! მაშტავი არი ეს ამოდენა მოწყალება ქვეყნიერებაზე?..

— რა მოწყალებას ამბობ კაცო შენა? სეტყვა, ნიალვარი, ავათ-მყოფობა, სილარიბე, უსამართლობა... ესენი მოწყალება გვონია შენა?..

— ე მაგეებს, ანდრია, ჩეენი ცოდვების გასაშენდათ მოგვივ-ლენს ხოლმე ღმერთი.

— რა ცოდვებისა, ძმაო და მამავ, კაცი მოვკალ, თუ ნაქურდა-ლითა ცცხოვრობ?

— არც კაცი მოგვილია, არც ნაქურდალითა ცხოვრობ? მაგ-რამ მარც ცოდვილი ხარ: ეშმაკს და მაცლურს ვინ დაემალება შვი-ლოსან!

— პოდა, თუ ის კაი ღმერთია, იილოს და ი ეშმაკი დატანჯოს! მე რას ჩამციებია ი დალოცეილი!

— აბა, კიდეც იმასა სტანგას, თუ სტანგას! შენ რაა ძმაო? იმისთვინ არ არი გაჩენილი ჯოჯოხეთი?

— კაი, ჯოჯოხეთია, შენმა მზემა! თვისუფლად არიან, საცა უნდათ, იქ წევლენ, რაც უნდათ იმასა სკამენ და სჭამენ. კაი ჯო-ჯოხეთია, ია! ნეტავი იმათა შვილოსან!..

— ამოდით, კაცო, ამოდით; — ჩამოიძახა მალლიდამ დათუ-ამა, — ხალხი იქრიცება, ამოდით ჩქარა თქვენცა.

— ეხლა ავიდეთ მაღლა ანდრია... — სტეკა თევდორემ... გავა-კეთოთ ჩვენი საქმე და როცა შინ დაეპრუნდეთ. მაშინ ვილაპარა-კოთ იქა... თევდორე გამრუნდა უკან, ჩეენ მიეყენოთ მას და ავე-დით აივანზედ.

ჩვენ შევედით ერთ გრძელ და განიერ ღერეფანში, საღაც ოცამ-დისინ გლეხკაცთ უკვე მოეყარათ თავი. ზოგი მათგანი კედლების ძირის ჩამსახდარიყვნენ, ზოგნი ფეხზე იდგნენ და დაბალის ხმით ერთმანეთს რაღაცას ელაპარაკებოლნენ, ზოგსაც დაკეცილი არზე-ბი ეჭირათ ხელში და მოუსვენრად დატორლიალებდნენ აქეთ-იქით. ერთი კედლის გვერდზე მე დავინახე გრძელი ფიტრის სკამი; მივედით იმ სკამთან და ჩუმათ ჩამოვსხედით იმაზედ. ამავე სკა-მის ბოლოზე, ბნელ კუნცულში, იჯდა მოხუცებული გლეხი, რო-



მელსაც თეთრი წვერულვაში თოვლივით გადაპენტოდა სახურავ-დებორია. ტანთ ეცვა ღარიბულათა: დაგლეგილი შავი ჩოხა, გაცემილი ქუდი, და უხეირო ქალამნები. ამ მოხუცებულს პირველსავე შემოს-ვლაზედვე მოვკარ თვალი, მაგრამ სახე მისი კი მხოლოდ მაშინ გა-ვარჩიე ცხადათ, როდესაც თვალი გამიშინაურდა. ის ნაცნობ ადა-მიანად მეჩვენა: მისი სახე თითქო სადლაც მენახა, მაგრამ სად და როდის ეს პირველ ხანად ოლარ მაგონდებოდა, მე მივბრუნდი მის-კენ და დავაცერდი. მოხუცებულმა ამ ღროს ჩამუნილი თავი მაღლა აიღო, დაღონებით გამომხედა, წამოღვა ფეხზე და დინჭილ თავი დამიქრა. მხოლოდ ეხლა, როდესაც ის ფეხზე მდგომარე და-ვინახე, მომაგონდა უცებ მის ვინაობა. საჩაროზე წამოვხტი ფეხ-ზე, მივედი მასთან და პატივისცემით მივესალმე.

— ქრიტესია, გამარჯვება! როგორა ბრძანდებით? რათა ხარ, კაცო, ასე დაღონებული, ასე ღარიბულად ჩამულ-ღახურული? ამ სამ-ოთხ წელიწადში რას გაუტეხისარ აგრე?..

— ღმერთმა გადღევრძელოს შენი ჭირიმე, დაიწყო ამოკვნე-სით მოხუცებულმა, ჩამოხვედით თუ არა, მაშინვე ვიცანი; გულმა იმშამსვე გამოიწია შენსკენ, მაგთამ თავმოყვარეობამ ნება არ მომცა! ასე აბრანძული, გაუბედურებული არ მინდოდა გჩვენებო-დი. მოვედი და ამ ბენელ კუნცულში დაიმიალე. ნუ გამიცხამ შენი კვნესამე! „ოჯახი დაექცესო“ რო იტყეიან მხოლოდ ეხლა გავიგე რაცა ყოფილა: ამაზე საშინელი წყველი მეორე ილარ მოიპოვება ქეყნიერებაზე. ოჯახი, ჩემი დიდი ოჯახი, დამექცა შვილო; დამექ-ცა, დამელუპა, მიწასთან გამისწორდა! რალა საცოცხლებელი ვარ ეხლა!.. მაგრამ რა ქნას კაცმა!.. უღვთოთ სული არავის არ ამოს-ვლა... დაიღოცოს მისი სამართალი!..

ჩემი ვაჟკაცი გიორგი, ჩემი დევგმირი შეილი, ავაზაკებმა მო-მიკლეს, ჩემი „მიწისმგელი“ ნინიკა სატუსაღოში ჩამიღუპეს; ჩემი საწყალი ჭალაბი, ჩემი ოჯახის ბურგი ქეთევნი, ხო გახსოვს, შეი-ლო, ქეთევნი, ჭარისა და ვარამისაგან დამენოცნენ. ოხ, ნეტავი იმ დღეს მომკვდარვიყავ, როცა შენ ჩემნა იყავი და ეს უბედურო-ბა კი ოლარ ენახა ჩემ თვალებსა. მოხუცებულმა ღრმათ ამოიკვნე-სა, ცრემლით სავსე თვალებზე ქუდი მიიფარა და იდაყვებით და-ებჯინა მუხლებსა. მის დაძაბუნებულ მხრებს კანკალი გაპქონდათ, მისი გათეთრებული თავი ნელ-ნელა ინძრეოდა, მთელი მისი ტანი საცოდავათა ცახცახებდა. ცხადათა სჩანდა, რომ უბედური მოხუ-

ცის დატანჯული სული გმინავდა, ქვითინებდა, მაგრამ ამპარტავანი, თავმოყვარე გული, მას ზედ ეფარებოდა, იჭერდა, გზას და კვალს უკრავდა, რომ შინაგანი ვაება არ მოზღვავებულიყო და მტვირთავი მისი, სხვის ყურისა და თვალის სასეირო არ გამხდარიყო.

ამ მოულოდნელი ამბის გაგონებამ საშინელი სამწუხარო შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედა. მოხუცებულის ცქერამ ხომ სულ-მთლად დამითუთქა სული და გული. მომაგონდა ის დრო და უაში, როდესაც მე ამ მოხუცებულის დიდი, დოვლათით სავსე ოჯახი გავიცანი; თვალშინ ჭარმომიღვა დაწვრილებით ყველაფერი, რაც კი მაშინ მე ამათსა ვნახე და გავიგონე.

გრიგოლ ვაშავიძის მოგონებაზი

კონსტანტინე გამსახურდიას და ელექტროდეპოს მემანქანე გრიგოლ ვაშავიძის (1908 — 1978) გაცნობა შემთხვევით მოხდა, 1923—24 წლებში. გრიგოლის ბიძაშვილი ბესო ვაშავიძე და კ. გამსახურდია ერთად ყოფილან ვადასახლებულნი „სოლოვეის“ მონასტერში. ბიძაშვილებს მიმოწერა ჰქონიათ ერთმანეთთან და კონსტანტინეს იქ ყოფნაც აქედან გაუგია.

ვადასახლების შემდეგ კ. გამსახურდია დაბრუნდა თბილისში. ბესო ვაშავიძე კი გაგზავნეს შუა აზიაში, თავისუფალ ვადასახლებაში. გრიგოლმა გაიგო გამსახურდიას დაბრუნება და მიაკითხა მას ბინაზე, რათა გაეგო საკუთარი ბიძაშვილის ამბავი. აქედან იწყება მათი ნაცნობობა-მეგობრობა.

1929 წელს გ. ვაშავიძე მივლინებული იქნა ქ. ხარკოვში სასწავლებლად. ამ ამბით გახარებული კ. გამსახურდია წერდა: „მე შენზე დიდ იმედებს ვამყარებ, რომ ცხოვრებაში უმცროსი ძმა და თანამოლაშვრე მეყოლებაო“.

გრ. ვაშავიძე გარდა თავისი საქმიანობისა ეცნობოდა უკრაინულ კულტურას, მწერლობას, პირადად გაეცნო პ. ტიჩინას, მ. ლებედევს, იქ მომუშავე ქართველ მწერლებს (ცაგარელი, ნამორაძე). მას საშუალება ეძლეოდა ოვალყური ედევნებინა ქართული მწერლობის, კერძოდ კი კ. გამსახურდიას ნაწარმოებთა თარგმნისათვის.

გურამ ვანიძე

დღეები უკრაინაში

1929 წელს იმიერკავკასიის რეინიგზის მიერ ხაშურის დეპოდან მივლინებული ციფავი სასწავლებლად ქ. ხარჯოვში.

საქართველოდან გამგზავრების წინა დღეს თბილისში შევუარე გამოსამშვიდობებლად ჩემს ნაცნობ ქართველ მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას. ჩემსა და გამსახურდიას შორის არ იყო მაინც და მაინც დიდი ნაცნობობა, ის უკვე ცნობდლი, თვალსაჩინო მწირალი იყო და მე მასზე ბევრად უმტროსი წლოვანების — უბრალო რეინიგზის ორთქლმავლის მემანქანე.

ჩვენი გაცნობა შემთხვევითი იყო და არ როგორ: მე მყავდა ახლო მეზობელი, რომელიც ბიძაშვილადაც მომხვდებოდა — ბესო ვაშაკიძე, სწორედ ეს ბესო ვაშაკიძე და გამსახურდია 1923—1924 წლებში ერთად იყვნენ გადასახლებული მაშინდელ მოდურ გადასახლების ლაგერში „სალოვეს ყოფილ მონასტერში“. რომელიც მდებარეობს თეთრ ზღვაში.

ბესოს ოგათან მიმოწერა ჰქონდა, მეც გავიგე მისამართი და წერილი მივწერ. თითქმის მთელმა საქართველომ იცოდა, რომ გამსახურდიაც სალოვესი იყო გადასახლებული და ხმები დადიონდა კკუაზე შეიშალა. ეს მივწერე ბესოს და მალე პასუხი მივიღე ფოტოსურაოთთან ერთად, „გამსახურდია კკუაზე არ შეშლილა, მაგრამ ნერები სასტიკად აქვს მოშლილი“. ფოტოსურაოთზე სამნი იყვნენ: გამსახურდია შუაში იდგა წვერმოშვებული, ნაბით და ბობოხი ქუდით, ერთ მხარეს ბესო ვაშაკიძე ედგა და მეორე მხარეს ბარათაშვილი (ეინ იყო ეს ბარათაშვილი არ ვიცი) გავიდა დრო...

გამსახურდია თბილისში ჩამოვიდა, ბესო კი შუა აზიაში გაგზავნეს თავისუფალ გადასახლებაში. გამსახურდიას ჩამოსკლის ამბავი რომ გავიგე, მივიყითხე ბინაზე ბესოს მმავის გასაგებად, ის მაშინ რტიშევის ქუჩა (შემდეგ ჯაფარიძის) № 13-ში ცხოვრობდა

შარტოლ-მარტო. მეტად თბილად მიმიღო და გამომშვიდობებისას მთხოვა ხშირად შემეცვლო მასთან.

მართალია ორთქლმავლის მემანქანე ვიყავი, თან ახალგაზრდა, გამოუცდელი, მაგრამ წიგნების კითხვა ძალიან მიყვარდა და მიტა-ცებდა საერთოდ ხელოვნება. ეს გამსახურდიამაც შემამჩნია და უფრო დაინტერესდა ჩემით.

ჩემს აღტაცებას კი სახლვარი არ ჰქონდა, მასხრობა ხომ არ იყო „დიონისეს ღიმილის“ ვეტორს პირადად ვიცნობდი!

მე იმ დროს ხაშურში ვცხოვრობდი, როგორც მოგახსენეთ, ორთქლმავლის მემანქანედ ვმუშაობდი და თუ თბილისში მომიხ-დებოდა ჩასვლა, ვცდილობდი გამსახურდიასთან შემეცვლო.

გამსახურდიას მატერიალური მდგრმარეობა ვერ იყო იმხანად მაინც და მაინც სახარბიელო, მისი ნაწერები თითქმის არ იძებდე-ბოდა, საერთოდ ბევრს ედავებოდნენ და თითქმის თარგმნის ნე-ბასაც არ იძლევდნენ, ასე რომ, დიდ ხელმოკლეობას განიცდიდა. როგორც კი ჩემი ხარკოვში ჩასვლა ვაცნობე, გამოცოცხლდა და ბარათი დაწერა ხარკოველ ნაცნობთან — კონსტანტინე ცაგარელ-თან, რომელსაც სოხოვდა იქნებ ჩემი რომელიმე წიგნი უკრაინის სახელგამმა მიიღოს გამოსაცემადო, თან მეც მთხოვა თვალყური მედევნებინა ამ საქმისათვის. ბარათმა მეტად გამახარა, რადგან ურთი, რომ მექლეოდა საშუალება უცხო ქალაქში ქართველი კაცი გამეცნო, მე ხომ გამოუცდელი ვიყავი და პირველად მიევეგზავ-რებოდი ასე შორს, მეორებდა მწერლისათვის დანძმარე-ბის გაწევა — ისიც კონსტანტინე გამსახურდიასათვის.

ხარკოვში ჩასვლის მესამე საღამოს ქ. ცაგარელის ბინას მივა-დექი; ცაგარელი შინ არ დამხვდა, სამსახურშიამ მითხრა მისმა სიმამრმა და თან მისამართი მომცა... მოვნახე ცაგარელის სამსახუ-რი, მორიდებულად შევაღე კაბინეტის ქარები და შეიძლება-თქო ვეითხე ქართულად... ასე მეგონა ქართულ სიტყვას რომ გაიგო-ნებდა, წამოვარდებოდა, გამოიქცეოდა ჩემსკენ, გადამეხვეოდა და გადამკოცნიდა... საქმე არა გაქვს! ურთი ამომხედა, ცოტა ხანს მო-ითმინეო მითხრა და ქალალდებს დაუწყო თვალიერება. ძალზე გულნატეკენი გარეთ გამოვედი და კარებთან გავჩერდი. ცოტახნის მეტე მიმიხმო, მობრძანდითო გამომძახა ქართულად, მაგიდიდან წამოდგა და შემეგება.



გავეცანი, ბარათი გადავეცი. უშველებელ კაბინეტში მხრილი
მისი მაგიდა იდგა.

არც ისეთი გამოდგა ბატონი კონსტანტინე, როგორც პირველად
მეჩვენა, შავგვრემანს ქართული ვაჟკაცური იერი გადაკრავდა, ჩემი
შეტყობით ასე, 50—55 წელს მიტანებულად გამოიყურებოდა,
დიდად ენაწყლიან მოსაუბრეს, ქართული ენის კარგ მცოდნეს და
ფრიდად განათლებულს, არც ეტყობოდა თუ ამდენ ხანს უცხო
ქვეყანაში ცხოვრობდა (მგონი 1912 წლიდან). წარმოშობით ქუთა-
ისიდან იყო. პროფესიით ადვოკატი გახლდათ. იმ ეამად ხარკოვის
ერთ-ერთი უბნის ადვოკატთა არტელის თავმჯდომარე იყო.

თვის ძირითად საქმიანობასთან ერთად ცაგარელი ლიტერა-
ტურულ მუშაობასაც ეწეოდა, უმთავრესად თარგმნიდა ქართუ-
ლიდან და რუსულიდან უკრაინულ ენაზე; ჩემი აზრით, ყველა ამ
ენებს ზედმიწვევით ფლობდა, სხვა ენების რა მოგახსენოთ ფლობ-
და თუ არა, არ ვიცი. პქონდა საკუთარი ნაწარმოებებიც რუსულ
ენაზე, ერთი იყო ფილოსოფიური ტრაქტატი, „ასე ამბოდა ზარა-
ტუსტრაშვილი“ და მეორე რაღაც პიესა იყო ქურუმების შესახებ;
როგორც მითხრეს, „ასე ამბობდა ზარატუსტრაშვილი“ ნიცხეს
დაპირისპირება იყო, სუსტი ნაწარმოებიაო ამბობდნენ, ასეც
იქნებოდა, ნიცხეს ფილოსოფიის ორგვლივ მთელ მსოფლიოში, გან-
საკუთრებით ევროპაში იმდენი ხმაური იყო ატეზილი, ცაგარელის
მასთან კიდილი მეტად საეჭვო საქმედ ჩანდა; რაც შეეხება პიესას,
რამდენიმე ცალიად პქონდა საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი და
თუ ვინმე რომელიმე სხვა ქალაქში წავიდოდა, აუცილებლად ერთ
ეგზემპლარს თან გაატანდა თხოვნით: „იქაურ თეატრს შესთავაზე
სცენაზე დადგანო“.

ამათ გარდა, როგორც ზემოთ ვთქვი, მთარგმნელობასაც ეწე-
ოდა, განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურისას, ჩემი უკრა-
ინაში ყოფნისას ერთ უკრაინულ მწერალთან ერთად, დაამთავრა
მიხეილ ჯავახიშვილის „ქვაჭი კვაჭანტირაძის“ და მისივე რამდე-
ნიმე პატარა მოთხრობის თარგმნა.

საგულისხმოა, რომ „ასე ამბობდა ზარატუსტრა“ წარწერილი
პქონდა „Перевод с грузинского автора“ ძალიან კი მეეჭვება,
წიგნი ქართულიდან ყოფილიყო ნათარგმნი, რა მიზნით გაუკეთა
ეს წარწერა, გაუგებარია.

ცაგარელმა გაცნობის პირველ სალამოსვე ბინაზე მიმიპატია,

სვერდლოვის და დიმიტრიევის ქუჩების გადაკვეთაზე კარგი ბინა ეკავა მეორე სართულზე. მორთულიც დიდებულად იყო შიგ; ცოლად ჰყავდა ებრაელი ქალი, მუსიკამცოდნე; სიმამრი — მოსული, მაღალი, ხანში შესული კაცი როიალების ამწყობი იყო, როგორც იმას გვიჩვენებდა კარებზე აქრული განცხადება. სიდედრი კი დიასახლისობდა, ბავშვი არ ჰყავდათ და როგორც შევიტყვი, ეს ოთხი ადამიანი მეტად ტკბილად და შეთანხმებულად ცხოვრიბდენ. იმ საღამოს ბევრი ვისაუბრეთ. ჩემს მასპინძელს გამოწერილი ჰქონდა თითქმის ყველა ქართული უურნალ-გაზეთი. ასე რომ მეტი იცოდა იქაური ამბები ვიდრე მე, ხაშურელმა მემანქანები. თავის თავზე ცოტა რამ მიამბო, მეც მიმგზავრია ორთქლმავლითო, მითხრა, 1917 წელში ხარკოვიდან ჩრდილოეთ კავკასიაში ჩავედი ჭავშნოსანი ორთქლმავლით, თავიდან ფეხამდე იარაღში ჩამგდარი სამხედრო ნაწილებში სააგიტაციოდ, როგორც სამხედრო კომიტეტის წევრიო. რა სამხედრო ნაწილებში იყო და რა აგიტაციას ეწეოდა, არც თვითონ უთქვამს და არც მე შევეითხევარ. როგორც შემდეგ მითხრეს, პატივცემული ცაგარელი ერთ დროს მენშევიკური საქართველოს ელჩიადაც ყოფილა დამოუკიდებელი უკრაინის (სკოროპადსკის) მთავრობასთან. რამდენად ასე იყო, დანამდვილებით არ ვიცი.

გამსახურდიას ბარათზე დიდი დახმარება იღმითქვა. დამასახუქრა თავის ნაწარმოებებით და მითხრა ხშირად შემევლო მასთან.

ერთი კვირის შემდეგ ისევ ვინახულე ცაგარელი, ბევრი მელაპარაკა გამსახურდიას თარგმნის შესახებ, საბოლოოდ თვითონ მოუცლელობა მოიმიზება და მიმასწავლა მეორე ქართველ ლიტერატორთან გიორგი ნამორაძესთან „მე მას ვესაუბრე და ის გააკეთებს ყველაფერსო“, მითხრა.

რამდენიმე დღის შემდეგ ნამორაძის ბინას მივადექი. ბინაში მხოლოდ მისი ახალგაზრდა, ლამაზი მეუღლე დამხვდა. მესამე თუ მეოთხე დღეს თვითონ ნამორაძეც გავიცანი.

საინტერესო პიროვნება იყო ეს ნამორაძე. იმ დროს 60 წელს მიტანებული იქნებოდა. დამთავრებული ჰქონდა გორის სამასწავლებლო სემინარია, მგონი ვაჟა ფშაველასთან ერთად ესწავლა. კარგად ახსოვდა ი. ბ. სტალინის მოწაფეობაც, არ ვიცი რა მიზეზით, უკრაინაში გადმოხევეწილიყო, ცოლად ჰყავდა შედარებით მასზე ახალგაზრდა, მუსიკალური სკოლის („მილუტინის სკოლა“)

მესამე თუ მეოთხე კურსის მოსწავლე; ბუნებით წყნარი, კეთილდღიური და დიდად შრომისმოყვარე კაცი იყო, ცხოვრობდა მხოლოდ ლიტერატურული შრომით, განსაკუთრებით თარგმნით — რუსულ—ქართულ, უკრაინულ ენებზე, რაშიდაც მეუღლეც ეხმარებოდა.

დიდად გახსარდა ნამორაძეს ჩემი გაცნობა, ძალზე თბილად მიმიღო. როგორც თქვა, გამომცემლობაში ყველას იცნობდა, ყველანი პატივს სცემდნენ და კ. გამახურდის რომანი „დიონისეს ლიმილი-ს“ საქმე წინ წაიყვანა. ხშირი სტუმარი ვიყავი მმ კეთილშობილი იდამიანისა და საქართველოში წამოსცლამდე ურთიერთობა არ გავიწყვეტია.

ერთ-ერთი შეხვედრისას ნამორაძემ მითხრა: „უკრაინელებს ერთი მეტად ნიჭიერი და დიდი პოეტი ჰყავთ პავლო ტიჩინა, რომელსაც სურს შეისწავლოს ქართული ენა, მე მოხვა, მაგრამ მე სადა მაქვს მავის დრო, შენზე ვესაუბრე, თანხმობა გამიცხადა, როცა დროს იშოვი — ნახე, მოელაპარაკე, გასამრჩელოს ქე მოგცემს, მეტად საპატივცემულო და სიინტერესო პიროვნებათ დაატანა. რა ვიცოდი თუ ისეთ ბუშბერაზ ადამიანთან მექნებოდა საქმე, როგორც პავლო ტიჩინა იყო, თორებ შეიძლება არც დავთანხმებულიყვანი ნამორაძის ჩევვის ცაგარელმა მოკლედ მითხრა, „ტიჩინა ის არის უკრაინის ლიტერატურისათვის, რაც ქართული ლიტერატურისათვის გალაქტიონიო“.

დიდმა დაინტერესებამ და სათანადო თავისუფალმა დრომ დამყენა გზის პავლო გრიგორიჩისაკენ.

ტიჩინას ნახვა არც ისე ადვილი გამოდგა. უკრაინის მთავარი ურნალი „ჩერვონი შლიახის“ რედაქტორი, სხვა და სხვა სარედაქციო კოლეგიების წევრი, პოეტი აკადემიკოსი და რა ვიცი კიდევ რა, ამა ვინ გაიგებდა რა დროს სად იქნებოდა უმთავრესად კი უურნალ „ჩერვონი შლიახის“ რედაქციაში მიმართვაში. რედაქციაში რომ ვერ ვნახე, მისი ბინა ვიქთხე. რედაქციის თანამშრომლებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე მე ჩამათვალიერეს და ტიჩინას ძებნის მიზეზი მყითხეს, მე იცუხსენი მიზეზი და ბინის მისამართი მივიღე.

ქალაქის განაპირა ადგილის, ქალაქის პარკის მიმართულებით, მინდვრად განმარტოებით იდგა უკრაინელ მწერალთა სახლი „ბუდინოკ სლოვო“. როგორც მახსოვეს, მეორე სართულზე ტიჩინას ბინა იყო. ზევით ივედი, კარებზე წარწერა დავინახე „П. ტიчинა“

ექვე საფოსტო ყუთი ეკიდა, რომელსაც ზევიდან წერილის ჩახაგურით და ბეჭდი ზომაზე მეტად ჰქონდა გაფართოებული. ყუთი დაკეტილი იყო. როგორც შემდეგ ვნახე, პავლო გრიგორისი ზევიდან ჩაყოფდა ხელს, და თუ რაიმე იღო შიგ, ყუთის გაუდებლად ამოქონდა.

კარებზე დავაკაუნე, სრული სიჩუმეა, კაკუნი გავიმეორე, ბანიდან რაღაც ხმაური შემომესმა, სახლში ყოფილათქო გავიფიქრე და დავიწყე ლოდინი. ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო, ჩემს წინ იდგა საშუალო ტანის კაცი, მას ქალური ნაზი სახე პქონდა და ბავშვური შიშნარევი თვალებით შემომცეკეროდა, ფეხები საშინაო ჩუსტებში ჩაედგა და ტანზე გრძელი აზიური აბრეშუმის ხალათი ეცვა. მე ჩემი ვინაობა და მისვლის მიზეზი ვუთხარი, თან ბინა-საკენ წავიწიე შესასვლელად; რა ექნა არ იცოდა, როგორც შევა-ტყვე დაიბნა საბრალო, მე კი ვიფიქრე რაჯი დამიბარა, საქმე აქვს, თვითონ სახლშია, ქუჩაში ხომ არ მოველაპარაკებითქო! საერთოდ, უნდა ვთქვა, მე მაშინ კარგა 23 წლის ვიყავი, მაგრამ არ მქონდა სათანადო არც იღზრდა და არც გამოცდილება მაღალი ეთიკეტი დამეცვა ასეთ ხალხთან, უფრო პირდაპირ ვუცეკეროდი საგნებს და მოვლენებს თვალებში, რაც ზოგიერთ შემთხვევაში სასურველი და სასირგებლო გამოდიოდა.

მეც ჭიქურ შევედი ბინაში.

შესვალ კარებთან დერეფანი იწყებოდა, ჩემმა მასპინძელმა მარცხნივ პირველ კარებში შეუხვია, მეც შევყვევი. პატარა მოგრძო ოთახი 10—12 კვადრატულ მეტრის ფართობის თუ იქნებოდა, აღმოსავლეთით ფართო ფანჯრით, სამხრეთით მეორე ოთახში გა-სასვლელ გამოხურული კარებით.

ოთახში ერთი უბრალო ცარიელი რკინის საწოლი და პატარა მაგიდა იღვა, კედლებზე მოწყობილი იყო თაროები წიგნებისათვის. ყველაფერი ივსებული იყო წიგნებით და ეურნალებით, წიგნები მარტო თაროებზე როდი ეწყო, არამედ რკინის საწოლზე, იატაკზე და ფანჯრის რაფაზედაც: ოთახის დათვალიერების შემდეგ მე ერთად-ერთ ხის უბრალო სკამზე ჩამოვჭექი თვითონ კი მავიდასთან მიდგმულ საწოლზე დაჭდა და დავიწყეთ საუბარი. ვუთხარი ჩემი ვინაობა, ზოგი რამ მასაც ვკითხე და დავთქვით შეცადინების დღე და საათები:

ამ რამოდენიმე წლის წინედ შავი ზღვის სანაპიროზე ვისვენებდი და იქ დავიწყე ქართული ენის სწავლაო მითხრა. მასწავლებ-

ლად კიღაც ჩიქოვანი დამისახელა ქართული ასოები უკვე ვიცი, კითხვაც არ მეძნელება, „მე ქართულიც ვიციო დაუმატა ქართულად და თან დიდი შოთას ცნობილი ტაპი წარმოთქვა ქართულადევ: „მიეც გლახაეთა საჭურვლე ათავისუფლე მონები, მიღვწეიან, მომიღონებენ, დამლოცვენ მოვეგონები“. პავლო გრიგორიშის ეს ტა-ეპი ძალიან უყვარდა და ხშირად იმეორებდა შემდეგშიდაც... თან ქართული დედა ენა და თავისი საერთოშო რვეული მაჩვენა. როგორც თვითონ მითხრა ქართულის გარდა ერთი და იმავე დროს სწავლობდა: ფრანგულ, სპარსულ, თურქულ და ირანულ ენებს. ასე რომ კვირაში მხოლოდ ორი დღე შემეძლო მასთან სამეცადი-ნოდ მისვლა დილის თერთმეტი საათიდან პირველ საათამდე.

თავიდანვე მაკვირებებდა ამ კაცის რაღაც უჩვეულო მოქცევა, გელაპარაკებოდა დაბალ ხმაშე, თითქოს რაიმე საიდუმლოს გან-დობსო, მუდამ შენზე მზრუნველი შიშნარევი თვალებით მოგჩერე-ბოდა, დიდი მორიდებით ხშირად ისწორებდა ხალათს და იფარივ-და გაღეღილ გულს ახალგაზრდა ქალივით. მართლაც, რომ ქალუ-რი სინაზე და მორიდება ბევრი იყო მასში. მასთან ყოფნის დროს ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს მეთვალყურე გყავს მო-ჩენილი, რომელსაც დავალებული აქვს შენზე მზრუნველობათქო. საუბარში წიგნსაცავი შევუძე, ხელად წამოდგა, რამოდენიმე მართ-ლაც იშვიათად გამოცემული წიგნი გადმოიღო თაროდან, ქართველ მწერალთა თარგმანები ცალკე ეწყო, ისინი გადმოიღო, რამოდენი-მე ფრანგული ჟურნალი გადამიშალა სადაც მისი ლექსები იყო თარგმნილი.

— მე პარიზში ვიყავი ორი წლის წინათ, ზარშან კი თურქეთ-შიო, მითხრა და აბრეშუმის ყდაში ჩამული „ყურანი“ მაჩვენა. ეს წიგნი და ეს ხალათი მე რომ მაცვია, ჩემმა ბიძაშვილმა ჩამომიტანა შეა აზიდან საჩუქრად. სამოქალაქო ომის დროს იქ იბრძოდა და თან წამოელოვო. მე წიგნი არ მენახა ასე ბრწყინვალედ გამოცემუ-ლი. მოკლედ ჩემს მასპინძელს გამოცოცხლება დაეტყო და ენა-წყლიანი გახდა შევატყევ რაღაც ძალდატანება ერთი მის მასპინ-ძლობაში. მალე წამოსასვლელად მოვემზადე; დერეფანში რომ გამოვედი, იქვე კედელზე ტელეფონი შევამჩნიე ყოველ შემთხ-ევისათვის ტელეფონის ნომერი ვთხოვე. პავლო გრიგორიში წამოწითლდა სახეზე და დარცხვენით მითხრა: „რა გქნა, ძალიან მაწუხებენ ზარის ხმით და გამორთული მაქვსო“. როგორც შემ-

დეგ გავიგი, ზარში ჩატანებული ჰქონდა რამოდენიმედ გაყეცილი ქალალდი და ზარის ხმა აქეთ არ გამოიღოდა, მხოლოდ თუ თვითონ დასტირდებოდა ამოიღებდა ქალალდს და სადაც უნდა იქ დარეკეადა.

ეს ოინი რომ გავუგე, ძალზე შეწუხდა და დანაშაულზე წასწრებული ბავშვით ტირილი კინალამ დაიწყო. კარებამდე მომაცილა დაეკმაყიდობდე. კიბეზე რომ ჩამოვდიოდი, უცებ კარი გამოაღო, თავი გამოყო და მისი საყვარელი ტაეპი მომაყარა სხაპა-სხუპით: „მიეც გლახაჯთა საჭურვლე, ათავისუფლე მონები“ და სხვა... ჩემი შეხედულებით მაინც და მაინც უკმაყოფილო არ დამიტოვებია ჩემი მასპინძელი.

როგორც შემდეგ გავეცანი, ბინა სამი ოთახისა და დამხარე სათავესოებისაგან შესდგებოდა. პირველი ოთახი უკვე ავწერე, სამუშაოდ ჰქონდა გამოყენებული. მის გვერდით მდებარე ოთახი, უთუოდ დარბაზი იყო წინ აივნით ამ ოთახში სრულიად არავითარი ავეგი არ იღვა, იატაქზე მხოლოდ წიგნები ეყარა სხვადასხვა ენაზე გამოცემული. წინა აივნიდან მოჩანდა ხევებით დასერილი შიშველი მინდორი, ხოლო კარგა მოშორებით წიწვოვანი ტყე.

დერეფანი ებჯინებოდა სამხარეთის ოთახს, რომელიც საწოლი ოთახის მოვალეობას ასრულებდა. დასავლეთით კარგა მოზრდილი სამხარეულო ეკრა ნაეთქურით და ჭურჭლეულობით.

ამხელა ბინაში მარტო ცხოვრობდა, მახსოვს ერთხელ კი ჩამოუვიდა და თავის მშობლიურ ჩერნიგოვოს ოლქიდან, სადაც მისი დები და მგონი დედაც ცხოვრობდნენ.

* * *

დაიწყო გაყვეთილები, ჩემი მოწაფე მუყაითი და დიდი მეხსიერების პატრონი აღმოჩნდა, ყოველ დავალებას პირნათლად ასრულებდა და ახალ სიტყვას თუ კი დაიჭერდა — მორჩა, მერე არ დაავიწყდებოდა მალე ქართულად დავიწყეთ საუბარი, რა თქმაუნდა, არც ისე გამართულად.

ხშირად რომელიმე ახალ სიტყვას რომ ავუხსნიდი, წამოიძახებდა: — ეს სიტყვა ხომ სპარსულია, ეს თათრულიო და სხვა... ასეთი სიტყვებიდან მახსოვს „ოდა“ (სახლი) და ფანგარა; ერთხელ მითხრა — რუსული სიტყვა „Шаматъ“ ქართული „ჭამიდან“ არის

გადმოტანილი. ტიჩინასთან სიარული შეუმჩნეველი არ დარჩათ მის მეზობლებს, თურმე საქმე იმაში იყო ჩემს გარდა მის ბინაში შემსვლელი თითქმის არავინ არ ენახათ; ისე კარჩაეტილი ცხოვრობს, ვერავინ ვერ გაბედავს მასთან მისვლას და შეწუხებასო, განსაკუთრებით ქალები იყვნენ დაინტერესებული — როგორ ცხოვრობს, როგორ აქვს ოთახები მოწყობილიო და სხვა... მე ერთ წელზე მეტი დავდოოდი მასთან, დიდხანს ვრჩებოდი, მაგრამ მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ მქონდა შემთხვევა ვინმეს შევხვედროდი. ერთხელ დონბასელი მუშა მწერალი ეწვია, ისიც ცოტა ხნით, მეორედ კი სამი უკრაინელი მწერალი ესტუმრა იტალიიდან იხლად დაბრუნებულები და კარგა ხანს დარჩნენ.

პავლო გრიგორიის განმარტოებით ცხოვრობდა, ჩაიკეტებოდა თავისთვის და კითხულობდა ან წერდა.

ერთი უცნაური გასართობითაც იქცევდა თავს — როგორც მოგახსენეთ „ბუდინოვ სლოვო“ ქალაქის განაპიროს იდგა, რომლის იქეთ ცარიელი მინდვრები, ხევები და ტყე იწყებოდა, მთელი ეს მიდამო ავსებული იყო ყორნებით. გრიგორიისმა შამორჩია თურმე რამოდენიმე ყორანი, დროგამოშვებით ყიდულობდა იმ დროს ძვირად და ძნელად საშოვარ ხორცს, დასჭრიდა ნაწილ-ნაწილად, ჩამოაწყობდა ფანჯრის გარეთა რაფაზე და უცემრდა როგორ მოფრინდებოდნენ ყორნები და დაუწყებდნენ ხორცს ჭიმას, თუ აუცილებელი საქმე არ ჰქონდა ბინიდან არ გამოვიდოდა. დალამების შემდეგ კი ქალაქში გავლა დიდ სირცევილად მიაჩნდა.

ორი თუ სამი შეხვედრის შემდეგ კ. გამსახურდიაზე ჩამოვუზდე პავლო გრიგორიის საუბარი. მან მაშინვე გადმოიღო ლიტერატურული უნცილობებია მოძებნა „გამსახურდია“ და ლმერთო ჩემო! რა არ ეწერა შიგ, თუ რაიმე უარყოფითი კი ჰქონდა ან არ ჰქონდა ყველაფერი გამსახურდიაზე იყო მიწერილი, თუმცა ამ უარყოფითი მხარეებიდანაც გამოსკვიოდა, რომ გამსახურდის დიდი ხევდრითი წონა ჰქონდა ქართულ მწერლობაში.

გრიგორიიმა აღმითქვა დახმარება თარგმნის საქმეში, მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ, როგორც ნამორაძემ გადმომცა უკრაინის გამომცემლობას დადებითად გადაწყვეტა „დიონისეს ლიმილის“ თარგმნის საკითხი.

ეს ამბავი მაშინვე წერილით ვახარე გამსახუდის, თან ვაცნობეტიჩინას და მაქსიმი მაქსიმის ლებედის მისამართები.

უკრაინის გამომცემლობის უფროსი იყო გვარად იალავონი, მის მოადგილედ მ. მ. ლებედი რომლის ხელში იყო ფაქტიურად მთელი გამომცემლობის საქმე. მეც ამ ლებედს გავეცანი ტიჩინიას და ნამორაძის შეშევრობით. ამგვარად გაჩალდა მიწერ-მოწერა გამ-სახურდიას, ტიჩინიას, ნამორაძეს, ლებედის, იალავონის შორის.

თარგმნის საქმეც წინ წავიდა...

პავლო გრიგორიჩითან განვაგრძობდი სიარულს, მისმა მორიდებულმა ბუნებამ ცოტა არ იყოს შემაფიქრიანა, ხომ არ ვაწუხებ რაიმეთითქო და ნამორაძეს გაკითხვინე;

— ძალიან კარგი ყმაწველია, მე ძალზე მომწონს, ყოველთვის მახარებს მისი მოსვლა, მხოლოდ, საქმე ის არის, თამბაქოს ეწევა ოთახში და ყოველთვის თვალტყიებულს მტკვებსო ეთქვა.

გამახსენდა — როგორც კი თამბაქოს მოწევას დაიწყებდი დგებოდა და „ფორტოჩას“ აღებდა ხოლმე. ამის შემდეგ რომ მივედი მასთან მთელი ერთი საათი გავიდა თამბაქო არ მოვწიე. გრიგორიჩიმა ოდნავ დარტყენილი ლიმილით მოთხრა:

— თქვენ უთუოდ ნამორაძემ გითხრათ რაიმე და იმიტომ არ სწევთ თუთუნს, მე ვიცი რომ მოწევა გინდათ, მოსწიეთო...

მე ვიუარე, მაგრამ რომ არ მომეშვა, ავანხე გავედი და იქ მოვწიე.

ამის შემდეგ თამბაქო არ მომიწევია... იმ ხანებში მეც დაინტერესებული ვიყავი ლიტერატურით. ეს შემამჩნია ტიჩინიამ და ნელ-ნელა დამიწურ საუბრები ლიტერატურაზე, და ბოლოს იქმდე მივედი საათნახვევარს მე რომ ვაშეცადინებდი ქართულ ენაში, ერთ საათს ის შესაუბრებოდა ლიტერატურის საკითხებზე, განსაკუთრებით უკრაინის ლიტერატურაზე.

ჩვენი საუბრებისას რუსულ ლიტერატურიდან გარდა კლასიკოსებისა მხოლოდ ალექსანდრე ბლოკზე შეეძლო დაუსრულებლად ელაპარაკა და გადავარჩებული არ იქნება თუ ვიტყვი — ბლოკს ისე არ ახსნებდა, რომ არ აცრებლებულიყო. ერთხელ ისიც წარმოოქვა „დალუპეს საცოდავიო“. მეორე პოეტი რომელსაც სთვლიდა დიდ პოეტად და დიდ ტალანტის მქონედ ვ. ხლებნიკოვი გახლდათ; მაშინ ახალგაზრდობა გატაცებული ვიყავით სერგეი ესენინით. პავლო გრიგორიჩის რომ ვუხსენე, ასე თქვა: „კარგი პოეტია, მაგრამ ცოტა არაორგანიზებულიაო“. რას გულისხმობდა ამ „არაორგანიზებულში“ არ ვიცი. ედუარდ ბაგრიცკიც შევახსენე თავისი „ფიქ-

რეგის ათანასეზე“-თი. „ჰო, ის ოდესელი ებრაელიაო“ მოკლედ მითხრა.

მე ალ. ბლოქს ძალიან სუსტად ვიცნობდი, ვიცოდი მხოლოდ მისი „თორმეტი“ ვ. ხლებნიკოვზე კი თითქმის წარმოდგენაც არ მქონდა...

მალე ისევ უკრაინის ლიტერატურაშე გადავედით; შემორჩენილი მაქეს ნაწილი იმ ჩანაწერებისა, რომელსაც მაშინ ვაწარმოებდი მეტად უგულისყუროდ, რადგან აზრიადაც არ მომსვლია, რომ ოდესმე დამჭირდებოდა მათი გახსენება და მეხსიერებაში აღდგენა.

აი ეს ჩანაწერებიც ტიჩინის საუბრისა:

1929 წელი 12 ოქტომბერი. ზუსტად საიდან იწყება უკრაინის ლიტერატურა ჭერ დაუზუსტებელია, ვარაუდით საწყისად მეოთე საუკუნეა მიღებული.

პირველი ნაწრმოები მე-XII საუკუნის მხატვრული ძეგლია „Слово о полку Игореве“. ამ ნაწარმოებს რუსები იჩემებენ.

მეოთხუთმეტე საუკუნიდან ვხვდებით სხვადასხვა ქვეყნებიდან გაღმოტანილ კულტურის ნაშთებს, არაბეთი, ეგვიპტე, საბერძნეთი, როცა ერს თავისი კულტურა არა აქვს, სხვისგან იტაცებს. მეოთხესმეტე საუკუნიდან იწყება აღორძინების ხანა:

1. ივან ვიშინსკი — საბერძნეთი XVII საუკუნე;
2. სკოვოროდა — მე-XVIII საუკუნე — ფილოსოფოსი და განმანათლებელი;
3. კოტლიარევსკი — „ენეიდა“.

შემდეგია:

4. არტემოვსკი,
5. კულიში,
6. შევჩენკო,
7. პანას მირნი ნამდვილი გვარი — ათანასე რუსჩენოვ,
8. კოტლიარევსკი — ასი წლის წინეთ — „ენეიდა“, გოგოლი — კოტლიარევსკი.

შემდეგ:

ვასილ სტეფანიკ — გალიცია,
მიხეილ კაციუბინსკი,
კოლა ჩერნიავსკი,

ოლგა ბაბილიანქა (ბუკოვინა),
 ლესია უქრაინქა,
 ვინიჩეკო ოლეს (ემიგრანტები),
 ტიჩინა,

შევჩენკო — სიზმარი ანდრეძი, როგორც რუსთაველი, გოეტე,
 უქსპირი, დანტე (კობზარი).

II ივან ფრანკო — გარდაიცვალა 1916 წელს როგორც ილია
 ჭავჭავაძე „მოპარული ბედნიერება“.

თეატრი კიევში მისი სახელობის (ციხე, სტატიები, მეცნიერული ნაშრომები, მწერალი, პოეტი („ზალატოი ობრუჩი“, „ზახარ ბერკუტიდან“) მეცნიერული ნაშრომები პოლონურ და გერმანულ ენებზე, დანარჩენი უქრაინულად.

„ბორისლავი იცინის“ — კინო.

1. პოემა — „მოსეი“,
2. პროზა — ბოა კონსტრიქტორ,
3. „ზახარ ბერკუტ“.

უკრაინის ლიტერატურის ისტორია:

„ქვის მტეხელები“,

„ამხანაგებს ციხიდან“ (ყველაფერი დაწერილია რუსულ-ენაზე).

ჩემი მინაწერი: ფრანკოსთან ისე არ იგრძნობა უქრაინა როგორც შევჩენკოსთან. საერთოდ მათი შედარება არ შეიძლება — ფრანკო ფართოდ არის გაშლილი და ნაკლები სიღრმისაა. გ. ნამორაძემ მითხრა ფრანკო უფრო შიო არაგვისპირელს გავს ვიდრე სხვა ქართველ მწერალსო. შევჩენკო მთელი არსებით უკრაინაა.

II ვასილ სტეფანიკი.

საუკეთესო ნაწარმოებია „გზა“ მინიატურისტია. (დიდი მეგობრობა აქვს პოლონეთთან) გლეხური მწერალია. არა აქვს თავი და ბოლო. ჩეხოვის თოფი: თუ პიესაში კედელზე თოფი კიდია, ის უნდა გავარდესო.

პირველი იმპრესიონისტი სტეფანიკია.

შთაბეჭდილება.

ჩეხოვის ბოთლის ნატეხი სურათები ღრუბლებში „დუნაი გროშ“, უქსპრესიონიზმი — როგორც თვითონ ხედავს.

გიდე მოპასანის გავლენა.

ჩეხოვს ალბათ არ იცნობდა.

I იმპრესიონიზმი — ლრუბლიანი ხიდი კვიპაროსის ხე, აღამიშვილი —
თითქო ნაფლეთებიდან.

II ექსპრესიონიზმი — საგნების დალაგება საკუთარი თვალთა ხედ-
ვით გამრუდული მაგილა, კუთხური კუნთები, გადატეხილი ტანი.

ჩემი შენიშვნაა: სტეფანიკზე ბევრი მელაპარავა
კაციუბინსკი

პირველად გლეხის იდეალიზაცია (ფურიეს გავლენა) ეგზოტიკა...
ბურუუაზიული გაგება.

ეგზოტიკა „ფატა მორგანა“

„ „სიცილი“

„ „ის მოდის“

სახელმწიფო გამომცემლობა 1929 წელი:

„ტენი ზაბიტის პრედკოვ“.

როგორც ფსიქოლოგი გარდაიცვალა 1913 წელს.

ჩეხოვი და კაციუბინსკი.

ბოდვა გდალავს ადამიანს თუმცა კარგია ქალაქის და სოფლის
დაპირისპირება.

20 ოქტომბერი

ვინიჩენკო

კაციუბინსკის — სილრმე,

ვინიჩენკო — საფართე.

გზა გლეხებიდან; სტეფანიკ — სუსტი პროტესტი; ვინიჩენკო რე-
ვოლუციონური, გზა სოციალური, კონტრასტები ბურუუაზის დე-
გენერაცია მორალი დიდი ხეა გაშლილი და გადამწყვეტ პასუხს ვერ
იძლევა ვერც ერთ პრობლემაზე. „ხოჩუ“, „სოლნეჭნაია მაშინა“,
„კრასა ი სილა“.

დიდი განათლებული პიროვნებაა:

პირველია ნაციონალური საკითხი.

ჩქარობს. რა დიდი ნაკლია უამრავი პროდუქცია; გორკი, ანდ-
რევი, კუპრინი სახელმწიფო კაცია და „ვოუდ ნაციი“.

უკრაინის დამოუკიდებლობის დროს პრემიერ მინისტრია, გა-
საბჭოების შემდეგ ერთხანს რჩება უკრაინის მთავრობის შემად-
გენლობაში... მოითხოვა პოლიტბიუროში შეყვანა, არ შეიყვანეს.
წავიდა საზღვარგარეთ. ემიგრანტია, ჰყავს ებრაელი ქალი ცოლად
(ალბათ კარგად უვლისო).

ოლეს

დაბადებულია 1878 წელს — რევოლუცია...

22 ოქტომბერი

ლესია უკრაინკა

ჭლები — ეგვიპტე — საქართველო... (ხონი, ქუთაისი, სურამი) და-
ბადებულია 1893 წელს, გარდაიცვალა 1913 წელს, სიმბოლისტი.

ლირიკიდან — ღრამატიზმი. იცნობენ როგორც ლირიკოსს ბევ-
რისათვის გაუგებარია (ბლოკი, ხლებიკოვი).

ხელოვნების მაღალი გაგება.

მაღალი სულის პატრონია.

დიდი კულტურის მქონე და უაღრესად განათლებული.

საუკეთესო ნაშრომები დაწერილი აქვს საქართველოში 1911 წელს
(ქუთაისი, ხონი, სურამი)

თარემნილია ბევრ ენაზე

„ორგია“, „ვენეცია“, „ლისოვა პესნია“, „კასანდრა“.

დღემდე არსებულ ყველა პოეტებზე მაღალია.

ახლები:

1. ხეილევოი

2. ბაჟანი

3. პეტრო პანჩი და სხვები.

ჩემი მინაწერი. თავის თავზე არაფერს ამბობს. აქ წყდება ჩა-
ნაწერები... ეს როდი ნიშნავს ასე მოკლედ გვეონდა საუბარი,
ოვითეულ მწერალზე ხშირად ორ დღეს ულაპარაკია.

დიდად ვწერხვარ, რომ ძალზე უყურადღებოდ ვექციოდი ამ სა-
უბრებს და ნაწილი ჩანაწერებისა უგზო-უკვლოდ დავკარგე.

* * *

ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, თუ რა ატმოსფერო იყო იმ
დროს უკრაინაში განსაკუთრებით წამყვან ინტელიგენციას შორის.

ბრძოლა მეფის რუსეთის იმპერიაში შემავალ ერთა თვით-
გამორკევებისათვის თავის მოცულობით 38 მილიონიან უკრაინაში
იგრძნობოდა. უკრაინას სხვა ერებზე მეტი ხელრითი წონა პქონდა
და წინააღმდეგობის გაწევაც მეტი შეეძლო.

ჩემთვის უცნობია 1917 წლამდე ეროვნული ბრძოლის გზა
უკრაინაში, მხოლოდ ეს ფაქტია, რომ იწყო თუ არა მსხვევა რუ-
სეთის ძირმომპალმა იმპერიამ — უკრაინაშ მაშინვე დამოუკიდებ-



ლად გამოაცხადა თავი და გაემიჯნა რუსეთს; საფიქრებელია ამ მომისამართის მუშაობა და მზადება ამისათვის მანამდეც წარმოებდა. დიდხანს არ დასცალდა უკრაინას დამოუკიდებლობის შენარჩუნება როგორც სხვა ერებს არ დასცალდა გარდა ფინელებისა; პოლონელებისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებისა, რომელთაც სულ სხვა ბედი ერგოთ.

„სამასტიინა უკრაინა“ დარჩა მხოლოდ როგორც მოგონება და სიზმარი, რაც მოსვენებას არ აძლევდა ნაციონალისტურად განწყობილ უკრაინელებს, ამას თან ერთვოდა საერთაშორისო ბურუუზაზის ინტრიგები და გარედან თითქოს შეუმჩნეველი, მაგრამ შინაგანი ბრძოლა კი თანდათან ღვივდებოდა.

სხვა ერებთან შედარებით უკრაინული ეროვნული სახის შენარჩუნება უფრო რთულია ვიდრე საქართველოს ან სომხეთის და საერთოდ არა სლავიანური ერების. უკრაინულსა და რუსულს შორის ზღვარი მეტად მკრთალია და ზოგჯერ ძნელი გასარკვევიცაა სად იწყება უკრაინული და სად მთავრდება რუსული, ამიტომ იყო სწორედ, რომ ყველაფერში სჩანდა რუსულსა და უკრაინულს შორის გამიჯვნის ცდა.

უპირველეს ყოვლისა ამას ადვილად ამჩნევდა უცხო ადამიანი, ყველა კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულებას წარწერა აუცილებლად უკრაინულ ენაზე ჰქონდა გაყეობული. საქმისწარმოება ყველა დაწესებულებაში უკრაინულად იყო, მთელ ქალაქში რუსულ ენას იშვიათად გაიგონებდი, იქამდე არაუკრაინული მოსახლეობაც იძულებული იყო უკრაინულად ელაპარაკა ასჭერ რომ შეკითხოდით სავაჭრო ნოქარს რუსულ ენაზე, პასუხს არ გაგცემდათ. ასეთი მდგომარეობა იყო ყველგან და ყველაფერში, ამათ გარდა ვერ ნახავდით ვერც ერთ დაწესებულებას, პირველ პლანზე ტარას შევჩერებოს სურათი რომ არ ყოფილიყო დაკიდებული. აქანე თუ შეამჩნევდით შევჩერებოსთან ერთად შარტიის ბელადების სურათებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ უკრაინელ სტუდენტების მოთხოვნით რამოდენიმე უმაღლეს სასწავლებელში მხოლოდ უკრაინულ ენაზე შემოიღეს მეცადინეობა, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია არაუკრაინელ სტუდენტთა შორის.

მოსალოდნელი უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით ინსტიტუტებში ისევ რუსულ ენაზე გადავიდნენ. ყოველივე ასეთები, რა თქმა უნდა, თავისთავად არ ხდებოდა, უთუოდ იყო ხალხი,

რომლებიც ხელს უწყობდნენ ამ არაჯანსაღი განწყობილების შექმნაზე მომდევნობის უკრაინელ ხალხში. მათ შორის, როგორც მესმოდა, მთავარ როლს ასრულებდნენ იმ დროინდელი სახალხო განათლების კომისარი უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი სკრიპნიკი და უკრაინის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ხვილევოი. ეფიქრობ ყველაფერი ეს კარგად იცოდნენ უკრაინის კომ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კოსიორმა, მეორე მდივანმაც ლავრენტიმ (ლავრენტი ქართველიშვილმა, რომელიც გვარად „ლავრენტის“ ატარებდა) და უკრაინის ცაკის თავმჯდომარემ პეტროვსკიმ; მდგომარეობა თანდათან მწვავდებოდა, ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენციი მთელ ჩიგ შემთხვევაში ღიად გამოდიოდა „მოსკოვის დაწოლის“ წინააღმდეგ, როგორც სიტყვით ისე პრესაში.

არ შეიძლება ყოველივე ეს მოსკოვს არ ცოდნოდა და თუ ერთგვარი წაყრუების პოლიტიკას ადგა, ანგარიშს უწევდა, როგორც ზემოდ ალენიშნეთ, საერთაშორისო ბურუუაზის ინტრიგებს და თან ერიდებოდა თუნდაც მცირე ნაპერწყალს რაიმე ხანძარი არ მოყოლოდა. ამიტომ იყო საჭირო შეთრევის პოლიტიკა და იმ მომენტის მოლოდინი, როდესაც ეს არაჯანსაღი ატმოსფერო გაიფანტებოდა უმტკიცნეულოდ. არც სულ უყურადღებობა ვარგოდა და ამიტომაც ორჯერ იქნა უკრაინის დელეგაცია მოსკოვს მიწვეული საერთო ენის გამონახვისა და გაუგებრობის მოსპობის მიზნით.

მეორე დელეგაციაში, სხვებთან ერთად, პავლო ტიჩინაც ყოფილა.

დელეგაციაში ოც კაცამდე ვიყავითო, მომიყვა პავლო გრიგორიჩმა. მოსკოვში დიდი პატივით მიგვიღეს და კრემლში მიგვიწვიეს ი. ბ. სტალინთან შესახედრად. ვზიგართ ერთ-ერთ დარბაზში და ვალოდებით სტალინის გამოსვლას არაუმეტეს ხუთი წუთის ლოდინისა, შემოვიდა სტალინი. ყველას გულთბილად მოგვესალმა, ოფიციალობა გვერდზე გადადო, დაჭდა, ყველანი ირგვლივ შამოვვისვა და ისე მეგობრულ ვითარებაში დავიწყეთ საუბარი. რა საკითხებზე ჰქონდათ საუბარი ყველა როდი დავიმახსოვრე, ზოგი მათგანი კი მაგონდება, მაგალითად:

1. ხალხური ეპოსი „სიმღერა იგორის ლაშქრობაზე“ უკრაინულია და არა რუსული.

2. გოგოლი და ჩეხოვი (მისი ნამდვილი გვარია „ჩეხ“ უკრაინელებია და არა რუსები.)
3. უკრაინაში რუსული შრიფტის მაგიერ შემოღებული იქნეს ლათინური შრიფტი.
4. რუსეთის სახელგამის მიერ გამოცემულ გეოგრაფიულ ატლასი, სადაც ეროვნებები ფერებით არის აღნიშნული შორეულ აღმოსავლეთსა და ყუბანის გარკვეულ აღგილებში, უკრაინელები გაფერადებულია როგორც რუსები.
5. აღმინისტრაციულად დაყოფის დროს ქალაქი ტაგანროგი, ეს ჰეშმარიტად რუსული ქალაქი, უკრაინის ჩესპუბლიკისა შეყვანილი და ჩერნიგოვის ოლქიდან ორი სუფთად უკრაინული რუსეთზეა მიეუთვნებული.
6. კიევში დადგმულ ბოგდან ხმელნიციას ძეგლს მოსკოვისაკენ აქვს მიშვერილი ხელი. ძეგლი უნდა შებრუნდეს ისე, რომ ხელი ევროპისაკენ ჰქონდეს, ესე იგი კულტურის კერისაკენ. ი. ბ. სტალინს აღნიშნულ კითხვებზე დაახლოებით შემდეგი პასუხი გაუცია:

 1. „სიმღერა იგორის ლაშქრობაზე“ რომ უკრაინული ძეგლია, ეს არსად არ არის მოხსენებული და უკრაინელებს ამის დამტკიცება არ შეუძლიათ, ეს სადაო საკითხია და უპირატესობა რუსებს იმაში აქვთ, რომ ეს ძეგლი რამდენიმე საუკუნეა რუსულად არის მოიარებული, ასე რომ ამ საკითხზე დავა არ მიმაჩნია საჭიროდ.
 2. გოგოლისა და ჩეხოვის გაუკრაინელება, რამდენიც არ უნდა ვეკუდოთ, შეუძლებელია, როგორც პუშკინის ნეგრ პოეტიდ აღიარება, თუმცა წინაპარი ნეგრი ყოლია. რამდენიც არ უნდა ვიძახოთ: გოგოლი, პუშკინი, ლერმონტოვი, ჩეხოვი, ტოლსტოი რუსი მწერლები არ არიანო, ამით მე მგონი, მხოლოდ ხალხს გავაცინებთ.
 3. თუ დაასაბუთებთ, რომ ლათინური შრიფტი უფრო იხლოა უკრაინული ენისათვის თავისი აგებულობით ან ფონეტიკის მხრივ და სხვა რაიმე სახით, დიდი სიამოვნებით საწინააღმდეგო ვის რა ექნება, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, თქვენ ამას ვერ დაამტკიცებთ, რუსული და უკრაინული ენები ისე ახლო არიან ერთიმეორესთან.
 4. ამ საკითხზე ზედმეტია. ხვალე იქნება მითითებული გადაისინჯოს გეოგრაფიული ატლასი და თუ იქ სამი თუ ოთხი წერტილი არ არის სწორედ შეფარდებული შეასწორონ.
 5. ეს საკითხი მე ძალზე მაკვირვებსო, უთქვამს ი. ბ. სტალინს, აქ უთუოდ უბრალო კაპრიზია, თორემ ვერ წარმომიდგენია თავის

ქვეყანაზე მხრუნველმა კაცმა ქალაქ ტაგანროგშე უარი თქვეს რა-
ღაც ორი სოფლის გამო. მე ვფიქრობ თქვენს მოთხოვნაზე რუსე-
ბი უარს არ იტყვიან, მაგრამ ვინ დარჩება მოგებული და ვინ წა-
გებული ეს თქვენ თვითონ განსაჭერ.

6. ხმელნიცის ძეგლის შებრუნება არც თუ ცოტა თანხა დაჭდება.
დაუფიქრდით; ჯერჯერობით არც ისე მდიდრები ვართ, ხელგაშლილ
ცხოვრებას მიყყოთ ხელი. შემდეგ გადავედით სხვა საკითხებზე,
ასე რომ თითქმის ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა ჩვენი საუბარით.
პავლო გრიგორიშვილი ხაზგასმით აღნიშნა, ამხანავ სტალინმა სა-
უბარში რამდენიმეჯერ წარმოთქვა „ჩვენთან საქართველოში“
(У нас в Грузии) ასე და ასე ხდებათ.

მოსკოვშე მოგონებისას ასეთი კურიოზული ამბავიც მოაყო-
ლა. უკრაინელი სტუმრები რუს მწერლებს გერცენის სახელმის
სახლში მიუწვევიათ, როცა მისულან, იქვე შეხვედრიათ მთერალი
პოეტი დემიან ბედნი, უკრაინელები რომ დაუნახავს წამოუძახია
„აი თქვენ ხახოლებოვო“ Ax, ვა ხოხლი თქვენი დედაც ასე და
ისეთ შეუკურთხებია, მგონი ხელითაც წაწეულა საჩხუბრად. ეს ინ-
ციდენტი იმის მაჩვენებელია, უკრაინელთა საერთო განწყობილება
რუსებმაც კარგად იცოდნენ და დემიან ბედნიმ სიმთვრალის დროს
გერ დამალა, რასაც სიფხიზლეში თითქოს არაფრად აგდებდა.

ასეთ ვითარებაში მყოფი უკრაინის ინტელიგენცია ერთგვარ
თანამგრძნობსა და მოკავშირეს ეძებდა.

დიდ გულთბილ დამოყიდებულებას იჩენდნენ ბელორუსის მი-
მართ, რომელთა ინტელიგენციას უდგა სათავეში პოეტი იანკა კუ-
პალა, პოლონელებთან კი ვერ იყო მაინც და მაინც სახაბიერლო
ურთიერთობა დასავლეთ უკრაინის გამო, რომელიც მიტაცებული
ქონდა პოლონეთს.

თუმცა იმ დროინდელ უკრაინის ინტელიგენციის მეტი ნაწილი
სკრინიკისა და ხვილევოს გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, თა-
ვისებურება ყველას ახასიათებდა, თავისი ინდივიდუალური სახე
ყველას გააჩნდა, ზოგი მარჯვნივ ექაჩებოდა და ზოგი მარცხნივ;
ხვილევოს გადმოსროლილ ლოზუნგს „პირით ევროპისაენ“
(Лицом к Европе) შეიძლება ვინმე თანაუგრძნობდა, მაგრამ მის
გამომედავნებას პიროვნებისათვის არასასურველი და სახიფათო
შედეგი შეეძლო მოყოლოდა, ტიჩინა თითქოს განშე იდგა. მისი
პოეზია ერთგვარ ზომიერებას გამოხატავდა; იმ დროინდელ ტიჩინა-

ზე არ შეიძლება თქმა, რომ ის პროლეტარული მწერალი იყო
მაგრამ რევოლუცია რომ მიღებული ჰქონდა და უფრო საბოთა-
ხელისუფლებისაკენ მიიწვედა, ეს ცხადი გახლდათ. ხელისუფლება
ამას ხედავდა, ამიტომაც რაც შეიძლება პატივს სცემუნენ, რო-
გორც ნიჭიერს, კვევიანსა და სასურველ პიროვნებას.

უკრაინის მეცნიერებათა აქადემიის წევრი (რაც იმ დროს იშ-
ვიათ მოვლენას წარმოადგენდა), მთელი ჩიგი უურნალების და
გამოცემების რედაქტორი, მგონი ორდენოსანიც იყო, თუმცა მის
მკერდზე რამე ნიშანი არასოდეს არ შემიჩნევია, გარდა უკრა-
ინის ცავის წევრობის ნიშნისა. საერთოდ არ უყვარდა თავის გა-
მოჩენა, არასოდეს ტრამვაის წინა ვაგონში არ ავიდოდა „ხალხი
დამინახავსო“ მეტყოდა ხოლმე, თითქოს ტრამვაის წინა ვაგონში
ჯდომა სირცევილი ყოფილიყოს.

აი ასეთს ვიცნობდი პავლო გრიგორიჩს.

* * *

კარგად არ ვიცი რა იყო მიზეზი, ვამჩნევდი კი პავლო გრიგო-
რიჩი თანდათან კარჩავეტილი ხდებოდა, უმეტესად სახლში იჯდა,
გარეთ გამოსცელას ერთიდებოდა, გადაჭარბებული არ იქნება თუ
ვიტყვი, რომ ერთადერთი ადამიანი რომელსაც ლებულობდა ბინა-
ზე მე-ვიყავი.

მატერიალურად, ვფიქრობ, უზრუნველყოფილი იყო და ას
უჭირდა, უბედურება ის იყო, მარტოდ ცხოვრობდა, საჭიროების
დროსაც რიგში ჩადგომა მას არ შეეძლო.

დიდი უხერხულობა იგრძნო ერთ დილას ერთი ბულკი და ორი
კვერცხი რომ მივუტანე, შეწუხდა, თუმცა ჭამაზე უარი ას
უთქვამს.

— პავლო გრიგორიჩი! რა არის მთელი დღეები არ გამოდიხა
ბინიდან, უთუოდ სწერთ რამესთქო — შევეკითხე.

— წერით ძალიან ცოტას ვწერ. მე სასულიერო სემინარია
მაქვს დამთავრებული, მინდა ლექსების მაგიერ ლოცვების წერა
დავიწყოვო მიპასუხა, რამდენადაც ვიცოდი ტიჩინა იმ დროს მუ-
შაობდა პოემა: „სკოვოროდაზე“. სკოვოროდა როგორც ცნობილია
მე-XVIII საუკუნის დიდი მოაზროვნე და პოეტი იყო.

— დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი და სკოვორო-
და ერთ დროს ცხოვრობდნენ, უდაოა ერთმანეთს იცნობდნენ და

შეც მინდა ჩემს პოემაში ისინი ერთმანეთს შევახვედროვ, ში-
თხრა.

ერთ დღეს შევეხვეწე მიამბეთ რაიმე უკრაინის ისტორიის შე-
სახებ, მე არაფერი არ ვიცი, გარდა სკოლაში გავლილი რუსეთის
ისტორიისა, სადაც გაეკრით არის ნახსენები კიევისა და პოლტა-
ვის შესახებთქო.

მეორე დღესეე გამგზავნა ისტორიის დიდ მცოდნე უკარად ხვე-
ლიასთან.

საინტერესო იყო, როგორ მიმასწავლა ხველიას ბინა:

— წახვალ ამა და ამ ნომერ ტრამვაით, ამ აღვილზე ჩამოხტე-
ბი, იქ დიდი ხე დგას, კუთხეში სახლია, მიხვალ სადარბაზო შე-
სასკლელთან, გაიგონებ პრიმუსის ხმას და იქ დააკაკუნეო“. ყვე-
ლაფერი გასაგები იყო ჩემთვის, მხოლოდ ის ვერ გავიგვი, რომ
აუცილებლად უნდა გამეგონა პრიმუსის ხმა. ხომ შეიძლებოდა
შრიმუსი არ ჰქონდა ანთებული იმ კაცს.

მეორე დღესვე წავედი, მივადექი ბინას და ჭოი, საკვირველე-
ბავ! დერეფანში მართლა ისმოდა პრიმუსის ხმა.

ხველია ბინაში დამხვდა, დიდათ გაეხარდა პავლო ტიბინას
წარგზავნილი რომ ვიყავი და მისვლის მიზეზი გაიგო, მიუხედავად
იმისა, ორ საათზე მეტი მესაუბრა უკრაინის ისტორიაზე, ახალი
არაფერი გამიგია.

თავიდან ბოლომდე გაიმეორა ჩემთვის უკვე ცნობილი რუსე-
თის ისტორია და მარწმუნებდა — ეს უკრაინის ისტორიაა და არა
რუსეთისო.

ბოლოს მაჩუქა მის მიერ ესპანურიდან თარგმნილი რამოდენი-
მე წიგნი და გამომისტუმრა.

* * *

გაზეთებიდან გავიგვ ხარჯოვში მოწვეული იყო პროლეტარულ
მწერალთა მსოფლიო საერთაშორისო კონგრესი.

ერთ დღეს ტიბინას მაგიდაზე ამ კონგრესზე მისაწვევი ჭარათი
შევნიშნე.

— პავლო გრიგორიჩ კონგრესზე დაღიხართ? — შევეკითხე.

— ჯერ ერთხელაც არ ვყოფილვარო — მიპასუხა.

— რატომ?! გვიკვირვე მე — იქ ხომ მთელი მსოფლიოდან



არიან ჩამოსული პოეტები, მწერლები, ნუთუ არ გაინტერესებოდნენ
მათი ნახვა!

— ო, მე ვიცნობ უმეტესობას, ვიცი ვინც არიან, უფრო მეტი
მათგანი რუსეთიდან გაქცეული ებრაელია, მე არ ვფიქრობ წასვ-
ლას, არ მცალია, თუ გინდა ამ ბარათით შენ დაესწარი კონკრეტუ-
სო შემომთავაზა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ბარათი გა-
მოვირთვი და გავსწიე ბლაკიტის სახელობის სახლისაკენ, სადაც
მიმდინარეობდა კონკრეტი. ჩემდა სასიხარულოდ შესასვლელ კა-
რებთან მაქსს ლებედი იდგა, რომელიც მთავარი ადმინისტრატო-
რის როლს ასრულებდა.

საერთაშორისო თავკრილობას პირველად ვესწრებოდი. ამიტომ
დიდათ გამაჯვირვა ჩემთვის უჩვეულო ამბავმა: სხდომის მიმდინა-
რეობის დროს დარბაზის ყველა კარები ღია იყო: შედიოდენ და
გამოდიოდენ ვისაც სურდა, ზოგი წიგნს ან გაზეთს კითხულობ-
და, ზოგს ეძინა, ზოგი კი მადიანად ილუქტებოდა, ვიფიქრე, უთუ-
ოდ შესვენებაათქო, მაგრამ ჩემს შეცდომას მალე მიგხვდი, როცა
ყრილობის პრეზიდიუმი უნგრელი მწერალი ბელა ილეშის თავ-
მჯდომარეობით თავის ადგილზე იჯდა და ორატორი იოპანეს ბე-
ხერი აღვინებული პათოსით ამბობდა თავის სიტყვას. მაქს ლე-
ბედს რომ ვუთხარი ჩემი გავეირება, ღიმილით მითხრა — საზღვარ-
გარეთელებმა არ იციან ჩვენებური ლისციპლინა კრების მსვლე-
ლობის დროსო, ისინი როგორც მოესურებათ ისე იქცევიან, უნ-
დათ ისმენენ, უნდათ კითხულობენ, უნდათ გარეთ გავლენო. ლე-
ბედის შემწეობით ბევრი მწერლის ვინაობა გავიგე: ფალევევი, კა-
ტაევი, ბელა ილეში, იოპანეს ბეხერი, ჰემინგუეი, ლუი არაგონი,
ინგლისელი, იტალიელი, იაპონელები და სხვები, რომელთა გვაჩ-
ბი სამწერაროდ მაშინ არ ჩავიწერე და ახლა არ მახსოვეს.

მომეწონა ჰემინგუეი, ვაჟეაცური და ატლეტური შესიხედაობა
ჰქონდა, ფერადფანიანი რომ არ ყოფილიყო, ქართველი გეგონე-
ბოდათ. გამაჯვირვა იაპონელების სახის ყვითელმა ფერმა, ბლომად
იყვნენ სხვა ფერადფანიანებიც.

— უკრაინელები სად არიან? — ვეკითხები მაქს ლებედს.

— ჰმ, უკრაინელები, არიან კი, რამოდენიმე ამხანაგი, ზოგი
ვერ მოვიდა — მასსუხობს.

— ვერ მოვიდნენ თუ არ მოვიდნენ?

— რა მოგახსენოთ...

— ქართველები არ არიან? არ ვეშვები ლებედს.

— ქართველები პ. ქიქოძის მეთაურობით ქვედა სართულში არიან და კონგრესის რეზოლუციის ადგენერნო, მპასუხობს.

მე ქართველი დელეგატები არ მინახავს, რომელიმაც ოთახში იყვნენ ჩაეტილი.

ბეჭერის შემდეგ ფრანგულ ენაზე ილაპარაკა ლუი არაგონმა, მხოლოდ როცა მოხსენების შემდეგ ლუი არაგონმა შშვენივრად გამართული რუსული ენით დაუწყო საუბარი რუსებს, გამახსენდა პავლო გრიგორიჩის სიტყვები „უმეტესობა მათვანი რუსეთიდან გაქცეული ებრაელია“. შემდეგ წამოდგა სამხედრო ფორმაში, თავზე „ბუდიონოვკით“ ბელა ილეში, ჯერ ფრანგულ ენაზე და შემდეგ კი რუსულ ენაზე თარგმნა ანრი ბარბიუსის მოლოცვის დეპეშა კონგრესისადმი და მობოლიშება ავადმყოფობის გამო კერ ვესწრებით. ილაპარაკეს სხვებმაც, მთავარ საკითხად დღის წესრიგში იდგა „ის კი არა საიდან მოდიხარ, არამედ სად მიდიხარ“-ო.

როგორც ვიცი საკითხი გადაიჭრა „მთავარია სად მიდიხარ“-ის სასარგებლოდ.

* * *

რამდენიმე დღით სასწავლებლიდან დამითხოვეს, მეც ვისარგებლე ამით და საქართველოში გამოვიქეცი. თბილისის სადგურში კონსტანტინე გამსახურდია დამხვდა, მას სასიხარულო ამბები ჩამოვუტანე მისი თარგმანის შესახებ. მქონდა სხვა დავალებებიც. ნამორაძის, ცაგარელის და ლებედის მიერ, ამიტომ ორი დღე მომიწია დარჩენა თბილისში და კერ წავედი დასავლეთ საქართველოში სადაც ცოლშვილი მელოდა. ამ ორ დღეს ბატონი კონსტანტინეს სტუმარი ვიყავი.

პირველად ვესტუმრეთ მწერალ მიხეილ ჯავახიშვილს ელბაქიძის დალმართზე, ბინაზე დაგვხედა, გადავეცი ორი წიგნი: „მართალი აბდულაძე“ და „ყბაჩამ დაიგვიანა“. თარგმნილი უკრაინულ ენაზე. რომლებიც ნამორაძემ გამომატანა. მოვუყევი კვაჭი კვაჭანტირაძის“ თარგმანის შესახებ. ცაგარელის მიერ და სხვა. ბატონი მიხეილი ძალზე კმაყოფილი დარჩა და მაღლობის ნიშნად აიღო ორი ეგზემპლარი ახლად გამოცემული წიგნისა „გივი შა-

დური” ერთი კონსტანტინეს უძღვნა წარწერით „ტაბუს ავტორსო“ და მეორე მე მომცა წარწერით: „გრიგორ ვაშავიძეს ავტორისა-გან. მ. ჯავახიშვილით თან დაატანა: „არ მიყვარს წიგნის გაჩუქება მას შემდეგ, რაც ჩემს კარგ ნაცნობს ვაჩუქე ჩემი წიგნი და რამო-დენიმე ხნის შემდეგ ეს წიგნი ბაზარში ვნახე, ვიღაცა ხელშე ყიდ-დაო“. ტყვილა როდი იციან თქმა — რაიმეს ცუდად არ უნდა და-აძხოვო. პატივუმულ მიხეილის ნაჩუქარ წიგნს სასოებით ვინა-ხავდი, მე არ გამიგია ისე, მეზობლის ქალს წერლ წასაკითხად, ქალს ქმრისთვის გადაუცია, ქმარს სადღაც მატარებლით უმგზავრია და წიგნი ვაგონში დარჩენია, ასე და ამგვარად ახდა ბატონი მიხე-ილის დაბედება, წიგნი უგზოუკვლოდ დაიკარგა.

მიხეილიდან პოეტ ალექსანდრე აბაშელთან მივედით. ისიც ბი-ნაზე დაგვხედა. ჩამოვუტანე ამბავი მისი ჭერ კიდევ დაუმთავრე-ბელი რომანი „ქალი სარკეში“-ს უკრაინულად თარგმნის განზრა-ვის შესახებ; როგორც მახსოვს აბაშელმა ეჭვის ქვეშ დააყენა რო-მანის დამთავრების საკითხი, ასე რომ გარკვეული პასუხი ვერ მი-ვიღ. აბაშელიდან მწერალთა კავშირში წამიყვანა კონსტანტინემ პავლო იაშეილის და ელიზბარ პოლომორდვინოვის (ზედგინიძის) სანახვად. პაოლო იაშეილის „ფერადი ბუშტები“ უკვე გამოცემუ-ლი იყო უკრაინულ ენაზე და მოსაგვარებელი იყო პონორარის გადმორიცხვის საკითხი. პოლომორდვინოვს კი ხელშექრულება ჩა-მოვუტანე მისი რომანი „ვერცხლის ქამარის“ თარგმანზე რაც იმ საღამოსვე გადავვეცი. პავლო იაშეილი კი იმ საღამოს მწერალთა კავშირში არ მოსულა და არც მინახავს. სამაგიეროდ კონსტანტი-ნემ ნიკოლო მიწიშეილი გამაცნო და კარგა ხანს ვისაუბრეთ ქარ-თულ-უკრაინული ნაწარმოებთა თარგმნისა და გამოცემის შემდგომ განვითარებაზე.

მალე ხარკოვში დავბრუნდი და განვაგრძე მეცადინეობა. ბა-ლონ კონსტანტინეს ჩემს გარდა მიმოწერა ჰქონდა ტიჩინასთან, ნა-მორაძესთან და გამომცემლობასთან და როდესაც თარგმნის საქ-მებ რეალური სახე მიიღო გადაწყვიტა ხარკოვში ჩამოსვლა, რაც წერილით მაცნობა. 1930 წლის 3 ივლისის წერილში მწერდა „ცოტა დავბრკოლდი ზოგი უფულობით, ზოგი უდრობით, გამო-ვალ ტფილისიდან 9 ან 10 ამ თვეს შესაძლოა მანამდისაც, მატა-რებლების ნომერს და გასვლის დღეს გაცნობებ დეპეშით“. მართ-

ლაც არ გასულა დიდი ხანი და დეპეშაც მივიღე: („მოვდივარ თორ-
მეტში კურიერი მატარებლითო“).

კონსტანტინეს დეპეშა იმ დღესვე გავაცანი ტიჩინას. „მეც წა-
ვოეალ სადგურშიო“, მითხრა. ჩამოსელის დღის საღამოს გრიგო-
რის მივაკითხე ბინაზე და რკ. სადგურისაკენ ერთად წამოვედით.
შეხვედრის ამბავი გრიგორის უთურდ სხვასაც უთხრა, რაც სა-
კმარისი იყო მატარებელს ხუთი ექვსი კაცი დახვედროდა კონს-
ტანტინეს შესახვედრიად.

დიდად გახარებული ვიყავი, რომ ასეთ შეხვედრის ვუწყობდით
ჩვენს სტუმარს.

შეიმიანი საღამო იყო, ცოტა კიდეც ციოდა. ლოდინი დიდხანს
არ დაგვჭირდა, ნახვარ საათში მატარებელი მოვიდა, დაუუწყეთ
ძებნა ჩვენს სტუმარს, საქმე ის იყო, გამსახურდიას ჩემს გარდა
სახეზე არავინ არ იცნობდა. მეც დავრჩივარ მატარებლის ერთი
თავიდან მეორეზე. ხალხი უკვე გადმოდის, გამსახურდია არ სჩინს,
ვდგვევარ და შევცემო ვაგონებს. უკაცრავად ბრძანდებოდეთ ძა-
ლიან! ჩვენ საერთო ვაგონებს ვუყურებთ ჩვენი სტუმარი კი მო-
ადგა საერთაშორისო ვაგონის ჩამოსახვლელს, უკან მუშას ჩემო-
დანი მოაქვს, ევროპულად მორთული დიდი ბრიტანეთის ელჩივით
ჩამობრძანდა ძირს. რა თქმა უნდა ყოველივე ეს მესიამოვნა, ვი-
ცოდი რა მისი ეკონომიკური მდგომარეობა ასეთ ამბავს არ მოვე-
ლოდი. მაგრამ ქართველი რის ქართველია, თუ მისი მარიფათი
არ გამოამჟღავნა! როგორც მერე მითხრა, სამგზავრო ფული ქრის-
ტეფორე რაჭელიშვილისაგან ესესხნა და ისე წამოსულიყო. მი-
სალმება-გაცნობას რამდენიმე წუთი მოანდომეს, როგორც შე-
ვატყვე, სტუმარმა უკრაინელებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა
და არც სტუმარი დარჩენილა უკმაყოფილო, რომელსაც უკრაინის
ინტელიგენციის ნაღები შეეგება.

გავედით სადგურიდან — ტიჩინა, გამსახურდია და მე ერთ მან-
ქანაში (ტაქში) ჩავჭექით. დანარჩენები ცალკე წავიდნენ. შეხვედ-
რა მეორე დღისათვის დანიშნეს მწერალთა კავშირის სახლში.
გამსახურდიასათვის წინასწარ მქონდა ბინა მიჩენილი ნამორაძეს-
თან. (თვითონ ნამორაძე შუა აზიაში იყო წასული) წინააღმდეგ შემ-
თხვევაში შემეძლო ჩემთან წამეყვანა სტუდენტთა საერთო სა-
ცხოვრებელში, რადგან სასტუმროზე ზედმეტი იყო ლაპარაკი ისე
იყო გადატვირთული ხარჯოვი.



ტიჩინას ბინა თითქმის ქალაქგარეთ მდებარეობდა, ამიტომ შემცირდა და გადასახლდა მანქანის მიერ წავსულიყავით ნამორაძესთან ასე ას მეტრამდე მივუახლოვდით ტიჩინას ბინას და ისეთ ლაფში ჩავვარდით წინ წასვლა შეუძლებელი შეიქმნა ტიჩინა გადმოვიდა მანქანიდან და იძულებული იყო ფეხით წასულიყო. წასელისას დაპირა ფულის გადახდა რაც ჩვენ არ ვქნით; შოფერმა „ხათრი“ ჩვენ გავიწია, ერთი ჩაილაპარაკა „Ну ладно“ და მანქანა შემოაბრუნა ტიჩინა შემდეგში დიდად განიცდიდა ამ: „ნუ ლადნო“-ს უთუოდ შოფერს მთვრალი ვეგონე და იმიტომ მასეო. მოკლედ დიდი გულნატენი იყო ამ შემთხვევით. გამსახურდია ერთ კვირაზე მეტხანს დარჩა ხარკოვში, ნამორაძის ოჯაში მხოლოდ ერთი ლამე გაათია და გადავიდა უკრაინაში მცხოვრებ სამსონ კარტოზიას ბინაში, რომელსაც თურმე კარგად იცნობდა თბილისიდან.

სამსონ კარტოზია ერთ დროს საქართველოს რესპუბლიკის პროკურორი ყოფილი, რაღაც პარტიული დანაშაულის გამო უკრაინაში გაესახლებინათ, იყო უკრაინის მეტალურგიის წარმოების უფროსი, უკრაინის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და ერთ კაცი ეკავა ოთხი დიდი ოთხასი. ერთი პატარა დეტალი მინდა აღნიშნო კარტოზიას შესახებ: როგორც შეხედულობით ისე შინაარსითაც ნამდვილი ევროპული ყაიდის კაცი ჩანდა, კულტურული, განათლებული და მჭერმეტყველი, მეტად კარგ შთაბეჭდილებას სტოებდა. ერთხელ გამოაღო გარდერობის კარები და ჩოხა ახალუხი გვაჩვენა — თურმე დასვენების დღეს დილიდანვე გამოუწყობოდა ჩოხა-ახალუხში, ქუჩაში გასვლას ერიდებოდა, ჩაიკრავდა კარებს და იყო საღამომდე ასე მორთული.

მგრი ცოლს გაყროდა და ოთხი თუ ხუთი ბავშვი ცოლისათვის დაეტოვებინა თბილისში, ბავშვებს ძალზე გულდაწყვეტით იგონებდა, მათი სურათი მაგიდაზე ედო პირველ პლანზე და სულ რომ ეცეირა მათთვის ის უნდოდა. კონსტანტინეს ჩამოსვლის მესამე დღეს უკრაინელებმა იმ დროის ყველაზე პირველ ხარისხოვან რესტორან „ქასნაიაში“ მოაწყევს ვახშამი. დამსწრეთაგან მასხოვეს: პალო ტიჩინა, მიკოლა ბაჟანი, სტეფან მელნიკი, თეატრ „ბერეზელის“ დამაარსებელი და მთავარი რეჟისორი ლეს კურბასი, უკრაინის გამომცემლობის უფროსის მოადგილე მაქსიმე ლებედი,

ოპერის თეატრის დირექტორი რომლის გვარი არ მახსოვს და პოლონეთიდან სტუმრად ჩამოსული მწერალი ბობინსკი.

ცოტა ხანში ვახშმის გაწყობას შეუდგნენ, ერთ-ერთი ოფიციანტი განსაკუთრებულ ყურადღებას გვაძლევდა გამსახურდის და მე, ბოლოს ვეღარ მოითმინა და მორიდებით მკითხა კონსტანტინეზე „გამსახურდია ხომ არ ბრძანდებაო“, როგორც შემდეგ გამოირკვა აბაშის რაიონიდან იყო თურმე, კონსტანტინეს უფროსი ძმა ალექსანდრე და მე ერთად ვართ გაზრდილიო, დიდი ხანია ხარკოვში ვარ: „ჩარჩენილიო“ და განა მარტო ის იყო „ჩარჩენილი“ დანარჩენი ოფიციანტები და სამზარეულოს მომუშავენი თითქმის ყველა აბაშელი გამოდგა. რესტორან „კრასნაია“-ში უმეტესად საზღვარგარეთლები სადილობდნენ, მათთვის ცალკე იყო კუთხე გამოყოფილი წარწერით: „უცხოელთათვის“ ა ალსანიშვია, რომ თუ ამ კუთხეში არ იყო თავისუფალი, სხვა მაგიდაზე, თუნდაც ერთი საბჭოთა მოქალაქე მჯდარიყო უცხოელი არ დაჯდებოდა და უცდიდა მაგიდის გათავისუფლებას.

უცხოელთა შორის უმეტესობა გერმანელები იყვნენ, სამთო საქმის სპეციალისტები. იყვნენ, აგრეთვე, ინგლისელები, ამერიკელები და იაპონელებიც. ყველა ამათ ემსახურებოდნენ აბაშელი მეგრელები და სხაპა-სხუპით ესაუბრებოდნენ თავთავიანთ ენაზე რომელი ჭურის უცხოელიც არ უნდა ყოფილიყო.

დაიწყო ვახშამი, მე კონსტანტინეს და მელიქს შუა ვიზექი. საუბარი უმთავრესად რუსულ — უკრაინულ ენაზე მიღიოდა, პოლონელ სტუმარს კი გერმანულად ესაუბრებოდნენ აქ კი კონსტანტინე თავის სტიქიაში გრძნობდა თავს, მას ხომ გერმანიაში ჰქონდა უმაღლესი სასწავლებელი დამთავრებული. თამადა როგორც ყოველთვის, მაქს ლებედი იყო. არყოთ სავსე გრაფინები ერთი მეორეს მოსდევდა და მალე თავისი ძალაც გვიჩენა. თანდათან ალაპარაკდნენ მაგიდის წევრები. თვალწინ მიღვას მაქს ლებედი თავის ბუმბერაზრ ტანით, დიდი წარსულის მქონე და საქმის კაცი. მეტ სახელიც „ბატქო“ს ეძახიან, მართლაც რო „ბატქო“ აუკრაინის მწერლებისათვის, ისე ზრუნავს მათხე, თუმცა უკრაინის გამოცემლობის უფროსი იალავრია, ფაქტიურად მაქს ლებედი განაგებს ყველაფერს.

ძალზე ტებილად იგონებს საქართველოს და უფრო ტკბილად

ჩეენს მსახიობ ქალს ცერიკო ანგაფარიძეს, მეორე გახლდათ მიკოლა ბაეანი. დღეს, როგორც ცნობილია, მიკოლა ბაეანი ერთ-ერთი საუკეთესო პოეტია საბჭოთა უკრაინის და ამავე დროს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილებაა. სამამულო ომის დროს იარაღით ხელში იბრძოდა ცერიმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ, პირველმა თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა ქართული მხატვრული ნაწარმოებები უკრაინულ ენაზე და სხვა... იმ დროს კი სულ სხვა იყო. შედარებით ახალგაზრდას, თითქოს არ ჰქონდა გარევეული გზა ლიტერატურაში. საქმე ის იყო, რომ ბაეანი მოდიოდა ფუტურიზმიდან, ცალი ფეხი თუ საბჭოთა ლიტერატურაში ედგა, მეორეთი ძველ გარემოცვაში იყო; უდაოდ ნიკიერი და ტალანტის მქონე პოეტის ორთავე ფეხებით საბჭოთა ნიადაგზე გაღმოყვანა, რა თქმა უნდა, სასურველი იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ინტელიგენციის ძველი განწყობილება იმსხვრეოდა. სკრიპნიკისა და ხვილევოის იდეებს შეერყა ნიადაგი და საბოლოოდ ორთავე თვითმკვლელობამდე მიიყვანა.

ერთმაც მოიკლა თავი და მეორემაც...

შედარებით მყარ მდგომარეობაში აღმოჩნდა პავლო ტიჩინა, რომელზედაც მიჩერებული იყო გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი ნაწილი ინტელიგენციისა, მათ შორის მიკოლა ბაეანიც.

ვახშამი ჩინებული იყო, ბევრი კარგი სიტყვა ითქვა, საქმიო არაყიც დაილია (ლვინოს არ ვსვამდით) და ღმის სამ საათზე დავიშალენით. გასახლელთან კონსტანტინეს ხანგალი ამოაღებინეს ქარქაშიდან (მას ჩოხა ახალუხი ეცვა) და სათითაოდ დიდი ინტერესით გასინჯა ყველამ, მეორე დღისათვის ბლაკანტინის სახელობის სახლში დათქვეს შეხვედრა;

კონსტანტინე სამსონ კარტოზიას ბინაში წავიდა და მე ჩემს საერთო საცხოვრებელში.

მეორე დღეს ბლაკანტინის სახლში მოყვარათ თავი, სურათიც გადაელოთ, ეს სურათია გამსახურდის ნაჩევევს „უკრაინის თემიდი“ს რომ აქვს თანდართული. საღამოს სასწავლებლიდან რომ გავთავისუფლდი, ჩემი აჩემებით პავლო ტიჩინა, კონსტანტინე გამსახურდია, მაქს ლებედი, მელნიკი და მე ქართველების სამწვადე „ვესნა“-ში წავედით.

* * *

ორიოდე სიტყვა სამწვადე „ვესნაზე“.

დიმიტრევის ქუჩის ბოლოში ბლაგოვეშჩენსკის ბაზრის ახლოს ჭართველებს პქონდათ გახსნილი სამწვადე „ვესნა“. რომელსაც განაგებდნენ ვასილ პეტროვიჩი და ფადიეჩი.

ვასილ პეტროვიჩი გვარად მეტრეველი, რაჭველი იყო რევოლუციამდე მზარეულად უმუშავია სხვა და სხვა რესტორანში როგორც რუსეთში, ისე უკრაინაში. სამოქალაქო ომის დროს დიდალი ქონება შეუძენია (ამბობენ ოქროები აქესო) ჩარჩენილი ხარჯოში და აქამდე არ ენახა მისი სამშობლო რაჭა, რაზედაც დიდად იწყვეტდა გულს. ცოლშვილი არ ყალბა, ასე უთვისტომოდ მყოფს გაულია ეს დუქანი და მისი ოცნება იყო მოსწრებოდა თავის საყვარელი რაჭის ნახვას. მიუხედავათ იმისა ამდენ ხანს ვინ იცის რამდენი სხვა და სხვა რჯულის ხალხში ტრიალებდა თავისი კუთხური სახე მაინც პქონდა შენარჩუნებული და გუშინდელი ჩამოსული გეგონებოდათ რაჭიდან მისი კომპანიონი ფადეიჩიც ქართველი იყო ქუთაისიდან, შესახედად წარმოსადეგნი ვაჟკაცნი, კევიანი, დინჯი და წესიერი. წინათ მასაც დიდი საქმე პქონდა მოსკოვში, მგონი განთქმული რესტორანი „მედვედი“-ს ერთ-ერთი მეპატრონეც ყოფილა. როცა ნეპის პერიოდი დამთავრდა, მოსკოვში კერძო ვაჭრობის საქმე ცუდად წასულა — მასაც მიუტოვებია მოსკოვი (ვინ იცის რა მიზეზით) და ხარჯოში გაღმოუნაცვლებია.

ამ ორი პიროვნების ირგვლივ თავმოყრილი იყვნენ საქართველოდან გადახვეწილი ქართველები, რომელთა გადახვეწის მიზეზს ძნელად თუ გაიგებდა კაცი „საქმე შემხვდაო“ გიბასუხებდნენ ხოლმე და რა საქმე შეხვდა ეს არავინ იცოდა. მახსენდება ვინმე გოგუაძე ბათუმიდან, სალუქეაძე ლანჩხუთიდან, ლვინერია ჭუთა-ისიდან და სხვა... თითქოს გოგუაძეს აჭარელი შემოკვდაო, სალუქეაძემ ფოსტა გაძარცვაო, ამათ გარდა კიდევ იყვნენ მზარულის დამხარე, მაგიდაზე მიმტანი და სხვები, უმეტესად ბნელი წარსულით მოცულნი.

ფადეიჩი კევიანი კაცი იყო და მისი ყველას ერიდებოდა, საცოდავ ვასილ პეტროვიჩს კი ნამდვილად აბუჩად იგდებდნენ და ამასხარევებდნენ. შემოუსხდებოდნენ მაგიდას, შუაში ჩადგამდნენ წელს ზევით გაშიშვლებულ ვასილ პეტროვიჩის სურათს და იძახდ-

ნენ „ვა, რა ვაუკაცია, რა ყოფილაო“ და სხვა. ამ სურათში ვასილ პეტროვიჩი მოჭიდავე კონტა მაისურაძეს უფრო გავდა, ვიდრე თავის თავს. ორ დღე-ლამეს რომ ესვათ ლვინო, ვასილ პეტროვიჩის და მისი ნათესავების საღლევრძელოს წარმოთქეამდნენ მხოლოდ.

პატივმოყვარე ვასილ პატროვიჩი ყველას მაღლობას უხდიდა და მოდიოდა მის ხარჯზე საჭმელ-სასმელი. ასე ხდებოდა თითქმის ყოველ დღე და ასე ირჩებდა თავს ეს მუქთახორი ხალხი. დუქანი ოფიციალურად მხოლოდ სამწვადე იყო, უალკოგოლო სასმელებით, მაგრამ, აბა, ქართველები ჩაღად ერქვათ თუ ას ლიტრამდე არაყის გაყიდვას ვერ მოახერხებდნენ დღეში!

მთელმა ხარჯოვმა იცოდა ამ პატარი გვერდზე წაფერდილი ღუჯნის არსებობა.

სწორედ აქ „უესნაში“ მოვედით ჩვენც პურის საჭმელად“ ჩვენგა უცვლელმა თამაღამ მაქს ლებედმა თავი არ დაიშურა, აქეთ დამხდურმა ქართველებმა გამოიჩინეს თავის მარიფათი და იცოცხეთ ჩვენ იქ „პური ვეამეთ“ ბევრი ლვინო დაიღია და ბევრი სიტყვა ითქვა; ლებედს ჩვენი ვერიკო მოაგონდა, მეტად სასაკილო იყო ამხელა კორპუსის კაცი როგორ ლაპა-ლუპით ყრიდა ცრემლებს.

* * *

ერთი კეირა გავიდა პავლო გრიგორიჩითან არ ვყოფილვარ, თათავისუფალ დროს კონსტანტინეს დავსდევდი. ვაი იმ დღეს, თუ კონსტანტინე ჩოხა ახალუხში იქნებოდა მორთული: ღმერთო ჩემო, სად გაჩნდებოდა ამდენი ბავშვი! აგველებებოდნენ უკან და ეხვეწებოდნენ კონსტანტინეს „Дядя покажи Кинжал“-ი (ძია გვაჩვენე ხანგალიო) საშველს რომ არ მოგვცემდნენ კონსტანტინეც იძულებული ხდებოდა შუა ქუჩაში ამოელო ხანგალი და ეჩვენებინა ცნობისმოყვარე ბავშვებისათვის. ერთ თბილ და წყნარ საღამოს კონსტანტინემ და მე ერთ-ერთ ბაღში (მეტალურგების ბაღს ეძახდნენ) გავისეირნეთ, კარგახანს დავრჩით ბაღში. ასე, თორმეტი საათი ინქებოდა დაწყებული, გაღმოლმა გაღმოვედით და კაფეში შევედით ყავის დასალევათ, ყავაც მოგვიტანეს ცოტა მოსქელო ჭიქებით „ამ უშნო ჭიქებით ყავას როგორ დავლევ“-ო. დაიჩემა კონსტანტინემ. ბევრი ვეხვერწე — რა გეკლიაუზება, თითო ჭიქა

დაელიოთ, და წავიდეთქმ, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, არა და არაო; მეტი რა გზა იყო იყდექით და წამოვედით. მივადექით მეორე კაფეც დაკეტილი აღმოჩნდა, რადგან მთავრობის დადგენილებით თორმეტ საათზე ყველა კაფე და სასაღილო იყერებოდა. (გარდა რესტორნებისა). ვიკადრეთ „უშნო ჭიქებიან“ კაფეში დაბრუნება, ისიც დაკეტილი დაგვხვდა. რა უნდა გვიჩნა — მშივრები წავედით სახლებში დასაწოლად.

* * *

წიგნის გამომცემლობასთან, რომ მოაგვარა საქმეები, კონსტანტინე კიევს გაემგზავრა, საიდანაც ხუთი დღის შემდეგ დაბრუნდა. იქ გაცნობოდა კიეველ მწერლებს, რომელთაც დიდებული პატივი ეცაო, განსაკუთრებით მაღლიერი იყო მწერალი გერვიცის, რომელთანაც ბარათი ჰქონდა გატანებული ტიჩინისაგან. ბევრი რამ ენახა, ბევრი რამ განეცადა, რაც აღწერილია „უკრაინის თემიდი“-ში, მოკლედ დიდი კმაყოფილი დაბრუნდა, დაბრუნების შემდეგ ხარჯოვში დარჩა სამი თუ ოთხი დღე, პირდად გაეცნო შუა აზიიდან ახლად დაბრუნებულ გიორგი ნამორაძეს და მეორე დღის 12 საათზე ეტლით წამოვედით კარტოზიას ბინიდან რქ. გზის სადურისაკენ.

გასაცილებლად არავინ მოსულა, რადგან წინა საღამოს მოუწყეს გამომშვიდობება.

კონსტანტინე კარგ ხსიათზე იყო „თბილისში რომ ჩავალ ვალებს გავისტუმრებ და ქალი უნდა შევირთოვო“ თქვა. სამგზავრო ბილეთი წინა დღეს ჰქონდა მელნიკ შეძენილი ხარჯოვიდნ — მინერალურ წყლებამდე, „აუცილებლად სამხედრო გზით უნდა წავიდე მინერალურ წყლებიდან თბილისამდე“-ო დაიჩემა კონსტანტინემ. მოვედით სადგურში, დავსხედით რქ. გზის პირველი კლასის რესტორანში და საუზმე შევუკეთეთ, მატარებელი საცაა უნდა მოვიდეს. — ამ დროს მოდის ჩვენთან ვიღაც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა და გვეუბნება ერთი წუთით წამობრძანდით ჩემთან.

— თქვენ ვინ ბრძანდებით?! — შევეკითხეთ.

— რქ. გზის ჩეკას უფროსი რწმუნებული ვარო, გვითხრა და საბუთიც ამოილო.



ვინ ამ შავ დღეს! ხათაბალა თუ გინდა ეს არის! მეტი რამდენიმე იყო, წაყვევით რკ. გზის ჩეკაში. ჩვენმა მიმყვანმა მაშინვე დატოვა ოთახი და სადღაც წავიდა. მორიგემ რომ მოათვა ვიღაც ქალთან დავა ჩვენ მოგვიბრუნდა.

— ვინ ხართ, თქვენი საბუთები...

მე გავუშოდე ჩემი სტუდენტობის მოწმობა, კონსტანტინემ პასპორტი და საქართველოს მწერალთა კავშირის ცნობა, რომ „მწერალი კონსტანტინე გამსახურდია მივლინებულია ხარქოვსა და მირგოროდში ქართველ მწერალ დავით გურამიშვილის საფლავის აღგილის დასადგენათ“-ო.

— მაჩვენეთ ხანგლის და ოთფის ტარების ნებართვაო არ გვეშვებოდა მორიგე. რაღაც საეშმაკოდ კონსტანტინეს ჩოხა ახალუხი ეცვა, და ზედ ხანგალი ერტყა თან ქრისტეფორე რაჭელიშვილი შეხვეწოდა „თუ ფული აიღო და სადმე შეხვდე გვეო მიყიდეო“. კონსტანტინესაც ეყიდა და ხელჩანთიდან ლულა მოჩანდა.

— როცა კაცი ჩოხა ახალუხშია მორთული, ხანგლის ნებართვა არ სცირდება ხოლო გვეო თოთფის შეძენა ყველაზე ნებადართულია, შეეკამათა კონსტანტინე მაგრამ ამაღდ, ჩვენი არგუმენტები ერთ ყურში შეუშვა მორიგემ და მეორეში გამოუშვა. ამასობაში მატარებელიც ჩამოდგა... მეორე ზარიც მისცეს, ჩვენ ხევწნასა და მუდარაზე გადავედით.

უკანასკნელ წუთს „წადითო“ გვითხრა მორიგემ, ჩვენც ბარგაჟიდებულებმა სირბილით მიუაშურეთ ჩვენს ვაგონს, ჩვენდა იღბლად მივუსწარით, ბარგი ვაგონის ტამბურში შევყარეთ და მატარებელიც დაიძრა. კონსტანტინე ვაგონის კარებს მოადგა და ამის თქმა მოასწრო: „ინგლისულები ბელინიერი ხალხია, ყოველ ინგლისელს პასპორტში უწერია ამ პასპორტის წარმომდგენის შეურაცხყოფის მიმყენებელი პასუხს აგებს დიდი ბრიტანეთის არმიისა და ფლოტის წინაშეო“. მატარებელი წავიდა...

მესამე დღეს ეს დეპეშა მივიღე: (ჩავედი გვოცნი კონსტანტინე) დეპეშას წერილიც მოყვა საღაც მწერდა: „გზაში კარგად ვიმგზავრე. გვკო დავხსენი მერჩე მშვიდობა იყო. ერთი ძმა პირის ზიარება მოდიოდა იმავე ვაგონით, ძლიერ დამიმეგობრდა და დაინტერესდა თუ ვინ ვარ (მისი სტილია“)-ო.

ვინ იცის იქნებ განგებ გაყვა ვნმდე? კონსტანტინე მინერალურ წყლებში არ ჩამომხდარა, პირდაპირ ბაქოდან შემოვლით ჩასულა თბილისში.

* * *

1930 წელს ხარკოვში ჩამოვიდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრი თვითონ კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით. ჩამოს-ვლამდე ერთი კვირით ადრე გაზეთებმა ასტეხეს ერთი აურ-ზაური „მარჯანიშვილი მოღისო“. საქართველოში ჩამოსვლამდე მარჯანი-შვილს უკრაინაში უმუშავია და ბევრი უკრაინელი ახლოს იცნობდა.

ჩამოსვლის დღეს რკ. გზის სადგურზე რამოდენიმე ათეულმა დამხვდურმა მოყარა თავი. თბილისი — მოსკოვის მატარებელი ქშენით შემოვიდა სადგურში, ყველას თვალები ვაგონებისკენაა მისყრობილი და აი, გამოჩნდა ვაგონიდან ჩამომავალი მარჯანიშვი-ლის ჭალარა თავი ყველაზე უმაღ ლეს კურბასი გაექან მისკენ და ვაგონიდან ჩამოსვლაც არ აცალა ისე გადაეცეია მოკლე მისალმე-ბისა და სიტყვების შემდეგ სურათები გადაიღეს და მანქანებით გაემგზავრნენ სტუმრებისათვის განკუთვნილ ბინისაკენ. მეტად თბილი შეხვედრა იყო, მსახიობები ყვავილებით აავსეს, უკრავდა მუსიკა. დიდად ქმაყოფილები და ნასიამოვნები დავიშალენით.

დაიწყო წარმოდგენები თეატრ „ბერეზილში“ როგორც მახსოვს დაიდგა კ. კალაძის „როგორ“ პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბე-რი“ გუცკოვის — „ურიელ აკოსტა“ და შექსპირის „ჰამლეტი“ ურიელ აკოსტას და ჰამლეტის როლს ასრულებდა უშანგი ჩხეიძე, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავდა მაყურებელი. მართალია, ტიჩინა საერთოდ თეატრში ნაკლებად დადიოდა, მაგრამ მარჯანი-შვილის დადგმებს არ დაელებია და ძალიანაც მოსწონდა, დაუვი-წყარია უკანასკნელი გამოსათხოვარი საღამო. წარმოდგენილი იყო თითო მოქმედება ზემოთ აღნიშნული პიესებიდან.

დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა. მთავრობის ლოეაში ისხდ-ნენ მთავრობის წევრები — პეტროვსკი, ძმები კოსიორები, ლავრენ-ტი ქართველიშვილი) და სხვა. გადიოდა ყვარყვარე თუთაბერის ერთ-ერთი მოქმედება. ყველა წარმოდგენა, რა თქმა უნდა, ქარ-თულ ენაზე გადიოდა. ლავრენტი კვდებოდა სიცილით (ის ხომ სამტრედიელი იყო) სხვები ინსტიკტურად იცინოდნენ და საშველს არ ძლევდნენ ლავრენტის გადაგვითარგმნეო. ორი თუ სამი მოქ-მედების შემდეგ მოხდა ორი დიდი თეატრის შეხვედრა — მარ-ჯანიშვილისა და ბერეზილის. სცენა ცარიელია ერთი მხრიდან გა-მოდის კოტე მარჯანიშვილი, რომელსაც პირველ რიგში მოყვებიან

ელენე დონაური, კერივო ანგაფარიძე, ცეკვილია წუწუნავა, ქუჩა-
გი, ჩხეიძე, ალექსანდრე ყორევოლიანი და სხვები. მეორე მხრიდან
გამოდის ლეს კურბასი თავისი მსახიობებით. შუა სცენაზე შეხვდ-
ნენ ერთმანეთს, ხელი ჩამოართვეს და ორი ჭაღარა რეჟისორი გა-
დაეხვივნენ ერთმანეთს. ძნელი წარმოსადგენია თუ რა იმპავი
ატყდა დარბაზში კინაღამ სკამები დაამტკრიეს მაყურებლებმა, ზო-
გიერთ მანდილოსანს ისტერიკა მოუვიდა შეტისმეტი გრძნობები-
საგან.

მე პავლო გრიგორის ვადევნებდი თვალს, მას ხომ ქართული საქმაოდ ესმოდა, სიამოვნებისაგან ტუჩები აუთამაშდა და თვალზე ცრემლი მოადგა... მთელი ხარკვი მეტად ნასიამოვნები დარჩა ავ თეატრის გასტროლებით.

დიდი ხანი არ გასულა, რესთაველის სახელობის თეატრიც ჩამოვიდა გასტროლებზე სანდრო ახმეტელის მეთაურობით. ისეთი შეხვედრები არ ყოფილა როგორც მარჯანიშვილზე, თუმცა ყველა სპექტაკლზე გამოიწვიო იყო თეატრი ხალხით.

ტიჩინამ ორ მოქმედებას უცეირა და შეუმჩნევლად წავიდა
სახლში. მეორე დღეს მკითხა როგორ მოგეწონაო, მე შევაქე რო-
გორც პიესა, ისე დადგმა. სიმართლე გითხრათ, არც პიესა და არც
დადგმა მაინც და მაინც ორ მომწონებია. იმავე შემოდგომაზე სა-
ზღვარგარეთის გასტროლებიდან დაბრუნდა უკრაინის სახალხო
კაპელა „დუმყა“. ეს კი აუცილებლად უნდა ვნახოთო სოქვა გრი-
გორიჩმა და ჩვენც წავედით. კონცერტი იგივე ბერეზილის შენო-
ბაში გადიოდა. პრესის ლოკაში სხვა თანამშრომლებთან ერთად
ვისხედით ტიჩინა, მელნიკი და მე. უნდა გენახათ ტიჩინას აღფრ-
თოვანება კონცერტის მოსმენისას. სხვების შეუმჩნევლად ვინ
იცის რამდენჯერ მომქაჩა ტანსაცმელზე. როდესაც ტებილი უკრა-
ინული მელოდია უმაღლეს წერტილს აღწევდა...

საშეიდნოებროდ დნეპროპეტის მშენებლობაზე წაგვიყვანეს შთელი კურსი, დავათვალიერეთ როგორც მშენებლობა, ისე უკრაინის ისტორიული ადგილები: კუნძული „სიჩი“, „ხარტიცა“ საიდანაც კაზაკებმა წერილი მიწერეს ოსმალეთის სულთანს (რეპინის სურათი) ხარჯოვში დავბრუნდით, თავისუფალი დრო კიდევ მრჩებოდა, საქართველოში წიმოსვლა არ ღირდა (მაშინ მატარებლები თბილისში ბაქოს შემოვლით დადიოდენ), გადაეწყვიტე მოსკოვის ნახეა, რომელიც არ მქონდა ნანახი. ჩემი სურვილი პალო გრიგორიჩის გავაცანი, გრიგორიჩმა აზრი არ მომიწონა და მოსკოვის ნაცვლად კიევის ნახეა მიზჩია მეც დავთანხმდი და მესამე დღეს უკვე კიევში ვიყავი.

* * *

ბინა სასტუმროში დავიკავე და იმ საღამოსვე გადავეყარე კი-ეში მცხოვრებ ქართველებს. ქართველები საქართველოში ვერ ვრიგდებით ერთმანეთში, თორებ მის ფარგლებს გარეთ სულში ვიძერენთ ერთი-მეორეს. მეც დიდი პატივით მომეცურნენ, იმავე საღამოს აღმოსავლეთის ერების სახლი გამაცვნეს (Дом народов Востока) სადაც თავს იყრიდნენ აღმოსავლეთის ხალხი: ქართველები, სომხები, აისორები, აზერბაიჯანლები და სხვა. სახლის თავმჯდომარედ იყო ექიმი იქტოპირიძე პასუხისმგებელ მდივნად კი კოლია გოგორიშვილი. ყოველ საქმეს ქართველები მეთაურობდნენ და ხელმძღვანელობდნენ. სახლისათვის გამოყოფილი ჰქონდათ რამდენიმე თახი, ჰქონდათ საუცხოვო ბიბლიოთეკა ქართული წიგნებით.

იქტოპირიძე მეტად მშვიდი და წყნარი აღამიანი ჩანდა, გოგორიშვილი სულ სხვა ტიპის კაცი იყო: ჩოხა-ახალუხში მორთული, მაუხერით წელზე, დიდი მოქეიფე და მომლხენი, კიევის ქუჩებში ისე დადიოდა, თითქოს თავის მშობლიურ ჭიათურაში ყოფილიყოს; როგორც თქვეს, მგონი პრალაშიც ყოფილა ერთ დროს გაგზავნილი რაღაც საგანგებო დავალებით, მაგრამ არაფერი არ გაუკეთებია ქეიფისა და ფულის ფლანგვის მეტიო. ყოველ შემთხვევაში ხელისუფლება ანგარიშს უწევდა და ბევრ რაიმეს უთმობდა.

არ შემიძლია არ მოვიხსენიო ვინმე გველესიანი, დიდად კეთილშობილი და განათლებული აღამიანი. ის სასადილოს გამგედ მუშა-

ობდა, ზედე ეტყობოდა ეს მისი საქმე არ იყო და თავს აფარებულ და დამკირვებია, ქართველი სტუდენტობის წყალობით ადვილად გავერკვი ქალაქის მდებარეობაში და მთელ დღეებს ქალაქის დათვალიერებას ვანდომებდი. არ დამიტოვებია არც ერთი მუხეუმი, სამხატვრო გალერეა, კიევო პეჩინორის ლავრა, ძეგლები და მოედნები. საღამოს აღმოსავლეთის სახლში ვიყრიდით თავს.

რამოდენიმე დღის შემდეგ 7 ნოემბრის დღესასწაული იყო აღმოსავლეთის სახლი დემონსტრაციაზე ცალკე გამოვიდა. წინ, რა თქმა უნდა, ქართველები იდგნენ, შემდეგ აისორები, სომხები, თათარები და სხვა. თოქმის ყველანი ნაციონალურ ტანსაცმელში იყვნენ მორთული. წინამდობლი ჩოხა ახალუხში გამოწყობილი კოლია გოგორიშვილი იყო.

გამოვედით აღმოსავლეთის სახლიდან, მივუახლოვდით ოცერის თეატრს, გავედით ფუნდუკლევის ქუჩაზე, სიიდანლაც მოგვადგა ქალაქის კომენტარი, ხელი აულო გოგორიშვილს და წინადაღება მისცა დავშლილიყავით. საქმე შემდეგში იყო, სწორედ ამ ქუჩაზე იწყო შემხევებრ კოლონებმა სკლა, როგორც კი ჩვენ გავისწორდებოდნენ, მთელი კოლონა ჩერდებოდა და პირდაღებული შემოგვცეროდა ამ უცნაურად მორთულ ხალხს. უკანიდან ხალხი აწვებდა, იქმნებოდა არევ-დარევა და უწესრიგობა, სწორედ ამიტომ გადაეწყვიტა ჩვენი კოლონის დამლა. მეტი რა ჯანი იყო, შემოვბრუნდით უკან და მივედით აღმოსავლეთის ერების სახლთან და რამოდენიმე ეტლით გავსწიეთ ექიმ ნემსაძის ბინისაენ, რომლის ეზოში მივუსხედით საგანგებოდ გაშლილ მაგიდებს, თამაღად გოგორიშვილი ავირჩიეთ და შევუდექით ქეიცს და მოლხენას.

იმ ღამეს ვბრუნდებოდი ხარკოვში. გამომაცილეს რამოდენიმე ქართველმა სტუდენტმა რკ. გზის სადგურამდე. სადგურში სამსონ კარტოზიას შევხვდი, ხარკოვში მოდიოდა, ცოტა ლვინოგადაკრულიც გახლდათ. მეორე დილას ერთ-ერთ სადგურში გაშეთები ვიყიდე, ერთ მათვანში პავლო გრიგორიანის ლექსი იყო დაბეჭდილი, ლექსი ეხებოდა იმ დროს დასავლეთ უკრაინელებსა და პოლონელებს შორის მომხდარ კონფლიქტს ქალაქ ლვოვში.

კიევიდან დაბრუნდებისას დავწერე: „ჩემი შეხედულებანი უკრაინაზე“. დაწერილი ტიჩინას წაეულე წასაკითხად და რაღან

სახლში არ დამხვდა, მის კარებზე დაყიდულ საფოსტო ყუთში ჩა-
უშენი, სამი ღლის შემდეგ რომ შევცვდი, წერილი კარგია მითხრა,
მაგრამ არ არის სასურველი ასეთი თამამი გამოთქმებით, ვფიქრობ,
არ მოეწონა ჩემი ასეთი სითამამე...

მაგონდება ასეთი შემთხვევაც: ერთ საღამოს ცოტა ლვინოგა-
და კარულმა მივაკითხე ბინაზე, სახლში დამხვდა.

— აბა, პავლო გრიგორის ჩაიცვით ტანზე და წამოდით ჩემ-
თან — ვუთხარი.

— სად? მეკითხება შეშინებული.

— წამოდით, ერთ ადგილზე მივდივარ, არ ეეშვები. ადგა, ტანთ
ჩიაიცა და გამომყვა, გზაში ვუთხარი, რომ სამწვადე „ვესნაში“
უპატივებდი. ოდნავ გაიღიმა. ტრამვაის მისაბმელის უკანა ასასე-
ლელით დმიტრევის ქუჩამდე მივედით, იქიდან კი ფეხით ავუზი-
ებით, გზად სასტუმრო „იუზნი“-სთან გავიაჩეთ, პავლო გრიგორი-
სი სასტუმროს პირდაპირ შეჩერდა და გულდაწყვეტით თქვა: „დი-
დი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც უკრაინაში ამერიკელი მწერალი
თეოდორ დრაიზერი ჩამოვიდა, ამ სასტუმროში ჰქონდა ბინა, რა-
მოდენიმე დღე დარჩა, მაგრამ, რატომლაც, არც ერთ უკრაინელ
მწერალს არ დართეს ნება დრაიზერს შეხვედროდათ“. დრაიზერი
ამ-ეამაღ მსოფლიოში ყველაზე დიდი მწერალია, გირჩევთ აუცი-
ლებლად გაეცნოთ მის ნაწარმოებებსო...

„ვესნაში“ დიდხანს არ დავრჩინოლვართ, გრიგორის სამიერ-
ნო ეჭავრებოდა და არაყიც არ უყვარდა...

* * *

ბატონშა კონსტანტინემ მატერიალურად ცოტა რომ გაიმაგრა
წელი, მოსკოვში დაპირა წასვლა ხარკოვის გავლით. დაუხშირა
ამის შესახებ წერილების მოწერას. „ფრთხილად უთხარი (ტიჩი-
ნის) უკრაინაში აპირებს ჩამოსელასთვო“ მწერდა.

საერთო მდგომარეობა კი თანდათან უარესდებოდა, როგორც
ზემოთ ვთქვი, სკრიპნიკმა და ხეილევომ თეოთმყველელობით დაამ-
თავრეს სიცოცხლე, კივში დაპატიმრეს გერვიცი. უკვე დაპბერა
1937 წლის სიომ მთელ საბჭოთა კავშირში.

ვუთვლიდი კონსტანტინეს: საშინელი ამინდებია, ქარია, წვიმე-

ბი, ცივა და ნუ ჩამოხვალთქო, არ ვიცი მიმიხვდა თუ არა — მართლაც არ ჩამოსულა.

მოკლე ხანში მეც საბოლაოდ გამოვეშურე სამშობლოში. დაკვემშვიდობე ყველას. ცაგარელს, ნამორაძეს, პავლო გრიგორიჩის, რომელიც ძალიან თბილად გამომეთხოვა, შემპირდა წერილებს ხშირად მოწერდა და საქართველოში რომ ჩამოვიდოდა უდაოდ შემხვდებოდა, მაგრამ სინამდვილეში ეგრე როდი მოხდა, ერთი წერილი მოწერა (ისიც დავკარგე) რომელშიც გულის ტკივილს აღნიშნავდა: ჩემს მიერ გაგზავნილ უურნალ „დროშაში“ სადაც მისი ლექსი „Вітер з України“ თარგმანი იყო დაბეჭდილი ტაეპის ბოლოში ორჯერ უნდა ყოფილიყო „ქარი“ აქ კი ერთხელ ეწერა. თარგმანი ეკუთვნოდა კონსტანტინე გამსახურდიას.

გადიოდა წლები.

მართალია მე და ტიჩინას ბევრი არაფერი გვქონდა საერთო, მაგრამ ჩემს მესხიერებაში მაინც ტრიალებდა მოგონება მასთან გატარებული დღეებისა და ვინ იცის, იქნება ტიჩინაც მიგონებდა ხანდისხანს.

ჩემი ცხოვრების გზა სულ სხვა მიმართულებით წავიდა და ტიჩინას სულ სხვა გზა ჰქონდა. ხშირად მესმოდა აღმავლობის შესახებ და ერთხელ შორს, ერთ მიყრუებულ რკ. გზის საღგურში გაკრულ გაზეთ „პრავდაში“ ამოვიკითხე პავლო ტიჩინა კომუნისტური პარტიის წევრი გახდაო. მიკოლა ბაეანი კი პარტიზანულ რაზმებს ხელმძღვანელობდა იარაღით ხელში.

როგორც შემდეგში გავიგე პავლო გრიგორიჩი რამოდენიმეჯერ ყოფილა საქართველოში, მაგრამ არ მინახავს. მოკლედ დამთავრდა ჩვენი ურთიერთობა და ჩვენი გზები სამუდამოდ დაცილდნენ ერთი მეორეს.

დამრჩა მხოლოდ ტკბილი მოგონება ამ შესანიშნავ ადამიანზე და მისი ორი წიგნი მისივე სამახსოვრო წარწერით.

* * *

საქართველოში რომ მოვდიოდი, ჩრდილოეთ კავკასიაში პალტო მომპარეს, ზამთარში დავრჩი უპალტოოდ. თბილისში კონსტანტინეს მივაკითხე, რომელსაც აღმოაჩნდა რაღაც ფრაკის მაგვარი პალ-
94.

ტო და ის მათხოვა. მეც ჩავიცვი მეტი რა გზა მქონდა. იქვე გვური კანი პოეტი ხარიტონ ვარდოშვილი, სხვათა შორის კონსტანტინეს-თან სხვა და სხვა დროს გამიცვნია გერონტი ქიქოძე წარმოსადეგი ქართველი ვაჟკაცი, პოეტი კონსტანტინე ჭიჭინაძე, მწერალი თედო სახოკია, რომლის გაცნობის დროს გამსახურდიამ მითხრა: „პატივცემული თედო ბერად არის ნაკურთხი და ამ ქრისტეს მოცი-ქულმა წარყვნა ქართველი ერი — ქართულად სთარგმნა ბოკაჩიოს ყოვლად უწმინდური წიგნი“ „დეკამერიონი“.

იმ დღესვე წავედი დასავლეთ საქართველოში, სადაც ჩემი ოჯა-ხი ცხოვრიბდა (ს. დიდი ჭიხაიში). მალე ხაშურში ჩავედი. დავიწყე ისევ რკ. გზაზე მუშაობა და იშვიათად თუ ჩავიდოდი თბილიში. არც დიდი მიმოწერა მქონდა გამსახურდიასთან. მას თავისი გზა ჰქონდა და მე ჩემი. „მავრმა სოქვა თავისი სიტყვა, მავრს შეუძლია წასვლაო“. მაგონდებოდა შექსპირის ნათქვამი. მეც ნელ-ნელა წაველი. 1937 წელმა ათი წლით მომაცილა სამშობლოს. უკან დაბრუნების შემდეგ მხოლოდ ორჯერ შევცვდი გამსახურდიას, უკა-ნასკნელად ქუჩაში შემხვდა, მიმიპარია გალის ქუჩაზე „კოლხურ კოშკში“. ამავსო საყვედურებით, რომ დავივიწყე და სხვა, მაგრამ რატომლაც ვერ მივედი მასთან... ასე და ამგვარად დამთავრდა უკრაინის ეპოპეა ჩემს ცხოვრებაში...

ბოლოთ ჯმა

თითქმის ნახევარი საუკუნეა გულში ვატარებდი მოგონებებს ამ ორ ბუმბერაზ ადამიანზე.

და ბოლოს დავასკვენი:

შეუძლებელია მეცე საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერა-ტურის ისტორიამ გვერდი აუაროს ისეთ მოღვაწეებს, როგორიც იყენენ ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია და უკა-ინელი პოეტი პავლო ტიხინა; როგორც მათი ნაშრომების განხილვა, ისე პირადი ცხოვრება ღრმა შესწავლას მოითხოვს, და დარწ-მუნებული ვარ, ადრე თუ გვიან ამ საქმეს ხელს მოკიდებენ ჩვენი მკვლევარები და ლიტერატურის მცოდნები.

კაცობრიობის ისტორიაშ საქმაოდ ბევრი მაგალითი იცის უძლ-
 რესად მნიშვნელოვანი საქმე, სულ მცირე და უბრალო შემთხვევით
 რომ გარკვეულა და ამოხსნილა, იქნებ ეს მცირე მოვლნება დაეხ-
 მაროს მომავალ მჯელევარებს თავის ეპოქის ორი დიდი აღამიანის
 ცხოვრებისა და შემოქმედების გაშუქებაში.
 ამას მომავალი დაგვიანახუებს.

გრიგოლ ვაშაკიძე 1977 წლი.

გამრიელ ჯაგუშანურის მოგონებები და უცოგი ლექსი

გაბრიელ ჭაბუშანურის „მოგონებათა ფურცლები (პოეტის ჩანაწერები)“ დაწერილია ლილოში, 1957 წელს, ნიკა აგიაშვილის თხოვნით, რომელიც იმავე წელს, პირად წერილში ატყობინებდა გაბრიელს, რომ უფრნალ „ჩეენი თაობის“ პოეტებზე, განსაკუთრებით მირზასა და ლადოზე მოგონების დაწერას აპირებდა და ამ საქმეში მასაც დახმარებას სთხოვდა. ამის პასუხად გ. ჭაბუშანურიც იწყებს თავისი წარსულის მოგონებას 1925 წლიდან, როცა 11 წლისა მამამ თბილისში ჩამოიყვანა და მთიელთა საბავშვო სახლში მიაბარა.

მირზა გელოვანსა და ლადო ასათიანს გაბრიელ ჭაბუშანურმა სპეციალური წერილი მიუღვნა: „მწერლობაში მოვიდნენ მირზა და ლადო“¹. ისინი „მოგონებათა ფურცლებშიც“ არიან ნახსენები, მაგრამ უფრო ეპიზოდურად. „მოგონებათა ფურცლებშიც“ ძირითადად საუბარია იმ გარემოზე, რომელშიც გ. ჭაბუშანურს უხდებოდა ყოფნა: მთიელთა საბავშვო სახლი თბილისში, №-1 საცდელ-საჩეკენებელი შრომის სკოლა, უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დასაცლეთ ეკრობისა და ლიტერატურის სექცია, უნივერსიტეტში თუ მწერალთა კავშირში გამართული ლიტერატურული დისკუსიები... აი, ის ატმოსფერო, რომელშიც გ. ჭაბუშანური ყალიბდებოდა, როგორც პოეტი და როგორც პიროვნება.

პოეტურ ნიჭს ლიტერატურული გემოვნებაც სჭირდება. ამას გ. ჭაბუშანური კარგად გრძნობდა, სერიოზულად მუშაობდა თავის თავზე და ყოველთვის შესწევდა უნარი, კრიტიკულად განეხილა თავისი შემოქმედება.

საინტერესოა გ. ჭაბუშანურის შეხედულება XIX და XX სა-სა ქართველ მწერლებზე.

საყურადღებოა, რომ 1957 წ. დაწერილ ამ მოგონებებში გ. ჭაბუშანური ძალიან პატიოსნად, მართალი კაცის გონებით აფასებს 1936—1939 წწ. შევბნელ პერიოდს.

¹ ახ. „ლიტერატურის მატიანე“ №—7—8, 1982 წ.

„მოგონებათა ფურცლებში“ მოთხრობილი ამბები მოიცვალეს 1925—1939 წლებს. მასში ნახსენებ გმირთა გალერეა საკმაოდ დიდია. ახსენებს რა საზოგადოებისათვის ნაცნობ თუ უცნობ პიროვნებებს, გაბრიელ ჭაბუშანური იქვე განმარტავს თუ სიღან იცნობს და რა დამოკიდებულებაშია მათთან.

„მოგონებები“ დაწერილია საერთო რვეულში, ლამაზი, ხელით, კარგი ქართული ენით.

სევდიანი განწყობა, რომლითაც მთავრდება გ. ჭაბუშანურის „მოგონებათა ფურცლები“, გრძელდება მის ლექსებში, რომლებსაც ამჟამად ვაქვეყნებთ. ისინი დაწერილია 40-იან წლებში. ამ ლექსებში ნაკლებად გამოკრთის იმედის სხივი, რომელზეც შინა „ლიტერატურის მატიანეში“ (1985 წ.) ვწერდით... პოეტის განწყობილება თანდათან ტრაგიკულ და დროისეულ იქნა იძენს.

გთავაზობთ გაბრიელ ჭაბუშანურის „მოგონებათა ფურცლებს“ „(პოეტის ჩანაწერებს)“ მცირეოდენი შემოკლებებით და გამოუქაყნებელ ლექსებს.

რუსეთის პანთურისაბილი

მოგოვნათა ფურცლები

24 ივნის 1957 წელი ღილაკ.

... 1934 წლის ივნისში დავამთავრე საშუალო სასწავლებელი. საბუთები მაშინვე ჩევნ უნივერსიტეტში შევიტანე და მისაღები გამოცდებიც ჩავაბარე. თბილისში 1925 წლიდან ვცხოვრობდი; ამ წლის შემოდგომაზე მამამ ჩამომიყვანა არხოტიდან ქალაქში. თერთმეტი წლის ვიცავი. მიმიღეს მთიცლთა საბავშვო სახლში. ეს საბავშვო სახლი 1924 წლიდან არსებობდა და იქ მხოლოდ და მხოლოდ მთიცლ ბავშვებს იღებდნენ: ქისტებს (პანკისიდან), ხევსურებს, სვანებს, მოხევეებს, ფშავლებს და სხვა....

... თავიდანვე პირველ საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლაში ვსწავლობდი (ასე ერქვა მაშინ ახლანდელ პირველ სკოლას). ჩვენი სკოლა სანიმუშო იყო ყოველმხრივ, მთელ თბილისში, სკოლის გამგედ დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა მიხეილ ზანდუკალი. პედაგოგური პერსონალიც შერჩეული იყო. თითქმის ყველა ჩვენი მასწავლებელი რაიმე წიგნის თუ სახელმძღვანელოს ავტორი იყო. ო, ამ სკოლისგან მე დიდად ვარ დავალებული და თუ დღეს მე რამეს წარმოვადგენ ცხოვრებაში, ამაში დიდი ამაგი ჩვენს საყვარელ სკოლას მიუძღვის.

... 1932 წლიდან ჩვენი სკოლა სააღმშენებლო ტექნიკუმად გადაეცთდა. ასე იყო მაშინ: ყველა საშუალო სკოლები ტექნიკუმად გადააეცეოს, — კადრები იყო საჭირო. ყველაფერი შეიცვალა სკოლაში. მიხეილ ზანდუკალი უნივერსიტეტში მუშაობდა უკვე, სიკოვანიადეც მგონი, იქ წავიდა სამუშაოდ, დავით დონდუასაც ვეღარსად ვწედავდი....

... 1933 წლის შემოდგომაზე თბილისში, აქა იქ, გახსნეს მოზრდილთა ათწლეულები — სამეურნეო ანგარიშებე. ჩემთვის გზა გახსნილი იყო: მე საშუალება მექანიკოდა დამეტოვებინა ტექნიკუმი და საშუალო სკოლის მეათე კლასში დამეტყო სწავლა.

... მე განცხადება მაინც დავწერე. ეს განცხადება რაჯდენ გვირაბებმ, მისი შეილის და ჩემი განუყრელი ამხანაგის, რამაზ გვეტაძის, განცხადებასთან ერთად, შეიტანა სკოლის დირექციაში. ათწლეულში მივგილეს. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ათწლეულში ქართულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა ქსენია



სიხარულიძე. ის მაშინაც მუშაობდა ფოლკლორის მასალებზე. შე, მისი დავალებით, მაშინ ჩავწერე ორიოდე ხევსურული საბავშვო თამაშობა. ეს მასალები მერე ქსენიამ „საბავშვო ფოლკლორში“ გამოაქვეყნა...

... შენ ძალიან კარგად გეხსომება, რომ მაშინდელი ლიტერატურული ცხოვრება ბობოქარი და სისხლჭარბი იყო, შეხლა-შემოხლებით, ლიტერატურულ დაჯგუფებათა ურთიერთბრძოლით, დაუსრულებელი კამათით და დისკუსიებით. ის არ გავდა ახლანდელ მდორე და უნიათო, ერთფეროვან ჩევნს ლიტერატურულ ატმოსფეროს. პოდა, მაშინაც უნივერსიტეტის კლუბში ასეთი ცხარე კამათი იყო. მაშინ მე მეცუთე კლასის მოსწავლე ვიყვივი. ახლა აღარ მახსოვს ვინ რას ამბობდა, ალბათ როულ საკათხებზე მსჯელობდნენ და მე ბევრი რამ არც გამეგებოდა მათი ნათქვამისა. მაგრანდება: სიტყვას ამბობდა რომელიმაც მწერალი, ყვიროდა, ცხარობდა. ერთბაშად პირდაპირ აუდიტორიიდან პლატონ ქიქოძე ავარდა კლუბის სკენაზე, ხელი ჰქრა მოკამათეს და თვითონ დაიწყო გაცხარებით ლაპარაკი: მახსოვს: იმ დისკუსიაზე გამოვიდა ვანლერ დაისელიც. ის უნივერსიტეტის პოეტი იყო. ჩოფურა, ჭორფლიანი, მელოტი შუბლით. მე წაკითხული მქონდა მისი წიგნები „გუშინ და ხვალ“ (ლექსები). ისე ხმამაღლა ყვაროდა, რომ კლუბის ჰქრი ზრიალებდა. ეკამათებოდა პროლეტ-პოეტებს. ...

... 1929 წლის შემოდგომაზე ჩევნი საბავშვო სახლი თბილისიდან კოჭორში გადაიტანეს და იქ სხვა საბავშვო იხალშენებს შეუერთეს. ...

... იქ ჩვენთან ერთად, აგრეთვე მეექვსე კლასში, სწავლობდა კოტე ხიმშიაშვილი. ...

... კოტე გამხდარი, სულ თეთრი, თითქოს უსისხლო, ნაზი აგებულების წყნარი და მორცხვი ბიჭი იყო. სწავლით კარგად სწავლობდა, საბავშვო ახალშენის ბავშვებთან რაიმე ახალი ურთიერთობა არ ჰქონდა. ...

... მე და კოტე მაინც მეგობრები ვიყავით. მეც კარგად ვსწავლობდი, წესიერი ბავშვი ვიყავი, ლექსებს კანტიკუნტად მაინც კიდევ ვწერდი, თუმცა ისე აღარ, როგორც თბილისში...

... იმავე ხანებში მე — თბილის დანატრებულმა, ჩემს თბილისელ სკოლის ამხანაგებს, მეექვსე ჭილადებს, მივწერე წერი-



ლი, სად ვწერდი თუ როგორ მენატრებიან ისინი და როგორ გამიძნელდა თბილისის გარეშე ცხოვრება. ესეც ჩემთვის ერთერთი საშუალება იყო სათბილისო სევდა-დარდის უკუსაყრელად. ჩემთვის სრულიად მოულოდნელად წერილმა, თურმე, ჩემს თანაგუფელებზე დიდი გავლენა მოახდინა. ჩემი თბილისელი მეგობარი თანაგუფელები: გივი გაბლიანი (ეგნატე გაბლიანის ვაჟი), უნია სტურუა (ვანო სტურუას ქალიშვილი, რობერტ სტურუას და, თინა ლექავა (შამშეს ქალიშვილი) და ზურაბ მიქელაძე მწერლდნენ ჭგუფურ საპასუხო წერილს, სადაც მაცნობებდნენ, რომ ჩემმა ბარათმა, სათანადო რეაქცია გამოიწვია. წერილი ჭგუფისათვის, გაკეთოლის დროს, წაუკითხავს დავით დონდუას. კითხვა რომ დაასრულა თვალებში ცრემლი დაუბრუწყინდა დავით დონდუასო, — მწერდნენ ამხანაგები. მაშინვე ამდგარიყო გაკეთილიდან მთელი ჭგუფი და დავითის მეთაურობით განათლების სახალხო კომისარიატში წაეკიდნენ თურმე. იქ დაპირებოდნენ, რომ გაბრიელს ისევ თბილისში გამოყიდვანთო. რასაცვირველია დაპირება დაპირებად დარჩა. ეს ქალაქში ჩემი გადმოყვანის საქმე ისევ ჩვენმა აღმზრდელმა ფაფალა გარდაფხნდე-ქიქოძისამ მოახერხა 1930 წლის თებერვალში, რისთვისაც მე მისი მარად ენითუთქმელად მადლობელი ვარ და ასეთი დავრჩები მთელი ჩემი სიცოცხლის ქამაღ...

... 1931—32 სასწავლო წლის განმავლობაში ჩვენს ჭგუფს ქართულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა ვარლამ თოფურია. ის ჩვენთან უნივერსიტეტიდან მოვიდა და რაღაც წმინდა პედაგოგიკური გამიზნულობით უნდოდა ერთი წელიწადი 1საშუალო სკოლაში ემუშავა. იგი რა თქმა უნდა, პარალელურად ჩვენს უნივერსიტეტშიც მუშაობდა. ვ. თოფურია მაშინ დოცენტი იყო და უკვე დაწერილი პეტრონა სადოქტორო შრომა სვანური ენის შესახებ. მე და პატივცემული მეცნიერი იმთავითვე დავმეგობრდით. იმ ხანებში პროფ. აკ. შანიძემ გამოსცა სქელტანიანი ნაშრომი „ხალხური პოეზია“ (ტ. I. ხევსურული). ვარლამმა ეს წიგნი მომიტანა და დამავალა შენიშვნები გამეცეთებინა წიგნის იმ მასალებზე, რაც აკაერ შანიძის მიერ იყო ჩაწერილი და კომენტირებული. ასეთი შენიშვნები მე გავაკეთე და ვარლამმა ჩემი „რეცენზია“ აკ. შანიძეს წაულო. ჩემი კრიტიკული წერილი შანიძეს მოსწონებოდა და ერქვა: კიდევაც გაკეთოს ამავ წიგნზე მსგავსი შენიშვნებით. მე ასეთი შენიშვნები წიგნის სხვა მასალებზე აღარ გამიკეთებია...

... ერთხელ ჩვენი, მეშვიდე ჯუფი (მაშინ კალს ჯგუფს ეძახდნენ), ვარღამ თოფურიამ სტამბის დასათვალიერებლად წაგვიყვანა. ეს იყო 1931 წლის შემოდგომაზე. სტამბის მუშები ვარღამს კარგად იცნობდნენ (ეს სტამბაც მგონი ახლაც იმავ ადგილს არ-სებობს — საგარო ბიბლიოთეკის წინ, მასწავლებლის სახლის ქვემო სართულში). იქ მე თოფურიამ გამაცნო სტამბის მუშა ხევსური. მისი გვარი მგონი არაბული იყო. ახალმა ნაცნობმა დიდი შრიიფ-ტიო აწყო ჩემი სახელი და გვარი და სახეცდ დაზგაზე რამდენიმე ცალად დაბეჭდა. ეს ანაბეჭდები ხევსურმა მე მისახსოვრა; ბავშვი-კიო მიხაროდა, როცა ვუყურებდი ქილალდზე დაბეჭდილ ჩემს გვარსა და სახელს. ეს გრძნობა ალბათ წიგნის ავტორობის მაძი-ებელთა საერთო სენია ლიტერატურული მუშაობის ღწყების პირ-ველ ხანებში. სტამბის დათვალიერების შემდეგ ვარღამმა წინადა-დება მომცა დამეწერა ლექსი სტამბის მუშებზე. ჩემი გრაფიკანი-ის მშავი მან, რასაკირველია, იცოდა. ლექსი დაწერე. იგი ურა-პოლიტიკური გამოვიდა; ასეთ ლექსებს წერდნენ მაშინ პროლეტ-მწერლები და მეც მათ ვბაძვდი. მე მაშინ ვერც კი წარმომედგი-ნა თუ სხვაფრივ წერა შეიძლებოდა. თავისუფალ თემებზე დაწე-რილი „უიდეო“ ლექსები შეცდომად მიმინდა. ატმოსფერო იყო ასეთი და მეც ასეთ ატმოსფეროში ვიზრდებოდი. ჩემს „სტამბის მუშებს“ (ასე ერქვა ლექსს), თურმე, ვარღამი მასწავლებელთა შეკ-რებაზე კითხულობდა, დღესაც არ ვიცი: რისთვის სჭირდებო-და ეს.

იმავე 1931 წლის შემოდგომაზე რამდენიმე ჩემი ლექსი ფრი-
ლონ ნაროუშეილს წავულე გასასინჯად. ლექსები ძალიან სუსტი
იყო. ამა რომ ვიგონებ ამას მრცხვენია. ფრ. ნაროუშეილს ვიც-
ნობდი და ი საიდან: იმ წლის ზაფხულში, როგორც ყოველთვის
წლის ამ დროს, არხოორმი ვიყავი. სახაფხულო არდალაგებს შინ
ვატარებდი. ხატში ვიყავით, — ათენგვენობის დღესასწაული იყო.
შეაღლისას კოკისპირული თქეში წამოვიდა, მაგრამ მალე გადა-
იდარ. ციონდა, ასეა მთაში წევისი შემდეგ. საღამოვდებოდა, როცა
სოფლისეკნ მომავალ გზაზე ვიღაც უცხო ხალხი გამოჩნდა. მივე-
გებეთ. ბარელები იყვნენ წევისისაგან თავიდან ფეხებამდე დასვე-
ლებული და საცოდვად მობუზული სიცივისაგან. ფრ. ნარო-

უშვილს მე შორიდან სახეზე ვიცნობდი თბილისშივე. იმ დროს არხოტში იყო ლადო ბალიაურიც. ის მუშფაქში სწავლობდა და ქალაქში ნაცნობობა ჰქონდა ფრინდონთან, ნაროუშვილი თვითონ ყოფილი მუშფაქელი იყო მგონი. გამოვემცნაურეთ ურთიერთს. ყველა მოსული სახლებში წავიყვანეთ და ბინა მივუჩინეთ. ეს იყო კულტბრიგადა თბილისიდან. ამ ბრიგადამ არხოტელებს უჩვენა კინოფილმი „ელისო“, გაითამაშა რამდენიმე მცირე ფორმის პიესა— კოდევილი და საუბრებიც ჩატარა მოსახლეობაში. ბრიგადა გამოვზავნილი იყო განათლების სახალხო კომისარიატისაგან. ფრ. ნაროუშვილი იმ ხანებში თურმე განსახურმის ინსტრუქტორად მუშაობდა. იმ დამეს ჩვენს ერთ სოფლელს — მიხა ოჩიაურს „ლამისთვა“ ჰქონდა. ეს ასე ვიცით: როცა ხატში რაიმე რელიგიური დღესასწაულია (იმ დროს ათენეგნობა იყო) რომელიმე ოჯახი, თავისი სურვილით, რა თქმა უნდა, გაამზადებს სასმელს — ლუდს, არაც, საკლავებს. რომელი ხატების „სტუმრობაც“ უნდა (არხოტში რამდენიმე ხატია, ხატს თავისი დროშები აქვს.) იმ ხატების დროშებს მასპინძლის ბანზე დააბრძანებენ, საკლავებს დაპკლავენ და იწყება ღრეობა მთელი ღამის განმავლობაში და მეორე დღესაც. ამას ჰქვია ღამის თვეა. მე და ლადომ ფრიდონი ამ „ლამისთვაში“ წავიყვანეთ. სხვები არ წამოვიდნენ, დალლილნი !და დატანჯულნი იყვნენ. როგორც იცი, ძმაო ნიკა, ფრიდონი „ნამა ვიყჩი და დურაკ“. ხალხი ბევრი იყო, შუა ცეცხლი გვენთო ჭერხოში და ვსვამდით. ნაროუშვილი დათვრა, თანამეინახებს დაუძმაკაცდა, ლექსებს ამბობდა, ყვიროდა და ყოველნაირად ბაძავდა მთვრალ ხევსურებს. ბოლოს მათ ფერხული ჩააბეს და ყვირილით გარშემო უვლიდნენ ცეცხლს. ნაშველიდად პირელყოფილ ადამიანებს ჰგავდნენ. საქმე უკვე ფარსის ხასიათს იღებდა და ჩვენ, მე და ლადომ, ფრიდონი სახლში წამოვიყვანეთ. კულტლაშქრობის სხვა მონაწილეთაგან აღსანიშნავი იყვნენ დედა-შვილი მარიგან და დოდო ალექსიძეები. დოდოს მე ადრევე ვიცნობდი: იგი ჩვენი სკოლის უფროს კლასებში სწავლობდა და ის იყო დაამთავრა საშუალო სასწავლებელი. სკოლაში დოდო რეიისორობდა, მსახიობობდა და მუერლობდა კიდეც დოდო მარგანიძის ფსევდონიმით. ის სკოლაში გამართულ საღამოებზე გამოდიოდა საკუთარი ლექსების კითხვით. მან სკოლის სკონაზე დადგა თავისივე პიესა 905 წლის რევოლუციის შესახებ და აგრეთვე კარლო კალაძის „როგორ“. ამ პიესებში მთავარ რო-

ლებს ყოველთვის თვითონ ასრულებდა. რაც შეეხება მარიჯანს, მე იგი იმეამად გავიცანი პირველად. კულტტბრიგადის წევრები ჩვენთან ამდენიმე დღე დარჩენენ. მათ სხვადასხვა წიგნებიც დაარიგეს მოსახლეობაში. ფრიდონმა მე და ლადოს გვისახსოვრა თავისი წიგნის „პოლიტიკური პოეტის დეკლარაციის“ თითო ეგზემ-ბლიარი ავტორისეული წარწერით. მე იმეამად არხოტში მქონდა წალებული 1927 წლის „მნათობის“ ნომრები. უურნალის ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილი იყო გალაკტიონის ასი ლექსი. ფრიდონმა დაუდევრად გადაფურცლა უურნალი და თვალი მოუხვდა გალაქტიონის ლექსი „ვარ გენია რიმანელი“. მან სახის მანქვით წაიკითხა ეს ლექსი და თქვა: სისულელეა ამნაირი ლექსების წერათ. მაშინ პროლეტშერლები ყოველივე არაპროლეტარულს სისულელეს უწოდებდნენ. მოდაში იყო დროის არაშესაფერისი ყოველი მხატვრული ნაწარმოების უარყოფა ხელაღებით. ზოგიერთი ასეთ რამეში უხეშობამდე მიღიოდნენ და ამით ამაყობდნენ კიდეც. ფრიდონი ამათგან ყველაზე მეტად იჩენდა მემარცხენეობას და უკიდურესობის ზღვარამდე იღწევდა. ის, მაგალითად, გრიგოლ ორბელიანს, ილიას, მხეცებს, სისხლისმსმელებს და ტირანებს უწოდებდა. ...

... უფრო გვიან, თბილისში ჩვენი შემდგომი შეხვედრების დროს ის მეუბნებოდა, რომ ის თავისი პოემით უკმაყოფილოა, რომ ეს პოემები ნაჩქარევი და დაუმუშავებელია...

... არხოტში დაწყებული ნაცნობობა მარიჯანთანაც განვაახლე-იმეამად, სახელგამის დავალებით, ის თარგმნიდა გ. დემიდოვის წიგნს ხევსურეთზე. ეს წიგნი შეცდომებით იყო სავსე. მარიჯანი თარგმანს თავის კომენტარებს ურთივდა. ამ კომენტარებს მე ვაწერინებდი. მარიჯანმა მთხოვა მისითვის ჩემი ლექსები მეჩვენებინა. წავულე ხელნაწერის რეკვლი. იქაც სუსტი ლექსები იყო. პოეტი ქალის ოჯახში მე გავიცანი იოსებ გრიშაშვილი. იმ დროს მას ლექსებს არ უბეჭდავდნენ, „მემარჯვენედ“ იყო გამოცხადებული. ის ალბათ თავის გამოკვლევებს ჰყავდა ჩამჯდარი. ერთხელ სადი-ლობის დროს მოვიდა მარიჯანთან. მიეგებნენ. სუფრაზე დასვეს. უმაღვე ფეხის ამბავი ჰყითხეს. ტრამვაიში ასელისა თუ ჩამოსვლის დროს ეტყინა, თურმე, ფეხი. ...

... მეშვიდე ჯგუფში ვისწავლეთ არჩილ ჩაჩიბაიას მოთხოვა ცხრასხუთი წლის რევოლუციის თემაზე. ვარლამ თოფურიაშ ჩვე-

ნი ყურადღება გაამახვილა მოთხრობის ზოგიერთ ადგილებშე და იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ საჭიროა ამ ადგილების უფრო ნათლად გაგებისათვის ავტორისეული განმარტებები პირად საუბარში. მე და ერთი ჩემი ამხანაგი თანაჯგუფელი გაგვაგზავნა ვარლამმა მწერალთა კავშირში, რათა ჩაიჩინა მოგვენახა და ზემოთაღნიშნული ადგილების უფრო ფართე ინტერპრეტაცია გვითხოვა მისთვის. განმარტებები შემდეგ ჯგუფისთვის უნდა მოგვეხსენებინა. წავედით. მწერალთა კავშირის გზა მე უკვე კარგად ვიცოდი. ვდელავდით ათრთოლებულნი. შესასვლელ კართან დარაჯს ვკითხეთ ჩაიჩინას შესახებ. გაურკვეველი პასუხი მოგვცა, რაღაც ბუზღუნი დაიწყო. დავიძენით, ვეღარც შესვლა გავძედეთ და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილნი, დარცხვენილნი დავდიოდით მწერალთა სასახლის წინ ფილაქენზე. სასახლიდან ახალგაზრდა კაცი გამოვიდა. ჯერ შესასვლელ კარგბთან გაჩერდა, მერე ჩვენთან მოვიდა და გვკითხა: ვინ გინდათო. ჩვენ ვუთხარით ვინც გვინდოდა. რადაო. ესეც ავტოსენით. მხოლოდ მაშინ გამოგვიცხადა, რომ იყო ოვითონ იყო არჩილ ჩაიჩინა და შიგნით შეგვიძლვა. დავსხედით. მე, გაწილებულმა, დარცხვენილმა, ხელის ცახცახით ფანქარი და რვეული მოვიმარჯვე და არჩილმაც შეკითხვებშე პასუხი გაგვცა, მე ახლა ვფიქრობ: ალბათ ვარლამმა არჩილ ჩაიჩინას წინდაწინვე შეატყობინა, რომ მასთან მოწაფებს აგზავნიდა, თორემ რაღა მაინც მარჯვემანც სწორედ ჩვენთვის საჭირო კაცი შეგვეცეთა იმ გაჭირვების უამად. 1932 წელს, საზაფხულო არდადეგების დაწყების წინა დღეებში ვარლამმა მომცა აკ. შანიძის რედაქციით გამოცემული ბესარიონ გაბურის „ხევსურული მასალები“ (ეს მასალები დაბეჭდილი იყო უნივერსიტეტის „წელიწადეულში“). „მასალებს“ დართული პქონდა შანიძისავე ლექსიკონი, სადაც ხევსურული სიტყვები ლიტერატურული ქართულით იყო განმარტებული. ვარლამმა მე დამავალა ლექსიკონში მოთავსებული ხევსურული სიტყვები ხევსურული სიტყვებითვე განმემარტა არდადეგების დროს. იმ ზაფხულში მან წერილიც მომწერა არხოტში. მე მაშინ გავიგე რომ ვარლამი სოფელ ონტოფოდან იყო. საპასუხო წერილი მე ხევსურულ კილოზე მივწერე. დავალების შესასრულებლად ზაფხულის განმავლობაში არაფერი გამიკეთებია. ფრიად დაუდევარი და ზარმაცი ვიუავი იმ საქმეებში, რაც უშუალოდ მწერლობას ირ ეხებოდა. ასეთივე დავრჩი დღემდე. თბილისში წამოსვლის წინ

ორი, სამი დღე ჩავუშექ და სახელდახელოდ, მეტად უნიათოდ შევასრულე ვარლამის დავალება. როცა თბილიში მან გადაათვალიერა ჩემი ნამუშევარი, არაფერი მითხრა და წიგნი წაიღო. ალბათ დარწმუნდა, რომ ჩემგან ენათმეცნიერი არასოდეს არ გამოვიდოდა, რომ მე მოურჩენელად ვიყავი შეპყრობილი გრაფომანის სენით.

... 1930 წლიდან მე სომხების ინტერნატში ვცხოვრობდი. კარგი ახალგაზრდები იყვნენ, მაგრამ მე მათთან საერთო მაინც არაფერი მქონდა. საცხოვრებელში პურის საჭმელად და ღმმის გასათევად მივდიოდი მხოლოდ. დანარჩენ ლროს ჩემ სკოლის იმხანაგებთან: ბეჟან ბოლქვაძესთან (ძევლი რევოლუციონერის, ვანო ბოლქვაძის შვილი) და რამაზ გვერაძესთან (რაფდენის ვაჟი) ვატარებდი. ერთად ვმეცადინეობდით და ერთად ვერთობოდით. ერთმანეთთან ახლოც ვცხოვრობდით: მე ენგელსის ქუჩაზე, ბეჟანი აკ. წერეთლის, ხოლო რამაზი ლერმონტოვის ქუჩაზე....

... 1933 წლის ზაფხულში ჩეენი ოჯახი კახეთში გადასახლდა. ძალიან დაუდგრომელნი რამ იყვნენ ჩეენი მამა-ბიძანი: ჭერ კიდევ რევოლუციამდე, მათ თურმე მოშალეს დოკულათით სავსე ოჯახი, გაყიდეს მთელი ცხვარი და საქონელი და ვლადიკავკავში გადასახლდნენ. აბა, რა უნდა გაეკეთებინათ უსწავლელ ხევსურებს ქალაქში; რაც ფული ჰქონდათ ერთ წელიწადში შემოხარგათ თურმე და ისევ არხოტს დაუბრუნდნენ. მოუხდათ ცხოვრების ხელახლა დაწყება და შექმნა.

1917 წელს კახეთში გადასახლებულან კვლავ. მე მაშინ სამი წლისა თუ ვიქენებოდი. ძმებს კახეთში სამი თუ ოთხი წელიწადი უცხოვრიათ, არხოტიდან წაყვანილი მთელი შინაური პირუტყვი ვასწავლითათ და ისევ არხოტს მოახლებიან. კახეთიდან არხოტში წამოსვლა მეც მახსოვს ბინდანდად, მაშინ ექვსი-შვიდი წლის ბაჟვი ვიყავი. 1933 წელს ჩეენ მეორედ გადაესახლდით არხოტიდან კახეთში; დავსახლდით იმავე სოფელში (სოფ. ინგეთი), სადაც პირველად გადასახლებული ვცხოვრობდით. სოფ. ინგეთი მაშინ თელავის რაიონში შედიოდა (ახლა ახმეტის რაიონს ეკუთვნის). კახეთში გადასახლების გამო ოჯახი გაჭირებებაში ჩავარდა. გადაწყვიტე: უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებაზე დროებით უარი მეთქვა, ჭერისავე სოფელში ერთი წელიწადი მასწავლებლად მემუშავნა, რათა მატერიალურად დაჭვეითებულ ოჯახს შევშველე-

პიდი და 1935 წლის შემოდგომიდან შევდგომოდი უმაღლეს სკოლები წავლებელში მეცადინეობას. ...

... ჩვენს სოფელში არსებობდა დაწყებითი სკოლა. მეტ ამ სკოლაში დავიწყე მუშაობა გამგე-მასწავლებლად. სოფელი ქისტაურის საბჭოში შედიოდა და სასოფლო-საბჭოს ხუთი თუ ექვსი კილო-მეტრით ვიყავით დაშორებული, დაახლოებით ამდენივე მანძილი გვაშორებდა ახმეტას. ს. ინგეთში მთილან გაღმოსახლებული ფშაველები და ხევსურები ვცხოვრობდით. იგი ბარის სოფლად არ ჩაითვლებოდა, მაღლობზე იყო გაშენებული (როგორც ბარში ჩამოსახლებული ფშაველ-ხევსურთა ყველა სოფლები საერთოდ) და გზა ახმეტამდე თუ ქისტაურამდე სულ დაღმართხე მიღიოდა. კახეთში იმეამად არსებულ სოფლებში, რომლებშიც ფშაველ-ხევსურები სახლობდნენ, ვაზი არსად არ ხარობდა, მათი მაღალი მდებარეობის გამო. მოსახლეობა ერთპიროვნულ მეურნეობას მისდევდა და ისევე, როგორც მთაში, უკულტუროდ ცხოვრობდა.

თბილისში წვითა და დაგვით შეძენილ-დაგროვილი წიგნები სოფელში წავიღე. ჩემს ბიბლიოთეკაში ექვსასამდე წიგნი იყო რესულ და ქართულ ენებზე. ...

... ბიბლიოთეკა თითქმის მთლიანად წიგნდა ლიტერატურული ხასიათის წიგნებისაგან შესდგებოდა. თბილის დაუშორდი, მაგრამ მასზე არ ვდარდობდი, მე ხომ შინ ვიყავი და წიგნებიც მქონდა. თბილისელ მეგობრებთან წერილობითი კავშირი არ გამიწყვეტია. მწერდნენ: ლადო ბალიაური, რეზო მარგიანი და სხვები.

საბაშვილ ლექსები საკმაო რაოდენობით მქონდა დაწერილი. ბევრი მათგანი სხვადასხვა დროს დაბეჭდილი იყო ქართულ საბავშვო კურნალ-გაზეთებში. მე გადავწყვიტე ამ ლექსებიდან საბავშვო ლექსების წიგნი შემედგინა და მეტად თბილისში ამ წიგნის გამოცემა. ...

... წიგნი მართლაც შევადგინე. მასალები ერთ საერთო რევულში გადავწერე. მიმავალ მამას გავატანე, რათა ამ უკანასკნელს, ხელნაწერი რეზო მარგიანისათვის მიეტანა, ხოლო რეზო მარგო თომაძეს გადასცემდა ჩემს წიგნს, რომელსაც „ჩვენი პატაკი“ ერქვა. ლექსების უმრავლესობა, რა თქმა უნდა, სუსტი იყო თვით იმ ღონესთან შედარებითაც, რა ღონეზეც მაშინ ჩვენი საბჭოური საბავშვო ლიტერატურა იდგა. ღიღი ხნის შემდეგ, 1953 წელს გა-

მოცემულ ჩემს საბავშვო ლექსების კრებულში „პატარა მოქალაქეთა
ბი“ იმ ლექსებიდან მხოლოდ ხუთი ლექსი შევიტანე, ისიც მათი
სათანადო გაშალაშინების შემდეგ. რასავვირველია, „ჩვენი პატა-
კი“ არ გამოსულა. აღნიშნულ ხელნაშერთან ერთად მე რეზოს გა-
ვუგზავნე რამდენიმე ჩემი ახალი ლექსი. ეს იყო 1935 წელს. მაშინ
„ჩვენი თაობა“ გამოდიოდა. მართლაც, დასახელებული უურნალის
მეორე ნომერში დაიბეჭდა ჩემი ლექსი „ცხენი“. ამ ლექსით მე
პირველად შევაღე დიდი ლიტერატურის კარები. იგივე 1935 წელი
მე მიმაჩნია შეგნებული შემოქმედებითი მუშაობის (Сознательное
творчество) დასაწყისად. ამ ხნიდან მე ლექსებს ვწერდი დასაბეჭ-
დად. „ცხენი“ გაესწორებინა რედაქციას და ისე დაებეჭდათ. სი-
ნამდვილეში უურნალის რედაქციამ დათვური სამსახური გამიწია:
ლექსი უსულებულოდ იყო „გაესწორებული“. იმავე წელს ეს ლექსი
სამართლიანად გააკრიტიკა, მგონი, შალვა აფხაძემ უურნალ „საბ-
ჭოთა ხელოვნებაში“. (იმ რეცენზიაში გარჩეული იყო უურნალ.
„ჩვენი თაობის“ 1935 წლის პირველი და მეორე ნომრები. კრიტი-
კა რედაქციის მიერ ნასწორებ სტრიქონებს შეეხო. მეორედ „ცხე-
ნი“ ახალგაზრდა მწერლების კრებულში დაიბეჭდა 1937 წელს. მე
აღვადგინე ლექსის ჩემეული ვარიანტი. ამ ლექსს შემდეგში უკავ-
შირებდნენ სერგეი ესენინის „Сорокуест“-ს. სინამდვილეში მე,
იმ დროს, რუსულად ესენინის არც ერთი სტრიქონი არ მქონდა
წარითხული, გარდა ქართულად ნათარგმნი ლექსებისა. რუსულ
ენაზე, მაშინ, მე უკვე ბევრს ვკითხულობდი. მოხიბლული ვიყავი
ლერმონტოვის პოემებით და „ჩვენი დროის გმირით“. გარდა „ვე-
ფეხისტუაოსნისა“ აღბათ სხვა რომელიმე წიგნი იმდენჯერ განმე-
ორებით არ წამიკითხავს, რამდენჯერაც ლერმონტოვის „ჩვენი
დროის გმირი“. მე იგი თითქმის ზეპირად ვიცოდი. უფრო ვეიან,
1936 წელს, უკვე თბილისში, მე „ლიტ. საქართველოსთვის“ გამიზ-
ნულ რეცენზიაში გავაჩიიე ამ რომანის შალვა დადიანისეული
თარგმანი. შენიშვნებს, დედანთან თარგმანის შედარების დროს,
ზეპირად ვაკეთებდი. იმეამად მე ლერმონტოვს პუშკინზე მაღლა
ვაყენებდი. შემდეგ წლებში ლერმონტოვის ეს პრიმატი ნაწილობ-
რივ შემერყა, მაგრამ მე ახლაც მიჰირს ამ ორი მწერლიდან რომე-
ლიმესათვის შედარებითი უპირატესობის მიუთვნება. ერთი რამ
მაინც მტკიცედ მწამს: ლერმონტოვს რომ პუშკინის პასკამდე მაინც
მიეღწია, ის უცილოდ გასწრებდა „რუსული პოეზიის მზეს“. და-



ଗାହିନୀରେ ଫାଁଦୁରୀନ୍ଦ୍ରିଯାଙ୍କରିଂ (ଗାନ୍ଧାରାଲ୍ପିଲ୍ଲିଙ୍ଗ ସର୍ବ. ଏନ୍ଟର୍ଟିକ୍ 1959 ଫି).
ଶ୍ରୀପଣ୍ଡିତ ପିଠୀର୍ବେଳାଙ୍କ



ଗାଢ଼ରିଯେଲ୍ ଶାଖାଶେନ୍ଦ୍ରରୀ (ଗାନ୍ଧାଲୁହିଲୁଙ୍କା ୧୯୬୭ ଫିଲ୍ମ)

წყებული 1934 წლიდან მე კანტიკუნტად ვთარგმნიდი ლერმონტოვის ლექსებსაც. ეს თარგმანები სუსტი იყო. რუსული ენის ბუნებას მე ჯერ კიდევ კარგად ვერ ვგრძნობდი, მაგრამ ლერმონტოვი საოცრად მიპყრობდა მაინც. ალბათ ეს ინტუიციის გამო იყო. ქართველი მწერლებიდან შოთას ვაღმერთებდი. ბარათაშვილს ვერ ვგრძნობდი, ვერც გრიგოლ ორბელიანს. მიკვირდა ასე რატომ აქებდნენ მათ. საბას პროზის სიდიადეს ვერ ვწვდებოდი. რაღა თქმა უნდა ვაჟა ძალიან მიყვარდა. მხოლოდ მიკვირდა: „ალუდა ქეთელაურის“, „სტუმარ-მასპინძლის“, „გველისმჭამელის“ და რჩეული პოემების ავტორს როგორ შეეძლო ეწერა „საწყალი მესტვირე“ და მსგავსი სხვა სუსტი პოემები; „მოლოდინის“, „წლის ყრის“, „არაგვის“, „ბაკურის“ და სხვა შედევრების გვერდით მდარე სიმღერა ლექსები; „ქუჩის“, „იას“, „ნუკრის ნაამბობის“, „მთანი მაღალნი“-ს და სხვათა გვერდით უგემური მოთხრობები, რომლებიც მის დიდ სახელს არ ეყადრებოდა. იკავის ეპოსი და პროზა უფრო მომწონდა. ლექსები არა, ორიოდე ათეულის გარდა. ილიას ლექსები და პოემები მძიმედ და არა პოეტურად მიმაჩნდა „განდევილისა“ და რამდენიმე ლექსის გამოკლებით, სამაგიეროდ მისი პროზით მოხიბლული ვიყავი. ყაზბეგს, ეგნატეს, შიო არავისპირელს დიდის გატაცებით ვკითხულობდი. შემდეგ მე შევიგრძენი ბარათაშვილი და გრიგოლ ორბელიანი. დანარჩენ მწერლებზე თითქმის იგვევ შეხედულება დამრჩა, რაც მაშინ მქონდა. საერთოდ ჩვენი კლასიკოსების ნაწერებში, იმისდა მიუხედავად, რომ ეს ნაწარმოებები დიდი მნიშვნელობისანი არიან და ჩვენი ეროვნული კულტურის საგანძურს წარმოადგენენ, ბევრი რამაა არამხატვრული, გაუმართავი, გულშბრყველო და ნაჩქარევი (რა თქმა უნდა ამას ვამბობ თანამედროვე თვალთახედვით). ეს მოვლენა გასავებიცაა: ისინი ყამირს ტეხდნენ. ამავე ხანის რუსულ ლიტერატურაში ასეთი რამ უფრო ნაკლებსაგრძნობია, მაგრამ მსგავს ნიშნებს იქაც ვხვდებით (მე მხედველობაში მყავს დიდი მწერლები — ლიტერატურის კორიფეები). ჩემთვის საოცარი და სასიამოვნო ის არის: ეს ჩრდილოვანი მხარეები მაინც ვერ შევხნენ: შოთას, საბას, ბარათაშვილს, ვაჟას პოემებს, ილიას „განდევილს“ და „ოთარაანთ ქვრივს“. ვერც პუშკინს, ლერმონტოვს, ტოლსტოის და რამდენიმე სხვა რუს მწერალს.

... ახლა მე მინდა რამდენიმე სიტუაცია ვთქვა თანამედროვე ქართველი მწერლებისადმი ჩემს იმ დროინდელ დამოკიდებულებაზე. დავიწყოთ თავიდან: ალექსანდრე აბაშელში მე ვერძნობდი ლექსის დიდოსტატს, მაგრამ ის ციფრი იყო და ჩემს ვრძნობას არ ხვდებოდა. გრიგოლ და ირაკლი აბაშიძეთა ლექსებს სიუვარულით ვკითხულობდი, ორივეს ახისიათებდა ვრძნობის უშუალობა, მათ შორის უფრო პირველს. ვასილ ბარნოვის პოეტურ პროზას დიდად ვაფასებდი. მე ახლაც მიკვირს, რომ მას ლექსები არა აქვს დაბეჭდილი. ქართული პოეტური პროზის დიდოსტატს კონსტანტინე გამსახურდიას, მაშინ ნაკლებად ვერძნობდი, აღმართ ნაწილობრივ არც მესმოდა იყო. ცისფერ ყანწელებს და ფურურისტებს თუმცველთხულობდი, მაგრამ ეერ ვიგებდი მათ ნაწერებს, მაგრამ ჩემთვის ახლობელი უფრო სიმონ ჩიქოვანი იყო პოეზიაში (ის ბოლოხანებში მთის თემატიკაზეც წერდა), ხოლო პროზაში დემნა შენგელია. ვალერიან გაფრინდაშეილის ოფელიების, ორეულებისა და სარკევების არაფერი არ მესმოდა. ვრძნობის უშუალობითა და სისხლპარბი ლექსებით ყველაზე უფრო მომწონდნენ ტიციან ტბიძე, ილ მოსაშეილი და გოგლა ლეონიძე. იოსებ გრიშაშეილს მაშინ იშვიათად ბეჭდავდნენ, აღმართ ის აღარც ან ცოტას წერდა ლექსებს. მისი წიგნები (ლექსებისა) არ გამოდიოდა. წაჟითხული მქონდა მისი წინათ გამოცემული ორტომეული. იქ ბევრი რამ კარგი იყო. საერთოდ გრიშაშეილი მსუბუქი ხასიათის პოეტად მიმაჩნდა. როგორც პოეტური დოკუმენტი მე უფრო მომწონდა მისი „ექვსი ლექსი“. პაოლო იაშვილს მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოცემული ლექსების წიგნი. უურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი ლექსებით მე მასზე მთლიანი წარმოდგენის შემუშავება მიჰიდა. პროლეტარული მწერლებიდან მე ყველაზე უფრო მიზიდავდა კარლო კალაძე თავისი ფორმალური ექსპერიმენტებით და პატრიოტული ლექსებით. 1927 წელს გამოცემული „რჩეული ლექსები“ ძალიან კარგ წიგნად მიმაჩნდა. ამისდა მიუხედავად მე მაინც ვფიქრობდი, რომ იყო ფაქტიზი სმენის პოეტი არ იყო. შემდეგში კარლო კალაძემ გამოაქვეყნა „უჩარდიონი“. ქართულ საბჭოთა პოეზიაში ეს პოემა მე მიმაჩნია დიდ მოვლენად და ახლაც მიჰირს დავუფრნა მას გვერდით რომელიმე სხვა თანამედროვე ავტორის ეპიკური

ნაწარმოები. გიორგი კაჭახიძემ იმ ხანებში გამოსცა ლექსების პატარა წიგნი „ის უბანი და ის კარმიდამო“. ამაზე უკეთესი რამ მას მერე კაჭახიძეს აღარ გამოუქვეყნებია. კონსტანტინე ლორთქი-ფანიძის ლექსები მომწონდა. მისი „სტენკა რაზინი“ ზეპირად ვი-კოდი. ვკითხულობდი მის პროზასაც, მაგრამ პროზის დარგში რასაც ამ ბოლო წლებში, განსაკუთრებით ომის წლებში და ომის შემდეგ ხანებში მიღწია, ის დევლი სათქმელადაც არ ღირს. კონსტანტინე ლორთქიფანიძე ამეამად უდავოდ უახლესი ქართული პროზის დიდოსტატია. ნიკო ლორთქიფანიძის პროზას მე ისევე დიდად ვაფასებდი, როგორც ვასილ ბარნოვისას. აქაც ძალიან ბევ-რი რამ იყო ნამდვილად პოეტური. ალიო მაშაშვილს გვერდს ვე-რავინ ვერ აუქცივდა. მე მასში უფრო მიზიდავდა ლექსის ოსტა-ტი ფორმალური ოვალსაზრისით, მაშაშვილი ძალიან ფაქიზი სმე-ნის პოეტი იყო. გალავტიონს მე ყოველთვის ვკითხულობდი, მაგ-რამ საფუძვლიანად ვერ ჩავწევდი მას. ინტუიციით ვგრძნობდი რომ დიდი პოეტი უნდა ყოფილყო, მაგრამ რაღაც ბურუსში ვრჩებო-დი ამ ლექსების კითხვებისას. მე მაშინ არ შემეძლო მცოდნოდა, რომ სწორედ ეს ცისფერი ბურუსი წარმოადგენს ჰეშმარიტ შემოქმედთა ნამდვილ დამახასითებელ თვისებას, რომ მხოლოდ ის მაღალმხატ-ვრული ნაწარმოებები უძლებენ დროის გამოცდას, რომელთაც სხვა, რაღაც ოდნავ დაბინდული ქვეტექსტიც გააჩნიათ. ამაშია სწორედ ვაჟას პოემების მომხიბვლელობა, ამიტომაა, რომ ვევა რაც ხანი გადის უფრო და უფრო დიდ შევსნად სდგება ჩვენს წი-ნაშე. ლეო ქიაჩელის პროზაზე, როგორც მაშინ ისე ახლაც ორი აზრი არ შეიძლება მქონოდა: ძალიან კარგია! მაინც „ალმასგირ კიბულანი“ მიმაჩნდა და მიმაჩნდა ლ. ქიაჩელის შშენიერი პროზის დამამუშენებელ მარგალიტად. იმ ხანებში რამდენიმე ლექსით უუ-რადლება მიიქცია გიორგი შატბერაშვილმა. მისი ლექსების პირ-ველი წიგნი დიდს არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ „დასაწყისი განთიადისა“ და „შერილი ახალგაზრდებს“ როცა დაბეჭდა, მან ყურადღება მიიქცია, მასში ერთბაშად შესამჩნევი გახდა კარგი პოეტის მონაცემები. მალე გ. შატბერაშვილი ასპარეზიდან გაიყ-ვნეს, მაგრამ როდესაც შემდევ მწერლობას კვლავ დაუბრუნდა, ჩვენ ახლა ვხედავთ, რომ წინანდელი გუმანი გამართლდა: შატბე-რაშვილი უდავოდ ძალიან კარგი პოეტია. 1926 წელს არისტო ჭუმბაძემ გამოსცა მოთხოვების წიგნი „იდუმალი ძალა“. ამ

წიგნმა ჩემსე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დიდის მოუთხებლობით ველოდი მის მორიგ წიგნს. ეს წიგნიც გამოვიდა: „ხუთი ქიმი“ ერქვა. აქ მოთავსებულ ხუთ მოთხრობაში მე ვეღარ ვნახე ის ცეცხლი, რაც კუმბაძის პირველ წიგნში ლვივოდა. მე ახლაც გული მტკივა: ნუთუ ისე მალე ჩიქრა არისტო კუმბაძის იდუმალი ძალა? ასევე შემიძლია ვთქვა იყავი პაპავაზე და ბასილ მელიქი შვილზე. ამ უკანასკნელში ერთი მოთხრობა „არიფიონში“ დაბეჭდა („მკერლშებოლილი მერცხალი“), მგონი ორი მოთხრობა „მნათობში“. სკაოცრად თავისებური მანერა პქონდა წერისა, რაც მე მხიბლავდა, მაგრამ ბ. მელიქიშვილი ისევე უცბად გაქრა, როგორც მოვიდა. ნეტავ რა ქნა, სად წავიდა, რა დაემართა? ეს კითხვები მე დღესაც მაწუხებს. მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებს მე ბავშვობიდანვე ვკითხულობდი. იღმზრდელები ვეზშლიდნენ მისი ნაწარმოებების კითხვებს, როგორც ჩვენი ჰასაებისათვის შეუფერებელ რამეს. „თეთრი საყელო“ წიგნების შეაფის წინ მდგომმა ვულის ცაცახით წავიკითხე: — ყოველ წუთს ველოდი ბიბლიოთეკარი აღმზრდელის გამოჩენას. თუ იმ რომანის კითხვაზე წამესწრო ვიცოდი: ძალიან დამტუქსავდა. „ჯაყოს ხიზნების“ კითხვის დროს მთელი დღე სახურავშე ვიყავი დამალული. 1935 წლისთვის, იმ დროისათვის, სადამდისაც ამჟამად ჩემს თხრობაში ვარ შეჩერებული, მე მიხეილ ჯავახიშვილის ყველა გამოქვეყნებული წიგნი მქონდა წავითხული. უფრო მეტიც: როცა „არსენა მარაბდელი“ პირველად ცალკე წიგნად გამოიცა, მე აყავი გაწერელიას დავალებით, ერთერთ ლიტ. წრეში, სადაც ხელმძღვანელად აყავი გაწერელია იყო და საღაც მე და ლადო ბალიაური დავდიოდით, წავიკითხე ამ რომანის გარჩევა. ჩემი მაშინდელი ძირითადი დებულება და შენიშვნები რომანის შესახებ გამოთქმული თითქმის მთლიანად დაემთხვა უფრო გვიან ჩვენს ლიტერატურულ პრესასა თუ პერიოდიკაში კრიტიკოსების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. მიხეილ ჯავახიშვილს პქონდა საოცრად მახვილი თვალი დეტალების შემჩნევაში და იცოდა დამინტერესებლად თხრობა. ამ ღირსებებით არ შეიძლებოდა მე მოხიბლული არ ვყოფილიყავი. ერთი რამ მაინც უნდა აღენიშნო მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებისადმი ჩემი დამოკიდებულების შესახებ, რასაც მე იმხანებშიც განვიდიდი მისი ნაწერების კითხვის დროს და რაც ახლა სავსებით გარკვეულ შეხედულებად ჩამოყალიბდა ჩემში: ეს იყო წმინდა ნატურალის-

ტური მიღვომა და დამოკიდებულება ასასახავი საგნებისა თუ შველენებისადმი. ეს მიღვომა ზოგჯერ პიყარტურობამდე მიღიოდა და საესებით არ ჰგავდა მაგალითად კონსტანტინე გამსახურდიას მაღალ პოეტურ მიღვომას საგნებისადმი. კონსტანტინე გამსახურდია მაშინაც კი, როცა კრიტიკულ მომენტებს ასახავს, არ დაბლდება ჭავახიშვილისებურ ბანალობამდე და მაინც ინარჩუნებს გარკვეულ სიმაღლეს და სიფაქიზეს, რაც მწერლისათვის აუცილებელია. მიხეილ ჭავახიშვილს პეტრი საოცარი უნარი ჩვენს ცხოვრებაში უარყოფითი ტიპების მონახვისა და მათი რელიეფურად გამოკვეთისა. ამაში მას მთელს უახლეს ქართულ მწერლობაში ბადალი აღბათ არცა ჰყავს. ის ყველაფერს დასცინოდა, თითქოს მისთვის წმინდა არაფერი არ იყო. მას არ შეეძლო თვეისი ნაწარმოებებისთვის, დადებითი გვირებისთვისაც კი, სატირის მსუბუქი კბილი არ გაეკრა. მიხეილ ჭავახიშვილი თვით არსებასაც კი დასცინოდა (მსუბუქად რა თქმა უნდა) თვეისი რომანის ზოგიერთ აღვილის. ორიოდე სიტყვა ტერენტი გრანელზე დამრჩა და ამით დავამთავრებ საუბარს ჩემი დამოკიდებულების შესახებ იმდროინდელი ქართველი მწერლების შემოქმედების მიმართ. გრანელს ყველა იცნობდა. მას ყოველდღე შეხვდებოდით რუსთაველის პროსპექტზე მიმავალს. გაცემთილი, ჟურ्नალი სამოსით, გაჩეჩილი, რბილი, უკან გადაყრილი თმით, მართლაც „დაუბანელი“ ის წყნარად მიღიოდა პროსპექტზე. გამცლელებს თითქოს ვერც გრძნობდა, ის თითქოს სადღაც შალლა სამყაროში იყო თვეისი არსებით, ფიქრებით, მხერით. სიარულის დროს ტანს არ არხევდა, არც ხელებს იქნევდა, მიღიოდა, თითქოს მიცურავდა ტანგახევებული. მახსოვს ერთხელ პროსპექტზე ნიკო მაკალათიას (სერგი მაკალათიას ძმა, ლადო ბალიაურის სიძე, — დის ქმარი) შეხვდა. დიდხანს იარეს ერთად, ილაპარაკეს. მე შორიდან ვუთვალთვალებდი. მერე ნიკო მაკალათიაშ ფული მისცა. გრანელი თანამოსაუბრეს უმალევ გაშორდა და ჩქარი ნაბიჭით რესტორანისაერნ გაეშურა. ის უკვე განწირული იყო ამქვეყნიური ცხოვრებისაგან. პოეზიასა თუ კრიტიკაში მას ლანძღვადნენ, ლექსებს აღარსად უბეჭდავდნენ, მხოლოდ იშვიათად ნიკოლო მიწიშვილი უთმობდა აამდენიმე სტრიქონის იდგილს თვეის უურნალში („ქართული მწერლობა“). სილიბისტრო თვეართქილაძემ (ს. ჩემონიძე) 1926 წელს გამოუცა ლექსების წიგნი (მესამე წიგნი) მე მის შემოქმედებას

ამ წიგნის გარდა კიდევ სხვა ორი აღრე გამოცემული წიგნითაც ვიცნობდი. ერთი, სულ რამდენიმე ფურცლიანი წიგნი გობრინ აგარელთან ერთად ჰქონდა გამოცემული, მეორე წიგნი იყო „სულიძიან საფლავები“. გრანელის ლექსების მესამე წიგნს წამდლვარებული ჰქონდა პროზად დაწერილი საოცრად გრძნობიერი შესავალი. ქვე იგი თავის სიკვდილზე წერდა. წიგნზე „სულიძიან საფლავები“ იყო წარწერა: „ტერენტი გრანელი მოდის სისხლიანი საფლავიდან“. იქნებ ის იყო ქრისტე ეორედ მოსული. „Memento mori“ მე არ წამიკითხავს. ტერენტი გრანელის პოეზიის დაფასება (თუ არა გაბიაბრუება) მაშინ საჯაროდ არავის შეეძლო. ის კი აუცილებლად კარგი. პოეტი იყო. მე ამებად მისი წიგნები აღარ მაქვს. ომამდევე ისინი ლადო ბალიაურს ვაჩუქე. ლადოს ტერენტი გრანელი ძალიან უყვარდა. იმ წიგნებიდან, რომლებითაც მე გრანელს ვიცნობდი, იგი ნაციონალურ პოეტად არ მახსოვეს. ქართველური რამ მე მის ლექსებში არ ამომიკითხავს. თუ „Memento mori“-შიც ასევე იყო, ერ ვიტყვი. მე მაინც მტკიცედ მჩერა, რომ გრანელი მეოცე საუკუნის ქართველ პოეტებში მონახავს თავის საუკეთესო ადგილს. ის აუცილებლად კეშმარიტი და საინტერესო პოეტი იყო. გამოქვეყნებულთა გარდა ალბათ მას სხვა ლექსებიც ჰქონდა. ერთხელ, ეს იყო 1928 წელს, გლეხთა სახლის წინ (ეს სახლი მოთავსებული იყო მტკერის მარჯვენა ნაპირზე, კორონცოვის ხილთან) დაცლილი. ველოდი ხევსურეთიდან ჩამოსულ ნათესავს. ტერენტი გრანელიც იქ დადიოდა. ალბათ შეამჩნია მისდამი ჩემი მოკრძალებული მხერა. დამეტია, უსიტყვოდ კისერში ხელი წამავლო. ოდნავ მანქლრევდა. ასე მივდიოდით ერთხანს. მე გაწილებული ვიყავი და ვთრთოდი იმის გამო, რომ პოეტის ხელის შეხება მეღირსა. მერე გრანელმა ხელი გამიშვა და განაგრძო ბოლთის ცემა. ალბათ ისიც ჩემსავით ვიღაც სოფლელს ელოდა. ამის შემდეგ მე ისე ახლოს აღარასოდეს აღარ შეენედრიყარ ტერენტი გრანელს...

3 ივლისი 1957 წლი

1935 წლის ზაფხულში დაწერე ლექსი „მოსავლის ძინილი“. ეს ლექსი თელავის რაიონულმა განეთმა დაბეჭდა. ამის შემდეგ მე გავხდი ამ განეთის კორესპონდენტი. რედაქტორად არჩილ კოკი-

ლაშვილი მუშაობდა. მე ის დაბეჭდილ ლექსებში პონორატაციას გამოიყენებდა. ამავე წელს ჩვენს სოფელში ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა. მასწავლებლობასთან ერთად კოლმეურნეობის მოანგარიშეობაც შემითავსეს. კოლმეურნეობას ფაქტიურად მე ვუძღვებოდი. იმ ზაფხულში სკოლის შესამოწმებლად ჩვენს სოფელში ამოვიდნენ თელავის რაიონული განათლების განყოფილების გამგე აკაკი ქურდიანი და ქისტაურის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი. მოწაფები შევკრიბე. გამოსცადეს. კრაფოფილნი დარჩენენ, მხოლოდ შენიშვნა მომცეს, როცა კლასში მოწაფეებთან მეცადინეობ, თამბაქოს ნუ ეწევიო. როცა მოწაფების ცოდნას ვამოწმებდით, მე პანიროსს ვეწეოდი, თურმე. რევიზორები შინ პურის საჭმელად წავიყვანე. პურობას რომ მოვაჩით, ჩემი სტუმრები უკან წასასვლელად შეემზადნენ. მითხრეს: შენც ქისტაურში უნდა წამოხვიდე, თათბირი გვექნებაო. ამ დროს ერთი ჩვენი სოფლელი გოგო მოვიდა ჩემთან და თავის მაყარში დამპატიუა. იმ დღეს ის ქალი ქმრის სოფელში მიყავდათ, სადაც ქორწილი უნდა გადაეხადათ. მე ვუთხარი საპატარძლოს, რომ ქისტაურში უნდა წავსულიყავი. ქალმატირილი დაიწყო (ხევსურეთში სასძლოსათვის სასახელოა, რაც მეტი მაყრები — თავისიანები გაჰყვებიან სანეფოს ოჯახში.) ქალს ჩემმა რევიზორებმაც დაუწყეს ახსნა, რომ ჩემი წასვლა აუცილებელი იყო. სასძლომ უფრო მეტად ვააბა ტირილი. მაშინ მე შინ შევედი, ხანგარი შემოვირტყი, სტუმრებთან ბოლიში მოვიხადე და განვუცხადე, რომ ქორწილში მივდივარ მეტქი. წავიდნენ ნაწყენი. ქორწილიდან რომ დავბრუნდი, მასწავლებლობიდან უკვე მოხსნილი ვიყავი, ჩემი თეოთხებობის გამო. მე განცხადება შევიტანე რაიგანათლების განყოფილებაში და ცოდვა მოვინანიე. აღმაღინებ, მხოლოდ მასწავლებლთა კონფერენციაზე განყოფილების გამგემ აღნიშნა ზემოაღნიშნული საქციელი, ისე რომ მე კი არ დავუსახელებივარ. იმავე ხანებში მასწავლებლები ბანაკებში გაგვიწვიეს საჭარისო ჩვევების შესასწავლად. იქ ორი თვე უნდა დავრჩენილიყავით (ივლისი, აგვისტო). მე თელავიდან „ლაგერების“ მაგივრად შინ წამოვედი და გზიდან სახუმარო ლექსი-წერილი მივწერე განათლ. განყოფილების გამგის მოადგილეს აკაკი ქურდიანს, სადაც ბანაკში წასვლაზე ზრდილობიან უარს ვამბობდი. მანვერმა გასჭრა, ლექსი თურმე ძალიან მოეწონათ თელავში და თავი გამანებეს. ამის შემდეგ მე და აკაკი ქურდიანი დავმეგობრდით. ის

დალიან ჰქვეიანი და კულტურული კაცი იყო. ომის შემდეგ მან ჩატარდა და გადასახლდა წერაულის წერაული და განათლების მინისტრადაც მუშაობდა, ამ პოსტზე გარდაიცვალა იგი ამ რამდენიმე წლის წინათ. მისი ძმისწულია ახალგაზრდა პოეტი ემილ ქურდიანი...

... ასე მიღიოდა 1936 წელი. იმ ზაფხულში თელავში მოეწყო განეთ „კოლმეურნის ხმის“ მკითხველთა და კორესპონდენტთა კონფერენცია, სადაც მეც მიყიდვე მონაწილეობა. გამოვედით სიტყვით. ეს სიტყვა და ერთი სხვა წერილი, იმის შესახებ თუ როგორ ეთანა მშრომლობ განეთში, იქვე დაიბეჭდა ჩემს პორტრეტთან ერთად. კონფერენციაზე გავიცანი პოეტი ვასილ გორგაძე, რომელიც თბილისიდან იყო მოვლინებული კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. ვასომ ბევრი ძვირფასი ჩემვა-დარიგება მომცა. ამის შემდეგ ჩენ ხშირად ვწერდით ერთმანეთს წერილებს. მე მას ვასასინჯად გავუგზავნე რამდენიმე ლექსი. ვასო გორგაძემ საბასუხო წერილში გაარჩია ეს ლექსები, გააკეთა ფრიად საყურადღებო შენიშვნები. მაქეზებდა, მაიმედებდა. კვლავ სექტემბერი ახლოვდებოდა, ახლა კი მტკიცედ გადაწყვიტე წავსულიყავი თბილისში და განმევრდო სწავლა. იყავი ქურდიანთა განათლების თელავის რაიგანყოფილების სახელით დამიწერა მიმართვა — უნივერსიტეტის რექტორატის მიმართ, სადაც ზომაზე მეტად მაქებდა და დაბეჭითებით სთხოვდა რექტორატს უნივერსიტეტში მივეღუ. კარგი დახასიათება მომცა კოლმეურნეობამაც. სისკართან გაყრის გამოდანალვიანებულს ბიჭი უკან მრჩებოდა. მაინც გამოვეგლიჭე სოფელს, თუმცა თბილისში სწავლის დაწყებიდან ერთი თვით გვიან ჩამოვედი. ო, მე ძალიან დაუდევარი ვიყავი. ასეთივე დავრჩი ახლაც. სწავლა ერთი თვის დაწყებული იყო, კულტური დაკომპლექტებული. უნივერსიტეტის აღმინისტრაციას განუმარტე ჩემი მდგომარეობა. მქონდა თუ არა აღებული იყადემიური შეებულება? არა. ჩემი საქმეები არქივში მოძებნეს. ყველაფერში მართალი ვიყავი, მხოლოდ იყადემიური შეებულების აუდებლობა აქარწყლებდა ყველა შეღავათს. მითხრეს: როგორც გამონაკლისს, ნებას დაგროვთ მისაღები გამოცდების ხელახლა ჩაბარებისას და თუ კარგ შედეგებს გვიჩევენდ, მიგორებთ. ესეც შეღვათი იყო, მაგრამ ასე სახელდახელოდ გამოცდებზე გასვლა სისულელეს ნიშნავ-

და, ბოლო ჩასაბარებელი საგნების გამეორებას დრო სჭირდებოდა. დრო კი ამას არ ითმენდა. ჩემი კოლეგა პირველი კურსელები უკვე ერთი თვე იყო მეცადინეობდნენ და წინ მიღიოდნენ. საჭირო იყო საშუალების გამოძებნა. იმ წინა ხანებში განათლების სახალხო კომისრად დანიშნეს მალაქია ტოროშელიძე. მე მას პირადად არ ვიცნობდი, სამაგიეროდ მის შეილებს: ლეოს და სუსანას ადრიდანვე ვმეგობრობდი. ტოროშელიძეების ოჯახი ახლანდელ ლენინის მოედანთან სოლლაყის (კიროვის) ქუჩაზე ცხოვრობდა. მე, რამაზ გვეტაძე და ბეჟან ბოლქვაძე ხშირად დავდიოდით ლეოსთან და სუსანასთან, ისინი მერვე სკოლაში სწავლობდნენ. და-ძმას ცალკე იოთახი ჰქონდათ. ჩენ იქ ვიკრიბებოდით. მალაქია ჩენითან არა-სოდეს არ შემოსულა. ის დატვირთული იყო თავისი საქმეებით. მას მაშინაც რაღაც დიდი პოსტი ეყავა. გაჭირვებაში ჩავირდნილმა მე გადავწყვიტე საქართველოს სახალხო კომისარისთვის მიმებართა, ხოლო ხიდად მის შეილებთან ძერელი მეგობრობა გამომეყენებინა. განცხადება დავწერე. კახეთიდან წამოლებული ქაღალდებიც ჩემს არხას ზედ დავურთე და ვაკეში ტოროშელიძეების ახალი ბინის საძებნელად წავედი. მალაქიასთვის ახალი ცალკე სახლი (იიიბერი) მიეცათ, როგორც სახალხო კომისარს შეეფერებოდა. ტოროშელიძეებთან ისეთ დროს წავედი, რაც მალაქია, ჩემი ვარაუდით, შინ ირ უნდა ყოფილიყო: მე ჯერ მის შეილებს უნდა მოვლაპარავებოდი, მათვის კომისრის მიმართ დაწერილი განცხადება დამეტოვებინა და პასუხისმომავლი მეორე დღეს შემევლო. კომისართან პირისპირ შეხვედრა მე მაინცდამაინც არ მინდოდა. ასეც მოვიქეცი. ლეო და სუსანა ტოროშელიძეები დამპირდნენ, რომ გა-აეთებდნენ ყველაფერს, რაც მათ შეეძლოთ. საერთოდ ისინი ძალიან კარგი ახალგაზრდები იყვნენ. მეორე დღეს, სწორედ იმავე დროს, როგორც გუშინ, დღის თორმეტ საათზე შევუარე ტოროშელიძეებს. და-ძმა შინ დამხვდა. მალაქიაც დაებარებინა: კომისარიატში მნახოსო. წავედი განათლების სახალხო კომისარიატში, კომენდატურაში მოვახსენე, რომ კომისრის მიერ დაბარებული ვიყავი, ეს მბავი პირადმა მდივანმა მალაქიას მოახსენა. შევედი კომისართან. ყასიდად შემომწყრა: რაღა სახლში მომავითხე, დაწესებულება აქ ირ იყო? რამდენეგერმე რაღაც იხუმრა ჩემს ხევსურობაზე, მერე ქალი ვიღაც დაიბარა და საჭირო ქაღალდის დაბეჭდვა უბრძანა. გამოვედი. ქაღალდი დაბეჭდეს, მალაქიას ხელის

მოსაწერად შეუტანეს და მერე მე ჩამაბარეს. უნივერსიტეტის სწავლით გამოიყენებოდა მაღარებელი მიმღები მიმღები. რაღაც იქმა უნდა მიმღები ულაპარაკოდ და ჩამრიცხეს ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები. ასეთი იყო ჩემი სურვილი. ამრიგად უნივერსიტეტში მოწყობის საქმე მოგვარდა და მე დავიწყე ლექციებზე სიარული. ჩვენი ჯგუფი დიდი იყო. სჭარბობდა პროვინციებიდან ჩამოსული ახალგაზრდობა. დასაცლეთ ევროპული ლიტერატურისა და ენების სექტორზე მოსწავლე ჩვენივე კურსის სტუდენტები თავისთან მიწვევდნენ: ერთერთი უცხო ენის ცოდნას მაინც გაიტან უნივერსიტეტიდან. ეს მართალი იყო. მე გადავედი ამ სექტორზე და მეცადინეობა დავიწყე გერმანულ ჯგუფში. გერმანული ენის გაკვეთილები მე მიღებული მქონდა საშუალო სკოლაშივე. ასე რომ წერა-კითხვა მაინც ვიცოდი. ამიტომ ვარჩიე აღნიშნულ ჯგუფში სწავლა, რათა ჩემი აყადემიური ჩამორჩენა (გაცდენის გამო) ამხანაგებისაგან მეტისმეტად საგრძნობი არ ყოფილიყო. თავდადებული მეცადინეობით შევუძლები გაცდენილის ანაზღაურებას, რათა დავწეოდი წინ წასულ თანაჯგუფელებს. სტუდენტთა ქალაქში-საცხოვრებლად ლადო ბალიაურმა არ გამიშვა. ლადოს ჰქონდა საკუთარი ოთახი და ორივემ იქ დავიწყეთ ცხოვრება. ეს ჩემთვის ფრიად ხელსაყრელი იყო. მე მაშინ პირველად გავიგე, რომ თურმე ლადო ბალიაურიც სიმწერლო სენიო იყო დაავადებული. მანამდე მისი არც ერთი სტრიქნი მე წაჟითხული არა მქონდა. ლადო ჩემზე ერთი კურსით წინ იყო და სწავლობდა ქართული ენისა და ლიტერატურის განხრით. იმავე კურსზე, დასაცლეთ ევროპული ენისა და ლიტერატურის სექციაზე, სწავლობდნენ: რეზო მარგიანი, გიორგი ძიგვაშვილი, ალექსანდრე საჭაბა, კოტე ხიმშიაშვილი და სხვები. ჩვენს სექტორზე მოსწავლე სტუდენტობა უმთავრესად თბილისიდან იყო, თანაც კულტურული ოჯახებიდან. თვით ახალგაზრდებიც ნავითხნი, მცოდნენი და კულტურული სტუდენტები იყვნენ. მცირერიცხვანი ვიყავით. ჩვენთან სწავლა უფრო ძნელი იყო. ჩვენი ჯგუფი მაგალითად 35 თუ 36 სტუდენტისაგან შესდგებოდა, ამ რიცხვში შევდიოდით ყველანი: მეინგლისურენიც, მეფრანგულენიც და მეგრმანულენიც. ჩვენს გერმანულ ქვეჯგუფში, ჩემთან ერთად სწავლობდნენ: შოთა რევიშვილი, გივი უვანია, ვახტანგ კუპრავა, ვახტანგ ბერიკელი, ვახტანგ ქოჩორაძე და სხვები.

ინგლისურ ენას ეუფლებოდნენ: ვახტანგ ჭელიძე და ულიმაშვილი გარდაცვლილი ვასო ლომიძე. ამ ხალხს, ძმაო ნიკა, შენ იცნობ ყველას, ან იცნობდი. როგორც მოგეხსენება, ისინი კაი ბიჭები იყვნენ და არიან ახლაც. ვინც ცოცხალია. ჩვენი სექციის ხალხს ერთმანეთთან მტკიცე მეგობრობა გვაკავშირებდა. ამ წრეში გატარებულ ოთხ წელიწადს ჩემი სტუდენტობისას მე მეტად ბედნიერ და ამავე დროს ჩემთვის ბევრის მომცემ წლებად ვთვლი.

5 ივლისი 1957 წელი

ძმაო ნიკა!

გადაწყვეტილია: ზვალ უნდა წამოვიდე ქალაქს. ვფიქრობ: თბილისში ყოფნის დღეებში კიდევ გავაკეთო შენოვის ჩანაწერები. ახლა იწყება ჩემი ცხოვრებისა და შემოქმედებითი მუშაობის ის მონაკვეთი, რომელიც შენ ამჟამად გაინტერესებს. როგორც ჩემი წინა ჩანაწერებიდან დაინახავ, მე შორიდან მოვყევი და გავაბი კრიაშვილით. საქმე იმაშია, რომ მე ხომ მაინც რდესმე უნდა ჩამეწერა ეს ფრაგმენტები. მაშ, დევ ახლავე იყოს. იქნებ ხვალე ვკვდები, ხოლო ჩემს ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებს შენზე კარგი შემნახველი და გამომყენებელი მნელად გამოუჩინდება.

კახეთიდან ოცდაათამაზე ლექსი ჩამოვიტანე. ეს იყო უკანასკნელ ორ-სამ წელში დაწერილი ლექსები, ზოგიც თარგმანები იყო ლერმონტოვიდან. მათგან შემდეგში ოთხი-ხუთი თუ დაბეჭდა, დანარჩენთა უმეტესობა სუსტი ლექსები იყო. ჩემი ამხანაგი დამწყები პოეტები მიკითხავდნენ ლექსებს. მათი მუზის ხარკი სჭიბდა ჩემსას. მე ამან სერიოზულად დამატიქრა, საჭირო იყო ჩემს შემოქმედებას უფრო მეტი ჰასუხისმგებლობით მოვკიდებოდი. ამ მხრივ ჩემზე განსაკუთრებით კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა მირზა გელოვანის პრეცინგალე ლექსებმა, მას უკეთ ამ დროს ბლობაზ ჰქონდა ასეთი ლექსები. 1936—37 წლებში მე მაინც დამინც ბევრი არ მიწერია. არ მცალოდა: ძალიან ბევრს ვმუშაობდი გერმანული ენის დაუფლებაზე, თანაც ფრიადოსან სტუდენტად ვითვლებოდი და საჭირო იყო მაღალი აკადემიური მაჩვენებლების შენარჩუნება. „ჩვენი თაობა“ რეგულარულად არ გამოღიოდა, უზრნალის რედაქციის მუშაობა მოღუნებული იყო. კანტიკუნტად იმართებოდა დამწყები მწერლების საღამოები, სადაც ხშირად

შემთხვევებით ხალხი გამოდიოდა თავისი კაშნიკებით. ლიტერატურული ახალგაზრდობის გამოვლინებისა და ხელმძღვანელობის საქმე მინდობილი პქონდა პაოლო იაშვილს. ის ახალ ნაწარმოებთა კოთხვა-განხილვის დროს დამწყებ მწერლებს გვაძლევდა უაღრესად საყურადღებო რჩევა-დარიგებებს და შენიშვნებს. ...

7 ოთხობარი. 1958 წ. ს. მჭიდარი.

... 1938 წელი მწერლების იმ ჯგუფისათვის, რომელთაც „ჩენ თაობელებს“ გვეძიან, უაღრესად მნიშვნელოვანი მიზნაა ჩენს შემოქმედებით ბიოგრაფიაში: ამ წლიდან, მას შემდეგ, რაც უურნალს სათავეში იჩიელი აბაშიძე ჩაუდგა, დაიწყო „ჩენ თაობელთა“ შემოსულა, მიმაგრება და განმტკიცება დიდ ლიტერატურაში. უურნალი, მგონი, 1934 წლიდანვე გამოდიოდა. აღსანიშნავია, რომ მასში გამართა თავისი პოეტური ხმა ისეთმა მნიშვნელოვანმა პოეტმა, როგორიც გრიგოლ აბაშიძეა („ახალი წელი დაყარგველი შაბათებით და სხვა.“) ...

... „ჩენ თაობაში“, თავიდანვე, „ჩენი თაობელებიც“ თანამშრომლობდნენ: გიორგი კალანდაძემ, რევაზ მარგარიანმა, ალექსანდრე საჭაოძმ, დაკით შამათავამ, შალვა ამისულაშვილმა, მეც და სხვებმა 1938 წლამდეც დავბეჭდეთ ლექსები უურნალში. ...

... წინა წლებში გამოვლინებული ახალგაზრდა მწერლების რიგი 1938 წელს შეიქსო ისეთი ბევრისმთქმელი სახელებით, როგორიცაა: ლადო ბალიაური, მირზა გელოვანი, ლადო ასათიანი, ლადო სულაბერიძე, იოსებ ნონეშვილი, გიორგი ძიგვაშვილი, ლადო ვერიანი, ანდრო თევზაძე, ანდრო ლომიძე, ალექო შენგელია და სხვები.

9 ოთხობარი

... 1938 წლის მარტის ნომერში „ჩენ თაობაში“ დაიბეჭდა ჩემი „არხოტული სიმღერები“. სულ ორი ლექსი იყო: „მწყემსები“ და „ხმალი“. კორექტურის მიზეზით პირველ ლექსს სათაური არ პქონდა და გამოდიოდა, თითქოს ამ ლექსს „არხოტული სიმღერები“ ერქვა; იქ კი მწყემსებზე იყო ლაპარაკი. ამ სადებიუტო მარცხმა გული მატკინა, მით უმეტეს, რომ ამაში ბრალი თვითონ არ მიმიძლოდა.

აქედან დაიწყო ჩემი სისტემატიური მუშაობა — დიდ ლიტერატურაზე. ამის შემდეგ ჩემი ლექსები თანდათანობით გამოჩნდნენ სხვა პერიოდულ გამოცემებშიც. აპრილში ფშავში, სოფ. შუაფხოში წავედი. წამლები წავუღე ნათლიაჩემის ქალს დედიკა ოქიაურს. სოფელ შუაფხოდან ორწყალამდე ფეხით წამოვედი და ასევე ქვითად დავადექი ფშავ-ხევსურეთის გზატეცილსაც, იმ ვარაუდით, რომ ბარისახოდან გამოსული რომელიმე ავტომანქანა აღრე თუ გვიან მაინც დამეწეოდა. დიდხანს ვიარე ფეხით.. ფშავისხევი ათას-ფრად ყვაოდა, ახლადშეფოთლილი ხეები ქარის ფრთებზე ირწეოდნენ და გალადებულ სირთა ქრიმულს ვეღარც არავის ომახიან ხევილი ახშობდა. მოჯადოებულივით მივდიოდი და თითქოს ვაჟას ხმა მესმოდა „რა უდაბური ჭალაა, როგორ დიდრონი მთებია...“ მაშინ გავიაზრე ლექსების ციკლი „არავიანი“ („სამი ქმა“, „ეფერი“, „ორწყალი“, „ელნათურები ხევსურის ქოში“ და სხვა) ლექსის წერა კი, ბუნების მშვენიერებით დამთვრალს, იმეამად არ შემძლო. საერთოდ ისე ვარ: გრძნობამოჭარბების დროს წერა არ შემძლია, ლექსის გააზრებაც კი.

თბილვეში საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნები უნდა ჩატარებულიყო. დიდი მზადება მიმდინარეობდა. ამ თარიღის ალ-სანიშნავად მე დაწერე ლექსი „თმაშევერცხლილი დეპუტატი“, რომელიც „ლიტერატურული საქართველოს“ მაისის ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა, ლექსი დატეხილი იყო. სტუდენტებს ეოქვათ: გაბრიელმა ლექსი ჰონორარისთვის დატეხაო. ეს არ იყო მართალი. ნაწარმოების აზრობრივი მხარე მოითხოვდა ლექსის დატეხას, მისი ათვისების გასაიოლებლად და იქ გატარებული იდეის ხაზგასას-მელად:

„... დაბადებითვე ხმა ჩამოგერმევა,

იყოთხე:

რისთვის?

და განგიმიარტეს: —

ისე შეგვერთა ამ ქეყუნად ღმერთმა!“ და სხვა.

მე მომხრე არა ვარ ლექსის დატეხის, — ისეთ უკიდურესობამდე, როგორც ამას მაიაკოვსკი შერებოდა. ისე დატეხილი ლექსის კითხვა ძნელია: საძნენია რითმები, მით უმეტეს მაშინ, როცა ლექსში მეტრი დარღვეულია. ამიტომაა, მაიაკოვსკის ლექსი ძნელსა-

კითხავი, — მას ორჯერ წაკითხვა სჭირდება, რათა დაადგინო რით-მები, მეტრი მის ლექსებში ძალიან ჩშირად დაცული არა და ეს აძნელებს საქმეს, თანაც მაიკოვსკი, როცა ლექსის კიბებად (ლესენკი) ალაგებს, იქ ეს დატეხა, უმეტესწილად, არ ხდება აზ-რობრივი, რითმული თუ რითმის თავისებურებათა პრინციპით. ასე-თი დატეხის სასაჩვებლოდ მე ვერაფერს ვიტყვი. მე მერჩივნა: ისეთი ლექსები მეწერა, რომელთაც დატეხა არ დასჭირდებოდათ, მაგრამ ასეთი ლექსები ყოველთვის არ იწერება და არც შეიძლება დაიწეროს, ამიტომ გარკვეულ შემთხვევებში აუცილებელია ლიქ-სი ქალალზე დატეხილად იქნას ფიქსირებული.

ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მე ხელახლა დავაჭ-გუფე, გავაშარორე, გავაშალაშინე და სუფთად გადავწერე მთელი წემი პოეტური პროდუქცია, რაც 1958 წლამდე მიწერია. ამან დი-დი შრომა მოითხოვა, რადგან მასალა და სამუშაო რთული და დი-დი მოცულობის იყო. წემი ლექსების ახლად რედაქტირებული ვარიანტების გადაწერისას მე ყველაზე დაეიცავი ლექსთა დატე-ხის წემებური პრინციპი და რადგან ამ დატეხის პრინციპს მე სე-რიოზულ მნიშვნელობას ვანიჭებ წემს პოეტურ პრაქტიკაში, ამი-ტომ მაგალითისათვის იქ მოვიყენ ერთერთი ხელომოცველრის ლექსის წემებურ ფიქსირებას.

დამდობიბა

... და მე დაემდორდი...	და
იმ პირველ დღეთა	დღიდ
ცოტ-ცხელება	მნიშვნელებშე
და	უავაყებული, —
დარ-აუდარი,	შშეიღი ვარ ისე.
ცოშმაგლი,	თოთქოს დარია
ხანაც:	ჩემთვის
უსასო სეედა	და
გაქრა	გრძნობადაოცებული
და აზლა,	მიცდოვარ
ერთ ნაშავთარი	ლინგი
თერგი	და
ნათანგი	უგრძნობელი,
კლდოვან	საით?
დარიალს	არ ვიცი

და	ეს წემი კუდომა,
კოდნაც არ მსურს...	ალასარულისკენ სცლა ეს ნელი,
ჩიმუქდა ჩიმოვის წერთისოფელი, —	ეს:
აწ	არა ბრწყინვა,
მშარე	არამედ კრთომა, —
წყენით	თვით ჩაქრობაზეც ჯოფილა ძნელი...
კვერწებ	ასე ვარ ახლა,
წარსულს...	შხოლოდ
აღარ ვემი შემწე,	ხანდახან
მჩეულო,	კვლავ
ლექსებს,	ძევლი
მჩქეფარე	ძალით
ლექსებს, —	სურვილი შენი
ცარტლად შეტყორცნილს...	მიმიკლის...
დღის კაფიები პოემად მექცენ:	შპერთა ლევალურ ღამილავს
დამწერო:	და უალუზე ვდგები,
გრძობის მღლორე ეპოსი...	ეს გაფი ცხენი...
შენთან შეხევდრაც აღარ მსურს თითქოს, მყის უალუზე ვდგები მძვინვარე მხეცი...	მარტმ გამიცლის გრძონმა ელდელდა...
გადალი...	გინახავს განა:
და თითქოს არაფერია...	მიქერალი ცეცხლი
შეტ გამხევებას მზერა არ ითხოვს, —	რალებს უცებ...
მათევის ქალი	და აცლავ ნელდება...
და	ანდა უნის სხივი უყანისკენელი,
ახა,	როდესაც მწერევალს ეშვეიდობება:
ახლა,	აუცებს კლდის ჭიშ მმბორით მწეველით
რჩევალ,	და შილრიბეთში გაზათოლუება...
და როგორც ხელავ:	ო, მეც ას ვარ,
თითქოს მეწერება:	მზეთა —
გრძონბის ზამთარი...	მხერ,
დიახ,	მოცდება გრძა — ღაღარი...
დაემდორდი:	... დიხ,
იმ პირეველ დღეთა	დაემდორდი:
გაქრა:	იმ პირეველ დღეთა
სიშმაგე	გაქრა:
და	სიშმაგე
დარ-აედარი...	და
მურღნის,	დარ-აედარი...
როგორც მღილი,	

6 სექტემბერი 1954 წელი.
თელი რეინის სტილით, ნახირში ყოფნისას.

რატოშ არის ეს ლექსი ასე დატეხილი?

ლექსი ლოლიკურად თავიდან არ იწყება. იგი, რაღაც წინათ მომხდარის გაგრძელებას წარმოადგენს; ამიტომ პირველი სტრი-
 ქნი ცალკე უნდა გამოიყოს, — არ შეიძლება მოელი ტაეპის ერ-
 თად დაწერა: „და მე დავმდორდი... იმ პირველ დღეთა“. სასვენი
 ნიშნები საქმეს ნაკლებად შეველის და ერთად დაწერილი ტაეპი
 ასე აღიქმება: „და მე დავმდორდი იმ პირველ დღეთა“, რაც უაზ-
 რობაა. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ტაეპის ასე გატეხა, რო-
 გორც ეს ლექსში მე მაქას. ლექსის მეორე ტაეპიც დატეხილია,
 რადგან ნაწარმოები პოეტის სულის მინორულ აღსარებას წირმო-
 ადგენს და მეორე და მომდევნო ტაეპში გამოთქმული სულიერი
 მდგომარეობანი ხახვასმული უნდა იქნას, ხოლო მეოთხე — უკა-
 ნასკნელი ტაეპი კი თავისში თუმც ვაჟურ, მაგრამ მაინც რითმას
 შეიცავს: — გაერა — ახლა და ესაც უნდა იგრძნოს მკითხველმა.
 რაც შეეხება მეორე სტროფის პირველ ორ სტრიქონს, ისინი ერთ-
 მანეთს ერთომებიან კიდეც და ალიტერაციასაც შეიცავენ ბერია
 განისას („თერგი — ნათანგი“), ხოლო მომდევნო სტრიქონები იგ-
 რეთვე შეიცავენ დონის ალიტერაციას („კლდოვან დარიალს და
 დიდ მინდვრებზე დავაკებული“). ამსაც ცალკე უნდა გამოყოფა.
 და ასე მიდის მთელი ლექსი. თეთო ნაწარმოებია ისეთი ხსიათისა,
 რომ შერის მანერას, სტილს და მეტრსა თუ რიტმს თვითონ კარ-
 ნახობს, ეს კი ლექსის აუცილებლად დატეხას მოითხოვს; არის
 მასში დაუტეხავი ტაეპიც და ერთი ასეთივე სტროფიც. ეს ტაეპი
 და სტროფი დატეხას არ საჭიროებენ არც ახრობრივი და არც
 ჯუსტიციური თვალსაზრისით, თუ რატომ, ეს იოლი მისახვედრია
 და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ტაეპთა დატეხისას მაიაკოვსკიც
 ძირითადად ამ პრინციპს ემყარებოდა, მაგრამ მას, როგორც ზე-
 ვითაც აღვნიშნე, გადაქარბებანი ჰქონდა, რაც მე სწორად არ მი-
 მაჩინია.

10 ოათომაზონი

1938 წლის შემოდგომაზე კომკავშირის 20 წლის თავი სრულ-
 დებოდა. ახალგაზრდა მწერლების უურნალი, ცხადია, ამ თარიღს
 გვერდს ვერ აუვლიდა და რედაქციიამაც დაგვავალა საიუბილეო
 ნომრისათვის (სექტემბრის ნომერი) კომკავშირის ცხოვრებისა და
 ბრძოლის ამსახველი ნაწარმოებები დაგვეწერა.

... ტროცისტ-ბუხარინელებს მაშინ დივერსანტებს, ხალხური მომართვისათვეს და ცხრაგზის წყალს ქვეწარმავლებს უწოდებდნენ; პოეზიაში, პროზაში და განსაკუთრებით დრამატურგიაში იქმნებოდა მათდამი სიძულვილის აღმძერელი ნაწარმოებები. ლირულებისა რამ მაინც არავის რამე შეუქმნია — ამ თემაზე დაწერილი ლექსები და პოემები, მოთხრობები, ნოველები და რომანები, ტრაგიდიები თუ დრამები, კინოფილმები თუ ხელოვნების სხვა დარგების ნაწარმოებები ერთფეროვანი და ულტრატენდენციური ხასიათისა იყო, მკითხველი ასეთ ნაწარმოებთა კითხვას რომ იწყებდა, უკვე მაშინვე ნათელი იყო მისოვის თუ რას ამოიკითხავდა მათში და როგორ დასრულდებოდა მოთხრობა თუ რომანი, ლექსი თუ პიესა, ნიჭიერი მწერლები კიდევ რაღაცას ახერხებდნენ და თავი გაქვინდათ, მაგრამ საშუალო მწერლებს ძალიან უჭირდათ: მათ მიერ სიძულვილის თემატიკაზე შექმნილი მხატვრული ფაქტები სიამის ტყუპებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. „ხალხის მტრებზე“ არ წერა არ შეიძლებოდა და თუ მწერალი მათ შესახებ სდუმდა, მას ამგვარი დუმილი მტრობად ეთვლებოდა. ეს იყო მიზეზი უგამური, ნაძალადევი, ხალტურული „მარგალიტების“ მომრავლებისა. უკეთესი მდგომარეობა არც ნამდვილ ცხოვრებაში იყო. ჩხრეკალაპატიმრებას და სხვა რეპრესიებს ბოლო არ პქონდა. იქერდნენ სულ უბრალო მიზეზისოთვის, ხშირად ერთი გაუფრთხილებლად თქმული სიტყვისათვის, იქერდნენ ეჭვის ნიადაგზე და ძალიან ბევრს სრულიად უდანაშაულოდაც, ჩეკის იგენტთა მიკერძოებული მითითების საფუძველზე. არავის შეეძლო დარწმუნებით ეთვა, რომ ხვალ საყუთარ ოჯახში და არა ციხეში გაიღვიძებდა. იქერდნენ ყველას: მუშას და გლეხს, ინტელიგენტს და მოსწავლას, კომისარს და მეწოვეს, ცეკას მდივანს და რიგით კომქავშირელს. 1936—38 წლებში მარტო ჩეკი გერმანული ჯგუფის სამი მასწავლებელი დააპატიმრეს და დაკარგეს. იქერდნენ პროცესორებს, დოცენტებს, სტუდენტებს და სხვა. ლექციები ცდებოდა ლექტორთა უყოლობის გამო, ხოლო ვინც ლექციებს კითხულობდა, ზეპირად ლექციის კითხვას ვერ ბედივდა, ვაი თუ რამე ისეთი წამომცდეს, რასაც ყველგან მომრავლებული ჩეკის აგენტები „პოლიტიკურ სარჩეულს“ დაუდებენო. ასეთი რამ ყოველდღე ხდებოდა. სტუდენტთა შეკრებილობაში სიტყვას ვერ იტყოდი, იმის შიშით, რომ ვინმე „აქტივისტს“ იგი სხვანაირად არ ეთარგმნა და შენოვის

ტროცისტობა არ დაეწამებინა. მახსოვს ერთი ჩვენი ქურსელი სტუდენტი (ქართულ სექტიაზე სწავლობდა) ყურუა, რომელიც იკვეხნიდა: შინსახომში ასორმოცდათი განცხადება მაქვს შეტანილით. ასეთაცობა პარტიულ სიფხიზლედ ითვლებოდა და რუსები, რომ იტყვიან იხსინდა. მახსოვს: ერთხელ უნივერსიტეტის ქლუბში ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო კრება გვქონდა, რომელიც ჩეკულებრივად ხალხის მტრების გამოვლინებისა და უკვე გამოვლინებულთა საჯაროდ გაყიცხისადმი იყო მიძღვნილი. ასეთი კრება-მიტინგები მაშინ ხშირად იმართებოდა. კრებაზე უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი კიქნაძეც გვესწრებოდა. პრეზიდიუმის მაგიდას უსხდნენ პროფესორ-მასტავებლები და ფაკულტეტის პარტიულ-კომკავშირული და პროფესიონალული ორგანიზაციების აქტივისტ ხელმძღვანელები. „ცხრავზის წყალი გველებისა და წუნკალი ძალების — ხალხის მტრების“ „ლოცა-კურთხევით“ გამოდიოდნენ პარტ-კომკ-პროფორგები, სტუდენტები, კომკავშირელები, პარტიულები და უპარტიონები, ლექტორები, და რაც მთავარია საცოდავი უხერხულობის შთაბეჭდილებას ქმნიდა ისეთი მხცოვანი და პოლიტიკისაგან შორს მდგომი ვალარა სწავლულების გამოსხლები, როგორიც იყვნენ: გიორგი ახვლედიანი და კორნელი გეგელიძე, ვარლამ თოფურია და ივაჟი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა და სხვები. ეს ხალხი, რომელიც თავთავის საგნებში დიდად განსწავლული იყო, კათედრებიდან სტუდენტებით სავსე აუდიტორიებში ცეცხლს აფრქვევდა, ახლა, როცა მწვავე პოლიტიკურ საკითხზე უხდებოდა სიტყვის თქმა და „ხალხის მტრებისათვის“ წყალ-კრულებისა და ლანდღვა-გინების შეთელა, შემაზრზენად საცოდავი და საცერად უხერხული შესახედავი იყო. ამას ყველანი ვგრძნობდით და რა თქმა უნდა, ამას ყველაზე მეტად განიცდიდნენ და ვრძნობდნენ თვით ვალარა ორატორები. მაგრამ სხვანაირად არ შეიძლებოდა. „ხალხის მტრების, ტროცისტ-ბუხარინელი დივერსანტ-მანებლების“ წინააღმდეგ ხმის ამაღლებას უპირველეს ყოვლისა სავალდებულოდ იმათვეის ხდიდნენ, ვინც პოლიტიკისაგან, როგორც თავისი მდგომარეობით, ისე მოღვაწეობის ხასიათით, შედარებით შორს იდგა. ასე კარნახობდა პოლიტიკური სიფხიზლის მაშინდელი მეთოდი.

სხეულა შორის ჩემს მიერ ზევით აღწერილ კრებაზე კოტე ხინ-შიაშვილის წინააღმდეგ აღიმაღლეს ხმა: გამოვიდა რომელიმაც კომიკავშირელი სტუდენტი და თავის სიტყვაში ხალხის მტერი უწოდა მას. კოტე, მთლიან გაფითრებული, ბრაზისა და მოსალოდნელი შედეგისაგან თავდასაცავად გამოვიდა. ის ამბოდა: რომ ხალხის მტერი არ არის, რომ მის წინააღმდეგ ახლახან გამოსული ორატორის კომუნისტური სიფხიზლის გამოვლინება საფუძველმოქლებულია.

იმავე კრებაზე მოხდა ერთი იმ დროისათვის დამახასიათებელი ინციდენტი: მე ზევით მოვიხსენი „აქტივისტი“ სტუდენტი ან-ტონ ყურუა, რომელიც საჯარო აღიარებდა, რომ შინაახვმში შექმნდა „მამხილებელი“ განცხადებები. აი, ეს სტუდენტი ყურუა უცებ სცენაზე ავიდა, კრების პრეზიდიუმში მიუახლოვდა და თითის დაქნევით უნივერსიტეტის რექტორი კინაძე კულისებისაკენ გაიხმო. ეს გაუგონარი თავხედობა იყო: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ხალხმრავალი კრების პრეზიდიუმიდან, სტუდენტთა თვალშინ, ყოვლად უნიჭო და უქნარა მისივე სტუდენტი კულისებში „სათათბიროდ“ იწვევდა და ისიც როგორ? ხელის დაქნევით! ამ უესტის წრეგადასული უხამსობა ყველისათვის ცხადი იყო და მით უმეტეს თვით რექტორის გ. კინაძისათვის, მაგრამ რა უნდა ექნა? ყველამ იცოდა, რომ ყურუა ფართედცნობილი „ინფორმატორი“ იყო და მისი ამ საქციელის არა თუ გაყიცხვა, არამედ უგულყოფაც არ შეიძლებოდა, რადგან ასეთი მოქმედება იმავე ყურუას საქმაო საბაზს მისცემდა, რომ უნივერსიტეტის რექტორისათვის სიფხიზლის უქონლობა და თვით „ხალხის მტრების“ დაქმაშობაც დაეწამებინა. სახეგაწითლებული და შეცტუნებული რექტორი ყურუასთან მიეიდა, პრეზიდიუმის უკან, კულისებთან შეჩერდნენ და სტუდენტი რექტორს საიდუმლოდ რაღაცას მოახსენებდა. ლაპარაკს რომ მორჩინენ, რექტორი ისევ კრების თავმჯდომარის ადვილზე დაჯდა, მაგრამ ათი წუთი არ იყო გასული, რომ გათავხედებულმა ყურუამ გიორგი კინაძე კვლავ კულისებში გაიწვია. ეს კი მეტისმეტი იყო, დარბაზში ჩოჩქოლი შეიქმნა, მაგრამ რექტორი მაინც იძულებული იყო „აქტივისტის“ ნებას მიჰყოლოდა... იი, ასეთი ამბები ხდებოდა მაშინ. ამ ნიაღავზე ჩვენს 9. ღირერატორის მატიანე

უნივერსიტეტს მოაშორეს ბევრი ღვაწლმოსილი მეცნიერი დამატებულია დაგოგი: გრიგოლ წერეთელი, კ. სალუქვაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, სიმონ ყაუხეჩიშვილი, შალვა ნუცუბიძე და მრავალი სხვა. ზოგიერთი მათგანი, მერქ, ისევ დაუბრუნდა უნივერსიტეტს, როგორც, შეცდომით დაპატიმრებული, ხოლო უმრავლესობა სატუსალომ შეიწირა. აქვე შევნიშნავ, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ თვით ყურადღებულ გააქრეს.

ასეთივე მდგომარეობა იყო მწერალთა წერეშიც. მწერალს, რომელსაც წინა დღეს „წამყვან“ საბჭოთა მწერლად ვიცნობდით, — მეორე დღეს, უკვე დაპატიმრებულს, ქვეყნის ლაფს თავს ასხამდნენ და ყოველნაირად ლანძლავდნენ თფიცოოზურ თრგანოებში.

პაოლო იაშვილმა საყუთარი თავის ქალა და სისხლი მწერალთა კავშირის სასახლის ჭერს შეახალა პროტესტის ნიშნად და ამრიგად თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე, ტიციან ტაბიძე და ნიკოლო მიწიშვილი უიმედოდ გაქრნენ და აღარც გამოჩენილიან. არც ძევლი კომუნისტი მწერლები დაინდევს, — დაპატიმრებულ იქნენ: პავლე საყვარელიძე, რაფენ კალაძე, სევასტი თალავვაძე, პეტრე სამსონიძე, კალე ფეოდოსიშვილი, ფრიდონ ნაროუშვილი, პლატონ ქიქოძე და ძალიან ბევრი სხვები, გარეთ დარჩენილიც დღითიდღე დაპატიმრებას ელოდნენ. რაც არ უნდა ნიჭიერი და ღვაწლმოსილი ყოფილიყო კაცი, — საქმარისი იყო ლავრენტი ბერიას ერთი უბრალო სიტყვა, რომ მოუბრუნებლად დაეკარგათ. მაშინდელი რეპრესიების დროს ძალიან ბევრი ნიჭიერი და ღვაწლმოსილი, კულტურული და სამშობლოს დაუშრომელი მოამაგე გამოაყლდა საქართველოს და განა მარტო საქართველოს? ყველგან ასე იყო. ეკოვს რეინის სახალხო კომისარს და მტერთა დამთრებუნველს უწოდებდნენ. ასევე ბერიასაც. ყველაზე უფრო დასანანი და სავალალო ის იყო, რომ ამ დაპატიმრებულსა და სასიკვდილოდ განწირულ ხალხში ბევრი ისეთი ერია, რომელიც პოლიტიკას სულ არ ეხებოდა და მაშინადამე, სტალინისა და ტროცკისტებს შორის გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

ლაშეული ვედრება

ეს რა უკუნი დამეცა, ვვალალებ ღამის ხიზანი
 ნეტავი გათენდებოდეს, კარნი, გამეხვნან ცისანი,
 თავს დამნათოდეს ცისკარი, დიდი აისის მისანი,
 ამოიმართოს მნათობი — ცისა და მიწის მიზანი,
 ბინდს გაეთხაროს სამარე, მყერდს დაეყარნენ მიწანი,
 ჰიმნი ვთქვა სიხარულისა, საგანთიადო ნიშანი,
 ნეტავი გამოჩნდებოდენ წვერები მაღლის მთისანი,
 ღმერთო, მისმინე ვედრება, ვაება ჩემი იცანი!!!

უთხოეული სიმღერები

ღმერთო, როგორ დახუთული გარემოა,
 გადასწიეთ ზეცის თაღი — ძირს დახრილი,
 ეს საწუთრო კარ-დახშული გარემოა,
 თუ უძირო ნაპრალია პირგახსნილი?

სუნთქვა მიჭირს და ხმა ხორხში გამეხირა,
 გზაც უვალი ყინულებით მოლიპულა,
 ვდგავარ, როგორც ბერი მუხა-ნამეხარი
 და უთქმელი სიმღერების ბოლი მბურავს...

მინდა ვჭიქო ლექსი გულით მწველ სათქმელი,
 მამხნევებენ მე მუზები — ასულები,
 ან გამსრისე შავი ღამის მძლე სარქველო,
 ანდა სიტყვა მათქმევინე ნასურვები...

ღმერთო, როგორ დახუთული გარემოა,
 გადასწიეთ ზეცის თაღი ძირს დახრილი,

ეს საწუთო კარდახშული გარემოა,
 თუ უძირო ნაპრალია პირვანისნილი?!

ისევ გართო ვარ

ისევ მარტო ვარ... მარტო, ჩემს გულთან,
 დღეს ყოველივეს ვიწყებ ბოლოდან
 და ეს ცხოვრება ისე შემძულდა,
 რომ სჭობდა გული სულ არ მქონოდა...

ირგვლივ აწვდილან მთები გორიზი,
 ნისლს რომ სთავაზობს ზეცა ჩითებად,
 მინდა ავიდე ყველა გორაზე
 და კლდეებს ვთხოვო მე, დამშეიდება...

მივდევ ბორძიკით დღეების მარხილს —
 როგორც ქარავანს დევნილი მგზავრი;
 თუმც ეს სიცოცხლე იმდენად არ ღირს,
 რომ მახლდეს მასზე ცრემლი და ჯავრი...

თითქოს მომხარეს უწყალო წლებმა,
 დაჩლუნგდა გრძნობა, ფხაც მოვიკელი,
 დავგმე ყოველი ამის მომსწრემან
 და მაინც თავი ვერ მოვიკალი,

რადგან იმედის ნასახი მახლავს —
 ამდენი სევდის უხმოდ ამტანი,
 რომ ჩემს სიმღერებს ძველსა და ახალს
 ერთ დროს ხმამაღლა იტყვიან მთანი!!!

გრიგოლის შემდეგ

გადაიარეს გრიგოლებმა — დავრჩი წახრილი,
 ვითაარ ვერხვი მაღალ მთაზე მარტოდ მოსული,
 ვარ გათოშილი და ფიფქი მაქვს თავზე წაყრილი;
 გადაიარეს გრიგოლებმა, დავრჩი წახრილი.
 წამომაყენეთ, გადამბერტყეთ თოვლის არხილი,
 ჩემო ლექსებო, თქვენ გამათბეთ თქვენი მმოსველი;
 გადაიარეს გრიგოლებმა, დავრჩი წახრილი,
 ვითაარ ვერხვი მაღალ მთაზე მარტოდმოსული...

ვედრება მამულისადმი

როგორ შევი კაეშანი მომევლო,
 ვეღარ ვარჩევ ღამეა თუ დღე არი,
 ხელი მომეც, მომეშველე, მამულო, —
 მეც ვარ შენი ბედის თანაზიარი!!!
 ბევრი აამ მაქვს ქვეყნად სასინანულო,
 დამიმტკიცე, რომ მზე მართლა მზე არი,
 ხელი მომეც, მომეშველე, მამულო,
 მეც ვარ შენი სევდის თანაზიარი!!!
 მითხარ: „შვილო, მარად ცრემლით ნამულო,
 მოისმინე ახალ მეხთა ზრიალი!
 ხელი მომეც, მომეშველე, მამულო, —
 მეც ვარ შენი ბედის თანაზიარი!!!

თვითდამუშადება

სუსველაფერი ჩამოგერთვა: სატრფოც, სამშობლოც,
 მაინც უკეთეს მომავალზე იყავ მლოცვაო,
 ევედრე უფალს, რომ გულითაც არ დაგაობლოს...
 სულ ყველაფერი ჩამომერთვა: სატრფოც, სამშობლოც,

მოდი და, ეხლა, ესაუბრე, გაბრო, ამ შევ ლოდს, —
იქნება რამე შეგავონოს ლოდმან ლოდსავე;
სუკელაფერი ჩამოვერთვა: სატრფოც, სამშობლოც,
მაინც უკეთეს მომავალზე იყავ მლოცავი.

ღვთიშრი ცეცხლი

„ო, ლმერთო, მჯერა — რაღაც ნაწილი
შენი ცეცხლისა ჩემში მარხია,
რომელიც, ზოგჯერ, ალადაწვდილი —
იელვებს — მძაფრად, რომ შემარხიოს.
მე ვბორგავ, ბინდში, ვაფიორებული
და იმ ნაბოლდვარს ფანქრის ნატეხით —
ვაწერ კედელზე, — ხელის ფათურით,
ოცნებითა და ფიქრით ნადალი...
რეკავს რიერაჟი... ვით გაძარცული
კაცი და, იქნებ, თვით ნაკაცარი —
გულგაქურდული, ცარიელ სულით
ვარჩევ ღამეულ ნაწერს... ნაცარი
შთენილა ოდენ, წარსული ღამის
ღვთიშრი ცეცხლის, — და მიკვირს თვითონ —
ამ უცნაური გრძნობის მუღამი
და სიტყვათწყობის მაღალი ხვითო.
ხშირად მწადია, — ეჭვით ღაცარულს —
ჩემს ღამეულ მეს გამოვეჯიბრო,
მაგრამ ამაოდ... — მე ნაკაცარი,
ერთ მულე სტრიქონისც ვერ ამოეშიფრავ...
და ვისმენ ლექსის, ჩემის, აღმართი —
თუ აამაღლებს გრძნობით — უხრწნელით, —
ეს შენ გვეკუთვნის, ყოვლი, ო, ლმერთო —
მე ცარიელი, ოდენ, კურჭელი
ვარ და თან მჯერა: რაღაც ნაწილი
ღვთიშრი ცეცხლის, ჩემში, მარხია,
რომელიც, ზოგჯერ, ალად აწედილი
იელვებს, მძაფრად, რომ შემარხიოს!!!

შავი ცოდარი

სევდამ მომაშოო... რა ვუყო მერე,
 მე მის წინ მუხლი არ მომიყრია,
 ბედს ეეთამაშე შავი ყომარი
 და წაგებული დღენი მიქრიან,
 ჩვენი მსაჯული იყო ყორანი,
 აში ის ჩემი ცის ზენიტს მიპკვრია,
 ბედს ეეთამაშე შავი ყომარი,—
 მე მოგებაზე არც მიფიქრია,
 სევდამ მომაშოო... რა ვუყოთ მერე,
 მე მის წინ მუხლი არ მომიყრია...

მუზეროვანის სადგური

მე, ისევ, სევდის სამოსს დავათრევ,
 მოხვეული მაქეს ტანჯვა მერდინად,
 დაიწყო წელი მეოცდათე —
 ბევრი ჩიხის და გზაჯვარედინის...
 გადაიყარგენ, გაქრენ, უკეალოდ,
 ახალგაზრდობის ოქროს დილები, —
 და კარგად ხედავ, ახლა, უფალო —
 მიჩანს ქვეყანა, როგორც დილეგი.
 არიურაუების არ რექს საათი, —
 მიიღოტვის, ზანტად, უამი — მედინი,
 დავიწყო წელი მეოცდათე —
 ბევრი ჩიხის და გზაჯვარედინის...
 მოებო, თქვენც, წყაროდ ცრემლებს ილეკვო,
 უცვლელად გრძგათ ქვიშის სამხარი,
 თუ თქვენც ქვეყანა გიჩანთ დილეგად,
 გადავიყარგოთ საღმე, სხვა მხარეს,
 წავიდეთ, ვნახოთ ისეთი კუთხე,
 არ იყოს კაცთა სისხლით ნაპეური;
 სადაც დაცლილა ცრემლების კათხა
 და მყუდროების არის სადგური.

მირზა გელოვანის უცოდი ლექსიზი და
 როენა გელოვანის მოგონიზები

მირზა გელოვანის პოეტური მემკვიდრეობის შესწავლა გარკვეულად იმოწურულად მიგვაჩნდა და მის ყველა ნაწარმოებს გამოქვეყნებულად ეთვლიდით, რომ უკურად სასიამოვნო და მოულოდნელი ლიტერატურული ფაქტის წინაშე დაეჯექით: აღმოჩნდა მირზა გელოვანის გამოუქვეყნებელი ლექსები და პირადი წერილები...

ეს ის მასალაა, რის შესახებ მირზას დის, როენა გელოვანის მოგონებაში ვკითხულობთ: „მირზას ლექსებს ძალიან სათუთად უცლიდა რუსულინი!“. ფრონტილანაც მოგვდიოდა ლექსები, ძალიან ბევრი ლექსი გვქონდა მირზას ხელით დაწერილი. არა სჩანს ეს ლექსები...“

როგორც გამოიჩევა, რუსულანის სიკვდილის შემდეგ ეს ლექსები მოხვდა მირზას სახლ-მუზეუმში, თიანეთში. ამ გზით კი გადაეცა პოეტის უმცროს დას — როენა გლოვანს.

ქვემოთ გთავაზობთ მირზა გელოვანის რამდენიმე გამოუქვეყნებელ ლექსს და როენა გელოვანის დღემდე უცნობ მოგონებებს საკუთარ ოჯახსა და ძმაზე.

50 განაზღიული

¹ რუსულანი — მირზა გელოვანის უფროსი და.

მიწა გილოვანის უცოგი ლიტერატურის

დაღლილი ფრინველი

ნეტავ ვის შეეწიოს ეს ლოცვა საკვირველი,
 ნეტავ ვინ დაიჩიმოს ვერხვი შენთვის დახრილი,
 ჩემს სახლს გადააფრინდა უბინაო ფრინველი,
 აბუზული, სეელი და საცოდავად დაღლილი.
 მეც გეძებდი წვიმაში, მაგრამ გზა ამერია,
 ბევრ სახლს გადავუარე, შენსას მიუჭალერსე,
 არ მელოდი, იფიქრე: მოჩვენება ბევრია,
 ალბათ სხვას მიგამსგავსე, ალბათ გზა ამერია...

ზოავებული ცინამდვილი

როს საყვარელ ფარდებიდან
 ძილი შენს წამწამებს მოეპარება,
 ზმანებული სინამდვილე გამიტაცებს შორს
 და ნამდვილი ცისფერ ფარდებს მოეფარება.

* * *

ფერი დაგვარგვია, რაზე გაეწამე,
 მე ხომ შენს ორეულს საგულეს დაეპირდი,
 ეგ რა დაგმართია, მიცანი ლერწამო,
 თორემ თუ ავტირდი, ვეღარ დამაწყნარებ.
 გილოდი, დღეს ასე ფერმკრთალი რათა ხარ,

დაღლა რად ეტყობა თავთუხის წამწამებს,
 იქნებ შენც წუხილი შეგბოჭავს ხანდახან
 ან უმეგობრობა გაწვალებს.
 ფერმერთალო! ან იქნებ ყოველდღი იცვლები,
 მე შენს სიახლოეს ვნატრობ.
 შენ ისე კარგი ხარ და გულს გეფიცები,
 რომ დუმილისთვის გმიდლობ.

ნისლები

დაბრუნდი, თუ გული ვეწევა,
 მე შენზე წუხილით ვიცხები,
 მარტოდ მყოფს ნისლები მეწვევა,
 ნისლები, ნისლები, ნისლები.

ქაოსში პატარა მოვჩანვარ,
 ბუნება გამოქვიფავს თავისში...
 ძვირფასო, შენიდან შორსა ვარ,
 ძვირფასო, წუხილით ავიცხე.

მზე ციდან მზედ ალარ მიყურებს,
 შენა ხარ ბუნების საყურე,
 ასეთი არ მემახსოვრები,
 დაბრუნდი, დაბრუნდი, დაბრუნდი.

მე შენზე წუხილით ვიცხები,
 ჩემ გზიდან სხვაგან არ გაბრუნდე...
 ნისლები, ნისლები, ნისლები...

* * *

მე ისევ მიყვარს შენი სახელი,
 თუმცა კი სჭობდა, რომ არ მიყვარდეს,
 არ მინდა ძილი და მოსვენება,
 აღარც სიმღერა ან სწრაფვა მალლა,
 რაღან ეგ სახეც ჩაესვენება
 ამ ჩამუქებულ გორებს გადაღმა.
 მაინც იელვებს ლამაზი თვალი,
 ლექსით, იერით, ცეცხლის მოდებით,
 მოვდივარ, მოსჩანს სინათლის ალი
 და ღამით ქალაქს ვუახლოვდები.

1936 წ.

პილვა ერთი თხოვნა

წასულხარ, მაინც აღარ მასვენებ,
 ნუთუ, უშენოდ ალმართზე ავალ?
 მოდი, პოეტიდ ნურსად მახსენებ,
 ყველა პოეტობს, მე კი სულ სხვა ვარ.

1936 წ.

* * *

ეხლა მე მინდა ჩაეიღინო ისეთი რამე
 პოეტსაც არ ეპატიოს,
 მერე მინდა დავიხრჩო თავი,
 რომ მოხდეს კატაკლიზმი.

მე ოანდათან ვსწავლობ უსიტყვო ლაპარაკს
 ეს პოეტების საკუთარი საიდუმლოებაა,
 ვკითხულობ რაპინდრანატ თაგორეს

ურვილ ღილით

და ვაგინებ სიჭკვიანეს,
 მაშინებს დღე და ღამის შეხვედრა.
 ამ ღროს ვსეამ ლუდს,
 ჩემზე შეყვარებულ ლუდის გამყიდველ
ქალთან
 ქართველობას რომ ნატრობს ჩემის გულისთვის...
 მერე ნარიყალაზე
 ხელში მიჰირავს გალაქტიონ ტაბიძის რჩეული ლექსები...

1936 წ.

* * *

სად გისწავლიათ თქვენ ამოდენა,
 მე გაგექეცით შემაშინა თქვენმა გონებამ,
 მაგრამ ცალ-ცალკე მეჩვენებით კაცის მოდელად,
 ვინმე ახალი ედისონის გამოგონებად.
 მე ვდგავარ მთაში, ციც ღრუბლებში თავაწეული,
 ია და ვარდი ჩავიქსოვე აწეშილ თმაში
 და ზოგჯერ ქარი, ტყეში მტრულად შემოსეული,
 ჩემს გვერდით ამსხვერევს მოხუც ხებს, ხევი გრიალებს.
 — და ის ხები, მე ვგრძნობდი მაშინ,
 ემსგავსებოდნენ უსახლკარო ადამიანებს...
 გაგელვძება, ღამე ფშვინავს ჩაშავებული...
 და ჭარბი გრძნობა გულში მაინც ვერ დაეტია...
 კლდის თეთრი მქერდი ჩემთვის წმინდა პერგამენტია...
 დასცემი მწვანეს, ფარდაგივით დაბლა დაგდებულს,
 ან ლოდს უცრრად მაღლიდან რომ ჩამოგორდება.
 შეხედავ მყინვარს, სითეთრისგან ალაპლაპებულს
 და არასოდეს გოეტე არ მოგაგონდება.

ხელის ჩაჭრება

თუმცა ეს გული გაგიცემთია,
 მე წავალ, და გზებს არ უჩინს ბოლო
 ეს სულ ერთია, ჰო სულ ერთია
 თუნდა დაიწვა, თუნდა იცხოვრო.

15/XII-36 წ.

ვახტანგ ბერძენიშვილს¹

იქნებ მოვედი გვიან ან აღრე,
 არ ვიცი, შენ კი, როგორც ხელოვანს,
 წინ დაგილაგებ ჭერ უთქმელ დარღებს,
 გიტყვი, რაც სტკივა მირზა გელოვანს.

გიტყვი ნისლებით რამ მაზიარა,
 ან რად დავიწყე დაქცევა გესლის,
 რადგან ერთია ჩეენი იარა,
 და ერთმანეთის წუხილი გვესმის.

გრძელია გზები, იქნებ დავჭარდე,
 მაინც იმწვანებს რჩეული მდელო,
 ოლონდ ყოველთვის ასე გიყვარდე,
 ძმაო კეთილო და სასურველო.

იქნებ მოვედი გვიან ან
 აღრე...

არ ვიცი, შენ კი, როგორც ხელოვანს,
 წინ დაგილაგებ ჭერ უთქმელ დარღებს,
 გიტყვი, რაც სტკივა მირზა გელოვანს...

¹ ვახტანგ ბერძენიშვილი — მწერალი ვახტანგ ბერძენი.

ლადი ღირიშორი

სოფელი ჭინქა აკაკუნებს ოთახის კარებს. მწუხრის ლანდები
ჩემს პირდაპირ რჩებიან დიდხანს და კედელზე თრთიან,
თენებას წუთებად სთვლიან,
სანამ ცისკარი აღმოსავლეთს აკანკალებს.

შებინდებისას შეწევ დარდი უფრო მაწვალებს,
მაწუხებს ლანდი, დაცინვა რომ ლიმად ატყვია.
მეტს ვერ ავიტან, აჩრდილს შუბლში მივახლი ტყვიას.
ვარ, წუხელაც ჩემ ბინამდე ჩუმად მომდია,
ვიყავი მარტო და საკუთარ სისხლს ვეზიარე,
მუხლებზე მეწყო სხვა გულები, შენი კი არა.
მოდი, მაკმარე ეს წუხილი, ესე ვაება,
თვითონ იხილე ჩემი ლექსის აბურთავება,
სიმღერა, საღაც შენი ლანდი ღირიშორია.

1936 წ-

* * *

მივალ, მანქანა ჩემი კუბოა,
შენიდან სადღაც მიმასვენებენ,
იქნებ ეს წასვლა სასაუბროა,
იქნება საღმე კვლავ მახსენებენ.

მირზა გილოვანის დის ოომანა გილოვანის მოგონიგიბი

(იმპრენა მცირე შიმოკლებით)

მამაჩემი იყო გედეონ ოტიას ძე გელოვანი, დედა — ევა იოსე-
ბის ასული მაჩურიშვილი. ცეცხლობდით დ. თანეთში, დედა იყო
თანელი, გვარად ყოფილან გოგოლაურები. ძმები როცა გაყრილან
და ცალ-ცალკე გასულან, გამზღარან მაჩურიშვილები, რადგან მა-
ჩური რქმევია დედის წინაპარს. პაპაჩემი იოსები, დედას მამა (სო-
სიკა) ყოფილა წარმოსადეგი, ლამაზი ვაჟკაცი. გულადი, შეუპო-
ვარი და განთქმული თავისი ვაჟკაცობით და ნამდვილი კაცური
კაცობით. სოსიკა პაპას ყოლია ცოლად ან სამხარაულის ქალი
ერწოდან, რომელიც მეც კარგად მახსოვეს. ეყოლათ 11 შეილი და
მათგან დარჩენილა მხოლოდ დედაჩემი. დედა ძალიან ნიჭიერი ქა-
ლი იყო, ბევრს კითხულობდა, იყო პოეტური ნიჭით დაჯილდო-
ვებული. სწერდა ლექსებს და მოთხრობებს. სწერდა და ინახვდა
ისე, რომ არავის აყითხებდა. ლექსები კი იბეჭდებოდა უურნალში
„თეატრი და ცხოვრება“, რომელიც მე წამიკითხავს. სწერდა
ასე — ევა გელოვანისა. ძალიან მჭერმეტყველი და ომახიანი ქალი
იყო, ყველას გამკითხავი და შემბრალებელი, ჩვენი ოჯახი ბევრს
დახმარებია და ბევრიც აღზრდილა ჩვენთან.

მამაც ძალიან კულტურული კაცი იყო, პეონდა სასულიერო
სემინარია დამთავრებული. რუსულს კარგად ფლობდა. ისიც სწერ-
და წერილებს უურნალში „თეატრი და ცხოვრება“, რომლის რე-
დაქტორი იყო იოსებ იმედაშვილი, მამას კარგი შეგობარი. მამა
ჩაღიოდა მათ ოჯახში, ისინიც მოდიოდნენ ჩვენთან. იოსების უფ-
როსი ვაჟი შალვა, მახსოვე იყო ჩვენთან ერთ ზაფხულს. რუსულანს
ჩემ დას აჩუქა წიგნი ვ. ბარნოვის „ისნის ცისკარი“, რომელსაც
გატაცებით ვკითხულობდით. დედას ყავდა 8 შეილი. ყველაზე უფ-
როსი მე ვიყავი. შემდეგ ყავდა ვაჟი გოგია, რომელიც მოუკვდა,
მესამე იყო რუსუდანი. ელიკო მოკვდა 8 წლისა, რაც საშინალად
განვიცადეთ, იყო მეორე კლასში. შემდეგ ყავდა ტყუბები ვახტან-
გი და ვანო (ესენიც დაეხოცა). დედას მერე აღარ უნდოდა შეილი,
იმდენი სიმწარე ნახა. მე და რუსულანი დავრჩით. მა არა გვყავდა,
მაგრამ განიდა მიზანი 1917 წელს. ჩემთ დავარქვი მე, ეს სახელი

ძალიან მომწონდა. მირზა დაბადა ერწოში სოფ. ნაქალაქარში, იქ მამაჩემი გადაიყვანეს ერთი წლით სამუშაოდ, მეც სიზმარიეთ მახსოვს. მირზა რამდენიმე თვის იყო, რომ წავედით თიანეთში, ჩენ სახლში და სულ იქ ვცხოვრობდით. მირზას შემდეგ: 1920 წელს დედას შეეძინა კიდევ ვაჟი თეიმურაზი (თემო). მამაჩემი, როგორც მამამ მითხრა, ყოფილა ჩამომავლობით სვანი. ცხოვრობდნენ ლეჩხუმში, მათი სოფელი ყოფილა სპათაგორი. პაპაჩემი დაობლებული და ცხოვრობდა ბიძასთან, შემდეგ წამოსული იქიდან და თელავში ყოფილა მღვდლად. შეურთავს ვარდისუბნელი ლიზა ჩიკვაძის ქალი. ყოლიათ 6 შეილი, 4 ეაჟი და 2 ქალი. მამაჩემი ყოფილა უფროსი. პაპაჩემს სახელი ოტია რქმევია და მღვდლად რომ ეკურთხა, კონსტანტინე უწოდებიათ. მამა ოტიას ძედ იშერებოდა, ზოგინ კონსტანტინეს ძედ და ასულად. ძალიან განვითარებული კაცი ყოფილი, ოჯახის მოყვარული, კეთილი; გულმართალი. ასეთი იყო მამაჩემიც. ჩენ ყველანი კარგად უსწავლობდით. უფრო გამოირჩეოდა სწავლაში რუსულანი, შემდეგ მირზა. რუსუდანი ძალიან ნიჭიერი იყო, წერდა ლექსებს. რუსუდანმა და მე თბილისში დავამთავრეთ საშუალო სასწავლებელი. მერე ვმასწავლებლობდით. რუსუდანი შევიდა უნივერსიტეტში და დაამთავრა ლიტერატურული ფაკულტეტი, რუსუდანთან ერთად სწავლობდნენ: პოეტი გრიგოლ აბაშიძე, სერგი ჭილაძე, გიორგი კაჭაბიძე, კაკო დევიძე, გორგი ჯიბლაძე და სხვები. ეს თაობა ძალიან ნიჭიერი თაობა იყო. აღტაცებული მოლიოდა ხოლმე რუსუდანი სახლში, შანიძის, კეკელიძის, კოტეტიშვილის ლექსიდიდან, ჩენ გვიზიარებდა და ვვიამბობდა ყველაფერს. მე დავამთავრე მეორე მუსიკ. ტექნიკუმი და სახელმწიფო კონსერვატორია 1941 წ. ცოკალური განხრით. 20 წელიწადი ვმღვროდი აპერისა და ბალეტის თეატრში სოლისტად.

მირზას ლექსის წერის ნიჭი აღრე გამოაჩნდა. სულ პატარა იყო, 6 წლის, როცა დამიშერა ლექსი შივიბულ-მოკიბული ასოებით. ვინახავდი იმ ლექსს, მერე ვახტანგ ბერიულმა გამომართვა და უკან იღარ დამიბრუნდა.

ქათაში რომ კრუხად ჯდება,
გამოსჩევას წიწილებს,
როენას რომ გავაჩავრებ
ნეტა ეისთან მიწიცლებს?

ასე იშერდა ლექსს.

მიჩნა იყო ძალიან ცნობისმოყვარე, უშიშარი, პირდაპირი, კეთილი. იყო სუსტი ბავშვი, მაღალი, ლამაზი, ჰქონდა წაბლისფერი თმა, ლურჯი თვალები. რატომლაც თითქმის ყველანი სწერენ ქერა იყო, რაც მართალი არ არის, ის გავდა დედას.

მიჩნა ძალიან ბევრს კითხულობდა, გასაოცარი მეხსიერება ჰქონდა. ზეპირად კითხულობდა ლექსი, პოემას, თუკი მოეწონებოდა. პირელ დაწყებითი სწავლა მიიღო თიანეთში და იქვე გაავრცელა სწავლა პედაგოგიურ ტექნიკუმში, რომელიც 1935 წელს დაამთავრა. რამდენიმე თვე მასწავლებლობდა სიმონიანთხევის საშუალო სკოლაში. შემდეგ გადმოვიდა თბილისში. მუშაობდა გამოცემლობა „ფედერაციაში“. შემდეგ აფხაზეთის ცენტრალური განხეთის რედაქციაში, სოხუმში. მისი ლექსები იძეჭდებოდა უურნალ „ჩვენ თაობაში“.

მიჩნა ძალიან კეთილი და ამხანაგების მოყვარული იყო. თიანეთშიც ჩამოყავდა ამხანაგები. მახსოვს ზაფხულში ჩამოვიდნენ მიჩნა და კოტე ხიმშისვილი, რომელიც ძალიან ნიჭიერი მწერალი იყო. ადრე დაიღუპა. იყვნენ თიანეთში ირაკლი აბაშიძე, ელიზარ ზედგენიძე, ნიკო ტატიშვილი, ესენი ყველანი მიჩნაზე წლოვანებით უფროსები იყვნენ, მაგრამ ისე ექცეოდნენ როგორც თავიანთ ტოლს.

მიჩნა ცხოვრობდა წყნეთის ქ. № 24-ში. პატარა გრძელი ოთახი იყავა, შესასვლელი ქონდა ქუჩიდან და ეზოდანაც. ხშირად მოდიოდნენ მიჩნას ამხანაგები. მე მაშინ ოჯახით ვცხოვრობდი ნაკაშიძის ქ. № 12-ში და ჩემთანაც მოყავდა ამხანაგები: ალექო შენგელია, გიორგი კალანდაძე, ვახტანგ ბერიძე, ლადო ასათიანი, ლადო ბალიაური, გაბრიელ ჯაბუშანური, ალიოშა საჯაია და სხვები. მეც, როგორც შემეძლო, ვუმასპინძლდებოდი.

მახსოვს ერთხელ მიჩნამ მითხრა: ალიოშას უნდა კოსტუმი შეიქეროს, ბარემ მეც შევიკერავ და შენც უნდა გამოყვეო. ჩემ მეუღლესაც სთხოვა — შენ ნაცნობები გყავს და დაგვეხმარეო. კარგი საკოსტუმე ავარჩიოთ და კარგი შეგვიკერონო. ალიოშა მოვიდა ჩენთან, და წავედით. რა დამავიწყებს იმ დღეს. მე შუაში მივდიოდი ისინი აქეთ-იქიდან მომყვებოდნენ. ორივე მაღალი, ლამაზი, თავიწეულები მიდიოდნენ ამაყად და გამვლელების ყურადღებას იძყრობდნენ. ისინი მაშინ იყვნენ 20 წლისანი. როცა ამას ვიგონებ ცხარე ცრემლებით ვტივარ ორივეს.

მე, დედა და მამა ვმღეროდით ხალხურ სიმღერებს, დედა მე-ორე ხმას, მე პირველს, მამა ბანს. დედა კარგად უკრავდა ჩინ-გურს, გიტარას. მამამ ყველა ხალხური სიმღერა იცოდა და მას-წავლიდა. მოეროდა აღნიაშვილის გუნდში. ციკვავდა თურმე კარ-გად.

1934 წელს თიანეთში ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ გამოგზავნეს ჩემი შეუღლის ბიძაშვილის ქმარი ილიკ კუონია. ისინი ცხოვრობდნენ ჩვენთან და ნელის¹ და მირზას მოეწონათ ერთმანეთი. მირზამ მას ბევრი ლექსი უძღვნა. „თეორი მიწაც“ ნე-ლისაღმია მიძღვნილი, მირზა მაშინ 17 წლის იყო.

1939 წელს კი შოვში წავიდა მირზა დასასვენებლად და იქ გა-იცნო ნინა ახვლედიანი, რომელსაც უძღვნა ლექსები. სურათებიც აქვთ ერთად ვადალებული. ჩამოსულისას მიამბო, რომ გაიცნო მშეენიერი გოგონა ნინა ახვლედიანი, რომ მოსწონდათ ერთმანე-თი, რომ ნინას ქონდა მშეენიერი გრძელი ქერა თმები. ჩამოიტანა ნინას მოქსოვილი ხურგინი, პატარა, ლამაზი, სადაც ნინას მოკრი-ლი თმა იღო. ის აღტაცებული ლაპარაკობდა, მითხრა გაგაცნობო. „იცი როენა, მე და ნინა რომ ერთად მივდობით, დამსვენებლები იძახოდნენ — რუსლან და ლუდმილა მოდიანო და ყველა აღტაცე-ბული შემოგვყურებდათ“. გამაცნო ნინა. მირზამ მოიყვანა თავის ოთახში, ორჯონიერის ქუჩაზე. შემდეგ ნინას შევხვდი საავად-მყოფოში, სადაც მე და მისი დედა ერთად მოვხვდით, იქ გაიცნეს ნინამ და რუსუდანმა ერთმანეთი და დამეგობრდნენ. მირზა 1939 წ. ნოემბერში წავიდა ჯარში, ისე რომ მათ არ ეშერათ ერთმანეთს შეხვედროდნენ.

მირზა წყენეთის ქ. 24-დან გადავიდა ორჯონიერის ქ. № 18-ში 1936 წ. იქ უყიდეს ჩვენებმა ბინა და ცხოვრობდა ჯარში წასვლამდე. მახსოვს მირზამ გვიამბო: მე რომ გადავდიოდი, მეზობლები გამო-სულიყვნენ ეზოში და მიყურებდნენ. გავიგონე ერთმანეთს ეუბ-ნებოდნენ: პოეტია, პოეტია. მე კი ჩემი მავიღით, ფეხმოტეხილი სკამით და ძეველი „კრაოტით“ შევედი ეზოშიო. შემდეგ რასავეირ-ველია, ანლოს გაიცნეს და ყველას შეუყვარდა.

მახსოვს ლაბადა იყიდა მირზამ და ძალიან უხდებოდა. ერთ დღეს მოვიდა და ლაბადა აღარ ეცვა, ვუთხარი: რა უყავი, რატომ

¹ ნელი — ნელი კუონია.

არ გაცვია-მეოქტი“. „როენა, არ გაჯავრდე, ამხანაგს ვაჩიქეო“. „შენ რაღა უნდა ჩაიცვა-მეოქტი?“ „მე არა მიშავს, კოსტუმი ჯერ ახალი მაქვს და ვისაც მივეცი, იმას უკან დაკერძებული შარვალი აქვს და არც აქვს საშუალება იყიდოს რამეონ“. ამხანაგების მოყვარული იყო. მირზას ზემო თიანეთში ყავდა ამხანაგი, არ მახსოვს გვარი, მეონი დედისერთი იყო, მოკვდა და მირზამ ძალიან განიცადა, შემდეგ იმ ამხანაგის დედას ჭარიდან ფულს უგზავნიდა.

1944 წელს მამა გარდაიცვალა. მახსოვს, დასაფლავების დღეს წვიმდა. ხალხი ბლომად იყო. თვალში ამოვიღნენ, მალე უნდა გაესვენებინათ. მე და რუსულანი ვტიროდით. დედას ხმით არ უტირია, იჯდა ისე, მწუხარე. შეილებო, ნუ ტირითო — გვითხრა — ქვეყნის შეილები იხოცებიან ომში, მამათქვენი მაინც ბეღნიერია, რომ აქ მოკვდა და თავის მიწა-წყალს მიებაროთ. ეხლა სირცხვილია ტირილიო. ასეთი იყო დედა. ვიდრე გავასვენებდით ორი მერცხალი შემოფრინდა და მამას გულშე დააჯდა, რუსულანმა დაატირა: მამა შენი ბიქები: მირზა და თემო მოგითრინდნენო. ხალხი ქვითინებდა. ისხდნენ მერცხლები, იყურებოდნენ აქეთ-იქით და მერე გაფრინდნენ.

ერთხელ მირზამ მიამბო, რომ ის მუშაობდა ვამომცემლობა „ფედერაციაში“. ჩადიოდა წყენეთის ქუჩიდან, დაჭდებოდა ზემელთან ტრამვაიში. ერთი გოგონა მხვდებოდა ყოველთვისო, ერთ და იმავე დროს მიყდიოდით გაჩერებაზე და ვედებოდით ტრამვაიში, არ ვიცნობდით, მაგრამ ყოველთვის შევხედავდით ერთმანეთს და გავულიმებდითო. ერთ დღეს მივედი გაჩერებაზე და ის იქ არ იყოო. ვიყურე აქეთ-იქით, ველოდე და მერე ვევდი ტრამვაიში. დავკარგი ის გოგონა, გაჩერებაზე აღარ გამოჩნდა. ერთ დღესაც კვირა დღე იყო და ზემელიდან ფეხით მივდიოდიო. დავინახე მოასვენებდნენ ვილაცას, უკრავდა სასულე ორჟესტრი, რომელიც მე ძალიან მიყვარდა და ბევრგვერ უკან გავყოლივარ მიცვალებულს, რომ ორჟესტრისთვის მომესმინაო. ეხლაც გავჩერდი, შევხედე კუბოს და ელდა მეცა, ის გოგონა იწვა კუბოში. გავყევი ბოლომდის გულდაწყვეტილი. თავჩაქინდრული მივდიოდი, მივყევი ბოლომდის. დაასაფლავეს, წავიდა ყველა და მე კი იქ ვიდექი საფლავთან დიდიანს და მერე დავბრუნდი თვალებში ცრემლებმორეულიო.

მირზას ყავდა ძალიან კარგი მეგობრები. ვახტანგ ბერიულს და მირზას ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. ვახტანგი იყო მამას მო-

ნოთლული. სწავლობდა თიანეთში. ისა და მიზანია ერთ კლასში იყვნენ. ვახტანგი ძალიან ხშირად იყო ჩვენთან, კითხულობდნენ წიგნებს. არჩევდნენ, კამთობდნენ, გამოსთვეებდნენ თავთავიანთ აზრს. ასე დარჩნენ ბოლომდის ერთმანეთის მოსიყვარულენი. შემდეგ მიზანს ლექსების შეგროვებას, გამოცემას დიდი ამაგი დასდო ვახტანგმა. ჩვენ ოჯახთან ძალიან ხელოს იყო ვახტანგი. ჩვენი ჭირის და ლხინის გამზიარებელი იყო ყოველთვის. მშობლები რომ დამეხოცა და რუსულანიც, ჩვენი ოჯახის ბურჯი და სიამაყე, ვახტანგი მხარში ვევდა, მაგრამ არც ვახტანგი შემრჩა... იმისი იმედი მქონდა ისე, როგორც მიზანი. შემდეგ 1974 წ. თემოც გამომეცალა ხელიდან, ასე დავრჩი მარტო ჩვენი ოჯახიდან. მიზანის ყავდა კიდევ კარგი მეგობარი ილო კოჭლავაშვილი. ერთად სწავლობდნენ. ცხოვრობდა ფშაველებში — არტისკენ. ხშირად ჩამოდიოდა, გავიდოდნენ, დაჯდებოდნენ ბაღში ხის ქვეშ და ლაპარაკით არ იღლებოდნენ. ერთად დაამთავრეს საშუალო სასწავლებელი. ისიც დაიღუპა ფრონტზე. დაქმებს სურათი გვაქვს გადაღებული ილო კოჭლავაშვილთან ერთად. ჩვენი ძმა იყო ისიც ვახტანგისავით.

მრჩას ძალიან უყვარდა ჩხირკელელაობა. გაკვეთილებს რომ მორჩებოდა, ჩავიდოდა ძირს, დერეფანში, სადაც თავისი ხელსაწყოები ჰქონდა და მთელი დღე ვკაუნებდა. აკეთებდა პატარა სკამებს, მაგიდებს, ტახტებს, ძალიან ერთობოდა და სადილის ჭამაც კი ავიწყდებოდა. დედაჩემი ეძახდა „ხურო იმერელს“... „მორი, მორი ხურო იმერელო, სადილის დროაო“. ისიც მახსოვს დედას ეხვეწებოდა, პატარა წინსაფარი შემიკერეო. შეუკერა დედამ. შემორტყამდა და მთელი დღე კაუნი ისმოდა, ჩვენ დავცინოდით, აბა, ვახტანგ რა გააქეთო. დედაჩემი იტყოდა ხოლმე, ნამდევილი დურგალი გამოვა. საღამოთი წიგნებს კითხულობდა და პატარა ოთახში, სადაც იძინებდა, არავის გვიშვებდა. ჩვენ დაწვებოდით, ის კი კითხულობდა.

1939 წელს მოუწყეს მწერალთა კლუბში ლიტერატურული სადამ და ამავე წლის ნოემბერში წავიდა ჭარში. შემდეგ დაიწყო იმი. იყო ბესარიბიში, ხარკოვში, ლენინგრადში. 1944 წელს ბელორუსიაში, სადაც დაიღუპა 26./VI. — 1944 წ. მდინარე დასავლეთ დვინის გადალახვისას. დაკრძალულია ვიტებსკის ოლქის ბეშენკოვიჩის რაიონის სოფ. სანიკის სამშო სასაფლაოზე, სადაც აღმართულია ობელისკი. ექ 1952 წელს გადმოუსვენებიათ. მანამდის ყო-

ფილა დაქრძალული სოფ. სანიკის მახლობლად მდინარე დასავლეთ დვინასთან, ტყეში გზის პირას. დაუდვიათ საფლავზე ნიშანი და სურათი. სანიკში ჩავიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 1980 ან 81 წელში და ჩაიტანეს მემორიალური დაფა, რომ მირზა პოეტია და სხვა... მისასვლელი და გარშემო გაუცემოთ გაუცემოთ დაუყრით ქვეშა, აგური...

მირზას ლექსებს ძალიან სათუთად უვლიდა რუსუდანი. ფრონტიდანაც მოგვდიოდა ლექსები. ძალიან ბევრი ლექსი გვქონდა მირზას ხელით დაწერილი. არა სჩანს ის ლექსები, რა უყვეს არ ვიცი...

ვახტანგ ბეჭუკელმა დიდი ამაგი დასდო მირზას. მან შეაგროვა ლექსები. მახსოვეს, ჩეენთან მოვიდა და ჩემ მეუღლეს უთხრა: გამომყევი, უნდა დავიიროთ მირზას ამხანაგებთან, ნაცნობებთან და იქნება უცნობი ლექსები ვიპოვოთო. იყვნენ რამდენიმე ადგილას, იყვნენ კ. მესხის ქ. № 8-ში და სხვაგან. მეც მითხრა ვახტანგიმ: „ყველგან მოიკითხე, მირზას ამხანაგებთან წადიო“.

ერთხელ მეუღლეს ჩემსას ოონა ჰყონის პუშკინის ქუჩაზე შევეღრია პოეტი გიორგი კალანდაძე, რომელიც იღრე მოდიოდა ჩეენთან სახლში მირზასთან ერთად და ჩემი მეუღლე კარგად იცნობდა. ლაპარაკით იარეს პუშკინის ქუჩაზე, ამ დროს დაუნახეთ გალაკტიონ ტაბიძე. გიორგი მისულა გალაკტიონთან და უთქვამს: „ბატონო გალაკტიონ, გაიცანით მირზა გვლოვანის სიძეაო“. „მირზასი?“ — უთქვამს გალაკტიონს. ჩაუყვია კოსტუმის ჭიბეში ხელი და ამოულია მირზას პირველი ლექსების წიგნი. (პატარა წითელი ყდით, გამოცემული 1954 წ.) „აი, ეს წიგნი უბით დამაქვსო...“

გრიგოლ რობაკიძის ფირილები

დიდი ხანი არაა, რაც გრიგოლ რობაკიძის სახელი დაუბრუნდა ქართულ მწერლობას. დაიბეჭდა მრავალი წერილი, მოგონება, პუბლიკაცია, მაგრამ არქივებში კერ კიდევ ბევრია გამოუქვეყნებელი, უცნობი მასალა.

ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია გრიგოლ რობაკიძის ცხრა წერილი და რამდენიმე ნარკვევი, ნარკვევები 1988 წელს დაიბეჭდა უურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ ნომრებში. რაც შეეხება პირად ბარათებს, ისინი მწერალთა არქივებშია მოძიებული. სამის ადრესატია რუსი სიმბოლისტი ანდრეი ბელი (ბორის ბუგავი). ლიტერატურის მუზეუმში ინახება წერილთა ფოტოსალები (დედნები — ცენტრალურ სახელმწიფო არქივში). გამოქვეყნებულია გაზეთ „Молодежь Грузии“-ს 1988 წლის 21 იანვრის ნომერში, დანარჩენი 6 — გამოუქვეყნებელია.

პირველის ადრესატია სერგო კლდიაშვილი, მეორე წერილის — სანდრო შანშიაშვილი. სამი 1930 წელს გაგზავნილია თბილისიდან, მოსკოვში მცხოვრები ქართველი მწერლის შალვა სოსლანის სახელშე. შ. სოსლანის არქივში აღმოჩნდა 1930 წლის 25 ივნისით დათარიღებული პასუხის შეკი პირიც, რომელშიც საუბარია მოსკოვში ჩატარებული საკავშირო თეატრალური ოლიმპიადის შესახებ, მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრების წარმატებასა და გრ. რობაკიძის „ლამარას“ წარმოდგენის არნახულ გამარჯვებაზე.

ბოლო წერილი, რომელიც ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იპოლიტე კართაგავას არქივში აღმოჩნდა. გამოგზავნილია 1962 წელს შეეიცარიდან.

რეზუმაცია დაუმცილებელი

მცირასო მიზანი!

ძალიან ვაფასებ თქვენს დახმარებას, როცა ფული მასესხეთ. კიდევ მეტად ვაფასებ იმ გუნდას, რომელიც თქვენ დაატანეთ ამ სესხს. ამისათვის უფრო წუხარ, რომ აქამდე ვერ დაგიბრუნეთ. ამას წინათ პაოლოს გამოველაპარაკე სრულიად შემთხვევით. პაოლომ მითხრა, სერგომ „დროშას“ უნდა მისცეს 30 შანეთი და ეს ფული შენ პონორარის ანგარიშში ჩაითვალეო. თუ თქვენ არ გეწნებათ რაიმე საწინააღმდეგო, ამ რიგათ გავასწორებთ ანარიშს. არ არის ჯენტლმენური, მაგრამ „გარემოებები“ და სხვა...

თავისი გრიგოლ რობარიძე

25 აპრ. 1925 წ.

მცირასო საცდო

1.8.1927 წ.

აი ამ წამს ასე მყავხარ წარმოდგენილი. სუფრა გაშლილია მაღლობზე, საიდანაც მოსჩანს ნისლივით გაწოლილი დიდი ველი ალაზნის, სუფრას მეგობრები უსხედან. შენ კახი ხარ, მასპინძელი, ავიმართავს ჯიხვი ხელში, მე მანდ არა ვარ — და შენ ჩემს სადღეგრძელოსაცა სვამ, იქნება ლექსი გადანრაგნილი მუხის ტანით, ტოტებით, რკოებით, ფოთლებით. მე შენს ლექსს გავიგონებ შორეთში და გიტყვი მეც — მაგრამ მოაწევს კი ჩემი ხმა? თუ არ მოაღწია, გამოიყვანეთ წითელი ცხენი გიყი თვალებითა და რისხვიანი ფლოქვებით შესვით ზე ვამეხ — ის გააჭერებს. ამ ჭერებაში იქნება ჩემი სიტყვა, ჩემი გული

შინი გრიგოლ რობარიძე

7.7.1930.

„მცირე თეატრიდან“ გამომიგზავნეს სიხარულის სიტყვები: ახალგაზრდებმა, ქართველებმა. გამომიგზავნეს ივნისის 26, „ლამარას“ დადგმის შემდეგ. მათი სახელი და გვარი არაა აღნიშნული — (საერთო სიხარულის ცნაურებისათვის შესაძლოა ეს ასეც სჯობდეს. თქვენ გეცოდინებათ (ან გაიგებთ) ვინ არიან. გთხოვთ — ჩემი გახატებაც ამცნოთ მათ — ყველაზე უფრო დიდი სიხარული ჩემთვის ისაა, როცა ჩემით სხვა იხატებს. ბედნიერი ვარ ამ მხრით „ლამარას“ დიდი გამარჯვებით.

მხოლოდ ერთი რამ:

საჭიროა იცოდნენ მოსკოვშიაც: „ლამარა“ არ არის დრამატული გასცენიურება ხალხური თქმულებისა. უკანასკნელიდან (რომელიც ვაჟას „გველისმჭამელს“ დაედო ფუძედ) „ლამარაში“ დამრჩა მხოლოდ მინდიას „მისნობა“ — და ისიც გადაეცემდებული: „გველის მჭამელში“ მინდია იძენს მისნობას გველის შექმით, „ლამარაში“ კი გვილი ყურში ჩაუთქვამს მინდიას უცხოურ გზნებას, აგრეთვე: „გველის მჭამელში“ მინდია პეარგამს (არა მთლიანად) ამავე ცოდნის სიყვარულში გახელებით, კიდევ: მინდია თავს იქლავს „გველის მჭამელში“, „ლამარაში“ კი მინდიას თავის-თავი მსხვერპლად მიაქვს და მით იბრუნებს ნახევრად დაყარგულ მისნობას. ვიმეორებ: მისნობა დარჩა მხოლოდ „ლამარაში“ დანარჩენი კი სრულებით არ მოიპოვება ხალხურ თქმულებაში. ამას სინამდვილის აღდგენისათვის აღვნიშნავ, თორებ ისე ჩემთვის საამაყოცა, თუ ინდივიდუალ-ქმნილს ხალხის ეპონად ჰსახავენ (მაშასადამე ჩემ სიტყვას მიუღწევია „დიდი სტილისათვის“, საცა ვიწრო პიროვნული აღარც კი სიანს)... მეორე შენიშვნა: დადგმაში გამოტოვებულია (არ ვიცი რად) თითქმის მთელი ქეტი, საცა ვითარებულია ხასიათები: ლამარასი, თორლვაისო, მინდიასი, რაიბულისა. პირადათ ჩემთვის ეს გამონატოვი ყველაზე უფრო გულისხმიერია „ლამარაში“...

დიმიტრი ჭანელიძეს ვერ ვუპასუხე (ხომ გახსოვთ მისი წერილი, თქვენ რომ ჩამომიტანეთ შარშან?). ჭერ ერთი: მისამართი დამეკარგა [მისი წერილი „გველის პერანგზე“ შენახული მაქვს და იქ აღნიშნული არაა (ცალკე ქაღალდზე იყო)], მეორე და თავი-

დათავი: მისი წერილი ნამდვილი დითირამბია „გველის პერანგშიც და მიმართ და დათირამბზე პასუხი ძნელია მეტად: ვიტყვი მთლოდ: ავტორს დიდი გზნება ჰქონია სიტყვისა და „გუმანი“ (მიგნება), რას აკეთებს ამჯამად?..

სხვათა შორი „გველის პერანგის“ დიდი ლიტერატურული გამარჯვება ერგუნა გერმანიაში, ეხლა საფრანგეთშიაც იწყეს ქება (იხ. მარსელ ბრიონის წერილი „L'actualité littéraire“, „Les nouvelles Litteratures“).

მარტის 22, 1930).

იყავით კარგად?
თქვენი პატივისმცემელი
გრიგოლ რობაძიძი

P. S. რას აკეთებო?

რად არ დაბეჭდეთ თქვენი ნარკევე.

პატივისმცემი შალჩა,

11.8.1930

კოჭორი

გმაღლობთ ბარათისათვის „დასკვნა“ დეპეშით გადმოსცეს ტფილისს: „ზარიაში“ წავიკითხე. სხვანაირად „დასკვნა“ ვერ გაიმართებოდა: „ლამარა“ არ არის „პირდაპირ—იდეოლოგიური“, ეს მეც ვიცი... — ნედლ მასალას თუ მომაწოდებო, კარგი იქნება. მე ამჟამად კოჭორში ვარ. პირველ ენერისთვიდან ტფილისში ვიქნები. თუ ბორჯომიდან შემოიგლით ჩემთან, დაგიმაღლებო... — ეხლა ორიოდე სიტყვა. თქვენ სწერთ: „ლამარა“ ლიტერატურულად არის დაწერილი და არა თეატრალურად, მეშინია „საერთო ადგილს“ არ აჰყეთ თეატრალობაში. ამისათვის მოკლედ ჩემი აზრი:

1. ჩემთვის პირადათ „ლამარა“ უფრო ლიტერატურული ნაწარმოებია ვიდრე თეატრალური.

2. მაგრამ აქედან სრულიად ის არ გამომდინარეობს, რომ იგი არ იყოს თეატრალური.



3. თეატრალური ნაწარმოებისათვის საჭიროა თეატრალური ექსპრესია.

4. თუ ამას მივიღებთ, მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სცენაზე დღიდან მისი არსებობისა არც ერთი პიესას, არც თრივინალურს, არც გაღმოკეთებულს, არც თარგმნილს (ზოგიერთი ამბობს მხოლოდ, რომ მარტო „ლალატს“ შეუძლია გაედავოს) ასეთი დიდი შთაბეჭდილება რა გამოუწვევია. ეს არაა მარტო ჩემი აზრი.

5. არა — თეატრალური ნაწარმოები კი ვერ გამოიწვევს თეატრალურ შთაბეჭდილებას.

მიუხედავად ამისა, მე ვიმეორებ: ჩემთვის პირადათ „ლამარა“ მიუხედავად ამისა უფრო ლიტერატურული ნაწარმოებია ვიდრე თეატრალური. ამ დაპირისპირებას: „ლიტერატურული — თეატრალური — მე თვეობით კლებულობ. თუ „ლამარა“ უფრო „ლიტერატურულ“ ხასიათის შთაბეჭდილებას სტოვებს, ეს მხოლოდ იმ გარემოების გამო, რომ იგი არაა დაწერილი თეატრალური ტრაფირეტის მიხედვით, კიდევ მეტი: იგი სულ სხვა პრინციპზეა აგებული, ვიდრე რომელიმე „პიესა“ თანადროული თუ გადასული, ეს პრინციპი არის — „სიმფონიური“, „პიესას“ არც ვუწოდებ მე მას (როცა „პიესად“ იხსენიებენ მას, მე თითქოს „გველის-მათრახი გადამყრეს, ისე ვგრძნობ ამას). „ლამარა“ — დრამატული ხორალია, კარგად გაუგია ერთ ამერიკელს იგი მოსკოვში, როცა მის დასახასიათებლად „Хорическая драма“ უხმარია (ის, ალბომი თეატრისა). ეს პრინციპი იგზნო ისეთმა დიდმა მწერალმა და თეატრისა და მუსიკის მუოდნებ და მკვლევარმა, როგორც არას რომენ როლლან, იგი წერს ერთ კერძო წერილში, რომ ჩემმა დრამების „მუსიკალურმა არქიტექტონიკამ იგი გაოცა“ (поразил). „მუსიკალური“ ამ შემთხვევაში „სიმფონიურია“ „ლონდას“ ხელოვნების შესახებ იგი პირდაპირ ამბობს „L'envoûtement magique“ (მაგიური ჯადოსნობა, მიგრაციული კოდოსნობა).

ვიმეორებ: ამას მისთვის გწერთ, რომ შიში მაქვს, თეატრალოგის „საერთო აღგილს“ არ აჲყვეთ! „ლიტერატურულია, მაგრამ თეატრალური არააო“, საერთოდ რომ იტყვიან (ეს მაშინ ითქმის მხოლოდ, თუ ნაწარმოები თეატრალურ ვერ ხმაურდება).



P. S. ერთი წუთით არ იფიქროთ რომ აქ თავმოყვარეობის ამბავთაგადისაც სრულიად არა. ვიმეორებ: „პიესა“ მე შხამივით მეზარება, მე მსურს მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ, როცა „ლამარა“ სცენაზე მიდის, მის ასახსნელად სხვა პრინციპია საჭირო.

* * *

პატივდებულო გალვა!

როგორ გეტყობათ, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხართ! მერწ-
მუნეთ, რეცენზიაში ხშირად ხდება ასეთი ამბები: გამოტოვება მო-
ლაპარაკესი (ხშირად არა განხრას). ჩაც შეეხება მოხსენებას, შე-
გიძლიათ „ხელოვნების სასახლეში“ წაიკითხოთ, მაგრამ ვეჭვობ,
რომ რომელიმე ჩვენი თეატრი რამეში დააჭეროთ.

იყავით კარგად
თავისი ზრ. რობაპიმი

16.10.30

1.5.1962
შენია.

პატივდებულო გალვანო იკოლითი!

გულმხურვალე სალაში შორეთიდგან! გავიგე: 90 წელი შეგს-
რულებიათ. გავიგე „ლიტერატურული გაზეთი“-თვან, საცა თქვენ-
ზე წერილია მოთავსებული და თანაც თქვენი სურათი. წერილი
ძალიან მხვედრია. ვაკვირდები სურათს დამშვენებულ-ხართ მო-
ხულებულობაში. გიცნობდით: გითარ ფესვმაგარ მუხას, ქართულს—
მძლავრად გაშლილი მკლავებით გარემოს რომ ემთავრება. გიტყო-
ბათ, სურათზე გატყობთ; ჯერ კიდევ ფესვმაგარი ჩანართ. 100
წლამდე უნდა იცოცხლოთ! „უნდა“ აქ „მინდა“-ს ნიშნავს. მჯერა

კიდევ; გასძლებთ მანამდე. მერჩე კი ბიბლიურად გადახვალთ ამ „წუთიერი“ სოფლითგან სამარადისოში. დიდი ინტერესით და გულ-დასმით ვკითხულობ თქვენს მოგონებებს „მნათობში“. ბევრი რამ ვაგიყეთებიათ მშობლიურ ლიტერატურაში! აქა-იქ ტყვილად იმ-დაბლებთ თავს.

იყვანოთ მხნედ!
მარჯი საქართველოს!
თქვენი პატივისმცელი

გრიგოლ რობაშიძი

ნ ა რ პ ვ ე ბ ი

გიორგი მარგანიშვილი

დაცით სარაჯიშვილის სახლი *

თბილისის ერთ-ერთ ძეგლ უაბნში, სოლოლაქში, ი. მაჩაბლის ქ. № 13-ს (ყოფ. სერგის ქუჩა) დგას XX საუკუნის დასაწყისში აგებული სახურავებელი სახლი. იგი აშენებულია 1890—1900-იანი წლების ეკროპაში მეტად პოპულარული მიმღინარეობის — მოდერნის რიგზე. მაგრამ ეკროპული და რუსული ხუროთმოძღვრების მკვლევარი ამ შენობის მიმოხილვისას ნახავს მოდერნის თვალსაზრისით მრავალ მეტად უცნაურ ელემენტს. შენობა ქუჩაზე გამოდის მოდერნისათვის ტიპიური ფასაღით, რომლის აღნავობაც, ერთი შეხედვით სიმეტრიულია. ცენტრი ხაზგასმულია დიდი ჭიდური შესასვლელი კარით. მის თავზე მოთავსებული დაბალი, მაგრამ განიერი სამმაგი ფანჯრით, „ფრანგული“ აივნით დასრულებული თავისებური ლოჭითა და მაღალი „გერმანული“ სახურავის არქში გამართული მრუდთაზოვანი პლასტიკური მოხაზულობის არქიტექტურული ელემენტით. ამ მძლავრ ცენტრალურ ღერძს ამავეილებს სართულების მიხედვით ცვალებად სახეებად დამუშავებული ერთვარი ჩარჩო, რომელიც ხაზგასმულად დეკორატიული პლასტიკებისაგან არის შედგენილი. ცენტრალური ღერძის ზედა ნაწილში, კარტუშში, ჩაწერილია სახლის აშენების თარიღი 1905 წ. ცენტრალური ღერძის მიმართ სიმეტრიულად განლაგებულია მსგავსი მოყვანილობის თაღოვანი ფანჯრები სართულების მიხედვით დიფერენცირებული საპირეებით. ასევე სიმეტრი-

* გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია. დ. საჩავიშვილის სახლის სრულად ამსახურებული აღმომზ, შედგენილი დ. ნ. ერმაკოვის მიერ გადატებული ფორმებით. როგორც ჩანს, აღმომზის შექმნა გამოწვეული იყო იმ მნიშვნელობით, რასაც თვით დ. საჩავიშვილი ანიჭებდა ამ შენობას. ამდენად სახლის სტილისტურ-მხატვრული ანალიზი ჩვენის აზრით, იძლევა ამდროინდელ ქართული საზოგადოების ცნობიერების გასაღებს.

ულადაა განლაგებული სახურავშე გამომავალი ოთხი მაცხრებული ფასადის აღწერილ „მეტა“ სიმეტრიას არღვევს ცენტრალური ღერძის მარჯვნივ, შენობის კიდეში არსებული გამივალი დიდი თაღოვანი კარიბჭე, რომლის გასაწონასწორებლად შენობის მარცხენა ნაწილი ჭარბი დეკორითაა დატვირთული. მოდერნისათვის დამახასიათებელი ღიობთა მოძრავი ფორმები, სხვადასხვა ხასიათის გამოსახულებათა — ორნამენტული და სახეითი ფორმების თავისებური შერწყმა; კარ-სარქმელთა თაღები და საპირეები აგებული სხვადასხვა რადიუსისა და ზომის მრუდების მეშვეობით. სხვადასხვაგვარი ფაქტურის მქონე ელემენტთა დაპირისპირება, მოძრავი ნახატის შემქმნელი მსუბუქი ნაჭედი დეტალების სიჭარბე დიდად აცხოველებს შენობის სახეს.

მოდერნისათვის დამახასიათებელი ქუჩის ფასადთან შედარებით სრულიად სხვა სახეს ქმნის შენობის ეზოს მხარე. იგი მეტა სარკისებრ სიმეტრიაზეა აგებული. სახლის ძირითად კორპუსზე მიღვმულია აივანი, რომლის მეზონინით დასრულებული უდიდესი ცენტრალური ნაწილი დიდი მანძილით გამოწეულია წინ და მთელი კომპოზციის დომინანტს წარმოადგეს. ცენტრალური ნაწილი ფაქტურად არის ძირითადი კორპუსის მიმართ კუთხით დაყენებული ორსართულიანი მოცულობა, რომლის მთავარ მხატვრულ ელემენტად (ისევე როგორც მთელი ფასადისა), კედლის გლუვი, საღასიბრტყებისადმი დაპირისპირებული, მდიდრულად მორთული აივანი გვევლინება. ყურადღებას ისყრობს აივნის ელემენტთა სახეებიც; განსხვავებით ძველი თბილისური აივნების ტოსკანური ორდერისაგან აქ ახლებური მოყვანილობის საყრდენებია გამოყენებული. სკეტი ოთხკუთხაა და მასზე „ასხმულია“ ასევე სწორკუთხა ფორმები. ერთი „ასხმულ“ ფორმათაგანი აივნის ზღუდის თავზე უბრალო შესქელებას, ხოლო უფრო მცირე ზომის ფორმათა კომბინაცია სკეტის კაპიტელებს ჰქმნის. კაპიტელები მთავრდება მცირე ვოლუტებით. ყველა გეომეტრიული ფორმა ერთმანეთს მრუდით უკავშირდება. აივნის ზღუდისა და თაღების ნახატიც თავისებური სახეებითაა აგებული. ყველი რიყული თხელი და მაღალი ფორმაა თავის მხრივ შედგენილი სფერული და წაგრძელებული მრუდთარგოვანი ელემენტებისაგან. ყოველი ინტერიერულმნიუმის შუაგულში, ზღუდის სათანადო მონაცემის ცენტრალურ არეში ქნარისებრი გამოსახულება არის მოთავსებული.

ლი, ხოლო თაღნარის ზედა არეები ვერტიკალური ზოლებით დგმდებოდა მათ მაღლა მდებარე რიტმულად განმეორებადი მარტივი დეკორაციული ელემენტებითა შემკული. აივნის საერთო გამომსახველობას აძლიერებს ქიმერების სახით გაფორმებული კრონშტეინების ბოლოები. ე. ი. ეზოს მხრიდან შენობა ფაქტურად XX ს-ის ეკროპის გემოვნებით ნაგებ თბილისურ სახლს წარმოადგენს.

მთავარი გასასვლელი შენობიდან ეზოში წარმოადგენს ეზოს დონიდან ჩამდენადმე აწეულ მცირე ტერასას, რომელიც ქვის ბალუსტრადით არის გამოყოფილი. ეზოს შემომფარგვლელი კედლის მხარეს, ტერასაზე აგებულია ქვის, მდიდრულად გაფორმებული წყარო.

თვით ეზოც საინტერესო იყო. იგი რეგულარული ბალის თავისებურ მინიატურულ ნიმუშს წარმოადგენდა მოლსა და ხეებს შორის საგანგებოდ დაკვალული ბილიკებითა და მოუსვენარი, პლასტიკური ფორმის აუზით, რომლის ცენტრშიც „პუტის“ მცირე ქანდაკება იყო აღმართული.

როგორც დავინახეთ, შენობის მთლიანი სახე მისი მხატვრულობა დაფუძნებულია „ეკროპული“ და „თბილისური“ ფასადების კონტრასტზე. ასეთი ორბუნებოვნება კიდევ უფრო თვისებური სახით გამოვლინდა სახლის შიდა სიცრცეებში.

ოთახები ძირითადად აგებულია მოდერნისათვის დამახასიათებელი ხასიათის ყველა წესის დაცვით. ხუროთმოძღვარი კედლის სიბრტყეებს „შლის“ მაქსიმალური დეკორატივიზმამდე მიყვანილი ისეთი ელემენტების მეშვეობით, როგორიცაა პილასტრები და კედლის თაღები (ცესტიბიული). ამ ელემენტებისათვის ყოველგვარი ტექტონიკური შინაარსის გამოსაცლელად ხუროთმოძღვარმა გაათავსა თვით პილასტრთა სიბრტყეები — დაადაბლა მათი ცენტრალური არე, შეავსო იგი ორნამენტით (ცესტიბიული, ფასადი). კედლის თაღებს დაუპირისპირა კედლელთა თაღოვანი, ნახევარწრიული და ელიფსური ნაუშით შევესტებული სიბრტყეები, აქცია რა ამით კედლის თაღები ერთიანი დეკორატიული სისტემის ნაწილად. კედლებს ხუროთმოძღვარი ილუზორულად შლის სხვადასხვა ფაქტურის მქონე მასალების და მათი შეპირისპირების მეშვეობით. ხმარობს ისეთ მომენტედ საშუალებებსაც, როგორიც არის სარკე, რომელიც ირეკლამს რა სხივებს „ამსხვრევს“ კედლის ზედაპირს. ოთახებში ვერ შევხედებით მშვიდ, მთლიან სიბრტყეებს.

ესტიბიულის შემდეგ არსებული, ტერასზე გამავალი ოთახის კედლები და ჭერი ვიწრო რელიეფური თამარის მეშვეობით ნაწევრდება თავისუფლად, ნერვიულად შემოხაზულ არებად. ხუროთმოძღვარს არ უყვარს სწორი ხაზი. ერთგვარი გეომეტრიულობა ოთახში მხოლოდ პარკეტის ან ზოგჯერ შპალერის მარტივ ნახატს შემოაქეცს. კარ-სარქმელთა კონსტრუქციებიც კი ნებირად იწნიქებიან და ქმნიან მხოლოდდამხოლოდ ხუროთმოძღვრისა და დეკორატორის ფანტაზიის შესაბამის სურათებს. ყოველი დეტალი შექმნილია იმ ანგარიშით, რომ ოთახში მყოფი მოაქციოს მოუსვენარ, მოძრავ, მდიდრულად გაფორმებულ გარემოში და ოთახთა გადაწყვეტის მრავალფეროვანებით გაუღვიძოს ინტერესი მთელი სახლის მოსახილველად. არქიტექტორი არ ჭერდება კედლის სიბრტყეთა „გათამაშებას“ და რამოდენიმე ოთახში ქმნის მძლავრ დეკორატიულ აქცენტებს საგანგებოდ გაფორმებული ბუხრების სახით. ბუხარი ან მოქცეულია კედლებში სპეციალურად მისთვის ამოჭრილი დახრილზედაპირიანი ნახევარწრიული თაღით დასრულებულ ნიშაში (კაბინეტი), ან წარმოადგენს დამოუკიდებელ, კედლის სიბრტყეზე მიღვმულ მოცულობას და ქცეულია სხვადასხვანაირად დატვირთული, სხვადასხვა ფაქტურისა და ფერის ელემენტების თამაში — შეპირისპირების ერთ-ერთი აქტიურ ნაწილად. საკუთრივ ბუხრებიც „ყრუ“ არეთა დეკორაციული დამუშავების წყალობით გამოყენებითი ხელოვნების იშვიათ ნიმუშებს წარმოადგენენ. ყოველივე ეს ეხება შენობის „ევროპიულს“ — ნაწილს. საყურადღებო მისი მეორე — აღმოსავლური მხარეც, რომლის სახის განმსაზღვრელი ელემენტებიც სრულიად სხვა კულტურული რეგიონის — მაჰმადიანური აღმოსავლეთის კუთვნილებას შეაღებს. საუბარია ერთ-ერთი ოთახის ჭერზე, რომლის კედლებთან გადაბმის აღგილიც სტალაქტიური ფრიზით არის აღნიშნული. ფრიზს ზევიდან და ქვევიდან გაუყვება ნირნაირი ორნამენტით დაფარული ზოლები. ორნამენტის აგებისას გამოყენებულია მსვავის სახეების მრავალგზისი განმეორების ხერხი ანუ ე. წ. „დაუსრულებელი რაპორტი“. საკუთრივ ჭერიც სრულიად სხვაგვარია. თუ „ევროპიულ ოთახებში ჭერი არის ფონი სხვადასხვა სახის ორნამენტთათვის, აქ ფონი პრაქტიკულად აღარაა, იმდენად მციდროდ არის იგი დაფარული ნაყშით. ორნამენტიც ხალიჩისებრია. რთულ ხლართში თანაბრად არის გაბნეული რამოდენიმე აქცენტი. განსხვავებულია იატაკის

ნახატიც „უკროპიულ“ ოთახთა იატავების მკაფიო გეომეტრიულზეგადობა და იცვლება ნერვიული, ტეხნილი და ერთის შეხედვით ნაკლებად ორგანიზებული სახეებით. ისევე აღმოსავლურ ასოციაციებს იწვევს ერთ-ერთი ოთახის ბუხრის თავზე მოთავსებული სარკის შეისრული ფორმა და სააბაზანოში გამოყენებული დეკორატიული მოტივი. ექვემდებარებული არე, რომელიც შევსებულია „სტალინური“ მსგავსი ფორმებით.

როგორც ვხედავთ, შენობის მხატვრული სახის განმსაზღვრელი ნიშანი არის მისი ხაზგასმული „ორბუნებოვანება“ და ორფასადიანობა, რაც არაა შემთხვევითი. სწორედ ამაში გამოიჩატება მცდელობა დაგილობრივი ტრადიციული თუ საუკუნეების, მოთხოვნილებების, გემონების შეხებებისა რუსეთიდან შემოსულ „მოდასა“ თუ თავზე მოხვეულ ფორმებთან. ორბუნებოვანება ერთის მხრივ გამოვლინდა „თბილისურ-უკროპული“ ფასადების, ხოლო მეორეს მხრივ „უკროპიულ“ მარტინიტალიზებელი შილა სიკრცეების დაპირსპირებაში. ეზოს მხატვრული გააზრება და აქედან გამომდინარე შენობის ორფასადიანობა არ ყოფილა გამონაკლისი თბილისის ხუროთმოძღვრების ისტორიაში. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დამკვიდრებული შენობათა ტიპოლოგიურად მსგავსი გადაშეცვეტა, რომელიც ჩამოყალიბდა და განვითარებული სახის ნიმუშები მოგვცა XIX—XX სს-თა მიჯნაზე. ისეთი მიდგომის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია კოსტავას ქ. № 12-ს მდებარე საცხოვრებელი სახლი, რომლის ქუჩაზე გამომავალი ფასადი ეკლექტიკის ერთ-ერთ გამორჩეულ ნიმუშს წარმოადგენს, ხოლო ეზოს მხარე არის ნაწილი ოდესის მაღალმხატვრული ანსამბლისა. იგივე ტენდენცია შეიმჩნევა ლ. ქიაჩელის № 7 ა-ს მდებარე სახლში, არშაკუნისა და ქობულაშვილის სახლში (დღევანდველი სამხატვრო ეკადემიის შენობა) და სხვა. შენობათა ისეთი გადაშეცვეტა დამახასიათებელია აღნიშნული ხანის საქართველოს სხვადასხვა მხარისათვისაც. მაგალითისათვის გვიხსენთ დღესიათვის უკვე გავერანებული „გარიყულა“ თარხნიშვილების სახლი კასპის ახალქალაქში (XIX ს-ის 50-იანი წ.წ. ბარიატინსკის მეტისნაცელობის ხანა) ფასადები ექვემდებარების უხვი გამოყენებით არის აგებული. კლასიციისტური ორ-

მაგი ორდერი, დიდი თაღოვანი კარ-სარქმლები და სამი შეკვეთის გენერაცია რომელთაგანაც უდიდესი, სასახლეში შესასვლელ კართან ერთად იღნიშვნას ფასადის ცენტრალურ ღერძს, „მავრეროპეიზებელი“ ორ-შეიტეტურის რიგში აყენებს ამ შენობას. მსგავსებას სარაგიშვილის სახლთან აძლიერებს ისიც, რომ ორდერს აქაც გამოცლილი აქვს ტექტონურობა. პილასტრების შუა არე დაზაბლებულია, რის მეშვეობითაც ნაწევრდება ფუსტი და იძენს ხაზებს მულად დეკორაციულ ელფერს. მეორე, გრძივი ფასადი უფრო „აქტიურია“. მასში დიდი აღვილი უკირავს შემინულ ლოჭის და პირველი სართულიც თითქმის მთელ სიგრძეზე თაღნარითაა გახსნილი. საკმარისი იყო შევსულიყავით შენობაში, რომ წარმოგვიდგებოდა ერთის შეხედვით სრულიად სხვაგვარი ზამყარო. დიდი, ერთმანეთში უზარმაზარი თაღით გახსნილი ან მცირე, მოზღუდული ოთახებით, რომელთა შერი ან თაღოვანია ან სტალაქტიტური, ხოლო კედელთა სიბრტყები-დანაწევრებულია სტალაქტიტური თუ სადა ნიშნებით. თითქმის ყველა ოთახის კედლები ხალიჩისებრი ორნამენტითა დაფარული. ოთახთა მოხატულობა იმდენად დამახსიათებელია სპარსული კულტურისათვის, რომ მის ერთ-ერთ უახლოეს პარალელია შეიძლება დღევანდველი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შექმი არსებული ხანთა სასახლის მხატვრობა მიენინოთ XVIII ს. მაგრამ მიუხედავად უეპველი მსგავსებისა დიდი განსხვავებაც არსებობს საცხოვრებლის მოხატულობის ამ ორ ნიმუშს შორს. შექმი ხანთა სასახლის ოთახთა დეკორი თანაბრად ავსებს მისთვის გამოყოფილ ორეებს მაშინ, როდესაც „გარიყულას“ - მომხატველები არჩევდნენ საჩინისებრი სიმეტრიის შესით აგებულ კომპოზიციებს ნათლად გამოყვეთილი ცენტრითა და მის ორივე მხარეს გაშლილი, ცენტრალური აქცენტისადმი დამორჩილებული ორნამენტით. კიდევ მეტიც ერთფერთი ოთახის „აღმოსავლურობა“ გამოხატულია მხოლოდ ჰერ-კედელთა გადაბმის ადგილას მოთავსებული სტალაქტიტური ფრიზით და ჭალის გარშემო არსებული ნაყშით. სადა კედლები კი დეკორატიულია რიტმულად განმეორებადი მსხვილი ორნამენტით, რომლის ანალოგიასაც როკოკოს ხანის ეკრობულ ხელოვნებაში თუ შევხვდებით და მასში პლასტიკური, ამავე ხანისათვის დამახსიათებელი „რეალისტური“ ხერხებით გამოსახული ჭალის ფიგურაა მოთავსებული.

ყველა ჩამოთვლილი შემთხვევა ერთიანი, კულტურული პრო-



ცესის ევროპა-აღმოსავლეთის კულტურული ექსპანსის პირობებში დაგრძნელდა არქიტექტურის აღგილობრივი სახის ძიების შემუშავების სხვადასხვა საფუძულის მაგალითით. ძიებისა, რომელიც მცველად ას კულტურის მეორე ნახევარს და XX ს-ის დასაწყისს. აღწერილი მიზგომა, რომ ქართული კულტურის განვითარების შედეგი იყო, ცხადი გახდება ორი მოწმობის გახსენების შემდეგ. 1860-იანი წლების დამლევს პეტერბურგში სასწავლებლად ჩასულმა იაკობ მანსვეტაშვილმა დაიქირავდა ბინა სახლში, რომლის აღნაგობამაც იყო გააოცა. მიემართოთ მას!: „საღამოს ეამი იყო, წავედი ბინის მოსახად, ნევისა და ლიტეინის პროსპექტების კუთხეში ვიშვევ ოთახი, მეხუთე სართულში იყო და ეზოში პქონდა გადასახედი. გავიხედე და რა ვნახე: ეზო კი არ იყო, როგორც ჩეენში, არამედ ღრმა ჭა, ოთხივე კუთხის მაღალი კედლებით შემოზღუდული“¹. იგივეს იმპერატორის XIX—XX სს-თა რუსული ხუროთმოძღვრების მძვლევარი ვ. გ. ლისოვსკიც. ეხება რა ეკლეტიკის რიგის ხუროთმოძღვრებას იგი წერს შემდეგს: „კერძო მფლობელობაში მყოფი ნაკვეთების განაშენიანება მაქსიმალურად მჭიდროვდებოდა. შიდა კვარტალური სივრცე ფაქტიურად არ ექცეოდა არქიტექტორის მხედველობის არეში; მოელი მისი ყურადღება გადატანილი იყო შენობათა მთავარ ფასადებზე, რომლებიც მათი მეპატრონისათვის ჩაეყარის როლს სარულებდნენ. ხუროთმოძღვრებამ მნიშვნელოვანწილად დაკარგა სივრცობრივი ხელოვნების თვისებები“². რუსულ ხუროთმოძღვრებაში ეზოს ყურადღება მიექცა მხოლოდ მოდერნის დამკვიდრებისას და ისიც გამოიხატა კურდონერის ტიპის ეზოს შექმნაში. იქმნებოდა ქუჩაში გახსნილი ეზოს (კურდონერის) გარშემო დაკგუფებული შენობათა საცხოვრებელი კომპლექსები³. მაშინ, როდესაც თბილისში უპირატესობა მიენიჭა შიდა ეზოს, რომელიც ქუჩისაგან შენობის „ევროპული“ ფასადით იყო გამიჯნული. როგორც ეხედავთ მიუხედვად გარეგნული მსგავსებისა, ქართული ხუროთმოძღვრება თავისი საკუთარი გზით ვითარდებოდა და საცხოვრებელი არქიტექტურის გამორჩეული ნიმუშები მკაფიოდ ინდივიდუალურ იქნა ატარებდნენ. ეს თავისე-

¹ ა. მანსვეტაშვილი. მოგონებანი. ტფილისი 1936 წ. გვ. 30.

² В. Г. Лисовский «Особенности русской архитектуры конец XIX-надво в — XX века 1976 г. ст. 13.

³ იქვე გვ. 32.



ბურებაც თბილისური ხუროთმოძღვრების მრავალსაუკუშებელი განვითარების ახალი საფეხური იყო მხოლოდ, რესეთის გზით ეკრძაში უშუალო გასვლის შედეგი. ამაში ვარწმუნებს XVII—XVIII სს-თა მასალებზე და ჩერნეცოვის ჩანახატებზე ასახული ქალაქის შედარება. XIX—XX სს. ტფილისთან. XVII—XIX სს. თბილისის ხუროთმოძღვრული წესებით ცოტა თუ ბევრად გაფორმებული შენობა არ წარმოადგენდა ომოსაელევისათვის ესოდენ და მახასიათებელ ყრუ კედლებით შემოსაზღვრულ სამყაროს, რომელშიც შელწევა ირის საჭირო. არამედ ყოველი ნაგებობა გახსნილია თადებით, კარაპანითა თუ ბანით და ჩართულია გარემონცველ ლანდშაფტში. იგი არ ემიჭნება ბუნებას, არ ქმნის ხელოვნურად იზოლირებულ სამყაროს, არამედ ხშირად საცხოვრებლიდან გარდა მავეალი არქიტექტურული ფორმის მეშვეობით (ზანი, კარაპანი, აივანი) ერთვება გარემოცვაში. იქცევა მის ნაწილად, განსაკუთრებით თავისებურ და მხატვრულად დასრულებულ სახეს ეს მიღვომა იძენს XIX ს-ის შუა ნანებში. იგი ქმნის ქალაქს, რომელიც წარმოადგენს მთლიანად სახლებით, მათი საცხოვრებელი, სავაჭრო თუ სხვა სათავსებით, ქუჩაბანდებით, შუკებით, მოედნებით ერთიან, მხატვრულად განცდილი და ადამიანის მაშსტაბზე დაფუძნებულ საცხოვრებელ გარემოს. აქ ზღვარი „კერძოსა“ და „საზოგადო საარსებო სივრცეებს შორის წაშლილია.

დაახლოებით XIX ს. — 70-იანი წლებიდან თბილისმა სრულებით განსხვავებული სახე მიიღო. ქალაქის ცენტრში გადაინაცვლა იმ უბნებში, რომელთა სახეს ჰქმნიდა პეტერბურგში „უზენაესად აპრობირებული“ სანიმუშო და სავალდებულო პროექტების მიხედვით აგებული შენობები. გაქრა დარბაზი, იშვიათობად იქცა თბილისური სახლი, ქუჩა გაგანიერდა, გაიმიჯნა შენობა, როგორც საცხოვრებელი და ქუჩა, რომელსაც მხოლოდ კომუნიკაციის ფუნქცია დარჩა. მოქალაქე „შეიყეტა“ ევროპული ფასადის მიღმა შექმნილ სამყაროში. შენობის ფასადი იქცა ერთგვარ ზღუდედ შენობასა და მის გარემოს შორის. მაგრამ საქალაქო გარემოს „მოშინაურების“, „გააღამიანურების“ „გაყოფითების“ ტრადიცია იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მან გააფორმა ქალაქის „მეორე“ სახე-ეზო თუ ეზოების სტრუქტურა, რომელიც ქალაქის საპარადო „ეროვნული“ ფასადი — შირმის მიღმა ქმნის ძველებულ, ტრადიციულ გარემოს. სწორედ ეზოში აისახა არქიტექტურულად გაფორ-


შებული გარემოს შექმნის ის სურვილი, რომელიც ამოძრავებდათ თბილისელთ XVII—XVIII საუკუნეებშიც. ეზო, მოზღუდული შენობათა კორპუსებით, იგებოდა ტრადიციული წესებით და ხშირად გადაბმული ან გახსნილი მომიჯნავე ეზოში იქცეოდა მეტად თავისებური სისტემის ნაწილად. ეზო, ისევე, როგორც წინათ, შემოსალ-ტული იყო აივნებით. აივნების ფალეული ელუმენტების დამუშავებაც ტრადიციულ ხაზს აგრძელებდა. სწორედ ამ !ტრადიციულ კალაბორტში მდებარეობს დ. სარაჭიშვილის სახლის (დღ. მწერალთა კავშირის შენობის) ხუროთმოძღვრებაც.



ეს ორადობა, ორბუნებოვნება სახლისა თუ ქალაქისა მთლიანად გამოვლინდა დ. სარაჭიშვილის სახლის მეორე მხარეშიც — ოთახთა გადაწყვეტის ხასიათში, „ორიენტალური“ და „ევროპული“ სივრცეების დაპირისპირებაში. ეს მოტივი, როგორც უკა აღინიშნა, კერ კიდევ XIX ს-ის შუა ხანებიდან მომდინარეობს და გაცილებით უფრო დიდი წარსულიც გააჩნია, მაგრამ სწორედ XX საუკუნის დასაწყისში იქცა იგი „არტისტული საზოგადოების“ ერთი ნაწილის მიერ ეროვნული ფორმის ძეგლის შეგნებულად შერჩეულ გზად. ამ გზას მიმართავდნენ ისეთი მოაზროვნე და ქართული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მხატვრები, როგორებიც იყვნენ დ. კაკაბაძე (მას იზიდავდა აღმოსავლური სიმბოლიკა), ლ. გუდიაშვილი (მისი შემოქმედების ერთ-ერთი წყარო იყო გვიანი შუასაუკუნეების ქართული მაირანიზებელი მინიატურა), ვ. სიღამონ-ერისთავი (მოსკოვში სწავლისას და რამდენიმე ხანი მის შემდეგ განიცდიდა ნ. რერიხის, ე. ი. სახვითი ხელოვნების ენაზე ამტკველებული ინდური მისტიკის ზეგავლენას) და ა. შ. ამ მიღვომამ იარსება დიდხანს და 1916 წელს ერთგვარი პოეტური დეკლარაციის სახეც მიიღო.


„გაფიზის ვარდი მე არუცონის
 ჩერებე გაზაში.
 ბესიეს ბალში ერგავ ბოდლერის
 ბოროტ ჟვაველებს
 და რაც შემხედება შემაჩერებს
 შორეც გზაში
 წემს ღვრია ლექსში დაისცენებს
 და დაწირდიდებს“


განაცხადა ტიცან ტაბიძემ ლექსში „L'art poetique“.


ଦ୍ୱାରା ନିର୍ମିତ ସାହାଗିଶ୍ଵରିଲିଙ୍ଗ ସାହଲିଙ୍ଗ ଉଚ୍ଚଶ୍ରେଣୀରେ ଓ ନିମ୍ନଶ୍ରେଣୀରେ ଦ୍ୱାରା











მწერალთა კავშირის დღევანდელი შენობა აიშენა საკუთრიად ახალი დროის საქართველოს ერთ-ერთმა უდიდესმა კომერსანტმა, მეწარმემ, მეცენატმა და საზოგადო მოღვაწემ დავით ზექარიას ძე სარაჯიშვილმა. ადამიანმა, ურომლისოდაც მოყიდებული გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან 1911 წლამდე, მისი გარდაცვალების წლიმდე არც ერთი ეროვნული საქმე არ დაწყებული და არ დასრულებულა. ადამიანმა, რომელიც აფინანსებდა უნივერსიტეტის შექნებლობას, ე. თაყაიშვილის ექსპედიციის ტაო-კლარჯეთში, იქნდა ხელნაშერებსა თუ მნიშვნელოვან ნაშთებს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის, რომლის სტაციონიდებზეც აღიზარდა ქართველი ინტელიგენციის მთელი თაობა. ადამიანმა, რომლის ანდერძმაც გულუხვობითა და ზუსტი მიზანდასახულობით, ეროვნული საჭიროებათა გააზრების სიღრმით შესძრა საზოგადოება. ადამიანმა, რომლის სიკედილსაც გამოეხმაურა ქართული, სომხური, აუსული, გერმანული, პოლონური, ჩეხური, პრესა. ადამიანმა, რომელიც იქცა ქველმოქმედების სიმბოლოდ. ადამიანმა, რომელმაც თავისი სახლიც, ჩვენი კვლევის ობიექტიც უანდერძა საქართველოს დედაქალაქს მასში სამხატვრო გალერეისა თუ მუზეუმის გასამართვად. ამ მასშტაბის მოღვაწეს პქნდა საშუალება სანიმუშო სახლის აშენებისა და ააშენა კიდეც. მან გერმანიიდან მოიწვია ხუროთმოძღვარი კარლ ცარი, თანაშემწევბალ დაუყენა ოზეროვი, ტატიშვილი და ი. მამაცაშვილი და სწორედ ამ, თუ შეიძლება ითქვას, „ნტერნაციონალური“ ჯგუფის რუდუნებით შეიქმნა შენობა, რომელშიც ახლებური დროის შესაფერი ფორმით განსხვეულდა საერთო ხუროთმოძღვრებაში გამოვლენილი და ახალი დროის ქართული კულტურისათვის მთლიანად ესოდენ დამახასიათებელი ტენდენცია. აქ უნებურა დგვახსნდება, ო. თუ-მანიანის სიტყვა:

„ძველი თბილისი რაღაც განსაკუთრებული, თავისებური სამყარო იყო, სადაც კავკასიის ხალხები გაერთიანებული იყვნენ თავიათი ყოფის დამახასიათებელი ყველა ნიშნითა და მანერით. აქ მათ შეპქმნეს სხვადასხვა ხალხთა უაღრესად კოლორიტული და სინტერესო ნარევი.

რადგან ქართული სული იყო ამ ხალხთა ცხოვრების ტონის მიმცემი, ამიტომ ძველი თბილისი ერთმანეთისათვის უცხო ელემენტთა ეთნოგრაფიულ კრებულს კი არ წარმოადგენდა, არამედ ივი

ჰეთებდა მხიარულ საქორწილო სუფრას, სადაც კავკასიის ხალხები და ტრმები ნადიმზე იყვნენ მოწვეულნი⁵.

ეს ფაქტი გვარწმუნებს იმაში, თუ რამდენად მართალი იყო გ. ასათიანი, როდესაც წერდა, რომ „საქართველოს სახელმწიფო ეპრივი სუვერენიტეტი მისი საზღვრების სიმტკიცეს ემყარებოდა, ქართული კულტურის სიძლიერე და შეუვალობა მის ღია კარიბჭეებში იყო ყოველთვის... სწორედ საკუთარი ნიადაგისა და ფესვთა სიმაგრის ორგანული შეგრძნება იყო ის უტყუარი საბუთი, რომელიც უფლებას გვაძლევდა ესოდენ ფართოდ გაგველო ჩვენი სულიერი გალავნის ყველა კარი ისე, რომ სხვაში გათვევის ან საკუთარ სიმდიდრეთა განიავების შიში არ გვქონდა“⁶. დიახ, ქართული კულტურის სიძლიერის უამს ყველა კარი ღია იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავდა ეპიგრანთის, ვინაიდან ქართული ყოფა, სულიერი კულტურა, საზოგადოებრივი თუ კერძო საჭიროებები იმდენად გარდაქმნიდნენ შემოსულ, ქარით, გარემოებებით მოტანილ თუ თავზე მოხვეულ ფორმებს, რომ მათგან მხოლოდ ცალკეული ნიშნები რჩებოდა. ხდებოდა მეტამორფოზი, იგი გარდაიქმნებოდა ახლებურ, მისი წარმომშობი ნიადაგისათვის უცხო ქმნილებად.

დ. სარაჭიშვილის სახლი ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლია. ამ შენობით შეიძლება გაიხსნას რიგი იმ თბილისურ და არა მხოლოდ თბილისურ ნაგებობათა, რომლებშიც გაცხადდა ამ ხანის ქართული კულტურის თავისებურებანი, საზოგადოების სულისკვეთება, ხოლო თვით შენობები გარეშე ფაქტორებისაგან დამოკიდებლად სამშენებლო ხელოვნების მეტად საინტერესო და მხატვრული ღირებულება დაგენერირდა.

⁵ ო. თუმანიანი, თხზულებათა კრებული, ერევანი 1951 ტ. IV. გვ. 236. ციტატა მოყვანილია ა. ბარნევის წიგნიდან „ძეველი თბილისის მუსიკოსები“ თბ., 1974, გვ. 7—8.

⁶ გ. ასათიანი. „სათავეებთან“ თბ., 1982 წ. გვ. 143.

მიძღვნილი პატარიძის არჩივი

შემოქმედის პირადი არქივის გაცნობა მოულიდნელ შთაბეჭდილებათა სიმრავლესთანაა დაკავშირებული. თვალწინ გაცხადდება ხოლმე ადამიანების პირადი ცხოვრებისა თუ შრომითი საქმიანობის ამსახველი დეტალები და მანამდე უცნობი, თითქოს ბუნდოვანი ფაქტებიც კი ახალ, განსხვავებულ ელფერს იძენენ. მთავარი ისაა, რომ თვით შემოქმედის პიროვნება წარმოჩინდება ბუნებრივად და შეულამაზებლად, რაც მკითხველი საზოგადოების დიდი ინტერესს იწვევს.

ამ თვალსაზრისით გვინდა განვიხილოთ მიქელ პატარიძის არქივი, რომელიც 1979 წელს შეემატა ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდს¹.

არქივი მრავალრიცხოვანიც არის და მრავალფეროვანიც. ეს ვასაგებიცაა, რაღაც მიქელ პატარიძემ, როგორც მთარგმნელმა, პოეტმა, უურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა XX საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში.

... დაიბადა 1895 წელს ქუთაისში. ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლების მისაღებად გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

საქართველოში დაბრუნებისთანავე ხანგრძლივად და ნაყოფიერად იღვწოდა სამწერლო და საზოგადოებრივ ასპარეზე. გარდაიცვალა 1959 წელს.

ასეთია მოკლე ბიოგრაფიული ცნობები იმ მრავალმხრივი მოღვაწისა, რომელიც წლების მანძილზე დიდ სამსახურს უწევდა

¹ არქივს თან ახლავს მდიდარი ფოტო-მასალა (ნეგატივები), რომელიც ინაციპა მუზეუმის ოკონვიალულ განყოფილებაში.

² დაცული ხელნაწერი განლაგებულია 20 საქართველოში და მოითვლის 500-მდე ხელნაწერ ერთეულს. არქივი წარმოდგენილია შემდეგი სახით: პოეზია; თარგმანი; ნარკევები; პირადი წერილები; დოკუმენტები; და პერიოდული პრესა.

ეროვნულ კულტურას სამშობლოშიც და მის ფარგლებს გაუქმიდა მათ საქართველოს ინტელიგენციას მისი სახით ჰყავდა მსოფლიო ლიტერატურის, რუსული და ევროპული ენების შესანიშნავი მცოდნე, დიდად განათლებული პიროვნება, რომელმაც შესამჩნევად გამდიდრა ჩეენი მწერლობა ლონგფელოს, პერედიას, ბოდლერის, რემბრანდ, პუშკინის, ახმატოვას, ესენინის და სხვათა პოეზიის თარგმანებით.

რაც შეეხება პოეტის ორიგინალურ პოეზიას, შეიძლება ითქვას, რომ იგი ნაკლებადაა ცნობილი მკითხველთა ფართო წრისათვის. „ახლობლები პირადი კონტაქტის მეშვეობით ეცნობოდნენ მის პოეზიას, ხოლო მკითხველი ხშირად წაწყდებოდა უურნალ-გაზეთებში ვაფანტულ ლექსებს, რომლებსაც ხელს აწერდა მიქელ პატარიძე. შესაძლოა პრესის ფურცლებზე არც კი მოხვედრილა ის ლექსები, რომლებიც მის ნიმდვილ პოეტურ ბუნებას გაამუღავნებდა“, წერს მ. ხუციშვილი¹.

მ. პატარიძის შემოქმედებითი მოლექტონბა მე-20 საუკუნის გარიერას დაემთხვა. ადამიანთა ცნობიერებაში მეტად რთული გხით შემოჭრილმა ხალმა საუკუნემ თავისებური კვალი დააჩინა კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს. ამ პერიოდის პოეტურ ქმნილებათათვის დამახასიათებელია, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავდნენ ხოლმე, „უკიდურესი ინდივიდუალიზმი, პესიმიზმი, ცხოვრების უარყოფა და ა. შ.“ ცნობილია, თუ რამდენად არაობიექტურად ფასდებოდა ადამიანთა ასეთი განწყობილება ჩვენში ათეული წლების მანძილზე. დღეს კი ამ სიტყვებს კეშმარიტი და სამართლიანი ახსნა მოეპოვებათ: უდაცოა, რომ საუკუნის დასაწყისის მოვლენებმა — პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომები, რევოლუციის წლები, გასაბჭოების პერიოდი — ადამიანთა ფსიქიკაზე ზოგადად, და სოციალურ-პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დიდი გავლენა მოახდინეს: ჩაისახა დეპრესია. საქართველოში კი ყოველივე ამას თან დაერთო ღრმა ეროვნული ტკივილი, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და მეტად ხანმოკლე თავისუფლების დაკარგვით გამოწევეული; იმ თავისუფლებისა, რომელსაც საუკუნეზე მეტი ხნის განმაელობაში ელოდა „ჩუმის ნატერითა ქართველი“.

¹ მ. ხუციშვილი. „ჩემი სიმღერა არვის კუნია“ 1985 წ. გვ. 8.

... წარუშლელად შემორჩია თანამედროვეთა მეხსიერებას 1928 წლის 25 თებერვალი: ხელისუფლებისა და მთავრობისაგან მიტოვებული ქვეყანა; დაბნეული, თავზარდაცემული ხალხის სასოწარევეოლება და მე-11 არმიის „საზეიმო მსკლელობა“... ყოველივე ეს არაერთ ქართველ პოეტს ჩაუნიშნავს უბის წიგნავში. სამუდამოდ აღიბეჭდა ეს ფაქტი მიქელ პატარიძის გონიერაშიც: ახალგაზრდა პოეტია და ლირისტულია მამულიშვილმა მაშინვე მკვეთრად გამოხატა თავისი პოზიცია აღნიშნული მოვლენისადმი. ლექსი „ტფილისი“ ამის ნამდვილი დადასტურებაა.

ტფილისი

იქნებ ჩვენი თბილისი ხეალ,
ყველამ დაუსტოვოთ.

პაოლო იაშვილი

სამარისებურ სიჩუმეში სტოკებენ ქალაქს.

ტიტონ ტაბიძე

ტფილის უცქერის ისევ მარაბდა
და ბარბაცებდა ნაცრის ქუჩები
მწარე ტკივილით მოვიუმშებით,
გასიზმრებულებს ჩრდილი გვფარავდა
.... ისევ მარაბდა?!

ქუჩის ლამბებით ვარ დღეს ჯვარცმული
და თვალებს ნისლავს ცრემლის აღმური.
აიონის ბჟესთან ლოცვის საღვური:
კვლავ ნუ ვიქნებით ბორკილჩეცმული,
.... დღეს ვარ ჯვარცმული.

ოხ! ვლოვა და ცრემლი ჩუმი:
ვიხილეთ წამება ქართლის,
კრწანისის გმირებს ნუ-თუ კვლავ დავთვლით
როს გმირთა სისხლი წამოვა ჩუმი?
.... ცრემლები ჩუმი

ოს! გამარჯვება დღეს ძვირფასია
 და ჩეენ სიცოცხლეს გვეიღებთ ლაპარ,
 პა, ქართველები მოვდივართ დასაც,
 ტცილისთან მტერი ვინ დაგვასია?!

.... დღეს გამარჯვება რა ძვირფასია.

ასე ერთიანად შეძრა პოეტის სულიერი სამყარო მშობელი ერის
 ტრაგედიამ. ხაზგასმული მინორული ტონი იგრძნობა სხვა ლექსებ-
 შიც. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს.

ფინა

მეორე დღეა წეიმს და გრიალებს,
 ვიღაც გვიგზავნის გრიგალის ლაშქარს,
 ატიტებული ლრუბლის თვალები
 მეორე დღეა, რომ ვეღარ გაშრა.

მოედვა სივრცეს ცვრების კალია
 და გადაჭამა ცის იალალი
 და ბნელმა ზეცამ — სხივის გალიამ
 ააფრიალა შავი ალამი.

ეს საკანია — ოთახი ჩემი,
 აქ ძეელ მოიტევბს ჩუმაღ ვლილინებ.
 ასე მგონია, ვერ გადავრჩები
 და ვერასოდეს ვერ გავიღიმებ.

ქართული ღმერთი არ სწყალობს ტფილისს,
 ტფილისი ისევ გადაგვირუსდა.
 ჩეენ უძლურების ისევ ვკრძნობთ ტკივილს,
 ვვაწვალებს ისევ ბევრი იუდა.

¹ ალსანიშვნაია, რომ ეს ლექსი და კიდევ რამდენიმე ხელნაწერი (მათ შორის პოეტის დღიურიც) მუხეუმის სპეციალურ ფონდში ინახებოდა გასაგებია მიზნების გამო. დღეს მისანაშეწონილად ჩაეთაღეთ მისი გამოქვეყნება.

ხელნაწერში სათაური ნატილობრივ გადამილია. როგორც ჩანს, თავდაპირველად ეწერა „ტფილისი სისხლით დამთვრალია“.

ლექსები იმექლება თანამედროვე ორთოგრაფიული ნორმების დაცვით.

თვითონ ავსენით დარიალს რაზა,
მონურად ბერჯერ მოედრიქეთ მუხლი,
აღარ გამოდგა ქართული რასა,
[თვარი] ამ სკეითებს თავს რაზედ ვუხრით...

მ. პატარიძის აღრეულ ლექსებში გადმოცემული მძიმე განწყობილება არ გახლდათ უბრალოდ მელანქოლიის გამოხატვა. ეს იყო სულიერად გაძარცული და უმოწყალოდ გადათელილი ინტელიგენციის საპასუხო ამოძახილი, რაც ასე მკეთრად და ხანგრძლივადაც კი ისმოდა მიქელ პატარიძის ლექსებში.

დაღოვება

ქვრივის ნაბიჯით მოდის საღამო,
გაშალა შავი და რბილი თმები,
ნუ-თუ წარსულზე ცრემლი დავლვარო,
ნუ-თუ ცრემლებით ისევე ვთბები?!
წავიდა სხივი, დაიწვა, დაპერა,
დარჩა ნაცარი, ბოლის ტრიალი,
ეს ჩვეულება მაღონებს ახლა
ვით ჭიანური და როიალი.
შენ იშეილიდან დავარდი, ძმაო?
მესმის ყოველგრით კილვა, დაცინვა.
ყასიდად ვყვირი, ვიცინი, ვდაობ,
ისე კი გული მართლა გაცივდა.

სევდიანი განწყობილებისაა სხეა ლექსებიც „ტირილი პროსპექტზე“, „ემიგრანტი“, „შემოდგომა“!

მიუხედავად დიდი სულიერი ტრაგედიისა, პოეტის გაუტეხელი გული მომავალს იმედით შეჰყურებდა:

„ო, მომავალი მჯერა,
მჯერა გრგვინვა და დარი.
დღენი, რომელიც ჭერაც
მთების გაღალმა არი.“

¹ 20—30-იან წლებში დაწერილი ლექსების ერთი ნაწილი ჩაწერილია ფალთულ ფურცელებზე, ნაწილი კი დიდი ზომის საერთო რეკლამი, რომელიც სიძვლისაგან მოღარეობულია, ყდაც გაცრეცილი იქნა.



ՅՈՒՎԵԼ ՆԱՌԻԱՆԻԿԵ ԴԱ ԿԹԼԱՐ ՆԱԾՈՒԱՅՑ



ବେଦିଲ ପାତୁଳୀ



მიქელ პატარიძე მაღალი პოეტური სულის მატარებელი ჭადალამოშვილი
დათ. მას ლრმად პქონდა გააზრებული პოეზიისა და პოეტის უზე-
ნაესი დანიშნულება ქვეყნის წინაშე. ამ ერთხელ და სამუდამოდ
გამოკვეთილ ხაზს იგი ბოლომდე და ერთგულად მიჰყევებოდა.
ერთ უსათაურო ლექსში პოეტი გულისტკივილით ამბობს, რომ
მას პოეზია წარმოდგენილი პქონდა „უცხო პრინცესად“, რომელ-
საც თავისი ამალი ახლდა. მაგრამ მწარე ცხოვრებამ მოგონებად
ქცია ეს ოცნება. ამ მოგონებას პოეტი განუყრელად უკავში-
რებს ეროვნულ პრობლემას:

მე პოეზია, უცხო პრინცესა
მიყვარდა გულით, მისი ამალი
მახსოვდა პირველ ტრფიალის კვნესად
მოგონებამ რომ ვეღარ დამალა.

ო! ჩად მინდოდა ამ ქვეყნის მხერა
ან მხე, ან მთვარე, დღეწარმავალი
თუ საქართველო და ბედისწერა
იყო ცრემლი და სისხლი მრავალი.

არაერთი ლექსი დაწერილა პოეზიის რაობისადმი მიძლვნილი.
ამ მინით შეიქმნა მ. პატარიძის „პოეზიაც“, რომელშიც ავტორმა
შესანიშნავად გამოხატა მთელი თავისი მრწამსი პოეტისა და პო-
ეზიის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მან ემოციურად
დაგვისურათა ლექსის შექმნის როული პროცესი („მუდამ ვყოყ-
მანობ, მუდამ მაშინებს ლექსის დაწერა, ლექსის სტიქია, მოდი-
დებული რითმა მაშინებს, რომ შიგ ჩაესჭედო, რაც მიფიქრია“),
პოეტი თითოეული სიტყვის, „ოცნებისა და სურვილის“ ლექსად
ჩამოსხმას ლალი იჩმების სწრაფვის ადარებს, თუმცა იმასაც
აღნიშნავს, რომ ზოგჯერ მხოლოდ „მოკლული ყვავილი“ შერჩება.

„გადავაქმი ჩემი არსება
დაუსრულებელ სიმღერის კვნესად,
ჩემი ფიქრის და ლექსის მსგავსება —
მიუწვდომელ და სანატრელ წესად“ — წერს იგი.

ლალი ოცნებისა და მწარე სინამდვილის დაპირისპირებაში ხე-
 დავს პოეტი პოეზიის თავისებურებას. მაგრამ ოცნება ყოველთვის
 არ წარმოდგება ლექსის სახით, რადგან „ფიქტურს ქამანდი ვეღარ
 ეწევა“... და ამიტომაა, რომ ასე დანანებით ამბობს იგი:

არ მეძინება, ის მელანდება,
 მისი მშვენებით გული ივსება,
 მაგრამ ოცნება ისე დაღნება
 ლექსად სიცოცხლე არ ეღირსება, —

მ. პატარიძის შინაგანი დაძაბულობით აღსავსე ცხოვრებას მე-
 ტად ლამაზსა და მოხდენილ იერს აძლევდა ალპინიზმი, რომელიც
 მისი დიდი და სერიოზული გატაცების საგანი იყო. მაღალი მთების
 სიყვარულმა ათქმევინა პოეტს ასეთი სიტყვები:

დამამცირებელს სიტყვას ვინ ბეჭივს
 როცა გვერდით მყავს უშბა, მყინვარი,
 ვხედავ, იქედან როგორ იფეთქა
 გუშინ რომ იყო სულ უჩინარი.
 დაუძინარი მიყვარს ძახილი,
 მთების მუდმივი სულისკვეთება;
 მიყვარს, როდესაც ღრუბელშაყრილნი
 ამინდს უშეებენ გადაკეთებას...

(„მწვერვალები“)

ამავე თემას ეხმაურება ლექსი „მყინვარშვერზე“, რომელიც
 პოეტმა თავის მეგობარს, ცნობილ მთამსვლელს — სოსო ასლანი-
 შვილს უძღვნა.

მაგრამ მ. პატარიძის მრავალმხრივი მოღაწეობის ქვაყუთხედი
 მაინც პოეზია იყო. ღროვანითი შესვენების შემდეგ, რაც გამოწვე-
 ული იყო სხვადასხვა ექსპედიციაში მონაწილეობით, პოეტს ისევ
 საწერი მაგიდისაჲენ მიუწევდა გული. ლექსი „ჩემს მაგიდას“ მისი
 ცხოვრების ამ ეპიზოდს მოგვაგონებს. შეიძლება ითქვას, რომ ეს
 ლექსი შინმობრუნებული პოეტის ლოცვას უფრო ჰგავს, მოგვყავს
 ნაწყვეტი:

მე გავირბოდი და აი რატომ:
 ქუჩა, მთა-ველი მეძახდა მუდამ
 ახლა სხვა რამ მსურს ავიკვიატო
 და გადავიქცე ბინდურ თალმუდად.

რომ აყვავილდეს ფიქრთა ბუჩქნარი,
 სიტყვის სეტყვებით დავისეტყვები,
 ნავიანერი შენსკენ ვიჩქარი
 და არასოდეს არ გაგეურები.

40—50-იანი წლები მ. პატარიძის შემოქმედებაში მეტად პრო-
 დუქტული იყო. ამ პერიოდში იწერებოდა ისტორიულ თემატიკაზე
 შექმნილ ლექსები¹. ჩვენი ქვეყის ისტორიული წარსულისადმი
 თაყვანისცემა ბევრ ლექსში გამოხატა პოეტმა. იგი უმღეროდა სა-
 ქართველოს, რომლის „პიტალო კარებს სდარაგობდა თერგი და
 დარიალი“; ეტრფოდა და აქებდა ივერიას, რომელსაც

ჰყავდა შაირის დიდი მოგვები,
 რომ დედა-მიწას მრავალერიანს
 მათი პანგით და ცეცხლით მიეცვებით.

რომ ამირანშა, ქართველთა გმირშა,
 ავანყებათა ძეველშა ოსტატშა,
 გაათბო კაცი კოცონის პირად
 როდესაც ლმერთებს ცეცხლი მოსტაცა.

პატრიოტულ თემაზე დაწერილ ლექსებს შორის ცალკე შეიძ-
 ლება გამოყოფთ თბილისისა და ქუთაისისადმი მიძღვნილი ლექსები:
 პოეტი არ იშურებს ხატოვან გამოთქმებს და ასე ელოლიავება
 თბილის-ქალაქს:

დილით გიხილე თბილისო,
 გაცვა ლაუვარდის ლაბადა,

¹ პარალელურად იქმნებოდა სოციალისტური აღმშენებლობის ამსახველი
 ლექსებიც. ასანიშვანია, რომ თავის დროზე მ. პატარიძემ ისევე როგორც ჯვე-
 ლა შემოქმედშა, ხარჯ გაღაუხადა ოქტომბრის რევოლუციის, საბჭოთა საქართ-
 ველოსა და სამამულო ომის თემატიკას. არქიში დაცული ლექსები, გარდა
 ცალკეული ფურცლებისა, წარმოდგენილია რერთო რევულში.

ასეთი უცხო და ტურფა
 ნეტავ რა დედამ დაგბადა.
 მზემ სხივი გისამქაულა,
 სხივის ლეჩაქი გეხურა,
 მამალავითის მთიდანა
 გადმოგვყურებდი მეფეურალ...

ქუთაისი და საერთოდ იმერეთი („ეს მწვანე ფერი უყვარს იმე-
 რეთს“ — მ. პ.) არაერთხელ ყოფილა პოეტის შთაგონების წყარო:

შენი ტრფობით გათანგული
 სიჭაბუკე აღარ ჰქონება,
 და რამდენჯერ დაძრავს გული
 მე იმდენჯერ გატყვი ქებას — ამბობს პოეტი ლექსში „ქუ-
 თაისი“.

მ. პატარიძეს ქუთაისთან შავშეობაც აკავშირებდა და „ვერცხლ-
 შეპარული“ წლებიც. მისთვის ერთნაირად ძვირფასი იყო ბაგრა-
 ტის ნანგრევებიც და რიონის პირას მღვარი ერთი ჭადარიც, რო-
 მელსაც პოეტმა „ნიავ-ქართა ლოტბარი“ შეარქვა („ერთს ჭადარს
 ქუთაისში“: „როცა ქუთაისს ვეწევი, მუდამ გნახულობ ჭადარო“).

აჩქივში დაცულ ხელნაწერთა შორის გარკვეული ადგილი უჭი-
 რავს მეცლლისა და შვილებისადმი მიძღვნილ ლექსებს.

პოეტის მეუღლე — ქეთევან ნემსაძე გახლდათ კეთილშობილი,
 განათლებული მანდილოსანი. მ. პატარიძემ აზერთი მგრძნობიარე
 სტრიქონი უძლენა მას. ქეთევანი დაივადებული იყო ტუბერკუ-
 ლოზით და წლების მანძილზე აბასუმანში მკურნალობდა. იქ
 იყვნენ მათი შვილებიც — რამაზი და რუსულანი. პოეტს კი თბი-
 ლისში უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა და აქელან ეხმიანე-
 ბოდა მათ ლექსებითა და ბარათებით.

ერთ უსათაურო ლექსს წარწერილი აქვს: — „ქეთოს მოლო-
 დინში დაწერილი. ქ. სოხუმი. სასტუმრო რიცა“

ყოველდღე ვეძებ, ყოველდღე ველი
 და სალამომდე იმედი ბეუტავს,
 როს გაწითლდება ზეირობის ველი

და მხე წამუამებს ნელ-ნელა [ხუჭავს]
 და მოლოდინი როდესაც დამღლის,
 შევხედავ ჩემს თავს სარეის მინაში,
 მოვარე ფანჯარის უცინის მაღლით
 სხივი ხმაურით მოდის ბინაში
 და რაღგან მინდა მქონდეს იმედი
 დღეს სიცრუეა, კარგია ძლიერი...
 ვამჟობ მაგიდას ნაყიდ იებით
 და სახეს ვაძლევ ღიმილის იერს...

ხოლო ლექსის „მატარებელთან“ დასასრულს ვკითხულობთ:

„ჩემო ქეთევან! ეს ლექსი საბოლოო შალაშინს მოითხოვს, შენ გიგზავნი ნაადრევად, რაფგან მინდა რამე გამოგიგზავნო, დანარ-ჩენები გრძელია და ვერ მოვასწრებ. ველი შენს წერილს. გკოცნი მრავალს და ნაზად ჩემო ქეთევან. შენი მიქელი“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქალბატონი ქეთევანი, ღირსეული მეუღლე და მეგობარი, მ. პატარიძის პოეტურ ქმნილებათა პირველი მესაიღუმლეც იყო. შემონახულია პატარი ბარათი: „ჩემო საყვარელო ქეთო! მე მინდა გადავთარგმნო „ევგენი ონეგინი“. ამას დასჭირდება ერთი წლის სისტემატური მუშაობა. მომწერე შენი აზრი“.

დავასახელებ საბავშვო ლექსებსაც. ესენია: „საპნის ბუშტები“, „ბურთი“, „ლალი და თრითინა“. ამ უკანასკნელის შხატვრული გაფორმება ეკუთვნის სახელოვან ქართველ მხატვარს ელენე ახვლედიანს [გამოიცა 1955 წელს]. მასში აღწერილია პოეტის შვილების — რამაზისა და ლალას გასეირნება ტყეში და ლალას „უჩვეულო“ სიმარი.

ნაზი მშობლიური სიყვარულის გამომხატველია ერთი უსათაურო ლექსი, სადაც პოეტი ამბობს:

სახლში შემოვლენ ბავშვები —
 ჩემი დაისის სინათლე,
 ჩემი უკვდავი სიცოცხლე,
 ჩემი ცხოვრების სიმართლე.

არქივში დაცულ სხვადასხვა სახის ჩანაწერთა შორის ყურადღებას იპყრობს იმერული ფოლკლორის ერთი ნიმუში:

„— ქალი მოვიდა ქალთან:
 — ცხრილი მათხოვეო.

— ოცი შეიღი არ მომიჯვდეს, ცხრილი არ მქონდესო. გეფიცები ესარიონს, ბესარიონს, ირაქლის და ილარიონს, დაფის, დაირას, როსტომს, ტაირას, ჰაპიტონს, ჰიპიტონას, გულთანს, მიკიტონას, ანანუჩიას, ბანანუჩიას, წუპიას, მარის, იპოლიტეს, პოლიფასტეს, სევასტის და ვანოს“.

* * *

მიქელ პატარიძეს, როგორც მთარგმნელს, გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართულ ლიტერატურაში.

პირველ რიგში შევეხებით ჰერედიას „ტროფებს“, რომელიც 20—30-იან წლებში ითარგმნა. ეს თარგმანი არქივში წარმოდგენილია ორ საერთო რევულში (26795—I) უფრო სწორად, ერთი მათგანია დიდი ზომის აკინძული საქალალდე, რომელსაც იგტორის ხელით ყდაზე აწერია: „ხ. ჰერედია საბერძნეთი და სიცილია. ჰერალე და კენტავრები. 1925-დან—1928“ წ. აქ მოთავსებულია 31 სონეტი: „დავიწყება“, „ნესიუს“, „აფროდიტას დაბადება“. „იასონი და მედეა“... და სხვა.

ნესიუს

მე მაგონდება: ჩემი ძმები ყველა რომ მგავდა,
 ჩემი ცხოვრება, ბეღნიერი და უზრუნველი,
 მთა თესალიის — სამფლობელო შემობურვილი,
 ნაკადებით რომ აგრილებდა ოქროსფერ გავას.

იქ ვიზრდებოდი ნაზი, ლალი, მზით სავსე ჰავა
 ფანტავდა ფაფარს, ნესტოები ფეთქდნენ შუილით,
 მხოლოდ ფაშატი ეპირელი ვნების წყურვილით
 ატეხდა ზოგჯერ მიყუჩებულ გრძნობათა დავას...
 მას შემდეგ ნდობა არ მასვენებს, მწვავს ვნების ალი,
 როცა სტიმფალელ მშვილდოსანის ტრფიალით მთერალი
 მკლავზე ალერსით მოღიმარი მეულლე ვნახე.
 სასტიკი ღმერთის მოგონებას ვუგზავნი კრულვას

მან გაზაფხულშე, როცა სისხლი თემოებს აჩხევს,
კაცური ტრფობა თავს დამაცხრო ატეხილ ურას.

1928 წელი. თემოებალი. ტფილისი

არქივში ინახება მცირე ზომის მუყაოს ქალალდზე გაყეთებული ჩანაწერი — „1933 წ. 11 აპრილს წავიკითხე პერედიას სონეტები (25 სონეტი) ხელოვანთა სასახლეში. დამესტრო 25—30 კაცი. აზრი გამოსთვევს: ნიკო ლოროჭიფანიძემ, ტიციან ტაბიძემ, ვალერიან გაფრინდაშვილმა, რევდენ გვეტაძემ, ესაკია ლეომ, გრიშაშვილმა. საერთოდ შომიწონეს. კითხვას თავმჯდომარეობდა რაედენ გვეტაძე, რომლის ინიციატივით მოეწყო ეს საღამო.

14 მაისს 1933 წ. დაიბეჭდა „სალ. გაზ“. ოთხი სონეტი; აგრეთვე რევდენ გვეტაძის ინიციატივით.

1934 წ. „მნათობის“ № 1 დაიბეჭდა 6 სონეტი; „არწივის დაღუპვა“, „ნიმუშების ბანაობა“, „ნეს“, „მკედარი ქალაქი“, „ტრებია“, „სამური“.

1935 წ. დაიბეჭდა „ჩვენ თაობაში“ 5 სონეტი..¹

მეორე რევულში, რომელსაც მუქი წითელი ფერის ყდა აქვს, მოთავსებულია 29 სონეტი: „ძველ ხილზე“, „ძველი ჭავაირჩი“, „კლავდი პოპელინს“, „მინანქარი“. და სხვ.

¹ პოეტს შემოუნახავს ლიტერატურული გაზეთის ამონაშერი, რომელშიც დაბეჭდილია ოთხი სონეტი: „სტომფალი“, „ანტონიო და კლეოპატრა“, „ორმოდნი“, „მიცეკალებულის ვერდება“. ჩამდენიშვილი სიტყვა ჩასწორებულია ვეტორის ხელით.

სონეტებს წამმდვარებული აქვს წინასიტყვაობა:

„ეროვნებით ესპანელ კონკისტადორების ჩამომავალს, ფრანგულ ენზე მწერალ პოეტს ხოზე შარია დე-ერედიას (1804—1905 წ.) მკვიდრი და საპატიო ადგილი უჭირავს საფრანგეთის თანამედროვე პოეზიაში. იგი პარასელთა სკოლას ეკუთვნის. ოცდათი წლის ბეჭითი შეცნიერებული და მხატრეული მუშაობის შემდეგ მან დასტურა სონეტების კრებული, რომელსაც „ტროფეები“ უწოდა ერდიას სონეტები სთარგმნა მიქელ პატარიძემ, რომელმაც ჩამოდენიშვი მათგანი წაიკითხა ქართველ მწერალთა წრეში. იმ ქართველ პოეტების დასკვნით, რომელმაც იცნობენ ერელიას პოეზიას, მ. პატარიძის თარგმანი დაახლოებით მკაფიო წარმოდგენას იძლევა სონეტის ამ დიდი რსუტის შემოქმედებაზე“.

ასე გამოეხმაურა თავდაპირეულად პრესა მ. პატარიძის თარგმანს.

საინტერესოა თვით მ. პატარიძის აზრი, თუ როგორ თარგმნიდა იგი ჰერედიას სახელგანთქმულ „ტროფეებს“: „ქართულ თარგმანში მკაცრად ვიცავდი ფრანგული სონეტის თავისებურებებს. გადმოცემულია ვაჟური და ქალური რითმების შეთანხმება, გარდა რამდენიმე ტერციინისა, არსად არ გამირითმავს ორ და სამშარცვლიანი სიტყვები. მე მიზნად ვისახავდი თავიდან ამეცილებინა ავტორის ტექსტისადმი თვითნებური დამოკიდებულება: არასოდეს არ ვცვლიდი აზრს და იდეას, მხოლოდ არც სიტყვა-სიტყვითი თარგმანის მომხრე ვყოფილვარ, ქართული ბერებისა და წინადაღებების ღირსება არსად შემიღავეს შეგნებულად, ხოლო უნებლივ შეცდომისაგან არავინ არის დაზღვეული.

ჰერედიას თითოეული ლექსი მეტად შემჭიდროებულია, მისი კითხვა საჭიროა ნელა და განმეორებით. ქართული სონეტები, ჩემი აზრით, უფრო გამჭვირვალეა და ეს ცოდვა ჩავიდინე განზრახ“ (1936 წ.).¹

ხოზე მარია დე ჰერედიას „ტროფეები“ მეორედ გამოიცა 1971 წელს (გამომცემლობა „ნაკადული“). ამ გამოცემას ახლავს თამაზ ჩენენევის ბოლოსიტყვაობა „ტროფეები“ ქართულად“, სადაც ავტორი წერს შემდეგს: „მიქელ პატარიძის თარგმანი ჰერედიას პოეზიით გატაცებისა და ინდივიდუალური წედომის ენ-თუზიაზმით არის აღბეჭდილი. თარგმანში მაქსიმალურად არის გამეღავნებული ოცდაათიანი წლების ქართული პოეზიისათვის ნიშანდობლივი მხატვერული ძიებებისა და ფორმალური სრულყოფისაკენ სწრაფვის სული, რომელიც ლექსიერი, ფრაზობრივი ინტონაციური და ფერწერულ-პლასტიკური შესაძლებლობების გაღრმავების გეზით იყო მომართული.

სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ჰერედიას ფილიგრანული სონეტების უცხო ენაზე გახმიანება მხოლოდ დიდი პოეტური ტალანტით დაჯილდოებულ ოსტატს ხელეწიფება. ეს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართველი მთარგმნელის მიმართ, ვინაიდან კლასიკური სონეტის ქართულად თარგმანა სპეციფიკური სიძნელეების გადალახვას გულისხმობს...“ (გვ. 156).

გადაუჭირებლად შეიძლება ითქვას, რომ როგორც „ტროფე-

¹ ხოზე მარია დე ჰერედია. ტროფეები. შესავალი. 1936 წ. არქივში ტექსტის ხელნაწერი არ ინახება დაცულია ლეკონტ და ლილის ბიოგრაფიის ნაწყვეტი. (ჰერედიამ „ტროფეები“ ლეკონტ და ლილ უძღვნა).

ებმა“ მოუტანეს ჰერედიას მსოფლიო აღიარება, ასევე მისმა ქართულმა თარგმანმა დაუმკვიდრა მ. პატარიძეს მაღალპროფესიონალური მთარგმნელის საპატიო სახელი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ჰენრი ლონგფელის დიდი ეპიკური ტილოს „სიმღერა ჰაივატაზე“ — თარგმანი.

ჰაივატა — მე-15 საუკუნის ისტორიული პიროვნება (ნაწარმოების ფინალში მოქმედება გადატანილია მე-17 საუკუნეში) ინდიელ იროვებთა ერთ-ერთი ბელადი იყო. მან გააერთიანა რამდენიმე ტომი და მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარა მათ შორის.

რუსულ ლიტერატურაში გერ კიდევ გასულ საუკუნეში დაინტერესდნენ „ჰაივატას“ თარგმნით. (მიხაილოვსკი, ბუნინი), ხოლო საქართველოში პირველი თარგმანი გამოვიდა 1938 წელს გ. გაჩეჩილაძისა და მ. პატარიძის ავტორობით (1964 წესს გამოიცა ოთარ ჭილაძის თარგმანი).

როგორც პოეტის დღიურიდან ირკვევა, „ჰაივატას“ თარგმანზე მუშაობა დაკავშირებული ყოფილა სერიოზულ ინციდენტთან. მოგვყავს ამონაშერი დღიურიდან:

27. III.¹ ჩატარდა ჩემი და გაჩეჩილაძის თარგმანის კითხვა.

მოულოდნელად გამოაცხადეს დავით კასრაძე², რომელსაც რამდენიმე წლის წინათ უთარგმნია ჰაივატის სიმღერა.

ჩემი ეჭვით, ეს ვალერიან გაფრინდაშვილის ონია და ის რატომ: ზარშან ზაფხულშე მე შევუთანხმდი გ. გაჩეჩილაძეს³, რომ ერთად გვეთარგმნა ლონგფელოს „ჰაივატა“. როცა სამუშაოს ნაწილი შევასრულეთ და სახელგამს წარვუდინეთ, მაშინ გამოირკვა, რომ თარგმანის შესრულება მინდობილი პქონია ვალერიან გაფრინდაშვილს.

ლიდა გასვიანმა⁴, ანიკო ლვინიაშვილმა⁵ და აქაკი რეხვია-შვილმა⁶ დანიშნეს ჩერენი თარგმანის განხილვა. თუ არ ვცდები,

¹ იგულისხმება 1935 წელი.

² დავით კასრაძე — მწერალი — 1885—1965.

³ გვიგ გაჩეჩილაძე — მწერალი, მთარგმნელი — 1914—1974.

⁴ ლიდა გასვიანი — სახელგამის უფროსი, დაილუა 1937 წელს.

⁵ ანიკო ლვინიაშვილი — ლიტერატურათმცოდნე — 1904—1981

⁶ აქაკი რეხვიაშვილი — განაგებდა საბაკვო ლიტერატურას, დაილუა 1937 წელს.

შევიკრიბეთ ლიდა გასვიანის ბინაზე, სადაც ჩვენ კითხვას დაეჭირდათ ნენ: თინა გველესიანი, ანიკო ლვინიაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, და გასვიანის ქალი. ჩვენ ვკითხულობდით და ისინი ადარებდნენ რუსულ და ინგლისურ ტექსტს. თარგმანი მოიწონეს. დავვიდეს ხელშეკრულება. როცა ეს გაიგო ვალერიანმა, საშინლად გაბრაზდა და შეურაცხყოფაც კი მოგვაყენა. ის მოითხოვდა ჩვენი თარგმანის სახელგამიდან წაღებას.

ჩვენ მოვითხოვეთ, რომ მასაც წარმოედგინა და უკეთესისათვის მიეცათ უპირატესობა. ვალერიანმა, როგორც სახელმოხვევილმა პრეტმა, ეს იუკადრისა, განსაკუთრებით განრისხებით გაფრინდაშეილი მოვპყრო გვის.

რადგან ვალერიანს გადათარგმნილი არ ჰქონდა „ჰაივატას“ არც ერთი სტრიქონი, ჩვენ მისი პრეტენზია მართებულად ვერ ჩავთვალეთ.

რამდენიმე კვირა გაფრინდაშეილი ძლიერ გაბუტული იყო, მერე მოლბა და შემირიგდა. ცოტა მოიბოდიშა კიდეც.

— არა, მე უსათუოდ გაუცხარდი და კარგი ჰქენით, რომ თქვენ გადათარგმნეთო. მე უსათუოდ დავაგვიანებდი ამის გაკეთებასო.

როცა საკითხი მიღდა „ჰაივატას“ საგარო წავითხვაზე, აქ თავი იჩინა მესამე თარგმანმა, დავით კასრაძის მიერ შესრულებულმა. შეიძლება მე ვცდები, მაგრამ მე მგონია, კასრაძის გამომზეურება ვალერიანმა მოაწყო, როგორც მთარგმნელობითი სექციის თავმჯდომარებ.

სალამო, რომელიც დაგვიანებით დაიწყო, გახსნა კონსტანტინე გამსახურდიამ, როგორც გამოცემის რედაქტორმა; ილაპარაკა ჯერ ლონგფელოზე...

შემდეგ გივიმ წაიკითხა, შემდეგ მე და კასრაძემ. საერთოდ, თარგმანი კარგად დაახასიათეს. უსათუოდ ცდილობდნენ გივი გაჩერილაძის გამოჩენას. მის მხარეზე იყო სულიტორიაც. მოეწვია ამხანაგები. თუ არ ვცდები, მე უკეთ წავიკითხე და უკეთ გამოვიდი, რაც დაამოწმა ჩემმა ცოლმა (ეს, რასაკვირველია მელის კუდის მოწმობას ჰეგაუს)“.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მ. პატარიძე „ჰაივატას“ თარგმანებ მუშაობდა უშბაზე ექსპედიციის დროსაც. ამის შესახებ ვკითხულობთ სოსო ასლანიშვილის წერილში, რომელიც მან გამოუვზავნა მიქელს 1934 წლის შემოდგომაზე: „დაამთავრე თუ არა

შენი თარგმანი — ლონგფელოს პაიავატის სიმღერა, რომელსაც კი იმართდა სიმღერა უშბის ძირას წარმატებით თარგმნიდი” — წერდა ასლანიშვილი.

არქივში დაცულია რუსული და ეკროპული ლიტერატურის სხვა-დასხვა ეპოქის წარმომადგენელთა თარგმანები: ა. პუშკინის („ძუნ-წი რაინდი“, „ზღვისადმი“, „კავკასიონი“), მ. ლერმონტოვის („პი-ტალი“, „ხანჯალი“, „ულანის ცოლი“), კ. ბალმონტის („უმეტყველება“, „თოვლის ფიფქი“...), ა. ახმატოვის („შეშფოთება“), უიტჩენის („სიმღერა თავის თავზე“), შ. ბოდლერის („სპლინი“, „შემოდგომა“), პ. ვერლენის („ოცნებაშეჩერებული“, „თავისმკვლელი“...) ა. მიცევიჩის („დანაიდები“, „ნემანს...“) და სხვათა ლექსები.

ხელნაშერთა შორის დიდი ადგილი უჭირავს მაიკოვსკის პოეზიის თარგმანებს. აღიარებულია, რომ მიქელ პატარიძე ვლადიმერ მაიაკოვსკის პოეზიის ერთ-ერთი უპირველესი, ყველაზე ნაყოფიერი და თანამიმდევრული მთარგმნელია.

თავის დროზე სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ მაიაკოვსკის ნოვატორული ფორმებითა და ლექსიკით დაწერილი პოემებისა და ლექსების თარგმნა მ. პატარიძისაგან მოითხოვდა უდიდეს ენერგიას, გამოცდილების მაქსიმუმსა და ყველა შესაძლებლობის მობილიზებას.

არქივში დაცულია თარგმნილი პოემები — „ომი და ზავი“, „ვ. ი. ლენინი“, „150000“; „ამის შესახებ“, „კარგია“, „აბანო“ (ეს უკანასკნელი დაცულია ბეჭდური სახით) და ლექსები: „ექვსი მონაზონი“, „ბროდვერი“, „ქალიშვილი დავულვორტი“ (2 ვარიანტად), „ნიუ-იორკის ცათამბჯენები ჭრილში“ (2 ვარიანტად), „პარიზელი ქალი“, „პატარა, მაგრამ კარგი“ (26794-1-V).

ეს თარგმანები მოთავსებულია სხვადასხვა ზომის სართო რვეულებსა და ბლოკნოტებში. თვალს ხვდება გადათარგმნილი სტროფების სხვადასხვა ვარიანტი, ფურცლის ბოლოში ან გვერდზე მიწერილი გარითმული სიტყვები...

*
* *

არქივის პროზაული ნაწილი ძირითადად შედგება ნარკვევებისაგან: „ოქროს ვერძი“ (მოთხრობა-ნარკვევი), „ბესარიონ გრიგოლის ძე ბელინსკი“, „ალექსანდრე ყაზბეგი“, „გასული საუკუნის

არქიტექტურა თბილისში“, „ნავებით ზესტაფონიდას ფოთაძე“, „კიბითურა“, „ჩეგნი ბუნებრივი სიმღიდრენი“, „საირმე“, „სისხლი, ჩიყვი, წყალსადენი“, „სოლანლული“ (26796-II-X.)

„ოქროს ვერძი“ დაწერილია პატარა რეკლამის ფურცლებზე (12 გვ). მოთხრობა-ნარკვევი (თუ შეიძლება ასე ეწოდოს) ეხება ოქროს მაძიებელთა ცხოვრებას. მოთხრობილია თითქმის ფანტასტიკური ამბავი — გეოლოგთა დალუპვა და დალუპულად ცნობილთა გამოჩენა ნაწარმოებში. აღწერილია სკანერში იქროს მოპოვების ჭესი (დაბოლოება აელია, იქვე არის სხვა ფურცელიც, რომელზეც „ოქროს ვერძის“ სიუჟეტის მიხედვით გაკეთებული პიესის ნაწყვეტია. ნახსენებია იგივე მოქმედი პირები).

ნარკვევის მომდევნო გვერდზე აცტორს ჩარწერია სულემან რუსტამის ლექსის „ჩაპავეო“ — თარგმანი (2 ფ) გამოქვეყნებულია 1935, „საბჭ. აჭარა“, 3 ივნ.).

„ბესარიონ გრიგოლის ძე ბელინსკი“ 20 გვერდს მოიცავს. ნარკვევში განხილულია გასული საუკუნის 30—40-იანი წლების საზოგადოებრვი და რევოლუციური აზროვნების განვითარების ეტაპები. დაყოფილია ქვეთავებად. ყურადღება გამახვილებულია ბელინსკის თხზულებებზე: „ლიტერატურული ოცნებანი“ და „შერილი გოგოლისადმი“.

ნარკვევში ბელინსკი დახასიათებულია როგორც რევოლუციონერი კრიტიკოსი და თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი.

ასანიშნავია, რომ არქივში ინახება ბელინსკისადმი მიძღვნილი ლექსიც.

მოტანილია ციტატები ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, ლენინის შრომებიდან. განსაკუთრებით ნიშანდობლივია რუსი კრიტიკოსის ავტორისეული შეფასება: „...ჩაცის, პეჩორინის, ონეგინის, ბორის გოდუნოვის, ჩიჩიკოვის სახეები, დაატული შესანიშნავი მხატვრების ფუნქცით, განუყრელად დაკავშირებულია ჩვენს ცნობიერებაში იმასთან, თუ როგორ გამოკვეთა ისინი ბელინსკის გენიალურმა კალამმა... მაღალი იდეურობა და პრინციპულობა, რომელმაც არ იცის რა არის კომპრომისი... მგზნებარე შეურიგებლობა ხალხის მტრებისადმი და მამობრივი ფრთხილი დამოკიდებულება ყველაფრისადმი, რაც არის და იბატება ლიტერატურაში, ახალი, ფასეული, ნიჭიერი — ი, რა უნდა ისწავლონ ბელინსკიდან ჩვენმა კრიტიკოსებმა“. (გვ. 17).

„ალექსანდრე ყაზბეგი“ — ნარკვევში ხაზგასმული სიყვარულის მიზნების მის აღწერილი ყაზბეგის მთა, დარიალის ხეობა, განხილულია მწერლის ბიოგრაფია (მოსკოვში სწავლის პერიოდი); მისი შემოქმედების შესანიშნავი ნიმუშები: „ელგუჯა“, „ხევისბერი გოჩა“, „მოძღვარი“.

„ვაჟა-ფშაველა“ და ყაზბეგი — ეს ორი ბუმბერაზი მწერალი შემოვიდნენ ქართულ ლიტერატურაში ჩეენი ქვეყნის მთიანეთიდან — წერს მ. პატარიძე. მათ თავისებური სტილი და სურნელება შემოიტანეს ქართულ მრავალსაუკუნოვან და მრავალფეროვან ლიტერატურაში. ეს სტილი უაღრესად კაცობრიულია და მასთან ეროვნული...“ (გვ. 12).

ერთ-ერთ გვერდზე ასეთი ჩანაწერია:

1. ყაზბეგი და ქართული თეატრი
 2. არსენა
 3. დილა ქორწილის შემდეგ
 4. ალმწრდელნი
 5. კონსტანტინე ბატონიშვილი
- და მრავალი თარგმნილი პიესა
პირველი წარმოდგენა 13.V—1880 წ.
2. ყაზბეგი და ხალხური შემოქმედება
 3. ყაზბეგი და ქართული პრესა.

ვფიქრობთ ეს მომავლისთვის ჩაფიქრებული ფუნდამენტური თხზულების გეგმა უნდა იყოს...¹

„სისხლი, ჩიყვი, წყალსადენი“ (8 გვ) დაცულია ბეჭდური სახით. ნარკვევს დასასრული ყვლია.

დასაწყისში საუბარი ეხება მთაში გავრცელებული სისხლის აღების ტრადიციის. ნარკვევი მთლიანად ეძღვნება სოსო ასლანიშვილის მიერ ჩატარებულ გამოყვლევას სეანეთის სოფლებში ჩიყვის გავრცელებასთან დაკავშირებით. ირკვევა, რომ 1930 წელს, ექიმთა სრულიად სავაჭირო ყრილობაზე ს. ასლანიშვილის მიერ საფუძვლიანი მოხსენების შემდეგ ერთხმად აღინიშნა და დადგინ-

¹ ნარკვევში აღნიშნულია, რომ 1948 წლის 25 სექტემბერს ქართველ მთამცელეთა დიდმა გერუბმა ყვავილებით შეამკო ყაზბეგის საფლავი და იალბუშიე შიომრანა იერიში.

და კიდეც სვანეთში ჩიყვის გიჩენის მიზეზი — უმარილო, მყინვაში და რული წყლით სარგებლობა.

ნარკვევში აღმარილია, თუ როგორ გაიყვანეს წყაროს წყალ-სადენი 1933 წლის 7 ნოემბერს თვით ს. ასლანიშვილის ხელმძღვა-ნელობით.

„ნავებით ზესტაფონიდან ფოთამდე“ (6 ფ).

ეს ნაკრვევი ერთ-ერთი ექსპედიციის ჩანაწერია.

ნარკვევი კარგად იქითხება, არც იუმორი აელია და მხატვრული თვალსაზრითაც საინტერესოა. მოვუსმინოთ ავტორს:

„ჩეენი ნავები თავისუფლად მიცურავენ ცყირილის შავ ტალ-ლებზე... დახეული ღრუბლებიდან გამოანათა მზემ და მდინარის ნაპირები ნაწვიმარზე კიდევ უფრო აერიალდა და გაბრწყინდა. ჩეენი ქარავანი საერთო გაყვირვებას იწვევს. მწყემსი ბიჭები და გოგონები ნაპირ-ნაპირ მოგვსდევენ და გაკვირვებით გვითვალ-თვალებენ... მალე მივუახლოედით სვირის ახალწიდს, რომელიც ოთხ მაღალ არხიტექტურულ ბურჯზე მოხდენილად არის გაყიდუ-ლი... ამხანაგებზე ხიდი დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგრამ გაცილებით მეტი შთაბეჭდილება დასტოვა ამ ხიდმა თავის დროზე თვით სვირელებზე“... რადგან როგორც ავტორი სწერს, ამ ხიდით თერჯოლის, ჩხარისა და სოფლების მცხოვრებნი უკავშირდებოდ-ნენ რკინიგზას.

„... მიეუახლოედით ხიდს. ხიდზე რამდენიმე გლეხი შეჩერდა და პატარა ხნის შემდეგ გაკვირვებული კითხვა მოგვესმა:

— ვინა ხართ, კაცო თქვე, ინგლია თუ იაპონია?

— თერჯოლელი ვარ, კაცო, თერჯოლელი — ვუპასუხებ მე...

... გზაში ხან ერთი ნავი დაწინაურდება, ხან მეორე... ვცდი-ლობთ ერთმანეთი არ დავკარგოთ მხედველობიდან და ხმა მიეაწვ-დინოთ. ცველას წამოღებული გვაქვს სასტევნები და გზა-გზა ვე-ვევით ნიშნებით საუბარს“.

სამწუხაროდ, აქ წყდება თხრობა. ჩვენ აღარ ვიცით შემდგომში როგორ წარიმართა მოგზაურობა ფოთამდე...

„ჭიათურა“ (11 ფ).

„ამ მიყრუებულ და მივარდნილ კუთხეში გასული საუკუნის 70—80-იან წლებში გაჩნდნენ გეოლოგები და მაშინ დაიბადა. დღე-ვანდელი ჭიათურა, — წერს ავტორი.

ნარკვევში განხილულია მარგანეცის აღმოჩენის შედეგად განახ-
13. ლიტერატურის მატიანე

ლებული ჭიათურის ცხოვრება. დათარილებულია 1940 წლის 5 მარტით.

„ჩენი ბუნებრივი სიმდიდრენი“ (18 გვ.):

ავტორი აღწერს მაიაკოვსკის ჩაიონის ბუნებას, მკეთრად და გადაჭრით აყენებს ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის საკითხს.

ისტორიულ ექსურსს სცელის ადგილის გეოგრაფიული აღწერა. მოცემულია ჩაიონის ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარების საინტერესო ანალიზი. მ. პატარიძე დიდ გულისტკივილს გამოთქვამს მოსახლეობისაგან დაცარიელებული სოფლების — ლიანთხას, ჩირგვეთის, რუდულას ლელის, სიმონეთისა და სხვათა გამო. „მხედელობაში მისაღებია ის გარემოება, რომ მაიაკოვსკის მთიანეთი ნაწილი საუკეთესო პირობებს იძლევა აქ საკურორტო მშენებლობის განვითარებისათვის. — ალნიშვნას ავტორი. — ისეთი წყლები, როგორიცაა საირმე, ზეკარი, ნიკაბეთი, ჩირგვეთის ცხელი წყაროები და სხვა, ახლო მომავალში ცნობილ კურორტებად გადაიქცევიან. ხოლო კურორტების მახლობლად საჭირო იქნება სოფლები ამ კურორტების მოსამარაგებლად... მაიაკოვსკის მთიანეთის სოფლების აღდგენა, როგორც ეკონომიკური, ისე დემოგრაფიული თვალსაზრისით, ჩენი აუცილებლად მივაიჩნია“ (გვ. 9). „საირმე (17 ფ.) — წარმოადგენს ავტორის მორიგი მოგზაურობის აღწერას. აქ ორგანულადაა შერწყმული ერთმანეთთან საირმის წარსული და აწმუო. ვკითხულობთ და თითქოს ჩენიც ავტორთან ერთად „სტუდებეკერით“ მივუკვებით საირმის გზას, ვეცნობით იმერეთის თვალწირმტაც ბუნებას და ამასთან დიდი სინაული გვიპყრობს ნარკვევის იმ ნაწილის წაკითხვისას, საღაც ნასოფლარებზეა საუბარი. „ნასოფლარების რაოდენობა მთიან ნაწილში ძნელი აღსარიცხვია, სანამ არ ჩატარდება ამ მხარის დეტალური გამოკვლევა, — წერს მ. პატარიძე. — ტყის მცველები, მოხუცები და ჩაიონის მონაცირენი ერთხმად აღასტურებენ მრავალი ძველი სოფლების ნანგრევთა არსებობას მაიაკოვსკის ჩაიონის მთიანეთში. მოსახლეობა სტოვებს მთას და გზატკეცილებისა და რკინიგზის მახლობლად სახლდება... მაგრამ ჩაიონის მთიანეთში სოფლების გაქრობის მთავარი მიზეზი უნდა იყოს 1812—14 წლებში გავრცელებული შავი ჭირი, რომელიც ახალციხიდან შემოვიდა იმერეთში და ეს მესხეთის მოსაზღვრე ჩაიონი დააზარალა. როგორც ჩანს, მრავალი სოფელი სრულებით ამოვარდა და მას შემ-

დევ გადის 130 წელი და მათი ოლორძინება აღარ მოხდა. კარგი იქნებოდა, რომ ამ მხარის შესასწავლად სათანადო ორგანიზაციები გამოცემულდნენ სპეციალისტების ჯგუფს, რომელიც შეისწავლის მთელ რაონის. პირველ რიგში ეს საქმე ქუთაისის მუზეუმის კომპეტენციად უნდა ვაღიაროთ“.

მგზავრობისას მწერლის დაკვირვებულ თვალს ისიც შეუმჩნევია, რომ „ერთ ადგილს ნაწისქვილევი არის. წისქვილის ქვის შუაგულში ნაძვი ამოსულა, გაზრდილა, ნახვრეტი ამოუვსია და დოლაბი ზევით, რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე აუტანია...“

მართლაც, უჩვეულო სანახავია...

ნარკვევში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საირმის გზის გაყვანას. შთამბეჭდვად არის გადმოცემული ეს გრანდიოზული პროცესი: „დღე და ღამ არ წყდება საირმისაჟენ სურსათისა და „საომარი“ მასალის მიწოდება, ჩვენი მანქანა ნელა მიჰყება ციცაბო კლდეზე ამოჭრილ გზის ზონარს. ჩვენ ყურადღებით ვათვალიერებთ ადამიანის ხელისა და გონების ნამოქმედებს. აი, მთის ნაკადზე კოხტად გადმოუსროლიათ ხიდი, აგრე პატარა ხევიდან ჩამონადენი ნაკადისათვის ამოცემენტებული ორმო-ჯამი გაუკეთებიათ და ნაკადის წყალი გზის ქვეშ რეინა-ბეტონის მილით წაბლარის ხევში ვარდება. მანსალეთის ზევით გაუჭრიათ კლდე და გზის პირას ნაპრალის თავზე გუშაგივით გადამგარ დიდრონი ლოდებისაგან აგებული უსწორმასწორო პირამიდა, რომლის ერთი შეხვედრა საქმარისია, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვროთ, აი ტინი კლდე ასეული მეტრის მანძილზე გაჭრილი და გარღვეული ამონალის აფეთქებითა და შემდეგ წერაქვის ფოლადით გათლილი. აი კიდევ კლდე. ორად გაპობილი; მარცხნივ 5 სართულის სიმაღლეზე სვეტივით ამართულ კლდეს ახურავს ოდნავ გადაგდებული ქუდი, რომელზეც დიდრონი ნაძვია ამოსული“ (გვ. 7—8).

უაღრესად საყურადღებოა ნარკვევი — „გასული საუკუნის ტაქიტეტურა თბილისში“. მასში სადღეისო პრობლემაზეა საუბარი. ესაა ძველი თბილისის რეკონსტრუქცია-რეგენერაცია. ეტორი დიდ ყურადღებას უთმობს ძველი უბნების მთაცრულ-ესთეტიკური მხარის დაცვისა და შენარჩუნების საკითხს.

„გასული საუკუნის მიწურულში მე-30-ჯერ დაანგირეს ტფილი—

სი” — ასე იწყებს ავტორი. შემდეგ მსჯელობა ვითარდება ქართული სტილის შესახებ ხუროთმოძღვრებაში. მ. პატარიძე გულის-ტკივილით აღნიშნავს, რომ ქართული სტილი თითქმის აღარ გვაქვს. მიხეზთაგან უპირველესად დასახელებულია ისტორიული ბელუკულმართობანი, რის გამოც დაინგრა უძეველესი ქართული შენობები, სასახლეები, ხოლო მოგვიანებით XIX საუკუნის 70-იან წლებში მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებამ გამოიწვია მოსახლეობის სწრაფი ზრდა, რასაც მოჰყვა კიდეც თბილისში „უზარმაზარი სახლების“ (მ. პ.) შენება. ასე თანდათან დაიყარვა ქართული სტილი. მაგრამ რადგან მისი ელემენტები ჯერ კიდევ შემორჩათ ციხე-კოშკებს, გალავნებს, ქალაქებისა და სოფლის მოჩუქურთმებულ სახლებს („ჩუქურთმა — ქართული სტილის მნიშვნელოვანი ოტრიბუტია“ — მ. პ.), იერორი სწორე დამათი შესწავლით ადგენისაყენ მოგვიწოდებს.

საგულისხმოა ის ნაწილი, სადაც აღნიშნულია მეტის რუსეთის დიქტატორული ძალის შესახებ ქალაქის არქიტექტურული იერის შეცვლასთან დაკავშირებით:

„უკვე XIX საუკუნის პირველ წლებშივე აშენდა ტფილისში შტაბის შენობა და შემდეგ სემინარია. იქ, სადაც თავდებოდა ქალაქი და ეხლანდელი პუშკინის ქუჩას მიპყვებოდა მისი ძველი კედლები, ასე ბარბაროსულად დანგრეული, აღიმართა შტაბის ვეებერთელა კოლონნები. ეს შენობა რუსეთის იმპერიალიზმის ძლიერებას ღალადებდა. ის იყო მისი პროპაგანდისტი“. ხელნაწერი შედგება 7 ფურცლისაგან (დაწერილია მცირე ზომის ფურცლებზე. ახლავს 6 ფორმულათი) გამოქვეყნებულია „ლიტ. გაზეთში“ 1934 წ. 6 ნოემბერს სათაურით — „არქიტექტურის გზები“.

არქიუში დაცულ სხვადასხვა თემატიკაზე დაწერილ საგაზეთო სტატიათა შორის (უმეტესი ნაწილი დაცულია ბეჭდური სახით) გამოიჩინება „კაცის ლანდი ლრუბელზე“¹ (ინახება გაზეთის ამონაშერი), რომელიც გვამცნობს მიქელ პატარიძისა და მისი მეცნიერი აღმინისტების მიერ ბროვენის მოვლენის „აღმოჩენის“ ფაქტს. მოცუსმინოთ ავტორის:

„...ჩვენ საკმაოდ დაღლილები ვიყავით, როცა მყინვარწვერიდან ჩამოსულებმა ბალახოვან ფერდობზე შევისვენეთ. შორს, ქვევით

¹ სტატია დაიბეჭდია „ტრაისტის“ ფსევდონიმით.

მოსჩანდა თერგის ხეობის სიღრმე, მის უკან შევად აღმართული ქედები, ბინოს წვერი და ყურიო.

მთისშუა წელზე ღრუბლების უწესრიგო ჯარი იყო გაწყობილი. ამ ღრუბლებს ზევით მწვერვალები ამაყად ამართულიყვნენ და თავზე მათ ეხურათ მაღალი ღრუბლები. ჩვენ თვალშინ ნათლად მოჩანდა ღრუბლების ორი იარუსი. ღრუბლების პირველი იარუსის ქვევით და ზევით სრულებით მოწმენდილი იყო.

ყველა ერთმანეთს ეუზიარებდით ჩვენ აღტაცებას, ჩვენ წინ გადაშლილ იშვიათ სანახაობის შესახებ, ერთი ჩვენთაგანი წამოიჭრა და ხელების ქნევით უძახოდა ჩამორჩენილ ამხანაგს, რომ ისაც მოსულიყო ჩვენთან და დამტკბარიყო ამ სანახაობით.

ყველამ გაყვირვებით შეამჩნია, რომ რაღაც უცნაური ლანდი გამოჩანდა ღრუბელზე და თითქოს ჩვენ ამხანაგს აჭავრებდა. ჩამორჩენილი ამხანაგი მაღლე შემოგვიერთდა. ჩვენ ახლა უფრო გავკვირდით, როცა ცხადად დავინახეთ, რომ ღრუბლებზე გამოჩანდა მომავალი ამხანაგის ლანდი, თითქოს ოჩიფეხებზე შემდგარი.

რომ დავრწმუნებულიყავით ამ მოვლენის სინამდვილეში, ჩვენ მრავალნაირი მოძრაობები შევასრულეთ და საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ ღრუბლებზე ნამდვილად ჩვენი ლანდები მოჩანდა, სასაცილო, როგორც კარგად შესრულებული კარიყატურა.

ეს მოვლენა ჩვენმა ჯგუფმა დიდის ამბით ჩაწერა. გვიგონა, რომ ჩვენ პირველებმა აღმოვაჩინეთ ეს „სასწაული“. სამწუხაოოდ, გამოიჩვა, რომ ის უკვე აღმოჩინა ჩვენზე ბევრად ადრე ბროვენს, და მეცნიერებაში ცნობილია ბროვენის მოვლენით.

ჩვენ დამოკიდებლად აღმოვაჩინეთ უკვე ცნობილი მოვლენა, ამითაც კმაყოფილები დავრჩით“¹.

¹ არქეში ინახება სტამბური წესით დაბეჭდილი, აეიქტული — „Промышленность Тифлиса“, მასში აღწერილია თბილისის მნიშვნელოვანი სამრეწველო საწარმოები 20-იან წლებში და ნაჩვენებია მათი განვითარების საფეხურები.

ნაჩვევანი დაზიანებულია, რამდენმე აღგილს უცრულები ამოხეულია. (სულ 117 ფურც. ზომა 17×12,5).

ვეტერობთ, ეს საინტერსო ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს სპეციალისტებს.

* * *

გამოჩენილ ადამიანთა არქივების გაცნობისას გამსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ეპისტოლარული ნაწილი, რაღაც სწორედ აქ მეტად ნება ავტორისა და ადრესატის მორალური სახე.

ამ მხრივ გამოჩენილის აზრი მიქელ პატარიძის არქივი წარმოადგენს. ზერელედაც რომ გადავივლოთ თვალი დაცულ წერილებს, დავინახავთ, თუ რამდენად მასშტაბური იყო მისი მოღვაწეობისა და ქველმოქმედების სფერო, როგორი ფართო ნაცნობ-მეგობართა წრე, და ჩვენს თვალწინ თანდათან გამოიკვეთება მ. პატარიძის კეთილშობილებითა და სისაღავით აღსავს პიროვნული პორტრეტი.

არქივში 130-ზე მეტი წერილია. მათი უმრავლესობა ლიტერატურული ხასიათსაა. დაწერილია სხვადასხვა დროს. ყველაზე ოდრინდელი დათარიღებულია 1932—33 წლებით. ეს გახლავთ კოლაჟ ნადირაძის წერილები.

... კოლაჟ ნადირაძე და მიქელ პატარიძე ლექსმა დაამეგობრა 1932 წლის შემოდგომაზე. ბევრი რამ პქონდათ მათ საერთო — ქუთათურობა, მშობელი ერის ისტორიული წარსულისადმი დაუკებელი სიყვარული და პატარიძისცმა, ფრანგული ენისა და ფრანგული პოეზიის ღრმა ცოდნა, კაცომოყვარეობა...

ერთ პატარა ფერწასულ ბარათზე მელნით დაწერილია ორ-სტროფიანი ლექსი:

შენ წადი, ვიცი და ილარ მოხვალ,
 მაინც ჩემთან ხარ და მაინც გიმზერ,
 მესაუბრება, ამ გულის ოხერა
 და მეკითხება ცრემლების მიზეზს.
 ვიცი, ჩენ აწი ვევლით ცალ-ცალკე,
 გულს სინანული ორიენტ ვეიგსებს
 და ვიტყვი, როცა ცრემლები წაგელექს
 ნეტავ დაბრუნდეს წარსული ისევ.

იქვე ასეთი მინაწერიცაა: „1930, აგვისტო, დედაქალაქი, დაწერილია ახ. კომ. რედაქციაში და მიექღვნა კ. ნადირაძეს. მისი საპასუხო ლექსი დაიწერა იმავე დროს და იმავე საათში“.

ასე დაიწყო „შემოდგომის დიალოგები“ (როგორც თვალ უწოდეს).

„ერთი წლის წინათ ჩვენ მიემართეთ ერთმანეთს ორი პატარი მოულოდნელი ლექსით — წერდა კოლაუ ნაღირაძე მიქელს 1933 წლის 18 დეკემბერს, — ერთი წლის წინათ, საერთო მარტობის და სევდების დღეებში, რომელთაც მხოლოდ ჩვენი მეგობრობის და ხელოვნების სიყვარული ანელებდა თავის სითბოთი, ჩვენ დაგვებადა, ძირფასო მეგობარო, ეს იღეა, უკეთ რომ ვთქვათ, სურვილი, რომ ამ მქაცრი საუკუნის გრიალში გვეთქვა ჩვენი ხმით რა მოდენიმე სიმღერა ერთმანეთის გასაგონად და კეთილშობილი რწმენით, რომ შევძლებდით გამოგვეთქვა ის, რაც ასე გვაღილვებს ჩვენ, რაც მართლა აწვალებს ჩვენს მოუსვენარ, ცოტათი დალლილ ფიქრს...“

... უკვე ერთი წელია, რაც მივიღე შენი მომართვა და შენი პირველი ლექსი, ჩემი დუმილი ამ ხნის განმავლობაში შეუწყნარებელი დანაშაული იქნებოდა, რომ მე არ მაიმედოვნებდეს რწმენა, რომ ეს დრო ტყუილად არ დაკარგულა, რომ თვითეული დღე არ ყოფილიყოს გამსჭვალული ფიქრით ამის შესახებ და იმედით, როგორმე მოემზადებულიყავი ამ საპასუხისმგებლო და მაღალ მიზნისათვის.

ახლა ეს თითქოს შევძელი. ამ წლის განმავლობაში არაფერი არ შეცვლილა ჩვენში: საქართველოს სიყვარული, ჩვენი მეგობრობა, იდამიანისადმი სიბრალული, ჩვენი თაყვანისცემა მშვენიერებისა და ხელოვნების წინაშე — იგივეა. მხოლოდ რამოდენიმე ვერცხლი შეემატა ჩვენს თმებს, და შთაგონებამ ცეცხლით გაიარა ჩვენს გულში...

და თუ მართალია ბარბე¹, რომ „გრძნობებს ზოგჯერ თავიანთი ბედი აქვთ“ — მომეცი ნება, ძირფასო მეგობარო, მეც დავითერო ეს და ვიფიქრო, რომ ამ გრძნობების და უანგარო სიყვარულის ბედი არ იქნება ისეთი მქაცრი და ულმობელი, როგორც ყოველთვის...“ (26797-4).

ამის შემდეგ პატარიძეს გაუკეთებია ასეთი ჩანაწერი: „გუშინ წავიკითხე კოლაუს პირველი ბარათი... და გული აღტაცებით და შიშით ამეცსო. ჩემ წინ აღიმართა ბნელი ღამის, ცივი ზეცის და ჩემი ცხოვრების საიდულმოება. ყველაფერი განსაკუთრებული და ენით გამოუთქმელი ტკივილით სცემს გულს. სად არის

¹ ბარბე დორევილი — ფრანგი მწერალი (1898 — 1889).



ძალა, ვზიდო — გულში ქაოტიურად ატირებული სიმღერები. შენობი შევასხა მთ და ესთება: ხელთათმანი ჩემ მიერ იყო გადაგდებული და ის აიღეს იშვიათი იერით და გაბედულებით, რომ შემეძლოს ლოცვა, ვიტყოდი: ღმერთო, ამიდგი დაბმული ენა, მართალია, ერთი კაცი—გულის მეგობარი მისმენს, მაგრამ თითქოს მიღიონიან აუდიტორიის წინაშე ვიდგე და გედის სიმღერას ვამბობდე”.

ხოლო კოლაუსადმი გაგზაუნილ ბარათში, აი რას ვკითხულობთ: „ხელთათმანი გადაგდებულია და ის იშვიათი იერით და გამბედაობით ავიღეთ. შენი „სკრიაბინის ეტიუდი“ ჩემი სიხარული და ტანჯვაა. მიხარიან, რომ ამ მარტოობის ხანაში მე მოვისმენ მეგობრის ხმას და ეს ხმა არა მარტო ჩემთვის იქნება ძვირფასი. მიხარიან, რომ გულწრფელი და სიყალბეს მოკლებული ხმა, შეუძლებელი საერთოდ. ჩვენთვის შესაძლებელი შეიქმნა. მტანჯავს მასთან ერთად ეს სიმღერა, თადგან ყოველდღიურ წვრილმანებში ჩაფლულმა ისევ მაღლა ავიხედე და თავზარდაცემული დავრჩი. რამდენი ხანი გასულა და ჩვეულებად გადაქცეული იმედი ყველაზე დიდი მირაები აღმოჩნდა. შენ ულმობელი დასტაქარივით გაუსვი დანა იმ წყლულს და გაპკვეთე. ერთხელ კიდევ ვრწმუნდები, რომ ჩვენი გულები თანაბრად ფეთქენ. მიიღეს ეს ჩემი გამოძახილი იმ კმაყოფილებით, რომ შენ მიერ ნაჩერები გამოსავალი მეც გავემართლე. და თუ ოდესმე იტყოდენ, რომ ყველა გზები რომში მიდის, ჩვენ ახლა ვთქვათ, რომ ყველა გზები სამუდამო სიმშვიდიკ მოედანზე იყრიან თავს.

შენი მიქელ პატარიძე”.

საოცარი ელეგანტურობის იერი ახლავს ამ ბარათებს...

ამის შემდეგ ათი წელიც არ გასულა, რომ ბევრი რამ შეიცვალა. კოლაუნ ნადირაძე ისევ ქუთაისში ცხოვრიბდა... მაგრამ მეგობართან გამოგზაუნილ ბარათებში ალარ იგრძნობდა ძველებური პოეტური სურნელი... საქმე იმაშია, რომ კ. ნადირაძე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ბინის სივიწროვის გამო და დახმარებას სოხოვკა და მეგობარს.

ძნელია აუღელვებლად ამ ბარათების წაკითხვა...

„ჩემი მდგომარეობა მეტად გართულდა და აუტანელი შეიქნა. როგორც გაიგებდი ერთ — პირველ ოთახში შემსახლეს მე, ხოლო მეორეში „დროებით დასტოვეს“ ლორთქიფანიძე მთელი მისი

ბარგით“ — წერდა შეწუხებული კოლაუ მეგობარს 1941 წლის 20 თებერვალს. — ... მდგომარეობა შეიქნა აბსოლუტურად აუტანელი. არც მოსვენება, არც ძილი, არც მინიმალურად მუშაობისათვის საჭირო პირობები აღარ არსებობს. ჩემი ოჯახი გადაიქცა ქუჩად დემონსტრატიულად, იმისათვის რომ ყველმხრივ შემავიწროვონ, დათარეშობენ ჩემს ოთახში ლორთქიფანიის რჩახის წევრები და მათი ნათესავები და ნაცნობები... მსჯელობის ყოველგვარი უნარი დამეკარგა — მე უკვე აღარაფერი მესმის, აღარაფერი ვიცი, ვგრძნობ, მხოლოდ რომ ვარ შეურაცხყოფილი, გათელილი...

ქმაო მიქელ, ვენდობი შენს ნათელ გონიერას და სინდისს მოიციქმედე ისე. როგორც შენი ჰქონა გასჭრის. ეგების აღმოჩნდნენ მანდ ისეთი ამხანაგები — ადამიანები, რომელნიც მოისურვებენ ჩემთვის დახმარების გაწევას და შენთან ერთად დამოუკიდებლივ გაირჩებიან ჩემთვის...“

იმავე წლის აპრილში გაგზავნილი ბარათიდან ვგებულობთ, რომ ბინის საყითხი კოლაუ ნადირაძის სასარგებლოდ გადაწყდა. „ამრიგად ბოლო მოელო ტანგვისა და წამების ეპოპეს...“

— ძეირფასო მიქელ, ამ გამარჯვებაში შენ დიდი როლი ითამაშე და მიიღე ჩემგან ენით გამოუთქმელი, ულრმესი მადლობა... ... ლერმონტოვზე გაორკეცებული და გაათკეცებული ენერგიით ვმუშაობ და ამ დღეებში მთლიანად დავამთავრებ. რა კარგ იზამ, რომ ერთი დღით მაინც ჩამოხვიდოდე!.. ჩამოგვიტანე შენი მეგობრობა და სიყვარული, როგორც სანატრელი საჩუქარი... გამოგზავნილმა ფულმა სულზე მომისწრო...“

კოლაუ ნადირაძემ კარგად იცოდა, რომ არც მისი მეგობრის მდგომარეობა იყო სახარბიელო. სამამულო ომი უკვე დაწყებული იყო... დაძაბულ შემოქმედებითს მუშაობასთან ერთად ყოველდღიური რჩახური საზრუნვავი — მეულლის ავადმყოფობა, ბავშვების მოვლა-პატრიონობა მიქელისაგან დიდ ენერგიასა და გამძლეობას მოითხოვდა. „როგორ ხარ? — იწერებოდა კოლაუ — ... ჯარში გაწვევა ხომ არ გეხება? სულ იმაზე ვფიქრობ. როგორ გამოარკვევ ქეთოს აბასთუმანში გაგზავნის საჭირება?..“

როგორ არის შე საწყალო შენი „ფინანსისტიკა?“ ვაითუ ისე ცუდათ, როგორც ჩემი! სამაგიეროთ ალბათ, ისევ მხნეთ ხარ, როგორც მე.

(1941 წელი, 29 აგვისტო. ქუთაისი).

იმ დროისათვის მიქელის ნაძალადევი სიმხევეე გასაოცარი და სამაგალითოც კი იყო, რადგან მეუღლის ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდებოდა¹. პოეტი ენით გამოუთქმელ ტანჯვას განიცდიდა. მაგრამ მიუხედევად ამისა, იგი მაინც ენერგიულად აგრძელებდა ლიტერატურულ მუშაობას. მიქელთან გაგზავნილ ბარათებში მეგობრები ყოველთვის ინტერესდებოდნენ ქეთევანის ჯანმრთელობით. თავად ქეთევანიც ლებულობდა აბასთუმანში წერილებს.

არქიეპი დაცულია ორი ასეთი წერილი (რუსულ ენაზე) დათარიღებული 1936 წლით. წერილები საქმიანი ხასიათისაა. მათი ავტორები არიან ნ. მეტონიძე და ს. ქობულაძე.

ნ. მეტონიძის წერილი საყურადღებოა იმით, რომ მასში მოხსენიებულია ჩვენი სახელოვანი მსახიობი აკაკი ხორავა, რომელსაც ერთ-ერთ ოჯახში ყოფნისას ჩვეული ოსტატობით წაუკითხავს ადგილები გერმანისა და დონ-უკანის მონოლოგებიდან. იქვე აქსპრომტიც გამოუთქვამთ:

В такую тему смахав в'ехав
 В уме я подвожу баланс.
 Хорава, Станиславский, Чехов...
 Ей муга! Живо реверанс...»

ზოლო მერე წერილში, რომლის ავტორია ცნობილი ქართველი მხატვარი სერგო ქობულაძე, საუბარია აბასთუმანში მომხდარი ინციდენტის შესახებ.

ერთ-ერთი მხატვარი (გვირი აღნიშნული არ არის) პლაგიატობას სწამებდა ს. ქობულაძეს: Он.. демонстрировал Вам репродукции, с которых якобы срисована иллюстрация К. Борс. коже...

— წერდა ამ ფაქტით აღმოთებული ს. ქობულაძე ქეთევანს და იძულებული იყო თავის მართლებას შედგომოდა:

«Я надеюсь, что остальные мои иллюстрации и вообще мои работы, которые я надеюсь сделать лучше — в конце концов убедят Абастуманского «авторитета», что продукты моей работы результат моего собственного труда».

Относительно же стиля — все иллюстрации К. «Б. К.» бу-

¹ ქეთევანი გარდაცვალა 1942 წელს. მოგვიანებით დედის ტრაგიული ბედი ვაზაბარა ქალიშვილმა — რუსულანმა, რომელსაც პოეტი უწოდებდა „ვიშერს, დაქარგული დედის ნამდვილ ასლა“ (ლექსი „საპნის ბუშტები“).

дут трактоваться в стиле живописи (потому что я иллюстрирую вещи XII века), но отнюдь не путём срисования.

А пока передайте от меня тому Абастуманскому художнику, что он слишком погорячился и в случае если мне удастся доказать обратное его утверждениям, что я вправе называть этот поступок подлым...»

... სერგო კლდიაშვილის წერილი პირადი მეცნიერობის შესხვაზ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. მასში გარკვევით ჩანს ერთდროულად ორივე მხარის — წერილის ავტორისა და აღრესატის პატიოსანი, მართალი ბუნება; სამწუხაროდ, ამასთან ერთად იგრძნობა, შემოქმედთათვის ესოდენ დამახასიათებელი, მატერიალური უსახსრობის არსებობაც.

წერილი მოგვაქვს მთლიანად:

„ჩემო მიქელ!

რატომლაც მგონია, რომ იაკინთე ლისაშვილთან კონფლიქტება ჩენს მეცნიერობაზედაც იმოქმედა და შენი მხრიდან ჩრდილი ჩამოწვა. თუ ეს ასეა, ძალიან სამწუხაროა ჩემთვის. ბიჭო, რა შუაში ხარ შენ? როგორც წარსულში, როცა შენ გამომცემლობაში არ მუშაობდი, ისე ახლაც გიყურებ იმ მეცნიერად, რომლის დაქარგვა უთველთვის სამძიმო იქნება ჩემთვის. თუ ხანდახინ ჩემი უტავტობით გაჯავრებული ყოფილხარ, დამიჯერე რომ არც თითონ მე ვყოფილეარ ქმაყოფილი. დარწმუნებული ვარ, შენც იცი, რომ ერთი წუთითაც არასოდეს მითიქირია, თითქო შენი მიზეზითაც გაწვალებული ვიყო. შენ ნუ იქნები ჩემზე ნაწყენი და გამომცემლობას ორივესი ჩვენი ჭირი და სატკივარი წაულია...

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი გული წმინდაა შენდამი, მაინც ვერ ვხედავ ამ საქმეებზე პირადად გელაპარაკო. ასე მგონია, რომ ნაწყენი ხარ ჩემზე. შენ მეტად თავაზიანი კაცი ხარ და არ დამანახვებ ამას.

ახლა მინდა ერთხელ და უკანასკნელად მოგმართო შემდეგი თხოვნით. შენ დამპირდი, რომ მოახერხებ ერთბაშად მომცე მოთხრობების პონორარი. არ გეგონოს, რომ ფულს ვეხარბები. მე მინდა, მხოლოდ თუნდაც ერთი თვე მოსვენებით დავჭდე ოთახში და წიგწიო ჩემი სამუშაოები. მომკლა ყოველდღე ფულის ძებნამ, ყოველდღე ბუნისტებში თრევამ და წიგნების გაყიდვამ. წიგნებიც მენანება და ასე ბრიყვულად დაქარგული დროც.

მომებარე ჩემო მიქელ, მომეცი შესაძლებლობა თუნდაც ერთი თვე დამშვიდებით ვიმუშივო. რამდენ საქმეს გავაკეთებ ერთ თვეში. შენც გაგიხარდება, ჩემო მიქელ. ჩემში წინათ დიდი ხალისი იყო, ცხოვრებას ვეხარბებოდი, ახლა კი ამაზე მდგომარეობამ უარი მათქმევინა. აღარაფერი მინდა, ყველაფერი დავთე; შემრჩა მხოლოდ სურვილი საოცარი მუშაობის. მაგრამ საუბედუროდ ვერას-გზით ვერ ვახერხებ ამას. მეგობარი ხარ ჩემი, ვიცი, გვიგებ და ამიტომაა, რომ გაწუხებ, იმ დღის შემდეგ, როცა დაპირება მომეცი, ხალისი და იმედი მომეცა, რომ შევძლებ მუშაობას და გავაკეთებ ჩემ საქმეს. თუ ესცე წამერთვა, რაღა ვქნა მაშინ!

ნუ გაწყინება ჩემო მიქელ, თუ მოგაბეჭრე თავი.
გაღმომცა).

„შენი სერგო ქლდიაშვილი“

(ქვემოთ მ. პატარიძეს ფანჯრით მიუწერია: 16.II. 34 წელი-
წერილის წაეთხვისას უნებლიერ გვაგონდება დავით ქლდი-
აშვილის სტილი...)

როგორც უკვე ოლინიშნა, მ. პატარიძის ბიოგრაფიაში დიდი ადგილი უჭირავს - სპორტულ ცხოვრებას¹, კერძოდ ალპინიზმს. სწორედ ამ კუთხით ოლინიშნება მისი მეგობრობა სოსო (იოსებ) ასლანიშვილთან, რომელიც ერთდროულად იყო ექიმი-ენდო-კრინოლოგი, მთამსვლელიც და პოტიც. მთი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა უშბაზე ექსპედიციის დროს. ცნობილია, რომ ს. ასლანიშვილი, გარდა იმისა, რომ სწავლობდა საქართველოს მთიან რაიონებში (ზემო სვანეთი, მთარაჭა, აჭარა) ენდემური ჩიყვის გავრცელებას, მონაწილეობდა ალ. დიდებულიძის ხელმძღვა-ნელობით მოწყობილ პირველ ექსპედიციაში მყინვარწვერზე (1923 წ.) ამ ექსპედიციამ კ. ნიკოლაძის ექსპედიციასთან ერთად საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ალპინიზმის განვითარებას.

ჩვენს წინაშეა ს. ასლანიშვილის 5 წერილი. პირველი დათარი-ლებულია 1934 წლის 25.IX-ით. გამოგზავნილია ბექოდან (ზემო სვანეთი).

¹ 1939 წელს გამოვიდა „ფიზულტურული მუშაობა სკოლაში“, რესული გამოცემიდან გაღმოყენებული მ. პატარიძის მიერ. ეს წიგნი წლების მანძილზე დიდ დახმარებას უწევდა სკოლების, პედასტავლებლებისა და ფიზულტურის ფარგლერების მოსწავლე-ახალგაზრდობას.

„საყვარელო ძმაო მიქელ!

მოშენატრა შენთან ბაასი, მით უმეტეს, რომ ირგვლივ ახლა, აქ, ზეჩიში ყველაფერი მიწყნარებულია, ხალხიც არავინ მოღის და სოფლებში მარტო სიმინდილა დარჩა ასაღები, მაგრამ ამ საბოლოო საქმეს სვანები მეორეხარისხოვნად სთვლიან და თანდათან აეთებენ. მეც ვეხმარები მათ და თანაც ჩემს მუშაობასაც ვაწარმოებ. ეწერ, ცხადია, შრომებსაც. მოხსენება „უშბის მწვერვალისაკენ“ თითქმის ერთოორად შევავსე, ძალიან კარგი ახალი ცნობები ჩაუმატე, ფრიად მნიშვნელოვანი ჩენი მთამსვლელური ისტორიისათვის. დაბეჭდვას ჯერ არ შევდგომიყარ...

ეს ერთი კვირაა გატაცებული ვარ სრულიად საკავშირო საბჭოთ მწერლების პირეელი ყრილობის მიმდინარეობით, რადგან ტფილისის და მოსკოვის განხეთები ყრილობის პერიოდის მხოლოდ ახლა მომივიდა. ყრილობა მთლიანად დავამუშავე...“ (გვ. 1).

შემდეგ ერცლად არის მიმოხილული მწერალთა საკავშირო ყრილობაზე ს. ეულის, მ. ტოროშელიძის, კულიკის, გორგის („მწერლების პაპაშა“—ს ს. ა.) გამოსვლები... „ჩემო მიქელ — განაგრძობს ს. ასლანიშვილი — მე მგონი არ მოგაწყინე. ამას იმისთვის გწერ, რომ თუ გახსოვს, უშბის პირში, გულის ყინვართან 2800 მეტრის სიმაღლეზე ექსპედიციის პირველ ბანაკში რომ ვიჰექით და ტფილისის „ზარია ვოსტოკას“ ვკითხულობდით, იქ ისე ღყო მოყვანილი პირველი ცნობები ტოროშელიძის მოხსენების შესახებ, რომ ორივემ ერთად დავიძიხეთ „ჩაფლავდა, ალბათ, ტოროშელიძის მოხსენება“ და შარმოიდგინე, „იზვესტია“ და ჩენი „კომუნისტის“ წაკითხვის შემდეგ პირდაპირ ლფრთვანებაში მოვედი. ერთი სიტყვით. საქართველოს მოხსენება ცენტრში იყო ყრილობაზე.

შემდეგ წერილში ს. ასლანიშვილი აცნობებს, რომ უგზავნის თავის ორივე წიგნს, რომლებიც სვანეთში დაუბეჭდავს. „ამას გარდა, — განაგრძობს იგი — სვანებს მოაქვთ ჩემთან ლექსები... ერთი მათგანი შენი წერილის გველენითაა დაწერილი. სათაური აქვს „უშბის გასაბჭოება“.

„თითქმის გაიცნო უშბამ სტუმრები:

ეს ვინდა არის? თქვენ, პატარიძევ?

მომილოცნია ეს პირველობა,

განსაკუთრებით თქვენ, ჯაფარიძევ“.

უკვე დავსძენთ, რომ ს. ასლანიშვილის შესახებ ცნობას ვხვდებით იჩინე მიქელაძის წერილშიც (1935 წ. 25.VII) „გუშინ აქ უკვე გავიგეთ, თითქოს ასლანიშვილის ჯგუფმა ჯუთას ხეობაში იპოვა თვითმფრინავი. რა ვიცი, რამდენად მართალია“.

... დანარჩენი 3 ღია ბარათი უკვე მოგვიანებით დაიწერა 40—50-იან წლებში, 1948 წელს ს. ასლანიშვილი გაგრაში ისკვენებდა და იქიდან შეეხმანა ძეელ მეგობარს, უკვე მათი კონსერვის სახლ-მუზეუმის დირექტორს. ხოლო 1950—53 წლების ბარათები კი საახალწლო მისალოცი ბარათებია.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ერთი წერილი, რომლის ავტორია სახელოვანი ალპინისტი ალიოშა ჭაფარიძე. დაწერილი უნდა იყოს 1936 წელს. იგი მიქელს ულოცავს ალპიური კლუბის დამარსებას¹. (ამავე დროს აცნობებს მიღებული ტრავმის შესახებ: მას მოყვინაორივე ფეხი ექსპედიციის დროს და ახლა ქ. ფერგანის საავადმყოფოდან სწერდა წერილს): „გილოცავ ამ დიდ მოვლენას საქ. ალპინიზმის ისტორიაში, ცვლას ჩვენს ძმა-ბიჭებს და განსაკუთრებით შენ და ზოგიერთებს (სოსო, კაჯო და სხვები) როგორც ძეელ მეტირისუფლეს და ენთუზიასტს ამ საქმისას“.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია სპორტული საზოგადოება „შევარდენი“, რომლის ჩამოყალიბებასა და შემდგომ მუშაობაში მ. პატარიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის. ცნობილია, რომ „შევარდენის მესამეური იყო გიორგი ნიკოლაძე².

მასთან ერთად ქმნიდა მიქელ პატარიძე ქართულ სპორტულ ტერმინოლოგიას. 1922 წელს უურნალ „შევარდენში“ მ. პატარიძემ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ასაბუთებდა ქართული ტერმინოლოგიის (სიტყვას „ტერმინოლოგია“ მიუსადაგეს ქართული „სახელსახებ“) შექმნის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე. ეს წერილი მაღალი პატრიოტული შემართებითა დაწერილი. ვფიქ-

¹ მიქელ პატარიძე ითვლება საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოებისა და ალპიური კლუბის ერთ-ერთ დამარსებლად.

² ოქტომბერი დაცულია გ. ნიკოლაძის ჩაშრომი ფრანგულ ენაზე გამოცემული 1928 წ. პატარიძი, საფრანგეთის შეც. ა. კ. მიერ. გ. ნიკოლაძე იყო ეტორი თხი-გინალური კონსტრუქციის გამომთვლელი მანქანის პროექტისა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. ნაშრომს თხელი ცისფერი ყდა აქვს. ყდაზე წარწერილია ქართულად „ძეირუას მიქელ პატარიძეს აეტორისაგან“.

რობთ, იგი დააინტერესებს მკითხველ საზოგადოებას. (მოგვიცავთ სრული სახით)

§ 5. ყველა შევარდენი, როგორც ბუღეში, ისე გარეთ, ვალდებულია იყოს თავაზიანი და ზრდილი, როგორც ურთერთ შორის, ისე კერძო მოქალაქეთა მიმართ. სახათ მიღებული და დამტკიცებულ ტანსაცმელში მყოფ შევარდენს, ან შევარდენის ნიშნით გულზე სასტიკად ეკრძალებათ ყველა სამიკიტნოებში, საქეიფო საჩადაფებში, ტრაქტირებში, ცუდი რეპუტაციის სასადილოებში, შანტანში და სხვა ამგვარ დაწესებულებებში. § 7. სასტიკად აქრძალულია, სადაც არ უნდა იყოს, სიმთხრალე...

2. აღსანიშნავია, რომ მ. პატარიძემ ლექსი უძლვნა თამარ ნიკოლაძეს („თამარ ნიკოლაძეს“), რომელიც როგორც პოეტი წერს, „შევარდენის ყაბახს მაყურებლად ოლარ დასჯერდა“) და საზოგადოების აქტიურ წევრად ითვლებოდა. იმავე პერიოდში შეიქმნა „ისნის შევარდნების სიმღერა“;

„შევარდნებო, ჩვენი დროშა
იცოდეთ, რომ ქართულია
და დამცველია მზეჭაბუკი
თავდადებით გარს უვლიან“.

3. ერთ-ერთი ხელნაწერის გვერდით მხარეზე ჩამოწერილია სპორტული ტერმინები: განფერხ, შლიფერხ, ტაიჭი და სხვ.

4. არქივში ინახება უურნალის პირველი ნომერი (რედაქტორი ს. ასლანიშვილი, სარედაქტო კოლეგია: გიორგი ეგნატაშვილი, თამარ ნიკოლაძე, მ. პატარიძე, ივ. მაჭავარიანი). უურნალის გარეკანი შევარდენის გამოსახულებით, გაფორმებულია სიდამონ-ერის-თვის მიერ.

„შევარდნები და ჩართული სახელსახმბა“

ცნობილია, რომ დედა ენა საუკეთესო და აუცილებელი საშუალებაა მოზარდი თაობის ზნეობრივ და გონებრივ განვითარებისათვის.

შენიშვნა: 1 აქვეა შევარდენის შინაგანაწესი, რომელიც შედგება 7 პარაგრაფისაგან...

ეს კეშმარიტება ყველას მიერ საქმაოდ შეგნებული, საქართველოში ურცხვად იყო გათვლილი.

რაოდენი ზარალი მიაყენეს ამით 100 წლის განმავლობაში ჩვენს ხალხს აბა ვინ დაოვლის. შედეგები დედა-ენის უარყოფისა თოთქმის ყოველ დარგს ჩვენი განვითარებისას საშინელ და დამიბრკოლებელ სიმძიმელ დააწვა. ქართული შევარდნენი სხვა ქართულ დაწესებულებებთან შედარებით ყვეთეს პირობებში იყო, რაღაც სახელსახება ჩვენთვის სახმარებლად საჭირო, აღრიდანად გვქონდა დამზადებული. დავირვებამ, ხმარებამ და შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენი სახელსახება სხვისახე უკეთესი თუ არა, ნაკლები მაინც არ არის.

მოსალოდნელი იყო, რომ ის იოლად და მალე უცხო სახელსახებათა გროვს საბოლოოდ განდევნილა. მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, 100 წლის განმავლობაში ძალდატანებით ჩაგრული ქართული ენა ახლაც ხშირად იჩივრება, ტყვილად არ ჩაუელია ოზრის ღრის გროვს ჩვენი ენის დავიწყებას. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სახელსახება ყველა წევრისათვის ხელმისაწვდომია და რომ მისი საშუალებით ჩვენ შეგვიძლია ყოველგვარი ბრძანება გაეცეთ, ალენუსხოთ ვარჯიშთა ნაირობა ყველა იარაღზე, მაინც ბევრი უცხო ენას მიმართავს ხოლმე. ამნაირად ქართულ ენას აკლდება ვარჯიში, ხმარება, რაც ყოველ ენისათვის გამშვენიერების და გამდიდრების წყარო. მასთან იჩივრება ქართული ბუნება, აზრი, რაღაც უცხო ენის საშუალებით ქართველი ნაკლებ ითვისებს, რაც შესათვისებელია. ძმებო, ჩვენ ვინც ჯანმრთელობას ვიძენთ, წესმორჩილებას ვითვისებთ და თავდადების აზრს ვეჩვევეთ, სამშობლოს საკეთილდღეოდ, მთელი ჩვენი გონებით, უნდა ვაწარმოოთ ქართული ენის ვარჯიში.

ისე, როგორც ყოველი თქვენგანი ღონქს — სისხარტეს და ნაკვთა მოქნილობას იძენს ვარჯიშობით, სწორედ ასევე ყოველი თქვენგანი უნდა ცდილობდეს ქართული სახელსახების ხშირი ხმარებით შეითვისოს ენის ცოდნა და მასთან გაამშვენიეროს იგი: მხოლოდ ხშირი და მრავლის მიერ ენის ხმარება მოიტანს შესაფერ ნაყოფს. მაშ, მომავალო ქართველო ახალგაზრდა შევარდნებო, რომელთა მიზანია პატარა საქართველოს ძლიერება და სიმტკიცე, ისეთ დონემდის ავიყვანოთ ცოდნა ჩვენი, აქამდი დაჩივრული ენისა, რომ მისი მშვენიერება გვესმოდეს და ეს ენა გახდეს ჩვენი აზრე-

ბის და გრძნობების მეტყველი. ნუ დაივიწყებთ, ქართული ენით დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“. (გვ. 18. „შევარდენი“).

მთამსვლეთა შორის მ. პატარიძეს ჰყავდა კიდევ ერთი მეგობარი — ეს იყო იავონ კაზალიკაშვილი; მყინვარშვერშე პირველი ასვლის მამაცი გამყოლი, უშბის ექსპედიციის მონაწილე. წერდა ლექსებს (1933 წ. გამოიცა მისი ლექსითა კრებული) ერთ-ერთ წერილში სწორედ მათზეა საუბარი. (დაცულია 3 წერილი, დაუთარილებელი, ვფიქრობთ, დაწერილი უნდა იყოს 30-იან წლებში).

... შავრუს ჩარქვიანი ოჯახის ახლობელი იყო, მიქელისა და კოლაუს ძევლი მეგობარი. იგი ხშირად ატყობინებდა მიქელს მშობლების განმრთელობის მმარცველობის მიმარცველის ამბავს. ერთ-ერთ წერილში თავისი მძიმე მდგომარეობის შესახებაც წერს და სთხოვს „დაუჩქაროს ფულის საქმე“...

ირკვევა ისიც, რომ შავრუს ჩარქვიანს მიქელის თხოვნითა და დავალებით შეუგროვებია თანამედროვეთა მოგონებები მაიაკოსკის შესახებ. ჩამოთვლილი არიან: პლატონ წულუკიძე, კოლაუ ნადირაძე, გიგუა გაგუა, ლადო ჯაფარიძე, შალვა ხუსკივაძე, შალვა მოსიძე (1954 წ. 25. III). შ. ჩარქვიანი შეახსენებს იგრეთვე ანდრიაძის ოჯახში არსებული ვ. მაიაკოსკის საწოლის შესახებ, რომლის შექმნასაც მუზეუმისთვის ჭერ კიდევ აღრე პქონდა გადაწყვეტილი მიქელს.

.. საუბარი შეეხო ვ. მაიაკოსკის მუზეუმს. აქ უკვე ბევრის თქმა შეიძლება. ცნობილია, რომ მიქელ პატარიძემ დიდი ამაგი დასუთ არა მარტო მაიაკოსკის პოეზიის თარგმნას, არამედ მაიაკოსკის სახლ-მუზეუმსაც ბაღდაღში, რომელსაც ძევლებური, მაცოცხლებელი იერი მოჰვინა, სათავეში ჩაუდგა და დიდხანს ხელმძღვანელობდა კიდევ.

იმერეთში, საქართველოს ლამაზ პროვინციაში გაატარა თავისი სიცოცხლისა და შემოქმედების ბოლო წლები თბილისის ინტელექტუალურ ელიტას მოწყვეტილმა მიქელ პატარიძემ. წლების მანძილზე აოცებდა და ხიბლავდა იგი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსულ სტუმრებს თავისი ერუდიტით...

მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობით აღსავს საქმიან წერილებს უგზავნილენ მას გ. კოშარიოვიჩი, ლ. ძგობინსკაია (მოსკოვიდან), ვ. კარტალიოვა, პრეობრაჟენსკაია (ლენინგრადიდან),

3. გორძიაუსკაისი (ვილნიუსიდან), 6. ტიხონოვი (სოხუმიდან), ჰუსკოვაზეული
ჰუპერტი (მოსკოვიდან) და ა. ვ.

არქივში დიდი დაგიღილი უჭირავს ლუდმილა მაიაკოვსკაიას (პო-
ეტის და), ალექსანდრა ეზერსკაიას (მოსკოვის ვ. მაიაკოვსკის სახე-
ლობის ბიბლიოთეკა — მუზეუმის დირექტორი) და ირინა უსპენ-
სკაიას (სამუზეუმო ფონდების განყოფილების გამგის) მიმოწერას
მ. პატარიძესთან. სულ 23 წერილია.

ეს ბარათები დააინტერესებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია
მაიაკოვსკის სახელი და შემოქმედება. ამასთან ერთად ისინი ნა-
თელი დადასტურებაა იმ კეთილშობილური ხიბლისა, რომელიც
მუდამ თან ახლდა მიქელ პატარიძეს ადამიანებთან პირადი ურთი-
ერთობის დროს.

ალექსანდრა ეზერსკაიას პირველი წერილი დათარიღებულია
1949 წლით. იმ დროს მიქელის ოჯახი სასოჭარკვეთილი იყო ბავშ-
ვის გარდაცვალების გამო. მორალურად განადგურებულ მამას
თანაუგრძნობდა ყველა ახლობელი და ნაცნობი.

ალექსანდრა ეზერსკაია ღრმა თანაგრძნობას გამოხატავს¹ და
ცდილობს შორიდან სიტყვით მაინც გაამხნეოს მიქელი, რომელიც
არა მარტო სანიმუშო კოლეგა იყო მისი, არამედ კეთილი და
ჰქვიანი მეგობარიც.

დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის
კეთილმოწყობის საქმეს. ა. ეზერსკაია ერთგან მოკრძალებით შეახ-
სენებს მუზეუმის საექსპოზიციო მასალების განლაგების თავისე-
ულ გეგმას და შემდეგ დასძენს: Конечно, ваша память гениальная-
ная и вы должно быть запомнили, о чем мы говорили.

ირინა უსპენსკაიას ბარათებში ამოვიკითხვეთ ბევრი მოსკოვე-
ლი ლიტერატორისა და მწერლის სახელს. იმ თვალსაზრისით გვინ-
და გამოვყოთ 1951 წლის 8 ნოემბრით დათარიღებული წერილი,
რომელშიც ვრცლად არის მოთხრობილი 1950 წლის იანვარში
მოსკოვში გახმაურებული ლიტერატურული ინციდენტისა (ლი-
პოვსკის პიესათან დაკავშირებით) და პერცოვის წიგნის „მაიაკოვს-
კის“ განხილვის შესახებ.

¹ ეზერსკაია წერს: «Подрастет и женится Ваш сын, и будет у Вас тогда
чудесная внучка, черноглазая лялька..»

მიქელ პატარიძის შვილშველი — ლელა პატარიძე მუშაობს საქართველოს
ისტორიის ინსტიტუტში.



з. т. Зе́рбу́зовы с წიგნი „Маиа́коговы“¹ — მსოფლიო ლიტერატურული რის ინსტიტუტის მიერ წარდგენილი იყო სტალინურ პრემიაზე, წერილიდან ირკვევა, რომ განხილვას ესწრებოდა საკუთრით მწერალთა კავშირის პირველი მდივანი ა. სურკოვი. გაიმართა კამათი. უსცენსკაია წერს:

«Против этой книги выступили С. Кирсанов, В. Катанин, К. Котов (из «Ком. правды»), В. Шкловский и Л. В. Пат. Бенгров назвал все раннее до октябрьское творчество Маяковского буржуазно-реакционным... Самое курьёзное, что Перцов обвинил Л. В. в организованной группировке с Катанином?! Вы представляете, как это бы восприняла Л. В.; Если для других это литературоведческая дискуссия, то для неё это личная тажёлая драма...»

და ბოლოს, შევეხებით თვით ლუდმილა ვლადიმერის ასულ მაიაკოვსკის წერილებს.

პოეტის და ბაღდაძის ხშირი სტუმარი იყო. მას ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მიქელის და მთელ მის ოჯახთან (ქალბატონი ნინო — მ. პატარიძის მეუღლე ხშირად დებულობდა წერილებს მუზეუმის თანამშრომლებისაგან მოსკოვიდან). მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი წერილები თვეშეკავებული, მოკრძალებული ხასიათისაა. მიმართვაც ასეთია:

«Многоуважаемый Никел Абесаломович!..»

ერთ-ერთ წერილში, რომელსაც დასაწყისი იყლია, ლუდმილა მაიაკოვსკაია გულისტკივილს გამოოქვებს იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც სათანადო ყურადღებას ვერ იჩენენ მისი ძმის შემოქმედების მიმართ. საუბარი ეხება მის საქმიან კონტაქტებს გამოცემლის „მერანთან“. მოხსენებულია მარკ ზლატკინი, რუსული განყოფილების მთავარი რედაქტორი. ცნობილია, რომ პოეტის დამ თავისი წიგნი — „Пережитое“ — გამოსცა თბილისში 1957 წ.

¹ ვიქტორ ლიპის ძე პერცოვი — მაიაკოვსკის ყოფილი თანამშრომელი, „ЛЕФ“-სა „новый ЛЕФ“-ში, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების კეთილსინდისერტი მკლევარი. ცნობილია, რომ მისი მონოგრაფიის „Маяковский. Жизнь и творчество“ განხილვა (1950 წ.) — გამდა თიხი დანტერესებული დაჯგუფების მიერძოების მსხვერპლი. 1. კორსანოვი, 2. შელოვსკი, 3. კატანიანი, 4. ლუდა მაიაკოვსკაია. ამ წიგნის შესახებ კომეტეტერური აზრი გამოითქვა ლევ ტიმოფეევის მიერ 1951 წ. — „Ценная книга о Маяковском“ მაგრამ რეცენზია წიგნის განხილვის შემდეგ გამოქვეყნდა და ამდენად, დაგვიანებული აღმოჩნდა ვ. პერცოვინათვის.

აი, რას ვკითხულობთ წერილში:

«Все исследователи, начиная с Перцова, использовали мои сообщения о юношеской жизни, письма, знакомства с людьми, которые окружали Володю, а когда мне стало нужно писать об этом, то материал оказался устаревшим...»

ლ. მაიაკოვსკია აცნობდებს, რომ მოსკოვის მოზარდ მაყურებელთა თეატრში იდგმებოდა პიესა „Они знали Маяковского“ იგი უნდა დაედგათ აგრეთვე სტანისლავსკის სახელობის თეატრშიც.

ერცლედ არის საუბარი პიპინაშვილის ფილმის შესახებ:

«В настоящее время готовится большая и интересная работа в связи с постановкой Пиппиашвили картины «Маяковский в Грузии» (заглавие ещё не определилось). Пиппиашвили пока здесь — ищет актёров, проводит подготовку, собирает материалы...»

ფილმშე მუშაობისას ლ. მაიაკოვსკია კონსულტანტად იყო მიწვევლი, წერილში აღიშნულია ისიც, რომ „Москвичи возражают по поводу революц. периода, считают, что его нужно подтянуть до 1905 г. и сильно возражают против конца, где фигурирует футуризм. Надо еще поработать над сценарием“...

ლუდმილა მაიაკოვსკიასთვის ბაღდაძის მუზეუმის არსებობას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთან მისთვის ნათელი გახლდათ ისიც, რომ მუზეუმის ესთდენ პოპულარული სახელი მიქელ პატარიძის დაუღალავი მოღვაწეობის შედეგი იყო¹. და ალბათ ამიტომაც დედის სურვილის თანახმად, მან 1951 წელს შეიძინა აეტომანქანა „პობედა“ და მუზეუმს გადასცა სარგებლობისათვის, ხოლო 1955 წელს ეს მანქანა პირადად მ. პატარიძეს უსახსოვრა². ეს იყო თავისებური სამადლობელი მაიაკოვსკების ოჯახის მხრიდან, ოჯახისა, რომლის პატივსა და დიდებას თექვსმეტი წლის განმავლობაში ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა პოეტი. 1959 წელს მ. პატარიძემ გამოსცა სახლ-მუზეუმის მეგზური,

¹ «Лучший лектор и пропагандист творчества Маяковского в Грузии» — ასეთ შეფასებას აღლევდა მიქელის შრომის ლ. მაიაკოვსკია.

² აჩქინე ინახება ორი ღვთებრი, რომელშიც ფიქსირებულია აეტომანქანის ჩუქუპი. ხელს აწერენ ლ. მაიაკოვსკიასთან ერთად მოსკოვის მაიაკოვსკის სახლობის მუზეუმის დირექტორი — ა. ეჭერსკია და ფონდების განყოფილების გამვე — ი. უსახენსკია.

რომლის ერთ-ერთ გვერდზე ლუდმილა მაიაკოვსკაიას ფოტოს შენახულია
რათიც არის მოთავსებული.

... აქევე გვინდა მოვიხსენით ცნობილი მწერლის ა. ვ. ფივ-
რალსკის რძმლენიმე წერილი, რომლებიც გამოგზავნილია 1951—
55 წლებში. ცნობილია, რომ ამ პერიოდში იგი მუშაობდა წიგნზე
„Театр Руставели“, (ამასთან დაკავშირებით ავტორს უსაუბრია
შალვა დაიდიანთამ); გამოსცა „Из выступления Маяковского“.
ამ უკანასკნელზე მუშაობის დროს მან თხოვნით მიმართა მ. პატა-
რიძეს, როგორც ვ. მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების
ღრმად მცოლნეს, გამოეგზავნა მისთვის საჭირო მასალები. კერ-
ძოლ, პიპინაშვილსა და გოგოძეს (ფილმის სცენარის ავტორები)
უცნობებიათ, რომ მაიაკოვსკის მუშეუმში ინახებოდა ი. ჭავჭავაძის
„კაკო ყაჩალის“ ინსცენირების ჩანაწერები („კაკო ყაჩალი“ — ლა-
მაზი ქართული სორებით არის დაწერილი) ქართულ ენაზე თარგმა-
ნის გარეშე.

ეს ჩანაწერი საინტერესო იყო იმჟენად, რამდენადაც ინსცენი-
რება მოწყობი ბალდადში „при содействии В. К. Маяковского
(პოეტის მამა — ნ. ვ.)“ گруппой кутаисских актеров и любителей
в 1905 — 1906 гг.

1954 წლის ზაფხულში სოხუმში დასასვენებლად ჩამოსული
ფევრალსკი მ. პატარიძეს სწერდა, რომ დაგეგმილი ჰქონდა ქუთა-
ისსა და წყალტუბოში ლექციების ჩატარება („მოგონებები მა-
იაკოვსკიზე“, „მაიაკოვსკის დრამატურგია“) მოგვიანებით კი მოს-
კვიდან ატყობინებდა სატირის თეატრის მიერ „ბალლინჯოს“
ბრწყინვალედ განხორციელებული დადგმის შესახებ და სოხოვდა
ენახა იგი სეზონის ბოლომდე.

მიქელ პატარიძეს ხშირად უხდებოდა მეზავრობა საქართველოს
სხვადასხვა კუთხეში სამუშეუმო საქმეებთან დაკავშირებით¹. ასე
რომ ზოგჯერ მეგობრებს უძრელდებოდათ კიდეც ბალდადში მისი
ნახვა. ამის კარგი მაგალითია მწერლის — მამია ასათიანის საყ-
ვედურნარევი მეგობრული წერილი:

„გვეძებ და ვერ მიპოვნიხარ, საყვარელო მეგობარო. დაფრინავ

¹ არქივში დაცულია საპატიო სიგელი მ. პატარიძის სახელზე — მოსახლეობა-
ში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მოწყობასა და ჩატარებაში ინიცი-
ატივის გამოჩენისა და აქტიური მონაწილეობისათვეს. 23 თებერვალი 1953 წ.



მთასა და ველებში, ეძებ ნექტარს ამ ცხოვრებისას, ხშირად ეწაფები მას და მეგობრები კი გავიწდება. არ ვარგა, საყვარელო მეგობარო, არ ვარგა. იცოდე საოლქო გამომცემლობა არის პარასკევს 19 ი/თვეს ან ორშაბათს 21-ს შევხედებით ჩვენი ოლქის ხელმძღვანელს ამხ. მ. კ. ბალავაძეს. რასაკვირველია, ბევრ საკითხებს ევლით. ამ დღეებში შენ აქ აუცილებლად უნდა იყო. ეს არის ოფიციალური და სარწმუნო ვერსია. არის აზრი, რომ შემოქმედებით მივლინებაში გავაგზავნიან... მაშ ასე, გელით, ჩამოდი და დაგვამშევნე.

გვხედება ისეთი წერილებიც, რომელთა ვტორები სთხოვენ და ზოგჯერ „მოითხოვენ“ კიდევ დაუინდიოთ მხოლოდ შეხვედრას. მიზეზი დასახელებული არ არის. აღნიშნულია „აუცილებელი საქმე“, ხოლო მთავარი საქმელი, ალბათ, მერე ითქმებოდა. მოვუსმინოთ ერთ-ერთ მითგანს:.. „გული მწყდება, რომ ამოდენა ხნის განმავლობაში ჩვენსა ერთხელაც ვერ შემოიარეთ... ორჯელ ლია ბარათიც კი მოგწერე.“

საქმე მქონდა კოტა.

ნუთუ სხვიმინდულათ აღარ გხედება ქუთაისში ჩამოსელა?! არ მინდა ჩემი რაიმე დავალებით შენს ისედაც დიდ საქმეს ხელი შეუშალო...

თუ მოკლე ხანში შეგხვდეს აქ ჩამოსლეა, ჩემი უნახავი ნუ გაბრუნდები. და თუ ქუთაისში საქმე არ გექნება: — ფიქრობდე, რომ ჯერ ვერ ჩამოხვალ, მხოლოთ იმ შემოხვევაში, გთხოვ, ჩამოხვიდე პირადათ ჩემს თაობაზე, ერთი ან ორი დღით, თუ ვიმეორებ, შენ ამითი საქმე არ წაგიხოთგა, ე. ი. გექნება დრო. ამით მე შენგან დიდათ დავალებული ვიქნები...“

ამ წერილის წაკითხვამ, ალბათ, თავის დროზე, აღრესატსაც მოპგვარი უწყინარი ლიმილი. მსგავსი შინაარსისაა სხვა წერილებიც.

არქივში დაცულია (პირადი ხასიათის წერილებთან ერთად) მოსაწევევი ბარათები, მილოცვები. მათ შორის ორიგინალობით გამოირჩევა ცნობილი მებალის მიხეილ მამულაშვილის მიერ გამოგზავნილი პატარი ბარათი. ქალალზე დაკრულია ორი ფერ-დაკარგული ყვავილი. წარწერილია ხუთი სიტყვა: „გილოცავთ იხალ წელს. გისურვებთ ჭანმრთელობას“.

თუ ზედმიშეენით გავიაზრებთ მიქელ პატარიძის მდიდარ და მრავალფეროვან შემოქმედებას, საესებით ნათელი გახდება ჩვენი საზოგადოების გულწრფელი გულისტყოფილი ამ თვალსაჩინო მოღვაწის ჯეროვნად დაუფასებლობის გამო. მხედველობაში მაქვს ის ფაქტი, რომ დღემდე არ არის გამოცემული მ. პატარიძის რჩეული, რითაც ქართველმა მკითხველმა უდაოდ ბევრი დაპყირგა.

არქივი კი ნამდევილად გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ეს ხარვეზი შეიცხოს და მზის სინათლეზე გამოიფინოს პოეტის ნაწერები.

1995 წელს შესრულდება 100 წლისთავი პოეტისა და მთარგმნელის დაბადებიდან. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით განხრახული გვაქვს რჩეული ერთტომეულის, გამოცემა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება მ. პატარიძის პოეზია — ორიგინალურიც და თარგმნილიც; ჟურნალისტური წერილები, ნარკევები; ეპისტოლარული მემკვიდრეობა; საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალები. ამასთან ერთად, გარკვეული ადგილი დაეთმობა ქართველ მეცნიერთა და ლიტერატორთა შეხედულებებს, მოგონებებს პოეტის მოღვაწეობასთან დაკავშირებით. მუზეუმში დაცული ფოტო-მასალის გამოქვეყნებაც, ვფიქრობთ, კიდევ უფრო გამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას მიქელ პატარიძის შესახებ¹.

¹ არქივი დავამუშავეთ 1985 წელს, ილწერილობა ჩატარდა 1987 წელს. მასე დასრულდება მისი კატალოგიზაცია. რაც შეეხება წინამდებარე ნაშრომს, იგი მიმოხილვითი ხასიათისა და მიღენალ, მას მეოთხელი საზოგადოებისათვის არქივის სრული სახით მიწოდების პრეტენზია არ გააჩნია.

ვანლერ დაისელის პრეზიდენტი

ვანლერ დაისელის (ივანე ბაბუაძე) ლიტერატურული რეპუტაციი ჩეცენტრი 20-იან წლებში ჩამოყალიბდა, რითაც თავისთვად გამოირიცხა იმ დროისათვის სრულიად უცხო გემოვნების ტრაფარეტი, მაგრამ მისი შემოქმედების ზუსტი ფასეულობის დაღვენა გარკვეული დროით გადაიღო.

აფეული წლების მანძილზე მყარად არსებულმა ოფიციოზის ლიტერატურულმა შაბლონმა, უკვე შემდეგ ამ პოეტზე მასალების სიმცირემ, საბოლოოდ კი რეაბილიტაციის გარეშე დარჩენილმა თვითმკვლელობამ 1937 წელს, ვანლერ დაისელის სახელი დავიწყებასთან გააიგივა.

პოეტის დაპატიმრების დღეს მთელი არქივი დაუშვია მის მეურღლეს, ვინმე სირანუშ ტერიანს. გადარჩენილი მასალები აღმოჩნდა დედის ოჯახში და 1962 წელს ლიტერატურულ მუზეუმს გადასცა პოეტის ძმამ გ. ბაბუაძემ.

თუკი ვანლერ დაისელის შემოქმედებას მისივე თანამედროვე განწყობილებებისა და აზროვნების არეალში მოვაქცევთ, ლიტერატურულ გემოვნებას და თვალსაწიფრსაც იმავე საზომით გავუზომავთ, დავინახავთ, უსამართლოდ მივიწყებულ მშევნიერ ნაწილს მთელისას, იმ დიდი, დღემდე შეუცსებელი მთლიანობის, რასაც შეიძლება პირობითად საუკუნის დასაწყისის ნოვატორული მწერლობა ცუშიოდოთ.

10-იანი, 20-იანი წლების თბილისის ლიტერატურული ცხოვრება დავვიანებული ექსპერიმენტების გამო (იგულისხმება ძირითადად პარიზის, ციურისის, მილანის, პეტერბურგის სკოლათა გამოცდილებების ქართულ ნიადაგზე გაღმონარევის ცდები), ეპროპის ფარულ კომპლექსს ატარებდა. მოდერნის სხვადასხვა გამოხატულებებსა და განუწყვეტლად ცდალებადი ივანგარდისტული პროცესების გეერდით, რომელთაც ხშირად არაადეკვატური სახე-

ლები ერქმილდათ, არსებობდა ქართველ პოეტთა კიდევ ერთი ჰაბაზიანის კიდევ ერთი „იზმი“ საქართველოში — „სომნამბულიშმი“. „სომნამბულების“ ჯგუფის ლიდერი და თეორეტიკოსი გახლდათ ვ. დაისელი.

„სომნამბულისტთა“ ისევე, როგორც საერთოდ ქართული ლიტერატურული მოდერნის იდეოლოგია, სოციალურ საკითხებთან არ ყოფილა დაკავშირებული. პოზიცია თავიდანვე გაიჩვეა, როცა გაზეთი „ბარიკადი“ წერდა: „საქართველოში მოდერნიზმში მოცულია ერთი ფორმა, წმინდა ესთეტიკური, უმთავრესად სინთეტური“. თვით ქართველ ფუტურისტთა სოციალურ საკითხებთან მიახლოების ცდებიც (რუსი ფუტურისტების, გამსაცურებით ვ. მაიაკოვსკის გავლენით) საბოლოოდ მაინც ესთეტიკური რევოლუციით მთავრდებოდა.

„სომნამბულები“ თავიანთ დეკლარაციებში აცხადებდნენ: „ჩვინი ორგანო ძირითადად პოლიტიკურია. ვიწამეთ პოლიტიკა პოეზიაში, როგორც უმაღლესი წერტილი საზოგადოების სულის. გადატეხილი ხერხემალი იყო ჩვენთვის დაქველებული მსოფლიო“...

(გვიჩვენოთ „პოეზიის გადატეხილი ხერხემალი“ ქართველ მოდერნისტთა განაცხადში და ვრ. რობაქიძის „ქვეყნის ბედი გადატეხო მე ხერხემალზე“...)

„მხოლოდ ფიქრის და სიტყვის დეკორაცია“ — აცხადებს „სომნამბულების“ დეკლარაცია, თუმც თავად ვანლერ დაისელი არ ქადაგებს ხელოვნების სრულ ავტონომიურობას: „პოეზია მთავარი არტერია საზოგადოების სულის“...

ეს აზრობრივი ანალოგი ტ. ტაბიძის სიტყვებისა, რომ „საქართველოში ცა და მიწა არასოდეს არ გაყრილან“, ვ. გაფრინდაშვილთან ასე ყალიბდება: „პოეზია 1922 წელს მეტი სიხარულით და მაღლობით ესაღმება რეალურ ქვეყანას. პოეტები ბრუნდებიან ელისეს მინდვრებიდან, პოეზიის ელიზიუმიდან და როგორც ელევაზარი ითბობენ თავიანთ გაყინულ სხეულს სინამდვილის მზეზე. ეს არის დაბრუნება მიწასთან“.

„Memento Mori“ — წერს ვ. დაისელი — არის მგლოვიარე სიმღერა სათუთი სულის იმ „წუმპეზე“, რომელსაც მიწა ეწოდება... თუმცა მას ტ. გრანელის მისტიკური ხაზი საკუთარ შემოქმედებით აუცილებლობად არ გადაუქცევია. მისივე ჩანაწერებში ვკითხულობთ: „მყინვარის სისპეტაკე და სიმაღლე ქართული სი-

მაღლის და სისპეტაქის სიმბოლოა. ხილის გადებაა მიწასა და ცას „შორის“.

„სომნამბულების“ ჯგუფის განაცხადი პოეზიას „ქაცობრი-ობის სკეტაჟ მოთხოვნილებას“ უკავშირებს, როგორც „ყოველი არსის გულუბრყვილო ამოძახილს და ეპოქალურ ქარტეხილის ნერვს“.

იგივე ეპოქას „სომნამბულების“ განაცხადიდან ერთი წლით აღრე კონსტანტინე გამსახურდია „მითოსს მოკლებულ დროს“ უწოდებს, რომ „მწვავე ტკიფილები იხალი ღმერთის შობით უნდა იქნეს გამოსყიდული“.

„ახალი ღმერთის“ ძიების პარალელურად „ყანწელები“ ქმნიან „ახალ მითოლოგიას“ და ქართული მწერლობის ხაზს მითის ძიებას უკავშირებენ.

ვ. დაისელის პოეზიაშიც შემოდიან მითიური სახელები, წარ-სულის აჩრდილები და კონტრასტის წესით მონაცემებენ დაღუ-პული ვეფხვის მრავალმხრივ დაშიფრული სიმბოლო, პოვალიფისი და ნერონი, უცნობი ქალწული, ტიგროსის და ევფრატის მითიური ფესვები, ეფემერული ორეულების მასკარადი. „მიცურავს გული სურეილებში, როგორც კატარლა“ და ელოდება „მომავლის იმედე-ბის უცხო ანგელოსს“.

„მომავალი“, „გარდატეხა“, „განახლება“, „თვითმკვლელობა პოეზიაში“, „ბალაზინები ძველი მსოფლიოსთვის“ — ფიგური-რებს „სომნამბულების“ დეკლარაციაში.

ვ. დაისელის თანამედროვე ლიტერატურული გარემოც „რაღაც ახალის“ და „ნგრევის“ ენთუზიაზმით არის ნიშანდობლივი.

არის მოლოდინი შეუცნობელი აუცილებლობის.

ლ. ქიაჩელი: „თანამედროვე ეკროპის სული იმ საზღვრამდე არის მისული, რომლის აქეთ ამოწურულია ყოველი ,ხოლო იქით კი იწყება მეუფება შეუცნობელის უფსერულისა“.

გრ. რობაქიძე: „სამყარო ინგრევა. არის ნგრევა უაღრესად კოსმიური თუ მარტო ოდენ სოციალური, ეს ბოლოს და ბოლოს შეცნობის ინტენსივობის საკითხია“.

პ. იაშვილი: „ვადიდებთ დამსხვრევის მშევრიერებას“.

ვ. დაისელი: „ჩვენ გამოვალთ კბილებჩამტვრეული, დახავსე-ბული კულტურის ფრონტზე“...



მომავალი ხელოვნების ესთეტიკური იდეალი ვ. დაისელმა „ქართველობის ტერპლანეტარულ და უტოპიურ ხილვებს“ დაუკავშირა.

„სომნამბულები“ მოდიან ახალი ბგერებით — ვითხულობთ დეკლარაციაში — სახე იშლება ნულიდან. განდობა ფიქრადი ხედვის. პოეზია ითროლების, პოეზია სულის, პოეზია ყველაფერში, პოეზია — ადამიანი. სომნამბულური ხილვა გაონებული ყოფის, ფხისელი სიზმარი და ნატურადი სურვილების ესთეტიკური ფიქსაცია”...

ვ. დაისელის ლექსების მნიშვნელოვანი ნაწილი (არის გამოუქვეყნებელიც) რამდენიმე განსხვავდება ჭვეფური მანიფესტის მოთხოვნებისაგან. ნიშანდობლივია მანერული ტონით მკითხველთან დისტანციური საუბრის კულტურა:

.... მე მოქანცული და გადაცელილი
ყველაფერს ვეძახი — პლანეტების ცრემლი...
ბებერ მსოფლიოს სტკივა მუცელი...
მე თქვენ ვერ მხედავთ, სამწუხაროა.
თქვენ მოღუშული ქარში დადიხართ
და სიკვდილს ჰყიდით ქრიზანთუმებად...
უმანკოება მაინც კუბოა
მარადი ძილი წითელ სიზმარში...
სარკის ჩრდილების მოლურჯო წვიმა
სარკოფაგების ყვითელ თვალებში
ეს დინამიკაც უმოძრაოა
და უფერული წუთის გარეშე...
სიზმრების სკივრი, ვნების მარაო...
და ყველაფერი სასაცილოა
და მაინც საბრალო, საბრალო, საბრალო...
... ვინ დასოვლის წუთებს რომელიც იყო...“

ვ. დაისელის არქივში დაცულია რამდენიმე აფიშა, როგორც 20-იანი წლების თბილისის ლიტერატურული ცხოვრების კოლორიტები ფურცლები.

1925 წელი, 30 ივნისს რუსთაველის თეატრის პირდაპირ ქართველ ახალგაზრდა ხელოვანთა უურნალ „სომნამბულების“ სასარგებლოდ იმართება დიდი ესთეტიკური საღამო. სიტყვებით გამოდიან გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე კაპანელი.

1924 წელი. წითელი ორმიისა და ფლოტის სახლში იმართვებული იმიდი ლიტერატურული საღამო. მომხსენებელი — მიხეილ ჭავახიშვილი. გამოდიან: ვ. გაფრინდაშვილი, ი. გრიშაშვილი, ვ. დაისელი, გ. ლეონიძე, ტ. გრინელი, ქ. ნადირაძე, ტ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი...

აფიშები იუწყებიან, რომ ვ. დაისელი საჯარო დისპუტებით გამოდის სხვადასხვა ქალაქებში.... თემატიკა მრავალფეროვანია: „თანამედროვე ქართული ხელოვნების პროფილები“, „ხელოვნება, როგორც ასეთი“, „ფორმისა და შინაარსის პრობლემა“, „ქართული ხელოვნების მიღწევები“...

ვ. დაისელი ქართულ ლიტერატურაში წოვაციის ცდებს შეხვდა როგორც ისტორიულ გარღვევალობას.

სიმბოლიზმის „პირველი ხაზების გახსნა“ მიიღო, როგორც ზოგადად ნოვატორული, არაუცლტურგერული მომენტი და ორა „როგორც „პრიმატი“ როგორის რაზე“ (ტ. ტაბიძე) და თავის ჩანაწერებში ცისფერყანწელთა თეორიული სკოლა გარკვეულად გაითვალისწინა: „სიმბოლიზმის ჯადოსნური ცეცხლის აღი მოედო ძევლშიბლონურ პოეზიას. დაიწყო ჩეარი რენესანსის ხელოვნებისა, რომელზეც სწრაფი გაქანებით იბნევა ბრილიანტებით შემოსილი ლანდები და წითელი რაშების თეორი ზმანება. ამიერიდან ჩეენ აღარ შეგვაწუხებს ძევლი დახავსებული პოეზიის მკრთალი ფერები...“

მოდერნისტული ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი კითხვა: „ფორმა თუ შინაარსი?“ ვ. დაისელმა თავის ჩანაწერებში პუნქტურად ჩამოაყალიბა. სავარაუდოა, რომ ეს გახლავთ ფრაგმენტები დაქარგული ნაშრომის გეგმისა.

„ფორმის ხელოვნება... ფორმის პრიორიტეტი... ნაწარმოების ლირსება განისაზღვრება ფორმით... ლამაზია მხოლოდ ფორმა... სილამაზე ბუნებაში და სილამაზე ხელოვნებაში“...

ჩანაწერებში სილამაზის გაება ხშირად ფილოსოფიური ქვეტეებსტით იყითხება. მაგალითად, ბუნების მშვენიერის და ხელოვნების მშვენიერის დაპირისპირება. დაისელის აზრით „მშვენიერება ფორმაა“.

ამ აზრის მრავალწახნაგოვან გაებას, იდეის განსხვავებულად აგებულ კონსტრუქციას, საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით პოპულარულ შპენგლერის ესთეტიკასთან დაეძებნება პარალელი, სადაც სტილის გაება ფორმის გაებას უახლოვდება.

ଶବ୍ଦବିଦୀ ଏବଂ ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ ବ୍ୟାକୀୟା

ମାହିତୀକାରୀ 31 ପାତ୍ରମାର୍ଜଣ

ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନକାରୀ

ବ୍ୟାକୀୟାକାରୀଙ୍କ ପାଇଁଲିଖିବାକୁ
ପରିଚୟ

ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନକାରୀ

ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନକାରୀ

ପାଇଁଲିଖିବାକୁ
ପରିଚୟ

ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନକାରୀ

1924 ଫ୍ରେଡେରିକ୍ ବ୍ରାହ୍ମନଙ୍କ ପରିଚୟ

БАКИНСКИЙ ГРУЗИНСКИЙ ТЕАТР

Во вторник 31 января
устраивается 2-ой литературный
ПРОЩАЛЬНЫЙ ВЕЧЕР
поэта Грузии:

ВАНЛЕР ДАИСЕЛИ



В программе будет лекция на тему:

„Искусство и его задачи“

(Современное грузинское искусство).

Вопросы и прения по докладу

участие могут принять все из публики.

III Стихи

участвуют местные грузинские художественные силы.

Гость председатель вечера А. Дондоадзе.

Начало в 8 часов. • Билеты от 20 коп. до 1 руб. •

Редакторы Г. Чхани, А. Путкарадзе.

Справки № 677. Адрес: Тифлисский Т-р Трудящихся. Баку, Карабахская ул., 1.

Забележено въ съюзъюльскъ 1921 г.

„თუკი ხელოვნება კულტურის სიმბოლოა, მისი სულის მფლაჭარებია ანი გამოხატულებაა სტილი“ ო. შპენგლერი).

მოდერნისტთა შემოქმედებაში, უფრო მეტად კი მათ თეორიება და ტრაქტატებში, სილამაზე არ არის საგანში დაკონკრეტებული, არამედ ზეგრძნობითი, ტრანსალენტალური ფენომენის აბსტრაქტული ერთიანობაა.

როდესაც დაისელი სილამაზის ზოგად კატეგორიებზე ლაპარაკობს ხშირად მოიხსენიებს ოსკარ უაილდს: „უალდის თეორია, რომ ცხოვრებაზე ხელოვნება და ლიტერატურა ახდენს გავლენას“....

ვ. დაისელის პოემას „მზის სისხლი“ უალდის სიტყვები აქვს ეპიგრაფად: „ჩემთვის მშენებელება ეს სასწაულთა სახწაულია“...

დორიან გრეის სახელიც გრ. რობაქიძისადმი მიძღვნილ ლექსშიც არ უნდა იყოს შემთხვევითი:

„დღესაც წირვების კომანდორია
მოხუცი ზარი ძველი სიონის,
სწვავ პოეზიას და სანდომიანს
ქართულ სისხლსა და ექსპრესიონიზმს
გრიგოლ იყვარებ, როგორც დორიან...“

ვ. დაისელის ჩინაშერებში ვკითხულობთ: „ქართული სული ვარ ეგუება თეატრალობას“.

სპირიძესიროდ გავიხსენოთ ტ. ტაბიძე: „ქართველ კაცს უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების. ქართველ ხალხში ცხოვრობს უკვდავი ქრიორული სული. იმას უნდა მუდამ სხვა იყოს“.

დაისელის აზრით ქართული ისტორიული სინამდვილე თეატრთან მიმსგავსებულია ღრამატიზმით და უფრო ანტითეატრია.

„საქართველო თვით თეატრია, რომლის სცენაზე საუკუნეები თამაშობენ დაუსრულებელ ტრაგედიას... ქართული სული საუკუნეთა მანძილზე იცნობს ბრძოლის ესთეტიკას... „ფიცის“ ცერემონიალში ინთემებოდა ქართული სულის ესთეტიკური გაქანება...“

თეატრის სიმბოლური ხატი მოდერნისტულ ხელოვნებაში სხვად ქცევის, მარადიული განახლების სიმბოლოა.

თუკი თეატრის ცნებას ქართველი პოეტები წმინდა ეროვნულ

პროფესიულ ხედავდნენ, მაღარმესეული „ოცნებისა და სინმუშავების თატრი“ უფრო კოსმოპოლიტური ფენომენია, როცა შექსპირის დრამა კარგად ერგება „დღევანდელ მიზანს ცენტრს“. „ესაა პარიზის ატმოსფეროსათვის დამახასიათებელი აზროვნება, რომელშიც არსებობს ელევანტი და როგორც ფილოსოფოსის ენა იტყოდა, ფრანგული თეატრის დაბნეულობა“ (ს. მალარშე).

უფრნალ — „ H_2SO_4 “-ის აზრით, რაც თავისითვად ქართველ ფუტურისტთა პოზიციას გამოხატავს, „ქართული თეატრი არ არის თემა. საერთოდ თეატრი არსებული სტრუქტურით, წარმოადგენს ნილბების ნილაბს. ის სრულიად შორდება ცხოვრებას და იყეობს ნაბიჯს აბსტრაქციისაკენ. ამასთან, როგორც დახურულ მოვლენას, აქვს პრეტენზია სიმბოლიზმის პატენტისა... ამ გაცემით საზღვრავდა ევრეინოვი თეატრის და საერთოდ ნილბების მოვლენას. შემდეგ ეს გამეორა ტ. ტაბიძეშ, როდესაც მოინდომა სიმბოლიზმის თეატრალურ ფილოსოფიად გამოცხადება... ამ მტკიცებაში გამოაშვარვდა სრული გაუცემრობა თეატრის და ნილბის“...

ვ. დაისელის სტრიქონიც ოდნავ პათეტიურ, თეატრალურ უღერადობას მიიღებდა პიროვნული თვითმყოფადობის დაღით რომ არ იყოს დაცული:

„ვანლერ! გრძნობები პაშლეტებია,
ვანლერ! ლექსები ვეღარ გიძლებენ!“...

ვ. დაისელი: „ქართული სული ვერ ეგუება თეატრალობას“ — ეს გარეგნულად თითქოს ტ. ტაბიძის სიტყვების ანტითეზაა, მაგრამ ერთი და იგივე ქვეტექსტის მატარებელია. ამ გზით. ვ. დაისელი უახლოვდება არა ფუტურიზმს, არამედ სიმბოლიზმის ორიენტაციას, რადგან აქ მთავარი თეატრის არა კონკრეტული, არამედ სიმბოლურ-ალეგორიული კულტია, მარადიული განახლების სიმბოლო, სადაც ქართული სიტყვის განახლებისათვის გამოდიან „ოქროთი შემოსილი განახლების აქტიორები უსხივო ხალხის წინაშე“ (ვ. იაშვილი).

რაც შეეხება „სომნამბულიზმის“ თეორიებს, ამ ავანგარდისტული პოზიციადმი ვ. დაისელის დამკიდებულება ავტოირონიაში გამოიხატა: „თორმეტი მუხლი ჩვენი წესდების (იგულისხმება „სომნამბულების მანიფესტის 12 მუხლი) არის თორმეტი სახარება



მგლის თავზე“. ავტოირონიას თან ახლავს წინათვრნობაც: „დამატებით აუქციონი აზროვნების — შეიძინეთ თვითმკვლელობა, დავმარცხ-დებით უთუოდ“...

ევროპული ორიენტაცია ვ. დაისელის დღემდე გამოუქვეყნებელ ლიტერატურულ ჩანაწერებში ანალიტიკურ-ესეისტური ფორმით არის წარმოდგენილი:

„...XIX ს. ევროპაში ჩაისახა ლიტერატურული მიმდინარეობა — რომანტიზმი — მსოფლიო პესიმიზმი, მსოფლიო სევდა. რომ გავიგოთ რა არის რომანტიზმი, საჭიროა ვიცოდეთ ევროპის მდგომარეობა იმ დროს.

... ენციკლოპედიისტები ამბობენ, რომ გონების მიხედვით შეიძლება დავამყაროთ იდეალური საზოგადოებრივი ცხოვრება (რაციონალიზმი, განათლებული აბსოლუტიზმი)...

ევროპას რევოლუცია პირდებოდა ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, ვერც ერთმა, ვერც მეორემ იმედები ვერ გაამართლა.

სასტიქმა რეაქციამ, რომელიც რევოლუციას მოჰყვა, გამოიწვია ინდეფერენტიზმი პოლიტიკური და სოციალური საკითხების მიმართ. აღამიანის აზროვნება მიუბრუნდა შედარებით უმნიშვნელო საკითხებს და წმინდა ხელოვნებას.

ეინც დიდი გონების იყო, სრულ უიმედობას მიეცა. აქედან წარმოიშვა ორი ნაკადი: რომანტიზმი და პესიმიზმი.

მთავარი დამახასიათებელი რომანტიკული მსოფლმხედველობისა არის უკიდურესი სუბიექტივიზმი... აქედან გამომდინარეობს შეხედულება პოეტზე, მხატვრულ ფორმაზე, პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე...

პოეტი უნდა იყოს პოეტი და არა მეცნიერი... სინამდვილის შესწავლას რომანტიკოსები არ ასცნობდნენ. სინამდვილე იმდენად სწავლათ, რამდენადაც ის მათზე შთაბეჭდილებას ახდენდა, ქმნიდნენ პოეტურ წარმოდგენას ამ სინამდვილეზე... რელიგიაზე ბუნდოვანი წარმოდგენა პქონდათ. „რელიგია არის მსოფლიოს პასიური ჭვრეტა“ — ამბობდნენ ისინი. აქედან დაიწყო რეაქციონური კათოლიკიზმით გატაცება“.

(მოვკიანებით ვ. დაისელი გაიზიარებს რემი დე გურმონის მოსაზრებას, რომ „სიმბოლიზმი არის სახეშეცვლილი რომანტიზმი“).

მსოფლიო ლიტერატურის განვითარების მთლიანი ჯაჭვი, რო-

გორც ეროვნულ მწერლობისა და მსოფლშეგრძნებისათვის შემცირებული ლებლად გასავლელი გზა და მე-20 საუკუნის დასაწყისში თავიდან აღორძინებული „მესიანისტური იდეა“ („მესიანისტურ იდეას საბუთი არ სჭირდება. იგი ემყარება განსაკუთრებულობის რწმენას“). ა. ბაქრაძე), თანამედროვე ქართულ სინამდვილეში განსხვავებული ფორმით გადმონერგილ რენესანსულ იდეალებთან ერთად ვ. დაისელის ესთეტიკურ მიმღებას და მხატვრულ მეთოდს აყალიბებს, რაც მისი ორიგინალური პოეტიკით, ესეისტურ ჩანაწერებში კი სტილის კომპაქტურობათ და ინტელექტუალური ძიებებით გამოიხატა.

ფრაგმენტი გამოუქვეყნებელი წერილიდან დ. გურამიშვილზე: „დავითი ჩვენს მწერლობას ეცხადება „გურამიანით“, რომლითაც მოცემულია მისი პოეზია შემდეგი სახეობით: „ეროვნულ-დიდაქტიკური, ისტორიული, აეტობიოგრაფიული, რელიგიური. აქ გამოცხადებულია მისი მხატვრული გზნება და პოეტიკა. მასში ბევრია ორიგინალური სინოყვრის და ქმედითი სიცოცხლე, საქართველოს ისტორიულად ნამდვილი სახე...“

სწავლა მოსწავლეთა, სწავლა და უსწავლელობა და სახეები... აქ ერთგვარი ფილოსოფიური განხედვაც არის ნიცვეს ანალებივით... შემდეგ რელიგიური ხასიათის პოეზია... დავითს აწვალებს რელიგიური ფანატიზმი და მისტიკა... ლექსის ტექნიკა და ენა იშვიათად მხატვრულია. არ არის არც მხოლოდ რელიგია და არც მხოლოდ დიდაქტიკა. აქ შეიძა ხელოვნებასთან გვაქვს საქმე“.

ქართული ლიტერატურის განვითარების ფონზე ვ. დაისელი უკიდურესი კატეგორიულობით, კრიტიკულად უდგება თანამედროვე მწერლობის პოტენციალურ შესაძლებლობებს:

„არა სიმბოლიზმი, არა პესიმიზმი, არა ფუტურიზმი ანუ აბსტრაქციონიზმი!—აცხადებს ვ. დაისელი — სასფლაო მორწყულია დეზინფექციური სითხით H_2SO_4 , პროფესიული ბითუროლოგია და ლეშები, სპეციების ყავახანა „ცისფერი ყანწები“ და ლანარჩენი წვრილფეხა „პოეტები“, „პოეტების“ სახარაზო სახელოსნო — პროლემაფია. მუშკორები კერ შექმნიან პროლეტარულ კულტურას...ყველა ხლამი და დომხალი არ შეიძლება მივიღოთ პროლეტარულ პოეზიად“...

ამ განცხადებიდან ძალან ცოტა ხნის შერე ვ. დაისელი გამო-

ცხადდება „დეზინფორმატორად“. მის „დაღუპულ ვეფხეის ბატყებულისადში“ კი მავნე ნაციონალისტურ იდეებს დაინახავენ და იწყება პოეტის განსხვავებული და ხანმოქლე ცხოვრება.

... 1930 წელი. წერილი არხანგელსკიდან. ტერენტი გრანელს: „მე სამშობლოდან მომქონდა აუწერელი წამება, მძიმე გრძნობა და მწვავე განცდები, გადასახლებით გამოწვეული, არა მარტო გადასახლებით, არამედ ჩვენი ქართული სინამდვილის წვდომით, ამ ნიაღავთან ვრგვნობდი გულს გაერთიანებულს და ტკივილი ამ დიდი საგნის ჩემშიდაც იწვევდა ყოველთვის ტკივილს“...

ეს მარადი ტკივილი გამორჩეულად ორგანული იყო ვ. დაისელის პოეზიისთვის:

„... დგება ღამეების ისევ შავი წვიმა,
სადაც სიყვარულში გული დაისილა,
დედა-საქართველო, მსხვერპლად შეიწირე
მზეში შეღებილი ვანლერ დაისელი...

ლიტერატურის ისტორიას შემორჩია პოეტის უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული წიგნები: „მზის სისხლი“, „გული და დლეები“, „ლივილლა“, „გუშინ და ხვალ“, რაც მუზეუმში დაცულ ვრცელ არქივთან ერთად არსებითად მნიშვნელოვანი ფასეულობის — ვანლერ დაისელის შემოქმედების წინაშე გვაყინებს...

ქვემოთ ვძეჭდავთ კონსტანტინე გამსახურდიას უცნობ წერილს ვანლერ დაისელისადმი. (კ. გამსახურდიას და ვ. დაისელის სახელები ამ წერილის დაწერილან რამდენიმე წლის შემდეგ ისევ შეხვებიან ერთმანეთს, როდესაც „ღამეერელური გაზეთი“ ბიბლიოთეკების წმენდაშე აღიმაღლებს ხმას. გაზეთი კატეგორიულად მოითხოვს სხვა წიგნებთან ერთად ბიბლიოთეკებიდან ამოიღონ „დიონისოს ღიმილი“, !„ვიღაც კალმის მოყვარულის „ლივილლა“ და „გუშინ და ხვალ“...).

„უცნობო მეგობარო! თფილისი, 1926, იანვარი.

თქვენი წრფელი გრძნობით გაუღენთილი ბარათისათვის დიდი მაღლობა.

მე უკვე სამიოდე წელია, რაც სივსებით გადავეჩვივ კერძო ბარათების წერას. ამიტომაც დიღხანს კერძო ბარათი,

განსაკუთრებით, როგორც თქვენი წერილი იყო, ეს პოეტური ნაწარმოებია თავისთავად და სეთი რამის დაწერას სათანადო განწყობილებაც უნდა. ორიოდე მეგობარი კიდევ დარჩენილი მყავს ეკროპაში; მაგრამ ამ გარემოების წყალობით მიწერ-მოწერა შეწყვეტილი მაქვს... თქვენ აღბათ შორეულად მაინც გეცოდინებათ, რომ დიდი მწუხარების ზონებში მიხდება სუნთქვა...

ისე გადიან თვეები, წლები, რომ ჩემს გულში ისევე იშეიათად ჩამოანათებს სიხარული, როგორც თქვენს საკანში სხივი ოქროვანი...

ცოდვაა ტუსალისთვის — ისიც პოეტური ბუნების ადამიანისათვის, ასეთი ბარათის მოწერა, მაგრამ მე არ შემიძლია გულწრფელობას ვუღალატო... გარწმუნებთ, მე პირადად ციხეში ძლიერ კარგად ვისვენებდი.

პარადოქსად ან პოზიორობად თუ არ ჩამოართმევთ, მე გეტყვით: ისე ულმერთოდ ვიტანები სიერცეებში ხეტიალით, რომ საპყრობილები ვკრძნობდი ერთგვარ დაოყებას. ან განა დიდის მასშტაბით აღებული მთელი ქვეყანა საპყრობილე არ არის? განა ჩეენი სული მატერიის რვალის ბრჭყალებში არ ჰქონავს?

მაგრამ ამ ცხოვრებას მცირეოდენი რეზიგნაცია ესაჭიროება და ჩვენ უნდა მოვიგონოთ, უკეთუ იგი არ მოგვეპოვება...

მე მგონია, ეს მცირეოდენი რეზიგნაცია ხელოვნებაშია დანთქმული... მაგრამ თქვენი თქმისა არ იყოს, ხელოვნება, როგორც ყოველივე პოეტობა ამ ქვეყანაზე უთუოდ ჯვარის ტვირთვაა, სულ ერთია, ეს საჭართველოში ისევე, როგორც მთელს ხმელეთზე.

ამ გოლგოთს მაყურებელი მრავალი ჰყავს, მაგრამ მასზე ამსვლელი ძლიერ ცოტა. მოხალისეები მას არ აკლია, მაგრამ თქვენიცით, მოხალისეებს არასოდეს მოუგიაო რმი.

ეს არის მთავარი, რომ შემოქმედმა დიდი ფლუიდები მწუხარების უნდა მიიღოს და შეისუნოქოს. აღბათ ეს ფლუიდები ჩვენს არსებაში მოთავსებულ „ქიმიურ ლაბორატორიაში“ გადაღნება და მისი შორეული არილი იძლევა სიხარულის უკულმა გადამტყდარ სხივებს: ამიტომაც არ მებრალებით, რომ ამ მწუხარების მიღება გჭირიათ, რომ ხელოვნების ქურუმად ემზადებით, როგორც სჩანს...

ახლა, რაც შეეხება „დიონისოს ღიმილის“ კინორომანად გადაეკოებას. მეც მგონია, რომ ეს რომანი კინოსთვის გამოსაღვი იქ-

ნება... თქვენ დასწერეთ სცენარი და მე მოველაპარაკები ალ. წერ-
წუნავას, თქვენგან ნახსენებ რეჟისორს. მე მას არ ვიცნობ. თუ
საჭირო იქნება, მოველაპარაკები. მთავარია, სცენარის დაწერა.
დანარჩენები მე ჩაც შემეძლება, ყველაფერს ვცდი. მიიღეთ ჩვენგან
მაღლობა ასეთი დიდი და წრფელი თანაგრძნობისათის.

თავმი კოსტანტინი გამაზრდია”.

ვლადიმერ გაჩაბდის არჩივიდან

(1951—1977)

„ის, რაც განადგურდა, არ განმეორდება და რაც განმეორდა, არ განადგურდება“... (ვ. მაჩაიძე).

ის რაციონალური ხაზი, რომელსაც ოცდაოთხი წლის ვლადიმერ მაჩაიძე გვთავაზობს, ჯერ კიდევ თოთქმის ინტუიციურ დონეზე მდგომი, ბოლომდე გაუთვითცნობიერებელი ემოციური მოდელია, რაც მას და მის გარშემო არსებულს ერთ განხომილებაში აქციას და ჟურალი შესაძლო ჭეშმარიტება ერთ სუბიექტურ ჭეშმარიტებამდე დაჰყავს...

... და შენი სახის დარღვეული პროპორციები,
 ვით შენი სულის შერყეული წონასწორობა,
 გულწრფელი ფერი უსასრულო შარიანდედად
 გადადიოდა მცენარეთა უკვდავებაში —
 — იქიდან ლექსში...

ასე თანდათან იკეთება გზის ნამდვილი და სწორი დასაწყისი — საკუთარი არსებობიდან გადასვლა საგანთა არსში, რომლებიც შემდგომ შემეცნების და განხოგადების ობიექტები ხდებიან. ეს გზა, რომელიც ბუნებრივად და აგრეთვე რთულად დაიწყო, გაუთვალისწინებელ წინააღმდეგობებს წააწყდა:

საშინელია — ანგელოზის გინდოდა თარგმნა
 და კეთილი სატანა თარგმნე...

„არ არსებობს წამი, რომლის შეჩერება გულით გინდოდეს. თვითონ სიკედილი არ არსებობს და დახატვა მისი, ამ ლექსის დახატვას ნიშნავს:

ჩემო პეპლების მაღევარო პატარა ბიჭო,
რომელ იდუმალ ქვეყანაში შესდიე პეპლებს...

(ქ ვ. მაჩიძეს გაუხსენებია მეოთვრამეტე საუკნის იაპონელი პოეტი ქალის ტი-იონის სტრიქონები).

ჩანაწერები ვ. მაჩიძის არქივიდან და ლექსები, რომელსაც „საკუთარი სულის თარიღებს“ უწოდებს, ტრაგიული ბედის კომპონენტის — პათოსის გარეშეა დაწერილი. არსებული ტრაგიზმი კი დიდი სულიერი ენერგიით გაწონასწორებული, უკიდურეს ფორმებსაც პოულობს და ჯერ დაუძლეველ სირთულეს და სრულ-ყოფილებას დიდი შინაგანი დაბაბულობით უახლოვდება.

„გაბედვა კაღნიერებას გაუთანაბრდება, ამ უცაბედი აზრების სათაურად „ფიქრები ხელოვნებაზე“ რომ ვახსენო. „ყოველმა ადამიანმა უნდა იფიქროს თავისი „ფიქრები ხელოვნებაზე“... ადამიანის აზრი — ეს უკვე მშევნიერებაა... მითუმეტეს მშევნიერი აზრი...“

აზრის დახატვა კი შეუძლებელია... აზრი ხატია, ორიგინალია და მისი რეპროდუქცია წმინდა გრძნობების შეურაცხყოფაა... არტისტიზმი? არტისტიზმი ქანდაკების საფლავზე დაგდებული ყვავილია, რომელიც კვდება უხმოდ, უცრემლოდ, უშიშრიად“...

შინაგანი არტისტიზმი ვლადიმერ მაჩიძის პოეტურ სამყაროში ზომიერ, უსამარტინო ფორმებს ლებულობს, იმ სამყაროში, სადაც მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „არასდროს იტანჯებიან საპარადო ფორმით საგნები“.

„ნუ მივცემთ სიყვარულს ფორმას, უფორმობაა ძალის უმაღლესი გამოვლინება, ცვალებადობაა მისი კეშმარიტი სახე... ძალა კი ნამდვილი სიყვარულის ძალა, თვითონვეა ერთადერთი ფორმა ბედნიერების, რომელიც ასე მემეტება თქვენთვის...“

„... და არის წესრიგი ქაოსის უყუნი
და უწესრიგობა მისი დაშინება“...

რა არის წესრიგი ან უწესრიგობა; სად მთავრდება ქაოსი და სად იწყება ფორმა, თუ ქაოსშიც კონკრეტული ფორმაა ნაგულისხმები, რა მანძილია „იმ დასასრულიდან ამ დასასრულამდე“ — ამ კითხვებს ახალგაზრდა პოეტის დაბნეული და დაძაბული მხერა აუღებელ კედელთან მიჰყავს, „სად დალურსმული სარკმლები არ იღებიან“.

„ბედნიერებს ხელოვნება არ ესაჭიროებათ“, — მიაწერს შემდგომ თავის უსისტემო ჩანაწერებს ც. მაჩაიძე. იქვე ვკითხულობთ: „რა არის სინდისი?...“ და საილუსტრაციოდ მოყვანილია მაგალითები. თუ როგორი ქვეტექსტით უარყვეს სინდისის ცნება ნიცშემდა ფრონტი... „სინდისის წარმოშობამდე არსებობდა მხოლოდ ქვეცნობიერი. სინდისი გახდა ცნობიერების მიზეზი და დაიცვა კიდეც იგი ქვეცნობიერების თავდასხმისაგან. მსოფლიო გონის განვითარება ცნობიერების განვითარებაა.

სინდისი სიკვდილიას შიშის ნიადაგზე აღმოცენდა. პირველ მკვლელობამდე სიკვდილი ჩვეულებრივი მოვლენა იყო: როგორც დაბადება ან ცხოვრება. არ არსებობდა არავითარი შიში და არა მარტო შიში, არამედ თვით სიკვდილიც. პირველი მკვლელია ფაქტოურად სიკვდილის შემქმნელი (შემოქმედი). მოკვლის შიში სიკვდილის შიშად იქცა და აიძულა მკვლელები (ძმები) მოევონებინათ თავდაცვის შემდეგი საშუალება: არ შეიძლება მკვლელობა და არც ის, რაც მკვლელობას იწვევს — ეს არის ზუსტად სინდისი.

აერძალვამ დანაშაულის გრძნობა ანუ ცოდვა დატოვა მტანგველად, რომლისგანაც თავის დასაღწევად მონანიება იყო საჭირო. მონანიება კი უკვე რელიგიის ერთ-ერთი საფუძველია და გააღმერთეს (ჩემი აზრით) არა მოკლული მამა, არამედ ის ღრო, როდესაც დანაშაული და სიკვდილის შიში არ არსებობდა.

ამ ღროს ქვეცნობიერი მოქმედებდა და იწვევდა დანაშაულს, რადგან სინდისის ზენობრივი საფუძველი არ გააჩნდა და მხოლოდ შიშზე იყო დაფუძნებული.

დროთა განმავლობაში ადამიანებმა სინდისი შეიყვარეს და როგორაც მიხვდნენ — ქვეცნობიერი იწვევდა მკვლელობას ანუ სიკვდილს. სინდისი და რელიგია აყვავდა და მივიღეთ მათი განვითარების უმაღლესი ფორმა — სახელმწიფო, საზოგადოება, სადაც კანონები მათზეა დაყრდნობილი.

მაგრამ პიტლერიც ხშირად იდგა მხსნელის პოზში... რაც უფრო იყიდებდა ტეხს სინდისი ადამიანებში, იმდენად ძლიერდებოდა ბრძოლა ცნობიერს და ქვეცნობიერს შორის, რაც ომების სახით გამოვლინდა, რადგან სხვადასხვა საზოგადოებაში სინდისის სხვადასხვა გაგებები შეიქმნა. ასე გაიარა ადამიანმა მრავალი ფორმა-ცია და მოვიდა დღემდე, ოღონდ ძალიან შერყეული ფსიქიკით.

ფრონტიდმა სცადა ეს ყველაფერი აეხსნა და კაცობრიობა განწი-

რულად ჩათვალა. ფრთხილმა ინდივიდუები განკურნა და ნორმალური საზოგადოება დაავალყოფა...

კაცობრიობა განწირული არ არის.

ფსიქოანალიტიური მეთოდის საშუალებით ქვეცნობიერი განიჭინდება დამღუპველი ფსიქიკური ენერგიის მქონე იმპულსებისაგან. ცენზორი მიიღებს ამ იმპულსებს, განმუხტავს და გაატარებს ცნობიერებაში ჩეცულებრივი ბუნებრივი იდეაბის სახით. ასე ნელ-ნელა დაიცლება ქვეცნობიერი იმპულსებისგან და ბოლოს მოისპობა კიდევ. დაბრუნდება დაკარგული მთლიანობა, სადაც ისე გაეცემულ სინდისს ადგილი არ ექნება. ე. ი. ქვეცნობიერი მთლიანობა, იქცევა ცნობიერ მთლიანობად...

პირველყოფილი მდგომარეობა შეცნობადი კონების ბეჭინიერება იყო — ეს კი შეცნობადი გონებისაა და შეცნობა ხომ ისედაც დიდი ბეჭინიერებაა, მითუმეტეს ბეჭინიერების შეცნობა ეს იქნება ხანა, როდესაც ადამიანი იმ პირველ ხანას — ბავშვობაში ჩადენილ სისულეელესვით სიამოვნებით მოიგონებს...


კაცობრიობას სჭირდება ფსიქოანალიტიკოსი!“

ვ. მაჩაიძის სულიერი ენერგია მთლიანად რწმენისაცენ იყო მიმირთული. ურწმუნობა პრიმიტიულობის ერთ-ერთ გამოხატულებად მიაჩნდა. წერდა: „მე ისიც არ მწამს, რომ არ მწამს“...

„სახის დარღვეული პროპორციები“ და ტკივილების ფასად გასვლა საკუთარი თავიდან იმედის შერყეულ, მაგრამ მუდმივ განცდას ითავსებდა: „და თრთის, როგორც რეკლამების წყება, გადარჩნას შეჩვეული ფიქრი“...

თუ რა გადარჩნა იგულისხმება კონკრეტულად, ლექსების ფონზეა უფრო ადვილად სახილველი, სადაც პოეტი თავს უფრო თავისუფალი სხვა რეალობაში გრძნობს, სიმბოლურ რეალობაში, აქ საგნები უფრო დიდი სიზუსტით უახლოვდებიან თავის ნამდვილ მნიშვნელობას.

ვ. მაჩაიძის აზროვნების ფორმა გამორიცხვის წესია. ესთეტიკური სისტემა ნაწილობრივ ჩამოუყალიბებელი, ფრაზა გამოკვათილი, ზუსტი. გამოხატვის საშუალებები მაქსიმალურად ლაგონური, იშვიათად ხმარობს პუნქტუაციურ თუ აზრობრივ მრავალწერტილს. ცლილობს მოიტანოს გარკვეული მთლიანობა და ერთი უკიდურესობიდან მეორეზე გადაიტანოს. დაპირისპირების მეთოდით სურს დაიცვას გარკვეული სიზუსტე. არ ტოვებს ადგილს



ՅԼԱՇՈՅԵՐ ԹԱՔԻՆԾԵ (Ճաճալութելու 1975 դ.)

ჟუქოვის, მოღუნებული კონტაქტებისათვის, რასაც „მრავალ-წერტილის მოჩვენებით თავისუფლებას“ უწოდებს.

ვლადიმერ მაჩაიძე არ მოსულა „თავისი ბავშვობიდან“, რომ ბიოგრაფიული ბუნდოვანება ბავშვური სახის ნაკვთების გაურკვევლობას მივაწეროთ. პირიქით, მისი ზედმეტი კატეგორიულობაც ასაკისთვის შეუფერებელ შემგუებლობას და თვითგვემას ითავსებს:

„კეშმარიტება საშინელი უცნობია... ადამიანი ჟი ვინც თვით-მკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს, დაბადებით თვითმკვლე-ლია“...

სულიერი და ფიზიური სიკვდილის პოლოგია, ხშირად მოულოდნელი და უპანიკოდ გათავისებული, წამყვანი თემაა ვ. მაჩაიძის შემოქმედებაში.

„ხელოვნება თავისი სურვილით ადის კოცონზე. კოცონი კი უმაღლესი სახეა ხელოვნების. ნუთუ ცეცხლის წამკიდებელი აუცი-ლებულია. ნუთუ საჭიროა ტერენტი გრანელიეით საკუთარმა აღმა დაგწვას? თუ ყალაფერ ამაში უამის ეჭვანის დამტინავი უინია მხოლოდ და ეს ცხოვრება განსხვისებაა — დედინაცვალია თავიდან პოვნის სიხარულის! ნუთუ მეც ამიტომ ვწერ?“...

ვ. მაჩაიძე თავის შემოქმედებაში რამდენიმეჯერ მოიხსენიებს ტერენტი გრანელს. თუმცა ამ უკანასკნელის კლასიკურ პარმონიასთან, მისტიური სიმშვიდით გაჭერებულ ტკიცილთან მხოლოდ დაუინებული კითხვა „რაღაც მესამის“ შესახებ აკავშირებს.

ამ პერიოდი, იმ პერიოდ ძალა იცვლეს *

უწინდელ დროში აქ ძველი საქართველო ყოფილა და ძველი ჰერთი. სულ პირვენდელ ქართველებს აქ უცხოვრიათ. ისინი თვრა-
 მეტი ძმანი ყოფილნ. ეს ადგილი ედემის ბალივით ლამაზი ყოფი-
 ლა. მუდმივად, ზემთარ-ზაფხულ ჰყვაოდა თურმე... რა ნადირი,
 რა ფრინველი გინდოდა, რომ შიგ არ იყო. ძვირფასი წყაროები
 მოჩამის მოჩამის — თუ გინდოდა, ცივი, თუ გინდ თბი-
 ლი. მტერს ქართველების კარგი ცხოვრება შეშურებია და მის
 ამოსაგდებად ჯარი გამოუგზავნია. ჯარს ეს ქვეყანა აუკლია, ხალ-
 ხი დაუხოცია. ვინც გადარჩენილა, ცოცხლად დაუმარხავს. ფრინვე-
 ლი და ნადირი ამოუწყვეტია, ტყე გაუკაფავს, ძვირფასი წყარო-
 ები დაუშრია.

თერამეტი ძმიდან ერთი წყება ძმები გაქცეულან და იქ, სადაც
 ახლა საქართველოა, ახალი ჰერთი აუშენებიათ. თავისი ქვეყანა
 ოთხივ კუთხით ჯებირებით შემოუფარგლეთ ისე, რომ შიგ ჩიტიც

* როგორც ლიტერატურის მუზეუმში, ისე აკადემიასა, უნივერსიტეტსა და
 სახ. ბიბლიოთეკაში, ასევე, ქართული ხალხური შემოქმედების ტრადიციებში
 მასალების გაცნობამ დაეკარტშენა, რომ ინგილოზი იქმულებები და ლავან-
 დები (ალარ ვლაპარაზობ უკვე პოზიციას და მუსიკალურ ფოლკლორზე), ძა-
 ლიან ცოტა გადარჩენილა. ინგილო ხალხს იმ უმძიმესი ტრაგელის შეღებად,
 რომელსაც მან ძირითადად მერკიოდემეტე საუკნიდან მოყოლებული, ველარ
 დაალწია თავი, ალარ შერჩა ძალა თავისი შწუხარება და ტკიცილი პოეზიის ან-
 სილერის ენით გამოიხატა. მით უფრო მეტი ფასი ედება ამ ჩანაწერებს. აქ
 ძირითადად, მხოლოდ ლეგენდები და გადმოცემებია; ისიც ძალიან ძუნწად. ამ
 ლეგენდებიდან და გადმოცემებიდან ზოგი მათგანი შესაძლოა მკითხველისათვეს
 ნაცნობი იყოს. შესაძლოა ისინა ზ. ედილისა და მ. ჯანაშვილის წიგნებშიც წა-
 უკითხავთ; მაგრამ ეს წიგნები უკვე კრეგა ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა
 ქცეული... ხოლო, სინგილოსადმი ინტერესი თანდაონ ისრდება. მიტონ,
 უფრინობთ, მათი ისევ გამოქვეყნება არა მხოლოდ შესაძლებელი, აუცილუ-
 ლიცაა.

ვერ ჩაფრინდებოდა. ამ ძმებიდან ერთი ვერ გაქცეულა და ტყუშებული დამალულა. ომი გათავებულა, შემდეგ გამოსულა. იმისათვის მტერს ხელი არ უხლია და მორჩულებული — „პენგილავ“ უწოდებია. შემდეგ ის გამრავლებულა და თავისი ქვეყნისათვის — ღუნიასათვის — საინგილო უწოდებია. იმ ახალ პერეთსა და ძველ პერეთს შორის მუდამ ტკბილი ძმობა ყოფილა. იმ პერეთის მეფეები ომში წასულისას გზად მუდამ ამ პერეთზე გამოივლიდნენ. თავის უფროს ძმას ნახავდნენ და თავს დაალოცვინებდნენ. იმ პერეთ, ამ პერეთ ხალხები ჭირსა და ლხინში მუდამ ერთად იყვნეს, ძმებ იყვნეს.

ინგლისური თქმულება

საინილო და ინილოური ფოლკლორი ალექსანდრა ჩხერიძეს ჩანაწერიშვილი

როცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
მოცეი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფნა,
მამა-პატური სული, გული მომადლე შვილსა.

ილია ჭავჭავაძე

არც თუ ისე ხშირად, მაგრამ ზოგჯერ მაინც, როცა წიგნის
მაღაზიაში ჩვენთვის უცნობის ადამიანების შესახებ პატარა მონო-
გრაფები ჩნდება, უმეტესწილად, გულგრილად შევაულებთ თვალს
და არც გადავშლით.

ამ ადამიანებს კი დიდი საქვეყნო საქმე უკეთებიათ... უკეთე-
ბიათ უპრეტენზიოლ, უანგაროდ — უღვაწიათ, უშრომიათ, მრავა-
ლი ტკივილი და დარდი შეუგრძენიათ, მრავალი რამ გადაურჩნიათ.

მაგრამ მხოლოდ მონოგრაფიები? მათ შესახებ უამრავი მასალა
ინახება ჩვენს ინსტიტუტებსა და მუზეუმებში, მაგრამ იშვიათად,
რომ ვინმე უცნობი ადამიანის ცხოვრებამ დააინტერესოს. ეს მასა-
ლები კი ელიან თავიანთ მყვალევარს, პატრონს, მოამაგეს. ისინი
იმსახურებენ ამას. ყოველივე ეს ხომ ჩვენი ქვეყნის წარსულის
ფურცლებია — მართალი, კეთილი, ერთგული...

ბევრი ასეთი ნაშრომი ინახება გიორგი ლეონიძის სახელობის
საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის მდიდარ
ფონდში. ერთ-ერთი ასეთი უსათუოდ საინტერესო და საყურადღე-
ბო ალექსანდრა ჩხერიძის არქივია.

ალექსანდრა ჩხერიძე გახლდათ იმ მოლევაწეთაგანი, რომელთა
ცხოვრების გაცნობა ჩვენში უსათუოდ პატივისცემას იწვევს. იგი
იყო მწერალიც, უურნალისტიც, პედაგოგიც. წლების მანძილზე
მუშაობდა ქართულ უურნალ-გაზეთებში, ბეჭდავდა მოთხოვნებს,
კორესპონდენციებს, სტატიებს... მშობლიურ ენასა და ლიტერა-
ტურას ასწავლიდა ბავშვებს — ჯერ გორის რაიონში, შემდეგ სა-
ინგილოში. როგორც მისი ჩანაწერებიდან ვგებულობთ, თავისი
ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდად აღ. ჩხერიძეს
სწორედ საინგილოში მოღვაწეობის წლები მიაჩნდა.

„მე ბედნიერება მქონდა კუოფილიყავი ამ კუთხეში ქართული სამართლია
ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ომის წლებში, როდესაც
ხელისუფლებამ მიგვაცილინა აյ მასწავლებლები ქართულ სკოლაში
სამუშაოდ. ინგილო ხალხის მდიდარი წარსულის შესწავლამ, მათ
სულიერ სამყაროზე და კუფა-ცხოვრებაზე დაკვირვებამ შთამაგო-
ნა დამეწერა რამდენიმე მოთხრობა“ — წერს იგი. ეს მოთხრობები,
რა თქმა უნდა, საინტერესოა. მათში ასახულია ინგილო ხალხის
კუფა-ცხოვრება, ხასიათი, სული, მაგრამ ამჯერად გვინდა, შეძლე-
ბისდაგვარად, ჩავიხედოთ მისი ცხოვრების წიგნში და იმ დიდ
ღვაწლზე მოვითხოოთ, რომლითაც ალექსანდრა ჩხერიელმა საქართ-
ველოს შემოუნახა ინგილოური თქმულებები და გადმოცემები.

საინგილოს ისტორია, მისი მდებარეობა, ტაძრები, მდინარეები,
ეთნოგრაფიული კუფა, ფოლკლორი, თუ სხვა მრავალი,, სხვებსაც
რამდენჯერმე აუწერიათ, რომელთა შორის პირველ რიგში, მოსე
ჭანაშვილი, ზაქარია ედილი, ნიკო ნადირაშვილი, კოტე ტარტარა-
შვილი და კილვე სხვანი უნდა გახსენოთ. ფასდაუდებულია მათი
ღვაწლი ამ კუთხის წინაშე. რაც შეეხება ალექსანდრა ჩხერიელს,
მისი ჩანაწერები ხშირად ლიტერატურულადაა გადამუშავებული.
(ეს სხვებთანაც შეინიშნება). ამის მთავარი მიზეზი, აღბათ,
ინგილოური დიალექტია, რომლიდანაც თარგმნის დროს, რო-
გორც ჩანს, მისი პირველყოფილი მეტყველების თავისებურება
დირლვეულა. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც არ ჰქარგავენ მიმ-
ზიდველობას და აუმეტესად, თვისი თხრობის ხასიათით სინამდვი-
ლეში მომხდარი, ცოცხალი, ნამდვილი ამბის შთაბეჭდილებას ტო-
ვებენ.

თითქმის ყველა სოფელს, სადაც კი ამ ჩანაწერების ავტორი
კუფილა მძიმე ნაკრილობებედა პქნენდა შემორჩენილი მტრისაგან
მიყენებული მოუშუშარი ტკივილი. ეს ზოგჯერ თვით სოფლის სა-
ხელში გამოხატულა, ზოგჯერ ციხე-ტაძართა ნანგრევებში მთვლე-
მარე ლეგენდებში, ზოგჯერ — ხალხში დარჩენილ გადმოცემებში.

ალათემური, ლალაფაშა, ემურჯანლო იმ მტრის სარდლების
სახელები კუფილა, რომელთაც დიდი „ღვაწლი“ მიუძლოდათ ამ
კუთხის დაქცევაში. ეს მათი სახსოვარია. სადაც ისინი დაიბანა-
კებდნენ, იმ ადგილს მათი სახელი ერქმეოდა.

ალათემური... ამ სოფლის მევიდრნი მწუხარებით უამბობდნენ
ა. ჩხერიელს: „ჩვენ ყველანი ქართველები ვართ, მაგრამ მტერმა

ძალით დაგვაკარგია საჩტმუნოება. ნამდვილად კი ქრისტეს ჯიგამართია
ლისა ვიყავით. ოღდგომას, შობას, ჩუმად ვითენებდით. ამისათვის
ჩეენ გვქონდა წმიდა აღგილები ამონქებული დაბურულ ტყეში
და იქ მიცულოცავდით ერთმანეთს დღესასწაულს. იქ ვეტყოდით:
„ქრისტე აღდგა“. იქვე ვაწყობდით გეგმებს, თუ როგორ უნდა
დავსხმოდით მტერს თავზე. ამ აღგილებს წმიდა აღგილებს ვუწო-
დებდით და იქიდან არავის შეეძლო რამეს გამოტანა. თუ ღობე
დაირღვეოდა, მივიღოდით და უჩიმრად შევაკეთებდით“.

მაგრამ ღრმო თავისი ქნა და ამჭერად საინგილოში მხოლოდ
რამდენიმე ქართული სოფელია დარჩენილი. ეს სოფლები საინგი-
ლოს სამ — კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებშია გაფან-
ტული.

კახიდან რომ აღმოსავლეთით წახვიდეთ, ექვსიოდე კილომეტრის
მანძილზე მიხვალთ ერთ პატარა სოფელში. ამ სოფელს ელისუს
უწოდებენ. იგი გაშენებულია მთის ძირას, მდინარე ქურმუხის
ვიწრო ხეობაში.

სველად ამ სოფელში ცხოვრობდნენ ქრისტიანი ქართველები.
ახლა იგი დაღესტნის ლეკებითა და მაპმადიანი ქართველებითაა
დასახლებული. აქევე არის კლდეში გამოჭრილი მაღალი ხიდი, —
ქვის თაღიანი, უბურჯო. ქვეშ ღრიალით გადმოჰქმდება მდინარე
ქურმუხი. გადმოცემით, ეს ხიდი აუშენებია თამარ მეფეს. მას თა-
მარის ხიდს უწოდებენ.

სოფელი ელისუ საინგილოს სულთნების სატახტო სოფელი
იყო.

აი, როგორი თქმულება ჩაუშერია ა. ჩეენკელს ამ სოფლის წარ-
სულიდან: „დაახლოებით სამნახვარი საუკუნის წინ ამ სოფელში
ცხოვრობდა საინგილოს სულთანი ალიბეგ ვახვახიშვილი. როდე-
საც სპარსეთის მბრძანებელს შაპ-აბაზს განუზრახავს საქართვე-
ლოს დაბურობა-დამონება, ვახვახიშვილი წარმდგარა მის წინშე,
მიუღია მაპმადიანური საჩტმუნოება, შაპ-აბაზისთვის ერთგულება
შეუფიცავს და დახმარება აღუთქვამს. შაპ-აბაზს მისთვის სულთ-
ნობა უბოძებია. ამის შემდეგ სპარსეთის ჯარი ზედიზედ ორგერ
შემოსევია საქართველოს. ქართველი ხალხი მეტობით დახვერდ-
რია მტრის ლაშქარს, მაგრამ რას გააწყობდა, როდესაც იგი ათ-
ვერ და ოცჯერ ჭარბობდა ქართველებისას.“

თავდაპირველად მტრის ლაშქარი, როგორც სანაპირო ქვეყანას,

გაღმა მხარეს — საინგილოს დატაცებია, ხალხი ამოუწყვეტია, სოფელი გადაუწვევს... ვინც გადარჩენილა, სპარსეთში — გალანს, მაზარდარანს და სხვა აღგილებში გადაუსახლებია.

მაშინ განადგურუბულა გაღმა მხარის ისეთი დიდი, ხალხმრავალი სოფლები, როგორიც იყო ლოქართი, ჯინიხი, კატეხი, ფიფინეთი და სხვა მრავალი. ამის შემდეგ მტრის ჯარს ადვილად გაუკვლევია გზა კახეთისა და ქართლისაკენ. ალიბეგ ვახვახიშვილი ამ ომის დროს მტრის ჯარებში ერია და მუსრს აკლებდა ქართველ ხალხს.

ომი რომ დამთაერებულა და სპარსელების ჯარი უკან გაბრუნებულა, საინგილოს მიწა-წყალზე ძქა-იქ კვლავ გამოჩენილან ლანდადქცული ადამიანები, რომელთაც ომის დროს უძლურების გამო ტყისთვის შეუფარებით თავი. შაპ-აბაზის ხანები ამ ადამიანებს სიკვდილით სჭიდნენ, თუ ისინი არ მიიღებდნენ მაპმადიანურ რჯულს. სიკვდილის შიშით შეპყრობილი ზოგი მათგანი მართლაც გადადიოდა მტრის სარწმუნოებაზე.

ქართველ ხალხს მოღალატე ალიბეგ ვახვახიშვილის დასჯა სწყუროდა და ამისათვის შესაფერის დროს ელოდა. ეს დროც დადგა. მოკვდა თუ არა ირანის ბბრძანებელი — ვერავი შაპ-აბაზი, ხალხმა გადაწყვიტა შური ეძია ვახვახიშვილზე. ამ მიზნით მეცე თეომურაზმა შეპყარა მცირე რაზმი და გაგზავნა საინგილოში. რაზმის ხელმძღვანელობა ზურაბ ერისთვეს მიანდო. მაგრამ არც ისე იოლი იყო ვახვახიშვილის დამარცხება. მას წინასწარ ჰქონდა გათვალისწინებული მდგომარეობა და ისეთი თავშესაფარი მონახა, რომ იქ მტერს ადვილად არ მიესვლებოდა. სოფელი სარიბაში, სადაც ის იყო დაბანკებული, ისეთ ციცაბო კლდესთან ვიწრო ხეობაშია, რომ იქ ერთ მეომარს შეუძლია ოც და მეტ თავდამსხმელს გაუმჯობესეს. საჭირო იყო რაომე ხერხის გამოძებნა. გასცდა თუ არა სოფელ ელისუს ქართველთა რაზმი, ზურაბმა ბრძანება გასცა, ჩამომხდარიყვნენ ცხენებიდან და კვეითად ევლოთ. სულ ორი-ოდე კილომეტრიდა იყო დარჩენილი სოფელ სარიბაშამდე, მაგრამ მეტად ძნელი და მოუდგომელი. მათ უნდა ევლოთ ბნელ ლამეში უცნობი, ვიწრო ხეობის გაელით, კლდის პირას. სოფელს ღრმა ძილით ეძინა. არსაიდან ისმოდა ჩამიჩუმი. მეომრები თავგამოდებით მიიწევდნენ წინ. მიღიოდნენ ფეხარეფით. მალე მათ მიაღწიეს სარიბაშს და ისე სწრაფად და უჩუმრად დაიკავეს სანგრები

და ჭებირები, რომ სოფლის მყეფარ ქოფაებსაც არ გაუგიათ. ალიბეგი თავისი ამალით ჩიტივით მოიმწვევდის.

უცებ გაისმა საოცარი ყუინა. მეომრები შევარდნებივით შეიქნენ მტრის ბანაკში. მტერი დაიბნა. რამდენიმე წუთს გაგრძელდა ეს ხელჩართული ბრძოლა. ხოლო როდესაც ინათა, ალიბეგ ვახვახიშვილის მოკვეთილი თავი მთის ფერდობზე მიღორავდა.

გამარჯვებული, გახარებული ქართველთა რაზმი დიდი ნადავლით დაბრუნდა უკან. ასე დასაჭა ხალხმა სამშობლოს მოღალატე და ლექსიც გამოიუთქვა:

თავი მოსქრეს ალიბეგსა, შეუძახეს იყავ ავრე,

ვით გმართებდა შექმნილიყავ, შაპ-აბაზის შენ მოსაგრე!

საგულისხმოა, რომ ეს ამბავი ლექსიდ აღწერა არჩილ მეფემ თავის „არჩილიანში“.

ბევრი ასეთი, უაღრესად დიდი ტკივილითა და ამაღლებელი ამბებით სავსეა საინგილოს მიწა-წყალი, რომლის ფერფლწყარილ წარსულიდან ამ თქმულებებს დავიწყებისათვის მხოლოდ მცირეოდენი გამოუგლეჭიათ... ისიც უმეტესად, მოხუცების ხსოვნაში თვლემდა, როცა ალექსანდრა ჩხენჯელმა მათი ჩაწერა და გაცოცხლება სცადა.

როგორ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხო ან მოისმინო „ათასი კაცის შესანდობარი“, „შვილი ძმა“, „მზეთუნახავი ქალი და ოქროს მამალი“ და სხვ.

„ათასი კაცის შესანდობარი“ ასე დაუწყია მთხრობელს: „ეს ნამდვილი ამბავია. მოულოდნელად დაესხა საინგილოს თავს სპარსეთის ჭარი. ეს თავდასხმა ყველა წინანდელზე უფრო სასტიკი და ულმობელი იყო. მტერმა აწიოყა, მოახხრა ქვეყანა, ამოხოცა ხალხი. არ დაინტო არავინ, ბავშვი თუ ქალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა. გადაწვა სოფელი, გაიტაცა სარჩო-საბადებელი, საქონელი მსხვილფეხა თუ წვრილფეხა, ყოველგვარი ხელმოსაკიდი ქონება. გაისმა კენესა-ტირილი კიდით კიდემდე. ხალხი, ვინც მოასწრო, მთაში გაიქცა და დაბურულ ტყეს შეაფარი თავი...“ და ჩვენ ვიცით, რა დიდი სიმართლე ისმის ამ უბრალო გლეხის ნამზობში. შემდეგ ეს გადმოცემა გვიამბობს ათასი ქართველი ვაჟეაცის გმირული აღსასრულობის ამბავს. მათ გადაწყვიტეს შებრძოლებოდნენ მტერს, რათა ქვეყანა დალუპვისაგან ენსათ. და აი, დათქმულ დროს, უმთავარო ლამეს, მუხისა და კაკლის ხეებით დაბურულ ადგი-

ლას შეიკრიბნენ. მებრძოლები დინჯად ბჭობდნენ. უხუცესი თავის გვირდზე მყოფს ჩუმად ეტყოდა სიტყვას. ის კიდევ, ამავე წუთს გადასცემდა მეორეს და ამნარჩად, უს ნათქვამი მოიცვილა ათს კაცს. ბოლოს ისევ უხუცესს გამოჰქონდა დასკვნა. დილით აღრე უნდა დასხმოდნენ თავს მტერს. მაგრამ ვიღაც ჭუჭა ქონდრის კაცმა გასცა ეს შეთქმულება და ურიცხვი მტრის ლაშქარი შემოერტყა მათ. ბევრი ზარალი ნახა ამ უთანასწორო ბრძოლაში მტერმა, მაგრამ ბოლოს მაინც... როცა მჩემ გამოანათა, ათასი ვაჟკაცი უსულოდ იწვა ველზე.

გავიდა ხანი... ხალხმა ცოტა მოიბრუნა სული და იმ გმირულად დაღუპული ვაჟკაცებისათვის გააკეთა აკლდამა. იქვე ათასკორიანი ქვევრი აიტანეს და მათა სასაფლაოს გვერდით ჩაფლეს. ამ ქვევრში ყოველ შემოდგომას თითოეული კომლი ვალდებული იყო ჩაესხა თითო კოკა ღვინო. ასე ივსებოდა ქვევრი, ხოლო, როდესაც სოფელი ჭირნახულს დააბინავებდა და ყველაფერი მიწყნარდებოდა, ღვინობისთვის ათ რიცხვში მთელი სოფელი ადიოდა იმ მთაზე, სადაც აკლდამა იყო. მოხდილნენ ქვევრს და სვამილნენ ათასი ჭართველი ვაჟკაცის შესანდობარს.

ათასკორიანი ქვევრი და ჭართველი ვაჟკაცების აკლდამა მათი შვლებით ახლაც არის, თურმე, ულუმბაშის მთაზე — კასრის საყდრის მახლობლად.

ბევრი გადმოცემა და თქმულება ხშირად საქართველოს სხვა კუთხების გადმოცემებსა და თქმულებებში პოულობს მსგავსებას. უს, ალბათ, ერთნაირი ბედის, ერთი სულისა და ყოფის ანარეკლია. სანიმუშოდ გავიხსენებთ თქმულებას შვიდ ძმაზე, რომელთაგან ექვსი გმირულად შეეწირა სამშობლოს, ერთი კი, უმცროსი, ცხელი პურითა და თაფლით შეეგება მტერს. დედამ, როცა თავისი საყვარელი შვილის სილმზე და ღალატი გაიგო, შეპყივლა: — ვაი, ჩემი ცოცხლად დამარხულო შვილო და სასოწარკვეთილებით კოშკის ქონგურიდან გადმოეშვა.

საინტერესო გადმოცემაა, პარალელი ძველ ჭართულ ფოლკლორში ეძებნება... ფოლკლორშიც და ლიტერატურაშიც. გაიხსენეთ აქაების ლექსი „ჭართველი ქალი...“ — არა ვსტირი იმ ორ შვილსა, რმში მოკლულს გმირულადო, ვიგლოვ ცოცხლად დარჩენილსა, უპატრონოდ, ვირულადო.

ა. ჩენენკელს აქვს გადმოცემა „წერეთლიანთ თახთას“ (წერეთ-



ლიანთ ტახტის) შესახებ, რომელიც, თურმე, ბელაქნის შეცდების უფლებილობა. იქ ძველი და წერტილებს უცხოერიათ, მაგრამ როცა საინ-გილოში ქრისტიანობა ამოვარდნილა, ისინი აყრილია და იმერეთ-ში გადახვეწილან. ამ ამბავს თემურ-ლენგის შემოსევას უკავშირებს უზრნალ „მოგზაურში“ გამოქვეყნებული სტატიის ეტორი: „ოდეს მოვიდა ლანგ-თემური და აიძულა მუნებურითა გამაპმადი-ანება, ამათ (წერტილებმა) დაუტევეს ადგილი თვისი და მოვიდ-ნენ იმერეთს, მეფის ბაგრატის დროს 1399 წ. და მან მიიღო პატი-ვით, მისცა საჩხერე და უწოდა თაეად და აწუა არიან მუნ ეამიდ-გან აქამოდე. გიორგი მეფისაგან 1708 წ. შეიქმნენ უმეტეს წარ-ჩინებულნი“. (უზრნალი „მოგზაური“ № 4, 1901 წ. გვ. 375) ამავე ცნობას იმეორებს ნიკო ნადირაშვილიც.

სკ, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, აქაც ხშირად გაიგონებთ თქმულებებს, გადმოცემებს, ლეგენდებს რუსთაველზე და განსაკუთრებით, თამარზე. მრავალი ციხის, ტაძრის, ხიდისა თუ სოფლის აშენებას თამარის სახელს მიაწერენ. ხოლო, რუსთა-ველი ჰერთის მთავარი იყო.

აქ უხვადაა ძველი ქართული სოფლების ნანგრევები, რომლებიც იავარქმნილია მტრის შემოსევების შედეგად. ზოგ მათგანში დღეს ლეკები ცხოვრობენ. ზოგი კი ისევ ნანგრევებად არის დარ-ჩინილი. ერთი მათგანია სოფელი გულშევი-ვარდოვანი. იგი მთის ფერდობზე ყოფილა გაშენებული და მთლიანად ვარდებით და-ფარული. დღეს აქ არის სვეტიცხოვლის ეკლესისა და სასახლის ნანგრევები. ინგილოები გეტუყიან, რომ ეს იყო თამარ მეფის სა-სახლე.

ან კიდევ: — სოფელი შოთავარი. ინგილოები ამბობენ, რომ ეს იყო შოთა რუსთაველის სოფელი, იგი აქ იჭდა და თავისი ვეფხის-ტყაოსანს წერდათ. ამის შესახებ გადმოცემები და თქმულებები ჩაუწერია ალექსანდრა ჩხერიელსაც.

„შოთა კუპრი, იგივე შოთა რუსთაველი დიდხანს ცხოვრობდა საინგილოში. გამიგონია, იგი ამ ქვეყნის უფროსი იყოთ. ახლაც არის მისი სახელობის სოფელი — შოთავარი, მაგრამ ლეკები და სომხები ცხოვრობენ. შოთა რუსთაველმა დაწერა ვეფხისტყა-ოსანი და მიართვა თამარ დედოფალმა მას ციხე-ქალაქი აუშენა. ეს ციხე-ქალაქი სულ ყვავილებით იყო სავ-სე და მას ქალაქი-ბალნარი ერქვა.

ამ გადმოცემებთან ერთად, განსაკუთრებულ ინტერსს იწვევს ინგილოური ლეგენდები და თქმულებები, რომლებშიც ხალხის სულია შენახული. უშუალო ცხოვრების, ხალხის ყოფის, მისი რწმენისა და იმედის ანარეკლია ეს ლეგენდები და თქმულებები, რომელთა შორის განსაკუთრებით საინტერესოდ მივიაჩნია „თქმულება მაპმადიანი ვაჟისა და ინგილო ქალის შესახებ“. ინგილო ხალხის ტრაგედია ყავულაზე მწვავედ მაინც იმაში გამოიხატა, რომ მტერმა ირანში გადასახლებულთა გარდა ინგილოების უმრავლესობა თვით თავის მიწაზე გაამაპმადიანა, რამაც თანდათან გათიშა ერთად მცხოვრები, საუკუნეთა მანძილზე ერთად მომდინარე ერთი სისხლით, ერთი ტკივილითა და მრწაშით აღსავს მთი ქართული სული. მოუშუშებელი და ღრმა იყო ჭრილობა, რომელიც მათ მიაყენეს. და აი, ხალხის ოცნებაში, მის ხსოვნასა და ნატვრაში ისახება ამ ტკივილით სავსე მშვენიერი თქმულება მაპმადიანი ვაჟისა და ქრისტიანი ქალის სიყვარულზე, რომელიც ვინ იცის, იქნებ ნამდვილ ამბავზეცაა აგებული.

მოვიტანთ მთლიანად:

„გაჭირდა, მეტად გაჭირდა წყლის არხის გაყვანა მდინარიდან ჭურმუხის წმიდა გიორგის საყდრამდე. ვერვინ იდო თავს მთის დაჭანებულ ფერდობზე ეკალბარლებში წყლის არხის გათხრა. უწყლოდ კი ძალიან ძნელი იყო. არც არა რაიმე მცენარე ხარობდა, სოფლელებსაც ძალზე აწუხებდა წყურვილი, ეის არ თხოვეს, ვის არ დაავალეს, მაგრამ ამაოდ.

ბოლოს გამოჩნდა ერთი მაპმადიანი ვაჟი და განაცხადა:

მე გამოვიყვან წყლის არხს ქურმუხის წმ. გიორგის საყდრამდე, თუ საყდრის მსახური მღვდელი ხუციშვილი თავის ქალიშვილს ცოლად მომათხოვებსო.

მღვდლის ერთადერთ ქალს ყამარს, დიდი ხნიდან ყვარობდა ვაჟი. ქალსაც ბევრჯერ დაუნახია ვაჟი და ისიც შორიდან ეტრფოდა, მაგრამ აბა, როგორ გაბედავდა ამის გამხელას. იმ დროს ინგილო ქალუბს როდი ათხოვებდნენ მაპმადიანებზე.

ორნივ მშვენიერები კი იყვნენ. ვაჟი იყო ახოვანი, მოხდენილი, ბრგე ვაჟკაცი; ქალი კიდევ ტანკენარი, პირიმზისა.

მღვდელი შეწუხდა ვაჟის სიტყვების გაგონებაზე, მაგრამ იქვე დაამშვიდეს:

— სულ ერთია, ეგ არხს ვერ გამოიყვანს და შენი ქალიცაშეფირთვა
დება მაპმადიანის ცოლობას.

ზაგრამ უსაზღვროდ შეყვარებულმა ვაჟმა თავი არ დაიზოგა.
იგი მუშაობდა დღისით, ღამით და წუთიწუთზე მოელოდა არხის
დამთვერებას. ქალიც თავის ეზოდან უჭვრეტდა ვაჟის თავგადაკ-
ლულ მუშაობას და სულსწრაფით მოელოდა სატრუთოსთან შეყრას.

ერთ დილით მღვდელი გამოვიდა გარეთ. გაიხედა საყდრისაკენ
და დაინახა, რომ არხის დამთვერებას ბევრი არ უკლდა.

ელდა, ეცა, შემოიკრა შუბლზე ხელი და დაიყვირა:

— ვაი ჩემს დღეს, ვაი ჩემს მოსწრებას, ეს რა მომივიდა, ჩემი
ქალი ქრისტიანია და მაპმადიანს როგორ უნდა მივათხოვოთ.

ამ დროს გამოცხადდა მღვდელთან ერთი დედაბერი და უთხრა:

— მე ავაცდენ შენს ქალს მაპმადიანის ცოლობას, თუ ისე
მოიქცევი, როგორც დაგარიტებო.

მაცდური იყო ბებერი, ეშმაკის კერძი, წელში მოხრილი და-
დიოდა. კუდიანს ეძახდნენ სოფელში. მან ურჩია მღვდელს:

— სამ დღეს დამალე შენი ქალი სახლში, ისე, რომ მზის სი-
ნათლე არ დაინახოს. დაუმალე ცხვრებს ბატკნები და ძროხებს —
ხბორები, შემდეგ გამოუშვი და დანარჩენი მე ვიციო.

მღვდელს კეუაში დაუგდა დედაბრის რჩევა და სეც მოიქცა.
სამი დღის შემდეგ დარიგებისამებრ გამოუშა დამწყვდეული სა-
ქონელი. ეზოში ატყდა ერთი ზრიალ-ზრიალი, ბლავილი, პეტელი.
ბატკნები და ხბორები ეძებდნენ თავიანთ დედებს, ძროხები და
ცხვრები კიდევ თავიანთ შვილებს.

მღვდლის ეზოში იწყეს ამ დროს ლავაშების ცხობა. შემქრთა-
ლი, შეშინებული ვაჟი ბარზე დაყრდნობილი გასცეროდა მღვდლის
ეზოს.

ამ დროს გამოცხადდა მასთან დედაბერი, მიუტანა ლავაში და
ხორცი, როგორც ინგილოებმა იციან მიცვალებულზე.

— რა ამბავია, რა ზირიალ-ზრიალია მღვდლის ეზოში? — შეს-
ახა ვაჟმა დედაბერს შორიდანვე.

— რაღა რა ამბავია, შე ბელშავო, არ იცი, რომ შენი ყიშარ-
ქალი ივად იყო ეს სამ დღეს და უკვე სული დალია... — უპასუხა
დედაბერმა.

— ვაი ჩემს უბედურ დღეს. ეგ რა გავიგონე, რაღად მინდა



აწი უმისოდ სიცოცხლეო, — შესძინა ვაჟმა, ააგდო წერაქევი შალ-ლა, შეუშეირა თავი და იქვე მოიკლა.

ვაჟი დამარტეს თავისივე ხელით გათხრილ არხის პირას. ქალ-ზა იღარდა ვაჟის სიკვდილი, დასნეულდა, ჩავარდა ლოგინად და გარდაიცვალა. წაიღეს და ისიც იქ დასაფლავეს, ვაჟის მახლობლად. არხის მეორე მხარეს.

გავიდა დრო, მოკვდა კუდიანი დედაბერიც და ისიც იმ ახალ-გაზრდა ქალ-ვაჟს შორის ჩაფლეს, შიგ არხში.

ამბობენ: ყოველ გაზაფხულზე, რა რომ ბუნება ილიძებს, ვაჟის საფლავზე ამოდის თეთრი ვარდი, ქალისაზე წითელი... ვარდები იშლებიან და მიიწევენ ერთმანეთისაკენ; მაგრამ დედაბრის საფლავზე ამოსული ძეძვი და ეკალი დგება მათ შორის და არ აძლევს ერთმანეთიან მიახლოების საშუალებას“.

არავინ იცის, რა რეალური ამბავი უდევს საფუძვლად იმ თქმულებას, ერთი კი ცხადია, დაუმთავრებელი არხი, თურმე, დღესაც ჩანს ქურმუხის წმიდა გოორგისკენ მიმავალ მთის ფერდობზე.

თვით ალექსანდრა ჩხენელის ჩანაწერებში იმ თქმულების რამდენიმე ერთიანტი აჩსებობს. მათში განსაკუთრებულ ყურადღებას იყერობს მაპმალიანი ვაჟი, სადაც ის „თათრად“ იხსენიება. მაგრამ თათრებს ხშირად ჩვენში მაპმალიან ქართველებსაც ეძახდენ. რა თქმა უნდა, ეს ასეც რომ არ იყოს, ამ მშენიერ თქმულებას თავისი სილამაზე მიინც ექნებოდა. ჩვენ ვიცით კავკასიის მთიანეთში მოარული მრავალი ფოლელორული სიუცვტი, რომელიც გვიამბობს ქრისტიანი ქალისადმი სხვა ეროვნების მაპმალიანი ვაჟის სიყვარულზე, რომელიც ისე მძაფრია, რომ ხშირად უძლიერესი რელიგიური წეს-ჩვეულების საზღვრებსაც კი გადალახავს.

თვით ამ თქმულებაშიც ხომ ყველაზე მძაფრად ისევ სიყვარულის ტკიულია გამოხატული.

საყურადღებოა, რომ თქმულება ახლოს დგის ქართულ ხალ-ხურ „ეთერიანთან“, განსაკუთრებით მურმანის თემასთან. ოლონდ იქ ქალ-ვაჟის გამთიშველ ძალად ავსული, კუდიანი დედაბერია გამოყვანილი, რომელსაც ბოროტების გარდა სხვა არაფერი ამოძრავებს, იქ კი, აბესალომისა და ეთერის გათიშვა ისევ კუდიანის საშუალებით, მაგრამ სიყვარულის ნიადაგზე ხდება. ფინალიც თითქმის ისეთივეა როგორც „ეთერიანში“.

ბევრი თქმულება და ლეგენდა საინგილოში ქალის სიფაქიზე-სა, მის მოკრძალებასა თუ ერთგულებაზე.

თუნდაც მხოლოდ გადმოცემების მიხედვითაც იგრძნობთ, რა დიდ კდებამოსილებას ავალებს ქალს ინგილოური წესი. ამ თემაზე მრავალი შევენირი და პოეტური ლეგენდა აჩსებობს, რომელთაგან უსათუოდ საინტერესოა, „როგორ გაჩნდა ქვეყანაზე ოფოცი“ და „კუი ბაკანა“.

თურმე პატარძალი თმის ივარცხნიდა და ქმრის მოლოდინში ნახევარი თვის მთვარესავით ჰქონდა სახე გაბაღრულ-გასხივოსნებული. ამ დროს მამამთილმა შეესწრო თვალი... ქალს შერცხვა და ინატრა: ნეტავ. აქედან გამაფრინაო. იმავე წუთს ფრთხები გამოესხა, სავარცხელი კი თმებში გაჩრილი შერჩა. რომელსაც დღესაც ატარებს ოფოცი.

„... პატარძალი ტანს იბანდა, თურმე, თავის ოთახში. ამ დროს დედამთილმა შეიღო კარები. ქალს შერცხვა და მიწაზე გაწვა. ზურგზე, კი ჯეჯიმი წაიფარა. იმავე წუთს იგი კუდ იქცა და ზურგზე ჯეჯიმი შერჩა, რომელსაც დღემდე ატარებს, როგორც სასჯელს ურცხვობისავის.“

ძალშე საინტერესო თქმულებები და ლეგენდები არსებობს ტაძრებზე, ამ დიდ, კეთილ და მრისხან ძალაზე, რომელიც ხატსა და წმიდანებს აქვთ...

აი, რას გვიამბობენ ეს თქმულებები თუ ლეგენდები.

„... ერთხელ, თურმე, ქურმუხის წმიდა გიორგის საყდრისავენ ერთი თათარი თავის აქლემებით მიღიოდა. მან მოინდომა წმ. გიორგის გამასხარვება. ამოიყვანა უბიდან მკბენარი, დააკლა ქვაზე და თქვა: აი, ეს შემომიწირავს წმ. გიორგი, შენთვისო. თათარი იმავე წუთს იმ ქვასავით იქცა და მისი აქლემებიც გაქვავდნენ. ახლა, როდესაც ამ საყდრისებრ მიმავალ ბილიქს მიჰყებით, ამ აქლემების მსგავსი ლოდები მართლაც ყრია ორივე მხარეს.“

ხალხს ლრმად სწამს ქურმუხის წმიდა გიორგის სასწაულებრივი ძალა. ამიტომ მრავალი ლეგენდა შექმნა მასზე. ერთიც მხეთუნახავი ინგილო ქალისა და ოქროს მამლის ლეგენდაა.

„... ძველად საინგილოში ცხოვრობდა ერთი სახელოვანი ვაჟეცი. მთელ დუნიაზე განთქმული იყო მისი სახელი. ვერავინ ჯობნიდა ვერც ნადირობაში, ვერც ჭიდაობაში და ვერც სხვა სავაჟეცი საქმეებში. ამის გამო ხალხმა მას ასლანი-ლომი შეარქვა.

მაგრამ ასლანი მარტო ამისათვის როდი უყვარდა ხალხს. იგი მუდამ მკერდით ხვდებოდა სამშობლოს მიწა-წყალზე შემოსულ მტერს. სულ მცირე, ათი-თხუთმეტი კაცისაგან შემდგარი რაზმით ასლანი მუსრს ავლებდა მტრის მრავალრიცხვან ჭარის. მიადგებოდა თუ არ მტრის ჭარი ქურმუხის ვიწრო ხეობას, რკინის ჭიშკარს რომ უხმობდნენ ინგილოები, ასლანი იქ გაჩნდებოდა იმ წამსევ თავისი რაზმით და ისე დააწიოკებდა, როგორც ფარებში შევარდნილმა მგელმა იცის ცხვრების დაწიოკება.

ვინ მოთვლის რამდენჯერ გადაურჩენია ასლანს ქვეყანა, თავისი მიწა-წყალი განადგურებისაგან. ამიტომ მტერსაც ჭავრი ჭიშკარა ასლანისა და შემთხვევას ეძებდა მის მოსასპობაჲ.

ასლანიც, რა თქმა უნდა, ფხილად იყო. დადიოდა ტყე-ღრეში, თუ ეძინა შინ, მუდამ იარაღში იყო ჩამჭდარი, სულით ხორცამდე არაფერი გააჩნდა ასლანს, გარდა ერთი კოშკისა. იგი არც ხნავდა, არც თესავდა, ომის ღროს მტრის ნადავლით იჩჩენდა თავს, მშეიღობიანობისას კი—ნადირობით, მავრამ ასლანი ყველა მდიდარზე უფრო მდიდრად თვლიდა თავს იმისი გამო, რომ ჰყავდა მხეთუნახავი ასული — მანიუე. მანიუე მთელი დღის განმავლობაში კოშკში ჰყავდა ჩაგრეტილი ასლანს, მტერს რომ არ მისვლოდა მისი სილამაზის ამბავი და არ მოეტაცა. ხოლო, როცა ბინდი დაეცემოდა მიწას და მთის გადაღმა ბაზრი მთვარე ამოყოფდა თავს, კოშკის კარები იღებოდა, მანიუე გარეთ გამოდიოდა, მთვარის შუქზე გაშლიდა დალალებს და იწყებდა თმის კარცხნას.

მანიუეს ერთი მამალი ჰყავდა. ამ მამალს ბიბილო, ნისკარტი, კუდი და დეზები ოქროსი ჰქონდა. იგი მთელი დღე-ღრმის განმავლობაში თვლებდა, მაგრამ რა რომ მტერი მიუახლოვდებოდა საზღვარს, მამალი იღვიძებდა. მოყვებოდა ყივილს. მას მიბაძევდნენ სხვა მამლებიც და აყივლდებოდნენ. ამ ხმაურზე ხალხი გროვდებოდა და მიღიოდა მტრის დასახვედრალ.

მანიუეს თან გამოჰყავდა ღამით ეს მამალი და სანამ თმებს ივარცხნიდა მთვარის შუქზე, მამალი მანიუეს მხრებზე იჯდა.

ერთხელ ხალხს ღრეობა ჰქონდა ღრეობის შემდეგ ღრმა ძილით დაეძინათ და მამლის ყივილი ვერ გაიგეს. მტრის ჭარი აღვილად გამოსცდა საზღვარს და ქვეყანა ააოხრა. ასლანმაც კერაფერი გაიგო. მას მკვდარივით ჩასძინებოდა თავის კოშკის ზღურბლზე. მტრის ჭარისკაცებმა მიაგნეს და თავი მოჰკეეთს მძინარეს. კოშ-

კი გატეხეს და შიგ შევიდნენ. იქ საყმაოდ ბნელოდა, მაგრამ იგი მარტინის ნიერს სახე სხივებს აფრქვევდა და იქაურობდა ანათებდა. განცადული გრძელმა მტრებმა წუთით თვალები დახუჭეს, შემდეგ ისევ გაახილეს და ერთმანეთს გადახედეს.

მსგავსი სილამაზე არასდროს ენახათ, ისინი ერთმანეთს ეკითხებოდნენ: რა არის ეს, მოჩვენება, თუ სიზმარიო. ბოლოს როცა დარწმუნდნენ, რომ იგი ადამიანი იყო, მხეთუნახავი ქალწული, გადაწყვიტეს, ტყვედ წაეყვანათ და თავიანთი მეფისათვის საჩუქრად მიერთმიათ. როდესაც ეს მანიერ გაიგო, გული წაუვიდა, მაგრამ მალე მოვიდა გონს, წამოდგა და ასე მოახსენა მათ:

ვიცი, ჩემი უცხო ქვეყანაში წაყვანა გსურთ. ბევრ ჩემ ტოლ ქალს შეშურდებოდა ჩემი ბედნიერება და სანამ ამას შეასრულებდეთ, ერთი საოხოვარი მაქვს... დიდი ხანია ქურმუხის წმიდა გიორგის აღთქმა მივეცი, ეს მამალი ზეარავად შევწირო, მაგრამ ერ იქნა და ვერ მოვახერხე. ახლა, ამ ბოლო დროს მამალი დასნეულდა; დღე და ღამე თვლებს, ვეღარც ყივილით ყივის. ვიღრე იგი მოვედებოდეს და მეც მისი დარდი გულში ხინჯად ჩამრჩებოდეს, მინდა ეს აღთქმა შევასრულო და შემდეგ დამშეიღებულმა დავტოვო ჩემი შეეყნის მიწა-წყალი. მუხლმოდრეკით გევედრებით, მჩჩეულ სულ მცირე დრო, სანამ ამ მამალს ქურმუხის წმიდა გიორგის საყდარზე ავიყვანდე და უკან დაეპრუნდებოდე.

მეომრებმა ერთმანეთს შეხედეს, ითაბირეს, და დასტური მისცეს. მანიერ აიყვანა მამალი, გამოხვია კალთაში და ქურმუხის წმიდა გიორგის საყდრის ვიწრო ბილიკს შეუყვა. მიღიოდა მანიერ და ფიქრობდა, თუ მართლა ის მიწიერია ბედად, რომ ჩემი ქვეყნის მტერმა ფეხშევეშ გათელოს ჩემი ჩიქილა, ათათასვერ მიჯობს, დავიმარხო ცოცხლად ჩემს მიწა-წყალზე, სადაც ჩემი წინაპრების ძელებია ჩაკრილიო.

ამ ფიქრებით მიაღწია ქურმუხის წმიდა გიორგის საყდარს, მიიხედ-მოიხედა, არავინ იყო. სამარისებური სიჩუმე სუფევდა. მანიერ მღვიმეს შეავლო თვალი.

ნეტავ ახლა ეს მღვიმე გაიხსნას და თან ჩამიტანოსო, ინატრა მან და ის იყო, მამალი უნდა გაეფრინა და თვითონ კლდეზე გადაშვებულიყო. რომ ქურმუხის წმიდა გიორგის საყდრის ქვეშ დატანებული მღვიმე გაიხსნა. მანიერ და მისი ოქროს მამალი შიგ

შეიძლნენ და მღვიმის კარებიც მაშინევ მიიხურა. მტრის ჯარიმით გადადები კაცები ქვევით უცდიდნენ მანიერს. დიღხანს უცადეს, ბევრი ეჭებეს, მაგრამ ეერსად აღმოაჩინეს. შემდევ მიანგრ-მოანგრიეს ქურ-მუხის წმიდა გიორგის საყდარი და განრისხებულნი დაბრუნდნენ უკან.

ასე დაიცეა მანიერმ თავისი სინდისი და სიფაქიზე წაბილწვისაგან...

თუ ჩვენ გადაუურჩით მტრის ურდოებს და დღემდე მოვიტანეთ ჩვენი ერის წმიდათაშმიდა, ეს მანიერს წყალობით არისო, ამბობენ საინგილოში და თან დასხენენ:

დღესაც, შუალამე რომ გახდება, მღვიმის კარები იღება. ოქროს მამალი გამოფრინდება და ყიყილს იწყებს. მას ამყვებიან მთელი ქვეყნის მამლები და აყივლდებიან; ხოლო, მანიერ ამ დროს დიდ ლოდზე ზის და მთვარის შუქშე თავის ოქროს დალალებს იყარცხნისო.

ამ ლეგენდის რამდენიმე ვარიანტი არსებოს, სადაც მანიერს ნაცვლად ზოგჯერ მარიამ დედოფალია გამოყვანილი. „ერთხელ მარიამ დედოფალი მღვიმიდან გამოვიდა, გაიშალა თმები და დაიწყო ვარკხნა. ამ დროს მოეპარა მას თათარი და დალალი მოსჭრა. მარიამ დედაფალი შევიდა მღვიმეში და მას შემდევ აღარ გამოსულა“... არსებობს ისეთი ვარიანტიც, სადაც თათარი მარიამ დედოფალს ცერ სცრის დალალს.

საერთოდ კი, დაღალის მოჭრა ძალის დაქარგვას ნიშნავს და შესაძლოა, იგი ამ კუთხეში ქრისტიანობის დაქარგვის სიმბოლური ნიშანი იყოს, რომელიც ასე თავისებურად და შეფარვულად ხალხის მხატვრულ აზროვნებაში გამოიხატა.

ეს გადმოცემები და ლეგენდები, რომელიც ინგილოებში თავიანთ ხსოვნაში შემოინახეს და დღემდე მოგვიტანეს, გვიამბობენ ამ მრავალნატანგი ხალხის პოეტურ, შემოქმედ სულზე, მათ ოცნებასა და ნატვრაზე... მათ იმედზე, უკეთესისაკენ სწრაფვასა და რწმენაზე, რომ ოქროს მამალი, რომელიც ყოველ ღამით ქურმუხის წმიდა გიორგის საყდრის მღვიმიდან ამოღის, საბოლოოდ აუწყებს მათ ნანატრ შშვიდობას.

მოსე ჯანაშვილი

მთაწმიდის პანთეონში, იქ საღაც ჩვენი ერის რჩეული შვილები განიცენებენ, არის ერთი საფლავი. ქვაზე წარწერა გვამცნობს, რომ აქ მარხია მოსე ჯანაშვილი. დაბადებული 1855 წელს, გარდაცვლილი 1934-ში. ინგილო-ქართველთა დამი, მათი ტკივილისა და მოუშუარი იარის თანაზიარობის ნიშნად აიტანა ქართველმა საზოგადოებამ მისი ნეშთი მთაწმიდაზე.

მოსე ჯანაშვილი გახლდათ ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი, ლიტერატური, პედაგოგი, ნუმიზატი, ენათმეცნიერი, არქეოლოგის მყვლევარი, ავტორი წიგნებისა — „საქართველოს შოკლე ისტორია“ (რომელიც იყო საქართველოს ისტორიის პირველი სახელმძღვანელო), „საქართველოს დედაქალაქი თბილისი“, „გიორგი სავაქე და მისი დრო“, „მონლოლები საქართველოში“, „საქართველოს საექლესიო ისტორია“, „ისტორია მართლმადიდებელი ეკლესიისა“ და სხვ. ავტორი ღერძის სახით შეკრებილი და გაანალიზებული შრომებისა — „ქართულმეგრულ-სვანური“, „დიდი ქართული“, „ქართული ანბანის წარმოშობა“, „რუსთაველი“, „ძველი ქართული მწერლობა“ და მრავალი სხვა... რვაასზე მეტი შრომა გამოიქვეყნებია მას! უშომძლნალვაშის, ყოველივე ამის პარალელურად, ბევრი წერილი თუ გამოკვლევა უძლვნია, აგრეთვე, თავისი მრავალნატანჯი კუთხისათვის. მარტო მისი „საინგილოს“ გახსნებაც კმარა. ეს წიგნი აბსოლუტურად უნიკალურ მასალებს შეიცავს და რაც დრო გადის, თანდათან ძვირფასი ხდება საინგილოს ისტორიითა თუ ყოფით, მისი ფოლკლორით დაინტერესებულ პირთათვის. უდიდესი ამაგი დასდო მოსე ჯანაშვილმა ნიგილო-ქართველთა ფოლკლორული

1 ამ ნაშრომების მეცნიერული დონე დღეისათვის იქნებ ყველასათვის მისაღები და უკრატიკოდ გამასაზრებელი არ იყოს, მაგრამ თავის დროზე მათ თავით მისია შეასრულეს. როცა მოსე ჯანაშვილი გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, მეცნიერების თოთქმის ცველა დარგში კადრების ნაკლებობა იყო. ამიტომაც ერის მოამავე აღმართებს, რომელთა რიცხვში უსათუოდ ისიც ისენიება, ერთდროულად თითქმის ცველაფერშე უხდებოდათ წერა და მუშაობა. მაშინ არ იყო ეგრეთწოდებული „ეიჭრო“ სპეციალობები. მკლევარის ერთგულია კი ცველაფერს თანაბარი ძალით ვერ სწორებოდა... ამ ასევეტში უნდა განვიხილოთ მოსე ჯანაშვილის მემკვიდრეობა.

გასილების შეგროვების საქმეს. მის მიერ შეკრებილი და კომიტეტის მიერ ტირებული ინგილოური თქმულება-გაღმოცემანი, ლეგენდები და ზღაპრები უხვადაა გაპნეული გასული საუკუნის მიწურულისა და მეოცე საუკუნის პირველი სამი თეოული წლების ქართულ-რუსულ კურნალ-გაზეთებში. ცხადია, დღემდე არავინ ცდილა მასა-ლებით დაინტერესებულიყო, კურნალ-გაზეთებიდან ამოკრიბა, სხვათა ჩანაწერებთან შეედარებ-შეეგერებინა და ინგილოთა პო-ეტიური ნააზრევი ცალკე წიგნად შეეკრა. ეს აღმათ, ერთი კეთილი საქმე იქნებოდა, რომელიც ქართველ ერს თავისი მრავალნატან-ჯი კუთხის — საინგილოს ფოლკლორს უფრო კარგად გააცნობდა, მის პო-ეტიურ სულში უკეთ ჩაახედებდა, თუმთ ინგილო-ქართვე-ლებს კი გულს გაუთბობდა, ახალსა და ძველს უფრო თვალნათ-ლიკ დაანახებდა; ხოლო, რაც შეეხება მკვლევარებს, მათიც ბევრ დახმარებას გაუწევდა. ინგილოური ფოლკლორის თითქმის ყველა ნიმუში, რომელიც კი სხვებს ჩაუწერიათ, სხვადასხვა ვარიაციები-თა და ზოგჯერ სხვადასხვა გააზრებით გვხვდება მოსე ჯანაშვილ-თან. პირდაპირ გასაოცარია, არცერთი მნიშვნელოვანი ნაწარმო-ები არ გამორჩენია მას. შესაძლოა, ხალხში იმიტომ დარჩა დღემ-დე ეს გადმოცემები, რომ ისინი თვის დროზე გამოაქვეყნეს. ყვი-ლაზე მეტი ამავი ამ საქმეში მოსე ჯანაშვილს მიუძღვის.

მრავალმხრივ საინტერესოა მის მიერ შეკრებილი ფოლკლო-რული მისალა. მას არა მხოლოდ უგროვებია იგი, არამედ ანალი-ტიური თვალით ჩაუხედავს ხალხის სულში, მის ეთნოგრაფიაში, შეცნიერულად შეუსწავლია და ზოგად ქართულ ხასიათთან და ბუ-ნებასთან შეუჯერებია. ინგილოთა ტრაგიზული ბედის საფუძველ-ზე უცხო ტომთა მიერ მათზე თავსმოხვეული გავლენისა და სინ-თეზის შედეგად შემუშავებულ ყოფით წესებზე დაკვირვების შე-დეგად საინტერესო დასკვნები ჩამოყალიბებია. ყოველივე ეს ცოდნითა და პატიოსნებით ოღუშერია თვის წიგნში. მისი ჩანა-წერების, საერთოდ, მისი არქივის დიდი ნაწილი ამჟამად საქართ-ვალოს ლიტერატურული მუზეუმის ფონდშია. ყურადღებას იქ-ცევს ეს ჩანაწერები, რომელთა გარკვეული ნაწილი ფოლკლო-რუს-ეთნოგრაფიული გადმოცემების საფუძველზეა დამყარებუ-ლი, მოვიყენოთ რამდენიმე მაგალითი:

მოსე ჯანაშვილს ბევრი უფიქრია თვისი კუთხის — საინგილოს სახელის წარმომავლობაზე. მას სწორად არ მიუჩნევია ცნობილი



ვანმარტება: საინგილო — იენგილავ ე. ი. ახლად მორჩულებული... „ინგილო — იენგილო. ამ სახელს ჩვენ და ჩვენს შემდეგ სხვებიც ხსნიდნენ თაორული სიტყვიდან ჰენგი — მერმე, ჰენგილა, — მერმის, ჰენგილიდან — ხელახლა ინგილო, ვითომ ხელახლა მოქცეული, გადარჩულებულით. ესრეთი ახსნა, ცოტა არ იყოს, აჩქარებულია. ჭერ ერთი, რომ აქაურ სოფელსაც ჰქვია იენგიანი და არა იენგილო და მეორეც, როგორც ზემოთ ითქვა, ბევრი აქაური სახელი იგეთივეა. როგორც იმერეთში, უმეტესად სამეგრელო-აფხაზეთში... აქაურს უმთავრეს მდინარესა და სამეგრელოს უპირველესს მდინარეს ერთი და იგივე სახელი ჰქვიანთ: ეგრის-წყალი, ანუ ეგრი-აგრი (იგივე ენგური — ინგური და ინგირი, მეგრ გამოთქმა).

ყველა ამის გამო „ინგილო“ ჩვენ მიგვაჩინია იმავე ინგირად, ე. ი. ეგრელად ანუ იმ ხალხად, რომელსაც ბერძნის მწერლები (ს. ქრ. ჭ.) იხსენიებენ ფოთ-სამეგრელოს მოსახლედ და უწოდებენ იენიოხად, ე. ი. „მეეტლედ“, „მეჰუნედ“. შესაძლებელია, ნაბუჯუდურ-ასასმისა და სხვა მტარვალების მიერ მთელის ხალხების ცნობილ აყრა-დაყრის დროს ეს იენიოხები გადმოტყორცნილ ყოფილიყვნენ დღევანდელს საინგილოში და აქ თავისი თავდაპირველი სახელი მიეკუთვნებინოთ ღანუხ-განუხისთვის, ნუხისთვის (-ნოხ-ჰატო-ნუხ პატო) და სოფ. იენგიანისთვის და თვითონაც სახელი იენიოხი გადასცვლოდეთ იენგილოდ — ინგილოდ.

ესეთი ჩვენი მოსაზრება მით უმეტეს ჰქუაზე ახლოა, რომ საინგილოში დღესაც სიტყვა იენგა ნიშნავს ცხენოსან ქალს, რომელიც მაყრიონით სხვა იენგებთან ერთად მიდის პატარძლის (პატას) მოსაყვანად. ძველი ჰუნები — ჰუნეთი დღეილად გადაიქცოოდა — ნუხად, ლანუხად, იენგელ, იენგილოდ (შეადარეთ ჰუნე და მერე უანაგირ — უნაგირი და — მეგრ. ონაგერი. სეან. ჰუნგირ) ასეა თუ ისე, იენგიანი (სოფ.) უნდა ნიშნავდეს საიენგებოს, საამორძლო-საამაზონეკო ქვეყანას“.

შესაძლოა ასეც იყოს. სიტყვათა ეტიმოლოგიური ძიებანი და აქედან გამომდინარე, ხშირად მართლაც საინტერესო მეცნიერული დასკვნები მოულოდნელი არ არის ისეთი მკვლევარისათვის, როგორიც მოსე ჯანაშვილია. ამ თვალსაზრისით მას სხვაც ბევრი მნიშვნელოვანი გამოკვლევა შეუქმნია.

ძეირფასი ცნობები შემოგვინახა მოსე ჯინაშვილმა საინგილო-

ში არსებული (მათგან ბევრი დღეს უკვე აღარა) ქართული ტექ-
რეპრეს შესახებ. ამ ტაძრების კედლებთან თუ ნანგრევებში მის
დროსაც თვლემდნენ ხალხური თქმულება-გადმოცემაზი, რომელ-
ნიც ამ კუთხის ხალხის რწმენასა და მამულისათვის თავდადებაზე,
ურთიერთსიყვარულსა და ოგახის სიწმიდეზე მოგვითხრობენ.
მას ყველა ეს თქმულება-გადმოცემაზი ჩაუწერია და დავიწყები-
სათვის გამოუტაცნია. მის ხელნაწერებსა და წიგნში „საინგილო“
ეს თქმულება-გადმოცემაზი ზოგჯერ მხოლოდ ორიოდე სიტყვითაა
ნახსენები, საჭიროებისადა მიხედვით... მაგრამ ყველა მათგანი სხვა-
დასხვა დროს თავისი მთლიანი სახით გამოუქვეყნებია.

მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს:

... კასრის საყდარი ააშენა არჩილ მეფემ... 1718 წ. იყო მცირე,
მაგრამ დაინგრა. მის ეზოში არის უზარმაზარი ქვევრი, რომელ-
საც გვერდიდამ მღვიმე აქვთ გაკეთებული. მთელი ეს ეზო წარ-
მოიდგენს მცირე ტაფობს საყარაულე-კასრს საყდრის ფერდობ-
ზე. დანგრეული ეკლესია განაახლა მღვდელმა მიხეილ კულოშვილ-
მა. ეკლესია დიდებულად გადმოჰყურებს არა თუ მთელს სოფელს,
არამედ, მთელს მის წინ მდებარე საინგილოსაც ალაზნამდე და მას
იქითაც შევ მთამდე და დედოფლის წყარომდე. მთის ძირში კი
არის სოფლის სასაფლაო, რომელსაც ჰქვია (სანების სამაროვანი).
(სანება— სამება, რადგან კასრი სამების საყდარი ყოფილია). კას-
რის საყდრის ეზოში მყოფ ქვევრის შესახებ ადგილობრივი გადმო-
ცემა ამბობს ამას: ქვევრში 1000 ჩაფი ლვინო ისხმოდა ყოველ
წლივ, ე. ი. კომლზე თითო ჩაფი. შემოდგომაზე მოიტანდნენ, გა-
ავსებდნენ და დაკრძალავდნენ. კვირაძალობას (კვირაცხოვლობას)
კი ყველანი მოვიდოდნენ სალოცავად სანოვაგით. ახდიდნენ და
იზიარებდნენ ერთად ძმურადო. (გადმოცემის ერთი ვარიანტი
„ათასი კაცის შესანდობრის“ სათაურით ჩვენ უკვე განვიხილეთ
ა. ჩხერებულის ჩანაწერებში).

მრავალი გამოცემა, თქმულება თუ ლეგენდა შემოჩენილი
ქურმუხის წმიდა გიორგის საყდრის შესახებ. „ამ სალოცავის პა-
ტივი აქ ისე ძლიერია, რომ ინგილო საკლივები ისე არ დაჰყლავს,
რომ ღმერთის შემდეგ არ ასენოს ქურმუხის საყდარი, „შენ შე-
გუშავ“-ო.

ბილიკის ქვემო ფერდობზე ჰყურია დიდრონი კონცხები. ეს აქ-
ლემები არიან. ურწმუნო მეაქლემეს გაუქვავდნენო.

მრავალ თქმულებათა შორის, არის ასეთი: „ქურმუხის საყდრინის კარიბირიდამ თუთია (წმიდა მიწა) რომ იქონიო და წყალში ნილე-სი დალიო, გარგებს და სნეულება ვერ შეგაწუხებს“.

... ქურმუხის საყდრისკენ მიღის მთა-მთა ფართო ბილიკი. მის შესახებ არსებობს მრავალი თქმულება, შიგ საყდარში (კლდეში) არისო მღვიმე, რომელშიც იმყოფება ოქროს მამალი. ის რომ დაიყიდებს, მაშინ სხვა მამლებიც გაიგებენ შუალამეათ და ყივილს მორთავენო...

„ყუმი. აქ ყოფილი დიდებული ტაძარი. ახლა ნანგრევებია: გაღმოცემით ყუმის ქვედა ნაწილი ჯანაშვილების კუთხნილება ყოფილა. შაპ-აბაზი რომ მოსულა, შეიდი ძმა ჯანაშვილი შებრძოლებია. ექვსი დახოცილა, მეშვიდე შერმაზანი კი ტყვედ ჩავანდილა. იგი სიკვდილისაგან წახურელ კამაზ-ოლლის გადაურჩენია. შაპ-აბაზისთვის უთქვაშის: მაგრა მეტი ჯანაშვილი აღარ გადაარჩა. ნუ მოჰკლავო. რა უნარი აქვსო, უკითხავს მტარვალს. მთელს შენს ლაშქარს ლავაშითა და თაფლით დააძლობს, ისეთი შემძლებელიაო, მართლაც გამასპინძლებია. შაპს აღარ მოჰკლავს. ოლონდ, თავადობის ღირსება მოუშლია. (ეს გაღმოცემა ზ. ედილის ჩანაწერებშიცაა, ოლონდ იქ უფრო მძაფრი სიუჟეტებით... როგორც ჩანს, იგი დასდებია საფუძვლად აქაის ლექსსაც „შაპ-აბაზი და ქართველი ქალი“. მოღალატე შვილის საქციელით თავზარდაცემული დედის ტრაგედია გაღმოცემული მასში).

განსაკუთრებით სათაყვანო სალოცავად მიაჩნიათ ინგილოებს „ხუციანთ ოთხთავი“. გადმოცემით ხუციშვილების წინაპარი მღვდელი ყოფილა. აქედან მოდის მათი გვარი. ლექთა მტარვალობის ღროს, როგორც ყველა ინგილოს, გარეგნულად ხუციშვილებსაც მიულიათ მაჰმადიანობა, მაგრამ ქრისტეს საჩრდენოება არ დაუტოვებიათ. ფარულად უსრულებიათ ყოველი ქრისტიანებრივი წეს-რიგი, ულოცნათ ქურმუხის წმ. გიორგი და ხუციანთ ოთხთავი. ხუციშვილებს კრძალვით შეუნახავთ ყოველი სამღვდელო ნივთი და სახარება.

„როდესაც ამ შშენიერს ქვეყანაში უფლობდნენ ლექნი და მტარვალობდნენ ელისეს სულთანნი, „ხუციანთ ოთხთავი“ იყო ერთადერთი ნავთსაყდელი აქაურ ქრისტიანებისა. იგი იყო მათი ნუგაშინისმცემელი, მათი სასოება და სულიერი მკურნალი. მის თაყვანისსაცემად ინგილონი დიდის კრძალვით იყრიბებოდნენ ხუ-

ციანთ ოჯახში. აქ ანთებდნენ სანთელს, აკმევდნენ საკმეველს და ლმობიერებით ითხოვდნენ შეველს და შემწეობას.

...ხუციანთ ითხთავის გამოა უმთავრესად, რომ ეს განაპირა კუთხე სრულიად არ მოსწყდა საქართველოს და დაიცვა თავისი ხალხოსნობა — ქართველობა, თავისი ენა, რეული. მის გამოვეა, რომ ლეკთა ძალმომრეობამ ვერ დაჩაგრა ეს ერთი მუჭა ხალხი და ინგილო ისევ დაშთა ქართველად.

ამგვარი დიდი დამსახურება აქვს „ხუციანთ ითხთავს“ ქართველების წინაშე და ამიტომაც იგი ღირსია ყურადღებისაო, — წერს მოსე ჯანმშეილო...

ქრისტიანობა, სამშობლოს სიყვარულისა და ეროვნულობის სინონიმი იყო ქართველთათვის მუდამ... მისმა სულმა საესებით მიიღო და შეითვისა ქრისტეს მცნება, ამიტომაც ეცვა ჯვარს იგი ქრისტესთვის.

მოსე ჯანმშეილსაც ინგილოთა გადარჩენის ერთ-ერთ უტყუაზ ფაქტორად ქრისტიანული საბჭმუნების შენარჩუნება მიაჩნია. თვით მას ბევრი ულვაშნია ძველი ქართული ლიტერატურის ქრისტიანულ ტრადიციათი თუ მართლმადიდებლობის ისტორიის საყითხებზე. ყოველივე მის პარალელურად საკმარისია დავასახელოთ „საქართველოს საეკლესიო მუზეუმი“, რომლის გახსნის ინიციატორი და წლების მანძილზე, თითქმის სიცოცხლის დასასრულამდე მისი ხელმძღვანელი თვითონ იყო... ამ მუზეუმმა ქართული კულტურისათვის ბევრი უძვირფასესი განძი გადარჩინა და შეინახა და ყოველივე მის მოამავრე მოსე ჯანმშეილი გახლდათ.

თავის წიგნში „საინგილო“ (გვ. 19). მოსე ჯანმშეილი წერს: „მაპმადიანად დარჩენილები დღეს უკვე თითქმის უარყოფენ თავიანთ ქართველობას, ირთავენ თათრისა და ლეკის ქალებს, რომ რა არის, ენაც მალე დაივიწყონ. მხოლოდ ასეთი უარყოფა თავის თავისა ცოტათი შეაჩერა ეხლახან აჭარიდან მოსულმა ქართველმა მოლამ. მან ყეველს ჩააგონაო, იწერებიან, რომ ჩვენ ქართველები ვართ და მხოლოდ რეულით მაპმადიანებით. ჩვენ ჩვენის ქართველობით და ქართული ენით კიდეც უნდა ვიამჟოოთ“, ეს მაშინ, როცა ინგილოებს ემუქრებოდნენ, გაგწყვეტთ, თუ არ გათათრდებითო.

ეთნოგრაფიულ ცნობებში, რომელსაც მკვლევარი გვაწვდის,

საგულისხმოა ერთი რამ... თვით მუსულმან ინგილოთა ყოფაში ისე-ვაა შემორჩენილი ქრისტიანული წესები.

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა მიცვალებულის დამარხვისა და მისი გლოვის რიტუალები.

„... გარდაცვალებისთანავე იმავ წამს შეიღი მშობლის თბილს გვამს „ასწორებს“, პირამა აწვენს, გულზე ჯვარედინად მკლავებს უწყობს, ფეხებს ერთმანეთზე უქრავს, რომ აქეთ-იქით არ გადაიზნიერენ, თვალებს „უხუჭავს“, რომ ღია არ დარჩეს, თავით ერთ არაშე ღვინოს, ერთ ჯამ ხორბალს, ერთ ჯამ წყალს და ტანთსაცმელს ულავებს და ამ ჯამზე ერთსა თუ სამს სანთელს უნთებს. სულთმობრძავ დედაკაცს კი ხელში ერთ კით კედს (ძაფს) უდებენ.

სიკვდილზე იტყვიან, კაცის სული პეპელას მიაქვსო.

.. ინგილოობმა საფლავებზე გასვლა მარიამობის მარხვის გახსნილების მეორე ან მეოთხე დღეს იციან. ამ დღეს მთელი სოფელი სასაფლაოზე იყრიბება. საინტერესოა, რომ საქმეველს, როგორც სუფრაზე, ისე საფლავზე ქალები აქმევენ...

... ყოველი გვარი თავის მკვდარს ცალკე საგვარეულოში იმიტომ მარხავს, საზოგადო სასაფლაოზე, რომ საიქიო თავისებურად აქვს წარმოდგენილი. იქაური მოსახლენი, როგორც აქ, გორებად (გვარებად) დაყოფილი არიანო. ყოველი გორი ერთ ოჯახს წარმოადგენსო. ამიტომაც კაცის შორს, უცხო ქვეყანაში გარდაცვალება და დამარხვა ინგილოს დიდ უბედურებად მიაჩნია. ყოველ გორს იქ თავისი უფროსი ჰყავს, ყოველ ოჯახს, აგრეთვე, — თავისი. იქ მკვდრები სადილ-ვახშამზე გვარ-გვარეულად დალაგდებიან. ყელა გვარის წინ სუფრაზე ისა პშლია, რითაც ცოცხლები იხსენიებენ. ის ხალხი იქ გახარებულია, რომელსაც აქაურები არ ივიწყებენ, ხშირ-ხშირად იგონებენ, უბედურად მოწყენითა და ყელ-გადაგდებულად ისინი არიან, რომელსაც აქაური ნათესავები სიღარიბისა გამო ვერ იხსენებენ. ამისთანა კაცი საზოგადო მარაქაში ვერ ერევა. ერთმანეთისთვის ლუქმის მიწვდენა და განაწილება იქ არ არის. ქვის უკან განმარტოებით ზის ამისთანა კაცი, ყელი გადაუგდია და ჩივის: შშიერი ვარ, ნათესავებმა არ გამომიგზავნეს რათ (არ მომისხსენიესო). სანოვაგე მკვდრების წინ თუმცა ბევრი პშლია, მაგრამ ისინი არ შეამენ. მხოლოდ ჭვრეტით (ხილვით) ძლებიან და მით გზას მიღიან...“

როგორ ენათესავება ეს ჩვეულებები და გაღმოცემები ზოგად

ქართულ ტრადიციას... თვით იმ სუფრის, ან საკურტხს, რომელსაც ჩვენი ხალხი საუკუნეების განმავლობაში მიცვალებულთა პატივ-საცემად და მათი სულის საოხად აკეთებდა და დღესაც ხშირად აკეთებს... ისე როგორც საინგილოში, საქართველოს სხვა კუთხე-ებშიც ამის გამო სხვადასხვა ხასიათის გადმოცემები ცოცხლობს, ერთიც ასეთია...

სუფრაზე, როცა მიცვალებულის შესანდობარი ითქმება, იგი ყველამ უსათუოდ ბოლომდე უნდა დალიოს, რადგან ამით საიქი-ოში, მიცვალებულის სასმელი სურა იცსება... ხოლო ვისიც აქ და-ულეველი ჩამოა, იქაც ცარიელია... რა ჰქნას საწყალმა, დადის ერთი მევდრიდან მეორესთან და სთხოვს, ცოტა ღვინო ჩამომის-ხითო, მაგრამ ზედმეტი ჭერ არავისა აქვს და რომც პქონდეს, მი-ცემა არ შეუძლია...“ ასეთი გადმოცემა ბევრია, ისე, როგორც ბევ-რია გადმოცემა, ვთქვათ, მკვდრის საიქიოდან დაბრუნების შესა-ხებ.

... ერთ ქალს ელაპარაკნა: „იმ დუნიაში წავედიო, ყვილანი ტყბილ მასლაათ-საუბარში იყვნენ. უნაზე, პაპა, ბებია, ბიძები, ძმები, ძმისწულები. ჩემი პატარა ძმა პაპას გულში აეკრა და ეთა-მაშებოდა. უცბად სამხიარულო ნალარა დაუკრეს. ყვიროდნენ: პატარაძილი მოჰყავთო. მთელი ხალხი გავიდა სეირის საყურებ-ლად. მეც წაველი. ვნახეთ ციქუუბიანთ (გვარია საინგილოში) ქალი მოჰყავთ, მაშინ ჩემმა ბებიაშ მითხრა: „შენ რა გინდა აქ. ჭერ შენ დრო არ არს, წაი, წაი, ილათია. ხელ მქრა, გამმაგდა. იქ კა ლამაზა დახატული სახლებ-ოთახებ არის, ზეი მუდამ ანა-თებს“.

ამასაც ამბობენ, სამოთხის კარზე კუპრის ტბა არისო. ზედ ხი-ლია გადებული. მართალნი მარდად გადიან და სამოთხეში შედიან, ცოდვილნი შიგ ცვივიან და საუკუნო ცეცხლში იტანჯებიან. ცოდ-ვილისა და კეთბლის გამოსაცნობად მიჯნაზედ სასწორია გამირთუ-ლი, სამოთხისა და ჭოჭოხეთის პატრონი სწონავს, რომელი თვა-ლიც დაიწევს, ის ჭოჭოხეთში წავა, რომელიც აიწევს, ის სამო-თხეში. მართლებს იქ ყორულები აქვთ, იქ მწვანედ ბიბინებს ყანა, იქვე სძოვენ ყოჩები. ვენახები და ხილი ბევრია. ყანა იმ პურისა ამოსდით, რომელსაც გარდაცვალების უამს თავით დაუდგამენ. ყოჩები ისინი არიან, რომელთაც ცოცხლები უკმლენ.

ერთი-ორი წლის ყმაწვილს საკმეველი არ ერგება. საიქიოს



ერთი რძის ტბა ორის. იმის შუაში თეთრად გაფოთლილი ხე ჰქვან. ამ ხეზედ სხელან ეს ნორჩი ბალები, ყიყეივებენ, იცინიან, როცა კი მოქშივათ, ხე ჩაწევება. ტბის პირამდე, ყმაწვილები დაეწაფებიან, რძით გაძლებიან და ხე ისევ აიმართება. ასე ატარებენ დროს ყოველ დღე. ისინი უცოდნი არიან და სამხრეთში ნეტარებენ“.

ეს გადმოცემები და შეხედულებები ერთნაირია ყველგან, მთელს საქართველოში... თვით მოსე ჭანაშვილს იმის საილუსტრაციო და შესადარებლად მოჰყავს ერთი ქირთული ლექსი:

მიველ და ვნახე სამოთხის სახე,
ედემსა გარე შემოვუარე:
ოთხვი წყარო დის, ოთხის მხრით მიდის,
მითი მოიჩწყვის ყოველი არე —
სიზმრითა ვნახე ედემი აღმოსავლეთის თავშიო;
არის შეს, არის მთოვარე, მრავალ ვარსკვლავი ცაშიო,
მივდივარ სანუკვარადა წმინდა ედემის ბალშიო.
მოველ და ხეხილთ გადვხედე: ჩარიგებულა რიგშიო,
ზოგი მწიფს, ზოგი ყვავილობს, ზოგსა მკუხენი ასხია:
ერთი რამ კუპრის ტბა ორის აქედან მოსავალშია.
ზედ წვრილი ბეწვის ხილი ძევს, ვინ გადაზომავს თვალშია!
მართალნი მარდად გადიან და მყვიდრდებიან ბალშია!
ცოდვილნი დაბლა ცვივიან, იღუპებიან ტბაშია.

ძალზე საინტერესო გადმოცემები არსებობს „ფინობის“ ჩამდენი კაცის „გახორტაგების“ (გაცოცხლების) შესახებ. სადაც ზოგი ლორადაც იქცევა... ერთი ლორი მოვკალი, წინა ფეხის მაჯაზედ ჭალის სალტა ჰქონდათ. მაგრამ გახორტაგდება მხოლოდ ლეკი და არა ჭრისტიანი. მუხტარ-ალა გაცოცხლებულიყო, შინ მისულიყო, ცოლს ეცნა და ყვირილი დაეწყო. შეყრილიყვნენ მოლები და სოფლელები და ისევ სასაფლაოზე გაეცილებინათ და ეთქვათ: „შენ ადგილი ჰეგი, ალარ გამოხუდე“... გაცოცხლებული ცოხალ კაცს არ ერჩის, პირველად რომ გამოვა საფლავიდგან, კაცს ჰვავს, მცირე ბალანი აქვს. მერე კი ბანჯგულიანი გახდება და რასმე ცხოველს დაემგვანება.

ყველა ეს აღწერილობა და ჩტენა, რომ გარდაცვალებულის სული პეპლად იქცევაო, რომ მკვდარი ცხოველად დაბრუნდებაო,

პარალელს სხვადასხვა ხალხების ეთნოგრაფიულ ყოფასა, მთების მიერთვის
შეხედულებებსა და რწმენაში პოულობს...

მსგავსი შეხედულებები უძველეს წარსულში საქართველოს სხვა კუთხებშიც ყოფილა და მკვდართა გემების უზრუნველი შენახვაც სკოდნიათ. მას ცხადყოფენ არა თუ ზემოთ აღნიშნული ხალხი გადმოცემანი, არამედ თვით ქართულს ენაში დარჩენილი სიტყვებიც: „განსვენება (გან-სვენება), გარდაცვალება (გარდა-ცვალება), მიძინება (მი-ძინება). ეს სიტყვები გვიჩვენებენ, რომ ინგილო-ქართველთა წარმოდგენით, მკვდრები საიქიოს სანეტარო სვენებსა და მიძინებაში არიან და საქაო ჭირ-ვარამი საიქიოს სამარადისო ნეტარება-განცხრომად გარდასცვლიათ.

საინტერესო მასალები შეუგროვებია მოსე ჯანაშვილის ხალხში არსებულ გადმოცემებზე აღისა და მაჯლაჯუნების შესახებაც. ეს გადმოცემები ძირითადად ისეთივეა, როგორიც ყველგან, საქართველოში.

...ალი გრძელ-თმიანი, ლამაზი ქალია. იგი მინდორსა და ველებზე, ან წყლის პირებში იმყოფება. ცხენზედ ჭდება და ჰენება უყვარს. შეკდება ცხენზე და ფაფარს ისე აუწეშავს, რომ კაცი ველარაფრით დაუვარცხნის, ცხენზედ პირუკულმა ჭდება. ცხენზედ ალი ბევრს უნახავს, ალი თუ როგორმე კაცმა დაიჭირა და ერთი თმა გამოაგლიჭა, თავის სიცოცხლეში მისი ყმა იქნება და რასაც მოისურვებს, აუსრულებსო... ზუსტად ასეთივე გადმოცემებით ალიზე (ჭინკებზე). მთავალითად, სავსეა გურიის მდინარეთა სანაპიროები... ისინი ისე ძლიერი და ემოციურია, რომ აღმიანებს განსაკუთრებით მოხუცებს, მზის ჩასვლის შემდეგ ხშირად დღესაც ჭარავთ მდინარის პირას მარტოდ დარჩენა.

მაჯლაჯუნას კაცის სახე აქვს. ვინც პირალმა დაწვება, იმას ისე დააწვება, რომ სულ შეუგუბებს და დაახრჩობს. მაჯლაჯუნასაც და ალსაც ღვთისა ეშინიანო. და კაცმა წმიდა გიორგი ან ლმერთი უნდა ახსენოს და პირვერი გადაიწეროს, რომ მავნე მაშინათვე გადაიკარგებაო.

არანაკლებ საინტერესოა ინგილოთა შეხედულებები ამა თუ იმ უბედურების თუ ავისმომასწავებლობის დასაძლევად...

რამდენიმე მაგალითი:

კუპკუ (გუგული) რომ დაპხეჩო, უნაწილო არ უნდა იყო, ერთი



ლუქმა პური მაინც უნდა ინაწილო. მის „კუჰკუს“ პირველად იწყობოთ
გაიგებ, უნდა მიაძახო „კუჰკუ, დაგხეჩ!“.

შერცხალს დასძლევ, თუ ლვინო შევისვამს ან ძმარი და ძმრის
წნილი გიგემნია.

კუჰკურაი (ცერიტი, დოია) დაიძლევა, თუ ფეტვის ამოსული
ჯეგილი გინახავს.

თუთა-ბალიას (ბიჭო-გოგია) დაძლევა ახალი ყველით უნდა.
თუთა-ბალია პატარძალი ყოფილი. ერთხელ ტანი უბანია. ამ
დროს მამამთილი მოულოდნელად და უცბელად პატარძალს საბა-
ნებელთან მისწრებია. პატარძალს შერცხვენია და ლოთისოფის
უთხოვნია: ღმერთო, მამამთილს როგორდა ვეჩენო, ფრინველად
მაინც მაქციერ, ღმერთსაც შეუსმენია და თუთა-ბალიად უქცევია.
ამიტომაც თუთა-ბალიას ყვითელი ბუმბული ასხია. რადგან პა-
ტარძლები ყვითელ პერანგს იცმენ. თუთა-ბალია იმიტომ პქეიან,
რომ როდესაც მოფრინდება, იძახის: თუთა-ბალო, მოიწიე (მოიწიე,
დამწიფდიო).

ჰოჭოპის დასაძლევად — თავის დაბანაა საჭირო. თუ თავდა-
უბანელ-დაუვარცხნელი პნახე, დაძლეული ხარ. ესეც პატარძალი
ყოფილა და ბანაობის დროს მაზლს მიუსწრია. პატარძალს შერ-
ცხვენია და ფრინველობა უნატრია და ჰოჭოპად ქცეულა. საწყალს
თავში სავარცხელი ისევე დარჩენია.

ლექის დასაძლევად იღდგომის სალამოს ღორის ხორცი უნდა
აკაპლეჭო და გააფურთხო. ღორის ხორცდაულეჭავი რომ ლექმა
გნახოს, დაძლეული ხარ. ხორცის დამლეჭავები პირველად ლექს
თავში სავარცხელი ისევე დარჩენია.

გურგურის (ქუხილის) ხმას პირველად რომ გაიგებ, უნდა გაპ-
გორდე.

ჰელვას (ელვას) რომ დაინახავ, რეინას უნდა ქბილები დაადგა.

თორეს (მთვარე) დანახვაზე ფეხზე უნდა წამოდგე და მოუწ-
რუწუნ (სამჯერ).

მთვარეს დაჭერაში მთვარე რომ დაბნელდება, თოფების სრო-
ლას იწყებენ. მთვარე გველეშაპს შეუპყრია და თოფებით აშინე-
ბენ, რომ მანათობელი ქვეყნისა ისსნან იმის პირიდან.

მიწი-დანძრევაში (მიწის ძრა) იტყვიან, კარგი მოსავალი არ
იქნება ჭირი, და ომი ატყდებაო.

შასკული ჩუმუარდნაში (ვარსკელავი რომ მოსწყდება), აგრეთ-
ვე

ვე ომს, ქვეყნის უბედურებას იტყვიან. ხანდახან ვარსკვლავი ერთი მხრიდან მოსწყდება და მეორე მხრისაერ გადაიცლის. ამაზე იტყვიან: მავან საყდრიდამ მავანისაერ ანგელოზი გადაფრინდაო.

შეგაესი ჩანაწერებით სავსეა მოსე ჯანაშვილის რვეულები და წიგნები... ბევრი მათ შორის იმდენად ძველია, რომ დღეს ჭირს მათი ახსნა... ზოგი ჩვეულება საქართველოს სხვა კუთხეებშიც ზუსტად ისეევ გვხვდება, როგორც აქ. (მაგ. მთევარის, ვარსკვლავის, მიწისძვრისა და სხვა მოვლენათა შესახებ გადმოცემები).

საინტერესოა, რომ ინგილოები უდიდესი მოწიწებითა და შიშით არიან განმსჭვალულნი ძველ გადაშენებულ საყდრების ეზოებში დაშორებილ წმიდა ხეების წინაშე — „ერ წკირ რომ მოვჭრათ, გოგიწყრებავ“.

.... ახალი წლის ღამეა. სიწყნარეა. არ ძინავთ მხოლოდ სახლის პატრონს და მოხუც ქალებს. ის, მოხუცი ქალი მორჩა თავის საქმეს. ადგნენ ორივენი და ჩუმად მოვიდნენ მძინარე ყმაწვილებთან. მელაქები საბნიდან გამოიულეს და მაჯებზე დართული ძაფი შემოუტარეს. გვავანქეს და მოშორდნენ. ძაფი შემოახვიეს დედაბოძაც, თუნგაც და ყოველსავე სხვა კურქელსაც.

ეს ძაფი მოგვანონებს რგოლს, რომელიც ძველთაგანვე ცნობილია, როგორც ლეთის დაუსაბამობისა და ერთარსობის სიმბოლო. ამ ჩვეულებით ინგილო გამოსთქვამს თავის სურვილს, რომ ერთარსებამა და დაუსაბამო ღმერთმა ოჯახის ყოველნი წევრნი და ყოველივე მათი ქონება ახალ წელიწადს შეინახოს მთლიანად, დაუზიანებლად და დაურღვეველად. ამ ჩვეულებას ინგილონი თათრობაშიაც ღიღანს მტყიცედ ასრულებლნენ. ძაფის რგოლს სამ დღემდის არ შეიხსნიდნენ.

ბევრი ამ ჩვეულებათაგან უკვე დავიწყებულია, ახალშა ცხოვრებამ შესცვალა და გარდაქმნა მათი როგორც ყოფითი, ისეევ სულიერი სამყარო, მაგრამ საინგილოს ისტორიის, მისი კულტურისა და საერთოდ ცხოვრების შესასწავლად, მის ზოგად ქართულ ხასიათთან შესაჭრებლად ამ ჩანაწერებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ... ისინი ამ კუთხის ხალხის მხატვრული ნააზრევის ნამსხვრევია, მაგრამ მაინც უაღრესად საინტერესო.

ინგილოთა შორის ყველაზე ღიღ დღესასწაულად აღდგომა ითვლება. ამ დღეს მარტო ქრისტიანები კი არა, თვით მუსულმანი

ქართველებიც განსაკუთრებით ოღნიშნავენ, წერს მოსე ჯანა-
შვილი.

მზადება იწყება ვნების პარასკევიდან. წითლად ლებავენ კვირ-
ცხებს და სამხთო საჭმელ-სასმელით (მხოლოდ მამაკაცები) სასაფ-
ლაოზე გადიან. ერთად, ძმურად იხსენიებენ მკვდრების სულებს.
შეღებილ კვერცხებს ინახავენ აღდგომისათვის. აღდგომის დღეს,
მამლის ყიფილისას, მთელი სახლობა იღვიძებს და პირს იხსნი-
ლებს ლორის ხორცით. გალეჭავენ ერთ ნამცეც ლორის ხორცს,
გამოაფურთხებენ და იტყვიან — „ლეკო დაგხეჩ“. ამ სიტყვებს
აღდგომის შემდგომ იმეორებენ მაშინაც, როცა პირველად დაინა-
ხავენ ლეკს, ან მაპმადიანს საერთოდ. ეს ჩვეულება ერთხელ კიდევ
უსვამს ხაზს იმ მოუშუშარ ტკიფილსა და საშინელებას, რაც შაპ-
აბაზის წყალობით ლეკთა დაუსრულებელ თარეშს მოჰყვა ამ კუ-
თხეში. მთელი ორი საუკუნის მანძილზე ინგილოსათვის უფრო
შემზარავი და უფრო საშიში სიტყვა, ვიდრე „ლეკია“, არ არსე-
ბობდა.

დილით უველა ახალი ტანისამოსით იმოსება. თავს იყრიან სახ-
ლის აღმოსავლეთ კუთხეში, ანთებენ სანთლებს და ღმერთსა და
ქურმუხების წმიდა გოორგის ევედრებიან „გახსნილებას (აღდგომას)
მუდამ დოგასწარ“ (დაგვასწარიო).

შემდეგ ჰკლავენ „სამხტოს“, ყოჩის, ბატყანს, ან მამალ-ვარიას
(წვრილფეხა მამლებსა და სადედლე ვარიებს). ხონჩაზე დაალაგე-
ბენ სხვადასხვა საჭმელს და მიღიან საგვარეულო საყდრებზე სა-
ლოცავად. ეს საყდრები (ვინაიდან ტაძრები ან აღარ არსებობს, ან
არ ანებებენ იქ მისვლას) მაღალი ხეების ჭგუფებია. ხშირად აქ
აღარც ჩანს ძეველი შენობის კვალი. ხეებს ქვეშ საღმე დევს ქვა
(ფშავ-ხევსურების ნიშის მსგავსი), მასზე დაანთებენ სანთლებს,
აკმევენ საყმეველს და შეეველებიან ღმერთს მხურვალედ. შემ-
დეგ ამ საყდრებს დაუკლავენ სამხთოებს, ერთად ისამხრებენ ნა-
თესავები (გვარეულობა) და თავიანთ სახლებში წავლენ. სადილო-
ბის შემდეგ ნათესავები და ნაცნობები ერთმანეთს ულოცავენ
აღდგომას. „ქრისტე აღსდგა! — ქეშმარიტად!“ — აქ არ იციან.
მის მაგივრად ერთურთს ეგებებიან სიტყვებით — მოგილოცავ გახს-
ნილებას! ახლაც მაპმადიანად დაშთენილი ინგილოები შიგა და
შიგ ასრულებენ ხსენებულ წესებს — წერს მ. ჯანაშვილი.

ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, საინგილოშიც

ყოფილა სამონადირეო ფოლკლორი, თუმცა ცოტა, მაგრამ შეჩერებული შემორჩენილია აქ ხალხის ნააზრევი მონადირეთა ცხოვრებისა და ნადირთ პატრონი ღვთაების შესახებ. მოსე ჭანაშვილის ჩანაწერებში არის ერთი თქმულება, რომელსაც „ნადირთ პატრონი“ ჰქვია.

... ვინ არ იცის, რომ ნადირებსაც თავიანთი პატრონი ჰყავთ, რომ ნადირებმაც იციან ნათესაობა...

ერთხელ მონადირეს შველი მოუკლავს, გაუტყავებია და მწვადები შეუწვავს. ღამით ლამაზი, მაღალი, თეთრი მამაკაცი მოსულა, დამჭრარა ცეკლთან. მონადირეს სუფრისთან მიუწვევია. კაცს არაფერი არ აუღია. მერე გამქრალა... მონადირე მიმხვდარა, ეს ნადირთპატრონი რომ იყო და შეწუხებულა.

მერე ახალგაზრდა, ლამაზი ქალი მოსულა... მონადირეს მოქნევია... ბოლოს დასაძინებლად დაწოლილან. მონადირეს უფიქრია, ეს უბრალო ვინმე არ იქნებაო. დადარაჯებია. მართლაც, ქალს თოფის მოპარვა სდომებია. თურმე პატარძალი მონადირებს თოფს ჰქონავს, ჰკლავს, თოფებს კი ინახავს... ამას ყველაფერი გაუგია, ქალისთვის თმა შეუკრია და ძალა წაურთმევია... ეს თქმულება კაცასიის ხალხებში, უფრო კი სვანეთში გავრცელებული მონადირული ეპოსის ერთგვარი ვარიაციაა. იგი საინტერესოა სწორედ იმ ნათესაური ხაზით, რომელიც საქართველოს ამ ორი კუთხის ხალხის მხატვრულ აზროვნებას ნადირთ პატრონი ღვთაების მითიურ საწყისთან აკავშირებს.

გამოვყოფთ კიდევ ერთ ზღაპარს „პარ რაიმი (ე. ი. ყველაფრის) ენძ მცოდნე კაცი“.

„... კაცი თურმე გზაზე მიღიოდა, დაინახა შავ გველებს დაუკერიათ ერთი თეთრი გველი და აწამებენ. აულია ქვე და ერთი შევი გველისთვის უსროლია. მას კული მოსწყვეტია. სხვებს შეშინებიათ და გაქცეულან. თეთრი გველი მისულა კაცოან და უთქვამს — მე გველთა ხელმწიფის ქალი ვარ. რადგან შენ გადამარჩინე, წამოდი ჩემს მშობლებთან, ისინი სიმდიდრეს შემოვთავაზებენ, შენ უთხარი, არაფერი არ მინდა, მხოლოდ ყბაში ჩამატურთხე თქვა (ჩამატურეო). მივიდნენ ხელმწიფესთან და უამბეს ყველაფერი. ხელმწიფემ მოიხმო რაც ქვეყანაზე გველები იყო, სუყვილა. კუდმოგლეჭილი გველი დაიმალა და არ მოვიდა. ბოლოს

იპოვეს; მოიყვანეს და იქვე მოჰკლეს. კაცს კი უამრავი სიმღვდები შეაძლის, მაგრამ მან უარი თქვა.

— მე მხოლოდ ის მინდა, ყბაში ჩამაჯუტოთო.

ხელმწიფე შეუხებულა. ეს ალბათ ჩემმა ქალმა გასწავლა, თორემ შენ საიდან გეცოდინებოდათ. ჩაუუტა ყბაში და უთხრა:

— არ მინამს არ გააჩივო შენ თავზე მანასულ-მანაკვდომ, თუ არ, მაშინვე მოკვდებიო.

კაცი გამოვიდა თუ არა გარეთ, ნახა, რომ რაც დუნიაზე რმეა, ყელას ენა ესმის, გზის აქეთ ბალახები ლაპარაკობენ, გზით იქით ხეები, ბუჩქები ჩურჩულებენ, პეპლებს ბუზებს, კალიებს, ყელას ენა პეონია. ძროხები არეულიან, ერთმანეთს ეძახიან, ბლავიან, მოლრიალობენ, ცხენები ხვიხვინებენ, ფრინველები ერთმანეთს უმღერიან, უყივიან, კურკურია კრკრ-ს იძახის, გუგული თავის კაფე-თესეს მოჰყოლია, მოლალური თუთა-ბალს აზის, გაპივის თუთა-ბალია მოიწიო”. ყაბყაბი ყაბყაბებს, ოფოფი ოფოფს ეძახის, წყლები მიღიან, ხუვიან, წიკწიკებენ, ხმაურობენ, ხევში ქვებს ახრიალებენ, ლაპარაკობენ. თევზები წყლიდან ამოდიან, ჭიჭიყინებენ. რამდენი უნდა მოვთვალო. ყველა თავის ენაზე ლაპარაკობს, მასლაათობს, ზრახაეს და ყველა თავის ენაზე ნათქვამი ესმის კაცს. გაშტერდა. შინ რომ მივიდა, დედაკაცს არათერი არ უთხრა.

გვეიდა ცოტა ხანი. ერთ დღეს ქალმა უთხრა, დედაანთსა გამა-ცილეო.

კვიციანი ცხენი შეკაზმა, ზედ შესხდნენ და წავიდნენ. გზაზე კვიცი უკან დარჩა. სამყურა ბალახი მოსძოვა, შეაგვიანდა. ბოლოს კეიიმა დაიხვიხვინა, დედას დაუძახა. ისიც გამოეხმაურა. ამ ხვინებიზე კაცს გაეცინა.

— რა გაცინებსო, — ჰკითხა ქალმა.

კაცმა არ უთხრა. ქალი არ მოეშვა.

— თუ არ მეტყვი, გაგეყრებიო, დაიჩიმა.

— კაზგი, კი გეტყვი, მაგრამ იცოდე, მაშინვე მოვკვდები, კვიცი და დედამისი ამას ეუბნებოდნენ ერთმანეთს:

— დედა, მომიცადე, ველარ გეწევი, უკან დავრჩიო.

— პატარა ჩქარა მოხვიდე გასაქრობელო. ფეხები ხომ არ ჩაგრეხია. ორი ზედ ამყიდებია, ერთიც მუცელშია, მაინც მივდივარ და გზას ვამოულებ, შენ კი შენს თავსაც უერ ატარებო.

ეს რომ თქვა, კაცი მაშინვე მოკვდა, რადგან გველის ხელმწიფის ანდერძი არ შეინახა”.

ეს ლეგენდა — ზღაპარი გვახსენებს ვაჟა-ფშაველას „გველის შემელს“. იგი საინტერესოა თუნდაც იმიტომ, რომ ხალხური წყარო, რომლითაც ვაჟა-ფშაველამ ისარგებლა, მარტო ფშავში არ ყოფილა ვაჟრცელებული. თეთ ლეგენდა კი, აღამიანის მიერ სიბრძნის მოპოვებისა, უაღრესად ძველია და თავის საწყის ძირებს კაცობრიობისა აკვანთან მდგომი ხალხიდან იღებს, რომელთა შორის ქართველთა წინაპრებიც არიან.

ამბობენ, მთელს საქართველოში საინგილო ერთადერთი კუთხეა, სადაც სიმღერა არ იციანო... ვაოცებას ოწვევს ეს აზრი, როგორ შეიძლება ხალხი არ მღეროდესო, ამბობენ. ბედუქულმართი ყოფის შედეგია, ალბათ, ეს... მთსე ჯანაშვილსაც ძალზე ცოტა ჩაუწერია ინგილოური სიმღერა, თუ ლექსის ნიმუში. შეიძლება ითქვას, თვით მთს წიგნში „საინგილო“, ერთადერთი ლექს-სიმღერაა ჩაწერილი... ისიც აკვნის ნანა.

„აქაური ნანას სიტყვებს ძალზე გულმოსაყლავი და მწუხარე კილო აქვს. ბევრჯერ მომისმენია ინგილოური ნანა და ყოველთვის ამ ქვეყნის ბედშავი წარსული თვალწინ წარმომდგომია, მომგონებია დრო შავ-აბაზისა, მფლობელობა და ბატონობა ჭარ-ბელაქნელებისა, ელისუს სულთნისა, ლექებისა და სხვ. ერთის სიტყვით, ის დრონი, როცა ძლიერსა და ხალხით სავსე ჰერეთს მტრები სისხლის წვიმის აწეიმებდნენ, ხალხს სტყვევნიდნენ და ულეტავდნენ. მართალია, აქაური ნანა სიტყვებითა და შინაარსით ფრიად მარტივი და ღარიბია, მაგრამ მაგივრად კილოსა და პანგის მიხედვით კი თავზარდამცემია და როგორც ვსთქვით, მწუხარებით საესე. ამ მცირე ლექსის პანგით ხალხს გამოუხატავს თავისი ბედშავი ყოფა-მდგომარეობა, სიმძიმე თვისის ულლისა. ა. თვით სიტყვები აქაური ნანასი, რომელსაც უფრო ბეპრები დამღერიან:

და-დაი, შულო, დაი!
ჩემო გულო, დაი!
დაიზან შულო, დაი!
დაიქენ, თოლო, დაი!
შენამ შემოგევლები!
ტკბილად დაიზან, დაი,

უანიშ ჭირიმენ,
 ვაჟკაც გახდ, დაი,
 დუშმან ბევრ გყავ, დაი!
 საქმეი ბოლ გოქ, დაი!
 შენ რუმ გაიზღები, დაი!
 ხანქალს მოგცემ, დაი!
 მამულს მოუარ,
 შემოამაგრ, დაი,
 დაი, დაი, დაი, დაი!

„მამულს მოუარ, შემოამაგრ, დაი“, აი, ის უმთავრესი ტკივილი, რომელიც ინგილო ქართველთა გულშია ჩალექილი... ამ მწუხარე და სევდიან აკვნის ნანაში გამოუხატავს ხალხს მომავლის იმედი და სიყვარული მისი...

უანიშ ჭირიმენ,
 ვაჟკაც გახდ, დაი....

ინგილოთა თქმულება-გადმოცემანი თუ ლეგენდები, რომელიც მოსე ჯანაშვილს ჩაუწერია, სავსეა სამშობლო მიწის სიყვარულითა და მისთვის თავგანწირული, სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლებით... ტკივილით, ცრემლით... ამაღლებული გრძნობით... ერთი აქტი ლეგენდა რომელსაც „დიდი ხორეშანა“¹ პქვია, ქართველი ქალის მართლაც საოცარ თავგანწირვასა და სიყვარულზე მოვარითობს.

„... მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს შაპ-აბაზ I შემოვიდა საქართველოში. აათხრა ეს მშვენიერი ქვეყანა. კახეთიდან მრავალი მკეიდრი აძყარა და წაასხა სპარსეთს. კახეთს მმართველი დაუნიშნა ალავერდი-ხანი. ქართველთ დაადო ხარკი და ამასთანავე ბრძანება გასცა, რომ ამიერიდგან საქართველოს მეფე უსათუოდ ყოფილიყო მაღიარებელი მაპმაღის სარწმუნოებისა. ხარჯს გარდა,

¹ ეს ლეგენდა, როგორც მოსე ჯანაშვილი ორიშნავს, მოხსენიებული აქვს, ავტორეთვე ვ. პოტოცის თავისი თხზ. „Кавказская война“-ს პირველი ტომის მეორე ნაწილში. იგი თავისი შენაარსით უშუალოდ ინგილოთა ცხოვრებას არ გადმოსცემს, მაგრამ შაპ-აბაზის დროს ეხება. ხოლო შაპ-აბაზის რისხევაშ უკელაბერებელი გაგებით კი სანგილო იმია კახეთის ნაწილია.

ქართველთ თოვე და თოვე შაპისთვის უნდა მიერთმიათ ორმოცდადართული რეგიონის ქალნი. ამ ქალებს შაპი ზოგს თვითონ ინარჩუნებდა, ზოგს — კი უფეშქაშებდა ხოლმე თავის დიდებულთ. მაგრამ ალვერდი-ხანს თავის ხელმწიფისაგან მიღებული საჩუქარი ეკოტავებოდა და თვითონაც კახეთში აწიოკებდა ხალხს და იტაცებდა ლამაზ ქალებს. ეს ალვერდი—ხანი წინამძღვრობდა ყიზილბაშთა ცხენოსან ჯარს და დაბანაკებული იყო ქალაქ თელავის ახლოს. ყოველ დღე იგი ქორ-მეძებრებით სანადიროდ წავიდოდა ხოლმე და სალამოზე კი დროს ატარებდა თავის კარავში.

ერთხელ შაპ-აბაზთან მიეიდა საქართველოს მეფის წარგზავნილი მაღალი, ტანადი, ლამაზი ახალგაზრდა თავადი ქართლისა და „ლომსა ერანისტანისა“ მიართვა ხილით სავსე კალათა.

— ძალიან მშვენიერია, — ბრძანა ხელმწიფემ. მერჩე იოლო ერთი წითელი ვაშლი, შესჭამა იგი. კურკები კი ხელის გულშე გამოჰყარი და უბრძანა მიერთმიათ შუბი. შუბი დასცა ნიადაგს, კურკებიც გადმოაბნია. მიუბრუნდა ქართლელ თავადს და უთხრა:

— სალამი მოახსენე შენს მეფესა და უთხარი, რომ მანამ ამ კურკებით წალკოტი არ გაშენდება და მე იმ წალკოტის ხეხილის ნაყოფს არ ვიგემებ, მანამ თქვენის ქვეყნიდან არ გამოვალ. იქ მე შეინახს უფრო მშვიდობიანად, მინამ აქ, სპარსეთში.

— ბატონი ბრძანდებით, უპასუხა თავადმა, რომელიც შაპის სახლიდამ გამოვიდა ფრიად შეწუხებული ასეთის დამცირებისა გამო თვისის მეფისა და საყვარელ სამშობლოისა. ამ დროს მოუვიდა შემდეგი ფიქრი: „გავწირავ ჩემს საყვარელს, ჩემს მშვენიერს ხორეშანას... მამული უფრო ძვირფასია“.

ამ თავადს ერქვა შიო. მისი მამულ-დედული მდებარეობდა ქართლ-კახეთის მიწნაზე, იგი იყო ქართლელი, ცოლი კი — ხორეშანა კახელი ჰყავდა. ისინი სულ ორი-სამი თვის შეუღლებულნი იყვნენ.

ამ დროს ქართლის მეფე თავადებითა და ჯარით იდგა მცხეთის ახლოს. თუმცა მეფე დამარცხებული იყო და შაპის ერთგულებას და მორჩილებას აცხადებდა, მაგრამ ეს მორჩილება გარეგნული იყო. ნამდევილად კი იგი ემზადებოდა მტრისათვის სამაგიერო ვადაეხადა. ძლიერი სამღვდელოება, დიდებულნი და გლეხნი ერთმანეთს პფიცავდნენ ქვეყნისთვის თავდადებას.

ამ მდგომარეობაში იყო საქართველო, როცა შიო მივიღა მუსიკურული სახლში და ხორებანას ჟესძახა:

— იხსენ სამშობლო!

— რას ბრძანებ, ბატონო, უძლურმა დედაკაცმა როგორ იხსნას სამშობლო, როდესაც უძლიერესნი თავადნიც, შეკრებილნი მეფესთან მცხეთის ახლოს ვერ ახერხებენ ამას.

— იქ, სადაც არაგვი არაგვიანი ერევა ხმოვანსა და შეფოთიანს მტკვარსა, იქ შეკრებილა ქართველთ ლაშქარი. ეს უკანასკნელი ძალა, მეტი აღარსად არი, და ეს ძალაც ფრიად მცირეა, ერთი მუჭა. ყიზილბაშთა ჩიცევი კი უთვალავია. ჩვენ რას ვუზამთ ასეთ ძალას? პატიოსნად თუ თავს შევაკლავთ, თორემ სხვა არა გამოვარა. მაგრამ ეს მსხვერპლი რას უშეველის სამშობლოს? ხოლო იცოდე, საცა ვაჟკაცნი თავადნი ვერას მოაგვარებენ, იქ სუსტ დედაკაცს ბევრი შეეძლება, მკლავის ძალით კი არა, შეყვარებულის გულის გრძნობით შესწირე თავი. საღამოს ვარსკვლავიდამ დილის ცისკრამდე შენი სიყვარული დაუთმე კახეთის ხანს ალავერდის... საშიშარია ქართველთათვის არა უფროსი ურდიდ შაპისა მისი ურიცხვის ჯარითა, არამედ ხანი ალავერდისა. თუ იგი განუდგა შაპისა — საქართველო განთავისუფლდება. მხოლოდ შენ, მარტო შენ შესძლებ ამას. შესძლებ არა ღონით, არამედ შენის თავის გწირვით! დაგვიდა უამი უმაგალითო, განუსაზღვრელისა და განუზომელის მსხვერპლისა, რომელიც მხოლოდ სამშობლოს სიყვარულს შეუძლია მოგვითხოვ...

საკვირველ, გასაოცებელ იყვნენ სიტყვანი მისნი. სიტყვანი, რომელთ მაგვარი ვერ მსოფლიოს არა ჰსმენია. და ხორებანამ შეიგნო სიდიადე მსხვერპლისა.

და აი, სულ მალე, შემდგომ ამისა ხორებანა ალავერდელი ხანის ბანაკში მიდის. იგი შეწუხებულია. თრთის... ალავერდი—ხანი წინასწარ მეტყველის მაპალის წვერს ფიცულობს, ხორებანასთანა შევენიერება არსად მინახესო. იგი შეწუხებულია, რაღგან იცის, იმ მსხვერპლს ვერ გაიღებს, რასაც სთხოვს ქართველი ქალი. შაპის ღალატს ვერა და ვერ იტვირთებს. ასე დაღმიდა მეორე დღეც შუალმისას კი ხანი იძულებული შეიქნა დასთანხმებოდა. ხორებანამ მოითხოვა ფიცი. ალავერდი—ხანმა მაპმალის წვერი დაიფიცა.

დილით შაპისგან შიკრიკი მოვიდა — ქართველთ ლაშქარი გამოვიდა მცხეთიდან და საჩქაროდ მომეშველეო.

ალავერდიმ ბრძანება გასცა დაეჭედნათ ცხენები და შაპის შო-
საშეელებლად მომზადებულიყვნენ... ფიცი აღარც კი გასცენებია.
ხორეშანამ გადაწყვიტა, იმავე ღამეს თავი გაეგდებინებია მოლა-
ლატისათვის, მაგრამ როცა ამ გადაწყვეტილების აღსრულების
უამი დაღგა, ხორეშანას ჩაეძინა, ძილში გამოეცხადა ერთი ლრმად
მოხუცი კაცი, თეთრმიანი, მწირის სამოსლით მოსული, ბრწყინ-
ვალე და მშვიდობიანის სახისა. მან აღმართა ხელი და აკურთხა
ხორეშანა.

— უტევე შენს განძრახულებას, შენ, უკეთესი ასულო ივერი-
ძავ! ნუ მოჰკლავ ალავერდი-ხანს, რამეთუ იგი მოწოდებულ არს
მოსახლენად დიდი საქმისა, მისი სიცოცხლე იხსნის სამშობლოს,
ალადგენს ნგრეულ-ნაოხარს სავანეს, რომელსაც მე დავსტირი
მრავალსა უამსა. შენს მძიმესა და დიდს მსხვერპლს გააბრწყინვებს
კურთხევა ეკლესიისა. დილით აცნობე ხანსა, რომ შენ გსურს იგე-
მო ხორცი მისი ნანაღირევისა.

დილით ხორეშანამ ხანს მოახსენა — მსურს ვკამო შენ მიერ
მოკლული ჯერინის მშვადო. მაშინვე გაიცა ბრძანება და მთელი
ამაღა მონაღირეთა წავიდა წმიდა გორგის სავანისაკენ... უამრავი
ნაღირ-ფრინველი დახოცეს. აი, ალავერდი—ხანის მიმინო გამოე-
დევნა კაქბებსა, მაგრამ ისე ზარმაცად, უნდობლად, რომ კაქბები
შორს გაფრინდნენ. ალავერდი აღელდა, გაასპიტდა... შემოჰკრა
თავის ბედაურს და უტევდა მიმინოს. ამ დროს კი კარგა მოშორე-
ბით ალაზნის პირას მუხლებზედ იდგა განდევილი და ლოცულობ-
და სამშობლოს ხსნისათვის მტერთაგან. მიმინო კიდეც ეწეოდა
კაფაბს. აი, ბრწყიალები გაშალა, ნისკარტიც მოამზადა თავის
მსხვერპლის ჩასატავად, მაგრამ დახე განგებას. კაფაბი უცბად
მოტრიალდა, დაეშვა ძირს და შეეფარა მლოცვა მწირ-ბერის კალ-
თებქვეშ.

ალავერდიმ ცხენი მიაჭენა და ბერს დაუყვირა:

— გამოაფრთხე კაფაბი!

განდეგილმა ლოცვა არ შესწყვიტა.

— შენ გეუბნები, გამოაფრთხე..

განდეგილი ისევ ლოცულობდა.

— მაშ მე ყურსაც არ მათხოვებ, ამაყო გიაურო? — დაიღრი-
ალა ხანმა და ხანგალი იშიშვლა. მაგრამ მოხვდა თუ არა იგი მო-



ხუცის თეთრ წევრსა, მყის შეიმუსრა. ხანი კი ცხენიდან ჩამოგებული და და ხელი, რომელშიც ხანჭლის ტარი ეჭირა, შეახმა.

განდევილი ისევ ლოცულობდა.

სასწაულით ზარდაცემული ხანი მუხლებზე დაეცა...

— მაპატიე ცოდვები, მომირჩინე ხელი და ვამსახურებ მას ქრისტიანთვის.

განდევილის კურთხევამ განკურნა მისი ხელი და სხივი სარწმუნოებისა მოეფინა ალავერდის ბნელსა და აქამომდე უგრძნობელს გულსა!

დაიწყო სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა. გამოჩნდა ალავერდი— ხანის მხედრობაც. იგი თვითონ მოუძღვება ჯარს... მოდის პირდაპირ ქართველებზე... მოუახლოვდა კიდეც... მაგრამ უცრად პირი იბრუნა და ქართველებთან ერთად ყიზილბაშებს დაერია. სპარსელები იძლიერნენ და გაიქცნენ.

ამ ბრძოლაში თავადი შიო მოჰკლეს. მის გვამთან ვაჟურად გამოწყობილი იდგა ხორეშანა და ცრემლს ღრუიდა. იგიც ქართველ ვაკეაცებთან ერთად საშობლოს გადასარჩენად იბრძოლა. სასიკვდილოდ დაიჭრა ალავერდიც და სულ რამდენიმე დღეს-ღა იცოცხლა. სიყვდილის წინ მოინათლა. მოვდა ქრისტიანად და ხორეშანას მეორე ქმრად. მთელი თავისი ქონება კი წმ. გორგის (ალავერდის) ტაძარს უანდერდა, რათა კვლავ აღედგინათ იგი. ხორეშანა აღიკვეცა მოლოზნად, რათა მწირობაში გამოესყიდა თავისი უმაგალითო, დიდი, მაგრამ ცოდვის გზით დაგვირვევინებული ღვაწლი“.

მთხობელი დასძენს:

„არა ყოფილა და არცა იქნება ისეთი საყვარელი შეილი მამულისა, როგორიც იყო ქართლელი თავადი შიო. არა ყოფილა და არცა იქნება ისეთი საყვარელი ცოლი, როგორიც იყო კახელი ხორეშანაა...“

ეს შშენიერი, ამაღლევებელი და დრამატიზმით სავსე ნაწარმოები თანაბრად ეხება, როგორც მთელს აღმოსავლეთ საქართველოს, ისე სინგილოსაც... ამიტომაც ყოფილა იგი გაურცელებული კახსა და ალიბეგლოში...

¹ ხანისა და განდევილის ეპიზოდი დიდი ასურელი მამის დავით გარეგილის ერთ-ერთი სასწაულის ვარიაცია.

ღარიბია ლიტერატურა, რომელიც მოსე ჯანაშვილის ღვაწლს თუნდაც სქემატურად გაგვაცნობდა. მან, როგორც მეცნიერმა, მყვლევარმა, მწერალმა, პედაგოგმა თავისი ტეირთი გულგატებლად ზიდა და ქართულ საზოგადო საქმეს თვალსაჩინო სამსახური გაუწია. მძიმე პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა... ყველაფერი გასაკეთებელი იყო მაშინ და ისიც ყველაფერს აკეთებდა, ყველაფერზე წუხდა, ყველაფერზე წერდა.

„შენ ერთი იმათვანი ხარ, ვინაც ქართული მეტყველების ხაზით პირნათლად იმუშავე და უაღრესად მძიმე პირობებში შესამჩნევი კვალი დააჩინე შენს მიერ არჩეულ გზას.

ამ მხრივ შენი ნაღვაწი და ნაამაგარი იმისთვისა და იმოდენაა, რომ ერთი მოდგმისთვის კმა არს, რომ იტვირთოს...“ — ასე მიუმართავს მოსე ჯანაშვილისთვის ვუკოლ ბერიძეს მისი დაბალების 75 და მოღვაწეობის 35 წლის იუბილეზე...

აქვეა მისი სიტყვაც:

„... კიდევ მსურს სამსახური ქართველი საზოგადოებისათვის, კიდევ მსურს გალვივება მასში უკეთეს გრძნობებისა, კიდევ მსურს მის ჭირ-ვარამს მტლად დავედო...“

* * *

ინგილო ქართველთაღმი, მათი ტკივლისა და მოუშუშარი იარის თანახიარობის ნიშნად აიყვანა ჩვენმა მოაზროვნე საზოგადოებამ იგი მთაწმიდაზე. და დღეს, იქ, სადაც განისვენებენ ქართული აზრის დიდნი მნათობნი, დიდნი მამანი ჩვენი, არავის უკვირს და ეუცხოვება ერთი საფლავიც, რომელზედაც აწერია: „მოსე ჯანაშვილი“.

ზაქარია მჭილი

რვეულის შიგა ყდაზე მიკრულია შუახანს გადაცილებული, თმაშეთეთრებული კაცის სურათი. ერთგვარი ბავშვური გულუბრ-ყვილობითა და სიწმიდით გვიყურებს მისი ნათელი თვალები... ერთგვარი სევდაც მოჩანს მათში... ეს ზაქარია ედილია.

„ზაქარია ედილი (ედილაშვილი) დაიბადა 1873 წელს. სოფელ ბრეთში (ახლანდელი ქარელის რ-ნი,—1956), საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, პროფესიით ექიმი-ვეტერინარი. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. უმაღლესი ტარტუს ვეტერინარულ ინსტიტუტში დაამთავრა. 1901 წელს დაბრუნდა კავკასიაში. მუშაობდა ზანგეზურის, ექიმიადინის, ნახიკევანის, სოხუმის მაზრებში, 1907—17 წლებში საინგილოში. დაინტერესებული იყო საქართველოს ისტორიით. მუშაობდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე...“

ქართული ენციკლოპედია. ტ. II. გვ. 27

სიტყვა „დაინტერესებული“ ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, ვერ გამოხატავს იმ შინაარს, იმ ახლს, რომელიც ამ უპრეტენზიო, მაგრამ თავისი ქვეყნის ბედზე თავდაუზოგავად მზრუნველი, უაღრესად კეთილშობილი ადამიანის ცხოვრებისა თუ ლვაწლის შესახებ უნდა ითქვას. ზაქარია ედილი დაინტერესებული ირ ყოფილა საქართველოს ისტორიით. ეს მისი უდიდესი ტკივილი, მისი ბედი იყო. პროფესიით ექიმ-ვეტერინარმა თავისი შეგნებული ცხოვრების უმთავრესი ნაწილი სამშობლოზე და კერძოდ, საინგილოზე ზრუნვეს მოანდომა. საკმაოდ ბევრიც გაავეთა. რომ არაფერი ვთქვათ ისეთ ნაშრომებზე, როგორიცაა „ვახტანგ მეფე და პეტრე დიდი“, „საქართველო“ და სხვა, სიცილუსტრაციონდ მის მიერ საინგილოზე დაწერილი წიგნის გახსენებაც კმარა. წიგნი 1947 წელს გამოვიდა, მაგრამ მიუხედავად საკმაოდ დიდი დროის გასვლისა, დღესაც სამაგიდოა მათთვის, ვინც საქართველოს ამ მრავალნატან-ჭი კუთხით დაინტერესებულა.

ჩეენ არ შევეხებით ამ წიგნს... ჩეენი მიზანი საქართველოს ლი-

ტერატურის მუზეუმის საცავებში იმ არსებული მასალების გაცნობაა, რომელიც მას ინგილობთან უშუალო ურთიერთობის ნიადაგზე შეუკრებია. მათი უმეტესი ნაწილი უცნობია მკითხველისთვის.

ესაა ერთად შეკრებილი რამდენიმე სასკოლო ჩვეული, რომელსაც საერთო სათაურად „ინგილოური ფოლკლორი“ აწერია. მასში ფოლკლორული მასალების გარდა ავტორის ნაწარმოებებიცაა შესული; უფრო ზუსტად, საინგილოს თემაზე შექმნილი მოთხოვნები, რომელთაც, ძირითადად, ნამდვილი ამბავი უდევს საფუძვლად. ავტორს ისინი მოთხოვნებად იმიტომ აუკინძავს, უფიქრია, ამით უფრო შთამბეჭდავს გახდიდა იმ მწვავე და ტრაგიკულ ამბებს, რომელთა მოსმენას შეუძრავს და შეურყვნია მოელი მისი არსება. ეს ამბები, ეს გადმოცემები ისევ ცოცხლობს ინგილოჟიართველთა ხსოვნაში. ზექარია ედილს მათთვის მხოლოდ ლიტერატურული სახე მიუცია. ბევრი მათგანი თავის დროზე უურნალგაზეთებშიც გამოუქვეყნებია. მხატვრული თვალსაზრისით, ცხადია, ამ მოთხოვნებს ლიტერატურაში კვალი არ დაუტოვებიათ, მაგრამ მათში ძალზე მწვავედაა აღწერილი ამ კუთხის ხალხის ტკივილი, მისი ავტედითი ცხოვრება.

ყველაზე მძიმე ჭრილობა, რომელიც ვერა და ვერ მოშუშდა, შაპ-აბაზის ნახმლებს ანია საინგილოში. თვით ლეკების დაუნდობელი თარეშიც შაპ-აბაზის „წყალობა“ იყო...

საუკუნეთა მანძილზე ერთი მიწისა და ერთი რწმენის ხალხი — ლეკები და ქართველები ერთად ებრძოდნენ გარემომდგარ მტერს. მათ მიწაზე დღესაც დგას ქრისტიანობის მაუწყებელი შესანიშნავი ქართული ტაძრები, სადაც ერთად ლოცულობდნენ და ავედრებდნენ ქვეყნის შემოქმედს ნანატრ მშეიღობას... მაგრამ მას უშმდეგ, რაც ნებით თუ უნებლიერ, შიშით თუ სასყიდლით ლეკები მაპმადის რჯულზე მოაქციეს, ყველაფერი იირია. შაპ-აბაზი და მისი მემკვიდრენი უხვად ისაჩუქრებდნენ იმ ლეკებს, ვინც მეტ ქართველს მოჰკლავდა, ან დაიმონებდა... ეს იყო ისტორიის მრავე გადვეთილი, რომლის შედეგი მხოლოდ ორნახევარი საუკუნის შეემდეგ უნდა დაგვენახა ჩვენც და მათაც, ვინც დღეს დაღესტნის მიწაზე ცხოვრობს... მათი საშუალებით შაპ-აბაზი საქართველოსკენ გზის გაკვლევას ცდილობდა. საბოლოოდაც მათი საშუალებით შესძლო მან საინგილოს ჩამოშორება საქართველოსაგან...

ქართული სინამდვილე, ცხადია, საინგილოშიც, და კერძოდ, ხალხის სულშიც პიოვებდა თავის ასახვას, განსაკუთრებით ფოლკლორში. რაგინდ დამონებულიც არ უნდა იყოს ხალხი, არ შეიძლება მასში არ ღვიოდეს სულის პოეტური საწყისები, მისი სიკეთე, რომელიც ზოგჯერ პოეზიით და სიმღერით გამოიხატება, ზოგჯერ ზღაპრებითა და თქმულებებით.

შედარებით ცოტაა საინგილოში სიმღერა და ლექსი, მაგრამ საქმაო ჩაოდენობით მოიპოვება ზღაპარი, თქმულება, გაღმოცემები... მათგან ბევრი ზოგადქართული ხასიათისაა. საერთოდ კი, უფრო მეტად, აღვილობრივი ტკივილებისა და წყლულების შედეგადაა შექმნილი.

ამ გაღმოცემებსა და ლეგენდებში ასახულია ინგილო-ქართველთა ყოფა, ზნე-ჩვეულებანი, ტკივილი, ცხოვრება... ბევრი რამ ზოგადქართული ტრადიციისა მათ უკვე დავიწყებული პქონდათ ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როცა ზაქარია ედილი იყო იქ. ზოგი რამ თავისებურად შეერწყა ახალს, არაქართულს, არაქარისტიანულს. საინტერსოა მათზე დაკვირვება. ერთი, რაც განსაკუთრებით იგრძნობა, არაქართული სახელებია — ჰაზირა, აბდულა, აბმედა, ჰავიბეგა, არზუმანა... ეს წმინდა თათრული სახელები წარსულის ბედ-უკუღმართობის სახსოვრად აჩნია ინგილო ქართველთა ყოფას... აქა-იქ კი, ქართული სახელებიც პქვიათ... ნინო, თინია, ნანა, მარიამი (ქართული და ქრისტიანული).

ამ გაღმოცემებითა და ამბებით ჩენ შეგვიძლია დავაკვირდეთ მაშინდელი საინგილოს სოფლის ცხოვრებას, ქალის მდგომარეობას ოჯახში, მამაკაცის უფლებებს, მათ ჩატულობებს, ზნეს, ჩვევებს, ქორწილის და გლოვის, უმცროს-უფროსობის ტრადიციებს, რწმენის რიტუალებს და სხვ. გავეცნოთ მის მთასა და ბარს, მცენარეულს, მდინარეებს, ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს, დიალექტს... ზაქარია ედილს წლების მანძილზე საშუალება პქონდა, ახლოს დაკვირვებოდა ყოველივე ამას. ეს ზღვა მასალა, რომელიც მან აქ შეაგროვა, შემდეგ კი სხვათა ნააზრევსა და ნაწერებს მეცნიერულად შეადარ-შეაჭერა, ბოლოს ცალკე წიგნადაც გამოსცა. ამ წიგნში უამრავი უაღრესად საინტერესო და, შეიძლება ითქვას, უნიკალური მასალაა თავმოყრილი.

„მდიდარია და თვალწარმტაცი ბუნება საინგილოსი. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი ბუნების შეილნი დიდი მოტრფიალენი უნდა

ყოფილიყვნენ ლალის ცხოვრებისა. სიმღერას, შაირს, ლექსთა თქმას დიდი აღგილი უნდა სკეროლა მათს ცხოვრებაში. მაგრამ საუბედუროდ, არაფერს ასეთს არ ვხედავთ; ინგილო არცა მღერის და არც შაირისა და ლექსის თქმას ეწყობა, მთელი საინგილო რომ დაიაროთ, ერთს ადგილობრივ ლექსს ვერ გაიგონებთ, ერთს სიმღერას ვერ მოისმენთ, ისე გაივლის ქორწილი, ან სხვა რამ წვეულება-დღესასწაული, რომ ერთი უპრალო შემოძახილიც კი ვერ გაგიგონიათ, მდუმარებს ინგილო, პირი მოუკუმია“, — წერს ზ. ედილი... ამასვე აღნიშნავენ მ. ჭანიშვილი, ა. ჩხერიმელი და სხვანი, ვისაც ამ კუთხეში ყოფნა და ხალხის ყოფაში დაევირების საშუალება ჰქონია. რა უნდა იყოს ამის მიზეზიონ, კითხულობს ედილი და თვითონვე პასუხობს.

„ოვით ინგილონი ამ გარემოებას ასე ხსნიან: — ჩვენი წარსული მეტად შავბნელი იყოო. იმდენი ვირ-ვარამი გამოიიარეთ, რატომ სულ არ ალვიგავეთ დედამიშის ზურგიდან. ამისთანა გარემოებაში, როცა დღემუდამ მარტო ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის ვიბრძოდით, რა ვერმდერებოდაო, მთელს საინგილოში ბარტო სამად სამი ლექსი ვიძოვე, რომელიც ძალშე პრიმიტიულად გამოიყურებიან და მაჩვენებელი არიან ადამიანის გაღვიძებულ წყობილსიტყვაობისადმი მოთხოვნილებისა, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ უპოვნია შესაფერისი ფორმა რომელიმე პოტური მიმართულებისა“.

ი, ეს ლექსი, რომელიც ამ სიტყვების ავტორს ჩაუწერია:

ინგილოური ხანა

დაპზინა შულო დაპ!
კოხტა უანი დაპ!
ჩემო გულო დაპ!
ჩემო სულო დაპ!
ვაჟკაც გახდ დაპ!
ღუშმან ბევრ გყავ დაპ!
შენ რომ გაიზდები დაპ!
ხანგალს მოგცემ დაპ
შეშთა მაგარ დაპ.

მეორე ლექსი კოტიაობის დროს წამოიძახებდნენ.

კოტი, კოტი, კოტმატი
 კოტის სალაში მოეცით კიბი, კიბი!
 დღეს მოგვეცით ფქვილი,
 ხვალ გამოვა მზეო, კიბი კიბი!
 ბევრს თუ მოგვცემთ, ვაუი გეყოლებათ,
 ცოტას თუ მოგვცემთ ქალი გაგიჩნდებათ,
 ისიც აკვანში გაგიხდებათ კიბი, კიბი!
 ჩეენ მშვიდობით, თქვენ გამარჯვებით.

ამ ლექს-სიმღერების მხატვრული ლირებულება მართლაც და-
 შალია, მაგრამ შინაარსობრივად ინტერესი მოკლებული არცერთი
 არაა. განსაკუთრებით მაღლვებელია პირველი, რომელშიც დედა
 თვეის ჩეილს სინაზით დამღერის და აკვანშივე მამულის სიყვა-
 რულს ჩაგონებს.

ჩემო გულო დაჭ
 ჩემო სულო დაჭ...

დუშმან ბევრ გყავ დაჭ....
 შენ რომ გაიზრდები, დაჭ....
 ხანგალს მოგცემ დაჭ....
 მამულს მოუარე დაჭ...

მეორე ლექსი წმინდა რიტუალური ხასიათისაა და ინგილოთა
 ცხოვრების დეტალებს გვიხსნის...

რაც შეეხება მესამე ლექსს — „ბეღურა ჩიტის მოთქმა“, ამის
 შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი...

ლექსები არ ჩანს, მაგრამ „სამაგიეროდ საინგილოს ფოლკლო-
 რი მდიდარია მშვენიერი, შინაარსიანის ლეგენდებით და ნაწილობ-
 რივ ზღაპრებით“ — შენიშვნას ზაქარია ედილი.

თავისი ქვეყნის მოჭირნახულე, უანგარო მოღვაწეს ეს ლეგენ-
 დები და ზღაპრებიც ჩატერია... სულ რამდენიმე ზღაპრია... „დე-
 დინაცვალი და გერები“, „ქაჩალი“, „მელია, ხეკაკუნა და ყვავივი“,
 „ბებერი მგელი“, „ლომი და კაცი“, „ბეღურა ჩიტი“. ყველა მათ-

განი ზოგადქართული ხასიათისაა... მათი ვარიანტები უხვად მარტინებით
იძებნება ქართულ ზღაპრებსა და იგავებში... ახლა ძნელია თქმა,
რომელია მათი პირელი წყარო, მაგრამ ცხადია, ძინი ისე გვირ-
ცელებული ყოფილა, ამ კუთხეში, რომ დღემდე იციან და ჰყვე-
ბიან... ზოგი მათგანი სულხან-საბას იგავებსაც გვახსენებს. მაგალი-
თად „ლომი და კაცი“, „ბებერი მგელი“, „მელია, ხეკაკუნა და
ყვავი“.

არც შინაარსით და არც აღნავობით, აგრეთვე, არც მხატვრული
თვალსაზრისით ისინი განსაკუთრებულ ინტერესს არ იწვევენ. ყვე-
ლა ცნობილია. რაც შეეხება „ბელურა ჩიტის“, (მასაც მრავალი
პარალელი მოყენებება ქართულ ზღაპრებში). იგი ხსნის ზემოთ-
ხსენებული ლექსის „ბელურა ჩიტის მოთქმა ერთ ზღაპარში“, —
შინაარსს.

„იყო და არა იყო რა. იყო ერთი ბელურა ჩიტი. შემოჯდა ეკ-
ლიან ჩირგვზე და ფეხში ეკალი შეერქო, მიფრინდა ერთ ეზოში.
იქ პურსა ზელდა დედაბერი, მაგრამ თონის გასახურებლად ფიჩი
არ გააჩნდა. დედაბერმა გამოაძრო ეკალი. ბელურამ მაღლობა გა-
დაუხადა, თან სთხოვა: მე ცხრა მთას იქით ძალიან საჩქარო საქ-
მე მაქვს, უნდა გავფრინდე და გთხოვ, ჩემს დაბრუნებამდე ეს
ეკალი შემინახეო.

გაფრინდა ბელურა ჩიტი. დედაბერმა ეკალი აიღო, იმითი თო-
ნე გაახურა და მშვენიერი პურები გამოაცხო.

მალე ბელურაც დაბრუნდა და ეკალი სთხოვა.

— შენი ეკალით თონე გავახურე და პური გამოვაცხეო, —
მიუგო დედაბერმა.

— ან ჩემი ეკალი, ან სამაგიერო ხუთი პური მომეციო, —
უთხრა ბელურამ.

ბებერს სხვა რა გზა ჰქონდა და მისცა ხუთი პური. ბელურამ
პურები წაიღო და გზას გაუდგა. უცებ ხედავს, მინდორში მწყემ-
სები საქონლის ნაკელს ფშვნიან, პურის მაგივრად რძით სავსე
გამში ჰყრიან და სჭამენ.

— იი, თქვე უმზგავსოებო, რასა შეებით... აღამიანმა პური
უნდა ჭიმოს და არა ნაკელი. მე ცხრა მთას იქით საჩქარო საქმე-
ზე მივდივარ, ამ პურეშს დაგიტოვებთ, შემინახეთ და როცა დავ-
ბრუნდები, ერთად ესჭამოთო.

მწყემსებმა პური და ტოვეს, ველარ მოითმინეს და მთლაძე შეუს-
კამეს.

დაბრუნდა ბელურა ჩიტი და თავისი პურები რომ ველარ ნახა,
გაბრაზდა:

— ან ჩემი პურები, ან ხუთი ცხვარი მომეცითო, — თქვა.

რაღა უნდა ექნათ, მისცეს ხუთი ცხვარი. ბელურამ გაირევა
ცხვრები და წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა ერთ
სახლს, სადაც გაჩაღებული ქორწილი იყო, მაგრამ სტუმრების
გასამასპინძლებლად ცხვრის ხორცი არ ჰქონდათ.

— მასპინძელო, მე ცხრა მთას იქით მივდივარ, საჩქარო საქ-
მე მაქეს. თუ კაცი ხარ, ეს ხუთი ყოჩი შემინახე, — სთხოვა ბე-
ლურამ და წავიდა. მასპინძელმა ველარ მოითმინა, ცხვრები დაკლა
და სტუმრებს გაუმასპინძლდა. ამასობაში ბელურაც დაბრუნდა.

— როგორ თუ ჩემი ცხვრები დაპკალით. მგელმაც კი იცის
ანაბრის შენახვა და თქვენ რაღა დაგემართათ. ან ჩემი ცხვრები
მომეცით, ან პატარძალი უნდა წავიყვანოო.

რაღა უნდა ექნათ, მისცეს პატარძალი. წავიდა ბელურა, მიძ-
ყავს პატარძალი. იარა, იარა და მიადგა ერთ ტყეს. ხედავს ერთი
კაცი შემგდარა ხეზე და უკრავს ჩონგურს. ბელურას ძალიან მო-
ეწონა ჩონგური. კაცს უთხრა, ცოტა ხნით მათხოვეო... ისე გა-
იტაცა დაკრამ, რომ ვერც კი გაიგო, კაცმა როგორ მოჰკიდა ხე-
ლი პატარძალს და წაიყვანა. ბოლოს მიიხედ-მოიხედა და ნახა,
რომ იქ ალარავინ იყო. ძალიან დაღონდა. ჯავრიანად შეფრინდა
ხის წვერზე და დაიწყო სიმღერა:

ეკალ მივეც, პურ მგუმუარ,
წინტლი წინტლ, წინ!
პურ მივეც, ყოჩი გუმუარ,
წინტლი, წინტლ, წინ!
ყოჩი მივეც, პატარძალ გუმუართ,
წინტლი, წინტ, წინ!
პატარძალში ჩონგური გუმუართ,
წინტლი, წინტლ წინ!

ამ სიტყვებზე ჩონგური ჩამოუვარდა, ქვაზე დაეცა და დაიმსხ-
ვრა. ცარიელი ბელურა კი ცხრა მთას იქით გაფრინდა.

ეს ზღაპარი იმითაცაა საინტერესო, რომ მასში არის სიმღერა, არის ჩონგური, რომელზედაც კაცი დამღერის... ეს კი ძალზე იშვიათი შემთხვევაა. იღნიშნავს ზ. ედილი. შესაძლოა ეს ზღაპარი ბევრად აღრინდელიც იყოს... შაპ-აბაზის პერიოდამდე შექმნილიც. შას უსათუოდ დაპკრავს სიძველის იერი. მასში გადოსნური ზღაპარის ელემენტებიცაა: — ერთი ეკლით დედაბერმა პურები გამოაცხო. ბეღურამ ხუთი პური წაიღო, შემდეგ ხუთი ცხვარი გაირეკა, შემდეგ პატარძალი წაიყვანა. შემდეგ ჩონგურზე დაკვრაც დაიწყო...

საინტერესოდ ხსნის ხალხი ამა თუ იმ ადგილისა, თუ სოფლის სახელებს, მათ ეტიმოლოგიას. ზაქარია ედილის ჩანაწერებში ამ მხრივაც ბევრი მნიშვნელოვანი მასალაა.

... ძველად ალაზანი თურქე ტბა იყო... ტბას ორგვლიც შირაქის გორაკები და კავკასიონის მთაგრეხილი ერტყა... ხალხი კი ტბის ირგვლივ სახლობდა... მაგრამ დროდადრო ტბა თანდათან შატრულობდა და მოსახლეობას საფრთხეს უქადდა. მოსახლეობა შიშით ზევით და ზევით მიიწვედა, მაგრამ ტბაც ფეხდაფეხ მისდევდა. ბოლოს გადაწყვიტეს კალაპოტი გაეჭრათ და გზა მიეცათ... იღეს დიდი გოგრა, ჩააგდეს ტბის შეაგულში და როცა წყლის ტალღებმა იგი ქოროლლის კონცხის ახლოს გამორიყეს, ხალხმა მაშინვე არხის თხრა დაიწყო. წყალი არხზე გადმოსკდა... ძირს კლდიანი ნიადაგი დახვდა, დაჯახა და ჩქრიალით გადაეკლო ზედ... ტბა თანდათან დაპატარავდა.. ბოლოს სულ გაქრა და მშვიდ მდინარედ გადაიქცა. ტბის ადგილზე მშევნიერი ატენილი ჭალები გაიზარდა... ალაზანი კი დღესაც დინჯად მიიჩლაზნება მის კალაპოტში”.

„... შაპ-აბაზმა მთლად მოაოხრა საინგილოს სოფლები. საბრალო ინგილოები აპყარეს და ირანს წაასხეს. ზოგიც მთებში და შორეულ სოფლებში გაიხიზნა. მღვდელი ზაქარია კი ტყეში გაიხიზნა. წაიღო სახარება და სხვა საკვთო წიგნი... იცდიდა, ეგებ, ინგილოები ისევ დაბრუნდნენ. ბოლოს ჩამოვიდა თავის სოფელში. მთლად მოოხრებული ნახა ყველაფერი. გული ჩაწყდა, მაგრამ მაინც დაიწყო კარ-მიღამოს მოწყობა და ეკლესიის მოვლა. უსათუოდ მოვლენო, ფიქრობდა. ჭვარი ქრისტესი არ გასწირავს ქვეყანასო. მოვიდნენ, მაგრამ თათრები და ლექები. ინგილოები არ ჩანდენ. ტანჯვეით გაუძლო ამ ელდა-

საც. უცხო თესლის მომრავლებამ ვერ გასტეხა და ვერ ჩატრო მისი იმედი. ისევ ისე შრომობდა და ეკლესიის სიწმიდეს მოძმეთ უნახავდა. ლოდინში სიბერებ ჩამოსთოვა, წელში მოიხარა... ისე მოკვდა, ნატრის ასრულებას ვერ მოესწრო... სიკედილის წინ მეზობელ ლეკებს ანდერძად დაუტოვა:

— ეს ადგილი ქართველების წმიდა ადგილია — ხელი არავინ ახლოთო... დიდი დრო გავიდა მას შემდეგ... წიგიღა შაპ-აბაზი, წავიღნენ მისი აბორგებული, მოთარეშე, მრისხანე ურდოები... ბოლოს კი... თითქმის ორი საუკუნის შემდეგ, სწორედ იქ, სადაც ზაქარიას ქარ-მიდამო, ანუ ზაქარიას თალა იყო, ააშენეს ეკლესია... დაარსდა ქალაქი და მის სახსოვრად „ზაქარიას თალა“, ანუ „ზაქა-თალა“ უწოდეს. და... თუ არ ხედავდა, გრძნობდა, ამას ზაქარიას სული...

ზაქარია ედილს თავისი თვალით უნახავს, შეუსწავლია და აღუწერია სინგილოს მიწა-წყალზე არსებული ეკლესია-მონასტრები და ციხე-კოშკები (ისე, როგორც სინგილოს ისტორია, მისი ეთნოგრაფია, ბუნება, კულტურა, ამ ტაძართა და ციხე-კოშკების მდგომარეობა, მათთან დაკავშირებული გადმოცემებიც დაწერილებით აღწერილია მის წიგნში „სინგილო“), ხშირად ჩამონგრეული და ფრესკებჩამორეცხილი, ხშირად მხოლოდ ნაეკლესიარი და მათ ირგვლივ მიმოფანტული ქართულწარწერებიანი ქვები, აგრეთვე, სახლების ნანგრევები გვამცნობენ, რომ აქ ძველი სიცოცხლე დუღლდა და ძალუმად ისმოდა ქართული მაგისცემა. ახლა, უმეტესწილად, ამ მიდამოებში უცხო ტომის ხალხი სახლობსო, აღნიშნავს იგი. ტაძრები კი მაინც არსებობს. მტერს სალოცავების დანგრევისა ეშინოდა. ასეთი შემთხვევებიც ყოფილა, თაორები ქართულ ტაძარში სალოცავად შესულან, მაგალითად, ქურმუხის წმიდა გიორგის ტაძარში...

მან შემოგვინახა ცნობები ისეთ ციხე-ტაძართა შესახებ, როგორებიცაა ბელაქნის ძელი საგანე, — (სადაც მოღვაწეობდნენ პიმენ სალოსი და ანტონ ნაოხრებლიოდ), კავკასიის ედელი, რომელიც კარგა მანძილზე პარალელურად მისდევდა მთელ სინგილოში გაჭიმულ დიდ შარავზას, კუმის დიდი ეკლესია, რომელიც ლეკებს 1915 წელს მის თვალწინ დაუნგრევიათ და მისი ქვები საკუთარი სახლების ასაშენებლად წაულიათ.

სწორედ ამ გარემოებას თუმულებია ზ. ედილი მიტოვებული

ქართული ძეგლები შემოევლო, იღენუსხა, შეესწავლა და დაწერი-
ლებით აღეწერა.

ეს ცნობები ამჟამად ნამდვილად ფასდაუდებელია, მით უმე-
ტეს, რომ ბევრი იმ ძეგლთაგანი დღეს უკვე აღარ არსებობს... მო-
ვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

... სოფელ გილიუქში, ანუ ვარდოვანში (ეს სოფელი ისტორი-
ული სოფელია, იგი არაერთხელაა მოხსენიებული საქართველოს
შატიანებში. უკანასკნელად აქ 1706 წელს მომხდარ ბრძოლაში კა-
ხეთის მეფე იმამყული ხანი (დავით მეფე) საშინლად დამარცხდა.
მას შემდეგ ქართველობა გაქრა ამ სოფელში, აზერბაიჯანიდან
გადმოსულმა მულადებმა დაიყირეს იგი). სოფლის სამხრეთით
იყო ერთი (იქნებ ახლაცა) პატარა ეკლესია, ჩევულებრივი ქარ-
თული ტიპისა. აქ, დაბადების შეორმოცე დღეს მავმადიან დედებს,
როგორც ზ. ედილი წერს, თავიანთი ბავშვები მოჰყავდათ (რო-
გორც ვარდოვანიდან, ისე სხვა მახლობელი სოფლებიდანაც) და
ეკლესიაში იბანავებდენ, იმ რწმენით, რომ აქ განბანილი ბავშვი
უფრო ჭანსალი და მაგარი აგებულებისა იქნებათ. მოჰყავდათ ავალ-
მყოფი ბავშვებიც. ბანაობა ასე ხდებოდა: შიგ უკლესიაში დაან-
თებდნენ ცეცხლს, გაათბობდნენ წყალს და ბანდნენ ბავშვებს. შემ-
დევ გრძელ ცოცხებს წაუკიდებდნენ ცეცხლს და დასწვავდნენ,
ვანაბან წყალს, იქვე, ორმოში ჩაქცევდნენ.

ზ. ედილი ამ ჩევულებას ასე ხსნის:

„როცა ლეკთა თარეში მძვინვარებდა საინგილოში და ხალხს
მოლები ძალით ათათრებდნენ, ქალები მაინც თავისას არ იშლიდ-
ნენ და ფარულად, უმღვდელოდ ნათლავდნენ ბავშვებს. მით უმე-
ტეს, რომ თვით ტიპიკონითაც ქალებს, ზოგიერთ შემთხვევაში,
მარს უფლება აქვთ. ცოცხებს კი ალბათ, სანთლის მაგივრად ან-
თებდნენ...“

ზოგიერთ სოფელში სამი ეკლესია მდგარა.

საინტერესოა ზ. ედილის ჩანაწერი კასრის საყდრის ეზოში
არსებულ ქვერზე; თვით ეკლესია მერეე საუკუნეში აუშენებია
მეფე არჩილს და მით ქრძსტიანობისათვის მტკიცე საფუძველი
ჩაუყრია.

ძეგლად ამ ეკლესიასთან დიდი დღესასწაული სცოდნიათ. აქ
იყრიდა თავს მოელი საინგილო. მოდიოდნენ შორეული სოფლე-
ბიდანაც. ამ დღესასწაულისათვის საგანგებოდ გამართული უზარ-

მაზარი ქვევრი ჭ. ედილის დროსაც ყოფილა ეკლესიის ეზოში. ქვევრს სიდიდის გამო ერთ მხარეს საგანგებო ონკანი პჰონია გა-კეთებული. საზედაშო მთელს სოფელს მოჰქონდა, ყოველ გვარე-ულობასა და ოჯახს. კაში მაშინ ათასზე მეტი მეკომური ყოფილა, თითო მეკომურს არანაკლები ექვსი ჩარექისა უნდა მოეტანა აღდგომის მესამე დღეს, სამებობას, ეკლესიის დღესასწაულზე, მოხდიდნენ ქვევრს, ჭ. ედილი გულისტყვილით წერს: „დღეს ეს ქვევრი უპატრონოდ არის მიტოვებული და ნახევრად ქვებით არის ამოვსებული. მცხოვრებნი ამბობენ, ასი ჩაფი ღვინო ჩადიოდათ“.

ჭ. ედილი, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა სოფელ კაქში აჩსე-ბულ ისეთ უნიკალურ ძეგლს, როგორიც იყო „ხუციანთ ოთხთავი“ და „კრებული“, რომელიც შეიცავს ლოცვანს, ზაფის, სამოცი-ქულოს, უამნს... ამ წიგნის არშიაზე მას ამოუკითხავს წარწერა: „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი იოსებ დიაკონი, ულიოსი. უფალო ღმერთო, შეიწყალე ყოვლად ულიოსი, ამ წიგნების მჩხი-ბავი ლავრენტი მონაზონი, „ჯვარი მამის“ აღმზდელი ბერი“.

აქვე უნახავს მას ძვირფასი საეკლესიო ნიეთები: — ბარძიმ-ფეშეუმი, სანაწილე და სხვა.

აი, კიდევ რამდენიმე გადმოცემა...

... ბელაქანში, სოფლის ბოლოს, სახნავი მამულების შუაში ეულად მდგარა ერთი მომცრო, კოხტა ეკლესია, რომელსაც ლეკები „ნურ-ქილისას, ანუ მადლის ეკლესიას ეძახდნენ.. ეკლესიის გვერ-დით მშენებერი წყარო ყოფილა. ხალხის თქმით, ძველ დროში ამ წყაროს წყლით ბევრი ავადმყოფი იქურნებოდა, მაგრამ რაც ეკ-ლესიაში ქრისტიანული ღვთის ვედრება შედგა, სამკურნალო თვი-სებაც დაპკარგა წყარომათ.

საინტერესო გადმოცემა ჩაუწერია ინგილოთა მთავარი სალო-ცავის, ქურმუხის წმ. გიორგის ეკლესიაზე. უძველესი ნაშთი ამ ეკლესიისა არის უზარმაზარი მოგრძო ლოდია. ეს ლოდი იმდენად დიდი ყოფილა, რომ ზევიდან მასზე პატარა ეკლესია აუგიათ. მისი საძირკველი და კედლების ნანგრევები დღესაც მოჩანს. ხალ-ხის გადმოცემით, ლოდი შიგნით გაქცევებულია და ხატები ასევ-ნია, ხოლო კარები წმ. გიორგის ისე დაუქოლავს, რომ აღარ აჩ-ნია, მხოლოდ წელიწადში ერთხელ, აღდგომა დღეს, მარიამ დედა (ღვთიშობელი) აღებს ხოლმე კარებს, გამოდის გარეთ და ოქროს სავარცხლით ნაწიავებს ივარცხნისო. ამავე დროს გამოფრინდება

ხოლმე შიგნიდან ოქროს მამალი და ყიჯილს იწყებს. მას ბაშავულები და ლევენ მახლობელი სოფლის მამლები. ერთხელ, აღდგომა ლამეს, როცა ჩვეულებისამებრ, გამოვიდა ღვთიშობელი და ნაწნავების ვარცხნა დაიწყო, ერთმა თათარმა შეამჩნია, მიეპარა და დაჭერა მოუნდომა, მაგრამ მაშინვე ხელი გაუშეშდა, ღვთიშობელი კი გამოქვაბულში შებრუნდა და კარები დახშო. თათარი შეევედრა ღვთიშობელსა და წმ. გიორგის: შემინდეთო. განიკურნა და ქრისტიანობა მიიღო.

ამ ლეგენდის რამდენადმე შეცვლილი ვარიანტი აღ. ჩხენების ჩანაწერებშიცაა. ეს ჩანაწერი თავისი უშუალობითა და თხრობის ლაკონურობით, ვფიქრობთ, უფრო აღრინდელიცაა და უფრო საინტერესოც. (ოქროს მამალი, ოქროს სავარცხელი, მარიამ ღვთიშობელი და მისი სასწაულები მის სიძეელეზე მიუთითებს).

ქურმუხის წმიდა ვიორგისა და მისი სასწაულებრივი ძალის შესახებ ბევრი გადმოცემა თუ ლეგენდა არსებობს... ხალხი, თურმე, უფრო მეტად იმ უზარმაზარ კლდეს უნთებდა სანთელს, სადაც უდიერად მოქცევის გამო წმიდა ვიორგიმ გზად მიმავალი ურწმუნო ვაჭარი თავის აქლემიანად გააქვავა.

ქურმუხის წმიდა ვიორგის ეკლესიაში ქრისტიანებთან ერთად მაპმაღიანებიც ლოცულობდნენ.

უნდა ითქვას, რომ ზაქარია ედილთან ხშირად ვხვდებით ისეთი გადმოცემებისა და ლეგენდების ჩანაწერებს, როგორებიც უკვე ცნახეთ აღ. ჩხენების არქივში. ზ. ედილი უფრო აღრე იყო საინგილოში. იგი კარგად იცნობდა იმ ინგილო მოხუცებს, რომელთაც აღ. ჩხენები ვერ მოესწრო, მაგრამ როგორც ჩანს, ეს გადმოცემები და ლეგენდები ისე მოარული ყოფილა, რომ იგი მის შემდგომ თაობასაც კარგად სცოდნია. საინტერესოა მათი შედარება...

ლეგენდა „ინგილო ქალი და მამადიანი ვაჟი“... ზ. ედილთან ამ ლეგენდას „წითელი და თეთრი ვარდი“ ჰქვია. შინაარსი ორივე ჩანაწერში თითქმის ერთმანეთს მიჰყება. აღ. ჩხენებს ამ ლეგენდის რამდენიმე ვარიანტი (მცირეოდენი ცვლილებით) ჩაუწერია, სადაც ვაჟი მაპმაღიანია. ეროვნება მითითებული არაა. აქ ვაჟი ხანია (მოსე ჭანაშვილის ჩანაწერებშიც ასეა). ხანს მღვდლისათვის ქალის ხელი უთხოვია. მღვდლისავე სურვილით,



ქურმუხის წმ. გოორგის ეკლესიისაკენ არხი გაუყვანია. ახლა ჩერ-
ლია, თქმა, რომელი ვერსია უფრო ზუსტია, მაგრამ ეს ლამაზი და
პოეტური ნაწარმოები თავისი შინაარსითაც და ფორმითაც ისე
მიმზიდველია, რომ იგი განსაკუთრებული ყურადღებისა და გამო-
ჩინების ღირსია.

მეორე ნაწარმოები, რომელიც ორივე ჩანაწერში გვხვდება,
არის განდეგილი¹. იგი მიმზიდველია თავისი პოეტურობითა და
ამაღლებული, ლამაზი სიყვარულით. სოფლის ამით შურისა და
ლვარძლის უმიზებო მსხვერპლია განდეგილი ვაჟი, რომელიც
გასცლია ადამიანების სამყოფს და თავის გულისსწორსა და პატა-
რა ვაჟთან ერთად ერთს უღრან ხეობასთან აღმართულ კოშკი
ცხოვრობს. ღალატით ჰელავენ ადამიანები ვაჟს. ქალი კი, რომე-
ლიც კოშკიდან ხედავს ამას, თავზარდაცემული შეჰვივლებს:

— კაცი მოკვედეს, ქალი დარჩეს, ობოლს როგორ უპატრონო-
სო და ბავშვიანად უფსერულში გადაეშვება. მდინარე ახჩას ტალ-
ლები შთანთქავს მათ. მას შემდეგ მთა კვნესის, ტირის... განსაკუთ-
რებით ღამ-ღამობით ისმის აქ გოდება. ხალხს ეშინიან ტიალად
დარჩენილის კოშკისა და ახლოს არ ეკარება.

ალ. ჩხერების ჩანაწერში ამ თქმულებას „მონადირის ცოლი“
ჰქვია. ვაჟს კი თოლაი. თოლაი დიდკაცებს ებრძოდა და ღარიბებს
ეხმარებოდა. (ედილთან იგი საერთოდ, გაურბის ადამიანებს და
განდეგილია. ამიტომაც შემურდათ მისი და მოჰქლეს). ორივე ჩა-
ნაწერის სიუკეტი და იდეური არსი თავის პარალელს ქართულ
მწერლობაში პოულობს. ორივე ნაწარმოები ლამაზია.

მესამე ჩანაწერია, „თამარ დედოფალი და შაპ-აბაზი“ (ალ. ჩხერ-
ებისა „ქეთევან დედოფალი“).

შაპ-აბაზს თავის საბრძანებელში მისწედა თამარის — „ფერი
ხანუმის“ — (ცვივე ქეთევანი) თვალშეუდგამი სილამაზის ამბავი...
ახლოს არ გაიკარა დედოფალმა ირანის მბრძანებელი და უარი
ოქვა მის ცოლობაზე. შაპ-აბაზმა გადაწყვიტა შესეოდა საინგილოს
და ძალით ჩაეგდო ხელში დედოფალი... მაგრამ ქართველებმა
უკუაქციეს მტრის ურიცხვი ლაშქარი. მაშინ შაპ-აბაზმა განიხრა-
ხა, თუნდაც ერთხელ, თვალით მაინც ენახა თამარი. შეიმოსა ქვა-
ბების მკალავის ტანსაცმლით და სასახლის კარზე მივიდა. ქვაბე-
ბი მოკალა და როცა საღამოს ინგილოთა ჩეეულების თანახმად

თავგამოდებული ფლავით სინი გამოიტანეს, დედოფალი შემჟღვეულითაც
და. იგი მართლაც მზეს ჰგვადა. თამარმა მაშინვე შენიშნა, რომ
მექვაბურები ჩვეულებისამებრ, ნაპირიდან კი არ ჭამდნენ ფლავს,
არამედ, შუაგულიდან იღებდნენ...

— თქვენ ისე იქცევით, როგორც შაპ-აბაზი. იმის მაგივრად,
რომ ნაპირიდან დაიწყოს ომი, პირდაპირ შუაგულს მისდგომია და
ისე იბრძეისო, თქვა თამარმა. აბა, რა იცოდა, რომ მის წინ ნამ-
დვილი შაპ-აბაზი იჯდა. როცა გაიგო, უკვე გვიან იყო... მტერმა
ბრძოლის გეგმა გამოსცვალა და ქართველთა ჯარიც დამარცხდა.
თამარი სოფელ ჩარდახლის სიმაგრეებში შეიკეტა... ახლა ჩარდახ-
ლის ციხეს შეესია შაპ-აბაზი... ქართველები მედგრად იცავდნენ
თავის დედოფალს, მაგრამ ქალის ნაშმა გულმა ვეღარ გაუძლო
ასეთ მსხვერპლს. ღამით, როცა მთვარის შუქი ეფინა ყველაფერს,
ციხის ფრიალოზე ავიდა და შაპ-აბაზს გადმოსძახა:

„გულშვა მტარვალო აღმოსავლეთისაც! იცოდე, მტკიცე და
შეუვალია ქართველთა დედოფლის გადაწყვეტილება და როგორც
არ უნდა ეცადო, მას შენ ხელში ცოცხლად ვერ ჩაიგდებ“—იგი ამ
სიტყვებთან ერთად ძირს გადმოეშვა და თავისი ჯარის წინ უსუ-
ლოდ დაეცა. ამ ამბავშა თუმცა შესზარა, მაგრამ უფრო მყაცრად
შეჰქრა ქართველთა ლაშქარი... ისინი თავგანწირულებით შეესივნენ
სპარსელებს და უკუაქციებს...

ალ. ჩხერიძეს ჩანაწერში დედოფალი შაპ-აბაზის წასკლის
შემდეგ მიხვდება, ვინ იყო იგი. მდევარსაც გააყოლებს, მაგრამ
ვეღარ დაეწევა... ბოლოს კი, ცუდი მეთვალყურეობისათვის სა-
ზღვრის მცველს დასჭიროს.

გამსაკუთრებით საინტერესო მაინც ლეგენდებია. ყველა ამ ლე-
გენდას, რომელიც ზაქარია ედილს ჩაუშერია, სამშობლოს ტკივი-
ლი უდევს საფუძვლად; სულ რამდენიმეა, მაგრამ ყველა ამაღლ-
ვებელი და მხატვრული თვალსაზრისითაც საყურადღებოა. ყველა
ამბავი, ყველა ტრაგედია თითქმის მხოლოდ შაპ-აბაზსა და მის
დროს უკავშირდება, თითქოს მანამდე არაფერი არ მომხდარა.
თითქოს შაპ-აბაზი ახლაც ცოცხალია. ორნახევარი საუკუნე კი არ
გვაშორებს მას, თითქოს ახლახან იყო ყოველივე... ისე მძიმე და
მოუშუშარია ის ტრაგედია.

... სპარსელებთან ერთ-ერთი ბრძოლის დროს ციხის მცველს,
ღამით მშვენიერი ქალი გამოეცხადა და სიყვარულს პირდება...

— რა მაგარი ციხე გქონიათ, რა მედგრად იბრძვით, როგორც გილოდის უძლებთ ამდენ მტერს, ან რატომ შიმშილით არ იხოცებითო, — ეკითხება მისი სილამაზით თავბრუდახვეულ მცველს. ბოლოს ციხის საიდუმლოსაც დასტყუებს და ქრება.

მტერი ამის შემდეგ იოლად აიღებს ციხეს, ამოხოცავს ხალხს, ყველაფერს დაანგრევს და წავა...

— თუ ჩვენიანმა არ გაგვია, სხვას არ შეიძლება სცოდნოდა ციხის საიდუმლო. აღმოვაჩინოთ მოლალატე და მომავალ თაობას ამგვარი უბედურება თავიდან ავაცდინოთო, — ბჭობენ უხუცესი ადამიანები... ხალხი კი საგონებელს მისცემია. ციხის მცველი ვილარ უძლებს ამდენ ტანჯვას და წინ წამოდგება. მოლალატე და გამცემი მე ვარო. წამიერი სიჩქმის შემდეგ უეცრად შემზარავი ხმაური მოიცავს ყოველივეს და სულ რამდენიმე წუთში იმ აღვილზე, სადაც ციხის მცველი იდგა, ქვების გორა ჩნდება. მას შემდეგ ამ გორასთან ისე არ გაივლიდნენ, ზიზღის ნიშნად რომ არ მიეფურთხებინათ... თვით აღვილსაც ისე ჰქვია: „ფურთხი მოლალატეს“. თორთახყალა კი (მიწის ციხე) თუმცა დალურემილი და დაშლილი, მაგრამ ისევ დგას მდინარე ალაზნის პირას და მდუმარედ ჩაჰყურებს თავისი წარსულის ტკივილს... (ამ ნაწარმოების კითხვის დროს შეუძლებელია არ გაგვახსნდეს ალ. სუმბათაშვილის პიესა „ღალატი“, ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“, ანაც, აკაკის „ბაშიაშუკი“. ისიც განსაკუთრებით საინტერესოა, რომ აკაკის ნაწარმოებებს არც თუ ისე იშვიათად ეძებნებათ პარალელი ინგილოურ ფოლკლორში).

გაღმოცემებსა და ლეგენდებში, რომელიც ზ. ედილმა შემოგვინახა, საქმიანდ მნიშვნელოვანი აღვილი ქალების თავების უშიორესი და გმირობის ამაღლებებელ ამბებს უჭირავს. ერთი „ქალთა ციხეა“, ეს უაღრესად მძაფრი, ღრმად ემოციური ნაწარმოები შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო, ან მოისმინო... იგი იმდენად ძლიერია, რომ უსათუოდ ნიჭიერი მწერლის კალამს მოელის, მოელის ლიტერატურულ განხოგადებას.

ჩვენ ამ ლეგენდას მთლიანად მოვიტანთ...

(რატომ ბობოქრობს გიში)

შორს, იქ სადაც საქართველოს ძველი ისტორიული სახლვარი თავდება და გიუმავი მდინარე გიში თავპირის მტკრევით მიღრია-ალებს, მთის პატარი მიუვალს ქიმიდან კარგა მოზრდილი ციხე-კოში ამაყალ გამოიცირება, რომელსაც ქალთა ციხეს ეძახიან. ძველს დროში ამ ხეობაში ქირთველთა ცხოვრება სდუღდა და გადმოდიოდა, აქ იყო საქართველოს განაპირა ქვეყნის, ჰერეთის შუაგული, აქ ისხდნენ მისი ერისთავნი და მმართველ-განმვებელნი. აქ ხალხს შეუყმსავდა დიდი მწიგნობარი, დავით აღმაშენებლის-გან დანიშნულ-გამწესებული. ძლიერი იყო მაშინ ჰერეთი და არა-ვისი შიში არ ჰქონდა.

მაგრამ დრონი იცვალნენ. გაქრა ჰერეთის სიხარულისა და შეების დღენი, ჰერეთი დასუსტდა და მუსულმანთა სათარეშო მოედნად გადაიქცა. რაც დრო გადიოდა, მონღოლები ძლიერდებოდნენ და მედგრად აწვებოდნენ საქართველოს ამ განაპირა კუთხეს. ხალხი უკან-უკან იწევდა და მდინარე გიშის მიუვალ ხეობას და მთა-კლდეს ეხიზნებოდა. მთელი ჰერეთი იქ იყრიდა თავს. მტერი დიდი ლაშქრით წამოვიდა. ხალხმა ყველაფერი წინასწარ გაითვალისწინა და ცოლ-შვილი მიუვალ ციხეში შეხინა და გააძრა. თვითონ კი სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის მოემზადა; მტერს ხეობის ვიწრო გასავალი ჰქონდა ჩაკეტილი. დაიწყო თავ-განწირული ბრძოლა, ქართველები ლომებივით იბრძოდნენ, მაგრამ რას გახდებოდნენ ურიცხვ მტერთან. ყველანი მამულსა და სამშობლოს შეეწირნენ. ერთიც აღარ წამოსულა ცოცხალი.

გამარჯვებული მტერი ყიდინით შეესია ციხეს. ქვემოდან შეძახეს იქ გამაგრებულ ქალებს:

— დაგვნებდით, თორემ სულ ერთიანად ამოგელეტო.

ციხიდან არავითარი ხმა არ ისმოდა, იფიქრეს, შიგ არავინ არ არისო და დაიწყეს ბჭობა, როგორ ასულიყვნენ ციხეზე. თათრები თხებდევით გაიბარენენ და აუყვნენ ციხის ბილიკებს. ამ დროს ციხის ამბრაზურებზე თოფის ლულები გამოჩნდა და თვალის დახმა-ხამებაზე იგრიალა. მტერს თავგზა დაებნა, აირია, გვამები ტყაპა-ტყუპით ცეიოდნენ ძირს. რამდენჯერაც ავიღნენ ბილიკზე, იმდენ-



ჯერ მოიგეს ქალებმა; მტერმა უზომო ზარალი ნახა, დიდხანი იბო-ძოლეს მათ. დიდძალი მტერი გაელიტეს. მტერმა თვით ციხის ცხვირწინ აღმართა საფარი და თოფები დაუშინა ციხის.

ციხე ხმას არ იღებდა. ბოლოს რაღაც არაჩეცულებრივი ჩოჩ-ქოლი ატყდა ციხეში. ქალებს ტყვია-წამალი შემოაკლდათ.

— გაეწყდეთ, მაგრამ მტერს არ ჩავუვარდეთ ხელში! — გაიძახდნენ ისინი და თანდათან გადაეშვნენ მდინარე გიშის თვალუწვდენ უფსკრულში. საშინელი და გულშემზარვი იყო ეს სურათი. ცვიონდნენ ბავშვებით, გადაბრომის წინ ყველა პირვეარს იწერდა... ეს იყო არაჩეცულებრივი თავგანწირვა სამშობლოსათვის, რაკი სხვა გზით მისი ხსნა აღარ შეეძლოთ, მტერი მაინც არ გაახარეს. შემზარვი, მაგრამ ამაღლებულად ლამაზი იყო ეს უმძიმესი წუთები.

უფსკრულში ყველაფერი ილეწებოდა, იმსხერეოდა, ცოცხალი აღარავინ ჩანდა. აივსო მდინარე, წითლად შეიღება მისი პიტალო მთის ნაწური ცრემლები, შეტბორდა, შედგა, გასავალი აღარსაღ ჭეონდა. აღამიანთა დალუპული სხეულები, მათი საცხოვრებელი, ყველაფერი ერთმანეთში აირია, თვით მდინარე გიშიც შევზარა ამოდენა საცოდაობამ. ბოლოს ერთბაშად მოზვავდა ქვიშა-ლამი, გადაეფარა ზევიდან დახოცილებს, თავის წიაღში გაუთხარა საუცუნო სამარე და კვალად არაჩეცულებრივად აბობოქრებული, ღვართქაფად ქცეული ზღვასავით ერთბაშად წამოეიდა... დაეტაკა ხეობის ბოლოს დაბანაფებულ მტრის საღვომს და მთლად წალეკა, წაილო.

მას შემდეგ აღარ მოუსვენია მდინარე გიშს. მუდამ აფთარი და უნდობია. ყველ გაზაფხულზე, მოვა თუ არა ის დრო, ჩოცა მტერმა უწყალოდ ამოწყვიტა ამ ხეობის მკვიდრნი, აბობოქრებული, მრისხანედ მოედება ხოლმე ხეობას. იტაცებს, აოხრებს იქაურობას და თან მოაქვს ყველაფერი, რაც კი წინ დახვდება. მისგან მოსვენება არა აქვს გიშის ახალ მობინადრეებს.

ქალთა ციხე კი დღესაც ამაყად გადმოჰყურებს გიშის ხეობას".

ასეთი მძიმე ტრაგიზმითა სავსე ეს ლეგენდები და გადმოცემები... ძალიან მძიმე ტრაგიზმით. ერთი მშვიდი წამიც არ ანათებს მათში, ერთი მცირე სიხარულიც არ ფერქავს. თითქოს არასოდეს დაუსვენია ამ ხალხს... თითქოს მხოლოდ გაბმული ტანჯვა და სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ბრძოლა ყოფილა მისი ცხოვრება..

აღარ ახსოედათ წარსულის დიდნი საქმენი... პერეთის ერის გრძელებული ვართა, ერის მოამაგეთა, ერის შეილთა საქმენი საერონი, საეკლესიონი, საგმირონი... რუსთაველის სამშობლოობას რომ იჩემებდნენ... პირველი ქართველები ჩვენ ვიყავით, ჩვენგან განივრცო და გამრავლდა ქართველთა გვარომიო, რომ ამბობდნენ. მწიგნობრობის დიდი კერა რომ იყო, შეგა საქართველოში მტერს რომ არ უშვებდა აროდეს. შაპ-აბაზის მრისხანე მახვილს შეეწირა ყოველივე და დარჩა მხოლოდ ტკივილი, ისეთი მძიმე და მოუშუარი, მთლიანად რომ ჩაჰქლა შემოქმედი სული. მაგრამ არა, ამ ვადმოცემებსა და ლეგენდებში, თუმცა ზოგჯერ გულუბყვილოდ, მაგრამ მაინც ღვიძის მცირეოდენი ნაპერწკალი, „ნაშთი ძველი დიდებისა“, ღვიძის იმედი და ჩვენენა... თვით იმ მწეხარე ამბებში, რომელიც შეკარი სინამდვილის თავისებური მხატვრული განზოგადებით შეუქმნია ხალხს, იგრძნობა ერის სული და სურვილი, როგორმე, რაღაც იქნებ ნამდვილი, ან იქნებ გამოგონილი, მაგრამ მაინც სასურველი მიხეზი მოუძებნონ მთელ რიგ ტრაგიულ ამბებს... (გავიხსენოთ მაგალათიდა „თამარ დედოფალი და შაპ-აბაზი“... ხალხი ამ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებას მხოლოდ მტრის ლაშქრის სიმრავლითა და სისასტიკით კი არ ხსნის, არამედ დედოფლის უნებური შეცდომითაც. ან კიდევ... ციხის აღებას, მცველის გაუფრთხილებლობას რომ მიაწერს და სხვ.).

აი, სწორედ ეს მცირეოდენად მბეუტავი, ტკივილიანი და სიყვარულიანი ნათელი აძლევს ერის სულს აჩსებობის ძალას... გაზაფხულიც ყოველ წელიწადს მოდის... მოდის ბავშვის უმანკო ღიმილით, მისი დაურკებელი სწრაფვით სიცოცხლისაკენ. და რაკი ეს სწრაფვა, ეს განახლება, ეს აღორძინება სიცოცხლისა ნამდვილი და გარდუვალია, გარდუვალია იმედიც... გარდუვალია ჩვენაც. ამ იმედის გადარჩენის, აღარგადაგვარების, აღარმოსპობის სიმბოლოდ კი მათ სულში ისევ ქართული და სინათლიანი სამყარო მოდის.

უმძაფრესი, სულის შემძრელი ტრაგიზმითაა სავსე ლეგენდა „თავების ციხე“, მაგრამ იგი ამავე დროს, მაინც სავსეა ქართული და სინათლიანი იმედითაც.

მეორედ მოსვლას მოგაფონებდათ შაპ-აბაზის შემოსევა საინ-გლობი. მთელი ქვეყანა ცეცხლში იყო გახვეული, იწვოდა სოფ-ლები, სახლ-ქარი, ბალ-ვენახები.

სოფელ ფიფანის ახლოს დაბანაკებულ შაპ-აბაზის მხედრობას თან ახლდა 40 000 ტუვე ინგილო. მას სურდა მათი ნეშტისაგან ძეგლი აეგო. ძეგლი არაჩეცულებრივი, უმაგალითო. გადაწყვეტილი პქონდა თავებისგან ციხე აეშენებინა და მით უკვდავეყო თავისი სახელი და დიდება.

თქვა და აასრულა კიდეც. მაღვე მდინარე ფიფანი მოწმე განდა იმის ჩეცულებრივის ბარბაროსაბისა. მისი სპეტაკი ზვრები წით-ლად შეიღება. ჯალათები მარჯვედ იქნევდნენ უულებს, სისხლი ლეარად მოდიოდა, სხეული წყალს მიქვენდა და უფსკრულში უთხრიდა სამარეს. სისხლში გასვრილი თავები გროვაგროვად მოპ-ქინდათ მდინარის ნაპირზე აღმართულ პატარა გორაქზე, სადაც შაპ-აბაზის კალატოზები არაჩეცულებრივ ციხეს აშენებდნენ. თავები ქვის მაგივრობას სწევდნენ, ცრემლები და სისხლი ხალხისა, კირის მაგივრობას. წყება-წყებათ მიჰყავდათ ტყვეები. ავერ მოიყვანეს კიდევ ახალი წყება. მათ წინ უძლოდა ასწლოვანი მოხუცი ბერი ბელავნის ლეთისმშობლის სავანისა.

მოვიდა, მაგრამ ვილაიების წინ კი არ გაჩერდა, პირდაპირ შაპ-აბაზისაკენ გაემართა, მდაბლად დაუკრა თავი, წელში გასწორდა და გაბედულად მოახსენა.

— იქმარე შაპ-აბაზო, ამდენი უდანაშაულო ხალხის სისხლი, ღმერთო ვალეგრძელებს და ჯანსაღს გაშეოფებს.

— დიდებულ მბრძანებელს ირანისას ეინ პჟადარებს მავოდენ კანდიდრებას?.. — დაიღრიალა შაპ-აბაზმა, ჯალათნო, როგორ გამოგეპარათ ეს უსულო ნადირი. ჩქარა, თავი მოპკვეთეთ და მავის ვამი ძალლებს გადაუგდეთ!

მოხუცი კინწისკვრით წინ გაიგდეს, შეუკრეს ხელ-ფეხი, დას-ცეს დედამიწაზე და ცული დაუშინეს, მაგრამ იმაოდ. გარკინებული სხეული მოხუცისა ნაფოტსაფით ისვროდა. ცულსა და მოხუცი უვ-ნებელი რჩებოდა. მრისხანებდა შაპ-აბაზი, კბილებს აკრაჭუნებდა, ღორბლებს ყრიდა. ბრძანება გასცა, ცულები გაეხურებინათ და ისე დაეშინათ მოხუცისათვის.

დაუშინეს გახურებული ცულები და თავი სხეულს გაჟყარეს. გახარებულმა ჯალათმა სტაცა მოხუცის თავს ხელი და კილატონს მოურბენინა კედელში ჩასატანებლად. თავი სხეულს გაჟყარეს, მაგრამ შაპ-აბაზმა წადილს ერ მიაღწია. კედელში ჩატანებული თავი არ გაჩერდა. თვალები ცისკენ აღმართა, გრძელი წევერი შეარხია და ხმამალლივ ლოცვას მოჰყვა. ყველა მიწყნარდა, სმენად გადაიქცა და საჩქაროდ კედელში ჩატანებული მოხუცის თავს მიაჩერდა. მოხუცის თავმა ლოცვა გაათავა. ტოკვა დაიწყო და სამჯერ გადმოსხია:

„იქმარე ჯალათო! გახსნედეს, რომ მაღლა ზეცაში შეწედ მაღალი და ძლიერი ღმერთია და მაგლენი უდანაშაულო ხალხის ტანჯვას და სისხლისლვრას არ შეგარჩენს“.

ცა მოიქცა, ატყდა ჭიქა-ქუხილი, შეიძრა მიწა, ჯალათებს ცულები დასცვივდათ. ტყვეებს შეკრულ-შებოქილი ხელები გაეხსნათ, ნახევრად აშენებული ციხე ჩამოიქცა. შაპ-აბაზი შედრეა, შეძრწუნდა, ბუნებისა და მოხუცის მრისხანებამ შიში დაპხადა მის გაქვევებულ გულში, მოლბა და ფიცხელი ბრძანება გასცა:

— გაანთავისუფლეთ ყველა ტუვე და ნება მიეცით დაუბრუნდნენ თავიანთ სახლ-კარსა და მამულს.

გადარჩა საინგილო სულ ამოვარდნას. ტყვეები ცას ეწივნენ და მადლი შესწირეს თავიანთ მხსნელს ბერსა და ის დგილი, სადაც სწევებთან ერთად ისიც შაპ-აბაზის მტარვალებს შეეწირა, წმიდა დგილად ჩასთვალა ხალხმა. მას შემდევ ბევრმა დრომ გაიარა, კიდევ ბევრმა ჭიქა-ქუხილმა გადაუქროლა საინგილოს, მაგრამ ხალხის ხსოვნაში ღრმად შეკრილი მოხუცი ბერის აშბავი დღესაც არ აღმოფხვრილა მათი გულიდან.

* * *

სურათიდან შუახანს გადაცილებული, თმაშევერცხლილი კაცის ბევშეურად გულუბრყვილო და წმინდა თვალები იცქირება. ეს ზაქარია კდილია.

შემოქმედი სულისაგან მთლიანად დაცლილი და იმედგადაწურული იყო საინგილო, როცა იგი ჩამოვიდა იქ. რა შეეძლო მას

სიყვარულისა და ერთგულების გარდა? მალიან ცოტაც და შალიან ბევრიც. და მან გააკეთა ეს ძალიან ცოტა და ძალიან ბევრი.

დღესაც სამაგიდო წიგნია მისი „საინგილო“ მათთვის, ვინც ამ კუთხის ბედით, წარსულითა და საერთოდ, ცხოვრებით დაინტერესებულია...

არანაკლებ მნიშვნელოვანია ეს ჩანაწერებიც.

მასალები ქართული ეპიგრაფის ცენტრებიდან

შალვა ამირიჯიშვილის მოგონებები

1943 წელს საფრანგეთის ქართულ ემიგრაციის კიდევ ერთი ლირსეული სახელი გამოიყენდა — შალვა ამირეჯიბი. ვის კოლორიტულ პიროვნებაშიც გაერთიანებული იყო რომანტიკისი პოეტი და ნიჭიერი პუბლიცისტი, ფოლკლორისტი და შთამბეჭდები ორატორი და, რაც მთავარია, ქართულ ეროვნული გენისა და სულის გადარჩენისათვის, ეროვნული თვითმყოფადობისათვის თავდადებული მებრძოლი და მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწე.

შ. ამირეჯიბი შედიოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარ კომიტეტში და საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდში ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი გახლდათ.

მოგონებები, რომლებსაც ამჯერად გთავაზობთ, მემუარული ხასიათისაა. საინტერესოა იმითაც, რომ მოხსენიებულია მრავალი პიროვნება, რომელთაც პირდაპირი თუ არაპირდაპირი კავშირი ჰქონდათ ქართულ ემიგრანტულ წრეებთან და ვის შესახებაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში ერთობ მწირი ცნობები მოიპოვება.

შალვა ამირეჯიბი ემიგრაციაში წავიდა 1924 წელს, იმ პერიოდში, როდესაც ქაქუცა ჩოლოყაშვილმა თავისი შეფიცულების რაზმით დატოვა სამშობლო. მარშრუტებიც ემთხვევა ერთმანეთს (სტამბოლში ჩასულ შალვა ამირეჯიბს მოახსენეს, რომ ამ გზაზე ორი კვირის წინ გაიარა ქ. ჩოლოყაშვილმა).

ქართული ემიგრაცია და პოლიტიკური ვითარება ქართულ ემიგრაციაში მოგონებათა ძირითადი ლაიტმოტივია, რასაც განხოგადებას და მნიშვნელობას ანიჭებს ავტორის საკუთარი პოზიცია და დამოკიდებულება მოელენებისადმი.

მოგონიანი

ხოფა-სტამბული-ნიაოლი

გათავდა ჩვენი ფეხით ხეტიალი და მოვედით ხოფაში. ექიმი იოსებ ცინცაძე, - ჩვენი მთარობის „წარმომადგენელი“ იქ აღარ იყო. ჩვენ მისმა მოადგილემ კეჭალმაძემ ჩაგვიბარა. „ქრისტიან მუჭაგირების“, ესე იგი, ჩვენი გემზე იყვანისა და სტამბულში გასტურების საქმეში კეჭალმაძეს ერთი „მუსულმანი ემიგრანტი“ ეხმარებოდა — გვარად ჰყონია, კაცი, რომელიც მე-ადრე, დაახლოვინით ჯერ კიდევ 1921 წელს, ბათუმში მინახავს და რომელიც იმ დასს ეკუთვნოდა, ვინც ბათუმიდგან ოსმალეთში და ოსმალეთიდგან ბათუმში სიარულში ლევენ თავის წუთისოფელს და რომელთა რიცხვი ასე მრავალია ჩვენს სამუსულმანო საქართველოში.

მეორე დღეს გემზედ აკეიყვანეს, მაგრამ ჩვენამდე ოთხასი ხარი და ძროხა ჩასხეს შიგ. მძრიგად ოთხასი სული საქონელი და ცხრა ემიგრანტი — ჩვენი ბინა „ტრიუმში“ იყო. ისე ჩავუარეთ ანატოლის ნაპირებს, საშინელ უამინდობაში, გემის რყევით, გულის რევით და გაუთავებელი თავბრუთი. ბოსფორში მხოლოდ მეთხუთმეტი დღეს შევედით. სოლიკო ზალდასტანიშვილს უკვე პირველ ემიგრანტობის დროს 1921 წელს ჰქონდა ნანახი მისი შშვენიერი ნაპირები და სცდილობდა ჩემთვისაც მოეწონებინა ისინი. მე ისე ვიყიდი ამ უსიამოვნო მგზავრობით მოქანული, რომ ვერ ვამჩნევდი რა საუცხოვო და ქვეყნად ერთადერთ ნაკადზედ მისცურავდა ჩვენი თავმოსაბეზრებელი გემი თავისი ოთხასი ხარით და ცხრა ემიგრანტით! ჩავიარეთ ანატოლისა და რუმელის ციხეები, სასახლენი და აქა-იქ მეჩეთები, რომელთა მინარეტები გამჭვირვალე ჰაერში ლოცვებით იფანტებიან, ბოლოს ეს ზღაპრული „დოლმა ბალჩეც“ და შევედით „ოქროს ჩქაში“.

სტამბულის ეს მშვენება და სიამყე ცარიელი იყო. ჩვენი ოთხასი ხარის უბრალო, მაგრამ ნამდვილი რქა უფრო მეტი ღირდა ამ დროს, ვიდრე ეს მარად ქებული და დღეს ცარიელი „ოქროს ჩქის“ ნავსადგური.

— სად არის ევროპა? სად არიან მათი გემები? — ვკითხულობ გულში.

— ევროპა წავიდა. სტამბულიდგან ყველანი წავიღნენ. წავიდა სულთანი, წავიდა ხალიფა, წავიდა ოვით გაზი მუსტაფა ქელმალიც! სტამბული ეხლა იმ სახლს ჰგავს, სადაც ეს არის ეხლა დიდი წვეულება ან ქალები იყო. სტუმრები წავიღნენ, მასპინძლებიც სამზარეულოში შევიღნენ და ჭურჭელს რეცხავენ. მუსტაფაც, როგორც მასპინძლი, დღეს ამ ჭურჭელს რეცხავს სამზარეულოში. მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ეს სამზარეულო სტამბულში კი არ არის, არამედ შორეულ ანგორაში.

ევროპის გემთა აფრები დღეს პირეები ფრიალებენ, ოდესლაც თურქებმა დასცეს ბერძნების კონსტანტინოპოლი, დღეს ან ხვალ ბერძნები დასცემენ თურქების სტამბულს! სტამბულის მთელი აღებ-მიცემობა დღეს პირეები არის გადასული...

ჩვენი გემი ზედ ბაქენშე არის მისული. ელით როდის გამოჩნდებიან სტამბულიდან ქართველი ემიგრანტები, რაღაც ჩვენი ხოფათგან წამოსვლის ამბავი მათ უკვე იციან.

პირველმან ივანე ჭავჭავანიძემ გვინახულა. საქართვლოს რესპუბლიკის რომელიდაც მინისტრის ამხანაგია! ჩვენ გვიცირდა, რომ გემიდან ჩამოსვლის ნება არ მოგვცეს. გვეუბნებიან, ბარგის გასაჩრევათ გამოვიდეთ.

— რას ეძებუნ? — უკითხები ქართველებს, რომლებიც აქ დაგვხვდნენ.

— თამბაქოს!

თამბაქო, რა თქმა უნდა, ჩვენ დიდი ხანია ჯიბეებში გვაქვს, სადაც ფრანგებს არ ჩაუხედნიათ, ჩვენი ბარგი კი ბაჟისათვის არა-ფერს საყურადღებოს არ წარმოადგენს. გათავდა ჩხრეკის პროცედურა, გაგვიშინეს პასპორტებიც და ნაესადგურიდგან ქალაქში მიეღივართ, მიგვიყვანეს ბარაქებში. ამ ბარაქებში გიარა რუსეთის მთელმა ემიგრაციამ, ქართველობამ, ორი კვირით ჩვენშედადრე ქაქუცა ჩოლოყაშვილმა თავისი შეფიცულებით, გუშინ კიდევ, ვიღაცებმა, დღეს ჩვენ და ხვალ სხვები გამოივლიან.

მაგრამ აი, ერთი შეფიცულთაგანი — ლელო ჩიქოვანი! მე ის არ მინახავს ერწოს ტყეების შემდეგ, სადაც ჩვენ ერთმანეთს დავშორდით. ჩვენი პირველი საუბარი ქაქუცა ჩოლოყაშვილის, სპირიდონ ჭავჭავაძის და მისი შეფიცულების გარშემოა. ისინი უკვე პარიზში არიან.

შოდის კალე ქავთარაძე, რომელიც აგვისტოს დღეებში გური-

აში ხელმძღვანელობდა აჯანყებას. თურმე ჩვენ გვიცდის — შეძლა ზალდასტანიშვილს. ასახელებს სხევა პირებსაც, რომლებიც აგრეთვე საქართველოში უნდა ჩამოსულიყვნენ, მაგრამ როდისლა?

— თქვენ გრძოლით ჩვენთან მოსვლა და ჩვენი შეელა მაგრამ დაგასწარით და ჩვენ მოვედით თქვენთან. შეგვიძლია ჩვენ თქვენი რითომე შეელა?

ვეკითხები მე.

— ხუმრობ! — მეუბნება გენერალი.

— დიახ! ესუმრობ... როგორ ბრძანდები ბატონო გიორგი? როგორც ბევრ ქართველს, მათნიაშვილი მეც მიყვარდა. უკანასქელად 1923 წელს ვნახე, ის იყო მეტეხიდგან გამოუშეს და დამიბარა. ჩვენი შეხვედრა გიორგი წინამდლერიშვილმა მოაწყო. შეგვყარა და თეითონ დაგვტოვა, ეს მოხდა ნიკოლოზის ქუჩაშედ, სალმოს ცხრა საათზედ. ვილაპარაკეთ. მერე სახლშიაც შევევდით ერთმანეთს, სპარსეთში მიდიოდა და ჩვენ დასტურს ელოდა. მაგრამ დღეს რომ სტამბულში შევხვდებოდი და ისიც საქართველოსაკენ მომავალს, არ ველოდი.

გვინახულა ბ. კ. გვარჯალაძემაც. ესეც მინისტრია წარსულში. აშშუმშიც ჩვენი „წარმომადგენელი“ სტამბულში, კარგად აცვია. მაგონდება რუსული ანდაზა: ის იყო მეტად მაგრამ გვარჯალაძეს კარგად არ ვიცნობ. მაგონდება მხოლოდ ერთი მბავიც: ეს იყო 1918 წელს. ქართლში, კახეთში, იმერეთის, ზოგიერთ ნაწილებში სოფლის ტერორი დაიწყო. ხოცავდნენ თავად-აზნაურობის. ტერორმა განსაკუთრებით ქართლში მიიღო უდიერი, შეიძლება ითქვას, უღვთო ხესიათი. ხოცავდნენ მამაკაცებს, ქალებს, მოხუცებს და ბავშვებს. ელეტდნენ მთელ ოჯახებს. ქარელში ამოწყვიტეს მთელი ოჯახი თავადის ციციშვილებისა კაციან-ქალიანად. სახლში, სადაც დახოცილთა გვამები ციცანენ ძალები შერევეს და კარები გამოუყეტეს. ასე გაატარეს ძალებმა მკვდრებს შორის რამდენიმე დღე, მაგრამ თავიანთ ყოფილ პატრონების ხორცის პირი არ დააყარეს.

ამ ამბავმა საზოგადოება იღაშფოთა. მთელ ამ ტერორს საზოგადოებრივი აზრი მენშევიკურ ავიტორებს აბრალებდა.

ამის გამო, გაზეთ „საქართველოში“ პატარა წერილები მოვათვესე, საღაც ვწერდი: თუ აღამიანები არ გეცოდებათ, ძალები

შაინც შეიცოდეთ მეთქი! მეორე დღეს ასობით ნაცნობი ხელს შარომეულა, ნიშნად თანაგრძნობისა...

ამავე გარემოებამ აიძულა თავადი კონსტანტინე აფხაზი, პარ-ლამენტში შეკითხვა შეეტანა. „თუ თავად აზნაურობას დამოუკიდებელ საქართველოში აღარ გვეცხოვრება, მთავრობამ ეს აშენად გვითხრას, ჩევნ მაშინ ავიყრებით საქართველოდგან?“—ო.—ეკითხებოდა კეთილშობილი აფხაზი მთავრობას.

დეპუტატთა ადგილებიდან ბ-ნი გვარგალაძე წამოდგა და ტრიბუნისაკენ გაეშურა. მან წარმოთქვა მრისხანე სიტყვა და სხვათა შორის შემდეგიც: ყოველივე ეს არის შურისძიება იმ დანაშაული-სათვის, რომელიც მიუძღვის ისტორიულად როგორც დახოცილების, ისე საზოგადოთ თავადაზნაურობის წინაპრებს „მასების“ წინაშე!

პარლამენტში, რომლის 130 წევრში ასოცი წევრი სოციალისტი იყო, ამ ცინიურ განცხადებას აღშფოთება არ გამოუწვევია. ხმა-ურობდა მხოლოდ ათი ნაციონალისტი დეპუტატი. თვით თავად აფხაზმა კი, ამის შემდეგ ხელი აიღო პარლამენტის წევრობაზედ და კრებაზედ აღარ დადიოდა.

ამის შემდეგ გვარგალაძის კარიერა უზრუნველყოფილი იყო. იყო სხვადასხვა სამინისტროში და სულ ბოლოს გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგად.

ბ-ნმა გვარგალაძემ ცალკე გამიხმო. ჩევნი საუბარი თითქოს კონფიდენციალურია.

— თქვენ ჩასვლას პარიზში მოუთმენლად ელიან, — მეუბ-ბა ის.

— ვინ?

— მთავრობა!

— ბიჭის! ვფიქრობ ჩემთვის და ვეკითხები:

— რათ?

— როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრმა ნამდვილი ინფორმაცია თქვენ უნდა ჩაუტანოთ. ატმოსფერა იქ მეტად სულის შემსუთავია. აჯანყების მოწყობის ბრალს მთავრობას ადებენ.

— მთავრობას ჩვენცა ვდებთ ბრალს. მაგრამ არა იმაში, რომ აჯანყება მან მოაწყო. აჯანყება ჩევნი, იქაურების მოწყობილია!



არამედ იმაში, რომ არაფრით არ დაგვეხმარა. საყურადღებრიცხვის მინც, აქაურები რაღაში სდებენ ბრალს?

— ჩახვალთ და იქ გაიგებთ!

პასუხი ბრძნულია. მაგრამ გვეიგებ, თუ გამაგებინებენ?

მე ვეუბნები რომ ჩვენ, ჩამოსულები, მთავრობას დავიცავთ. აჯანყების მოწყობაში ვისიმეს გამტყუნება თვით აჯანყების გამტყუნებას უდრის.

ესეც ჩვენი ჭილდო! ჩვენი, აჯანყებულთა, დახოცილთა და დამარცხებულთა, — ვდიქრობ მე.

გვარგალაძე მემშვიდობება. ბოლოს ჩვენებიც მოდიან: დავით ვაჩინაძე და ოლექსანდრე ასათიანი, შემდეგ ჩემი ნათესავი ირაკლი ერისთავი და ივანე ანდრიანიკაშვილი.

დავით ვაჩინაძე და ოლექსანდრე ასათიანი გვიამბობენ, რომ აჯანყების „მთავარ მიზეზია ჩვენ გვასახელებენ“. ვაჩინაძეს იმის-თვის, რომ მან შეგვატყობინა, ვითომ იარალით დატვირთული გვ-მი უნდა მოსულიყო საქართველოში, ასათიანს — რომ მას დიდი ხანია მოწერილი ჰქონდა საქართველოში ხიდები და რეინიგზები აგვეფეთქებინა.

მე და ზალდასტანიშვილს არაფერი კვესმის.

— ეს არის გვარგალაძემ სოქვა, რომ აჯანყების ბრალს მთავრობას აუებენო, — ვეუბნები მე.

— დიახ. მაგრამ რადგანაც ამ ბრალის აღება არც მთავრობასა სურს, არც სხვა ვინმეს, ვიღაცამ ბრძნულად გაღაწყვიტა, რომ მთელი ბრალი ისევ ჩვენ დაგვდონ, ე. ი. ეროვნულ დემოკრატიას.

ამ რიგად, დაწვრილებითი საუბრის შედეგ ჩვენთვის გამოიჩივა. რომ თუ აჯანყება გამარჯვებული გამოვიდოდა თავის ზღვა სისხლიდგან, მის პასუხისმგებლობას ყველა სიხარულით იყისრებდა, თუ არა, იმისი მოწყობი არსადა სჩანდა. მე ჩემ თავიდ გავიფიქრე და ამაში ბევრი სხვაც დამეთანხმება, რომ საქართველო-სათვის აღსრულებულთათვის, დაღვრილ სისხლისა და მიწაწაუყრელ საფლავებისათვის, საქართველოს სახელისა და იმისი მომავალი ისტორიისათვის სციროა, რომ ეს პასუხისმგებლობა ისევ აჯანყების მონაწილეთ იყისრონ.

მეორე დღეს იტალიურ გემზედ გადაგვსხეს. ამ დღის განმეორებულებელი მხნე და ვაჟა-ცურავე მამა შალვა ვარდიძე იყო. ბილეთები და ცოტა სავზაო ფული მან გადმოგვცა. მასთან ერთად

გემზედ სიმონ მდივანიც მოვიდა. ისიც მეუბნება „ერთხელ უკრაინული დევ“, რომ ყველაფერი იმაზედ იქნება დამოკიდებული, თუ რა ინფორმაციას ჩაეიტან. საბერძნეთის ნაპირებს ღამე გაუარეთ. მხოლოდ დილით დავინახეთ მორეის ნახევარუნდულის ქიმი და მასაც მალე დავშორდით. მშვიდობით საბერძნეთო! წელიწადის დროისა და უამიდობის გამო ჩევნ ვერ დავინახეთ ვერც ელადის კურთხეული მიწა, ვერც ელადის განთქმული ცა! მაგრამ იტალიისაცნ მივსცურავთ. იქნებ იტალიის ცა მაინცა ვნახოთ ის ადგილი, სადაც აპენინის ნახევარ კუნძული სიცილის თავისი ჩემის წვერით დალერსება—ღამე გავსცურავთ, ბაქანზედ ვდგევართ და ხმელეთის ნაპირებზე გაბმით დანთხებულ სინათლეებს უცყურებთ, რაიცა, ღამის გამო, ძალიან ახლო ვეეჩვენება. რა არის? რეჯიო, მესხინა, თუ არც ერთი! მალე ჩევნს თვალში ეს სინათლეებიც ქვრებიან. გარშემო შავი უკუნეთი მეთდება და ჩევნც ისვე ტრიუმში ჩავდივართ. მე მარშმუნებენ, რომ ეს ტრიუმი არ არის და მესამე კლასია. საბუთი? საწოლები დგას. რადგანაც ჩემს სიცოცხლეში გემზედ მხოლოდ ერთხელ ვყოფილვირ და ისიც ბათუმიდგან ფოთამდე — მე ნექსა ვკავევ!

დილა მზიანი დაგვიდგა. ცაც სუფთაა, ნეპოლისაცენ მიედივართ. გვეუბნებიან რომ ნასაღილევის შემდეგ განთქმულ ქალაქში ვიქენებით. დღეს თავს კარგადა ვერძნობ და ნეაპოლის ნახვა მანარებს. გაცურავთ კაპრიც და ნეაპოლის ყურეში ვართ, ვხედავთ როვორ ხრიოლავს ვეზუვი. კამპანელლას კონცხის ეს შესახვევი, სადაც სორენტო ძეეს, მეტად ლამაზია. ზედ ბევრი მზის სხივი ეფრქვევა და გავიწყდება რომ ქრისტეს შობის თვე არის. უცვლით ამ მშეენიერ ნაპირებს და ბოლოს ნეაპოლის ნაეთსაღგურში შევდივართ.

ჩვენი ნეაპოლში მოსვლა იმითი არის შესანიშნავი, რომ, ხოჭას შემდეგ, ეს პირველი ნავთსაღგურია, სადაც გემიდან ჩამოსელისა და ქალაქში გავლის ნებას გვაძლევენ. გამოჩენდა ერთი ებრაელი, რომელიც სასაღილოში წაყვანის გვპირდება და ჩვენც მივდივართ: მე, სოლიკ, ელისე, მიხეილ მიხეილიჩი, ასე ვაღილებდით გზაში და მერჩეც ნაღაშვილს და ესე სარჯველაძეს.

აგვისტოს დღეების შემდეგ, რომლის დროს საქართველოს ტყეებს საფუძვლიანათ გავეცანი, ტფილისში დაბრუნებისა და იქ მალულობის შემდეგ, ავარის ტყეებში გამწარებულ ხეტიალისა, მა-

რადიდისა, ბოჩხასი, ართვინისა, ხოფასი და თეით სტამბულის შემდეგ, წევოლის ნაპირი ის პირველი ადგილი იყო სადაც შეცა და ცუველამ ჩვენ პირველად მოვისუნთქეთ თავისუფლად. ჩესტორანი, საღაც ჩვენ ებრაელმა შეგვივანა პატარა იტალიური oste-
ria¹ — არის. სუფრას გარს ვუსხდებით და სულ მალე კარგად დაბრაწულ ხორცის ნაჭრებს ვეირივებენ. რა თქმა უნდა თავისი ლაზათებით, ესე იგი ნამდვილი იტალიურის, თუ ნამდვილი წევოლიტანურის სპაგეტით, თავისი აუცილებელი პარმეზანით და პომიდორის „მაშარაფით“. ჩვენი სუფრის გამრიგე — ჩვენი ებრაელი ჩვენსედ ნაკლებ არ იღმურძლება. მადაზედაც კარგზედ არის და უნებაზედაც! მაგრამ რიღაცა მაინც ხელს მიშლის, Asti spumon-
ti² მოვითხოვო და ჩვენი პირველი განთავისუფლება და მოქალა-
ქობის უფლების მიღება იტალიის საუკეთესო ღვინით ვიდოესას-
წაულოთ!

ესვამთ ჩვეულებრივ Cianti³-ს — რომელიც იტალიურ გემზედ აუარებელი დავლიეთ, როგორც ზღვის ავადმყოფობის „უებარი“ წამალი. მე ამას განსაკუთრებით ვიღონებ, რადგან საქართველოში, სადაც ღვინოს უსაბამოთაც ბევრს ვახლებიან, ასეთი „უწმინდუ-
რი“ საბაბით ღვინო არასოდეს არ დამილევია. გაბედეთ და და-
ავერეთ ქართველი კაცი, რომ გულის რევის უებარი წამალი ღვი-
ნოა, როცა ქართლოსიდგან მოყოლებული, ჩვენში ყველა ბავშვმა იცის, რომ გულის რევია სწორედ ღვინოს შემდეგ მოდის. ამას გარ-
და თვით ღვინის სმის საბაბიც ჩვენში უფრო სხვაა და „ამაღლე-
ბულიც“.

„ყმაწვილებო, ჯერ ვუსურვოთ
ჩვენს სამშობლოს დლეგრძელება
მერე თასი გამვსწუროთ,
ღვინო უკეთ შეგვერგება!
ასე უთხრათ, საქართველო,
აღსდეგ, გახდი კვლავ თავხედი,
არა არს რა უსაშველო,
ყმაწვილებო, ალავერდი!

¹ მოსასვენებელი ადგილსამყოფელი ქალაქისგან მოშორებით (იტალ.).

² იტალიური ღვინო.

³ იტალიური სასმელი.

გვასწივლიდა დაუვიწყარი მამია გურიელი. ასე ჩატენა ისტორიუმისა
ისა ერთ პატარა თასში, რომელიც ამ ბოლო დროს ვერცხლისაც
აღარ იყო და რომელშიც არც ლვინო იყო ხოლმე მუდამ თავიან-
კარი — მარტო საქართველოში შეიძლება.

თუმცა გამოტეხილი უნდა ესთქვა, რომ ჩვენი სადილი იტალი-
ურ დუქანში ისე გათავდა, რომ ეს ამაღლებული საბაბი ორიოდე
ჭიქე ლვინის დალევისა სულ მიგვავიწყდა — ჩვენ არ დაგვილევია
არც საქართველოს სადლეგრძელო, მით უმეტეს არც იტალიისა!
დუქნიდგან გამოვდივართ. სალამოს მერვე საათია. ჩვენი ჩიჩერონე
გვირჩეს რომ მთავარ ქუჩაზედ გავიაროთ. მივდივართ.

— რა შენობაა?

ვეკითხებით ჩვენს გამყოლს, როცა წინ უშეელებელი, ძველ
იტალიურ სტილში აგებული შენობა წამოგვეკიმა.

— უნივერსიტეტი! სამი წლის შემდეგ რვაასი წლისა განდება.
გვეუბნება ჩვენი ჩიჩერონე.

მაგრამ ისე დათენილი ვართ მგზავრობით, რომ არც ეს გან-
ცხადება ახდენს ჩვენზედ ჯეროვან შთაბეჭდილებას. ქუჩაშიაც
ცივა. ქალაქის დათვალიერება დილისათვის გადავდეთ და გემზედ
ვპრუნდებით.

მეორე დღეს გემიდგან აცრე ჩამოვდივართ. ჩვენი გემი ნაშუ-
აღლევის ორ საათზე სტოვებს ნეაპოლს და ქალაქის დათვალიერე-
ბა უნდა მოვასწროთ. ჩვენმა გუშინდელმა ჩიჩერონემ ჩვენი მოძებ-
ნა დღეს აღარ ინება. მიხვდა რომ ჩვენ ის მგზავრები არა ვართ,
რომელსაც კაცი რამეს გამორჩება. რამდენიმე საათის შემდეგ,
ნეაპოლის ქუჩებში ხეტიალის დროს, ოდნავ მოვკარი თვალი, რომ
ჩვენი გუშინდელი სუფრის გამრიგე სხვა ვიღაცებს მიუძღვდა.
მაგრამ ესენი უკვე ნამდვილი ტურისტები იყვნენ. ამრიგად ქალა-
ქის დასათვალიერებლად მარტონი მივდივართ. მე იმასაც კი ვფიქ-
რობ, რომ ვისაც საბჭოთა საქართველოში უცხოვრია, მას არსად
არავთარი გამყოლი არა სჭირია, ისე გაგწვრთნა ბოლშევიკურმა
ჩეკამ ადგილის ორიეტაციაში, ქუჩების ლაპირინტში თავის მალ-
ვისა და იქიდგან თავის დაძვრენის საქმეში.

მაგრამ ჩვენ არა გვყავს არა მარტო გიდი, ჩვენ არა გვაქვს გზის
მაჩვენებელიც. ჩვენ არ ვიცით სად არის გამოქმული Castell

Nouovo¹ ანუ უფრო მეტად შესანიშნავი tempoio di Virginie² და
ნეაპოლიც ისე დავტოვეთ ესენი არ გვინახავს, მაგრამ უბრალო ალ-
ლოთი ქალაქის იმ ნაწილში გაეჩინდით, საღაც არიან: Piazza del
Plebiscito: S. Francescodi Paola³ მეფის სასახლე თეატრის —
კარლო და გალლერია უმბერტო:

მგზავრისთვის, რომელიც ნეაპოლს „ათვალიერებს“ ეს ცოტაა,
ან სულ არაფერი! ჰერცულანუმისა და პომპეას ნახვისათვის ხომ
არც გვიალიან, რადგან საამისო დრო არა გვაქვს.

ნეაპოლი, როგორც ჭერ კიდევ სკოლის ასაკიდგანაც ვიცით,
პირველად ბერძენ კოლონიალისტებისაგან დასახელებული, შემ-
დეგში ძველი რომის ერთი შესანიშნავი ქალაქთაგანი იყოს და ეს
მხიბლავდა თავისი ბუნებისა და თავისი ისტორიისა არც ერთ ეპო-
ხაში არ დაუკარგავს. მისი გარეშო ეხლაც ივგუსტოსის ეპოხის
დიდების ნაშთებით არის სავსე და გაედენთილი. წირსულში ის
ვირგილიუსის საფლავია, შეუა საუკუნოებში ტორკვატო ტიანის
აკვანი, ხელოვნების ახალ ისტორიაში სალვატორ როჩეს სამშობ-
ლო, ხოლო ჩვენს დროში ბენიტო მუსოლინის შესანიშნავ რომზედ
გალაშქრების „გამოსავალი წერტილი“.

დროა გემზედ დაებრუნდეთ. ამ რიგად ნეაპოლში ჩვენ ახალს
ვერაფერს გავეცანით და ბევრი ისეთი რამეც ვერ ენახეთ, რაზე-
დაც უწინ მაინც გვსმენოდა, ჩვენ კაბუკობის ხანაში, როცა სკო-
ლებში ლათინურს ჭერ კიდევ ასწავლიდნენ... ჩვენ ბედი არა
გვქონდა და ჩვენ ვერ გავიგონეთ ნეაპოლიტიანური სიმღერაც კი...
ისე დავტოვეთ ეს მშვენიერი ქალაქი და მისი შემოგარენი.. ნეაპო-
ლო, მშვიდობით.

ჩვენში ცოტა სხვანარად ამბობენ! ჩვენში ამბობენ „ზესტა-
ფონო, მშვიდობით“.

¹ ციხე-სიმაგრე ქალაქ ნეაპოლში.

² ვირჯილიოს ტაძარი ქალაქ ნეაპოლში.

³ პლაზინიტოსა და ფრანჩესკო + დი + პაოლას მოედნები. ქ. ნეაპოლში.

გზა ნეაპოლიდგან მარსელამდე მშვიდოდ გავიარეთ. დღეები
შზიანია, ზღვა წყნარი. მიესცურავთ კორსიკის ნაპირებზედ. არც ის
სილამაზეა, არც ის სითბო, რომელიც ნეაპოლში დავსტოვეთ. კორ-
სიკის ნაპირები (ყოველ ძემთხვევაში ის, რომელსაც ჩვენ უცემ-
რით) შედარებით უტყუარია და თავისი თეთრის მიწით სახერძ-
ნეთის ნაპირებს უფრო გვაგონებს. მუჭხედავად ამისა, დიდ ხანს
უუცურებთ ნაპოლეონის სამშობლოს. უცნაურია, რომ ნაპოლე-
ონი არტილერიის ლეიტენანტი იყო და არა მეზღვაური! ევრო-
პის ისტორია სხვანაირად წარიმართებოდა, ნაპოლეონი რომ მე-
ზღვაური ყოფილიყო და ნელსონი ქვეითთა ჭარის ოფიცერი. მაგ-
რამ კორსიკა საჩოგადოთ არ იძლევა მეზღვაურებს. შემდეგში,
საფრანგეთში დიდის ხნით ცხოვრებამ დაგვანანვა, რომ საუკეთესო
ნაწილი პარიზის პოლიციისა კორსიკანელებისგან შესდგება და
კორსიკელია თვით პარიზის პრეფექტი. სახელგანთქმული ბ-ნი
შიაპიც. მაგრამ კორსიკელთა ნიჭი რომ მარტიო აღმინისტრაციული
ასპარეზით არ არის შემოფარგლული, ამის საუცხოვო მაგალითს
მორო-ჭიათური და კამპინჩი იძლევიან. ეს სახელგანთქმული პა-
რიზელი ადვოკატებიც კორსიკელები არიან.

მიუხედავათ ამისა კორსიკის ბედი სახარბიელო არ არის. ეს
კუნძული გენუამ მეოთვამეტე საუკუნეში დაუთმო საფრანგეთს.
ამ ამბავს თავისი ისტორიაც კი აქვს. კორსიკელები თავისი დამო-
უკიდებლობისათვის იბრძოდნენ. საფრანგეთი კი ეუბნებოდა და
დღესაც ეუბნება: შენ ნაპოლეონი გყავს? მე ეგ იმპორტორათ გა-
მომადგება! გაღმოდე აქეთ! შენი შიაპიც მე მოშეცი, შენი კამპინ-
ჩიც!

ასეთი პატარა კუნძულები (პატარა ერებიც!) პატარა წყაროებს
გვაგონებენ. საუკუნოებით შევეიძლიან იქიდგან კამკამა წყალი
სვა, მაგრამ დიდ მდინარეთ კერასოდეს ვერ იქცევიან.

როგორ მინდა რომ ჩვენი გემი ამ პატარა კუნძულთან გაჩერ-
დეს. როგორ მინდა მისი შემორბენა, მისი ზედაპირის დასუნთქვა,
რომელმაც, წარსული საუკუნის დასაწყისში, ასეთის კაცურის
უულეანით ამოხეთქა, ევროპის ცა გაანათა და ისევ მიწყნარდა!
მაგრამ ჩვენი გემი საოცარის გულგრილობით უვლის კორსიკას და
შერე სულ შორდება მას.



მარსელში 25 ქრისტესშობის თვეს მოვედით. დღეს ოცდამე-
ორე დღეა, როცა ხოფათგან წამოვედით და მას აქეთ სულ ზღვა-
ში გართ.

ანგარიშით მარსელშიც უნდა დაგვჭვდნენ.

გემზედ ამოდის ერთი ქარბად შავგვრემანი კაცი, მიგვითვალა
და გემიდან ჩამოგვსხა. შევად აცვია, იღლიაში საუსე პორტფელი
შჩრია. ყველას ისე ელაპარაკება როგორც თავის საქმის მცოდნე
და სახელადაც monsieur Georges ჰქვიან.

მუსიონ უორქს თქვენი მოწონებული შეტაკებაც კი მოუხდა სა-
ბაჟოს მოხელეებთან ჩვენი გულისათვის. ფრანგებში დასთმეს და
„გამარჯვებული“ მუსიონ უორქია!

ვინ არის ეს მუსიონ უორქი!

მეუბნებან: სასტუმრო „ორიანტის“ კომისიონერი და თარჯიშიანი
ტფილისში! მაგონდება. არ ვიცი აისორია, თუ ლევანტინელი. ტფი-
ლისში მართლა მინახავს. საქართველოდგან ჩვენზედ აღრეა წამო-
სული და დღეს მარსელში ჩვენი მთავრობის „წარმომადგენელია“.

ხუმრობა იქით იყოს და საქართველო ძალიან ხმაურობს ევრო-
პაში. მარტო ეს რადა ღირს; რომ „წარმომადგენელი“ ყველან
არს, სადაც კი ემიგრანტ ქართველს მისვლა უხდება. ჩვენი შთა-
ბეჭდილება ისეთია, რომ ჩვენ მუსიონ უორქი კი არ გვლებულობს,
თვით საფრანგეთი. მაგრამ მუსიონ უორქს რომ ჩვენი გულისათვის
ბევრი მაგარი სიტყვა მოხვდა ფრანგებისაგან — აინუნშიაც არ
მოგვდის!

საბაჟოში მივყევართ. გვეუბნებიან რომ ჩვენ მარსელმაცე
არსად არ გადმოვგიშვებენ. მაგრამ როდესაც არც ჩვენ მინისტრს
მისცეს გემზედ ამოსვლის ნება, ამან კი მართლა დაგვალონა. ვი-
ღლა ვართ ჩვენ, ავანყების გმირები, თუ ამ ოთხესი ხარის ფილო-
სოფიური დამატება, რათა ჩვენ თავად და ამ ოთხესი ხარის მაგივ-
რად მხოლოდ ამ ქვეყნიური ამაოების შესახებ ვიფიქროთ?

მაგრამ ქართველი მინისტრი მხნე არის, მიუხედავათ იღკრძალ-
ვისა ის მაინც ახერხებს გემის კიბეზედ ამოსვლას, მაგრამ ბაქანზედ
მაინც არ უშვებენ. კიბიდგან გვესალმება. ერთმანეთს ხელს ვარ-
ომევთ.

— რა გაელიათ, რა მოგიტანოთ? საჭმელი?

მე ვთხოვ რომ ერთი პერანგი მომიტანონ. სხვები სხვას ეუბ-
306

ნებიან. ჭავჭავაძე მოდის და რამდენიმე ხნის შემდეგ გემზედ მის-
გან გამოგზავნილი ამანთოები ჩნდება.

ბოლოს და ბოლოს ნებართვით მოხდა თუ არა, არ ვიცი, მაგრამ
ქართველები მანც ახერხებენ გემზედ ამოსველს. მოდის გენერალი
შაზნიაშვილი. ჩემთვის მოულოდნელია მისი აქ ყოფნა, მაგრამ
სასიამოვნოა მისი ნახვა. ვკოცნით ერთმანეთს, ვჯდებით, ვლაპა-
რაკობთ, მაგრამ რაზედ? თურმე საქართველოში მოდიოდა აკან-
უბაში ჩასარევად!

ვარშავაში. ტრიუმვირატი. ტიშვიცევა და მონარქი. 6. რამიშვილი

ვარშავაში ნოე რამიშვილი დამხვდა. მე თითონაც არ ველო-
დი — ისე გაუხარდა ჩემი ნახვა. გადავეხვიერ. ამან კიდევაც გა-
მაოცა, რადგან ასეთი სანტიმენტალობა მას ჩეეულებად არა ჰქონ-
და. იქვე იყო გენერალი ზახარიაძეც, რომელმაც იგრეთვე სიხე-
რული გამოსთვევა ჩემი ჩამოსველის გამო. როდესაც გენერალი წა-
ვიდა და მარტო დავრჩით, რამიშვილმა კარები ჩაეცრა და დაიწყო:

ჭერ მიამბო რა შეტაკება ჰქონდა ბნ პ-სთან და როგორ მოიცა
მასთან. მე მოუწონე საქციელი. ამ ინციდენტით ფრიად აღელ-
ვებული იყო. მაგრამ რაკი ეს ამბავი შერიგებით გათავებულიყო,
რამიშვილის მთავარი სახრუნავი საკითხი სხვა აღმოჩნდა.

— პარიშში საქმე ცუდათ არის — სთვეა მან. ჩეენს პარტიაში
განხეთქილებაა, თქვენი პარტია ფრონტიდგან გასვლას აპირებს.
თვით ფრონტშიაც საქმე რიგზედ არ არის. გეგეჭყორი, ჩეენები,
ფირცხალავა, გობეჩია ფრონტის ხალხია. ვის რა უნდა — ვერ გა-
იგება! მდგომარეობა ისეთია, რომ სამნილა დავრჩით...

მე ყურები ვცემოტე.

— ვინ?

— მე, თქვენა და მდივანი!

სთვეა კატეგორიულად რამიშვილმა იმ ხმითა და იმ ქესტიცუ-
ლაციით, რომელიც მას ჰქონდა.

— უორდანია? — ვეკითხები გაოცებული და გაოგნებულიც,
რადგან, როგორც ჩეენი პარტიის ფრონტიდგან გასვლა, აგრეთვე
ისიც რომ მარტო ჩეენ „სამზედ“ ჩამოიწმინდა ცა და ქვეყანა —



წარმოუდგენელი და მოულოდნელი იყო ჩემთვის, და რამიშვილ-
მაც დაუყოვნებლივ მიპასუხა:

— ხომ იცით რა ყალთაბანდია ქორდანია?

ამ სიტყვებმა არ გამაცეს, რადგან ასეთი რამ წინეთაც მქონ-
და მისგან გავონილი. ჰქონდა რამიშვილს ჩემთვის ნათქვამი. არ
ვიცი რა იყო ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ რამიშვილი ასე უცქე-
როდა ქორდანია. უნდობლობა ეროვნულ საკითხში, თუ პირადი
ანგარიშიც? ვინაიდგან, ჩემის პირადი შთაბეჭდილებით, რამი-
შვილი, რომელსაც ქართული სოციალ-დემოკრატიის მომავალ ბე-
ლადათ მოქმენდა თავი, ისე უნდა ყოფილიყო განწყობილი ქორ-
დანიასთან, როგორც ენერგიული და უკვე საქმაოდ მომწიფებული
მემკვიდრე ხანდაშმულ და საქმაოდ დრო მოქმულ მეფის მიმართ.
ქორდანია მას მობეჭრებული ჰყავდა. მაგრამ ანგარიშს უწევდა,
როგორც მთავრობის თავმჯდომარეს და პარტიის მეთაურს. გან-
საკუთრებით ამ უკანასკნელ გარემოებას ჰქონდა მნიშვნელობა.
და ეს აისწერება იმითი, რომ თითონ რამიშვილიც განსაკუთრებუ-
ლად პარტიის კაცი იყო. მას სხვა არავითარი კულტურა არა ჰქონ-
და. პიროვნება თავისი თუ სხვისი მისთვის არ არსებობდა. ქორ-
დანია იმიტომ იყო საჭირო და ავტორიტეტული მისთვის, რომ
მისი სახელი პარტიასთან იყო გადაბმული. თუმცა ისიც არა ერ-
თხელ უთქვამს ჩემთვის, რომ პარტიის ნამდვილი ბელადი მუდამ
სილიბისტო გიბლაძე იყო და არა ქორდანია. ეს უკანასკნელი
გარემოებაც იმისი მაჩვენებელია, რომ რამიშვილს ქორდანიასაკენ
არ ედო გული.

მე ვუპასუხე:

— ასეთი ტრიუმვირატი ვერ შესდგება. თქვენ იცით რა ძვირად
მიღირს მე ის, რომ თქვენ მხარს გიტერთ. ამან პარტია ამიჯანყა,
ძელ მეგობრებს წამყიდა და თითონ პარტიაც ემიგრაციაში გაპ-
ყო. თქვენ უნდა იცოდეთ რაოდენად აუტანელია ჩემთვის ეს ამ-
ბავი. მაგრამ ჩემი დღევანდელი შეგნება ისეთია, რომ ამას მაინც
ესჩიდი. ჩვენი ქართული საქმისათვის მე ასე ვსჯი. კიდევ ვპოულობ
სიტყვასა და საბუთს დაეაჯერო ეს უქმაყოფილო ხალხი რომ ჩემი
საქციელი არც ისე უზნეოა. მაგრამ რა სიტყვითა და საბუთით გა-
ვამართლო ის გარემოება იმდევ ჩემი მეგობრების წინაშე, როდე-
საც. ამ ტრიუმვირატში მდივანი შემოგყავთ. ამ კაცს ნაციონალის-

ტებში არავთთარი მოწონება არა აქვს. მგონია საკუთარ ამხანაგებზე—
საც ნაკლებ მოსწონთ.

— რა დაშვა?

— მე შემიძლიან მის სამ თავგადასავალზედ მიგითითოთ. გან-
სოვთ მისი სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა პარლამენტში, რო-
გორც პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგმა, ისეთ შესანიშნავ
წითში, როდესაც საქართველოში ინგლისელები შემოდიოდნენ.

— მან ეს სიტყვა ქართველი ერის სახელით წარმოსთქვა, პი-
რადათ მისი ამ სიტყვაში არაფერი იყო!

— მით უარესი! ასეთი სიტყვის თქმა კაცს მხოლოდ თავისი
სახელით შეუძლიან და არა ერის სახელით. გახსოვთ მერე მისი
ელჩობა ერევანში. მგონია ისე იყო, რომ საქართველოს ელჩს ტფი-
ლისიდგან შეატყობინეს — წამოდი, სომხეთმა ომი გამოვიცხა-
დაო! მით უფრო სკანდალური იყო მისი ელჩობა ანგორაში, სადაც
იმავე დროს რუსეთის ელჩიად მისი ლვიძლი ძმა ბუდუ მდივანი
იყო. ის გარშემუნებდათ მაშინ რომ საქართველო-რუსეთს შორის
მოსალოდნელ ომში ოსმალეთი ჩვენთან იქნებოდა. გამოვიდა კი
ისე, რომ რუსეთიცა - და ოსმალეთიც ჩვენს წინააღმდეგ იყვნენ
ერთად.

— ასევე მსჯელობს რევაზ გაბაშვილიც?

— რა თქმა უნდა! ნუ თუ სხვანაირად მსჯელობა შესაძლებე-
ლია. თქვენ იტყვით, რომ ეს წარსულში იყო. მაგრამ მდივანი არც
ამის შემდეგ გახდა ნამდვილი დიპლომატი. 1925 თუ 1926 წელს
თქვენ ის ბნ. გვარჯალაძის მაგივრად სტამბულში დასტოეთ ჩვენ
საიდუმლო ელჩით. მან ისე ავგინია იქ საქმენი, რომ ოცდახუთი
დღე პოლიციას ჰყავდა დატუსაღებული და ისე დასტოვა ოსმალე-
თი. თქვენ იტყვით, რომ ეს ბოლშევიკებისგან მოწყობილი საქმე
იყო, რომ იმისი გამოდევნა ბოლშევიკებმა მოითხოვეს. იქნება!
მაგრამ ოსმალებს მხოლოდ გაუხარდათ ეს გარემოება, ისე იყვნენ
მდივანზედ გულმოსულნი. მაგრამ დღეს არც ეს ამბავია ახალი. დღე-
ვანდელი ახალი ამბავი მდივანის შესახებ აი რა არის:

და აქ მე უამბე რამიშვილს, მორალურად რა აუტანელ გარე-
მოებაში დამტოვა მე მდივანმა სტამბულში თავისი წამოსვლის
შემდეგ.

რამიშვილი გაფითრდა. ამ ამბის შესახებ აქამდე არაფერი



იცოდა, თუმცა არც მოულოდნელი უნდა ყოფილიყო მისთვის რაღაც სიბრაშისაგან თავი ვეღარ შეივავა და სთქვა:

— რამდენჯერ მითქვამს, რომ განსაკუთრებით ასეთ საქმეში ყოფილიყო ფრთხილად? და ეს ერთი მაგრაც შეუკურთხა.

ეს საქმე მისთვის სხვანაირად იყო საწყები. ერთი — არსებითად, რაღაც ასეთი რამ, რამდენადაც მე წარმოდგენილი მაქსეს, თითონ მას არასოდეს არ ემართებოდა. მეორე — რომ ასეთი საიდუმლო და თანაც ასე არა სასიამოვნო მეც ვიცოდი, მეც, რომელსაც თუმცა რამიშვილთან კარგი დამოკიდებულება მქონდა, მაგრამ მაინც უცხო კაცი ვიყავ.

რამიშვილს ერთი თვისება ჰქონდა. როდესაც მის რომელიმე აზრს, ან ვანზრახვას მოწონება ირა ჰქონდა, ღროებით მას თავს ანებებდა. ეს კარგი ტაქტიკაა. მაგრამ მე არ მახსოვს მაგალითი, რომ თავის აზრშედ საბოლოოდ როდისმე უარი ეთქვას. ასე იყო ეხლაც. მას კარგად ესმოდა, რომ დღეს ვერას დიდებით ვერ დამარტინებდა, რომ მდივანი ასე საჭირო იყო ჩვენის საქმისათვის. ამიტომ ვარშავაში მდივნის შესხებ პარაფერი უთქვამს. მაგრამ მერე ვნახავთ, რომ მდივანს ისევ დაუბრუნდა.

— რა გაეწყობა. მდივანზედ ილარ ელაპარაკობ. მაგრამ თქვენ, კი უსათუოდ პარიზში უნდა გამომყერთ. სოქვა მან როცა სიბრაზემ გაუარა და სახეზეც ფითრი მოშორდა.

— სტამბული?

— სტამბულში იქიდგან წახვალთ. მთავარი ეხლა პარიზია. ყველაფერი თავზედ გვენგრევა. ირაკლი წერეთელსა და თქვენებს ერთად მოაქვთ იერიში. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს წერეთელი ინტერნაციონალიდგან გამოვიყვანოთ. თქვენ-თქვენი პარტიის გამაგრებას უნდა შეუდგეთ.

ჩემი ფრონტში ყოფნის დროს მე დაერწინდნები, რომ სიტყვა „გამაგრება“ რომელიც უორდანიას და რამიშვილს მუდამ პირზედ ეკერათ, არსებითად დანგრევას ნიშნავდა. „გამაგრება“ ნიშნავდა ისეთი რამის ჩადენას, რომელსაც პარტიაში აზრის აღკრძალვა და ორგანიზაციის დაფუძვება უნდა მოჰყოლოდა. ასე ჩაღიოლდნენ თავის პარტიაში, მით უმეტეს ასე ფიქრობდნენ ჩეენი პარტიის შესახებ.

მთელი ეს ლაპარაკი ჩემი ჩამოსვლის პირველ დღესვე მოხდა. ამის შემდეგ თითქმის სამი კვირა დაყყავით ვარშავაში და ჩვენს კავკასიურ და ქართულ საქმეებს ვარიგედბით. ჩვენი მეგობრები

ჩემი პარიზში წასვლის წინააღმდეგი იყვნენ და მოითხოვდნენ, პარიზში პირდაპირ სტამბულში დაებრუნებულიყავ. მაგრამ რაღაც მე თითონაც ფრიად მაინტერესებდა რა ხდებოდა პარიზში და მეტადრე ჩემს პარტიაში. განსაკუთრებით კი ის, თუ რამ წარმოშვა ასე ანაზღეულად ჩემი პარტიის ფრონტიდგან გამოსვლის საყითხი, მე არამც თუ გადაწყვეტილი მქონდა წავსულიყავ, არამედ პირადათაც დამეცვა ჩემი იქ წასვლის უცილებლობა.

ვარშავის ქართული კოლონიის საქმე მუდამ არეული იყო. მე ეს ვიცოდი ჯერ პარიზში, მერე ადგილობრივ გავეცანი თვით ვარშავაში და ხალხი უკმაყოფილო დამხედა ეხლაც, ნახევარ წლის შემდეგ.

სწორე ვითარების წარმოსადგენათ საჭიროა პოლონეთში მყოფი ქართული ემიგრაცია ორად გაიყოს. ერთს წარმოსადგენს ქართველი ოფიცრობა, პოლონეთის ქარში მყოფი, ქამაგირით, ესე იგი პიროვნულად და ოჯახურად ისე მოწყობილი, როგორც თვით პოლონელი ოფიცრები. ქართველი ოფიცრობა პოლონურ ქარში და პოლონურ საზოგადოებაში კარგად არის მიღებული და ბედის სამდურავი არ ეთქმის. ამას გეტიურ ყოველი ქართველი ოფიცერი პოლონეთში მყოფი. მაშასადამე მათ შორის ადგილი არა აქვს იმ უკმაყოფილებას და სიანჩილეს, რომელიც გამეფებულია საზოგადოთ ემიგრაციაში და რომელიც ლუქმა პურის შოვნის მძიმე ფიზიკური მუშაობით არის გამოწვეული.

სულ სხვაა მეორე ჯგუფი პოლონეთში მყოფ ქართული ემიგრაციისა, რომელიც „ქართული კომიტეტის“ გარშემო იყრის თავს, შესდგება მთავრობის მომხრეებისაგან და რომლის ერთად ერთი საგანი „პოლიტიკაა“.

ამ უბედურებასაც მოევლებოდა რამ, რადგან ქართველ ოფიცრობას თავისთვის შეეძლო ყოფნა, ქართული „პოლიტიკის“ ხალხს კიდევ თავისთვის. რა აქეთ, კაცმა რომ სთქვას, საერთო ოფიცრობას, რომელიც თავისი სამსახურით ყელთამდევ სავსე, და ქართულ „კომიტეტს“, უსაქმო ხალხს, რომელსაც ქართველი ოფიცრებისათვის გასაკეთებელიც კი არაფერი აქვს. მაგრამ მაგარი ის არის, რომ გენერალი ზაქარიაძე, რომელიც ბნ. უორდანის მთავრობის მიერ ამ ოფიცრობის „სულისა და ხორცის“ მცველად არის დანიშნული ამ „ქართული კომიტეტის“ ერთი მთავარი ქახრაკთავა-

ნია და „პოლიტიკაც“ ამ ოფიციერთა შორის მას შეაქვს. გენერალი ზაქარიაძე მთავრობის ყურ-მოჭრილი ყმაა.

ჩვენ რომ ემიგრაციაში ერთი კაცი გვმეთაურობდეს, თუნდაც იგივე ბ-ნი ეორდანია, როგორც საქართველოს უზენაესი წარმომადგენელი, ერთი კაცის გარშემო თავის მოყრა აღვილი იქნებოდა. ეინაიდგან დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს და საქართველოში უკვე ასე იყო, რომ პარტიათა მორიგება აღვილი საქმეა, მაგრამ ემიგრაციაში მთავრობა „გამართული“ წამოვიდა. არ არის ევროპაში ქალაქი, სადაც კი სამი ქართველი ემიგრანტი ცხოვრობს, რომ ამ სამში ერთი მაინც ან „ფინანსთა მინისტრის ამხანაგი“ არ იყოს, ან „შინაგან საქმეთა სამინისტროს დირექტორი“ ან სულ უკანასკნელი რომელიმე მაზრის ერთობის „თავმჯდომარე“. მთავრობის მახლობელ წრეს საქართველოს აი ეს გამაბადნიერებელი ხალხი შეადგენს. ასეთივე არიან მისი უმთავრესი აგენტები სხვა და სხვა მთავრობათა წინაშე. საზოგადოებრივ აზრს და პოლიტიკურ იდეალს ემიგრაციაში მყოფ მთავრობას აი ეს ყოფილი მოხელენი თუ ქმნიან.

მაგრამ სწორედ ეს ხალხია, რომ დანარჩენ ემიგრაციისაგან ასე საფუძვლიანად განირჩევა. რადგანაც დამოუკიდებელ საქართველოში თითქმის სავალდებულოდ იყო მიღებული, რომ ხელისუფლებას განსაკუთრებულად უჭირო ხალხისაგან ადგენდნენ. ამ ხალხს ერთი რამ დაემართათ: ემიგრაციაში მათ წამოჰყოთ არა დამოუკიდებელი საქართველოს რომანტიზმი, არამედ ქართული ხელისუფლების რომანტიზმი. მათი იდეალია არა დამოუკიდებელი საქართველო საზოგადოთ, არამედ ისეთი დამოუკიდებელი საქართველო, სადაც შინაგან საქმეთა მინისტრად შაგალითად ისევ რამიშვილი იქნება, ხოლო მის დირექტორად, კსოვეათ, ლომთათიდე! თუ, ეს ასე არ მოხდა მაშინ დამოუკიდებლობაც არ უნდათ. აი, ეს ხალხია უმთავრესად მთავრობას რომ ზურგს უმაგრებს, ემიგრაციას ყველგან ორადა ჰყოფს, მებრძოლად და პატრიოტიად-მარტო თავისი თავი მიაჩინა და მეორე ნახევარს მოლალატედ აცხადებს.

გენერალი ზაქარიაძე, მთელი თავისი წარსულით და აწყვი მოლვაწეობით ამ წრის კაცია. პოლონეთში მან აუტანელი მღვმარეობა შექმნა. ის რომ ქართველ თავიცრობას არ უყვარს — ახა! კაცი, რომელიც სამი წლის განმავლობაში ქართულ მთავარ შტაბს

უფროსობდა და ჩვენში რომ იტყვიან თვალის დაუხამძებლებდ
წაგო არა მარტო ომი, არამედ ჩვენი დამოუკიდებლობაც, ქართ-
ვილი ოფიციალისათვის საყვარელი უფროსი ვერ იქნება.

მაგრამ არა მარტო ქართველი ოფიციალისა, არა მარტო ქარ-
თული ემგრაციის, არამედ საერთო დღვევანდელი ჩვენი ტრადეცია
ის არის, რომ სამოქალაქო ზნეობისა და მამულიშვილური სათნო-
ების მასშავლებლად სწორედ ეს დამნაშავე და ბრალეული ხალხი
გამოდის. უბრალოებს სწორედ ეს ბრალეულები ასამართლებენ.

ეს მთავრობა და ეს მისი აგენტები ოთხი წელიშადი უვლიდნენ
და მართავდნენ ქართველ ერს, რამდენი იყო მათ მოღაწეობაში
შეცდომა, უცოდინარობა, რევენობა, უკანონობასა და პირდაპირ
დანაშაულობაზედ რომ არაფერი ვსთქვათ? განა მოსაგონარი, შე-
სასწორებელი, შესანანებელი, სარევიზიო ცოტა არის? ჩვენ უცხოვ-
რობთ ისეთ დროს როდესაც მთელი განათლებული კაცობრიობა
გასული წლების მოსაგონარით, კრიტიკით. შეფასებით, მსჯავრით
და შენანებით იოხებს გულს. ერების, მის მეთაურთა, მათ საქმეთა
ამ შეფასებაში გამოსჭივიერის სწორედ ადამიანის მარადი და უშე-
ნობი სურვილი მის მიერ ჩადენილის მოგონებისა, შესწავლისა და
შეფასებისა. ეს არის დიდი ჰკოლა სულისა, პიროვნების, ისტო-
რიისა... მაგრამ აბა თუ ამდენ ქართველ პრეზიდენტებში, მინისტ-
რებში, მინისტრის ამხანაგებში, ელჩებში, მთავრობის ყურ-მოჭ-
რილ გენერლებში, ბატონ დირექტორებში და ხელისუფლების სხვა
მაღალ და დაბალ კოკროჭინებში ერთ რომელიმეს წასცდა და
ერთხელაც არის სინაურის სიტყვა სთქვა, ერთხელაც არის სინ-
დისის ანგარიში წარუდგინა ქართველს ერს. პირიქით, ეს ხალხი
თავის წარსულს ისე მალივს, როგორც ქურდი მონაპარს, როგორც
დამნაშავე ჩადენილს და შეტყვაზედაც თითონ გადმოდის. არიქა
არავინ დაგვამწროს, ბრალდება ჩვენ თითონ წარუდგინოთო!..
მოკლედ რომ მოესწრათ ჩვენი დამოუკიდებლობა ხომ შეიტყაპუნეს,
ამ ხალხს ფიცი აქვს დადებული, რომ დანაშაულიც შეიტყაპუნოს
და მასზედ არც სხვას ათქმევინოს არმე.

ასეა პარიზში, ასეა ბექლინში, ასეა პრაგაში და ყველგან სა-
დაც კი ქართველი ემიგრაცია ცხოვრობს, მაგრამ განსაკუთრებით
ასეა ვარშავაში. იმის გამო რომ ქართველი ოფიციალი პოლონე-
თის ქარში მსახურობს, მთავრობის აგენტების უზნეობამ უკანასკ-
ნელ მიჯნას უწია. ემიგრანტს, რომელიც მაგალითად პარიზში

ცხოვრობს და რენოს ან პექოს ქარხნებში მუშაობს, ჭორითგან და კოლეგიაზე ცილისწამებით ადვილად ვერას დააკლებ. მაგრამ რა ქნას პოლონეთის ქარში მოსამსახურე ქართველმა ოფიცერმა, რომელზედაც დღიდან პოლონეთში ჩასვლისა, სისტემატურად ერთი და იგივე ცილისწამება ვრცელდება: ან თითონ არის რუსული მონარქისტული ორგანიზაციის წევრი, ან სულ უკანასკელი ცოლი ჰყავს რუსი! მაშასადამე, მშეიღობით არა მარტო პირადო პატიოსნებავ, არა-მედ სახლობისაც! თქვენ წარმოიდგინეთ ეხლა როგორი უნდა ყოფილიყო ქართველი ოფიცერის მდგომარეობა ასეთ დაუნდობელ და არა ქართულ ცილისწამების დროს, ამ ქართველ ოფიცერებს რომ მათი პოლონელი ამხანაგები და მათი სამხედრო მთავრობა კარგად არ იცნობდეს!

ამ ჩამოსვლისას ვარშავაში, მე და პოლქოვნიკი ნ. კანდელაკი. რომელსაც ჩემი ნახვა არ უნდოდა იმ მოსახრებით, რომ მე რა-მიშვილთან ვთანამშრომლობ, შევრიგდით და ჩემთვის საგანგებო სადილიც კი გამართა, რომელსაც თხუთმეტამდე ქართველი ოფიცერი დაესწრო. ბაასი და კამათი, რა თქმა უნდა იმავე ოფიცერთა საკითხის გარშემო იყო. სიტყვა სხვათა შორის პორუჩიკ ალექსან-დრე ყიფიანზედაც ჩამოვარდა და მითხრეს, რომ ყიფიანი ისევ „გადასახლებულიაო“.

პორუჩიკი ყიფიანი რა თქმა უნდა რუსული მონარქისტული ორგანიზაციის წევრი არ არის და არც ცოლიანია, რომ ცოლი რუსი ჰყავდეს. მაგრამ როგორც განსვენებულ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სკოლის ამხანაგი და ეხლაც მისი თანამოაზრე, გენერალ ზაქარიაძის მოთხოვნილებით ვარშავიდგან ლუბლინში იქმნა გადაყვანილი.

მე გადავსწყვიტე მესარგებლნა იმ გარემოებით რომ რამიშვილს ჩემი თავი დღეს ძერიად ულირდა და ჩემის მხრით ამის საკომპლი-საციოთ აფიცერთა საკითხის და კერძოდ პორ. ყიფიანის საქმე პომევეარებინა.

რამიშვილი სიამოვნებით დამთანხმდა.

— მე ყველაფერზედ მხათა ვარ. სთქვით თქვენი გეგმა!

— ჩემი გეგმა ის არის, რომ გენერალი ზახარიაძე სულ ჩამო-ვაშოროთ ქართველ ოფიცერთა მზრუნველობის საქმეს. საჭიროა სხვა კაცის დანიშვნა.

— ვინ არის ეს სხვა კაცი?



— მე ვიცი მხოლოდ ზოგიერთი ოფიცირის აზრი და არა შეველასი. მე მგონია ასეთად პოლკოვნიკი თავადი ნიკოლოზ ვაჩნაძე გამოდგებოდა.

— პოლკოვნიკ ვაჩნაძის საწინააღმდეგო მე არაფერი მაქს. მაგრამ თქვენ არ იცით, რომ საქმე უფრო რთულია ვიდრე მარტო ერთი გენერალ ზაქარიაძის ამ საქმიდგან ჩამოშორება. არ ვარგა საღაყაიაც.

— სალაყაია? — გავიოცე მე.

— სალაყაიაც! ისიც უნდა გამოვსცეალოთ. სუსტია. დონდლეა. არავის მოსწონს.

— რა თქმა უნდა ეგ საკითხი პარიზში გადასწყდება?

— აღბათ. ოფიცერთა საკითხიც, ერთის სიტყვთ, მე დიდი მოსურნე ვარ რომ ოფიცერთა შორის მშეიდობა ჩამოვარდეს.

— მაშ ყიფიანის საქმეც მოგვარდება?

ჩაურთე მე.

— ყიფიანის?

— დიახ. ყიფიანი გადასახლებულია. მე მიმაჩნია აღმაშტოთებელ და ყოველივე ეტიკას მოქლებულად, როდესაც ჩვენი მთავრობა ისეთ ქართველზედაც იყრცელებს თავის საქმიებს, რომელიც სხვა მთავრობის ხელქვეთ მსახურებს, ყიფიანის გადაყვანა, რაიცა, არც თითონ ყიფიანს უთხოვნია, არც მის სამხედრო უფროსობას მოსვლია აზრად — სასჯელია! მე გეკითხები ეხლა, რას უნდა ფიქრობდეს პოლონეთის ჭარის უფროსობა ჩვენზედ, როდესაც ვასჯევინებთ ისეთ ოფიცერს, რომელსაც პოლონეთის წინაშე არავითარი დანაშაული არ მიუძღვის და პირიქით წარჩინებული ოფიცერია? მე ეს სამარცხვინოდ მიმაჩნია.

რამიშვილმა არაფერი მიპასუხა. ვან იცოდა რომ მეს სინიდისის მიხედვით უჭერდი მხარს და მწარე სიმართლე ბევრჯელ მითქვამს პირში.

მე გადავეცი ოფიცერობას, რომ მათი საკითხი პარიზში რადიკალურად იქნებოდა გადაჭრილი და ჩემი პარიზში წასვლის დღეც მოვიდა. მაგრამ პარიზში რამიშვილზედ ერთი დღით გვიან მომიხდა წასვლა. ჩემს გასაცილებლად თითქმის ვარშავაში მყოფი ყველა ქართველი ოფიცერი მოვიდა. ჩემი ვაგონის კორიდორი ჩვენ ქართველებს გვეკირა. ვლაპარაკობდით ქართულად. იმ პოლონელებისათვის, რომლებიც ჩემთან ერთად ამ ვაგონში ისხდნენ და

რომლებმაც შესაძლებელია არც კი იცოდნენ რომ ასეთ უცხო ენაზედ მოლაპარაკე პოლონეთის ოფიცერი მარტო ქართველი, პოლონეთის გარში, დღეს სამოცამდე მაინც იყო. — ასეთი უჩვეულო სცენა, რა თქმა უნდა ზედმეტად სასეირო იქნებოდა.

მე კი... ამ ოფიცერების შემაცექერელი იმ გამძლე ქართულ მხარეში ვფიქრობდი, რომელსაც ვინ იცის ვისი მუნიციპი არ უტარებია, მოყოლებული ინდოეთის დედაქალაქ შახანაბადიდგან, საღაც თექვსმეტი წლის პატარა კახი სამხედრო სასწაულებს ახდენდა და გათავებული „ეშმაკის ხიდით“ ალპებში. საღაც განთქმული სუვოროვი პეტრე ბაგრატიონს ეუბნებოდა:

— წადი, წადი კნიაზ პეტრე, თავი კუდს არ უცდისო.

* * *

ემიგრაციაში და მეტადრე ისეთ ლარიბში, როგორიც ქართული ემიგრაცია არის, ყველაზედ თავსატეხი საყითხი ფულის საყითხია. როგორ „აკეთო“ პოლიტიკა რომ ლუქმა პურიცა სჭამო — ყველა ემიგრაციის ნამდვილი ისტორია ეს არის!

ჩვენმა მთავრობამ ეს საყითხი მეტად ბრძნულად გადასწყვიტა. იღო და თავის პარტიის ყველა ცოტად თუ მეტად მნიშვნელოვანი პირი მთავრობის „მუშაკებათ“ გამოაცხადა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამდენი უსაქმო ხალხის „პური არსობისათვის“ მთავრობას უნდა ეზრუნა. მაგრამ ეს ბენიერება ჩვენი პარტიისათვის მიუწდომელი შეიქმნა. ჩვენ ვერას დიდებით ვერ მოვახერხეთ რომ საერთო მუშაობისათვის აუცილებელი 6—8 ეროვნულ-დემოკრატი მთავრობას თავის პენიაზედ „აცყვანა“. მთელს პარტიაში სამი ეროვნულ-დემოკრატი თუ დებულობდა მთავრობის დახმარებას. ორი წარმომადგენელი საერთო ფრონტში და ერთიც ექვ. თაყაიშვილი, როგორც დამფუძნებელი ქრების თავმჯდომარის ამხანაგი. მთელი ჩვენი „საერთო“ მუშაობის დანარჩენი აპარატი მენშევიკების ხელში იყო. მთავრობის ასეთს დესპოტიზმს სხვა არა ხელსაყრელი შედეგიც ჰქონდა. გამოდიოდა რომ მთელი ჩვენი საქმე უცხოეთში ამ მენშევიკური ხელით კეთდებოდა. მაშასადამე ყველას უნდა ეფიქრა, შინაურსაც და გარეულსაც და მეტადრე გარეულს, რომ საქართველოში არც პარტია არსებობდა მენშევიკურის

გარდა, არც კაცი — ამ მაბეჭარი ხალხის თვინიერი. ჩვენ პარტიას ეს უსიცებდა გულს...

მთავრობა ამას არავითარ ანგარიშს არ უწევდა. ჩემი ფული, ჩემი პარტია, ჩემი კაცი — აი მისი დევიზი! იგი აქაც ისევე ზევიდგან დაძყურებდა ემიგრაციის არა სოციალისტურ ნაწილს და სახოგადოთ ქართული პოლიტიკის შინაარსის არა სოციალისტურ „მხარეს“ როგორც საქართველოში. ეს დიდი რევენობა იყო, ვინაიდგან მთავრობა საქართველოთვან დამარცხებული წამოვიდა. მისი ამბიციები აქ მაინც უნდა შენელებულიყო. მაგრამ მთავრობას ისე ეჭირა თავი, თითქოს წაგებული კი არ მოსულიყო, აქ, იმამედ რათა ახლა ევროპა დაეპყრო საქართველოსათვის.

მიუხედავათ ამისა, სტამბულში გამგზავრების წინ, ერთხელ კიდევ ველაპარაკე რამიშვილს, რომ რაღაც საერთო ფრონტი არსებობდა და ეროვნული დემოკრატიაც შივ იყო, საქმის ინტერესი და ფრონტში სიმშვიდე მოითხოვდა, რომ ამ ფრონტში ცოტა მეტ ეროვნულ-დემოკრატე ემუშავა.

მე რომ პარტიში დაებრუნდი მდგომარეობა უკეთესი არ იყო და ყველაფერში ემჩნეოდა რომ უფრო უნდა გაუარესებულიყო.

ჩემი აქ არ ყოფის დროს საქმეთა საერთო ვითარებას პარტიის წინაშე ორი საკითხი დაესვა: პარტიული გაერთიანება და ფრონტიდგან გამოსვლა, თუ აქ მუშაობის წესრიგი შეცვლილი არ იქნებოდა.

პირველი საკითხი შინა-პარტიული იყო, ხრონიული და კედია-ასათიანის ჯგუფთან გაერთიანებას ეხებოდა. ამ საკითხმა ბევრი იარა, ბევრი სისხლი გვიფუჭა, მაგრამ მარწმუნებდნენ, რომ ეხლა კი საბოლოოდ უნდა გადატერილიყო.

სულ სხვა იყო მეორე საკითხი, თუ პირველი პარტიის გაერთიანებას გულისხმობდა, მეორე ფორნტის დაშლას მოასწავებდა. ეს ორი დებულება რომ ერთი მეორისაგან ყოფილიყო წარმოშობილი, გამოტეხილი უნდა ითქვას, რომ პარტიის გაერთიანების გულისათვის საერთო ფრონტის დაშლის უფლება პარტიის არა ჰქონდა. მაგრამ ისინი სხვა და სხვა საკითხები იყვნენ, სხვა და სხვა დროს წამოყენებული, სხვა და სხვა მიზნებით გამსჭვალული და მე მგონია ერთი მეორეზედ დამოკიდებული არ იყო. ვამბობ „მგონია“ იმიტომ რომ, როცა ეს ორი საკითხი ერთმანეთს გვერდში ამოუდგა, მე პარტიში არ ვყოფილვარ. როდესაც 1925 წელს საბო-



լողով գամոնրկվա, հռմ սայրտո ցրոնքու Շեղցենա վոն վըզէ-
հացըրո շըցաս, շորդանօամ մօմօնցու դա հիցեն Շորիս ճածլոցը-
ծու ասետ լապահոյ ցաօթա:

— աելա յո Շեցցուծլուն յրտմանցու մոցուլուրու, հռմ սայր-
տո ցրոնքու Շեցցցեծա. ճաօնիցու թան. — პորածատ մը ճուլո յմացո-
ցոլո յան, հռմ մտացրոնծամու սիտու տէցեց Շեմունքուսարտ. տէցեն
ուստու սայմու մոնանիու ոյացու դա ծելՇեցույքնան Շերուցենիս
ցնաց ուսց սամշամուտա ցայցու համովուլու, հռմ հիցեն յրտմանցու-
սացան ճամորնեծա Շեցուծլուրու. թացրամ ամաստանցու մույլու սո-
մարտլուց շնճա ցոտերատ. տէցեն Շեմունքուսարտ ուստու մտացրոնծամու,
հռմելմու պայլու մուսու յուղուլու Շեցրու յո առ օլոյծ մոնանիուլունուն
տէցեն յո մտացրոնծու Շեցրու մայլատաց առ յուղուլեարտ. հռցորցա
երդացու, յս սյուլ ածալու սայմու հիցեն პորտիցամու դա առ ճացումա-
լուցու, հռմ հիցեն პարտու ցածայրուտ ամուսու վոնաալմուցու. մոցեց-
ջացատ ամուսու, հիցեն մասնց մոցուցարտ ամանցը դա տէցեն մտացրո-
նամու Շեմունքու սամունաց առ մոցուսինու. թացրամ սամունի ոյնենա դա
սայմու ճուլուտ մազնեծլուց տպ յրտելու Շեմունքու, յրտ մշցենու-
յի ճուլու ուսց ցանցալու մտացրոնծունցան. յս ոյնենա մտացրոնծուն
յրտելու դա սամշամուտ ճանչլորյու. տէցեն շնճա ցահանքու մոցու-
սու, հռմ ասետ համես ագցուլու առ յշնենա:

հռցորցա երդացու յուրդանօասացան ճասմուլու յութեա առց շնճա-
լու ոյու, առց յագցուլու, թացրամ յուս շնճա մոցու յս ցահանքունա?
մը տպ պարտուս? ասետ սայուտնու ցածասայրուլուց պարտուսացան արա-
ցուտարու ոնստրույկու. առա մյոնճա դա պասունու մեռլուն հիմտացալ
ցացուո:

— սայրտո ցրոնքու սրտարուսու ուստուա, հռմ մտացրոնծամու մը
պարտու թցնենու. շնճա ճամետանեմուտ, հռմ յուսաց ցացնեցու յուց-
լուցա յէցես, Շեցուծլուրու յույան ցանցուցու յուցլուցա առ վէռնցը. յուց-
լուցա յէցես հռմ մոեցու, հռմ մյորտ մշցենոյի ճուլու յույան ճամինարու,
յս ցարեմոցեա ցրոնքունցան ցասցու մասնց առ ոյնենա. հատցան պար-
տուս սեցուս ցամոցնեցնա Շեցուծլուն հիմտ մացուրիալ.

— հիցենու Շեցեցուլուցու առց յց առու Շեսամլուրու. հիցեն
առա ցահան նորմալուրո մտացրոնծ, հռմ Շեսամլուրու ոյցու մուսու
սայրտո ան նախուլոնծուցու յրունիսենա. պարտուս ցահանքու շնճա
մոցուցու, հռմ ամ յունիսենա պալուրոյաս առ ճաացընա:

— մը մշմուծլուն մեռլուն ուս մոցածեցնու, հռմ ամ յամատ,

როცა ფრონტის სტატუსი ახალი დაწერილია, შეუძლებელია პირის გადასაცემი კრიზისების პოლიტიკაზე და ფიქრობდეს. რაც შემეხება პირადათ მე, მე ძალიან კარგად მესმის რასაცა ბრძანებთ და ამისთანა რამეს ჩემთვად ხელს არ შეუწყობ.

დანარჩენი ჩეენი ლაპარაკი აზრების ვარიაცია იყო. შეიძლება ითქვას რომ ჩვენ შორის დადებული ხელშეკრულების „საიდუმლო“ ფუნქციები ეს იყო.

მე არ ვიცი არსებობს თუ არა ქვეყნად ისეთი ხელშეკრულება, რომელიც არ დარღვეულიყოს. ერთი ასეთი ხელშეკრულების ამბავი ილია ჰერეთის მემკვიდრეობაც დაგვიხატა, ა როდესაც ლუარსაბისა და დარჩენის მშითვის პირობა ზედ ქორწილის დღეს და შიგ ეყლეს იქმნა ჩაშლილი. ჩვენმა ხელშეკრულებამ ცოტა ამაზედ მეტი გასტანა. ორი წლის შემდეგ მე ვიყვავი მთავრობიდგან გამოწვეული და ჩემს მაგივრად რევაზ გაბაშვილი გაიგზავნა. ოთხი წლის შემდეგ მთელი პარტია გამოიყოდა, თუ მთავრობა მემორანდუმის მთავარ მუხლებს არ გაიზიარებდა.

როგორი იყო ეს მემორანდუმი?

ჩემის აზრით, ყველაზედ კარგი მემორანდუმი ის არის, რომელიც ჭერ არ დაწერილია. მაგრამ ადამიანები მემორანდუმებს მაინცა სწერენ და ჩვენმა პარტიამაც დასწერა. გამოტეხილი უნდა ითქვას, რომ ჩვენი განცხადება ცუდათ იყო შედგენილი. მაგრამ ნათქვამია:

*reci quand potui.*¹

ამ მემორანდუმზე, მენევეივებმა შემდეგში სასაცილოდ აგვიგდეს გიორგი გვაზავს ბეღნიერი თანალიმილებით, რა თქმა უნდა, და იმ ლაზათებით მან რომ იცის. მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ თითონ მენევეივებმა წარადგინეს მეორე ინტერნაციონალში ისეთი მემორანდუმი. რომ იქ, მარნის პირად, სადაც იმ კამად ჩვენა ვსცხოვრობდით, მეტის სიცილისაგან ფერდები ჩაგვწყდა.

მე განუხადე ჩემს მეგობრებს რომ საერთო ფრონტიდგან გამოსკვლა ფრიად ანაზღეულათ იყო განხრახული. ასეთი გამოსკვლის მთავარი სისუსტე ის იყო, რომ მას არაფერი ამბავი, გართულება ან სახელდახელო მიხეზი წინ არ უსწრებდა. მემორანდუმში ლაბარაკი იყო ისეთ საგნებზედ, რომელიც ახალს არაფერს წარმოადგენდა და და მთავრობასთან ჩვენს ხრონიკულ დავას შეეხებოდა. ეს არა

¹ გავეთე, რაც შეეძლია (იტალიური ანდაზი).

კმაროდა, რომ ან აქ ემიგრაციაში, ან იქ საქართველოში, ჩვენს გამოსვლას სათანადო შთაბეჭდილება შეექმნა.

რას იხავ! ცხოვრებაში ისეა მიღებული რომ შფოთისა და ომის მუდმივ მიზეზების გარდა სულ პატარი „Casus belli“¹-იც არსებობს რომელიც ომის ბოლოში თითქმის აღარავის ახსოვს, მაგრამ ურომლისოფ არც ერთი ომი არ იწყება, აი ეს აუცილებელი Casus belli აქლდა ჩვენს განხრახვას.

მე ურჩიე ჩემს მეგობრებს ცოტა კიდევ შეგვეცადა და მართლაც! ჩვენ რომ ჩვენი ფრონტიდგან გამოსვლა თუნდაც იმ დროისათვის შეგვეფარდებინა, როცა ქართველმა მენშევიკებმა მეორე ინტერნაციონალში თავისი ქებული მემორანდუმი წარადგინეს, ჩვენ ერთი ორად წინ ვიქნებოდით.

ასე მესმოდა ჩვენი საქმე, როდესაც კომიტეტში შემდეგი საკოთხი დამისვეს:

— როგორ მოიქცევი შენ, მიუხედავად შენის მსჯელობისა, თუ პარტიამ ფრონტიდგან გამოსვლა დაადგინა?

— თუ მიუხედავათ ასეთის საბუთებისა პარტია საერთო ფრონტითვან მაინც გამოვა, მე პარტიასთან ვიქნები!

ვუპასუხე მე.

— ესე იგი?

— მე გამოვალ ფრონტიდგან!

საკითხის ამნაირად დაყენებას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ჩვენს კომიტეტში უკვე იყვნენ ისეთი წევრები, რომლებიც ფრონტიდგან გამოსვლის აზრს არ იზიარებდნენ და ფრონტში დარჩენდნენ, პარტიის რომ ფრონტიდგან გამოსვლაც დაედგინა, კომიტეტს წინასწარ სურდა გაეგო, მე როგორლა მოვიქცეოდი? სხვანაირათ რომ თქვეას, ამ საკითხში პარტია მეც უნდობლათ მიუქეროდა.

ამ ფრონტის მომხრე წევრებს ეკუთვნოდენ სხვათა შორის გიორგი გვაზავაც, რომელიც რათა თავისი ასეთი პოზიცია უფრო შემოემტკიცებინა და კომიტეტის დადგენილებათაგანაც თავისუფალი ყოფილიყო — სულ გასულიყო კომიტეტიდგან.

მაგრამ გიორგი გვაზავას საკითხი გაცილებით უფრო რთული იყო და უფრო მეტ განშიარებას მოითხოვს.

¹ ლათინური გმოთქმა.

გვაზავა პარტიაში არ უყვარდათ, მიუხედავთ იმისა ფრონტშის გენერალების იქნებოდა პარტია თუ ფრონტის გარეშე. ამიტომ პარტიაში მუდამ იყო ისეთი შეხედულობა რომ მის ნაცვლად ფრონტში სხვა გაეგზავნათ. ვიდრე მე პარიზში ვიყავი, ყოველთვის კარწმუნებდი ჩემს მეგობრებს ასეთი ზომისათვის არ მიემართნათ. ეს აისწება ჩემი ერთგვარი კონსერვატორული ბუნებით და არა იმითი, რა თქმა უნდა რომ ფრონტში გვაზავას თავი ჯეროვანად ეჭირა. ჩემს ცდის ის შედეგი მოჰქონდა, რომ გვაზავა ეროვნულ ცენტრში რჩებოდა, თუმცა მე არ მახსოვს რომ გვაზავას ერთხელაც არის ეს ეგრძნოს და ჩვენს შინა-პარტიულ შეხლა-შემოხლაში სამაგიერო მაღლით ეზღოს. მაგრამ ჩემი სტამბულში ყოფნის დროს, როდესაც გვაზავას მოსარჩეულ, აღარა ჰყიუდა, იყი გადაყენეს და ეს ამბავი ოფიციალურად ცენტრსაც აცნობეს.

როგორ მოიქცა გვაზავა? დაემორჩილა კომიტეტის დადგენილებას? გვაზავა ფრიად ჰქვიანურად გაისარჩა. კომიტეტიდგან გავიდა და ფრონტში დარჩა. გვაზავამ ამ რიგად პარტიის მანდატი შეიტყობუნა. მაგრამ არადგანაც მანდატის ასეთი შეტყობუნება მთავრობისა და თვით ცენტრის მოუწონებლად შეუძლებელი იყო, სხვა ფრიად საყურადღებო რამეც გამოაშვარავდა. გამოირკვა რომ ეროვნული ფრონტის სტატუსი, რომელიც ფორმალურადაც და არსებითაც პარტიული მანდატების საფუძველზე იყო აგებული. ყველაზე აღრე თითონ მთავრობამ დაარღვია. მან იყვანა კაცი, რომელიც პარტიას აღარ წარმოადგენდა.

ჩვენს წრეებში ეს ურიგო მძავი, სრულის საფუძვლით, ისე იქმნა გაეცემული, როგორც Caup d'Etat¹ მემორანდუმის საპასუხოთ მთავრობის მიერ ჩვენს პარტიაში მოწყობილი.

ეროვნული ფრონტის დაგორება აქედან დაიწყო. პრინციპი შელახულ იქმნა. სამაგიეროდ ძალაში „კომბინაციები“ შევიდნენ. მცვევითა ვნახავთ, რომ ამ კომბინაციით ჩემი შემოვლაც უნდოდათ.

ჩემი ჩამოსელის მეორე თუ მესამე დღეს ლეგაციაში შევიარე. ეს იყო ერთგვარი „დამოწმება“ იმისი, რომ მე პარიზში ვიყავი. ხუთი წუთის შემდეგ, ზემო სართულითგან, არ ვიცი ჩენენკელის კაბინეტიდგან, თუ კანდიდატის ოთახითგან ხალხმა დაიწყო ჩამოსვლა. ეტყობოდა, რომ მთავრობის ან მენშევიკური ბიუროს კრებას

¹ სახელმწიფო გადატრალება (ფრანგ.).



ჰერონდა ადგილი. ყველას ვიცნობ და ვესალმები. ჩამოდის შემცვათა შორის ევგენი გეგეპკორი, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა ჩემს სალამზედ გეგეპკორმა მარტო ხელი გამომიწოდა და ჩუ-შად ჩამიარა. არც ეს ჩევენებური „როგორი ხარ?“, არც ეს ისეთ შემთხვევაში აუცილებელი „როდის ჩამოხვედი?.. ეს მით უფრო საოცარი იყო ჩემთვის, რომ მე და გეგეპკორი მეგობრულად ვიყა-ვით. შემიძლიან დავიტრაბახო კიდეც, რომ კომპლიმენტიც ბევრი გამიგონია მისგან...“

მაგრამ რა თქმა უნდა ეს კომპლიმენტები უფრო ჩემს წერი-ლებს ეხებოდა. ვიდრე ჩემს პოლიტიკურ პრესტიჯს. ჩემს პოლი-ტიკურ უნარზედ გეგეპკორი დიდის შეხედულებისა არ უნდა ყო-ფილიყო და ერთხელ კიდევაც მითხრა: შალვა, პოლიტიკა შენი საქმე არ არის. თუ დავბრუნდით შენ უნდა კულტურულ მოღვა-წეობას შეუდგე. მაგალითად თეატრის დირექტორობას...

მართლაც! ვის შეუძლია დაიქადოს რომ კარგი პოლიტიკოსია! მაგრამ ერთი რამ მეც ვიცი. ორაგული რომ გემრიელი იყოს, ქვაბ-ში უნდა ჩასდო, რადგან წყალში ყველა თევზი ერთნაირად უგე-მურია. ჩვენ ირში გეგეპკორი უკვე იდო ქვაბში, მე — ჯერ არა! ამას იმიტომ ვამბობ, რომ სამინისტრო უნარიანობაზედ ლაპარაკი ამ რიგად ჩემი უფრო უპრიანი იყო. განა მის წარსულ მინისტრო-ბაზედ უფრო ადვილი არ იყო ლაპარაკი, ვიდრე ჩემს მომავალ დირექტორობაზედ? მაგრამ მე ეს არცა მწყენია, არც მიპასუხნია.

მაგრამ რავი სიტყვამ მოიტანა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩემ მა-გივრად და მგონია ბევრის მაგივრადაც გეგეპკორს დავით სხირტ-ლაძემ გასცა პასუხი.

ერთხელ Café de Barrg-ში სადაც ყავა მხოლოდ ოდნავთ არის გემრიელი და ისიც იმიტომ რომ ჭიქა სამი ფრანგი ლირს, ჩვე-ულებრივ მუსაიფის რიგში და კარგი გუნების დროს, გეგეპკორმა უთხრა სხირტლაძეს:

— აფსუს, რომ გამოცდილება გვიან მოდის! ისეთ ძალასა ვერძნობ ამ უამად ჩემში, რომ ევროპის არც ერთი სახელმწიფოს მართვა არ გამიძნელდებოდა!

— დიახ! — მიუგო მუდამ დინჯმა და მუდამ აუჩქარებელმა სხირტლაძემ — სამი დღის წინეთ იოსებ გობექიაც მაგას მეუბნე-ბოდა!..

და აი, ეს მუდამ მართლა, სიმპატიური ევგენი გეგეპკორი ასე

დამხვდა! რაშიგან ვართ? და ეს ჩემთვის მოულოდნელი ამბავი, იქვე, კ. კანდელაკის ოთახში, დავით შარაშიძემ განმიარტა, აგრეთვე ჩემმა მეგობარმა, რომელთანაც ერთი ვიქა ღვინის დალევა, რუსთაველზედ ბასი, ძელი ტფილისისა და საქართველოს მოგონება ჩემთვის მუდამ ნამდვილ სიამოვნებას წარმოადგენდა.

ის რაც გიგაჭირმა პანტომიმით მაგრძნობინა, დავით შარაშიძემ სიტყვებით მომითვალა.

— რამიშვილს იმიტომ უჭერ მხარს, რომ ფულს ის გაძლევს!

მითხრა შარაშიძემ დაუნდობლად და დაუზოგველათ. მე შურდულივით გამოვარდი ლეგაციითვან. იმ დღეს თავად იური ფალავასთან ვიყავი და ეს ამბავი უამბე. განა სირცხვილი არ უნდა ყოფილიყო ჩემთვის, რომ თვით მენშევიებიც კი ასე ფიქრობდნენ ჩემს შესახებ?

რამიშვილი მაშინ ისევ ლევილში სცხოვრობდა და ჩვენც Porte d'Orleans¹ დაუნიშნეთ ჩვენი პარმნები. რამიშვილის წინაშე, მართლა, განსაკუთრებულ მდგომარეობაში ჩავვარდი. გახსოვთ ილია ჭავჭავაძის ლექსი:

„როს საშეელად მოწვეულმა
წაგვიჭირა თოკი ყელში!..“

კაცმა საშეელად წამომიყვანა და საქმე კი როგორ შეტრიალდა! შაგრამ პირადათ მე აქ არაფერ შუაში ვიყავი და ყველაფერი მზა დამხვდა, ამიტომ მე სრულებით მოურიდებლად აუხსენი, როგორც იყო საქმე. მე უთხარი, რომ პარტია მართლა გამოვიდოდა ფრონტიდან, თუ მორიგება შეუძლებელი გახდებოდა. უთხარი ისიც, რომ, მე შემთხვევაში ვერც მე დავანებებდი თავს პარტიას, თუმცა ფრონტიდან გამოსვლის აზრს არ ვიზიარებდი.

— თქვენც?

მკითხა მან აშეარად შეწუხებულმა.

— დიაბ! შეუძლებელია, რომ ჩვენ პარტია ასე ვაქცეცმაცოთ. გვაზავასთან მე სხვა ეროვნულ-დემოკრატიას ვერ შევქმნი. კაცმა რომა სთქვას, მას პარტია არც უნდა. გვაზავა ისეთი კაცია, საქმე რომ გაუჭირდება, იძახის მე პარტია-პურტია არა მჩწამს, მე დამ-

¹ ორლეანის კართან (იტალ.).

ფუძნებელ კრების წევრი ვარ. საქართველოს კანონიერი წარმომადგენელი მთავრობა და დამფუძნებელი კრებაა და არა პარტიებით. მოვწონთ თქვენ ეს აზრი?

— გვაზავა ერთი არ არის!

— მე არ ვიცი საბოლოოთ ვინ იქნება მასთან. ვიცი რომ ჯერ თაყაიშვილია. გვაზავა ისე აყენებს საყითხს, რომ თაყაიშილი, რა თქმა უნდა მასთან იქნება. მაგრამ რაც უნდა იყოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი და მისი წევრი ან წევრები ერთია, პარტია კიღვე სხვაა. მე ვიცი, რომ რაკი მთავრობას პარტიიებთან არაფერი გაუდის, დამფუძნებელ კრების ემანაცია სურს შექმნას ემიგრაციაში. იქნება ეს თქვენი პარტიისათვის ხელსაყრელია, რადგან დამფუძნებელი კრების წევრობა და მენშევიკობა ჩვენში თითქმის სინონიმებია. მაგრამ, შეუძლებელია რომ ეს ჩვენ პარტიისაც მოსწონდეს. ჩვენს პარტიის დამფუძნებელ კრებაში ცოტა წარმომადგენელი ჰყავდა და ფრაქტია როგორც ფრაქტია პარტიაში დიდ როლს ორასოდეს არა თამაშობდა. ჩვენში მნიშვნელობა მხოლოდ მთავარ კომიტეტს აქვს. მოკლედ, მე მინდა ვსტკვა, რომ ეროვნულ-დემოკრატია და სოციალ-დემოკრატია ერთი და იგივე არ არის. დასასრულ, რადგან ამ კომბინაციით მთავრობას მხოლოდ სასურველი პირების შემოკრება სურს თავის გარშემო, რა კონსტიტუციური საშუალებით შეგიძლიანთ თაყაიშვილი, გვაზავა და მე დაგვაშორეთ კედის, ასათიანს და ქარუმიძეს, რომელიც ივრეთვე დამფუძნებელი კრების წევრები არიან და რომელთანაც თქვენ მუშაობას უფრთხით?

— მაშ რა ვქნათ? შექმენით ისეთი ეროვნულ-დემოკრატიული კომიტეტი, რომელსაც მთავრობასთან მუშაობა შეეძლოს!

სოჭვა რამიშვილმა.

ასეთი მსჯელობა საესებით ეთეისებოდა მის მუდმივ მეთოდებს და მე მგონია ასე ფიქრობდა არა მარტო ჩვენი პარტიის შესახებ, არამედ საქუთარი პარტიისაც.

— მაგას მე ხელს არ მოვყიდებ! — უპასუხე მე.

— მაშ გვაზავა ინახულეთ.

— გვაზავამ უკვე დამიბარა, მაგრამ მე არა ვნახავ გვაზავას, ვიღრე არ განაცხადებს, რომ კომიტეტში ბრუნდება. მე რომ 1924 წლის ბოლოში ჩამოვედი, გვაზავას საცეკვაო დარბაზი პქონდა და მიღინეტებს ამხიარულებდა. მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს



დღეებში სილაჩრე გასწია, მე მაინც ჩვენს მუშაობაში ჩავრიც. დღეს კი ისე გვექცევა — თხა რომ გასუქდა და მეტეს შეჭმა დაუპირა. ჩვენ შესაძლებელია მართლა დავშორდეთ ერთმანეთს. ისიც ცხადია რომ ჩვენი თავი მით არა ნაკლებ საჭირო იქნება თქვენთვის. მაგრამ ეს არა ნიშნავს რომ ეროვნულ-დემოკრატიას, მის შეუძლალავ დროშას და მის მამაც ხალხს ბ-ნი გვაზავები ამჯობინოთ. უკეთესია დავშორდეთ ერთმანეთს, თუ მორიგება ამ უამაღ შეუძლებელია. და მერე ნამდვილად და პატიოსნათ შევრიგდეთ.

ახლა რამიშვილის ჭერი დადგა.

— თქვენ პარტიისთან საქმის დაჭერა ძნელია — დაიწყო მან. თქვენ არა გყავთ ნამდვილი ლიდერი და მუდამ დაშლილები ხართ. ვის რა უნდა — ვერ გაიგებ, ვინ ამბობს! გვაზავა არ ვარგა. ესე იგი გვაზავა მხოლოდ ცოტა რამეში ვარგა და არა მთავარში. განა ჩვენ კი არ გვესმის, რომ როცა უცხო პრატიის წარმომადგენელი ყველაფერში ასე გვეთანხმება, ეს მხოლოდ გვამცირებს ოპოზიციის თვალში! ჩემის აზრით ჩვენი საქმე მაშინ გაფუჭდა, როცა თქვენ გაგიყვანეს მთავრობიდგან. მე რომ მაშინ აქ კვოფილიყავი ეს არას გზით არ მოხდებოდა. მაგრამ თქვენ რევაზ გაბაშვილმა შეგვეალათ და მის სახით მეორე უკიდურესობასთანა გვაქვს საქმე. მისი კრიტიკა კრიტიკა აღარ არის. ის გვცემს. ყოველ ჩვენ ნათევამს უბის წიგნაცში იწერს — ვის გაუგონია. ის გვიქმნის ისეთ ატმოსფეროს, როცა გულისდებიან ისეთი ადამიანებიც, როგორიც აყავი ჩენებელია. წარმოგიდგენიათ თქვენ — აყავი ჩენებელი! ეს არარაობა რომელიც მანამდე კრინტს ვერა სძრავდა. ამითი სარგებლობენ გეგმეორი, გობერია, ფირცხალავაც კი, უმრავლესობა იქითკენ არის და მთავრობაში ისეთი ამბავია, რომ ზედიზედ ორი საკითხიც ვერ გადაგვიწყვეტია. ასეთი რამ აუტანელია. რევაზ გაბაშვილს ჩვენთან მუშაობა არ შეუძლიან. აი ახლაც, მან წარმოგვიდგინა მემორანდუმი, სადაც მთელი ჩვენი საიდუმლო ფარდა ახდილია. ეს შეუძლებელია! ეს შეუძლებელია! ჩვენ მას არასოდეს არ განვიხილავთ.

— მაგრამ ეგვც ხომ შეუძლებელია რომ მემორანდუმი არ განიხილოთ...

— რამდენი ხანია ირაკლი წერეთელი სცდილობს ზოგი ჩვენი საიდუმლო გაიგოს და ვერ მოახერხა. გაბაშვილმა ერთის კალმის მოსმით სთქვა ყვილაფერი. ეს დოკუმენტი უნდა დაიხიოს!



— ვინ დაიჯერებს მერე, რომ დოკუმენტი დახიცეთ იმიტომშეიძლება
გაბაშვილმა თქვენი საიდუმლო გასთვევა და არა იმიტომ რომ გაბა-
შვილმა ამ დოკუმენტში სხვა ბევრი მართალიცა სთვევა. ან რას
წარმოადგენს ის საიდუმლო, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ.
ბოლოს და ბოლოს გაბაშვილმა ეს საიდუმლო თქვენ ვითხრათ
მთავრობას და არა სხვას. მემორიანდუმი უნდა განიხილოთ. ეს
ერთად ერთი საშუალებაა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც
დაშოშმინდეს და მთავრობაშიც სიწყნარე და სამუშაო ატმოსფერო
შეიქმნას.

შართველი ეპიგრაფიული ფირილები სარა მერაბიშვილთან

„ლიტერატურის მატიანის“ რედაქციის გთავაზობთ ახალ ციკლს „ქართული ემიგრაციის ცხოვრებიდან“...

მასალები, რომლებზეც წლების განმავლობაში ძნელად მიგვიწვდებოდა ხელი, საინტერესო იქნება არა მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით, არამედ ეფიქრობთ, მხატვრული ღირებულებითაც. ეს ეპისტოლარული მემკვიდრეობა, დღიურის ხასიათის ჩინაშერები, თუ ფრაგმენტული მოგონებანი ახალი მხრით დაგვანახებს ქართველ ემიგრანტთა ცხოვრებასა და შემოქმედებას. ცნობილია, რომ ამ მასალის დიდი ნაწილი დროთა განმავლობაში უყურადღებობის გამო დაითანადა.

ამჟამად შემოგთავაზებთ აკაკი და თამარ პაპავების, მზია პაპავე ჭეიშვილის, ვიქტორ ნოზაძის, ლიდა ნოზაძის, მიხეილ კვალიაშვილის, ავთანდილ მერაბიშვილისა და შიტო ანანიაშვილის წერილებს მიწერილს თბილისელი ქალბატონის, ექიმ — სარა მერაბიშვილისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ ეს კერძო ხასიათის წერილებია და დაწერილია 1959—64 წლებში, რაც იმდროინდელ საფოსტო ცენზურასაც ითვალისწინებს, მათში მაინც გამოიხატა ის საზოგადოებრივი საქმიანობა, რასაც ქართველი ემიგრანტები ეწეოდნენ საზღვარგარეთ. კერძოდ, ბუენოს-აირესში, მაღრიდში, პონიანში და ევროპის სხვა ქალაქებში.

ქართული ემიგრაციის ეს წრე, ძირითადად, ვიქტორ ნოზაძის გარშემო იყო შემოქრებილი და უმეტეს წილად მისი შემოქმედების გამოცემის და პოპულარიზაციის საქმით იყო დაკავებული.

მნიშვნელოვანია იგრეთვე პირად წერილებში ასახული აკაკი და თამარ პაპავების ლიტერატურული საქმიანობაც, რომლებიც ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ იმ ლიტერატურულ თუ კულტურულ პროცესებს, რაც მათ სამშობლოში მიმდინარეობდა; ეცნობოდნენ ქართულ პრესს და ლიტერატურას, რაზეც კი ხელი მიუწედებოდათ და გამოიქვამდნენ თავიანთ აზრს და პოზიციას.

ერთგან თამარ პაპავა წერს: „როგორ ეწაფოდით სწავლას, რომ ჩეუნ მშობელ დედა-საქართველოს რითიმე დავხმარებოდით, მაგ-

რამ უკულმართი პირობები დიდ სისასტიკეს იჩენდა, ჩვენს ახალ-გაზრდულ გატაცებას ცივი ყინულით აზრობდა...

და ჩვენც შორეულ ქვეყნებში ვაფარებდით თავს უნივერსიტეტებს...! რადგან საქართველო თურმე ამისათვის „მომწიფებული“ არ იყო, საემაო მასალები არ გააჩნდა?“.

ეს სტრიქონები მათი საერთო განწყობილებების გამომხატველია.

ჩვენი აზრით წინამდებარე წერილები ლიტერატურის ისტორიკოსთა ყურადღებას დამისახურებს და ინტერესს მოკლებული არ იქნება ფართო საზოგადოებისათვის.

P. S. წერილები იძეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

ლ ა ლ ი ც ო მ ა ი ა

ა კ ა კ ი ჰ ა პ ა ვ ა

ბ უ ე ნ ო ს - ა ი რ ე ს

14-III-61

დ. პ. და ქვირფასო ქ-ნო სარა

ესეცაა მივიღეთ ჩილედან წერილი, რომლითაც თქვენი ძმა და ჩვენი მეგობარი ავთანდილი¹ გვატყობინებს, რომ საქ. სსრ აკადემიის მომსახურეს, თუ წერს სურვილი გამოუთქვამს ჩვენი წიგნის („მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“) და რამდენიმე სხვა წიგნების თამარისა „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“ (სათაურით) — მიღების.

ჩვენ ეს წიგნები განმეორებით გაღმოუგზავნეთ საქ. აკადემიის ბიბლიოთეკას, ს. სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, რუსთაველის სახელობის ქართ. ლიტერ. ისტორიის ინსტიტუტს, „სახელგამს“, „საბჭოთა საქ“. გამომცემლობას, „მნათობის“ და სხვა რედაქციებს. წიგნები დაზღვევით გაღმოიგზავნა და არა გვგონია დაკარგუ-

¹ ავთანდილი — ავთანდილ მერაბიშვილი, სარა მერაბიშვილის ძმა, ეძიი უშეალო ფინანსური დახმარებით ემიგრანტთა ეს წრე ახერხებდა თავიანთი წიგნების პუბლიკაციას.

ლიყოს. ევროპა-ამერიკის წიგნთსაცავებს და კერძო პირებს შემატებული
დავუგზავნეთ, აქ მხოლოდ ორიოდელი დაგვრჩია...

მიუხედავად ამისა, რაკი საქართ. მეცნიერების მუშაქებმა ეს
ჩვენი მცირედი ნაჩვევები ლირსეულ ქართველ ქალებზე ასე თუ
ისე ყურადღების ლირის განადეს, ჩვენ, რასაკეირებელია, მზადა
ვართ ამ უკანასკნელ ეგზემპლარებსაც შეველით და სიამოვნე-
ბით მოგაწყვდით ცალკე, ჩვეულებრ. ფოსტით, დაზღვევით თითო ან
ორ-ორ ეგზემპლარს იმ წიგნებისას, რაც კიდევ დაგვრჩინია არ-
ქიმი.

წიგნებს დააგვიანდება, რადგან ჩვეულებრ. ფოსტით მიიღებთ.
(ავიონით მეტად ძვირი ჯდება).

მაშ, ასე ქ-ნო სარა. მიიღეთ ჩვენი გულითადი მოკითხვა და სა-
უკეთესო სურვილები. მოგვიკითხეთ ყველა ნაცნობ-მეცნობრები, ვი-
საც კიდევ გახსნოვართ და მდაბალი სალამი მათ, ვინც ასეთის გულ-
მხურვალებით ემსახურება ჩვენი ქვეყნის მდიდარი წარსულის
კვლევა-ძიებას.

თქვენი ერთგული
თამარ და აკაკი პაპავა.

ძვირფასო ქ-ნო სარჩა

11.-V-64

დიდ ბოდიშს ვიხდი წინასწარ, მაგრამ ერთის თხოვნით ისევ
უნდა შეგაწუხოთ. იქნებ ვინმე დამეტმაროს და მიშოვნოს „ქართ.
ცხოვრებ-ის“ მეორე ტომი, სვ. ყაუხებიშვილის რედაქციით და კო-
მენტარებით. მან გამომიგზავნა I ტომი, მაგრამ ამჟამად ერთი
შრომა მაქვს და მჭირდება სწორედ მეორე ტომი („უამთა აღმწე-
რელი“), მაქვს ექვთ. თაყაიშვილის მიერ მოძღვნილი „მარია“ მი-
სეული „ქართ. ცხ.“, მაგრამ მინდა შევაღარი პრ. სვ. ყაუხებიშვი-
ლის რედაქციას. (იქმებ ვიპოვო იმის განმარტება, რაც ამჟამად
მაინტერესებს).

თქვენის მეშვეობით იქნებ დამეტმაროთ ბ. გაიოზი¹, ბ. შალვა²,

¹ ბ. გაიოზი — გაიოზი იოსების ძე იმედაშვილი 1906... ქართველი ლიტერა-
ტურაობრივი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

² ბ. შალვა — შალვა ასათიანი.

ბ. პლატონი³ ან თედო⁴ თუ სხვას არ ექნეს იქნებ სვიმოშჩამცული
ტომიც მიძღვნას.

გაზეთების ამონაჭრები დიდის ინტერესით წავიკითხეთ. შემდეგ
თუ დაიწერა კიდევ რამე, ან კრისტომ თუ უპასუხა?

კიდევ დიდი მაღლობა და გულითადი მოყითხვა ავთანდილისა-
გან. ამ ბოლოს არაფერი კიცი. კწერ დღეს სასწრაფოდ.

იყავით სულ კარგად ყველა თქვენიანებით. დორბატში დიდი და
კარგი ბიბლიოთეკა დავტოვეთ ნეტავ თუ გადარჩა. დიდის ინტე-
რესით ველი იმ დროის სურათებს და ცნობებს ბიბლიოთეკაზე და
არქივზე. დაწვრილებით გამოგეითხავდენ ალბათ ბ. პლატონი და
თედო.

დაუშთები თქვენი ა. პ-ვა.

თამარ პაპაჭა

Bs. As

IV-26-61

პატივცემულო და ძვირფასო ქ-ნო სარა

თქვენი სიყვარულით სავსე წერილი მივიღე და დიდათ გმაღ-
ლობთ ამდენი წრფელი გრძნობებისათვის...

რაც შეეხება წიგნების გამოგზავნის საყითხს, როგორც გწერ-
დით, ჩვენც და გამომცემელმაც მრავალჯერ გაღმოვევზავნეთ, მაგ-
რამ უმეტესმა ნაწილმა დანიშნულებას, სამწუხაროდ, ვერ მიაღწია.
ახლა კი იმედი გვაქვს, წიგნები აღარ იყარება; გთხოვთ გვაცნო-
ბოთ — თუ დროშე მიიღეთ.

სხვა ახალი წიგნები, სამწუხაროდ არა გვაქვს.

მე და ვაკეის გვაქვს დამზადებული ნარკევები ქსნის საერის-
თაოზე, აგრეთვე მონოგრაფია დარეგან ბატონიშვილზე (არჩილ
მეფის ასულზე), რომლის შესავალი ჩრდ. ამერ. „კრებულში“ გა-
მოქვეყნდა და ეკატერინა — სამეგრ. დედოფალზე, მაგრამ ვინ

³ ბ. პლატონი — პლატონ კეირკველია.

⁴ ბ. თედო — თედორე (თედო) მალაქიას ძე ბეგიაშვილი (1892—1970) ფი-
ლოლოვი, პედაგოგი, ფოლკლორისტი.

რცის როდის და როგორ მოხერხდება მათი გამოქვეყნება. აგრეთვე მომზადებული აკადის შრომა „რუსეთის კარი და ქართ. დიპლომატია მე-18 ს.“ და ჩემი „მოგონებანი ომის წლებიდან“ უცდიან გამოცემას, რაც ასე გაძნელებულია ჩვენს პირობებში. ვიკტორი თუ კარგად იქმნა, ნელ-ნელა ოდესმე აგვიწყობს.

მაშინ იმ ახლებსაც სიამონებით მოგაწვდით თქვენცა და სხვებსაც, ვისაც საამისო ინტერსი აქვს. (ბიბლიოთეკებსაც).

რაც შეეხება ჩვენს ოხოვნას, არ გვინდა დიდათ შეგაწუხოთ, მაგრამ თუ თქვენ მოახერხებთ და გვიშოვთ ლ. გოთუას „გმირთა ვარამის“ მესამე ტომს და კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ მესამე წიგნს, დიდათ დაგვავალებთ. ჩვენი მეგობარი კ. გამსახურდია სიყვარულით მოვიკითხეთ და თუ წიგნი აქვს, გადმოგცემთ ჩვენთვის. ისეც იმედი გვაქვს ძველი ქართ. მწერლები არ დაგვივიწყებენ და მათ უკანასკნელ ნაწარმოებს მოვაწვდიან. („მნითობი“, „საბჭოთა ხელოვნება“, „დროშა“, „სალიტ. გაზ.“, რეგულარ. გვაწვდის).

მაშ ასე ძვირფასო ქ. სარა, მიიღეთ ჩვენი გულითადი სალამი, იყავით მარად ჯანმრთელად და გამარჯვებით თქვენის ძვირფასი ოჯახით.

თქვენი ერთგული თამარი.

P. S. სახსოვრად გიგზავნით ჩვენს უკანასკნელ სურათს ოთახში გადაღებულს.

ძვირფასო ქ-ნო სარა,

ბს.-აირეს. 18-7-61

მივიღე თქვენი 4 ამ თვის წერილი....

დიდი მაღლობა ყველა ამისათვის ქ-ნო სარა და უფრო მეტი მაღლობა იმ წარუშლელი და ტუბილ მოგონებისათვის, რაც თქვენ-მა წერილმა აღძრეს და კვლავ განმიახლეს დაუვიწყარი, სამშობლოს სურნელოვან ვარდებით განვლილი, „დღენი ჩვენის ცხოვრებისა“....

რამდენი აღტაცება, იმედები და იდეალიზმი იყო ამ გზაზე....

როგორ ვეწაფებოდით სწავლას, რომ ჩვენ მშობელ დედა-საქართველოს — რითიმე დავხმარებოდით, მაგრამ უკუღმართი პირო-



ბები დიდ სისასტიკეს იჩენდა, — ჩვენს ახალგაზრდულ გატაჭიჭეთი კომიტეტის ცივი ყინულით აზრობდა... და ჩვენც შორეულ ქვეყნებში ვაფარებდით თავს უნივერსიტეტებს...! რადგან საქართველო თურმე ამისთვის „მომწიფებული“ არ იყო, საკმაო მასალები არ გააჩნდა(?!).

დღეს კი ჩვენი, მეცნიერები, ყადემია და უნივერსიტეტი ქვეყანას აოცებს, ჩვენი სამაყო ნაშთები დღის სინათლეზე გამოაქვეს.

პო, მაშინ ჩვენ ჩრდილოეთის უნივერსიტეტში ვსწავლობდით, დორპატის, (იურევის) ძველ კიდლებს ვაფარებდით თავს. ბევრი კარგი და წარმტაცი დღეები გადამეშალა თვალშინ და იქაური ქართველობა გამიცოცხლა თქვენმა წერილმა...

თქვენ მიერ გაღვიძებულმა მოგონებამ სცენაზე ჩემი მუშაობის შესახებ, ბევრი რამ გამიცოცხლა იმ დროიდან... ეს იყო პირველი საფეხურები დღეს ჯვევ ძლევამოსილ ქართულ თეატრის ისტორიისა. მოკრძალებით, მაგრამ გულწრფელად და უანგაროდ ვევლებოდით მას თავს და მიგვქონდა სიყვარულით ვისაც კი რა გავაჩნდა; და თუ ეს ჩვენი პატარა სამსახური ცდავიწყებული არ იქნება, ესეც ეყოფა ლამაზ გვირგვინად ჩვენს გაჭაღარავებულ თავს...

„ლიტ. გაზ“, სადაც კონსტანტინეს იუბილეა აღნიშნული, ჭერ არ მოგვსვლია. ჩვენის სულით და გულით მანდ ვართ, მასთან ამ დღეს ვულოცავთ ჩვენც მისი მაღლიანი კალმის დიდ გამარჯვებას. ჩვენი ეპოქის „კონსტანტინეს მარჯვენამაც“ ხომ აგო ახალი „სვეტიცხოველი“... ძველი, მაგრამ „ცხოველი“ მეგობრები მას ეხევვიან და მარად მასთან დარჩებიან...

ქ-ნო სარა, თუ შეხედეთ ბატონ ლევანს¹ გთხოვთ მას მიუძღნათ სიყვარულით დიდი მაღლობა; მაღლობა მისი დიდი და ყოველის მხრივ შესანიშნავი ნაშრომისათვის, რომლითაც მან გახსნა ძელი საქართველოს უხვი საუნგენი და მის განძებს გვაზიარა; ვინც ნამდვილი ქართველია და ვისაც ესმის მისი ეროვნული წარსულის სურნელება, ის დილხანს ვერ მოაშორებს თვალს ამ ჩუქურთმებს...

ჩვენ სისტემატიურათ მოგვდის „დროშა“, „საბჭოთა ხელოვნე-

¹ ლევანი — ლევან გოთუა.



ბა“, „ლიტ. გაზეთი“ და „შნაოობი“, ამგვარად ჩვენი ქვეყნმიაშოთხუა
ბებს და მის ხელოვნება-მწერლობას მოწყვეტილი არა ვართ. სხვა-
თა შორის, დიდათ მოგვეწონა ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთ-
ცვენა“ (შნაოობი 1961. 1, 2, 3 და 4) ავტორ გვატყობინებს სადა
და გულწრფელი თხრობით, ღრმა ფილოსოფიური ვანცდების უბ-
რალო ხერხით გადმოცემით. აკაკი მას დიდ მომავალს უქადის...

ალექს. ბერაშვილის¹ ლექსებიც დიდის ყურადღებით წავიყი-
თხეთ, მოგვეწონა ძალიან. აკაკი, როგორც ძეველი კრიტიკოსი,
რომელიც მუდამ მეცარი იყო, ამბობს, რომ ავტორი უდავოთ ნიჭი-
ერია, მაგრამ, მის ბევრ ლექსს გულწრფელობა აკლია, რაც ხელო-
ვანისთვის მთავარია; ლექსები, რომლებიც უშუალო ვანცდას გად-
მოგვცემს, ძალიან სადა და ნამდებილი შემოქმედებაა („ოცნება,
ლამე და თოვა“, „იცოდე“, „მე შენ ღიმილს როგორ ივწერ“...
„მე მხიბლავს შენი ქართული რიდი“... და სხვა. ექვემდებარება ამ
გზით წარმართოს თავისი შემოქმედებაო.

მოგვიყითხეთ და უსურვეთ დიდი წარმატება პ. ლევან გოთუას.
მეოთხე წიგნს მოუთმენლად მოველით. თუ შემთხვევით ხელთ
ჩაგივარდესთ, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ. აკადემიკოს გ. წერეთლის
უკანასკნელი ნაშრომი, მგონი ასე ჰქვიან: „პალესტინის ქართული
წარწერები“.

კიდევ დიდი და დიდი მაღლობა ყველაფრისათვის და გული-
თაღი მოკითხვა ჩემგან და აკაკისავან

თქვენი მარად თამარ პაპავა.

ძეირფასო და საყარელო ქალბატონო სარა,

7.9.61. პ. აირეს

თქვენი წერილის მცდება დიდათ სასიხარულო იყო ჩემთვის, მაგ-
რამ ამ სიხარულს თან მოჰყვა ერთი საწყენი ამბავი, — ამბავი თქვე-
ნი ავადმყოფობისა....

¹ ალექს. ბერაშვილი — უნდა იყოს ალექსანდრე ბეგაშვილი.



მიტოს¹ და ვიკტორის² წერილი მოგვდის კარგად არიან. რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანებს, რასაც ბატონი ასათიანი ითხოვს, გთხოვთ გადასცეთ, რომ

1. ესპანურ ენაზე ჯერ არ გამოუციათ თუ გამოვიდა, მივიღებ და გამოგიგზავნით.
2. ფრანგულ ენაზე გ. ვეაზავს³ თარგმანს ამ დღე-ებში გაღმოგიგზავნით.
3. ბალმონტის თარგმანს კი სამწუხაროდ ვერ შევი-ლევით, ნაჩუქქარია და 1 ეგზემპლარი მოვცეპოვება.
4. არსებობს ჰუგო პუპერტის⁴ მიერ ნათარგმნი „ვ. ტ.“.

გამოცემული ბერლინში 1955 წ., რომელიც ალბათ მოეპოვება მუშეუმს სხვები, ძველი გამოცემები: უნგრულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზეც, რა თქმა უნდა მოეპოვებათ მანდ. ბალმონტის თარგმანი იშვევება, ალბათ, პარიზში მიწერთ და დავვალებთ იქაურ მეგობრებს — როგორმე გვიშოვნიან და თუ მოხერხდა იმასაც გაახლებთ მუშეუმისათვის გადასაცემად. მოგვიყითხეთ ძვირფა-სო ქ. სარა ყველანი, ვისაც ვახსოვართ და ჩვენშე გული არ აუყ-რია. ჩვენდა თავად ყველანი უცვლელად გვიყვარს.

¹ მიტო — მიტო ანანიაშვილი.

² ვიკტორი — ვიქტორ ნოზაძე.

³ გ. ვეაზავა — ვიორგი ბექეანის ძე ვეაზავა (1869—1941) ქართველი პოლი-ტიური მოღვაწე, იურისტი, მთარგმნელი. 1921 წ. წარიღი ემიგრაციაში. ლექ-სებას და პეტერიაპიურ წერილებს აქცენტდა 1893 წ.-დან. თარგმნ სოფოკ-ლეს „ანტიგონე“ (1912), „მიავევული პრომეთე“ (1935) პ. შ. ერებიონის „ფარსიმან, მეფე იბერიისა“, „რადამისტი და ზენობია“ (1929) ე. რასინის „მით-რიდატე“ 1934 წ.) ინა მარსელ-პანთან ერთად ფრანგულ ენაზე პროზაულად თარგმნა „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტი (1938 წ.).

⁴ ჰუგო პუპერტი — ჰუგო პუპერტი (1902—1982) აესტრილი პოეტი, მთარგმნელი. პუპერტის შემოქმედებაში საქართველო ერთ-ერთი წამყვანი თე-მია. საქართველოში პირველად 1949 წ. ჩამოვიდა და დაიწყო მზალება „ვეფხისტყაოსნის“ სათარგმნელად. 1954 წ. დასრულდა თარგმანი. წიგნი პირველად გამოიტა 1955 წ. მასივე წინასიტუაციით „რუსთაველი და მისი პოემა“ (ილუსტრაციები ს. ქობულაძისა), მეორედ 1970 წ. ეს და შემდგომი გამოცე-მები ილუსტრირებულია ლ. ცუცქირიძის მიერ) მესამედ 1980 წ, მეოთხედ 1982 წ.

თქვენ კი, გთხოვთ მხნედ იყოთ და იმედი იქონიოთ, რომ კვლეული
მოიკეთებთ და სულ კარგად იქნებით. ავადმყოფობისათვის, ხომ
იცით, სულიერი სიმტკიცე და რწმენა მთავარია...

მაშ ასე, ისევ იმედით... როგორც ქართველ ქალს შეშვენის. ჩვე-
ნი კურთხეული ბუნება და ჰავა მოგარჩენთ... ცოტა ჩვენც გვიწყა-
ლობეთ: რომ იცოდე რა რიგ გვაკლია...

გეხვევით და მრავალს გაყოცებთ

თქვენი თამარი.

ძვირფასო ქალბატონო სარა,

25.X-61. ბს. ას..

დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ მივიღე თქვენი წერილი და ბედნი-
ერი ვარ, რომ თქვენი ჭანმრთელობა საგრძნობლად გამოკეთებუ-
ლა და თავს კარგად გრძნობთ...

ეს ერთი ხანია, რომ არც მე ვიყავი გუნდებაზე — აყავის მო-
ულოდნელმა ავადმყოფობამ ბევრი მწარე ფიქრები აღმიძრა... (გუ-
ლის შემოტევა ჰქონდა). მთელი ჩვენი დიდი ოჯახი სწუხდა: ეხლა
მადლობა ღმერთს, მოიკეთა და. ნელნელა შეუდგა თავის სამწერ-
ლო მუშაობას; ზის თავის ბიბლიოთეკაში და იჩხრიკება, ხან მარ-
ტო, ხან ჩემთან ერთად...

ეხლა გაზიაფხულია, ჩვენი ბალი და აივანი ვარდებით და ფერა-
დი ყვავილებით აივსო. ხშირად აივანზე ვზივართ და შევცემრით
ჩემს საყვარელ ვლიცენიებს, რაც ზავშეობიდანვე ასე მიტაცებდა.
ვზივარ ვუცემრი და ვდუმვარ... არც თუ ბევრი სათქმელი მაქვს
და არც სანატრელი — ეს ხომ თავის მოტყუილება იქნებოდა...
ვის შეუძლიან ახალგაზრდობა დააბრუნოს, წარსული გამიცოცე-
ლოს?...

მართლა, გადაეცით ბ. ალექსანდრეს, რომ მისი უკანასკნელი
ლექსი „სალიტერატურო გაზ“. ძალიან მოვვეწონა... აი, ეს არის
იმ გულწრფელ გრძნობების გაშლა, რაც ხელოვნებას მუდამ სწყუ-
რდათ, შემოუთვალა აყავიმ. „სალიტ. გაზეთშივე“ წავიკითხეთ, რომ
გ. ლეონიძეს დოქტორის სამეც. ხარისხი მიუსახესო. მართლაც
დიდი გამარჯვებაა და გულით გვიხარიან. მისი შრომები და რკე-
ვანი (პოეზიის გარეშე) დიღათ ნაყოფიერი იყო და მუდამ

მხვდური. ჭაბუკი დავტოვეთ და დღეს სახელმოხეეჭილი მეცნიერი და შესანიშნავი მგოსანია. მიულოცეთ ჩვენს მაგიერ... იმედია, ვახსოვართ.

მაშ, ასე საყვარელო სარა, გეხვევით და გისურეებთ დიდი ხნის ჯანმრთელ, ბეღძიერ სიცოცხლეს.

თქვენი თამარი.

P. S. ჯერ წიგნები არ მოგვსცლია პ. გაიოზისაგან. აქ ფოსტა ძალიან ცუდად მუშაობს.

P. S. ძვირფასო სარა, თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება, გადაეცით თქვენს ახლობელთ, ყველასა ვთხოვთ მაცნობონ — თუ რაიმე ახალი და სიყურადღებო გამოქვეყნდა ქართველი ქალის როლზე ჩვენს საზოგადოებრივ და კულტურულ ასპარეზზე ამ ორი საუკუნის გასწვრივ. თუ რამე (მასალას) მომაწვდიან დიდათ მადლობელი ვიქნები და სამაგიერო წიგნებს რასაც დამავალებენ ვაახლებ.

თქვენი თამარი.

საყვარელო ქალბატონო სარა,

1 იანვარი 1963 წ.

გილოცავთ წარსულ შობას და დამდეგ ახალ წელს, ბევრი კარგი სურვილები მაქვს თქვენთვის შემონახული გულში — ლამაზი და კეთილი; დე, იყოს სურნელოვანი ყვავილებით მოფენილი თქვენი სავალი გზები; გვაკმაროს ბეღმა, რაც დაუმსახურებლად დაატყდა თვითეულ ჩვენგანს. იყოს 1963 წელი ყველასათვის და კერძოთ ჩვენი ქვეყნისათვის ბეღძიერი, ლმობიერი, გამჭითხვე და მშვიდობიანი; ეს მშვიდობიანობა და დასკვენება ხომ განსაკუთრებით სჭირია ჩვენს ხანას, რომელმაც ამდენი ომი, ჯახირი და აფორიაქება გადაიტანა. და ის, ამ მშვიდობიანობის და სიყვარულის სიმბოლოთ გაუხდია ყველას შობის დღესასწაული. აქ უნდა „იშვია“ ის, რასაც ყოველი იღუმალად ეტრუთის; — განტევება, მშვიდობა და ნამდვილი სიყვარული. ამას განვიცდიდი მუდამ დეკემბერში, შობის დღეებში. და ასეა დღესაც ყველგან, ამერიკაში და ევროპაში.



თუ თქვენც გაინტერესებთ აქაური საშობაო განცდები ქ. სარგებლივო
მოქლედ აგიშერთ: ეს დღესასწაული ასეა ამ დღიდ, გაშლილ და
უზარ-მაზარ არგენტინაშიც... ეს ზღვა ხალხი ერთიანათ ღელავდა
და ბობოქრობდა ყველა ქუჩებში და მოედნებზე... და მართლაც
ზღაპრული და თვალწარმტაცი იყო ამ დღეებში მთელი ქალაქი,
მორთულ-მოკაზმული და დღედაღამ ფერადოვნათ გაშუქებული სა-
ვაჭროები, დაწესებულებები და კერძო ბინა-ეზოები...

ეს უცნაური ღელვა და ფუსტუსი 24 დეკემბერს საღიმოთი
უეცრივ დადგა, დამშეიღდა, დაიცალა ერთბაშად ქუჩები და ყველამ
თავის ოჯახს მიაშურა და ერთბაშად ჩამოეშვა სიწყნარე, სიმშეი-
დე და სათნოება, რასაც ყოველი ოჯახი ფართოთ უხსნის კარებს.
ისმოდა მხოლოდ საშობაო გალობა და ეკლესიების ზარების ხმა.

ყველაფერი ისე მოქმედებდა ადამიანზე თითქოს „ქრისტე“
სწორეთ ეხლა იშვაო... და ეს ხომ აშკარად ლაპარაკობს იმაზე,
თუ რა რიგ სწყურია ხალხს სიმშეიღდე, სათნოება და სიყვარული...

ჩვენთან ახალგაზრდობამ ეზოში ტურფად მოკაზმეს შობის ხე,
გააჩაღეს სანთლები, შემოუსხდნენ ირგვლივ და დაიწყეს მშვენი-
ერი ქართული ალილო... დიდხანს გაისმოდა ეს ალილო ჩვენს
უბანში... ჩვენს მეზობლებს, იტალიელებს და ესპანელებს ეს უკვი
აღარ ეუცხოვთ, ისენი შეჩერული არიან ყოველ წელიწადს ამ
ჩვენს შობის რიტუალს... თითქმის გავათენეთ საქართველოს ტებილ
მოგონებებში.

ძეირფასო ჩემო იყვაით მხნედ და ჯანმრთელად. მუდამ მოუთ-
მენლად ველოდები თქვენს წერილს, ეს ხომ ჩემი საყვარელი სა-
ქართველოს და თბილისის დამათრობელი ხმის მომტანია...

ეხლა მრავალი ჩემი ამბორი.
მარად თქვენი თამარი.

P. S. უნევაში გარდაიცვალ გრ. რობაქიძე. ამან მეტად დამწუხრა
ყვილა.

გუშინ მიეიღეთ თქვენ მიერ გამოგზავნილი ქართული კალენდარი; რაც საქართველოდან წამოვედით, მერე ქართული კალენდარი არ გვინახავს... ისე გავვიხიარდა, რომ კინალამ დაგლიჭეს ხელიდან ხელში გადასვლით. აკაკი ისე აღელდა, რომ ექსპრომტიც კი უძღვნა ამ ჩვენთვის ძვირფას, უცხო და სე ახლობელ განძს. დიდი და ათასი და კიდევ მეტი მადლობა, ჩემო საყვარელო; ნეტავ მეც შემეძლოს რითიმე თქვენი ასევე გახარება...

ახლა მინდა ერთი პატარა ამბავი მოგიყვეთ: ჩვენი აქეთ წამოსვლის წინ (ავერ 40 წ. მას აქეთ — რა ცოტა დროა, არა?) განვიხრახეთ ბახმაროშე ასელა. მიედიოდით ჩოხატაურიდან — ხილისთავში და იქიდან ბახმაროშე. ჩვენს მეტათ გადატვირთულ ეტლში დიდი ალიაქოთი ატყდა... ერთმა, იარაღში ჩასმულმა ახალგაზრდამ, მგონი ნინიდე იყო გვარათ, მეტლე გაგვილახა... გაგვიბრაზდა, კინალმ ყველა ზედ მიგვაყოლა... იმ ეტლში იჯდა კიდევ ერთი სანდომიანი სახის, ზედმიწევნით გაზრდილი და თავაზიანი სტუდენტი. იმან დაგვამშვიდა და საერთოდ მისმა კეთილშობილურმა, დინჯმა მოპყრობამ ჩვენი იღელვება და ნერვიულობა ძალიან დამშვიდა. მერე მან თავის სახლში მიგვიპატიუა და თან შეგვთავაზა — ღამე მათთან გაგვეთია — და დილით შევდგომოდით ბახმაროშე გამგზავრებას. ეხლაც ისე ნათლად მახსოვს ის ოჯახი, ჩვენთვის სრულიად უცნობი, მარა ისეთი წყნარი და ტრადიციით ნაკურთხი ოჯახი; ხნიერი და მშვიდი დარბაისლური მშობლები იმ მშენიერი ყმაწვილისა, ის მშენიერი ვახშამი მათ ოჯახში, ის რბილი და წყარი ღამე, რომ აქამდის ნათელი სხივებით მიშუქებს გულს. ის ქართული, დარბაისლური ოჯახი იყო ასათიანის ოჯახი, და მგონი თუ მეხსიერება არ მღალატობს იმ სტუდენტს შალვა ერქვა... ეხლა ეს განცდილი თავში მიტრიალებს და მინდა ვიცოდე: ეს ის შალვა ასათიანი ხომ არაა, მე რომ დღემდე მწყალობს და წიგნებს მიგზავნის? ან იქნება ვინმე ახლობელია იმ სტუდენტ ასათიანისა? როგორ ორმაგათ გავიხარებდი, თუ ეს ასეა.

ძვირფასო ჩემო, იქნება მარტში შევხვდე ავთანდილს; ან აქ გვეწვიოს, ან იქით ჩავიდეთ. ძალიან უნდა ჩვენი ნახვა. ვნახოთ.

ისპანურათ მაღლ გამოვა „ც. ტ“¹, გვწერს ავთანდილი. ზოგი

¹ „ც. ტ.“ — იგულისხმება „ველხის ტყაოსანა“.

ილუსტრაციები ჩემი შვილიშვილის, ფიქრიას ნახატია. ყველას დიდი მოკითხვა. ათასი კოცნა სიყვარულით. თქვენი თამარი.

P. S. ვეღარ ვწერ კარგათ, თვალები მოალატობენ. ობ, სიბერევ!

ჩემო ძვირფასო ქალბატონო საჩრა,

30-I-63 წ.

ამინდის უეცარმა და სასტიკმა გარდატეხამ ისე მომაქცია, რომ ეს დლებები ლოგინში გავატარე.

... შემომიტანეს ფოსტა და თქვენ მიერ გამოგზავნილი წიგნები. ვერ აგიშერთ ყველა ჩემნანის და კერძოთ, ჩემს სიხარულს. თქვენ ალბათ, ვერც კი წარმოიდგენთ — თუ რა დიდი სასწაულია ეს ჩემთვის და როგორ ვეწაფებით მშობლიურ წიგნებს და ისე ვტაცებთ ხელიდან ერთმანეთს, როგორც მოწყურებული, ცივი წყაროს წყლიან ლიტრას და ხარბად ვსვამთ და ვსვამთ.. განსაკუთრებით ჩემთვის შეიქმნა ეს უებარი წამალი: თითქოს ტკივილებიც დამიუჩიდა და ნაღველმა, „ნაღველიანი ფიქრები“ და განგაში უკუაგდო და ჩემს სულს დაუამა... ჩეენი უურნალ-გაზეთები თითქმის ყველა მოგვდის, ისეც ვეწყალობენ ძეველი მეგობრები და ცალკეულ გამოცემებსაც გვიგზავნიან, მაგრამ ასე ერთბაშად და ამდენი საინტერესო ერთ დღეს, დიდი ხანია აღარ მიგვიღია. დიდი სიხარული მოვცეინეთ ყველას და კერძოთ მე ამ ავადმყოფობის დროს, ქალბატონო საჩა.

ჩემი გულწრფელი მოკითხვა და მაღლობა, ვინც ეს წიგნები გვითავაზა და მოწყურებულო ქართული ლიტრით ჩენი წყარო ასე უხვად გვასვა. ვეხვევი სიყვარულით გაიოზს, შალვას, ბ-ნს. ფალავას და მეგობრულად ვეამბორები. ეხლა კი გთხოვთ, ძვირფასო ჩემო, ერთი პატივი კიდევ მცეთ და მოურიდებლად გაცნობოთ: სანაცვლოდ რა ხასიათის და რა დარგიდან და რომელ ევროპულ ენაზე გაინტერესებთ თქვენ და ბ. გაიოზს, შალვას, ფალავას და სხვა რაიმე გამოცემა... და რასაც კი ვიშვევით ან აქ, ან ევროპაში, უპეველად გაახლებთ დიდის სიხარულით. ამ თქვენ წიგნებთან ერთად მიეღოდეთ ჭ კექელიძის „ბრწყინვალე ვარსკვლავთა მაძიებელი“. ჭერ აკაკი კითხულობს და ძალიან მოსწონს. ისტორიული ფაქტები და პირები მშვენივრად და მართებულათ არიან გამოვლინებულიო. საყვარელო ჩემო, სწორედ დღესაც მიეღოდეთ



აკადემიური წერილის შეტანილი. მიუღია აკაკის „მოწამეთობა“. შექმნელთათვე
იქიდან უფრო მოხერხდეს გადმოგზავნა. მაშ ასე, საყვარელო
ქ. სარა, კიდევ დიდი მადლობა...

მოგეხვევით გულით და ველით თქვენს კარგ ამბებს
მარად თქვენი თამარი.

ძეირფასო ქალბატონო სარა,

22 ამ თვეს ჩამოვედით ჩილედან დიდათ ნასიამოვნები. სრული
2 კვირა დავყავით და ძალიან მოგვეწონა იქაობა. ძალიან წააგავს
საქართველოს, თუმცა ჩვენი ქვეყნის შეენებას ბევრათ ჩამორჩება...

სანტიაგოში გავიცანით ცნობილი მწერალი დრ. გუსტავო დე
ლა ტორე¹, რომელმაც დიდათ შეიყვარა ჩვენი ქვეყნის მდიდარი
წარსული და კერძოთ ძევლი, კლასიკური მწერლობა. მან სთარგმნი
„ვეფხისტყაოსანი“ ესპანურ ენაზე, წავვიკითხა თარგმანი, რომე-
ლიც უდაოთ დიდის წარჩინებით არის შესრულებული; იმედია,
მალე მოხერხდება მისი გამოცემა, რათა ესპანურ ენაზე მოლაპა-
რაკე შევუნებიც გაეცნონ ქართველი ერის სიამაყეს, შოთას გენიას.
მალე მოგწერთ ამაზე მეც და აყავიც. ჩვენ გვჯერა, რომ ქართ-
სამეცნიერო საკვლევი დაწესებულებები ამ საქმით დიდათ დაინ-
ტერესდებიან.

თქვენი მარად თამარი
25.III.63

ძეირფასო ჩემო სარა,

22 მაისი, 1963 წ.

ბოლიშ ვიხდი წერილის ასეთი დაგვიანებისათვის.

რაც შეეხება ბ. ტორეს მიერ გადათარგმნილ „ვეფხისტყა-
ოსანს“, მასზე აბა რა მოგწეროთ?.. აკაკის წაუკითხია ბოლომდე

¹ დრ. გუსტავო დე ლა ტორე — დე ლა ტორე ბოტარო გუსტავ ალფრედო, ჩილელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ბეჭდიერდა ნარკვევებს საქართველოს ისტორიის, კულტურის და მწერლობის შესახებ: 1964 წ. სანტიაგო-ტე-ჩილეში გამოსცა „ვეფხისტყაოსანის“ სრული პროზაული თარგმანი ესპანურ ენაზე.

და ესეც ძალიან კმაყოფილი დარჩა... თარგმანი თეთრი ლექსით არის შესრულებული აკავის აზრით: თარგმანი ზუსტია და საქმაო მუსიკალობითაა შესრულებული. ძალიან დიდი შრომა გაუწევია ბ. დე-ლა ტორეს, რომელსაც აუთვისებია რუსთაველი, მაგრამ ბევრს მოიგებდა და უფრო სრულყოფილი გახდებოდა, რომ მთარგმნელი ქართულს დაუფლებოდა. ვიკტორის, რასაკვირველია, დიდი შრომა გაუწევია თარგმნის დროს ყოველი სიტყვის ახსნაში და თვითეულ აზრის განმარტებაში, აკავის აზრით ამ დიდ შრომას „წახალისება აკლია, და რადგან უდიდესი მნიშვნელობა აქვს „30-ფხისტყაოსნის“ ესპანურ ენაზე თარგმნას, ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ამგვარი „წახალისება“ საქართველოსან ყოფილიყო. ეს მთარგმნელსაც აღაფრთოვანებს, ენერგიას გაუასეუცებს, და თარგმნის საბოლოო რედაქციაც დიდის დაწინაურებით დასრულდებოდა.

ასეთი დიდი განძის ესპანურ ენაზე გამოცემა, — ენაზე, რომელსაც პირველი ადგილთაგანი უჭირავს და რომელზედაც მრავალი მილიონიანი სახელმწიფოების ერები ლაპარაკობენ და სწერენ ამერიკა-ევროპაში, — რასაკვირველია, უზადო უნდა იქნეს თარგმანის მხრივ. როდესაც მთარგმნელი რამოდენიმე თვე მაინც დაპყოფს რუსთაველის ქვეყანაში, მის ბუნებას, ხალხს და სულიერ სამყაროს ახლო გაეცნობა, და ენის გენის უფრო ჩასწერდება, მაშინ თარგმანიც ჩინებულის გზით დაგვირგვინდება. მართლაც, დიდი და მაღლიანი შრომა აქვს ამ კაცს გაწეული და დიდათ სასურველი იქნებოდა, თუ მას მიიწვევენ და ადგილობრივ შეამოწმებენ თარგმანსაც და „გასაღლაშინებაშიც“ რჩევას მისცემენ. ამის შესახებ, რაც მოგწერეთ, ეს აკავის თხოვნით და კარნაბითაა მოწერილი, რათა ეს წინადაღება გააცნოთ — ვისაც ჭერ არს; კერძოთ, ბ-ნ გაიოშს, ბ. შ. ასათიანს, და აგრეტვე სასურველია ბ-ნ შანიძესაც მოხსენდეს ეს. თუ საერთოდ ეს მათ შესაძლებლათ მიიჩნიონ, გთხოვთ, მაცნობოთ და ბ-ნ დე ლა ტორეს თვით მივაწვდით ყოველგვარ ცნობებს...

საკვარელო ჩემო, თქვენ მიერ გამოგზავნილი წიგნები მივიღეთ. პირველად ვნახეთ „საეკლესიო კალენდარი“ — ძალიან ვწუხვარ, რომ ბ-ნ შ. ასათიანს მის მცირე თხოვნას ვერ ვუსრულებთ — „ვ. ტ.“-ზე რაც გვქონდა ისეთი, ბ-ნ დე ლა ტორეს გაეუგზავნეთ, რათა გამოეყენებინა „ვ. ტ.“ თარგმანის შესრულებისას, რაიმე

განსაკუთრებული, გარდა ქართული გამოცემისა, ჩეენ არჟერი დაგვრჩა. თუ საღმე რამეს წავიწყდით, რაც ბ-ნ ასათიანს აინტერესებს აუცილებლად გაახლებთ. ძალიან დიდი მადლობელი ვარ ბ-ნი შალვასი წიგნისათვის: „დაუკარ, ჩემო ჩონგურო...“ მშვენიერია ეს ქრებული, საუცხოვო, რამდენი რამ გააცოცხლა, განმიახლა ძველად გაგონილი ზოგი სოფელში და ზოგიც თბილისში...

ბ-ნ ალექსანდრეს გულითადი მადლობა მისი მშვენიერი წიგნისათვის...

... აკაკის ძალიან მოსწონს. ჩემს ძმადნაფიცს კონსტანტინეს დიდი მადლობა წიგნისათვის. გატაცებით და განმეორებით ვეკითხულობთ...

რად დაგვივიწყა სოსომ? ჩეენს ბიბლიოთეკის მისი უკანასკნელი შრომები არ ამშვენებენ.

მოგეხვევით და ბევრს გაყოცებთ თქვენი ერთგული და
პატივის მცემელი თამარი.

ბს. ას. 7.10.63.

ძეირფასო და კეთილო ქ-ნო სარა,

მივიღე თქვენი წერილი და როგორც ყოველთვის, დიდის ინტერესით წავიკითხე და ხელახლა ვადავეშვი მოგონებათა მორევში.

ჩეენი საყვარელი ნუცა ჩეეძის! გარდაცვალებამ, რაც პირველად თქვენი წერილიდან შევიტყვე, ათასი ფიქრები და წარსულის მომხიბლავი სურათები გამიცოცხლა... დიდი და საინტერესო ხელოვანი იყო და თავის ღროზე, როცა ქართულ სცენას ჭირისუფალიც არ ჰყავდა და ათას დაბრკოლებას ეჭახებოდა, მხოლოდ ერთი პატარა, მაგრამ მტკიცედ შეკრული წრე თავგანშირვით ემსახურებოდა მას და ერთგულ, უანგარო დარაჯათ უდგა. მათ შეგვინახეს ეს ქართული, მშობლიური კერა და ეროვნული ღროშა ძეელ ნანგრევებიდან გამოიტანეს... და ამათში ჩეენი ნუცა თავიდანვე ჩადგა, მისი ახალგაზრდა გული და ნიჭი, სიცოცხლე

¹ ნუცა ჩეეძი — ნინო (ნუცა) პლატონის ასული ჩეეძი (1881—1963) ქართველი მსახიობი.

და მომავალი აღგზნებით ამას შეალია... და ამ გზაშე რამდენი კეთილშობილი, წმინდა ქართული გრძნობები ავეითროთოლა და რამდენი სიხარული გვაგრძნობინა... და აქედან წარმოდგინდა ის დიღი ნაყადი, რაც დღეს ცოცხლებს ძლიერს, გაშლილს და დაუავტკაცებულ ქართულ თეატრს... ამ სკოლამ წარმოშვა მთელი წარჩინებულ მსახიობთა თაობა... და ყველა ესენი სიყვარულით მიიტანენ გვირგვინს მის საფლავზე... და ჩემი ვარდებიც ოცნებით ამ გვირგვინებშია...

მსახიობ პ. კობახიძეს¹, სამწუხაროდ არ ვიცნობდი, ისე კი ბევრი წამიერთხავს და მსმენია მისი საოცარი ნიჭის შესახებ და ვწუხვარ, რომ ასე უდროოთ გამოეცალა ქართულ თეატრს...

მიხარიან, რომ ავთანდილთან თქვენი მიწერ-მოწერა რეგულარულად სწარმოებს. სწორედ დღეს მივიღეთ მისგან ცნობა, რომ თქვნი წერილი მიუღია და დიდათაა განარებული.

მიგეელის წელს, მაგრამ ძალან მეეჭვება, რომ ეს მოხერხდეს, ბევრი დაბრკოლება ელობება იმას წინ. არაა ასე აღვილი ჩვენს ხანში და მდგომარეობაში შორი მგზავრობა; ჯერ კიდევ არაფერი გადაგვიწყვეტია და ვნახოთ...

ჩვენი ძვირფასი გაიოზის მშავი დისერტაციის ჩინებულად დაცუის და მისთევის დოკტორის ხარისხის მინიჭების შესახებ შევიტყვეთ. დიდათ გვახარებს ეს მისი დამსახურება და წარჩინება. გოთოვთ განმეორებით და მთელის გულით მიულოცოთ ჩვენგან ეს გამარჯვება და ახალ მწვერვალთა დაუფლება უსურეოთ...

სხვა ჩემო ძვირფასო სარა, ახალი აქ მაინც და მაინც არაფერია. უიღებთ მანდაურ გამოცემებს და რაც გაგვივა ვეზუშაობთ... და ასე მიდიან დღები და წლები. იყავით მხნეთ და თავს გაუფრთხილდით. არ დაგვივიწყოთ. ყველას გულითადი მოკითხვა. გეხვევით და შეერს გაკოცებთ თქვენი თამარი.

თქვენ ქალას, შვილიშვილებს და ყველა თქვენიანებს ჩემი მხურვალე მოკითხვა.

¹ პ. კობახიძე — პეტრე (პიერ) კალისტრატეს ძე კობახიძე (1907—1963) ქართველი მსახიობი.

ამ ორიოდე დღის წინ დაებრუნდი ურაგვაიდან, სადაც 6 კვირით ვიყავი დასასვენებლად. იქიდან თქვენ ერთი მოკლე წერილი გამოგიგზავნეთ. „მოკლე“ იმიტომ, რომ მინდოდა სასწრაფოდ თქვენი ამბავი შემეტყო. გრძელი წერილი მის წინ რამდენიმეჯერ მოგწერეთ, მაგრამ პასუხი არ მომსვლია და ვშიშობდი, ავად არ იყოს-მეთქი.

ეხლა აქ რომ დაებრუნდი, თქვენი წერილიც მივიღე და არა თუ დავმშვიდდი, არამედ დიდათ გავიხარე, გავიხარე, რომ კარგათა ხართ, ძეელებურად მხნეობ და თქვენი ინტერესი მშობლიურ მწერლობა-კვლევებისადმი ძეელებურად მღვივეა და ცხოველი. აბა, ამაზე უფრო საყვარელი და კეთილშობილი რა გაგვაჩინია, განსაკუთრებით ჩვენ, ვინც ქართულ კერას ასე მოშორებული შევიქენით? ჩვენი მთავარი სულიერი საზრდოა ქართული კულტურის ყოველგვარი გამოვლინება და ვეწაფებით მანდაურ ლიტერატურულ და მეცნიერულ შრომებს, თუკი ვინმემ გაგვიხსენა და გვიწყალობა.

ეხლა, თქვენ გვწერთ, რომ დამზადებული გქონიათ ჩვენთვის ქართული წიგნები და წარმოდგენილ გექნებათ ჩემი და აქავის სიხარული.

თქვენ, სხვათა შორის, მწერთ „კომუნ“. ერთ-ერთ ნომერზე, რომელშიაც ჩვენთვის — საყურადღებო ყოფილა მოთავსებული (თებერვლის 4 ნომერში), საყვარელო ჩემი, ძალიან გთხოვთ ის წერილი გადმომიგზავნოთ. ჩვენ მაგ გაზიროთ არ ვიღებთ და არც საღმე ვხდებით აქ. მხოლოდ წმინდა ლიტერატურულ ან მეცნიერულ ხასიათის უურნალებს და კრებულებს ვღებულობთ. არც თქვენ მიერ გამოგზავნილი „ქართ. კალენდარი“ მოგვსვლია და ამან ძალიან დაგვალონა. ამ ფოსტებში ბევრი რამ იყარგება და ეს პირდაპირ ნერვებზე მოქმედებს.

ამასთან გიგზავნით ბ. გაიოზისათვის აქავის წერილის (ვგზავნით ცალკე) ამონაბეჭდს — „ვეფხისტყაოსანზე“. მალე დაიბეჭდება შემდეგი წერილი ერთ ახალ პრობლემაზე („ვეფ. ტყ.“). ავტორის ეინაობიდან) რაც შეეხება ერთი ჩემი წერილის ანაბეჭდის გაგზავნას (ქეთევან დედოფალზე), ამის ფოტოკოპიებს გადავაღებინებ

და მალე გამოგიგზავნით. იქნებ ქეთ. ირემაძის¹ ახლობლებსაც გააცნოთ.

ჩვენს შესხებ: როდის და სად რა დაგვიწერია და საერთოდ ჩვენი მოქლე ავტობიორგაფია უკვე ძალიან დიდი ხანია რაც გამოვუგზავნეთ ბ-ნ გაიოზს, თანახმად მისი სურვილისა. ნუთუ არ მიუღია (მანქანაზე დაბეჭდილი)? დიდათ სამწუხაროა, თუ დაიყარგა; ყოველშემთხვევე ისათვის, ამ მოქლე ხანში იმ ცნობების პირს გადმოგიგზავნით და გთხოვთ თქვენ გადასცეთ ჩვენი დიდი მოქითხვით და საუკეთესო სურვილებით ბ-ნ გაიოზს.

„ცისკარში“ რომ კრიტიკულ განხილვებს ათავსებს ის გაიოზის ძმა არის? ავთანდილი გვპირდებოდა ჩამოსკლას აქეთ, მაგრამ ჯერ არ სჩანს — ალბად ვერ მოიცალა.

ეხლა აქ შემოდგომა დაიწყო და ჩვენც ქართული „პატარა რთველი“ გავაჩარეთ (წელს აუარებელი მოსავალია ყურძნის) ჩვენებური მიწის სუნი და გემო... აბა, ქ-ნო სარა, გეხვევით და გიყრავთ სიყვარულით გულში და გთხოვთ თქვენს წერილებს ნუ მოგვაკლებთ. აყაყიმ დიდი მოქითვა. მარად თქვენი მოსიყვარულე თამარი.

ჩემო ძვირფასო ქალბატონო სარჩა,

ბ. ა. 15.IV.64

ამას წინათ წერილი გამოგიგზავნეთ და მეორე წერილიც, ამონაბეჭდი „ვეფ. ტყაოს.“ შესახებ დაზღვევით თან მოვაყოლე.

იქ გწერდით, რომ მინდა ჩემი წერილის პირი (ფოროკოპიები) გამოვიგზავნოთ ქეთევან დედოფლის შესახებ, რომელიც ამ რამდენიმე ხეის წინად დაიბეჭდა და ყველას მოწონება დაიმსახურა.

მაგრამ ვიდრე იმას გამოგიგზავნიდეთ, მინდა თქვენგან ვიცოდე, მიიღეთ, თუ არა ეს პირველი ანაბეჭდი გაიოზისთვის შოთა რუს-თაველის შესახებ („პოეტი ქალი ბორენა“); ეს იმიტომ ქალბატონო სარჩა, რომ არგენტინიდან წერილები ხშირად იყარგება და დარწმუნებით არ ვიცით — დროზე იგზავნება თუ არა.

მაშ ასე ძვირფასო ქ-ნო სარჩა, გეხვევით და ბევრს გაყოცებთ.

¹ ქეთ. ირემაძე — ქეთევან ნიკოლოზის ასული ირემაძე 1912—1945 ქართველი მწერალი, მთარგმნელი.

აყავიმ დიდი მოქითხვეა, თქვენი ქარგი ამბების მოლოდინში ჩრდილოეთი მთები.

თამარ პაპი.

ჩემო ძვირფასო და საყვარელო ქალბატონო სარრა,

ბს.-ას. 11-V-64

დიდათ გამახარა თქვენმა წერილმა და ტკბილმა ამბებმა. დიდი შადლობელი ვარ, რომ ასეთის სიყვარულით და ყურადღებით ეპყრობით ჩემს წერილებს და არათუ მიგაერდებით, რომ ათასნაირ დავალებებით გაწუხებთ, არამედ მუდამ ხალისით და სისწრაფით მეხმაურებით. არ მაკლებთ მზრუნველობას. ეხლახან მივიღე სწორედ თქვენ მიერ გამოგზავნილი ნაშრომი ჩემი საყვარელი დეიდაშვილის კირილე ზდანევიჩის¹. დიდის გულის ტკივილით მომწერა ამას წინად: ჯერ გიგზავნი ქართულს ენაზედო, რადგან მაშინვე ყველა გაიყიდაო ეს არ საკვირელია: წიგნი უზადოთ და დიდის გემოვნებითა შედგენილი და გამოცემული შესანიშნავი რეპროდუქციებით. აგრეთვე დიდი მადლობა მ. კახიძის² ლექსების წიგნაჟისათვის რაც შეეხება აყავის წიგნს „სოლეიდორს“, ჩემს ბიბლიოთეკაში ის გვაქვს და თუ არ გამოგიგზავნიათ, გთხოვთ დაიტოვოთ სახსოვრად ავტორისაგან.

უზომოთ გავვახარეთ ცნობით, რომ ლატვიიდან (თუ ესტონეთიდან?) ჩამოსულა ვიღაც მწერალი და დორპატის ქართულ სათვისტომონზე და მაშინდელ სტუდენტობაზე ცნობები მოუტანია თან. ორთავემ დიდათ გაეიხარეთ, რომ ყოფილი წევრები იქაურ სათვისტომოსი, რომლის თავმგდომარეთ მრავალ წელთა მანძილზე აყავი იყო, დღესაც მანდ ყოფილან და ამ მოხსენებას დასწრებიან. ორთავეს: ბ-ნ თ. ბეგიაშვილს და პლ. კვირკველიას დიდის სიყვარულით ვიგონებთ და შორეთიდან უეხვევით. იქნებ არ დაიზარონ და ორის სიტყვით გამოგვეხმაურონ... ყველაზე ბედნიერი ვიქნე-

¹ კირილე ზდანევიჩი—კირილე მიხეილის ძე ზდანევი (1892—1967) ქართველი ფერმწერი და ხელოვნების მეცნიერი, წარმოშობით პოლონელი.

² მ. კახიძე — მედეა ილიას სული კახიძე — 1930... ქართველი პოეტი.

შით, თუ სათვისტომოს წევრთა ჯგუფის სურათს (რასაც გვწერთ) მოგვაწვდით. (იქნება მეც ვარ იმ ჯგუფში, და ჩვენი ძეირფასი ელისოც).

ძეირფასო ჩემო, ჩემი წერილის ასლს ქეთევან დედოფალზე ორ-სამ ღლეში გამოგიგზავნით.

ჩემს შვილის-შვილს პუსიერის ვაჟი შეეძინა...

ეხლა ჩემი ოჯახი შესდგება 16 სულისავან... (კარგი გაძლება უნდა...)

კიდევ ბევრი, ბევრი მაღლობა საყვარელ გაიოჩის, ბ. შალვას, ალექსანდრეს, თქვენს პატივცემულ ქალიშვილს. თქვენ კი ჩემი ურიცხვი კოცნა და ალერსი

თქვენი თამარი.

P. S. ვინ არის ნეტა ნინო ქობულაშვილი? შესანიშნავია მისი ლექსი: „აპრილი მალე შემოვა თბილისს“ („ლიტერატურული საქართველო“ № 14 3 აპრილი 64 წ.) აყავი სულ გააგიუა უკანასკნელმა:

„აპრილმა ბადის მოქნევა იცის,
ფრთხილად იყავი, გოვონავ ჩემო!“...

დიდათ პატივცემულო ქალბატონო სარჩა,

28 ივნისს სალამოს 8³⁰ საათზე, ჩვენი უსაყვარლესი მამა, სამუდამოთ ჩვენგან წავიდა. დაობლდა ოჯახი, ჩვენი დიდი ოჯახი. ჩვემა ტირილმა და გლოვამ მას გული ვეღარ აუძვერა. ძალიან ძნელი და მწარე დრო დადგა ჩვენთვის.

27 ივნისს მთელ დღე იმუშავა — ეჩქარებოდა — მოათავა წინასიტყვაობა ეეფხისტყაოსნის ისპანური ენის თარგმანისათვის, რომელიც ჩილეში უნდა გამოვიდეს. ჩვენი გოგონები შველოდენ-ქართული ტექსტი ისპანურად გადაუთარგმნეს. ღამის პირველ საათზე მოათავა ყველაფერი. 28 დილით გაიგზავნა მისი ნაწერი ბატ. ავთანდილისათვის, რომელმაც წიგნის გამოცემა იყისრა, (თარგმანი პორმის შეასრულა ჩილელმა აქადემიკოსმა ვიქტორ ნოზაძის დახმარებით).

კვირა ნასადილევი გავატარეთ ჩემს დასთან — მამა ბედნიერი იყო — ხუმრობდა — ათასი ამბავი მოყვა. 8¹⁵-ზე შინ ეჩქარებოდა — ავტობუსში გამილიმა, ჩემს გვერდით მყავდა — და მითხრა — თითქოს ბოდიშს იხდიდა — „ახ, რა ცუდათ ვარო“ — და გათავდა ყველაფერი — ერთი თვალის დახამხამებაში. ვერ უშეველეთ — მისი ნათელი სული გვანათებდა და გვათბობდა ჩვენ. 30 ივნისს მივასვენეთ Buenos Aires-ის სასაფლაოზე. მისი ფერფლი ერთხელ გაუბრუნდება მის სამშობლოს. რომლისთვისაც ის ამდენი წლების განმავლობაში იწოდა.

სწორედ 7 ივლისს, მამას დაბადების დღეს (შეუსრულდებოდა 74 წელიწადი) მიეიღოთ თქვენს მიერ გამოგზავნილი წიგნები და სურათები. როგორ გაახარებდა სტუდენტობის სურათი!

გთხოვთ, ძვირფასო ქალბატონო სარჩა, შეატყობინოთ დედ-მამას მეგობრებს და ნაცნობებს ჩვენი უბედურობა, და უთხრათ მათ თუ როგორ გააბედნიერეს მამა — მათი თბილი ხსოვნით წერილით და წიგნით.


გთხოვთ მიიღოთ ჩემი ღრმა პატივისცემით სალამი
თქვენი მზია პაპავა-ჭეიშვილი.



აკაკი და თამარ პაპვები
1961 წ. ბუენოს აირესი



აკაკი პაპვე
1964 წ. ბუენოს აირესი



Օվայր դա տամար პապեցըն, մատու սուհը և սամա վերաբերությունը
1964 թ. ծովական առաջըն

30 ქ ტორ ნოზაძე

14/X 60

ბუენოს აირესი
არგენტინა

ძვირფასო ქალბატონო სარჩა,

უკვე ორი წელიწადია, რაც მე პარიზს დაბრუნებას ვაპირებ. როგორც იცით, მე იქ ძმა და რძალი მყავს. ეს არ მომიხერხდა სხვა და სხვა, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. და ბოლოს იგი ვადავლიხე და 7 ოქტომბერს დავტოვე ჩილე. ჯერ ესპანეთს მისასვლელად, (სადაც არ ვიცი რამდენ ხანს დაერჩები) და მერმე პარიზს ვისამგზავრებლად.

დიდი მადლობელი ვარ ავთოსი გულუხვი და ხანგრძლივი მასპინძლობისათვის, ჩემი სამი წიგნის დაბეჭდვისათვის.

განსაკუთრებულ მადლობას მოგახსნებთ თქვენ პირადად ჩემდამი კეთილი განწყობილებისა და მეგობრული დახმარებისათვის.

იმედი მაქსი, ჩემ შემდეგ წიგნს მაღრიღში დავბეჭდავ და თქვენის ნებართვით ჩვეულებისამებრ გაღმოვიგზავნით...

ამჟამად ბუენოს აირესში ვარ, საიდანაც ჩემი გემი 18 ოქტომბერს გადის ესპანეთისაკენ, ბარსელონაში იქ ვიქნები 7 ნოემბერს.

გულითადად სალამს მოგიძლენით მიტო. თქვენი წერილი მიიღო და პასუხს მალე გაახლებთ.

ლრმა პატივსცემით
გიქტორ ნოზაძე.

ძვირფასო ქალბატონო სარჩა,

29.XI.61

რომ იცოდეთ, როგორ გამახარეთ თქვენ მიერ გამოგზავნილი თქვენი ფოტო-სურათით. რა კარგად გაუკეთებიათ. ყველას მოწონა.

შიგიღე აგრეთვე წიგნებიც. დიდად მაღლობელი ვარ, ყოველ-
თვის ამ ცალიერ სიტყვას „მაღლობა“ გწერთ და სხვაგვარ კი არ
ძალმის ჩაიმე სანაცვლო მოგიძლვნათ ჩემზე ზრუნვისათვის. ამას
გულწრფელად ვწუხვარ. გთხოვთ, მაღლობა გადასცეთ ბატონ გა-
იოს წიგნების მოწოდებისათვის და თუ აქვს სვიმონ ყაუხჩიშვი-
ლის — ლათინურ-ქართული ლექსიკონი, ესეც მომაწოდოს (და
აგრეთვე თავისი საკუთარი ნაწერებიც).

მიტო ანანიაშვილი, როგორც მწერს, დეკემბრის დამდეგს
გვეწვევა პარიზში — ევთოს შესახებ, სამწუხაროდ, არაფერი
ვიცი.

აქაური ამბავი რა მოგწეროთ? ხალხი ხუცდება და თავს იყრის
ლევილის სასაფლაოზე. ეს არის პატარა სოფელი პარიზიდან 30
კილომეტრით დაშორებული აქ გვაძვს ქართული სასაფლაო. ამას
წინათ დავმარხეთ ონგიზ დადეშელიანი.

იმედი მაქვს თქვენ კარგად და ჯანმრთელად ბრძანდებით და
ლმერთმა ნუ მოგაყლოთ ჯანმრთელობა.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი
ვიქტორ ნოზაძე.



ବୀଜେତନ ନାଥାର୍ଜୁ
ସାନ୍ତୁରୀଙ୍ଗ ଏ ହିଲ୍ୟ

23. ଲୋକୀରୂପୀରୀଳିସ ମାର୍ଗଦାରୀ



Յուրա անանիաշվիլու և Վայնշտեյն նույնականացումը.
Մալթա 1961 թ.

19.VIII.62

ძეირფასო დაო სარრა,

... ნიუ-იორკიდან მივიღე ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე. ეს ორის მარჯვორი უორდროპის თარგმანი, მაგრამ დაბეჭდილია მოსკოვში. შეუკვეთია ფირმას „International Publishers-ს“ წინასი-ტყვაობა აქვს ე. ორბელიანის¹ და ს. იორდანიშვილის².

მე მგონია, ამ წიგნის შექნა მოსკოვში შეიძლება და თუ ეს ორ მოხერხდა, მომწერეთ.

ბერლინში გამოცემულ (ქართულად) ვეფხისტყაოსანს ვინახავ შემთხვევისათვის. იქნებ ვინე წამომსვლელი ვნახო. ერთი ხომ დაიკარგა.

როგორც მიტოს მოუწერია, მე ვაწყობ ჩემს წიგნს და ამიტომ ძალიან დაყავებული ვარ, მიხდება ბევრი მუშაობა. ჩემი რძალი და ძმა სოფელში არიან დასასვენებლად. აქ იყო საქართველოს კათალიკოსი ეფრემ მეორე³. მოვიდა ჩემს ქართულ ეკლესიაშიც, — ვინც კი ამჟამად პარიზში იყო, ყველა დაესწრო.

ძალიან გვესიამოვნა შისი ნახვა.

პატივისცემით სალმით ვ. ნოზაძე

ძეირფასო ქალბატონო სარა,

26.XI.62. პარიზი

მივიღე თქვენ მიერ გამოგზავნილი წერილი. ამ წერილში იყო მონაცერი გაზეთიდან „კომუნისტი“ და უურნალიდან „სკოლა და ცხოვრება“... მერმე გამოვაგზავნე ქართველოლოგიური უურნალი... იმედი მაქვს ადრე თუ გვიან მიიღებთ.

¹ ე. ორბელიანი — ელისაბედ რეაკლის ასული ორბელიანი (ქალიშვილობაში ბაგრატიონი), ფსევდონიმი საზანდარი, 1871 — 1942) ქართველი პოეტი, მთარგმნელი, ერეკლე II-ის (მამის მხრით) და ა. ჭავჭავაძის (დედის მხრით) შთამომავალი. 1919—20 წ-ში რედაქტორობდა გაზეთებს „თავისუფლი საქართველო“, „საქართველოს რესუბლიკა“ (ორივე ფრანგულ ენაზე) და „საქართველოს მოამბე“ (ინგლისურ ენაზე) ფრანგულ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ (გამოიცა 1977 წ.). აგრეთვე ა. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთელის, ვაჟა-ფშაველის და სხვ. თხულაბანი. ფრანგულადც თარგმნა მოერა „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტო და სხვა.

² ს. იორდანიშვილი — სოლომონ გიორგის ძე იორდანიშვილი (1898—1953). ენათმეცნიერი, რესთველოლოგი, მთარგმნელი. ე. ორბელიანთან ერთად ფრანგულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ (გამოვევუნდა 1977 წ.).

³ ეფრემ მეორე — (ერისაციონაში გრიგოლ შიოს ძე სიღამონიძე (1896—1972), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1966—72 წ-ში).

გატყობინებთ, რომ უენევაში გარდაიცვალა გრიგოლ რობაქიძე ამ ერთი კვირის წინათ. 81 წლისა იყო. ძალიან შევწუხდით — მნიშვნელობა არა აქვს ხანდაზმულობას, სიბერეს, როდესაც კაცს ჰატივს სცემ ან გიყვარს, — გენანება მისი დაკარგვა და გლოობა...

ამ ხანის განმავლობაში დავაგროვე სახელები იმ წიგნთა, რომელიც სხვა და სხვა შრომაში დასახელებული შემხვდა და რომელთა წაყითხვა ჩემთვის დიდად საინტერესო იქნებოდა. ამ სიას ცალკე გიგზავნით, აქვე ქალბატონმა ტასომ გამომიგზავნა ხელნაწერთა ვარიანტების მესამე ნაკვეთი და ამით დიდად დამავალა.

ქალბატონი ვენერა ურუშაძის ქართული ანთოლოგის ინგლისური თარგმანი მართლა შესანიშნავია. ერთი თქვენ გამომიგზავნე ახლა იგი ერთმა ჩინელმა წამართვა; მეორეც მიეიღო და იგი აქ წამართვეს. მე მჯერა, ქ-ნ ურუშაძის ინგლისური თარგმანი ვეფხისტყაოსნისა კარგი იქნება. მაგ დალოცვილს პოეტის გაგების დიდი უნარი აქვს და ამას გარდა ნიჭი დიდი, სხვა ენაზე გადატანისა. თუკი ეს რამეში გამოადგება, თქვენი საშუალებით მას გამოუგზავნი ჩემი უკანასკნელი წიგნის ნაწილ-ნაწილად დაბეჭდილ გვერდებს, რადგან მთლიანად წიგნის გამოცემას კიდევ კარგა ხანი დასჭირდება.

დამავიწყდა: კარგა ხანია გამოგიგზავნეთ „ფერთა მეტყველება“ არ ვიცი მიიღოთ თუ არა...

ვეფხისტყაოსნის ესპანურ ენაზე მთარგმნელმა დონ გუსტავომ მომწერა, რომ თარგმანი უკვე სტამბაში არის მიცემული ასაწყიობადო. ავთანდილს გადაუწყვეტია, ბოლოსდაბოლოს მისი დაბეჭდვა.

აქ პარიზში, 15 დეკემბერს ვკითხულობ ლექციას ვეფხისტყაოსნზე ქართული საზოგადოებისათვის.

ხო, კითალიკოსს აქ დიდი პატივით შეხვდნენ ქართველები, ერთმა ქართველმა ძვირფასი სამოსელი მიართვა. დიდი ამბით გაცილეს აეროდრომზე. აუარებელი სურათები გადაიღეს.

სალაშით თქვენი მარად პატივისმცემელი
ვიქტორ ნოზაძე.

წერილთან დართული სია წიგნებისა, რომელთა გამოგზავნასაც ითხოვს ვიქტორ ნოზაძე:

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული „სულხან-საბა ორბელიანი“.

2. საიუბილეო კრებული, მიძღვნილი ფად. პროფ. კორნელი კიკულიძის დაბადების 80 წლის თავისადმი.



3. პ. კიკელიძე და ლ. მენაბდე — „ქართული ლიტერატურის განვითარებისტონია“.

4. ბესიეს თხზულებათა სრული კრებული აღ. ბარამიძის და ვ. თოფურიას რედაქციით. თბილისი, 1962.
5. აკაკი გაშერელია — რჩეული ნაწერები ტ. I, თბილისი 1962.
6. არჩილი — თხზულებათა სრული კრებული.
7. დავით გურამიშვილის თხზულებათა სრული კრებული.
8. ჩვენი საუნჯე — შეოთხე, მეხუთე და დანარჩენი ტომები.
9. ურანალი „საქართველოს ბუნება“ № 5 1962 წ.

1.IV.63.

ძეირფასო ქალბატონი სარჩა,

დღეს ვაპირებდი წერილის მოწერას, და თქვენი წერილიც მივიღეთ. ცოტა შეწუხებული ვიყავით, რომ ამდენ ხანს თქვენი წერილი არ გვქონდა, მაგრამ ამანათის მიღებამ გვახარა, რომ თქვენ ჯანმრთელად და კარგად ყოფილხართ, თქვენ გაიხარეთ ისე, როგორც ჩვენი ლიდა გაახარეთ. თქვენს მიერ გამოგზავნილი ქვიშით. ძალიან მოეწონა და გამოსაჩენ ადგილზე დადგა. ყველი, ტყემალი და გამხმარი საწებელიც თან იყო — გახსენებდით ხშირად და სიყვარულით. მივიღეთ წიგნები. მაღლობა მოახსენეთ ტელეფონით ბ-ნ კონსტანტინეს ქ-ნ ბაბოს და ჩემთვის უცნობ მონაზონ შავდიას წიგნებისათვის...

ავთოსთან სტუმრად იყვნენ თამარ და აკაკი პაპავები ორი კვირით. ახლა უკეთ ბუენოს აირესში არიან, სადაც დიდი ქორწილი იყო. გაათხოვეს თავისი ერთი შეილიშვილთაგანი. გათხოვდა რასაკირველია, არგენტინელზე. ამას გარდა თამარმა გადაიხადა 75 წლის თავი (23 მარტს) აქედანაც მივულოცეთ.

მიტო ისევ მაღრიდშია და მაისში აქ მოსულის აპირებს.

ჩემი წიგნის აწყობა უკვე დასრულდა. ახლა ბეჭდვას შევუდგები და მგონია ამ თვის ბოლოს უკვე მზად იქნება. ცხადია, მოგაწოდებთ, თუ მშეიდობა იქნა.

„ვეფხისტუასნის“ ესპანური თარგმანი ჯერ კიდევ არ მიუცია ავთოს სტამბაში. არ ვიცი, რა აბრკოლებს.

მოქითხვას გითვლიან ჩემი რძალი ლიდა და ძმა გიორგი დიდი სიყვარულით.

სალმით მუდამ თქვენი პატივისმცემელი

ვ. ნოზაძე.

ძეირფასო ქალბატონო სარჩა,

22.V.63

თქვენი წერილი და გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“
მიეკიც. დიდად მაღლობელი ვარ ყურადღებისათვის.

მე გამოგიგზავნეთ თქვენ ერთი ჩემი წიგნი „ვეფხისტყაოსნის
ღვთისმეტყველება“. ამ წიგნში გვერდზე 116, სვეტი პირეელი,
თქვენ პირადად მაღლობა გამოგიცხადეთ და რაც გაიოზს შეეხება,
იგი ხომ ძალიან ხშირად მყავს დასახელებული.

თთო ცალი გაეუგზავნე: „Заря Востока“-ს, ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტს, სახელმწიფო ბიბლიოთეკას, ფილოსოფიის
ინსტიტუტს, აქად. შანიძეს, ნუცუბიძეს, გამსახურდიას, გუგუ-
შეილს, უშრინალებს „დროშა“, „მნათობი“, გამ. „ქომუნისტი“,
„ლიტ საქართველო“, ქართულ აკადემიას...

მაღლობა ღმერთის ერთ ცალს მაინც მიულწევით..

.... სალამს გიძლენიან სიყვარულით ჩემი რძალი ლიდა და ძმა
ვიორევი

ღრმა პატივისცემით ვ. ნოზაძე.

ძეირფასო ქალბატონო სარჩა,

1.IX-64 პარიზი

მხოლოდ გუშინწინ დაებრუნდი პარიზს, ვიყავი მიხეილ წერეთ-
ლის | სანახავად მიუნხენში; იგი ამჟამად 85 წლისაა და არის ლო-
გინად ჩავარდნილი.

¹ მიხეილ წერეთელი — მიხეილ (მიხაელ) გიორგის ძე წერეთელი (ფსევდო-
ნიმები: Batoni, მ. სანგალა (1878—1965) ქართველი მეცნიერი, ფილოლოგი,
პუბლიცისტი. თბილისი და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორი. ფრან-
გულ, გრამატიკა, ინგლისურ, იტალიურ ენებზე ძევეუნებდა გამოკლეუბს და
წერილებს ქართველი ერისა და ქართული ენის წარმოშობის საკითხებზე.
ურარტუს ისტორიასა და ენაზე. 1961 წ. პარიზში გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“
წერეთლის მიერ დადგენილი ტექსტი.

რასაკეირუელია, წუწუნებს ცხოვრებაზე და მის მუხანათობაში და განვიტოვანია მითხვარი, — მითხვა, — მაგრამ უქნარი მაინც არ ვყოფილია მა ქვეყანაზეო...

მიუწენიდან წაველ ციურიხში; აქ ვინახულე შეეიცარელი ქალები, რომლებიც ქართულს სწავლობდნენ, მათი რიცხვი არის: ორა, ორი მათგანი განაგრძობს კიტა ჩხენეელის! მუშაობას: ადგვენენ ქართულ-გერმანულ კრცელ ლექსიკონს, რომლის გამოცემა შეწყდა კიტას გარდაცვალების გამო. ერთი მათგანი იოლანდა მარშევ² უკვე დაინიშნა ქართული ენის მასწვლებლად ციურიხის უნივერსიტეტში. ქალები მუშაობენ თავდადებით და სჭირდებათ, ცხადია, დახმარება. მათთან რამოდენიმე დღე დავრჩი და მომავალში კვლავ მომიხდება მათთან მისელმ. რასაკეირუელია, არ დავიზარებ დახმარება გაუუწიო.

ნიუ-იორკიდან მეწვია გუშინწინ ერთი ახალგაზრდა ამერიკელი, რომელიც ქართულს სწავლობს და რაც კი სასწავლო წიგნი მქონდა, მას მიეცეცი. ამას წინათ კი ფილადელფიიდან მოხოვა ერთმა ამერიკელმა ქართული ენის დაწყებითი წიგნები და მასაც გაუუგზავნება გუშინ გვეწვია ნიუიორკელი ცოლ-ქმარი, რომელიც ქართულს სწავლობს; მე მათ ვერც ერთი ქართულის სასწავლო წიგნი ვეღიარებოდე, რადგან აღარ დამრჩა, მაგრამ დავპირდი მას მიეაწოდო, როცა თქვენგან მივიღებთ.

ამიტომ გთხოვთ, მიშოვნოთ ქართულის შესასწავლი წიგნები პირელდაწყებითი, საშუალო და შემდეგი კლასისა.

თუ იშოვება ინგლისურ-ქართული, ფრანგულ-ქართული ან გერმანულ-ქართული და პირიქით, — გთხოვთ გამომიგზავნოთ, რათა ეს მოხვენელები დავაკმაყოფილო.

¹ კიტა ჩხენეელი — კიტა, (პეტრე) ივანეს ძე ჩხენეელი (1895—1963) ქართველი ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი. 1966 წ.-დან დაიწყო ვრცელი ქართულ-გერმანული ლექსიკონის შემგენა და გამოცემა ნაკვეთებად. მის სიცოცხლეშვევ გამოიიდა 6 ნაკვეთი. ლექსიკონს მე-7 ნაკვეთიდან ხელმძღვანელობდა მისი მოწავე ი. მარშევი. სულ გამოიიდა 26 ნაკვეთი. გამოცემა დამთავრდა 1974 წ.

² იოლანდა მარშევ-იოლანდა მარშევი (1920..) შეეიცარიკელი ქართველოლოგი, ციურიხის უნივერსიტეტში პროფ. კიტა ჩხენეელის ხელმძღვანელობით შეისწავლა ქართული ენა. კ. ჩხენეელის გარდაცვალების შემდეგ მიენდო უქართულ-გერმანული ლექსიკონის დამთავრება. ლ. ფლურისიან და რ. ნიკიფოროვანი ერთად მან ლექსიკონის გამოცემა დამთავრა 1974 წ. ივი 1964 წლიდან განვებს ქართული ენის კათედრას ციურიხის უნივერსიტეტში.



აქაურ რუსულ წიგნის მაღაზიებში, სამწუხაროდ, ქართული წიგნები არ მოიპოვება და შეკითხვაზე, თუ რატომ არა აქვთ, მიპასუხეს — არ აგზავნიან! ამიტომ არის, რომ ასე გამწარებით ეძებენ ქართულ წიგნებს ქართულის შემწავლელი მსურველები...

ჩემს აქ არ ყოფნისას ლიდას მიულია ძლვენი თქვენგან გამოგზავნილი. მაღლობას მოგახსენებთ, მაგრამ საამისოდ ნუ იწუხებთ თავს — ისედაც დიდად დავალებული ვართ თქვენგან.

მიტო ქარგად არის და ელის ვიზის მიღებას, დიდი სურვილი აქვს თბილის ორიოდე თვით მოვიდეს.

„ქართლის ცხოვრება“ მაქეს. სად არის გაიოზი? ნუთუ თბილისში აღარ იმყოფება? ახლო მომავალში გამოგიგზავნით ვეფხის-ტყაოსანს ბ-ნ შალვასთვის, გთხოვთ, გადასცეთ მას ჩემი სალაში. აგრეთვე ქ-ნ ბაბოს! და თქვენიანებს.

სამწუხაროდ, არ შემიძლია მიწერო წერილი ნონეშეილს², ამას აქ ვერ აგიხსნით. იქნებ მიშოვნოთ ვახუშტი კოტეტიშვილის „ომარ ხაიმის რობაიები“.

გისურვებთ განმრთელად ყოფნას თქვენი
მარად პატივისმცემელი ვ. ნოზაძე.

ლრმად პატივცემულო ქალბატონო სარა,

28.IV.64 პარიზი

თქვენს მიერ გადმოგზავნილი ფრანგულ-ქართული ორტომიანა ლექსიკონი მივიღე. დიდ მაღლობას მოგახსენებთ. უკვე გავუგზავნე მკითხველს.

იქნებ იშოვნება დათიყაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი?

ვთხოვ გაიოზს მიშოვნოს პლატონის „ნადიმი“, თარგმანი ბაჩინა ბრეგვაძისა.

თუ გსურთ მისწერეთ კვალიაშვილს და ის გადმოგიგზავნის თქვენ აქაურ ეურნალს.

პატივისცემით ვ. ნოზაძე.

¹ ბაბო — ბაბო გოქისაძე, თამარ პაპავას და.

² ნონეშეილი — იგულისხმება იოსებ ნონეშეილი.

24 օգոստոս 64

մշության դա և պարզութեան վալծարոն սահա,

ցուշին մոցուա տէցենցան ծահատո զոյթորու սաხելիք, հռմելու թասնուն ճասաւընենեծուած. մը մոցուու հիմս տաց ենեա ցամեթենա ց ծահատո, հագան գուգու են կանու արագուրու մոցաւուն տէցենցան դա Շեմիշեծունու զոյցուու. ցարդա ամուս զոյթորու պոցուլուուն ցայցուեծ տէցեն ծահատուն, հատա ցացանարուն. մալուս ցասուամոցնու տէցեն յարցած պոցնու. ռունու մեթիսն, հռմ հիմո ծահատո ար մուլու բարունու սուրատցու ոսու), սալու ցուեցուու գուց, գուց մագլունա ցուուաս մոտեհրուեծուսաւուու. (հիմո ունենա ոսու ամ թունու յունենա), հռմելմաւ այնիշելու ցտուրուրու, პուրուրու դա նապոնալուրու ցանցուեն մոմցարա!

կուց գուց, լուրմեսու մագլունա. ց թունու ցաւագու եւլունան եւլիշու — մոնցա անալցաթրուեծմա ցաւնոն հիւնս նույուր միջուրուենս.

ածա, հռցուր Շեցունուատ օյցիրու, հռմ ար ցուասնետ?

տումբա პարագած ար ցունուտ, մաշրամ տէցեն հիմուուս წարմուացցեն ցանեսրուուեծմա օդցալուրու յարտցուլու մանթունունու, դա ար ցցունուտ ց մեռլունց, մուտու հռմ ունեն ամուցն սանցարու նիւնցաս դա პատուասույթաս հիւնս ոչախուսագմու, հաւ դաշության ծուլուա...

համուցնում գուց, հաւ մոցուա թունենուս ամանուու. գուց կո որու սուլցունեցու, գուրգուրուեցու դա մշենուրու սուրատու. գայուսաւեցու գուրգուրուեցու ցանսայտրուեցու եալենուրու մուսոյա. մագլունա լուրուտու, մեռլունց որու ոսու ցարցենուլո. ացրուցու յուրնալո — “პունչուս գուց”, հուտցուսաւ սանցարու մագլունա.

հաւ Շեցենա մցու ամծացս, ցուրագուրու ցարցուու, հագան ցրու տցու პարուն ցարցու զոյցուու ցոցու¹ դա մը. Շեմուց կո զոյթորու թաւուց ճասաւընենեծուած. հռցուրու հանս, ծեցրու ույցուալա, հագան մոցաւուու լուս ծահատու ծելցուուան, პունցուու գուց, ցուրմանու լուս. Մցուըսարուուան, գուց սայցանցուուան. պայցան մեցուն

¹ ցոցու — ցուուցու (ցոցու) նոնացու — զոյթորու նոնացուս միա.

რები ჰყავს. — მორალურად მაინც დაისვენებდა. ძალიან შექმნილი მუშაობს. სათქმელი ბევრი აქვს და ეშინია დროის დაკარგვის. ამ დღეებში ალბათ დაგეიბრუნდება და რასაკირკელია, მაშინათვე გიპასუხებთ.

გოგი გეამბორებათ ხელზე. მე კი მაგრათ და გემრიელად გუონით. მომიყითხეთ, ვისაც კიდევ ვახსოვარ. იყავით სულ ჭანსაღად და ბედნიერად ყველა თქვენიანებით.

მუდამ თქვენგან დავალებული ლიდა.

მ ი ხ ე ი ლ კ ვ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი¹

დიდათ პატივცემულო ქალბატონო!

მივიღე თქვენი წერილი, რომელმაც ძალიან გამახარა: ჯერ ურთი რომ პასუხის მოცემა ინებეთ და მეორე რომ მიიღეთ ბ-ნ კიკ-ტორის შრომა როგორც თქვენ ისე „ლიტ. ინსტ.“. და ბ-ნ აკადემ. ა. შანიძემ—აქამდის გამოვგზავნე 11 წიგნი—(3) სამის დასტური მივიღე, დანარჩენებში არა სახელდობრ: „ფილოსოფ. ინსტ.“, აკად. კონსტ. გამსახურდია, აკად. პროფ. ალ. ბარამიძე, აკად. პაარა გუგუშვილი, სახელმწიფო ბიბლიოტეკ; პროფ. იმნაიშვილი, ბიბლიოლიოტეკა. გოგებაშვილის სახელობის, „ისტორიის ინსტიტუტი-სა“, — (8) — მე მგონი რომ თუ თქვენ მიიღეთ — ისინიც მიიღებდნენ აუცილებლივ იმ მისამართების მიხედვით, რომელნიც მომაწოდა ბ-ნ ვიკორმა, კიდევ 17 ცალი უნდა გადმოვგზავნო — ენდანან, რამდენიმე დღით შევწყვიტეთ, და ველი ახალ ამანათს!

¹ მიხეილ კვალიაშვილი — მიხეილ ივანეს ძე კვალიაშვილი (1901 — 1983) იუნივერსიტეტის წევიდა ნ. უორდანის წასელისთანავე. დაუმცვიდრა და ცხოვრობდა პოლონეთში, ჯერ კრაკოვში, ხოლო შემდეგ პოზნანში. იყო პოლონეთის ნაც. არმიის ოფიცერი, რის გამოც ჯერ გერმანიის საკონცენტრაციო ბანაქში მოუწია ჯდომამ, შემდეგ კი 12 წელი იმყოფებოდა პატიმრობაში ინტაში, კომის ასსრ-ში. მუშაობდა პოზნანის სამხედრო მუშეულის დირექტორად. მუდმივ კონტაქტში იმყოფებოდა ქართველ ემიგრანტებთან და მათთან ერთად ეწეოდა აქტიუტ ლიტ. მუშაობას. (ფლობდა პოლონერ, ესპანერ და იტალიურ ენებს).



გაუიგე რომ პროფ. ამირანაშვილს გამოუცია ორი წიგნი ქართველი იულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, სურათებით და ილუსტრაციებით: სხვათა შორის მეც უკვე შევუდექი წერას „ქრისტიანობის ისტორია საქართველოში“, ეხლა სამუშაო მასალას ვამთავრებ — რაღაც ეს საკითხი საუბრებუროდ ევროპაში ცნობილი არ არის და ეხლა კი ძალიან სჭირდებათ ქართული ეკლესიის და ქრისტიანობის ისტორია საქართველოში — სწორეთ იმიტომ ვიკისრე — ქონსპექტის სახით მაინც, მიმეწოდა ფართო საზოგადოებისათვის, ევროპისა. მაკლია ძალიან საჭირო ელემენტი, ე. ი. სურათები ექლესიების, საყდრების, მონასტრების და სხვა მშენებლობისა, რომელიც გადაბმულნი არიან ქრისტიანობასთან საქართველოში. თურმე (თუ ეს სინამდვილეა) სწორედ პროფ. ამირანაშვილი თავის ორ წიგნში შეეხება ამ საინტერესო თემას, რომელიც მე ძალიან მჰირდება — თუ შესაძლებელია იმისთანა წიგნებით — დამეხმაროთ, რომელიც შეეხებიან ჩემს მიერ დასახელებულ თემას!

თუ პატივურემული ავტორი მოისურვებს თავის ნაწარმოების, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე გადაგზავნას სათანადო ქვეყნებში და თუ აქადის არ გაუგზავნია, მე შემიძლიან გადაუგზავნო იმ პირობით, რომ იქ სათანადო კულტურულ დაწესებულებას ჩაბარდეს — დღევანდელ პირობებში, ამისთანა კულტურული დაახლოება ევროპისთან ძალიან დროზე და მიზანშეწონილი არის — თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ თუ როგორ უნდა ევროპას თითონ საქართველოსთან დაახლოვება. უშუალოდ — ქართველი ერი თავის წარჩინებული და ცნობილი კულტურით ბალი არ არის, რომ ვინმემ ხელით ატაროსო — მაგრამ ევროპას ზოგი რამ არ ესმის. — ამისდა მიუხედავად კულტურული ურთიერთობა ყოველთვის არის საჭირო!

ორი დღის წინათ იყვნენ აქ ქართველი ტურისტები ქალ-ვაჟნი, — მნახეს სამხედრო მუზეუმში — სადაც ვმუშაობ! — დარღმა და სევდამ გამიშრო სიცოცხლე — დღე და ღამ ფიქრით სამშობლოში ვარ. აღნიშნულ შრომით გულს ვისვენებ ამით მაინც ვემსახურო მეთქი — როცა შვილები (სამი გოგონა — ნინო¹, მაიკ² და

¹ ნინო — ნინო მიხეილის ასული კვალიაშვილი, ექიმი. ამჟამად ცხოვრობს აფრიკალიაში, ქ. ადელადეში.

² მაიკ — მაიკ მიხეილის ასული კვალიაშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი. 1965 წ. დაიცა დისერტაცია დავით ლანგის ხელმძღვანელობით, თემაზე: „ქართველი ეთნოგრაფია“. ამჟამად ცხოვრობს ამერიკაში.

მანანა¹⁾) დაამთავრებენ უმაღლესს, ალბათ ვერ მოვითქმინ და ტექსტის გადაცემი — რას გავაკეთებ და რითი ვიცხოვრებ ამაზე არც ვფიქრობ! მხოლოდ ჯერჯერობით მოთმინებაა საჭირო! ზემო ხსენებული საჭირო წიგნების გარდა ძალიან მეინტერესება: 1) თუ რა ლირს თქვენებურ ფულზე ქართული საწერი მანქანა; 2) თუ ნამდვილია რომ „ივერიის ღვთის მშობლის ხატი“ — რომელიც რევოლუციის წინ კრემლის წინ იდგა — იმყოფება თბილისის მუზეუმში, ცხადია როგორც ექსპონატი მერეე საუკუნისა — აქაური სპეციალისტები ეთნოგრაფები მეკითხებიან — აგრეთვე ისტორიკოსები ძველი ხელოვნებისა, რომელიც მანდ ჩამოსვლას აპირებენ სანახავად — საქართველო და საზოგადოთ კავკასიონი ეხლა ისევ „მოდა“-ში შედის! ცხონებულმა კენედიმ ორგერ ილაპარაკა ქართველ ერზე და მის კულტურაზე! საინტერესო ბევრია — უცვლელი არაფერია ქვეყანაზე — რომელიც ბუნების კანონის ძალით მიღის წინ თავისუფლებისაკენ — ადამიანის სურვილების გარეშე!

გულწრფელად გისურვებთ დიღხანს სიცოცხლეს ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

პატივისცემით მიხეილ კვალიაშვილი.

10.II.64 წ.

დიდათ პატივცემულო ქალბატონო!

27.II.64

თქვენი წერილი გამოგზავნილი 20-II-დღეს მივიღე! საღამო არის, ამ წერილს ხვალ გამოგიგზავნით. რაც შეეხება ვიკტორის წიგნებს, ბატონ. გ. იმედაშვილს (კოტე მესხის ქ. № 21 თბილისი) ოთხი დღის წინ გავუგზავნე — სახელდობრ — ბატონ შალვა ასათიანის — ბ. ვიკტორის სიახე არ არის მოთავსებული მისამართი და არც გვაქვს, გთხოვთ მომაწოდოთ და ხელათშივე გავუგზავნი — სხვათა შორის, ბ. ვიკტორი მწერს, რომ თქვენ უნდა გადმოგიგზავნოთ რამდენიმე ცალი, ალბათ იმ აზრით, რომ თქვენის მიხედვით დაურიგოთ — მაგრამ ისე არ მოხდეს, რომ (რადგანაც მეც უგზავ-

¹⁾ მანანა — მანანა მიხეილის ასული კვალიაშვილი, ამჟამად ცხოვრობს პოლონეთში ქ. ვარშავაში.



Յօնեալ յազալուաշվուլո. Առլոնետու նախորհական
ահմատի ռազմական (ռմաթլց)



Յօհենը կը ալուա՛Շցովուս դասակարգացը
პուշնանո



Նոյ համօնցովուս զայսի պայտ համօնցովուս դա մասս կը ալուա՛Շցովուս (Մյորի հոգին,
մյեսամբ դա մյոտեք) յորթինենքուն պը հըմոննալո. Տրումարտա Մոռնուս ահուն դացուգ
լանցո (Մյորի հոգին პորցելո) դա նոյ համօնցովուս յալուա՛Շցովուս համօնցովուս-
՛Շցու կը ալուա՛Շցովուս (Մյորի հոգին մյորի)

ნი სიის მიხედვით) ერთმა პიროვნებამ ორი ცალი არ მიიღოს (შალვა ასათიანი თუ არის ნათესავი ალექსანდრესი, რომელმაც პარიზის ემიგრაციაში რამდენიმე წიგნი გამოსცა ომის წინ?)

ბატონი ჩემო! რაც შეეხება იმას თუ რა მიჯდება მე ამ წიგნების გადაგზავნა-გადმოგზავნა — ამაზე ნუ სწორდებით — მე იმას ვუყურებ თუ რამდენათ მდიდრდება ქართული ლიტერატურა — ამისთანა საქმეებში ლარიბი იდამიანი უფრო მაღალ გაუწევდის ხელს, ვიდრე მდიდარი ე. ი. უფრო გამოსაღევია — იმედი მაქვს რომ ამ საქმეს რომ დავამთავრებ, არც ერთი, არც მეორე მხარე არ დამემდურება. — დღეს მივიღე ორი წიგნი — და ეხლა ესე გადავწყვიტე: ერთს გამოვგზავნი თქვენს მისამართზე და წავაწერ: ბ-ნ შალვა ასათიანისათვის — და ისე მთლიანად გადაეცით — კუიქრობ, რომ ყველასე კარგი გამოსავალი ესეთი იქნება, მით უმეტეს, რომ ბ. გ. იმედაშვილმა უკვე მიიღო! მე არ ვიცოდი თუ ბ-ნი ვიკრორი იქიდანაც გზავნის წიგნებს საქართველოში. შეიძლება მართლაც ისე მოხდეს რომ ერთმა ორი წიგნი მიიღოს!...

ეხლა, ბატონი ჩემო, რაც შეეხება ზუსტი კავშირის დაპერას პროფესორებთან — მეცნიერებთან რასაკვირველია ძალიან საჭიროა და გეთანხმებით მთლიანად! (წინა წიგნი იყო კატოლიკოს პატრიარქისათვის, თუ მიიღეთ?)

შემდეგ საწერი-საბეჭდი მანქანის შესახებ — ხანდახან ტურისტები ჩამოდიან ხოლმე და თუ მანქანა არა, შრიფტის ჩამოტანა შეიძლება — მე გავიგებ აქ ბანქში თუ რამდენი იქნება აქოურ ფულზე 250 მანეთი (ახალი) და ამის შესახებ კიდევ მოგწერთ! — ამ წუთში ვერ მომიგონია ლეო და ტასო ხუციშვილები! რა პირობებში გავიცანი, მაგრამ მიტო ანანიაშვილის დაა, როგორც ვიცი და როგორც მახსომის, გამეხარდა რომ ცოცხალია და ეხლა მივწერ ბ-ნ ვიკრორის საშუალებით.

— საეჭლესიო საკითხი: — არის წიგნი საბინინისა — საქართველოს სამოთხე (მგონი ქართველი ბერია (1871—80) სწერდა: „მთავარი აზრი რომელიც მე მეინტერესება — ეს არის: რომ „ქართულ ეკლესიას არ სწამდა, არც სწამს ეკლესიების განთიშვა“.

კიდევ მოგწერთ. დიდი პატივისცემით მიხ. კვალიაშვილი.

¹ ლეო და ტასო ხუციშვილები — ლეო — მიტო ანანიაშვილის სიძე ლეო ხუციშვილი, ტასო — მიტო ანანიაშვილის და, ანასტასია სიმონის ას. ანანიაშვილი-ხუციშვილისა.

დიდათ პატივცემულო ქალბატონო!

იმედი მაქვს, რომ დამატებითი ორი წიგნი თქვენს სახელზე გამოვგზავნე განძრახული უნეტარეს კათოლიკოს-პატრიარქისათვის და ბატონ შალვა ასათიანისათვის — მიიღეთ; რადგანაც მე და ბ-ნ ვიკტორი ხშირად ვწერო ურთიერთს, მინდა შევატყობინო თუ ზემოხსენებულ ორ პიროვნებამაც მიიღეს წიგნები.

უკვე 29 წიგნი მაქვს გადმოგზავნილი საქართველოში იმ სიის მიხედვით, რომელიც ბ-ნ ვიკტორმა მომწერა.

თქვენ მიგიწერიათ ბ-ნ ვიკტორისათვის ქართული საწერი მანქანის შესახებ ან ქართული ასოების შესახებ ჩემთვის. მე მინდოდა გამევო მარტო ფასი, რაც უკვე გავიგე თქვენგან და დიდ მაღლობას გითვლით. რაც შეეხება ყიდვას ჩემთვის, ძალიან გთხოვთ ნუ შეწუხდებით. მანამ მე არ მოვაწესრიგებ ამ საქმეს და აქ სათანადო თანხას არ გავიჩენ მხოლოდ მაშინ შემიძლიან ამისვე შესახებ მოწერა და თქვენი შეწუხება. მართალი ბრძანდებით რომ შრიიფტი ქართული ასოებისა უფრო იაფი დაჯდება და დანარჩენს აქვე გავაკეთებინებ. ამ საქმეში „თანამშრომელი“ იქნება ჩემი საყვარელი ღვიძლი და ნინო მდიდარი (ეხლა ქვრივია) თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 50 ტელეფონი—2-23-31 — საღამოს ხუთი საათის შემდეგ სახლშია, უკვე მივწერე თქენზე, ბატონო ჩემო, და თქვენთან ალბათ გაიცნობს ტასოს და ლეო ხუციშვილს — მე ლეოს უკვე მივწერე წერილი. თქვენ მიერ გამოვგზავნილი კალენდარი უკვე მიეიღე — ძალიან დამავალეთ, როგორ და რითი გადაგიძლით, ბატონო ჩემო!

რაც შეეხება წიგნებს—რომ ზოგნი ორ ცალს იღებენ, მივწერე ბ-ნ ვიკტორს ამის შესახებ უკვე და უნდა თითონ მოაწესრიგოს ეს საქმე. — მე მის მიერ მოცემული სიით ვსაჩვენებლობდი, მით უმეტეს რომ მე ხომ არავის კიცნობ!

როგორც მოგწერეთ, მე უკვე დავამთავრე წიგნების გადმოგზავნა და თუ ახლათ მივიღებ, მისამართების სიაც უნდა იყოს დართული ან თუ ყველა წიგნები თქვენს სახელზე იქნება გადმოგზავნილი. ე. ი. როგორც ბ-ნი ვიკტორი მომწერს, ისე მოვიქცევი. მე დიდის სიამოვნებით ვაკეთებ ამ საქმეს და ვშუამდგომლობ ამ გზით ქართული ლიტერატურის გამდიდრებას — ყველანი ქართველები ვართ და უნდა ვიყოთ ჩენი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდის —

ჩვენ აქ, უკროპაში მყოფ ქართველობას მობეჭრდა ეულობის გარეშე ნოსტალგიაში შეგვეძი — მეორე მხრივ გრდემლის და ჩაქუჩის შუა ვართ — უდანაშაულო დამაზავენი — ღიდი უსამართლობა და უსეინდისობა ხდება ქვეყანაშე, მაგრამ ჩენ ვართ მარტო პატარა უბრალო პიროვნებანი, რომლებსაც გვაქვს მოცმული ნება ცხოვრებისა! რაც შეეხება ჩემს შვილებს, რომელნიც უმაღლესებზე სწავლობენ, ქართული არ იციან. მხოლოდ უნცროსი მანანა იჩენს ბეჭითობას და ხანდახან მომიჯდება გვერდში და სწერამს და კითხულობს დედაენას (მე 12 წელიშადი არ ვიყვავი სახლში, ლაგერებში ვიჯერი ინტაში, კომი ასრ, რამაც ღიდი ზიანი მოგვაყენა როგორც ოჯახს, ისე მე. დავკარგე თრი ფაქულტეტი სამართლის და ეკონომიკის, რაც დავბრუნდი, დღედაღამ ვმუშაობ ოჯახის შესახახდ; ოღონდ მოვესწრო შეიღების მიერ უმაღლესის დამთავრებას. ჩემი მეუღლე პოლონელია, ძალიან კარგი ქალია. 1942—44 იცოდა ქართული, მაგრამ უბედურებამ ღილეში ყვეალფერი — დაკარგულს ვერავინ ვერ დამიბრუნებს — ჯერჯერობით წელში ვამართული იმიტომ ვარ, რომ უზენაესად მიყვარს ჩენი ერი და სამშობლო. ეს არის ჩემი სიცოცხლე! აბა ბატონო ჩემო! 29 მარტს არის აღდგომა — ვისაცა კიდევ გწამო მაცხოვარი მოგილოცავთ თქვენ და ყველას, მე მორწმუნე: ქრისტე აღსდგა!

ღიდის პატივისცემით თქვენდამი მიხეილ კვალიაშვილი.

22.III-64 წ.

ღიდად პატივცემულო ქალბატონო!

ამ მოკლე ხანის განმავლობაში გამოგიგზავნეთ 13 წიგნი და იმედი მაქვს რომ ყველა უკვე მიღებული გაქვთ!

აბა, ბატონო ჩემო, ამდენი შეწუხება მოგაყენეთ, მაგრამ ამასთანავე ერთად კარგი და სასარგებლო საქმე, ჩენი მეცნიერული ლიტერატურის სასარგებლოდ, ჩავატარეთ!

როგორც ბ-ნი ვიკტორი მწერს, რამდენიმედა ცალს თუ გამოგზავნის კიდევ — ისე კი, მგონი უკვე მოთავდა ამავე წიგნების გადმოგზავნა — შეიძლება რომ სხვა რამე წიგნები მივიღო, გამოცემული საზღვარგარეთ!

ბატონი ჩემო განა თუ რამე დაბრკოლება არსებობს როში მუქი იმით რომ
ტონ ვიკტორი ნოზაძეს, საქართველოს აკადემიის რუსთველოლო-
გიის ნაწილის საპატიო წევრობა მიანიჭონ ამ ტიტანური შრომის
შესრულებაში: ვეფხისტყაოსნის ფერთა გარსკელავთ — მზის სა-
ზოგადოებათ — და ღმრთის მეტყველბა — ამით ძალიან დიდი და
უძვირფასესი ღვაწლი შეიტანა და გაამდიდრა ქართული ლიტე-
რატურა.

მე შემომაჯვა ეს წინადადება ბ-ნ ვიკტორის წარჩინების შესა-
ხებ და იმედი მაქვს რომ თქვენც მხარს დამიჭერთ და სათანადო-
პირებთან საუბრის შემდეგ სათანადო დაწესებულებაში თამამად
წარმოაყენოთ ეს მნიშვნელოვანი საქმე — ამის შესახებ, უმორჩი-
ლესად გთხოვთ, თქვენი აზრი მომწეროთ! — ამასთანავე ერთად
გითვლით ჩემს გულწრფელ სურვილებს ჯანმრთელობასა და დიდ-
ხანს სიცოცხლეს გისურვებთ მსოფლიოს სამოთხეში — საქართვე-
ლოში!

დიდი პატივიცემით მიხეილ კვალიაშვილი

18.V.-64 წ.

დიდათ პატივცემულო და ძვირფასო ქალბატონი სარრა!

მივიღე თქვენი წერილი გამოგზავნილი 17.VII და რამდენიმე
დღის დაგვიანებით დიდი სიამოგნებით გიპასუხებთ! უპირველე-
სად ყოვლისა დიდი მაღლობა, ვხედავ რომ ყეველა წიგნები ბ-ნ
ვიკტორის დაბინავებულია! ბ-ნ ვიკტორი ძალიან კმაყოფილია რომ
მისი ასი წიგნი სამშობლოში მოხვდა და თანაც ყველას მოსწონს
მისი ნაშრომი, რითაც დიდი ღვაწლი შეიტანა რუსთველოლოგიაში!
ძმურად გეხვევით და გიყოცნით ხელებს. ეხლა შვებულების და
სააგარაკო დროა და ყველანი გაფანტულნი არიან. ისევნებენ და
საქართველოს სამოთხის ბუნებით ტკბებიან! მომავალ თვეში ე. ი.
VIII ჩემი მუზეუმი დაკეტილია — ამ თვის მეტ წილს გავატარებ
პოზნანში — უნდა დავამთავრო ჩემი შრომა — შემდეგ, სამხედრო
საავადმყოფო მგზავნის მე სანატორიულ მკურნალობაზე, მხოლოდ
ჯერ არ ვიცი რომელ თვეში! ჩემი გოგონები: ნინო მიდის სამეურ-
ნალოდ — მაინო — სექტემბერში მიდის იუგოსლავიაში, — მანა-
ნა — ზღვაზეა. — ყველანი თავის ხარჯით! ახლო მომავალ თვეს,

თუნდაც შეებულება მექნება, მაინც ყოველ დღე თვალყურს ვა-
დევნებ ტურისტების მოძრაობას — ძალიან ვნანობ, რომ ვერა
ენახე ჩემი მოძმენი ეხლა. ჩემგან კი იყვნენ რამდენიმე ნაბიჯი და
ჩემს ყოფილ ჭარისკაცს ელაპარაკეს სასტუმროში! თუ რამ ჰქონ-
დათ დასატოვებელი, უნდა დეეტოვათ იქვე იმ კაცისათვის, ჩემი
გვარის წარწერით — ან თუ ვეერდზე არის უზარმაზარი შენობა
მთავარ ეროვნულ მუზეისა! მე აქ ცნობილი ვარ და თითონ მომი-
ტანდნენ სახლში. — დავემდურე ჩემს ბედს და დიდი უსიამოვნობა
და სიმწარე ვიგრძენი — ეს პირველი შემთხვევაა, რომ ვერა ვნა-
ხე ჩემი ძმები — ერთ მათგანს თურმე ცრემლები ადგა თვალებზე,
ისე უნდოდა ჩემი ნახვა. ხომ იცით, რომ პოლონელებს ძალიან უყ-
ვართ ქართველები და როცა აქ არიან, თამამათ მოიქცნენ და ნუ-
რაფერს ერიდებიან ჩემს აქ პოვნაში თუ ძებნაში! ძვირფას ცხონე-
ბულ ბ-ნ აკავისთან! მქონდა მიწერ-მოწერა და მისი სიკვდილი,
როგორც მენი ისე დამეცა თავზე! რა ვქნათ ბატონო, ამ აუცილებ-
ლივ ბუნებრივ კანონს ვერ აუხვევს ადამიანი. — თავისი 7 ნაშრო-
მი და პატიოსანი მოღვაწეობა მაინც დაუტოვა საშობლოს! ბუ-
ენოს აირესში არის პატარა ჯგუფი ქართველების და ქალ-ნ თამა-
რას არ დასტოვებენ ობლად! მწარეა ცხოვრება, ადამიანის მიერ
გამოგონილი უსამართლობით! ეხლა მივიღე ბ-ნ ვიკორისგან
5 წიგნი „კავკასიონი“ № 9, 8 ცალი წინათ გამოვიდა და ეხლა გა-
აახლეს, გამოცემა, რაც ჩვენ ემიგრაციას ძალიან სჭირდება. სხვა-
თა შორის, ძალიან მეინტერესება, თუ მიიღოთ ბ-ნ ვიკორის
წიგნებთან ერთად დართული პატარა წიგნები? რაც შეეხება „სა-
ქართველოს სამოთხეს“! იმიტომ არ გამოუშვეს და თქვენ დაგიბ-
რუნეს, რომ ეგ წიგნი უნიკატია, იშვიათი და სალზეარგარეთ არ
გაუშვეს. მაგრამ შეინახეთ, იმიტომ რომ შეიძლება გამოიგზავნოს
უნივერსიტეტის წიგნსაცავის საშუალებით, კულტურული გაცვლა-
გამოცელის ნიადაგზე. ამას შემდეგ მოვაწყობთ! რაც შეეხება „კავ-
კასიონს“, ველი წერილს ბ-ნ ვიკორისაგან, თუ ეს 5 წიგნი აქვს
გათვალისწინებული საქართველოში, თუ აქ პოლონეთში დასარი-
გებლათ? ქ-ნ თამარა პაპავასგან ველი წიგნებს, რომლებიც უნდა
გადმოვაგზავნო საქართველოში მისამართების მიხედვით. ამით
მინდა პატივი ვცე ბ-ნ აკავის ხსოვნას!

¹ აკავი — აკავი პაპავა.



თბილისის უნივერსიტეტის წიგნსაცავის გამგეთ არის პ. დოლიძე, რომელთანაც კავშირი მაქვს. როგორც მიწერ-მოწერა, ისე წიგნების გაცვლა-გამოცელის ნიადაგზე. ამიტომ ბ-ნ დოლიძეს შეუძლიან გადმოგზავნოს „საქართველოს სამოსხე“, სახელდობრ თქვენ მიერ შეძენილი წიგნი.— იქნება ლევანი დაეკითხება დოლიძეს თუ როგორა სჯობიან, რადგანაც წესი და მისამართი აქაური უნივერსიტეტის აქვს მანდავე! ჩემი და ნინო მწერდა, რომ ეხლა სააგარაკოთ წყნეთში იქნებიან და იქიდან სამსახურში ივლის — სხვათა შორის მატყუბინებს, რომ აპირებს ტურისტათ აქ ჩამოსელას—თქვენც სთხოვთ ჩემს დას ჩემი ოჯახის სახელით, რომ მავ განზრახვაზე ხელი არ იღოს და უსათუოდ ჩამოვიდეს! მე პირადათ, საუბედუროდ, არავითარ შემთხვევაში ჩამოსელა მანდ არ შემეძლება მხოლოდ და მხოლოდ უფლობის მიზეზით და თუნდაც შემთხვევით—გამიჩნდეს ფული ჭერ უნდა მაიოს შევუწყო ხელი, რადგანაც მერმის 3—4 თვეით, აპირებს საქართველოში ჩასვლას თავისი სპეციალისტობის ეტნოგრაფიის შესწავლის საკითხებში — ესეთია გეგმა, თუ რა მოხდება, ღმერტომა იცის მარტო! თქვენც გიკუთნით დასვენება და ძალის მოკრეფა მომავალ თანამშრომლობისათვის, რომელსაც შემოდგომაზე დავიწყებთ ჩენ ქართულ საერთო საქმისათვის!

ვინც დაგვშორდნენ, ისინი ბეღნიერნი არიან, იმათხე ნუ სწუხართ, ვაი ჩვენ, ამ მიწაზე მოსიარულნეს! ღრმა რწმენა ყველა-ფერს გადალახამს — მშერს გააძლობს და ღარიბს ამდიდრებს!

გისურვებთ ჭანმრთელობას და კარგათ ყოფნას.

გულწრფელი მოკითხვა ტასიკოს და ლევანს.

თქვენი პატივცემულობა

მიხეილ კვალიაშვილი.

28.VII-64 წ.

დიდთ პატივცემულობა და დიდათ ძვირფასო ქ-ნო სარჩა!

თქვენი წერილი და თან დართული ბ-ნ გაიოს იმედაშეილის ნაწერი მივიღე 17.IV და მხოლოდ ეხლა გიპასუხებთ იმის გამო, რომ ველოდი იმ ამანათის შილებას, წიგნების სახით, რომელსაც თქვენ იხსნიებთ წერილში. საუბედუროდ, ამანათი აქამდის არ მიმიღია,

შეიძლება იმ მიზეზის გამო, რომ სასულიერო შინაარსისა იყო.
ე. ი. ლოცვანი? დიდი მაღლობა ნინო შევდის წიგნებისათვის და
სალამი მას. იმედი მაქვს რომ შემდეგი 5 წიგნიც უკვე მიღებული
გაქვთ. ეხლა ველი კიდევ 9 წიგნს, რომელიც ბ-ნ ვიკტორმა რკი-
ნისგზით გამოგზავნა უკვე დიდი ხანია და გერ არ მიმიღია —
შემდეგ ამანათებს, გამოგზავნის თარიღს ყოველთვის მივაწერ
თქვენი სურვილისამებრ!

თითო წიგნის გადმოგზავნის ხარჯი, როგორც თქვენ შევითხე-
ბით, ეღირება 8—10, 50 ზლოტამდე. თურმე 1 მანეთი — რუბლი =
= 15 ზლოტი, ესე მითხა უკანასკნელ ქართველ იურისტების ჯგუ-
ფის უფროსმა, ე. ი. დაახლოებით 60 კაპიტ ეღირება თქვენს ფულ-
ზე, — ამას ხომ მნიშვნელობა არა აქვს ბატონო ჩემო, ეს საერთ
საქმეა უნეტარეს კათალიკოს პატრიარქისგან არაფერი მიმიღია. —
„საქართველოს სამოთხეს“ ნე გამოგზავნით, ჩემო ბატონო, —
მეშინიან არ დაიკარგოს ეგ იშვიათი წიგნი.

ძალიან მესიამოვნა, რომ ჩემი და ნინო თქვენს სანახავად და
გასაცნობათ მოვიდა. მართალია 43 წ. არ მინახია მაგრამ მიყვარს
ისევე, როგორც ჩვენს ოჯახში, გორში ცხოვრების დროს და ვიცი
რომ მყავს და და მეორე, ლიზიკო გორში: მყავდა კიდევ ძმა ერთად-
ერთი რეზო, როგორც გარდაიცვალა 4 წლის წინათ და დასტრივა
მეუღლე და 4 შეილი, ვანო, მიხეილ, მურად და პატარა ლიზიკო!
მე მყავს მხოლოდ 3 გოგონა, უნცროსი იყო 3 თვისა როცა მე (და
მრავალი სხვანი პოლონელები) დამატუსალეს 12 წლით. მაშინ
გადაწყდა ჩემი პირადი და ოჯახის ბედნიერების საკითხი — ჩემი მე-
უღლის გარდა შვილებისათვის თითქმის აქამდის, ნაწილობრივ
კიდევ უცხო ადამიანი ვარ — თუნდაც გადავიკვდი სამიცეს. ოჯახ-
ში არ არის ის ოჯახური ჰანგი, რომელსაც ქართველი მიჩვეულია.
ეს დიდი სასჯელია ჩემთვის, ბატონო ჩემო. მხოლოდ ჩემი მეუღ-
ლე ერთგულად მიდგია გვერდში. მაგრამ სამშობლო უშინარეს
ყოვლისა!

გისურვებთ ჯანმრთელობას და კიდევ ჯანმრთელობას!

თქვენი დიდი პატივისმცემელი მიხეილ კეალიაშვილი.

მეორე წერილი ბ-ნ გაიოზისთვის!

ამ წუთში მივიღე წიგნები, დიდი მაღლობა ლოცვანისთვის.

30.-X-64 წ.

დიდათ პატივცემულო ქალბატონო და დაო სარჩა!

მივიღე თქვენ მიერ გამოგზავნილი ოთხი ფირფიტა ქართული სიმღერებით; ძალიან მაღლობელი ვართ მეტადრე ჩემი გოვონები, რომლებსაც ნამეტანი უყართ ჩვენი ქართული პანგები! მეორე მხრივ უხერხულად ვერძნობ თავს, რომ ჩემთვის ეს ხარჯი გასწიოთ და რა ვიცი როგორ და რითი გვეთ პატივი? ჩემი და ნინო მწერს, რომ თქვენ ავად ბრძანდებოდით! მიზეზი ფეხის გასიებისა არის ან გული ან ჭაჭები — ან თუ ნამეტანი დაქანცვა — დალლა! იმედი მაქვს, რომ ჩვენი ქართველი ექიმები სხვებზე სუსტნი არ არიან, კარგია მოვიკლიან და ჭანმრთელობას დაგიბრუნებენ — ძალიან კარგია დიდხანს წოლა ლოგიში და ხანგრძლივი დასვენება — გულს ნუ ისუსტებთ ფიქრებით ამ ქვეყნის უკუტრიალშე. ვერ შევცდლით მდგომარეობას და ტყუილად სიცოცხლეს ვიმწარებთ — ყველაფერი თითონ მოვა მოულოდნელად და უცბათ — ჩვენ კი გვევალება სიღინჯე და სიწყნარე, რასაც გულით და სულით გი-სურვებთ — წამლობას ნუ ააჩქარებთ, ყველაფერს აქვს თვეისი ღრო, ზომა და წესი! თუ მიიღოთ „კაეკასიონი?“ ამ დღეებში ბ-ნი ვიკტორი მწერდა შემდეგ: „ძმაო მიხეილ, დღეს მითხრეს: თითქოს თბილისიდან მოსულებმა თქვესო შემდეგი: წიგნებს გზავნიდა პოლონეთიდან კვალიაშვილი. ეს გაიგეს თბილისში, და ფოსტას თბილისში აუკრძალეს მის მიერ გამოგზავნილი წიგნები აღრე-სატს მიუტანინო. აბა, რა ვიცი რამდენად ეს მართალია? — ჩემთ-ვის პირდაპირ დაუჭერებელია ამისთანა რამ. ყოველ გაგზავნილ წიგნზე ჩემი მისამართი ეწერა წიგნის შინაარსი მეცნიერული იყო და პოლიტიკის სუნიც არ ჰქონდა — და, აბა, ზატონო ჩემო, დღეს რომელი ღურაყი (ბოლიში ამ სიტყვებზე) პოლიტიკობას ისურ-ვებს ან გასწევს? მეტადრე მე რომელსაც პიტლერის და შემდეგ რუსების ლაგერებში სიქა გამაცალეს უმიზეზოდ და უსამართლოდ, დაეიწყებ რამე პოლიტიკოსობას — გეგონება ზარბაზნებს ვეზავნიდი და არა ქართული ლიტერატურის შინაარსის წიგნებს? ესეა ამლ-რეული ქვეყანა!

პირადათ თქვენ ხომ არა გქონიათ რამე უსიამოვნება წიგნების გამო, მომწერეთ უსათუოდ!

ჩემს ოჯახშიც ავადმყოფობამ შემოაბიჯა — მე ზომ მუდმივ არა ვარ კარგათ, ჩემი უნცროსი გოგონა მანანა უკე ერთი თვეა რაც-

წევს საავადმყოფოში და ოც იანვარს დაბრუნდება, დეემართლებული კუთხით (ჯელტუხა); სწორეთ დღეს მეორე ჩემი შეიძლი მაიკო იყო ექიმთან და გასინჯვის შემდეგ გაანაწილეს ისიც საავადმყოფოში პირეელ თებერვლიდან — კუჭი, ნაწლავები, თირქმელი და სხვა აშუხებს — განდა და დასუსტდა. ერთი სიტყვით, იმრია მონასტერით, ნათქვამია!

საზოგადოთ ეს 1964 წ.-დი ძალიან ცუდი იყო და ბევრი რამ მძიმე გადავიტანეთ — ერთი ადამიანისათვის ამდენი სიმწარე, ცოტა ნამეტანია!

მაგრამ რა ვქნათ უნდა გაეძლოთ, გადავიტანოთ მანამ თანასწორობა ან თუ სითანასწორე გაბატონდება და მაშინ ცოტას მაინც ამოვისუნობებით მშობლები!

ამით ვამთავრებ და გისურვებთ დამსახურებულ დასვენებას, ჯანმრთელობას და თანაც თქვენი პასუხის მოლოდინში ვარ.

თქვენი მიხეილი.

2.X.64 წ.

დიდათ პატივცემულო და ძვირფასო დაო სარჩა!

გუშინ დაბრუნდი სანატორიუმი, სადაც ერთი - თვე გავატარე! ვიყავი პოლონეთის იმ კუთხეში, რომელიც სამშობლოს მაგონებდა თავისი მთავორიანი ტყე-მდინარე-ნავადულებით — ვიწამლე, ვა-მოვეკეთდი და კარგ გუნებაზე დავდევი! ძალიან მოხარული ვარ რომ ჯილდო სახლში დამხედა თქვენი და ვიკტორის წერილები!

ბატონ ვიკტორს უკვე მივწერე და ეხლა ამ და-ძმური წერილით მოგმართავთ! რაც შეეხება ფირფიტებს — საზღვარზე დატოვებინებს იმ ყმაშვილს, რომელსაც მოპქონდა ჩემთვის! ეს ამბავი შემატყობინა სხვა ქართველმა, რომელმაც ჩემს ოჯახში პატივი მცა! ის ორი წიგნი თამარა პაპავისა მე გადმოგიგზავნეთ თამარას დავალებით და ორი მე მომთავაზა დედიკაციით!

ახალი „კავკასიონის“ შესახებ მწერს სწორეთ ბ-ნი ვიქტორი, მაგრამ არც მე მიმიღია აქამდის არც „კავკასიონი“ და არც ერთი გაზეთი გამოსული საფრანგეთში — ბევრი კი დამპირდნენ! პატარა წიგნავი, რომელსაც თქვენ იხსენიებთ, ეს იყო ცხონებულ ვალოდია

გოგუაძის მოგონებანი და ვფიქრობ რომ ცენზურამ შეაჩერა ოლქის კულტურული მისამართის მისი (1918—21 წლამდე) ამას შეიტყობინებოდა არა აქვს. მთავარი სა არის, რომ ბ-ნ ვიკორის ნაშრომებს დიდი გასაქანი მიეცით, რომელმაც დიდათ შეავსო რუსთველოლოვია!

წერილში იხსენიებთ ცხონებულ აკაკი პაპავას დის ქმარს ემელიანე კუკულავას — ჩემთან ლაგერში ინტაში იყო ბატონი კუკულავა, სახელი არ მახსოვს, ლაგერის კუხნის გამზე იყო — მაღალი ახოვანი, ულვაშა ვაჟვაცი. იქნება ნათესავები არიან და, თუ იგრეა, გულწრფელად მომიკითხეთ, ნამდვილად ვახსომეარ — მე მაშინ ლაგერის სანიტ-ინსპექტორათ ვიყავი და ხშირად ვაბანევებდი ხოლმე — ყველანი მემახოვნენ დედა მიშა-ს ეგვითი იყო წესი — ის მეგობრობდა კოტე ჭარერიშვილს და ლადო ვაშვიძეს — ყველანი ერთმანეთს კარგად ვიცნობდით და მწარე დღე და წელიწადები ერთად ვაგვიტარებია! ვთხოვთ ჩემს საყვარელ დას ნინოს დაურეკოთ და უთხარით, რომ მისი წერილიც მიეიღო, რომ უკვე დაებრუნდი სანატორიიდან და ამ დღეებში წერილს გაუგზავნი! ჭერჭერობით მთელი ჩემი ოჯახი კარგათ და ჭანმრთელად ვართ. — გოგონები კარგათ სწავლობენ და დედ-მამასთან კარგ და შეგნებულ განწყობილებაში არიან, სწავლობენ ნელნელა ჭარიულ ენას, ამ თვიდან უკვე ვიწყებ წერილობით კავშირს ყველასთან და აბა, მაპატიეთ რომ შედარებით ხშირად ჩემგან წერილებს მიიღებთ. ყველანი თქვენ ჩემთვის სამშობლოს განუყრელი ნაწილი ბრძანდებით — ჩემთვის არ არსებობს რომელიმე კუთხე — მხოლოდ ერთი განუყრელი შედეულებული საქართველოა. ვინც აიტანს, ის გაიმარჯვებს — მთავარია მძლავრი სიყვარული და ამ უკვდავ გრძნობამ უნდა შეადულოს მთელი ჩენი პატარა ერი!

დამიკოცნეთ ჩემი და ნინო და ლევანი მეუღლით — ყველას გულწრფელი სალამი. დიდი პატივისცემით თქვენც გუცნით.

თქვენი ახალი ძმა მიხეილი.

31.X—64 წ.

პატივცემულო და ძვირფასო ქ-ნო დაო სარჩა!

სამი დღის წინ გამოგიგზავნეთ 4 ცალი „კავკასიონი“. ბ-ნ ვიკ-ტორი მწერს რომ ერთი თქვენთვის, ერთი სახელმწიფო ბიბლიო-ორეკის და ორი თქვენი მიხედვით მიანიჭეთ სხვებს! ჩემს დას ნინოს მოწერე წერილი, სადაც ვთხოვ რომ თქვენ მოგმართოთ შემდეგ საქმეში: მჭირდება აუცილებლივ პატარა სიმფონიური ორკესტრისათვის ქართული სიმღერები, ჰანგები, ან ოპერიდან ამონაწერი არიოზები — შეიძლება იყოს ცალკე დიდი რეენტლი სხვა-დასხვა სიმღერებით, რომლებს აქ შეიძლებავ თითონ, მაგალი-თად, მე უკვე გაუგზავნე: „თბილისო“ — რომელსაც დაუკრამენ იქ, სადაც მე ვიყავი კურორტზე — ეს განთქმული კურორტია, სადაც ათასობით მრავალი ხალხი მოელი წელიწადის განმავლობაში ესწ-რება, ისევე უცხოელებიც. ამას ხომ დიდი მნიშვნელობა იქვს ჩევ-ნი ქართული კულტურის და მუსიკის გავრცელებაში! როგორც თქვენ, ისევე ლევანს გყავთ ნაცნობები მუსიკალურ საზოგადოება-ში და მასალის მოგროვება სიძნელეს არ წარმოადგენს — დროა უკვი რომ ნელნელა ავხმაურდეთ მსოფლიოში, სადაც ყველგან განსაკუთ-რებულ პატივს სცემენ ქართულებს და ქართულ კულტურას — ამას უმიზესოთ არა გწერთ, აბა როგორ ვიყადრებდი! — თუნდაც დიდი მანძილი გვესაზღვრავს ჩევნ, მაგრამ თქვენი გულის ცემა მაინც მესმის! ეხლა აქ ვმუშაობ იმაზე, რომ მოხერხდეს გაწვევა პოზნა-ნის ოპერის დირექტორის თბილისში ე. ი. დაბატისება თბილისი-დან უნდა მოხდეს — შემდეგში კი მოხერხდება ქართული ოპერის დაზგმა პოზნანში და სხვაგან. ამაზე კიდევ ცალკე მოგწერთ! მინდა რამე კონკრეტული გავაკეთო რასაც თავი და ბოლოც ექნება, ამი-ტომ, ჩემს თხოვნის შესახებ ველი თქვენგან პასუხს. იყავით კარ-გათ და ჯანმრთელად. მომიკითხეთ ყველა თქვენი ნაცნობები და მეგობრები. ამასთან ერთად ჩემი და ნინო დამიკოცნეთ!

გულწრფელი სალმით თქვენი ძმა მიხეილი.

12.XI-64 წ-

საწიგნი და ჩილე

ჩემო დაუკიშვარო სარა,

შენი წერილი გასულ კვირას ორშაბათს მივიღე, მაგრამ პასუხის დაწერა დღემდე ვერ მოვახერხე, რადგან ცოტა უქეთობამ ლოგინს დამაწვინა, ახლა უკვე კარგა ვარ, თავს ნუ აიტკივებ ჩემ ავადმყოფობისათვის, ყველანი მისი შეილნი ვართ. ახლა, ცოტა შენს წერილების ვარშემო, ქალო რა მოგდის, რომ სულ ერთიანად სიკვდილზე იწერები, აბა მითხარ რა ახალი ამბავია სიკვდილი, ვანა ყველას ბოლო მით ცნობილი არ არის? მაშასადამე, რა საჭიროა მის მოგონება, რაც აუცილებლად კარს დაუკითხავთ მოგვადგება.

შემდგომ ამისა შენი საყვედურის შესახებ, რომ ძალიან პატარა წერილებს გწერ... ქალო, გწერ იმას რასაც ვკრძნობ და საჭიროდ ვცნობ მოგწერო და, თუ ახალი ამბების შეთხხვა დავიწყე, მაშინ ვგონებ ქალალდი დამაკლდება და შენ კი დრო წასაკითხათ. ჩეენ ყველანი (ახალი მეგობრებითურთ) კარგა ვართ — რატომ გვონია, რომ იგი ახალი მეგობარია?... ჩეენ უბედური ერთმანეთში ისევართ შესისხლხორცებისული, რომ არა თუ მეგობრები ვართ, არამედ განუყრელი ნათესავებიც-კი, მაგრამ ეს ცოტაოდენ ვგონებ გაუგბარი დარჩება მანდაურებისათვის. ახლა აქაურ უკანასკნელ ამბებსაც მოგწერ: აქ ჩამოვიდნენ საბჭოთა ბალეტის სოლისტები, სწორედ ჩემ ავადმყოფობის დროს, მათ შორის ორი ქართველი, რომელიც აქაურმა კრიტიკამ ძალიან შეაფასა, რუსის მოცეკვავეები — კი არა. გიგზავნი იმ განეთის ამონაჭერს და გთხოვ ზ. ფალიაშვილის სახელმძინარეთის ბალეტის თეატრის დირექტორს მიაწოდო როგორმე. გარდა ამისა, გიგზავნი ვანოს! წერილს, რომელშიაც იგი ყველას მოგიყითხავთ. რაც შეეხება გერმანულ წიგნებს, ამის შესახებ იქ

¹ ვანო — იეთანდილ მერაბიშვილის ვაჟი.



შივწერ ჩემს შეგობრებს და ისინი გამომიგზავნიან. საჩუქრების შექმნილი
სახებ ნულარ ვილაპარაკებთ. თავის დროზე მე თვით გადმოვაგზავ-
ნინებ რაც საჭიროდ არის აღიარებული. ახლა შენთან სათხოვა-
რი მაქვს: — უურნალი „საბჭოთა ხელოვნების“ № 8—1958 ან სწო-
რედ ერთი წლის წინას, მე-32 გვერდის შემდეგ არის მხატვრული
ჩამატება, ეს ჩამატება გამოხატავს მხატვარ ნ. მეტონიძეს² „ხილის
ჩაწყობა ყუთებში“ ეს სურათი მეტად მომეტონა და შემდეგ ივე
არის მეორე სურათის ასლი მხატვარ შ. ხოლუაშვილის³ „ოლიმ-
პიადისათვის მზადება“. იქნებ როგორმე გაიგო თუ ამ სურათების
შეძენა შეიძლება და როგორ? იქნებ წიგნები გამყიდოთ და იმით
შეიძინოთ ან აქედან გადმოგიგზავნო ფული? ამას იმიტომ გწერ,
რომ ამას წინათ ქ-ნ ლიდამ მანდედან სანდრო გუდიაშვილის⁴
ერთი სურათი მიიღო საჩუქრად — იქნებ შენ მოახერხო ამ სურა-
თების შეძენა რაც მე ძალიან გამახარებს — წინათ არ მოგწერე,
რადგან მაგალითი არა მქონდა — ახლა კი მაქვს. გარდა ამისა, რო-
გორც იცი, მეც მაქვს სურათები. იქნებ ერთგვარი გაცელა მოვახ-
დინოთ? ამას გვეალებ და იმედია ყოველივეს ჩაიდენ, რომ შემის-
რულო ეს ჩემი სურვილი. იყავით სულ კარგად, მოკითხვა ყვე-
ლას.

გუცნით ყველანი ყველას.

აკორ.

სანტიაგო დე ჩილე
6.XII-59

ჩემო დაუვიწყარო სარა,

შენი წერილი მივიღე, საერთოდ წიგნებიც, თუმცა წიგნების სია
მართლაც დამავიწყდა, რადგან ვიფიქრე მიტო გაუგზავნის მეთქი.

² ნ. მეტონიძე — ნიკოლოზ მაქსიმეს ძე მეტონიძე (1911...) ქართველი ფერ-
მწერი საქ. სსრ დამსახურებული მხატვარი.

³ შ. ხოლუაშვილი — შოთა გორგავის ძე ხოლუაშვილი — (1921...) ქართველი
ფერმწერი საქ. სსრ. დამსახურებული მხატვარი.

⁴ სანდრო გუდიაშვილი — იგულისხმება ლადო გუდიაშვილი.



Ռուսական բարեկամության ժամանակաշրջանում հայունաբանական գործունեության առաջնային դեմքերը՝ Ալեքսանդր Վազգենսկի, Վահագին և Վահագինի որդի Վահագին Վահագինը:



Տանը հացած դա հոլցի պատճենու մերսածությունը տառանոնքու հանգա-
հանգու շուտ հուստացելու 800 վրաստացուածմու մոմլունու և
լամու մուսավեցու նահատու և ըսկերու

რაშიაც ერთობ მოვტყუდი. და რადგან მიტოშე ებაასობთ იგი უკვე არგენტინაშია; გასულ თვის 24-ს გაემგზავრა და ალბათ მომავალ წლამდე აღარ გვესტუმრება — ბუენოს აირესი იქედან 1500 კილომეტრით არის დაშორებული. მართალია, ჰეროპლანით სულ რაღაც 2 ს 40 წუთი უნდება, მაგრამ მაინც შორსა — იქ, მას ბევრი მეფობრები ჰყავს აქ — კი ჩვენ ვიქტორი და მე ვართ. ვიქტორი კვლავ სავადმყოფოშია და იქნებ ხეალ მისცენ ნება, რომ სახლში დაბრუნდეს ვნახოთ როგორ გაუმჯობესდება მისი ჯანმრთელობა.

ამ წერილით მე უკვე მეორედ ვუსწრებ შენს წერილს, რომელიც ძალიან ავიანებს ხოლმე ახლა რადგან აღარავის წერ ისევ მე მომწერე ხოლმე... წინა წერილში ბევრ რამეს გოხოვდი და ერთობ დაუყოვნებლივ ველი შენს პასუხს. ეხლა კვლავ მინდა ერთი წიგნი გოხოვო — სახელდობრ სულხან საბა თრბელიანის ლექსიკონი. თუ არ ვဖდები, ახალი გამოცემა უნდა არსებობდეს ბ-ნ აკაკი შანიძის რედაქტორობით. თუ არა და ძევლსაც კარგა მივიღებ. შენი გამოგზავნილი წიგნები მართალია, მეტად საინტერესოა, მაგრამ დავიწყებულ მოუშუშვი იარებს მიხსნის და არ ვიცი როგორ დამთავრდება, ან წიგნის კითხვამ რაღაც სასწაული უნდა მოახდინოს, ან წიგნის კითხვას ისევ თავის დანებება სჯობია... თურმე აღამიანის მყუდროება შენახულ ძეგლებითაა დაფარული და თუ ესა თუ ის ძეგლი გაშიშვლდა, მას ყოველი ფერი ეკარგება, ეკარგება იმიტომ, რომ ის ძეგლი მას ნახული ჰქონდა, რომ მის ტრფობის ქვეშ იყო და უეცრად ჰქონდავს, რომ ის ძეგლი მას ნახული ჰქონდა, რომ ძებნაში ძეგლი გაცვეთილა — გაყვითლებულა... ეჭ, ჩემთ დაო, რა საჭიროა ასეთი ახრების დასახვა, როდესაც მას არავითარი არც ძალა და არც გასავალი არა აქვს — რაც წავიდა, მისი დაბრუნება შეუძლებელია და, რაც იჩარება, მას მხოლოდ თავისი ოსტატი იყენებს — ასეთი ყოფილა კაცობრიობის საყველთაობა, შემდეგ იქნებ დიდი ხნის შემდეგ ვინმემ რამე მოიგონის, მაგრამ გაყვითლებული ძეგლები შესაძლოა დროთა განვლის გამო როგორც ფერფლი, ისე შერჩეთ მათ, ვისაც დააინტერესებს... საკეირველია, რომ ქ-ნ ლიდა არაფერს გვწერს შენ მიერ გაგზავნილი ფირფიტების შესახებ!... შენ როგორც იწერები უკვე დიდი ხნის წინათ უნდა მიეღო, ყოველ შემთხვევაში წლის დამლევამდე ვეღორ მივიღებთ... ნახატის ამბავმა ძალიან გამახარა, მაგრამ გოხოვ

თავს ნუ შეიწუხებ, რადგან ვზაში შეიძლება ერთიანად გაფუჭებული და შემდგომ აქ საბაჟო ღმერთმა იცის რას გადამახდევინებს. ამიტომ სჯობს თავი დავანებოთ დიდ ოცნებებს.

მოკითხვა ყველას. გაკოცებ ათასს.

ავთო.

ჩემო საყვარელო დაო სარა,

სანტიაგო 26.XI-63

შენი უკანასკნელი წერილი ამ ორი კვირის წინათ მივიღე. თუ აქამდე ვერ გიპასუხე, ამ მიზეზების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ერთ-ერთი მეტად საყურადღებოა. ეს ბ-ნ გუსტავ ტორჩეს სურათია, რომელიც აქამდე ვერ გადავაღებინე. ეს ესაა მომიტანა და მეც ამ დილას გადავწვერტე წერილის მოწერა. აი, მისი სურათი და სულ მოქლე ბიოგრაფია. ვეფხისტყაოსნის გადათარგმნის აზრი მე დამებადა და იმავე წამს გუსტავს გავუშიარე, რადგან ვიცოდი მისი სიყვარული წეგნისადმი და არც მოვტყუდი. ეს თარგმანი ყველაზე უკეთესია. ბ-ნ ვიკტორ ნოზაძე ნელ-ნელა მიეხმარა და ბოლოს თარგმანი ორმა განაგრძო; რადგან მე ვეღარ შევძელი ყოველ ღამის გატეხვა. თარგმნა დაიწყო 1955 წელს და მოთავდა 1960-ს. მხოლოდ მისი გაშალაშინება დღემდის გრძელდება. მომავალ წლის მარტიდან ესპანური ტექსტის აწყობა დაიწყება და დაახლოებით მართამობის თვეს დამთავრდება. აი, მოქლედ „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი.

ახლა შენი წერილის შესახებ: შენი გამოგზავნილი დედა ენა მივიღე და მადლობას გიძლვნი, მაგრამ ბ-ნ კ. გამსახურდიასი არა-ფერი მიმიაღია... და არც დედაენის წიგნები რომელსაც ალბათ უბრალო ფოსტით მივიღებ — ცხადია არც შენი ამანათი ჭერ-ჭერიბით არ მომსვლია. რაც შენ გინდა გაიგო, ესე იგი ჩემი აღმშენებლობის საქმე, იგი თითქმის დამთავრებულად უნდა ჩათვალოთ, რადგან იქ უკვე ელექტრონის ძალა, ქუჩები და წყალი არსებობს, მაგრამ კიდევ მაკლია ტროტუარები და ბალების გაშენება, რასაც უკვე ნელ-ნელა ვიწყებ. ელანემ ძლივს მოიკეთა. ცოტა ხა-სიათი წაუხდა. მაგრამ რას ცხამ — კარგა მესმის მისი დუღ-



ჭირო. რაც შეეხება იმედაშვილისადმი წერილს, მართალი ჭიროშვილი არ ვიცი რა მოვწერო? ბ-ნ გუსტავოს მანდეთ წამოსვლის საქმეს თუ მოახერხებს ძალიან კარგი იქნება, რადგან იმდენს ვუამბობდა იქნებ თვით ნახოს და დარწმუნდეს. მეტი რა მოვწერო, ჩემი კეთილო, იყავი სულ კარგა, მოკითხვა ყველას, მომწერე თუ როგორ ემზადება ჩემი თამარა აქეთ წამოსასვლელად.

შენი ავთო.

მიტო ანანიაშვილი

დიდად პატივცემულო ქალბატონო სარა!

15.10.59
madrid.

...უწინარეს ყოვლისა მინდა შეგატყობინოთ ფრიად გასახარელი ამბავი ყველასთვის, ეს არის ვიკორის გადარჩენა და საშიშროების აცდენა! ვერ წარმოიდგენთ თუ რა შიში ვნახეთ და რა მძიმე აკადმიკოფობას გადაუჩრჩა. ფილტვების ანთების შედეგი იყო პლევრიტი, რამაც აიძულა ექიმები გაეკეთებინათ ოპერაცია ფრიად სერიოზული და დელიკატური. საბედნიეროდ თქვენმა ძმამ არ დაიშურა ხარჯები, მოაწყო საცეკვეთისო კლინიკაში და ოპერაცია გაუკეთა გამოჩენილმა ქირურგმა...

სამწუხაროდ, თქვენს თხონას „ფერთა-მეტყ“-ის გაღმოვჩავ-ვას ვერ შეეძლებ, ვინაიდან არცერთი ეგზემპლ. აქ აღარა აქვს. უკანასკნელი ამას წინად გაუგზავნა ოქსფორდის უნივ. ქართ. ბიბლიოთეკის განყოფილების...

თქვენ იწერებით აქ დაბეჭდვასედ და ერთი ასიოდე ცალის გამოცემაზედ. ჯერ ერთი, აქ გამოცემა ძალიან ძეირი უფდება და მეორე, ამწყობი თვით ვიქტორია. როდის გამოკეთდება ორავინ იცის და გარდა ამისა, უკვე დაწყებული აქვს თავისი მეხუთე წიგნი „ღვთის მეტყველება“ და სანამ არ დაათავებს სხეას ვერ დაიწყებს...

ამასთან დაკავშირებით მინდოდა თქვენთვის მექიოთა. რადგან იცნობთ ლიტერატურული წრიდან უამრავ ხალხს, ნუთუ მანდ უფრო ადვილი არ იქნებოდა მისი ხელ-მეორედ გამოცემა?

თქვენი პატივისმცემელი
მ. ანანიაშვილი.

დიდი პატივურემულო და ძვირფასო დაო სარა,

13.4.60.
madrid.

უდიდესი სიხარული განეიცადე ამ რამდენიმე დღის წინეთ, რო-
დესაც თქვენი და ჩემი ტასოს წერილები ერთად მივიღე. უნდა
იცოდეთ კარგად და დარწმუნებული იყვეთ იმაში, რომ ჩვენი სი-
ხარული და სიამოვნება მახლობლებისგან წერილის მიღებისა ღრმა
და მთავარია და თანაც ტკბილი, სამშობლოს და საყვარელ ხალხს
მოქლებულ პირობებში!

...ქართული სალამი არის მაღამო ჩემი აქ ცხოვრებისა...

ვიკტორი გაცილებით უკეთ არის და წიგნის აწყობას უკვე
შესდგომია. მეშინიან მხოლოდ ამ ზამთარში ხელმეორედ არ გაცი-
დეს...

ძალიან მეწყინა თქვენ-მიერ გამოგზავნილი წიგნები უკან დაბ-
რუნებულა. დიდი მაღლობა, ნუ შეწუხდებით მეორედ. აქ ჩემს
შეგობრებს გამოწერილი აქვთ გერმანიიდან და გსარებლობა. მაღ-
ლობა ქართული ფოსტის მარკებისათვის, ძალიან ლამაზებია. უკვე
ბევრს ვაჩვენე...

მივიღე ტასოსგან გამოგზავნილი „გმირთა ვარამი“. უკვე წავი-
კითხე და გადავეცი რიგში მყოფთ. საუცხოვოა!...

დავშოები თქვენი ულრმესი პატივისმცემელი
ძმა და მეგობარი მიტო ანანიაშვილი.

ძვირფასო და კეთილო დაო სარა,

4.10.61
madrid.

დიდ ბოდიშს გიხდი, რომ აქამდის ვერ მოგწერეთ, თუმცა ყო-
ველთვის მახსოვდით. ხომ იცით ამოდენა მოგზაურობა და ახალ
ქვეყანაში მოწყობა არც ისე ადვილი საქმეა. ჩემ ბედზედ ვიკტო-
რი კვლავ კიდევ აქ დამხედა და სხვა რამდენიმე ქართველი რო-
მელთაც კარგად ვიცნობდი და ამან, ცხადია, ძალიან გამიადგილი
აქაურობასთან გაცნობა და შეჩვევა. უნდა დაუმატო ის, რომ ქვე-
ყანა და ხალხი საუცხოვოა, პავაზედ ხომ ნუღარა მჟითხავთ, ნა-

მეტნავად არგენტინის შემდეგ! სამშობლოს მოკლებულს, მერე ისეთის როგორც ჩვენ გვაძვს, ერთი ნუგეში აქვს აქ, რომ ძალიან წააგვის აქაურობა საქართველოს ბუნებით, ხალხით და ზნე-ჩვეულებებით, სიმღერები ხომ ჩვენებური ბათუებია. ეს ყველაფერი ცხადია, არაბეთის გავლენაა რასაც არც ჩვენი ქვეყანა ასცდა, და ამის გამო ბევრი რამ გვაახლოვებს.

თქვენ იცით კარგად, რომ მე აქ წამოვედი ვიკტორის თხოვნით, რათა დავხმარებოდი მას, როგორც პჟონდა ადგილი ჩილეში, მის ორ უკანასკნელ წიგნის აწყობაში, მაგრამ სამწუხაროდ ეს საქმე აღარ გამოვიდა ე. ი. ის პირი, ვინც დაპირდა დაბმარებს, ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა ნიეთიერად და ვეღარ შესძლო დაპირების შესრულება. ცხადია, ვიკტორს უნდა გამოენახა სხვა გზა წიგნების დასაბეჭდად, რაც მან შესძლო პარიზელი მეგობრების დაბმარებით, სადაც უკვე წავიდა. იცის კარგად თუ როგორ მოელიან მანდ ყველანი ამ უკანასკნელი შრომების გამოცემას და ამიტომ ძალიან ღელავდა და ჩქარობდა. უნდა გითხრათ რომ ეს უკანასკნელი ორი წიგნი უფრო საფუძვლიანი და ღრმად დამუშავებულია, დარწმუნებული ვარ არა ნაკლებ მოწონებას პოვებს ფართო საზოგადოებაში და რაც მთავარია ლიტერატორთა და მეცნიერთა შორის.

ეხლა წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, აქ წამოვდი მასთან ერთად საცხოვრებლად უზრუნველყოფილი ყველაფრით ბინიანათ და სხვა... ამის იმედით მე იქაურობას საბოლოოთ თავი დავანებულ და გადმოსახლდი აქ, და რა კი ვიკტორი წავიდა მაშასადამე მთელი კომბინაცია წყალში ჩავარდა და მე უნდა ჩავევარდნილიყავი აჩასასურველ მდგომარეობაში, მაგრამ ღვთის მადლით ეს ასე არ მოხდა, რადგან მე აქ გადმოსვლით გადმოვიტანე ჩემი პატარა პენია, რომელიც იქ მეძლეოდა და იქ ძლივს მყოფნიდა საცხოვრებლად, და ის ილბალი, აქაური სიიაფის გამო შემიძლიან აქ უკეთესად ვიცხოვრო ვინემ იქ და ცხოვრების პირობები ხომ გაცილებით უკეთესია, რაც არ უნდა იყვეს ევროპა! ქართველები ცოტაა მაგრამ ძალიან სიმპატიურები და დიდი სიხარულით და პატივისცემით მიმიღეს. პარიზის სიახლოეს ხომ დიდი რამეა, იქიდან დიდი მიმოსვლაა თბილისში და თბილისიდან და ეს ყველაფერი ვიცი...

როგორც იყვეს თქვენი თხოვნა ვიკტორმა და მე ვესრულეთ და მის წამლის წინ გადავიდეთ სურათი რასაც გიგზავნით, ერთი უძველესოს აქვს, ვიკტორი ამ სურათში ძალიან ჰგავს ისპანელს, ჩვენ

ბევრი ვიცინეთ ამა, იყავით სულ კარგად თქვენი საყვარელი ქა-
 ლიშვილით თამარით და თქვენი წერილის მოლოდინში დატოვება
 თქვენი კეთილის მსურველი ლიმაზ და მდიდარ საქართველოს შო-
 რიდან მონატრული თქვენი ძმა.

მიტო.

ძვირფასო დაო სარა,

3.4.-62

madrid.

როგორც ხედავთ სამი თვის მოგზაურობის შემდეგ დავბრუნ-
 დი მაღრიდს და ვიგზავნით მხურვალე სალამს საუკეთესო სურვი-
 ლებით! თქვენი წერილი და სურათიც მივიღე რაზედაც გიძლვნით
 უღრმეს მაღლობას. დიდი ბოდიში, რომ აქამდის ვერ გიპასუხეთ.
 ამოდენა ძველი ნაცნობ-მეგობრის და ადგილის ნახვამ თავბრუ-
 დამხედა და მთელი დრო წაიღო. ამას დაუმატეთ ის ახალი და
 ცვლილება რაც იქ დამხვდა! რა ძლიერი და ტყბილი ყოფილა დი-
 დი ხნის უნახვის მახლობლების და ნაცნობი ადგილების ნახვა!
 ეხლა წარმოგიდვენიათ სამშობლოს ნახვა რა იქნება? მერე ისე-
 თის როგორც ჩვენია! ვინ იცის, იქნება ესეც ვნახო!

პარიზში ხშირად ვხედავდი ვიკტორს და, ცხადია, ჩვენი მუსა-
 იფი იყო თბილისის გარშემო და მახლობლებზეც რაშიაც თქვენც
 შედიოდით. ვიკტორი ძალიან არის კმაყოფილი. რომ აქვს უამრავი
 სამუშაო, სხვის წიგნები და მოგონებები, იქნება ცოტა რამ ფული
 მოაგროვოს და გამოსცეს, ჯანსალობამ თუ არ ულალატა. უველა
 ჩემი მეგობარი დიდი სიხარულით და გულთბილად დამხვდა საფ-
 რანგეთში და გერმანიაშიც, რამაც უზომოდ მასიამოვნა. სამწუ-
 ხაროდ, ბევრი კარგი მეგობარი და ქართველი ვეღარ ენახე, რას
 იზავთ — „წუთის სოფლის სტუმრები ვართ“-ო ქართულის გამო-
 თქმით, ამას ვერ გავექცევით...

დიდი მაღლობელი და მოხარული ვიქნები თუ ერთ-ორ სიტყ-
 ვას მომაწოდებთ. გულითადი სალამი თქვენ ქალიშვილს თამარს
 ოჯახობით.

გეხვევით ძმურად თქვენი მიტო.

**ქართული ეპიგრაფის მიერ ჩატარებული
 ლიტერატურული საღამოებისა და
 შემოწმების მოსაზღვივი ბარათები
 და პროგრამები**

1980 წელს საქართველოს გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში მწერალმა და მთარგმნელმა თინათინ გერონტის ასულმა ქიქოძემ შესაძენად შემოიტანა საფრანგეთში მცხოვრები პოეტის და საზოგადო მოღვაწის შალვა ამირეჯიბის (1887—1943) მრავალმხრივ საინტერესო მასალა.

გარდა ორიგინალური შემოქმედებისა, არქივში დაცულია შ. ამირეჯიბის მემუარული და ეპისტორიალური მემკვიდრეობა, რაც შემდგომი კვლევის და დამუშავების საგანია.

პოეტის ხელნაწერებთან ერთად ფონდსაცავში ინახება დაბეჭდილი პერიოდიების ზოგიერთი ეგზეპლარი და მონაცერები გაზეთებიდან, სადაც სხვადასხვა კუთხითაა გაშუქებული ქართველთა გენეალოგია, ემიგრანტთა მოღვაწობა და მათი გამოკვეთილი პოზიცია მთელი რიგი ლიტერატურული თუ პოლიტიკური საკითხებისადმი.

არქივის მნიშვნელოვანი ნაწილია მოსაწვევი ბარათები და სარეკლამო ფურცლები ფრანგულ, იტალიურ, გერმანულ და ქართულ უნგებზე, რომელიც ნათელს მოფენს ქართული ემიგრაციის მრავალმხრივ საქმიანობას 1931—1936 წლებში. მათი უმეტესობა ფრანგულ ენაზეა დაბეჭდილი.

პარიზის ქართული ემიგრაცია აწყობდა ლიტერატურულ საღამოებს, კონფერენციებს, ოფიციალურ შეერებებს, თავყრილობებს, რომელთაც უძღვებოდა ქართველ მხედართა და შეფიცულთა კავშირი, საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სოციაციის გამგეობა, თეთრი გიორგის ორგანიზაცია, პარიზის ქართული დრამატული საზოგადოება, კავკასიელთა სასწავლო კლუბი, წმინდა ქეთევანის მართლმადიდებლური ძმობა; „რუსთაველის საზოგადოება“ პარიზში და სხვა.

გთავაზობთ რამდენიმე ქართულენოვანი მოსაწვევის ფოტოსლის. აგრეთვე ფრანგულ და გერმანულ ენაზე დაბეჭდილ მოსაწვებებს ქართული თარგმანითურთ.

ପାଠୀରେ, 21 ଅକ୍ଟୋବର, "ଫାରୁନ୍ଦା
ଜାହାନ" ମାରତାଙ୍କ ଲିଲାବାବିଦୀରେ ମନ୍ଦି-
ରିଲେଖନକୁଟ.

ଫାରୁନ୍ଦାଙ୍କୁ ଲାଗୁ 2½ ବାରଟିକା
15, Avenue Hoche. PARIS (8-e)

ଚକ୍ରବାହି

ବେଦାରେ ଏ ଧୂର୍ପତିକାରୀ, କାଶ୍ଚାଲଦ୍ଵାରା ଏ ପାତାରେ
ମୋହର୍ଯ୍ୟ ବେଶପାଦନୀ ଦ୍ୱାରିବାନ୍ତିକ (ବିଶ୍ଵାର ଲାମ୍‌ପାର୍କ ମୁହଁନ୍ଦୁରୁଦ୍ଧିତି)
ଶେଷଦ୍ୱାରା ତାତକରି ଶେଷଦ୍ୱାରା କେବଳିକୁ
ଶେଷାଳିତବ୍ୟାଳିଟି ପରାମିତିରେ କାହାଠିଥିଲା
ଏହିର୍ଯ୍ୟବେଶରେ ପଦତିରିପାଦ ତାତକରିବାର
ଗ୍ରାହକଙ୍କରେ ମୁହଁରି ମୁହଁରିବାରେ
ଏହିର୍ଯ୍ୟବେଶରେ ସାରାଲିତବ୍ୟାଳିଟି ଉପରିବାର
ମେଲୁଲିବାରେ ମେନାର୍କିଲୁଲିବାରେ ମୁହଁରିବାରେ ଫଳିତ
ଲାଭପରିପାତା ଫଳିତମାର୍ଗର୍ଦ୍ଦୟରେଣିବା,

ପ୍ରମାଣ ପ୍ରମାଣ

ପାଠୀରେତ୍ତାରେ, 22 ଫରେବରୀ ଶାହମନ୍ଦ ଥିଲା କି
କିନ୍ତୁ କାଳାବି ନେବି, ୩. ଅର୍ଜୁଗିରିଯିନିଧିନାତିକ ଶରୀରକାଳ
ରୂପରୀତେ କିମ୍ବାରେ ମନ୍ଦସ୍ଵର୍ଗରେ:

କାରିତୁଲିକ କ୍ଷେତ୍ର କୁଳପିତାଙ୍କରେ କାହିଁବେଳେ
କ୍ଷେତ୍ରକାନ୍ତରେ ଏହିମନ୍ଦିରରେତେବେଳେ।

ବାହୁଦାର, ବିପରୀତାର, କାରିତୁଲ, ବିଶ୍ଵାପା, କାରିତୁଲାକାନ୍ତର,

ବାହୁଦାର, ବିପରୀତାର,

ସେମିମେ ମେ-୧ 1986 ଫ.

LE JOURNAL - ୦୬ ୩୦୬୮୦୧୩୦

102, rue de Richelieu - métro rue Montmartre

କାନ୍ଦିକାଙ୍ଗକୁ

କାନ୍ଦିକାଙ୍ଗକୁ କାନ୍ଦିକାଙ୍ଗକୁ କାନ୍ଦିକାଙ୍ଗକୁ

କାନ୍ଦିକାଙ୍ଗକୁ

କାନ୍ଦିକାଙ୍ଗକୁ ୮½ ଟଙ୍କାଟିକୁ

କାନ୍ଦିକାଙ୍ଗକୁ କାନ୍ଦିକାଙ୍ଗକୁ କାନ୍ଦିକାଙ୍ଗକୁ

କ୍ଷେତ୍ରାବ୍ଦୀ, ମୀ ନବବାହି,

ଶ୍ରୀକୃତ୍ତବ୍ୟାଗ୍ରହ ବାନ୍ଧବାଲ୍ଲଙ୍ଘନ ଫଳବାନ୍ଧି
(184, Bd St. Germain, 185)

ନାମଶ୍ରାଦ୍ଧାରୀ ୨ ମୁଖୀ

କାନ୍ତିକାଳୀ

କାନ୍ତିକାଳୀ ଲକ୍ଷ୍ମୀକାଳୀଶ୍ଵର

କାନ୍ତିକାଳୀଶ୍ଵର କାନ୍ତିକାଳୀଶ୍ଵର:

ଶ୍ରୀ କର୍ଣ୍ଣକାଳୀଶ୍ଵର, କାନ୍ତିକାଳୀଶ୍ଵର,

ଶ୍ରୀ କର୍ଣ୍ଣକାଳୀଶ୍ଵର ମାତ୍ର କାନ୍ତିକାଳୀଶ୍ଵର,

ଶ୍ରୀ କର୍ଣ୍ଣକାଳୀଶ୍ଵର, ଶ୍ରୀ କର୍ଣ୍ଣକାଳୀଶ୍ଵର, ଶ୍ରୀ କର୍ଣ୍ଣକାଳୀଶ୍ଵର

ଶ୍ରୀ କର୍ଣ୍ଣକାଳୀଶ୍ଵର ଶ୍ରୀ କର୍ଣ୍ଣକାଳୀଶ୍ଵର

ଶ୍ରୀ କର୍ଣ୍ଣକାଳୀଶ୍ଵର ଶ୍ରୀ କର୍ଣ୍ଣକାଳୀଶ୍ଵର

ଅନ୍ତର୍ଜାଲିକାଳୀ କାନ୍ତିକାଳୀଶ୍ଵର:

କାନ୍ତିକାଳୀଶ୍ଵର

୩ . ୧୦ ମିନ୍ଟୋ କାନ୍ତିକାଳୀଶ୍ଵର

୫ . ୧୨ ମିନ୍ଟୋ କାନ୍ତିକାଳୀଶ୍ଵର,

ଠିକାଥାନ୍ତି : 46 bis, rue Saint-Didier.

ପରିସ ୧୬^୧ — Metro : Trocadero.

ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ ପରିଚୟ

Union internationale des Associations pour la S. D. N.

მართლები საზოგადოება.

კვირას, 11 ივნისს, ნაშენდებულის პნე. საათზე
«მიუზე» სოსოლი-ის დარბაზში.

(ა. რე. Laszlovs 5. მეტრი Solferino)

შესდება ქაოთული სახოფადოების კრება.

ბ. ვ. ვეგეპოლის თემაზომართებით.

ბ. ა. გვარჯალიძე წაიკითხებს მოსხენებას შემდეგ
თემაზე: საქართველოს ხაյითხ. ერთა ლიკა და ინ-
ტერნაციონალი

მოსხენების მემფეგ აზრით კანიარება მოსხენება-
ზი აოტები კოტექტზე.

ჩრდების დასაყარავად 2 ლრ.

CARTE D'INVITATION

საპატიო პილიტი

9 მარტს 1935 წ.

ავაკი წერეთლის გარდაცვალებას

20 წლის აღნანიშნავი

საღამო

მისამართი: — 102, rue de Richelieu

Métro: — rue Monceau

დარბაზის ხელი 0 საათზე!

ავტობუსის სამართლება და მისამართის მიმდევარი

ଫରାଇଲ୍‌ମାର୍କ୍

ଫରାଇଲ୍ ମିଶରନ୍‌ଟା ରା କ୍ଷେତ୍ରପ୍ରଦୀପ ପାଇଁ

୨୫ ମିନ୍‌ଟିମିନ୍‌ଟିକ୍‌ରେ ଏହିପରିବର୍ତ୍ତନ କାମକୁଳ କାମକୁଳ

ଠିକ୍‌ବିବରଣ୍ୟ: Salles Angelo, 8 bis, Avenue Minnaert (16^e - Mairie de Paris)

ବେଳାଗଳିକ ପାଦାଯାତ୍ରାଙ୍କ ଉପରେ କିମ୍ବାକି

ଏହିପରିବର୍ତ୍ତନ କାମକୁଳ

କାମକୁଳ କାମକୁଳ କାମକୁଳ କାମକୁଳ

କାମକୁଳ କାମକୁଳ

କାମକୁଳ କାମକୁଳ

କ୍ଷେତ୍ରପ୍ରଦୀପ ? କ୍ଷେତ୍ରପ୍ରଦୀପରେ,

ଲାଲିଲ କାମକୁଳ

୧୯୩. ୫. ୮ ୩ ୬ ୬ ୩ ୧ ୩ ୧ ୧ ୦

କାମକୁଳକୁ କାମକୁଳକୁ

୦ ୩ ୦ ୧ ୨ ୧ ୮ ୫ ୧ ୮ ୧ ୦

କାମକୁଳକୁ କାମକୁଳକୁ ୧୦୧୦୧୦

ବୋଲ୍ପାଳିପରିଷଦ : 49, Avenue d'Orléans.

ପାତାରତାର ପରିଚୟ ଓ ବ୍ୟାଖ୍ୟାନ ଏବଂ ପାତା
ଅଧ୍ୟାତ୍ମଗ୍ରହଣ ମଧ୍ୟରେ
୧୯୩୩ ଫୁଲ୍‌ମୁହୂର୍ତ୍ତ ୧୩

ପାତା ପରିଚୟ

୧. ପାତା ପରିଚୟ - ପାତାର ଜୀବନ ଏବଂ
୨. ପାତା ପରିଚୟ - ପାତାର ବ୍ୟାଖ୍ୟାନ ଏବଂ
୩. ପାତା ପରିଚୟ - ପାତାର ଜୀବନ ଏବଂ

II

ପାତା ପରିଚୟ
ପାତାର ଜୀବନ
ପାତାର ବ୍ୟାଖ୍ୟାନ
ପାତାର ପରିଚୟ

ପାତାର ପରିଚୟ

- | | |
|-----------------|-------------|
| ପାତାର ଜୀବନ | ପାତା ପରିଚୟ |
| ପାତାର ବ୍ୟାଖ୍ୟାନ | ପାତାର ପରିଚୟ |
| ପାତାର ଜୀବନ | ପାତାର ପରିଚୟ |
| ପାତାର ପରିଚୟ | ପାତାର ପରିଚୟ |

III

ପାତାର ପରିଚୟ

- | | |
|-------------|-------------|
| ପାତାର ପରିଚୟ | ପାତାର ପରିଚୟ |
| ପାତାର ପରିଚୟ | ପାତାର ପରିଚୟ |
| ପାତାର ପରିଚୟ | ପାତାର ପରିଚୟ |

ପାତାର ପରିଚୟ

IV

ପାତାର ପରିଚୟ

- | | |
|-------------|-------------|
| ପାତାର ପରିଚୟ | ପାତାର ପରିଚୟ |

୦୩୫୦ ୧୦୮୦୬୫ ୦୦୩୫୦

ପାତାର ପରିଚୟ ପାତାର ପରିଚୟ

សំគាល់ និង សំណង់ និង សំណង់

សំគាល់ និង សំណង់

សំគាល់ និង សំណង់ និង សំណង់ និង សំណង់

សំណង់

សំណង់ និង សំណង់ និង សំណង់

សំណង់ និង សំណង់ និង សំណង់ និង សំណង់ និង សំណង់

សំណង់ និង សំណង់ និង សំណង់ និង សំណង់ និង សំណង់ និង សំណង់

សំណង់ និង សំណង់

សំណង់ និង សំណង់ និង សំណង់

សំណង់ និង សំណង់

សំណង់ និង សំណង់

ADRESSE:

14, Rue de Trévise, 14 — PARIS IX.

Métro: Gare.

1937 წლის მიერთების 14-ი კვირის ხედისას 8 1/2 ლი
ტრ. სამართლის გადამზღვივი, ასე კი კ. პ. (შე-
მახვილებული), დადორი მიზანი წარადგი მომსახუ-
რავით იყოს:

მართლი მიმოხილი მემორანული.

1. ჩატვირთვებულების საკითხი ხედით.
2. ქართველთა წარმომატების სიკითხი.
3. ქართველი ქანს დასაბამი და ზომი სტორობის მა-
4. ქართველი მცენტრის დასახური.
5. საქართველოს სამეცნიერო შემწხა.
6. შეფეხ — ქართველი სამშენებლი.
7. ქართველი შეფეხის მიზანისა და მიზანისა?
8. ეროვნული უცემა — ქართველი უცემა.
9. საქართველო — კვებისური სამეცნ.
10. საქართველო, დაზღვევა და მრავალი გარემობის
მიზანი ანუ ერთმცულოւთვეს.
11. იმი უნდა მნიშვნელო მუციკის.
12. ბეჭედი თხოვთ გვარის მომცველიძე.
13. მცენტრი კა ახალი საქართველო.
14. დასკანი.

— 1 — 2 — 3 — 4 — 5 — 6 — 7 — 8 — 9 — 10 — 11 — 12 — 13 — 14 —

Le Comité Roustavéli

L'Institut d'Histoire de l'Emigration politique contemporaine
Vous prient d'honorer de votre présence une cérémonie
commémorative en l'honneur de

ROUSTAVÉLI

grand poète géorgien du XII^e siècle dont le chef-d'œuvre
L'HOMME A LA PEAU DE LEOPARD

vient d'être traduit en langue française pour la première fois

*La cérémonie comprenant une partie musicale géorgienne aura lieu
le 30 Mars 1938 à 21 heures dans le grand amphithéâtre de la Sorbonne
en présence de :*

M.M. Philippe SERRE, Sous-Secrétaire d'Etat à la présidence du Conseil,
Marius MOUTET, ancien Ministre, vice-Président de l'Institut d'Histoire de
l'Emigration politique contemporaine
Sébastien CHARLETY, Recruteur honoraire de l'Université de Paris, Président
du Comité Roustavéli.

M.M. les Professeurs André MAZON, Paul BOYER, Gustave COHEN et diverses
personnalités des lettres et du monde diplomatique.

INVITATION pour 3 personnes

Amphithéâtre Entrée: 47, rue des Irlandais

რუსთაველის საზოგადოება

და

თანამედროვე პოლიტიკური ემიგრაციის
ისტორიის ინსტიტუტი

გიშვევთ XII საუკუნის ცნობილი ქართველი პოეტის რუსთაველის ხსოვნის აღსანიშნავ საღამოზე. მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ეხლახანს პირველად ითარგმნა ფრანგულ ენაზე, წარმოადგენს შედევრს.

წარმოდგენა ქართული მუსიკის თანხლებით გაიმართება 1938 წ.
მარტს, 21 საათზე, „Sorbonne“-ის დიდ მთათვარეში.
დაესწრებიან:

- შატონები: 1. ფილიპ სერი, სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარის მოადგილე.
2. მარიუს მუტე, ყოფილი მინისტრი, ემიგრაციის ის-
ტორიის ინსტიტუტის ვიცეპრეზიდენტი.
3. სებასტიან შარლეტი, პარიზის უნივერსიტეტის სა-
პატიო რექტორი, რუსთაველის საზოგადოების პრე-
ზიდენტი.

აგრეთვე ბატონი პროფესორები: ანდრე მაზონი, პოლ ბუეირი,
გუსტავ კოპენი და ლიტერატურისა და ლიპლომატიის სფე-
როს სხვადასხვა წარმომადგენლები.

მოსაწვევი გათვალისწინებულია 3 სულიე-
მისამართი: 47, rue des Ecoles.

პროგრამაშია:

ქართული პოპულარული სიმღერები; რუსთაველის ეპოქისა და
მისი ნაწარმოების მიმოხილვა;

ნაწყვეტები ქართული ოპერებიდან. (როიალისა და ვიოლონჩი-
ლის შესრულებით).

არიებს ოპერებიდან შეასრულებენ ფრანგი და ქართველი მომ-
ღერლები.

იქნება ქართული ცეკვები.

INVITATION
ASSOCIATION GÉORGIENNE EN FRANCE

ASSOCIATION GÉORGIENNE EN FRANCE

Vendredi, 16 décembre à 19 heures précises
Salle de l'Amicale Savoie, 15, R. Servante (métro : Hôpital)

Conférence de M. le Dr. K. BENTZON

ATTRAVERSAMENTO DELLA RUSSIA DAL PUNTO DI VISTA DELL'EST

Commentat. da K. Bentzon
da K. Bentzon

800 francs 800 francs

ქართული ასოციაცია სატრანგეოში კეირას, 18 დეკემბერს, ზუსტად 15 ს.-
ათზე სამეცნიერო საბჭოს დარბაზში. მაღმუაზელ სუზანი ბერტიონის მოხსენება
„წითელი კავკასიის გასწერიე“. როგორ არის გადაჭრილი პუბანური პრობლემა
საბჭოთა კავშირში.

*A L'OCCASION
du 15^e anniversaire de la proclamation de l'indépendance
des Républiques Caucasiennes*

Le Cercle PROMÉTHÉE

*vous prie de lui faire l'honneur d'assister à la conférence
consacrée à l'essentiel du mouvement national*

de l'Azerbaïdjan, du Caucase du Nord et de la Géorgie

qui aura lieu le Samedi 27 Mai 1933 à 20^h 30

Salle (L.-J.) de la Mutualité, 24, rue St-Victor, Paris V.

յազգանոն հյեւթելոյցքին գամույսություններ և գամույսագրեատան
գայազմությունը „Առամբեցու“ ջաշոյ թի-15 թվուականու աղսանութեաց օդյունի
յանբաժնությունը „անդառագանու, հրանություն կայսուսուն և Տայահանցըլու յիշու-
նութ թոմհառնեատ յիշութություննա“。

Ժողովը Շելցեա Ցածու 27 թանի, 1933 թ. 20 ևռ. 30 թ.

Թուսամարտու: 24, rue, St-Victor, Paris.

TROUPE DRAMATIQUE GEORGIENNE

Carte d'Honneur

Le 8 Novembre 1934 au Théâtre de Lanery (, 10, rue de Lanery) sera représenté

«LA PATRIE»

Pièce en cinq actes du Prince Eriethavi.

Directeur Général: CH. NEBIERIDZE.

Rideau à 20 heures et demi.

ასრიზის ძარისული დრამატული დასი

საპატიო გილემი

1934 წელს, 8 ნოემბერს, „Lanery“-ის თეატრში შედგება წარმოდგენა „სამშობლო“—პრინც ერისთავის პიესა ხუთ მოქმედებად.

მთავარი ღირექტორი შ. ნებიერიძე.

დასაწყისი 20 სთ. და 30 წთ.

ЦЕРКЕЛ Д'ЕТУДС
КАУКАЗСКИЕ
15, rue Bréa
Paris 6-e.

Мonsieur,

Vous êtes prié d'assister à la conférence de Monsieur I. Dadéchkheli sur "LE STATUT DE L'EGYPTE GEORGIENNE A TRAVERS LES AGES", qui aura lieu le vendredi 15 avril à 20.00 dans les salles de Société Savanes 25, rue Serpentines Paris 6-e) (Metro Odéon).

Le Comité du Cercle d'Etudes
Caucasiennes.

კავკასიონთა სახელმწიფო კლუბი

ბატონი...

გთხოვთ, დაესწროთ შ. ამირეგიბის მოხსენებას თემაზე:
„შოთა რუსთაველი, მე-12 საუკუნის ქართველი პოეტი“
შედგება 10 ივნისს. დასაწყისი 20 სთ. 30 წთ.
მეცნიერებათა საზოგადოების დარბაზში.
პატივისცემით კომიტეტი.

La Faculté des Lettres de l'Université de Montréal et
l'Institut des Hautes Études en Sciences Sociales
vous prie de vous joindre à la
cérémonie de remise du diplôme d'habilitation à diriger
des recherches au Professeur Jean-**PIERRE** AMIRATY.

LA VILLE DE TIRILLI A TRAVERS LES SIECLES

Un banquet sera tenu le Vendredi 17 mars à 8 heures
à la Halle des Foires de Savoie, 28 rue Serpente,
à Chambéry - dans le 3^e arrondissement. Mise à part.

卷之三

କାନ୍ଦିରାମ ପାତା ପାଇଁ ଜାଗରୂପ

ପ୍ରାଚୀନମ...

კომიტეტი გიშვევთ ბატონ შ. ამირეჯიბის მოხსენებაზე: „ქალაქი ტფილისი საუკუნეების მანძილზე“, რომელიც შედგება პარასკევს 17 მარტს, 8-½ საათზე სამეცნიერო საზოგადოების დარბაზში.

ପ୍ରମାଣିତ କାନ୍ତି

СЕРВИС ДЛЯ ПУБЛИКАЦИЙ
СОВЕТСКОГО УЧЕБНОГО
ПЕРЕВОДА
С. р. Симонова
ПАРИЖ

Милейший,

Le Comité du Parti communiste français
a l'honneur de vous faire savoir qu'il convient à
l'assemblée de l'Institut de géographie, qui doit se réunir
dans les prochains jours à Paris, de voter la résolution

«Conférence qui aura lieu le mardi 17 juillet,
à 8 heures 1/2 précises, à la Salle des séances
du musée, 16 rue Bonaparte à Paris» «Approuveraient,
être tenu sera au sein de débats sur le sujet précité».

Совет

კავკასიოლოგიური კამპუტი

ბატონი...

გთხოვთ, დაესწროთ ბატონ დ. ვაჩნაძის მოხსენების თემაზე:
„ქავკასიის ხალხების კავშირი და მათი ტრადიცია-მთელი ის-
ტორიის მანძილზე“. მოხსენების შემდეგ, რომელიც შედგება
სამშაბათს, 17 იანვარს, 8-1/2 საათზე სამეცნიერო საზოგა-
დოების დარბაზში, აღნიშნულ თემაზე გაიმართება კამთი.

კომიტეტი.

CERCLE D'ÉTUDES

CAUCASIENNES.

15, rue Bréa,

PARIS (7-^e)

Monseigneur,

Nous avons pris l'assistance à la conférence de M. J. TIRABALDI sur "COURS HISTORIQUE DES SOCIÉTÉS DU 18^{me} SIECLE" (en russe) qui aura lieu le vendredi, 10 Juin à 19h.30 dans la salle des Sociétés Savantes, 18, rue Serpente, Paris 6-^e (Métro Odéon).

Le Comité du Cercle d'Etudes
Caucasiennes.

Ճամաստուա Տարածական գլուխու
ծարոնո...

Ճոթովու, Ճայսթիրու ծարոն օ. ՃաղցՇյելուանու Թռեսընեծա տյ-
մանց „Քահուցու Այլականու Բյեսլեծա Բլեծան Ճանմացլոնծա՛ն“, Հոմե-
լուց Շեղցեծա Ապրակյցք, 15 ապրոլս, 20 եռ. 30 թ. Սամցւնոյրո
Սանցագալոյցեծան ճարծանչու.

Ճոթուրուրո.

Vous êtes prié d'assister à la conférence de M. S. AVALLICHVILI qui aura lieu le 22 Janvier 1932 à 21 heures à la Salle des Sociétés Unies, 28 rue Serpentes (Metro Odéon) sur "Les dernières batailles et la Caucasic Nouvelle" (en russe).

Le Comité du "Cercle des Etudes Caucasiennes".

გთხოვთ დაესწროთ ბატონ ს. ავალიშვილის მოხსენებას თემაზე:
 „კავკასიის უძველესი და ახალი ისტორია“ (რუსულად), რომელიც
 გაიმართება 1932 წ. 22 იანვარს, 21 საათზე, სამეცნიერო საბჭოს
 დარბაზში.

კოვკასიონთა სასწავლო კლუბი.

CERCLE DES ÉTUDES
CAUCASIENNES
5, rue Henri Buchène
PARIS
France

Monsieur,

Vous êtes prié de vouloir bien assister à la conférence sur le Poète caucasien SATAT - BOVA, qui sera faite par le Prince CH. AVIRAN - INIPI et Monsieur I. ZAYRISHVILI, mardi, 14 novembre à 8 h, 1/2 du soir, à la Salle des Sociétés Savantes, 28 rue Serpente à Paris (métro Odéon).

LE COMITÉ

კავკასიონთა სახელმწიფო კლუბი

5, rue Henri buchene Paris.

ბატონი,

გთხოვთ დაესწროთ მოხსენებას თემაზე: „კავკასიელი პოეტი საიათნოვა“, რომელსაც გაუძღვება პრინცი შ. ამირეგიბი და ბატონი ი. ზავრიელი, სამშაბათი, 14 ნოემბერი, სალამოს 8-½ საათი, სამეცნიერო საზოგადოების დარბაზი, 28, rue Serpente, პარიზი.

კომიტეტი.

ციური სკოლის დაწესებულების

კავკაზიურის.

15, rue Bréa. (6-ი)

Paris le 12 Mars 1932

Monsieur,

Vous Êtes prié d'assister à la conférence de M. Michel Moukhelichvili, Docteur en droit, sur la "La situation juridique des Etats du Caucase dans l'U.R.S.S." qui aura lieu le mardi 22 mars 1932 à 20.30 à la Maison de la Mutualité (Salle L, 2^e étage), 5 Square de la Mutualité, Paris (Métro Maubert-Mutualité).

Le Comité du Cercle d'Etudes
Caucaziennes.

კავკაზიურის სახელობის
კარიზმა 12 მარტი 1932

15. rue Brea

ბატონი,

გთხოვთ, დაესწროთ სამართალმცოდნეობის დოქტორის მიხეილ მუსხელიშვილის მოხსენებას ოქმაზე: „კავკაზიურის მხარეთა იურიდიული მდგომარეობა სსრკ-ში“. რომელიც შედგება სამშაბათს, 22 მარტს 1932 წ. 20 სთ. 30 წთ.

მისამართი: La Maison de la Mutualite (ურთიერთ-დახმარების საზოგადოება) II სართული, დარბაზი L. (მეტრო Maubert-Mutualité) კომიტეტი.

"ont donc prié d'assister à la conférence de M. Ch. Amiranjibi sur la Géorgie dans la première moitié du XIX^e siècle" (en russe), suivie par la conférence de M. A. Pakinian sur "Tapir Arménien" qui auront lieu le 5 Février 1973 à 21 heures à la salle des Sociétés Savantes, 28 rue Serjantov (Metro Odéon).

Le Comité du "Cercle des" admet
Causeries.

କାନ୍ଦିରାମେଲ୍ଲାରୀ ଶାଶ୍ଵତମୁଖ କଣ୍ଠଶିଖ

გოხვოთ, დაესწროთ ბატონ შ. ამირეჯიბის მოსხენებას თემაზე: „საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში“ (რუსულად). მეორე მოსხენებას წაიკითხავს ბატონი ა. საქისიანი თემაზე: „სომხური ნოხები“, რომელიც შედგება 5 თებერვალს, 1932 წ. 21 საათზე სამეცნიერო საზოგადოების დარბაზში, 28, rue Sarpente (მეტრო Odéon).

430000.

CONFÉRENCES FRANÇAISES SUR LA GÉORGIE.

Musée Social. 5, rue Las-Cases - VII^e.
(Métro - Solférino - N.Sud).

Le Dimanche 11 Octobre 1931, à 9 h. précises.

CONFÉRENCE par M. CH. PERIDZE,
membre de la "Société Artistique" de Paris,
sur :

"Le MANGEUR DU SERPENT"
poème géorgien.

Sujet, Milieu, Analyse, Philosophie, Maximes.
Conclusion.

(Cette Conférence sera suivie d'une
revue générale de la poésie du grand poète
WAJA - FCHAWIA).

Invitation cordiale.

Président : Emile Hachani,
professeur.

Présidente administrative :
Madame la Princesse Josephine Dadiany.

ENTREE 3 Frs.

არაგელი პოლიტიკისა და ართობის შესახებ

კვირას 11 ოქტომბერს, 1931, სრულ 9 საათზე. მ. ბერიძე მარ-
თავს ლექციას.

„გველის მჭამელი“

ქართული პოემა

შინაარსი, ანალიზი, ფილოსოფია, დასკვნა. ეს ლექცია წინ
უსწრებს დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას პოეზიის გენე-
რალურ განხილვას.

გულითადად გეპატიურებით: პრეზიდენტი ემილ ომანი. პროფესორი.
პრეზიდენტი ადმინისტრაციულ დარგში ქალბატონი პრინცესა
დადიანისა

შესვლა 3 ფრანკი.



Orthodoxe Aartsbisschop

of Armeense Kerk

ქართველი ქართველობის
სამხრეთ ეპისკოპოსობრივი კანონი

Conférence orthodoxe
de
Sainte Kéthévane

1934

ქართველი კიონისანის გარემონაფილი ქანია

1934

(გარე ყდი)

შინაარსი:

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური
უნეტარესი კალისტრატე

სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი
მცხეთისა და ტფილისის ორქიეპისკოპოსი

შლედელი: გრიგოლ ფერაძე, ფილოსოფიის დოქტორი, ქართული
„წმინდა ნინოს სამრეკლოს“ რედაქტორი პარიზში. ვარშავის
უნივერსიტეტის პროფესორი.

საპატიო წევრთა შორის:

ჩხერიელი აკაკი — საქართველოს ყოფილი მინისტრი პარიზში.

La Conférence orthodoxe de Sainte-Katherine est un organisme religieux fondé par le Patriarche-Saint-Serge-Potemkin l'Évêque-martyr et l'autre partie de la Fraternité catholique de la Grande-Eglise de Constantinople, nommée ainsi de deux frères, le Patriarche et l'Archevêque patriarcal de l'Eglise orthodoxe de la Conférence.

La Conférence est une conférence ecclésiale, elle se place sous l'autorisation de la patriarche de Sainte-Katherine, cette dernière comprenant le patriarche de l'Eglise orthodoxe de l'Asie méridionale connue comme la Sa Beatitude le Catholicos-Patriarche de toute la Géorgie.

La Conférence possède une véritable autonomie, l'Assemblée de Patriarches, élu au congrès qui est de l'Assemblée Patriarchale de l'Eglise orthodoxe russe connue comme la Sa Beatitude le Catholicos-Patriarche de toute la Géorgie.

— — — — —

Primate et Proto-Hierarque de l'Eglise Orthodoxe

Sa Saineté

PHOTIUS II

Archevêque de Constantinople Nouvelle-Rome

PATRIARCHE CECUMÉNIQUE

Chef de l'Eglise orthodoxe de Géorgie

Sa Beatitude

CALLISTRATE I

CATHOLICOS-PATRIARCHE DE TOUTE LA GÉORGIE

Archevêque de Mtskheth et de Tbilis

— — — — —

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური
სარელიგიოზ საქართველოს 113-ე კათალიკოს პატრიარქი,
მცხეთისა და ტყილისის ოქიეპისკოპოსი უნეტარესი კა-
ლისტრატე I.

მღვდელი: ფილოსოფიის დოქტორი, ქართული წმინდა ნინოჩხაგართი
მართლმადიდებლური სამრევლოს რექტორი პარიზში,
ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი, არქიმანდრიტი
გრიგოლ ფერაძე.

საპატიო წევრთა შორის:

ჩხერელი (აკაკი)—საქართველოს ყოფილი მინისტრი პარიზში.

საპატიო ქალბატონნებიდან:

შეიძლორიცი (ბარბის ბარონესა) — პრინცესა შერვაშიძის ქალი—
შვილი.

შიურატი — პრინცესა ანტუანეტა.

Georgische Kolonie in Deutschland e.V.

EINLADUNG:

კართული კოლონია გარეანიაში

მოსაწევეები ბარათი

1939 წლის 24 მარტს, საღამოს 8.30 საათზე ქართველი პოეტი
გრიგოლ რობაკიძე
ლანდფერ-კაზინოს ურანგლერთა დარბაზში, ბერლინში, იგე-
ნის ქ. 2 წარეკითხავს ლექციას: „ქართველების მსოფლიო სახე“.
ვკალნიერდებით და გიჭვივთ
კოლონიის თავ-რე.

Georgische Kolonie in Deutschland e. V.

EINLADUNG

zu dem

Georgischen Gesellschaftsabend „Tag der Heiligen Nino“

veranstaltet v. Feistausschuss der georgischen Frauen
am

Freitag, dem 27. Januar 1939, im Hotel Adlon

Zum Tanz spielt Carlo Mirvari → Gesellschaftsanzug Zwang

Karten: RM. 5.— € Kartenvorverkauf und Tischbestellung
Anfang 9 Uhr Ende 5 Uhr Telefon: 25 02 60 und 68 07 22

კართული კოლონია გერმანიაში

მოსაწევები ბარათი

ქართული საზოგადოების სალამობე

„წმინდა ნინოს დღე“

მოაწყო ქართველ ქალთა საზეიმო კომიტეტი. პარასკევს, 27
იანვარს 1939, სასტუმრო ადლონში. საცეკვაოდ დაუკრავს კარლო
მინარი —

აუცილებელია გამოსასვლელი კოსტუმი.

ბილეთები: 5 მარკა.

სამი ნიკოლოვი

(ქართველი ეპიზოდის ისტორია მარის გარდაცვალების შესახის)

ქვემოთ წარმოდგენილი სამივე წერილი გამოჩენილი ლინგვისტისა და ისტორიკოსის ნიკო მარის გარდაცვალებასთან დაკავშირებით (1934 წ.) არის დაწერილი და ამ სამწუხარო ფაქტთან ქართული ემიგრანტული წრეების დამოკიდებულებას გამოხატავს.

ექვთიმე თაყაიმვილის წერილი „აკადემიკოსი ნიკო მარიი, (1864—1934) ნიკო მარიის სამეცნიერო მუშაობა და ლვაწლი)“ დაბეჭდა გაზეთში „დამოკიდებული საქართველო“ (№ 124) 1936 წლის აპრილში. ეს გაზეთი გამოდიოდა პარიზში, ქართული პოლიტიკური პარტიების თაოსნობით.

მიხევთ წერეთლის „ნიკო მარიი“, აგრეთვე პარიზის ქართული სათვისტომოს გაზეთ „თეოტი გიორგის“ პუბლიკაცია (№ 84—85) 1935 წლის იანვარ-თებერვალში.

და ბოლოს მესამე, უცნობი ვეტორის სტატია, რომელიც „ნა-ს ფსევდონიმით არის გამოქვეყნებული გაზეთ „კლდეში“. (ეს გაზეთი გამოდიოდა ეკრანიაში).

იმ პერიოდში რამდენიმე პირი იბეჭდებოდა პრესაში „ნა-ს ფსევდონიმით. მათ შორის ნორ ქორდანიაც, მაგრამ არც წერილის ტექსტი და არც სხვა რამ მონაცემი არ იძლევა საშუალებას ზუსტად გავარკვით „კლდეში“ დაბეჭდილი ამ წერილის ვინაობა.

აგრეთვე ცნობილია, რომ „ნა-ს“ მწერალ ნიკო კურდლელშვილის ფსევდონიმია, რომელიც საზღვარგარეთ 10-იან წლებში იმყოფებოდა. მითომ საფუძველსა მოკლებული, რომ ნ. კურდლელშვილი იყოს ამ პუბლიკაციის ვეტორი.

რაც შეეხება პირველ ორ წერილს, როგორც თავად პუბლიკაციებიდან ირკვევა, მიხევთ წერეთელს პირადი ნაცნობიბა ჰქონდა გამოჩენილ ლინგვისტთან. „ბეღნიერება მქონდა პირადად რამოდენიმეჯერ მენახა განსვენებული, ხანგრძლივად მესაუბრა მასთან“ — წერს იგი და ეს ურთიერთობა ძირითადად პროფესიულ ნიადაგზე უნდა ყოფილიყო დამყარებული, რადგან მიხეილ (მიხევთ) წერეთელი თავად გახლდათ ცნობილი ორიენტალისტი, თბილისის, ბრიუსელისა და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორი, პირველი ასისიონოგი.

.სიყრმის მეგობრობა აქავშირებდა ნიკო მართან მეორე ქართველ მეცნიერს ექვთიმე თაყაიშვილს. მათ ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლისას გალაური ვეტიათ მთელი თავიანთი ნიჭი და ენერგია ქართული ეროვნული კულტურის შესწავლისათვის მოხმარათ. ექვთიმე თაყაიშვილისა და ნიკო მართის არქივებში დაცულია ერთმანეთი-სადმი მიწერილი 225 წერილი, რომელიც საშუალებას გვაძლევენ ვიმსჯელოთ მათ მეცნიერულ გეგმებსა და პირად ცხოვრებაზე.

როგორც ცნობილია, ნიკო მართი საკმაოდ წინააღმდეგობრივი ხასიათის პიროვნება იყო, რაც ვლინდებოდა როგორც მის პირად ცხოვრებაში, ასევე მეცნიერულ მოღვაწეობაში. წარმოდგენილ წერილებში კარგად არის დახატული მეცნიერის ეს, ექვთიმე თაყაიშვილის აღნიშვნით, „ექსცენტრიული“ ბუნება და მისი გამომწვევი მიზეზებიც საფუძვლიანადა ახსნილი.

ექვთიმე თაყაიშვილიც და მიხაკო წერეთელიც დიდ ადგილს უთმობდნენ ნ. მართის ცნობილი ნაშრომის „იაფეტური თეორიას“ განხილვას. ეს ის თეორიაა, რომელმაც საკმაო აეიოტაჟი გამოიწვია თავის დროშე მეცნიერულ წრებში და ბევრი მოწინააღმდეგიც გაუჩინა მის თეორეტიკოსს. მოვციანებით, როცა ნიკო მართა თავის „იაფეტურ თეორიას“ მარქსის დიალექტური მატერიალიზმი შეუთავსა, იქამდე მცვიდა, რომ ენა ზედნაშენურ კატეგორიად გამოაცხადა. სწორედ ამგვარი მიღებობის შედეგი იყო ის, რომ 20—30-იან წლებში დაიწყო კომპანია, რომელიც მიზნად ისახავდა „პროლეტარული ენის“ შექმნას. სიტყვების უთავბოლო შემოქლებები და სტანდარტული მეტყველების პრაქტიკა გარკვეული წლების საბჭოურ აზროვნებაში სწორედ ამ კომპანიის შედეგია.

მიუხედავად ზოგიერთი ლაფსუსისა, წერილების ავტორებს მაინც დადებითად აქვთ შეფასებული ნიკო მართის მეცნიერული ლვაწლი, განსაკუთრებით ქართველოლოგისა და კავკასიოლოგიაში.

წარმოდგენილი წერილები მოკვლეულია შალვა ამირეგიბის პირად არქივში დაცულ ემიგრანტულ პრესაში.

სამივე წერილში მთლიანად დაცულია ავტორთა სტილი.

მარინე ხუბულური

აკადემიკოსი ნიკო გარები (1864 — 1934)

(2013 იარჩის საეცვლილო მუშაობა და ლანდი)

Ե. Ցանկո ոյս ցեղութեածներո, թիզալո ջարցո մեցնուրեցնու-
սա Մշագցենդա Տաշանս Թուս Մշեֆացլուսա დա պոզալ ճարցშո միենդա
Քալանքն է և նոյն, Ցագրամ Շանրեսալ Յորցելուց պահանձնութիւնուսա ու ոյս
լունցընէտո, ցնատա մեցնուրո, ցմինանումնոյց թան մոխնաց ճանասաւ
յահուլո ցնու Մշեֆացլո և ցամրացլուց և մաս Մշեֆուրա մուլո
թեսու Տուրութելու, Ցուութեա ուժվաս, հռմ պայուղա Տեյց ճարցშո թիսու
թշշանձա թմսալու ոյս տացու Ցիրութեամուս, լունցընէտուր թշշանձնսա,
անց պայուղ ցետքատ թիսու օացութուրու տցորուսա. Իռցա Ե. Ցանկո
Ֆինանմութեց տացու Ցորցենդութու անհուսա, հռմ յահուլու ցնա Սեմո-
ւր ցնատա Ցցուցս պայուղնու ճարցմունդա, հռմ յահուլու ցնա տուլուց
նացեսանձա պյան Սեմուր ցնեցուան, Ցաշրամ ու տացու թաելութելու թո-
նացեսաց ցնեցու և ցոլուցացեցնու ցանցալցացեցնու ցնատա Ցցուցս
պայուղնու, ամ ցնատա Ցցուցս ճարցմայ օացութուրու ցնատա Ցցուցս, ցն
Ծյուրմոնու Ցորցենդուտա, Իրցու որ Տեյց Ցցուցս Սեմուրն և յամութուրն
նոյն Ցցուլցնու Տաելուց Ցյուու, ամսաց մեսամե նոյն Ցցուլուս օ-
ցութու Տաելու ճարցմայ. Ցեմլուց Տեյց Կայցասուրու ցնեցու Մշեֆաց-
լամ Ցանկո մուսանա մի ճասկենամցու, հռմ պայուղա Կայցմուրու ցնե-
ցու, Ցուուր ցամրութեատ (Օսմուր և առհրեշտուսա) օացութուրու ցնեցու
Ցցուցս պայուղնու. Տոմինուր ցնա, հռմելսաւ ոնդու-ցըրութուլ անց
արուսու ցնատա Ցցուցս պայուղնու Ցցուլու ցամրուցաց Ցցու-
լու ցնա ալմոհնու, Տանաեցրու օացութուրու. Տանաեցրու արուսու.
Իռցու Տոմինուր, արմենեցու, մուզուցն Կայցասամու, թատ պյ Ճանցւատ
օացութուլցնու, թատ Ցցուրունեն արուսու Տոմինուր և ցամրութուլցա
Ցցուլու ցնա. մոտ անեսնեցու Ե. Ցանկուս անհուտ, հռմ մուլու Ցցու-
լունցնու Տոմինուր ցնա, Ցուուր, Ցուուր, Ցուուր նայլութա Ցցացս տօւս
Խալեսուր Տոմինուր, Ցուուր Ցուուր Ցուուր ցնա հուստուլս. Ցցուլուց օացու-
թուր ցնատա Ցցուցս մույսունեն Ցցուլուց Ցցուլու Ցցուլու Ցցուլու Ցցուլու
Ցցուլու Ցցուլու Ցցուլու Ցցուլու Ցցուլու Ցցուլու Ցցուլու Ցցուլու Ցցուլու Ցցուլու

ტელთა სამკვიდრო კავკასია იყო და ქვედან გადასახლდენ და მო-
ედვნენ სხვა აღგილებს, ხოლო შემდეგ შეიცვალა აზრი: არა კავ-
კასია მარტოდ, არამედ მოელი ხმელთა შუა ზღვის ნაპირები უძ-
ველესი დროიდან სულ იაფეტელებით იყო დასახლებული და
ესენი შეადგენენ მესამე ელემენტს ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაცი-
ის შექმნაში. იაფეტელები აღმოჩნდენ შუა აზიაშიც, პამირზე მო-
სახლე ვერშიტელების ენა იაფეტური არის მარჩის გამოკვლევით.
წინეთ მარჩი იაფეტურ ენას უპირისპირებდა ინდო-ევროპი-
ულს ანუ არაულს და სემიურს. ბოლოს უარყო არსებობა ასეთი
ჯგუფებისა, ასეთი დაყოფა ენებისა. ყველა ენები მარჩის აზრით
წარმომდგარია შემოქმედებითი შრომით კაცობრიობისა, ერთი შე-
მოქმედებითი პროცესის ნაყოფია. ამგვარად იაფეტური თეორია
ეხლა იპყრობს თავის შორის ყველა დედამიწის ენებს. ის რითაც
ერთი ჯგუფი განირჩევა მეორესაგან, ინდო-ევროპიული თუ სე-
მიური იაფეტურისაგან, არის შედეგი სხვადასხვა დროის განვითა-
რების საფეხურისა. ინდოევროპიული ენები ტრანსფორმაცია არის,
ესე იგი, გარდაქმნილია იაფეტური ენებისაგან. ეს ენები კი არ
არის, ენები, რომელიმე განცალკევებული რასისა, ანუ ხალხისა.
მოკლედ რომ ვთქვათ, იაფეტური ენა ისტორიის წინა დროის ენაა,
ინდოევროპიული ისტორიული დროის. ბასკური ენა, რომელიც
ასე მჭიდროდ ენათესავება კავკასიურ ენებს, ნამეტნავად აფხაზურს,
მესხურს, და სომხურს, ერთად ერთი ისტორიული წინადროის ენაა
მთელს ევროპაში.

ენის ევოლუცია მარჩის თეორიით ასეთი იყო: ჯერ „ხელის
ენა“ იყო, ესე იგი ხელის ქნევით, ხელით გამოსახული ნიშნებით,
ესტებით ავებიებდენ ერთი შეორეს რაც უნდოდათ, როგორც ებ-
ლაც ზოგიერთი ტყუცრი ხალხი ჩადის, და შემდეგ შრომის პრო-
ცესში შეიქმნა თანდათანობით ბერათა ენა. მარჩის აზრით არ
არსებობს დედამიწაზე ენა, რომელიც შერეული არ იყოს. ეს შე-
რევა ანგითარებს ენას.

ამრიგად ქართული ენის და მისი მონათესავე ენების შესწავ-
ლამ მარჩის წამოაყენებია იაფეტური თეორია, რომელიც მის ხელ-
ში და კვლევა-ძიებაში თანდათან განვითარდა, გაფართოვდა,
მთელ დედამიწის ენებს მოედვა და მიიღო უნივერსალური ხასიათი.
ამ თეორიამ მარჩის სახელი მოუხვეჭა, მაგრამ მტერიც ბევრი შე-
ძინა. ევროპის მეცნიერები იცნობენ ნ. მარჩის მხოლოდ როგორც



იაფეტური თეორიის ავტორს და უშეტესი ნაწილი მათგანი შემოუყოფა
ლიად არ იზიარებს ამ თეორიას, მის მეთოდს და მიღვომას საგნი-
სადმი. სხვა აუარებელ შრომებს მარჩისას, რაც ჩვენოვას პროცეს
ხარისხოვანია, სრულიად არ იკნობენ. ერთადერთი მეცნიერი ვა-
როვაში, რომელიც ყველა მარჩის შრომებს კარგად იკნობს და
ზოგიერთი მათგანი ლათინურადაც გადათარგმნა, არის ბოლონდის-
ტი პალ პეტრისი. ჯეროვანად მცირები ქართულის ენისა. მანმ ია-
ფეტური თეორია მარტო კავკასიურ ენებს ეხებოდა, მარჩის მო-
წაფენი იზიარებდენ ამ თეორიას, როდესაც ეს თეორია გადავიდა
სხვა ხალხებზე და გაფართოდა, უშეტესი მათგანი არ გაჰყო ასე
შორს მარჩის. მათი აზრით მარტმა უფსკრულში შეტოვა, საიდანაც
გზის გამოვნება შეუძლებელია. ეს მათ, რა თქმა უნდა, არ უშლის,
რომ მარჩის დიდის პატრიოტ ეპიკობოდნენ, მის ტალანტს, მის კო-
ლოსალურ დამსახურებას და დიდ მეცნიერებას არ სცნობდნენ, ან
უმაღლერი იყვნენ. მაგრამ მარჩი ვერ ურიგდება ამას და ეს გას-
გებიც არის. ევროპა არ სცნობს მას და შინააურებიც არ ეთანხმე-
ბიან ამ საყითხში. ამას დაერთო რევოლუცია, რუსეთი აიშალა,
რღვევა დაწყო, ქართველმა და სომეხმა მისმა შეგირდებმა და თა-
ნამშრომლებმა მიატოვეს პეტროვჩიადი, ჩამოვიდნ კავკასიაში.
ქართველებმა ტფილისში გახსნეს უნივერსიტეტი, სომხებმა ერევან-
ში, მარჩი მარტოდ დარჩა, პეტერბურგის სკოლა კავკასიის მცირ-
ნეობისა თითქმის დაიშალა. მარჩი პირველად წინააღმდეგია ახალი
უნივერსიტეტის გახსნისა, მაგრამ შემდეგ, როდესაც ტფილისს
ქართული უნივერსიტეტი გამტკიცდა და ბოლშევიკებმა იუნეს თა-
ვისუფალი საქართველო, მარჩი გრძნობიერ წერილს სწერს ტფი-
ლისის უნივერსიტეტის რექტორს. მის ყოფილ შევიტლს იც. ჯვა-
ნიშვილს, და მზადაა გადმოვიდს ტფილისის უნივერსიტეტში. მარჩი
კირჩევთ ერთხმად პროფესორად, ის იწერება, ეხლა სა-
ზღვარგარეთ მიღლივარ და იქიდან პირდაპირ ტფილისში დაებრუნ-
დებიო. მაგრამ ამ დროს ხდება ბოლშევიკების მიერ საქართველოს
დაყრინბა და მარჩი ბრუნდება ისევ პეტროვჩიადში. რევოლუციის
დროს ის იცავს პეტროვჩიადის ავალების და სამეცნიერო დაწესე-
ბულებებს განადგურებისაგან, ვანიცის, როგორც სხვებიც, შიმ-
შილს, ყოველგვარ შეურაცხოფას, ღამ-ღამე ხშირად ესხმიან
თავზე და ჩხრეკენ კონტრ-რევოლუციონური დოკუმენტების აღმო-
საჩენად, რა თქმა უნდა, ის უაღრესად ნერვიულობს, შუოთავს,

ვერ შუშაობს დამშეიღებით. ერთხელ ჩხრევის დროს აღელვებული გაეარღება ვარეთ, დარბის გიფივით ეზოში, როცა ჩხრევა ვათავედა, მიწვიეს შესულიყო ბინაში, ის აღარ შედის, შფოთავს, ძლივს აშოშმანებენ. შეღვას პოულობს საზღვარგარეთ მიყდინებაში სამეცნიერო მიზნით, პარიზში ხსნის ქართული ენის კურსებს, ამზადებს ფრანგის მღვდელს ბრიტონს, რომელიც ამ კურსებს ვანაგრძობს მის შემდეგ. ლენინგრძეში დაბრუნებისას სულ უნუგეშო მღვდელმარეობა დახვდა. დამზადებული შრომები იაფეტური თეორიისა, რომელიც უნდა დაბეჭდილიყო წლის განმავლობაში, დაუბრევდავი იყო და თანაც გამოუტავის. რომ ისინი რიგში დარჩებიან სხვა დასაბეჭდ წიგნებთან ერთად და როცა რიგი მოუწევთ, მაშინ დაიწყებენ ბეჭდვას.

ამას გარდა ქართული ხელნაწერები, რომელიც ქვეყნებს შეადგენენ იაფეტოლოგიისათვის, ტფილისში დაუბრუნებია ხელისუფლებას. ყველა ეს ამბავი სასოჭარვეთილებაში აგდებს მარრს და ის პირდაპირ ამბობს, ეს არის ნიშანი ჩემი დასისრულისა, გაქარწყლება მოელი ჩემი მუშაობისათვის. ხუთი წლის განმავლობაში მარრი არც ეჩხუბება აშკარად და არც ემხრობა ახალ ხელისუფლებას. მაგრამ შემდეგ 1923 წლიდან თანდათან ეგუბა ბოლშევიკურ რეჟიმს, როდესაც ის პირველ სრულ საკავშირო კრებაზე ამოირჩის ცენტრალური საბჭოს მეცნიერების მუშავთა თავმჯდომარედ, ხელმეორედ არჩეულ იქმნა მეორე და მესამე კრებაზედაც და შოლოს 1930 წელს ეწერება კომუნისტურ პარტიაში და აშკარად ემხრობა დიალექტურ-მატერიალისტ მეთოდს მარქს-ენგველისას. ეს მარქსისტულ-დიალექტური ლინგვისტიკა ეხლა მის ხელში სულ პოლემიკურია ეგრეთწოდებულ ეტროპიელ „ბურუუაზიულ“ ლინგვისტების მიმართ და აგრეთვე ყველა საბჭოს ლინგვისტების წინააღმდეგ, რომელიც იაფეტურ თეორიას არ იზიარებენ. იაფეტური თეორია გამოუხადებულია სავალდებულოდ საბჭოთა კავშირში. მარრს ეხლა საშუალება ეძლევა ფართოდ ვაშალოს მოქმედება იაფეტური თეორიის მიხედვით კვლევა-ძიებისა და ყველა საბჭომი შემავალ ერთა ენების გამოყელებისა, მას ეხლა მეტი მიმდევარი ჰყავს, ის აარსებს ინსტიტუტებს, სკოლებს, კურსებს, წრეებს და სხვადასხვა დაწესებულებებს იაფეტური ენების შესასწავლიდ. მოგზაურობს სხვადასხვა მხარეებში საბჭოს კავშირისა და ლინგვისტური მიზნით, აუარებელი წიგნები და სტატიები გამოდის სულ მისი



მონაწილეობით და ხელშეძლეანელობით, ენერგია მისი არა თუ შეგვიძლობელი სუსტდა, არამედ გაორკეცდა, მაგრამ ბოლოს სხეული აღარ უძლებს და ის ხდება მსხვერპლი მეცნიერებისა, მსხვერპლი ტიტანური შრომისა. პირველი დამბლა მას მოსდის რეფერატის კითხვების დროს მატერიალურ კულტურის ისტორიის ვადგემიაში, რომლის თავმჯდომარე თვით ცყო, შემდეგ მოიკეთებს და კვლავ იწყებს მუშაობას, მაგრამ ჯანი აღარა აქვს. დამბლა მეორედება და როდესაც ატყობის, რომ აღარ შეუძლია ჩვეულებრივ გრიგალივით მუშაობა, აღარ უნდა სიცოცხლე, უარს ამბობს საზრდოს მიღებაზე და წუთისოფულს ეცლება.

სულ სხვა საყითხია, რამდენად შეგნებულად მიემხრო მარრი ბოლშევიკურ იდეოლოგიას, ბოლოს და ბოლოს ეს მისი ჩამონა იყო, თუ ფარისევლობდა, მიიღო ის პირადი ინტერესებით, რაც არ სწამდა, თუ მართლა ირწმუნა, და რავი ირწმუნა თავისებურავ გატაცებით მიემხრო? ვინც მარრი სიყრმიდან არ იცნობს, ის პირველ დასკვნას მიიღებს და ამის საბუთს თვით მარრი თავის მოქმედებით და ნაწერებით მრავალს აძლევს, მაგრამ ვინც მას ახლოს იცნობს, მისი მერყეობა მიმართულების და საგნის არჩევანში არაერთხელ უნახავს და მისი ექსცენტრიული ხასიათი განუცდია, ის მას ფარისევლობას ვერ შესწამებს. ის ზოგჯერ სცდება, მაგრამ სცდება შეგნებულად, გატაცებით და არა ფარისევლობს. იღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი. ყველა მენშევიკების მოწმობით მარრი პირველ რევოლუციის დროს 1905 წელს თავის წერილებში ბოლშევიკებისკენ იხრებოდა.

მარრი დიდი მეცნიერია, მაგრამ მრავალი შეცდომებიც აქვს, და ამ შეცდომებს უფრო ხშირად თვითონ აღარებს. იშვიათად თუ მოიპოვება სხვა მეცნიერი, რომელსაც ასე ხშირად უარესოს მის მიერ წარმოთქმული აზრები. ლინგვისტიკაში ეს მოვლენა ადვილი ასახსნელია, ლინგვისტიკა ზღვა არის. დღევანდელი მჯგორარეობა მასალისა და კვლევა-ძიებისა ერთ დასკვნას იძლევა, ხოლო ხვალინდელი ახალი აღმოჩენანი სრულიად უარმყოფენ ამ დასკვნის. მაგალითად მარრი ამბობს; ვინც ახლად იწყებს იაფეტური თეორიას შესწავლას, მას არ ვუჩეკვ ჩაიხედოს ჩემს ამ საგნის შესახებ ნაწერებში, რომელნიც დამიწერია სტატიის გამოსვლამდის „მესამე ეთნიური ელემენტი ხმელთაშუა ზღვის კულტურის შექმნაში“ და ეს უკანასკნელი სტატიაც იმ განსხვავებით უნდა მიიღოს, რაც მის

გერმანულ თარგმნის წინასიტყვაობაში სწერია. სტატია რუსულზე დაიბეჭდა 1920 წელს, ხოლო გერმანულად 1923 წელს. მანამდრ აუარებელი სტატიები პერიოდი მარჩის იაფეტური თეორიის გამო. ამ ცვალებადობის შესახებ მარჩი ამბობს: რომაელები ამბობდენ დღე დღის მასწავლებელია, იაფეტურ თეორიაში კი სათი სათის მასწავლებელია.

ზოგჯერ მარჩის გამოცემებში წინასიტყვაობაში განცხადებულია: ის რაც წიგნში სწერია, მანამ იბეჭდებოდა, დამველდათ. ასე ცვალებადობით მიღიოდა იაფეტური თეორიის განვითარება უკანასკნელ დრომდე.

მარჩის აქვთ ერთი საყურადღებო სტატია: „წარმართი საქართველოს ღმერთები“, რომელც ყველა მკვლევარმა მოიწონა და მიიღო, მაგრამ მან ბოლოს უარყო, იქ გატარებული აზრი ირანულიდან სკსხება ამ ღმერთებისა მართალი არ არისო. სახელები ღმერთებისა იაფეტურიათ. გეოგრაფიულ სახელს „სომხეთი“ ეხლანდელი ბორჩალოს მაზრა, მარჩი ხსნიდა წინათ, როგორც „სომხესიი“, ესე იგი სვან-მესხები და ამტკიცებდა სვანები და მესხები წინათ აქ ერთად ცხოვრობდენ და შემდეგ გაიყირენო. მეტმე უარჲყო ეს აზრი და სულ სხვა განმარტება წამოაყენა. უფრო საკირველი იყო კიდევ, რომ მან მიიღო ერთ დროს ს. კაკაბაძის მიერ ნაჩარევად გამოთქმული აზრი, რომ რუსთაველი მაპმაღიანი იყოთ. და ეს მას შემდეგ, ჩაც მან მოვცა ისეთი საყურადღებო წიგნს, როგორიც არის ვეფხისტყაოსანის შესავალი და ბოლოსიტყვაობის განმარტება. რასაკირველია ბოლოს მან ეს აზრი უარჲყო.

მარჩი ერთობ ლინგვისტი იყო და ლინგვისტურ თეორებურ განმარტებას ზოგჯერ სწირავდა ისტორიულ ფაქტებს. ასეთია მაგალითად მისი მტკიცება, რომ „იბერია“ დასავლეთ საქართველო, იყო და შემდეგ ეს სახელი აღმოსავლეთ საქართველოზე გადაიტანესო, მაშინ როდესაც ყველა კლასიკური მწერლები და განსაკუთრებით სტრაბონი იბერიად აღმოსავლეთ საქართველოს გულისხმობენ. ხოლო დასავლეთ საქართველოს წინათ კოლხიდა ჰქონიდა, შემდეგ ლაზიეთი, მეშვიდე საუკუნიდან მეათემდის აფხაზეთი და ბოლოს იმერეთი. უკანასკნელ სახელს იბერიისთან კავშირი არა აქვს, ვინაიდან წარმოსდგება სიტყვიდან „იმერ“, „იმიერ“. მიუღებელი იყო აგრეთვე მოსაზრება, ვითომც სახარება პირველად სვანურ ენაზედ ყოფილიყოს ნათარგმნი და შემდეგ ქართულზე. ასეთი ლაპ-

სუსები აქვს მარრს, მაგრამ ეს არ უწლის მას დიდ მეცნიერებას და დიდ დამსახურებას, ვინაიდან აუარებელი განმარტებანი სიტყვებისა თუ საგნებისა და კვლევაძიებანი ფასღაუდებელი აქვს. მისი ზოგიერთი სიტყვების განმარტება აღტაყებას „წვევდა დიდ სპეციალისტებში. რამოდენიმე სიტყვის განმარტების შესახებ, სხვათა შორის სომხურ „სეპუხ“ და ქართული „სეფერულა“-ს, უნიჭირესი მეცნევარი ბოლოტოვი სწერდა ჯერ კიდევ დასაწყისში მარრის მეცნიერული მუშაობისა: მა უკანასკნელი წლების განმავლობაში ამის ფასი ლინგვისტიკაში არაფერი დაწერილა. ბოლოტოვს რომ მეტი ეცოცხლა, რამდენ ასეთ მარგალიტებს იპოვნდა მარრის სხვა სიტყვების ახსნა-განმარტებაში?

მარრი იყო დიდი მოციქული, დიდი მომხრე მთელი კავკასიის ერების ერთობის და სოლიდარობისა, თუ ერთს მათგანს თავს ესხმოდენ, ის მის დამცელად გამოიდოდა. მარრის აზრით თუმცა მწიგნობრობა და მწიგნობრული ლიტერატურა მარტო ქართველებს და სომხებს ჰქონდათ, მაგრამ კავკასიის კულტურის შექმნაში ყველა კავკასიის ერებს ჰქონდა მიღებული მონაწილეობა, რომ კავკასია ერთ მთლიან გეოგრაფიულს და ეკონომიკურს მხარეს შეიცავს, მისი კულტურაც საერთოა და ყველა მის მკაფიობრივი ენები იაფერურია, და რომ ქართლის ცხოვრებაში შენახული დებულება მათ მამამთავართა ძმობისა უძველესი მწერლობითი ცნობაა მათი ნათესაობისა, რაც ენების გამოკვლევით მტკიცება. არც ერთს კავკასიის ერს მარრის აზრით არ შეუძლია განცალკევებით ფეხზე დადგეს და განავითაროს თავისი სახალხო კულტურა. თუ არ მოელს კავკასიის სფეროში, საფუძველი კავკასიის კულტურისა ერთია, ეს იაფერური კულტურაა. ვინც მა მთლიანობას გამოეყოფა, ეს გამოყოფა დასაწყისია მისი დასახულისა.

რაფი კავკასია და მისი ერები ერთია და ყოველთვის გაერთიანებული უნდა იყვეს, ამისთვის სავიროა მათ ჰქონდეთ ერთი იაფერური ანბანი და ასეთი ანბანი მან კიდეც შეადგინა და მა ანბანით დაწერო ქართული ტექსტი სტატიისა „რით ცხოვრობს იაფერური ენათმეცნიერება“ მთლიან კავკასიის, გარდა ერთი ანბანისა, უნდა ჰქონდეს ერთი კავკასიის საერთაშორისო ენაც. მარრი იკვლევს ყველა კავკასიის ენების ოვისებას და იმ დასკუნაზე მიღის, რომ ასეთ ენად უნდა იყოს ქართული ენა. აქ სისტემატიკურად და მჭერმეტყველურად ნაჩვენებია უპირატესობა ქართული ენისა.

ქართული ნაციონალური ენა მარრის სიტყვით არის ფრინად მდიდარი, კულტურული, უნივერსალური შეთვისების მხრით და სანახვროდ ეწლაც კავკასიის საერთაშორისო ენაა, ენაიდან ამ ენაზე ლაპარაკობენ ქართლელები, კახელები, მეგრელები, სვანები, აბხაზები, ოსები, მთიელები და საქართველოს სომხებიც. ამასთან ეს ენა არის უაღრესად დემოკრატიული, მისაწელი უმდაბლესი ხალხის ნაწილისათვის.

ამრიგად კოლოსალურია და ფასდაუდებელი ლვაწლი ნიკო მარრისა ქართული ენის და კულტურის შესწავლაში, ასეთივე მისი ღვაწლი სომხურის და საერთოდ კავკასიის კულტურის შესწავლაშიც. რაც შეეხება იაფეტურ თეორიას, რომელიც ქართული ენის წიაღიძან წამოაყენა მარრმა და რომელმაც უნივერსალური ხასიათი მიიღო, ეს ასეთი დიდი პრობლემა არის, რომ ამის გადაწყვეტას მთელი საუკუნე და მთელი რიგი მარრის მსგავსად მომზადებული ლინგვისტების მუშაობა დასკირდება. შესწავლული უნდა იქნას ყველა დედამიწაზე არსებული ენები და გამორჩეული მისი დამოკიდებულობა იაფეტურ ენებთან, ესე იგი კავკასიის ენებთან პირველ რიგში. აგრეთვე პრობლემა ენის წარმოშობისა ერთობ რთულია და ეს მარტო ლინგვისტიკის საქმე არ არის. ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გზადაგზა იაფეტურ თეორიაზე მუშაობაში აუარებელი ქართული და კავკასიური სიტყვები და ფორმები ჯეროვანად განმარტებული და ახსნილია. მიმდევრები იაფეტურ თეორიისა თანდათან ჩნდებიან ეკროპაშიც და იქნება უფრო მაღლ გამართლდეს მარრის სიტყვები. რომელიც მომწერა, „ჩემს თეზისებს და თეორიის ჩემი სივედილის 40 წლის შემდეგ მიიღებენო“. მიიღებენ თუ არ მიიღებენ საერთოდ იაფეტურ თეორიას, ეს კი ეჭვს გარეშეა, რომ ნ. მარრი სამუდამოდ დარჩება მსოფლიო ლინგვისტთა პირველ რიგში, ბურჯად საქართველოს და მთელი კავკასიის მცოდნეობისა და მოციქულად კავკასიის ტომთა ერთობისა და სოლიდარობისა.

ალარა გვყავს ნიკო მარრი, ბუმბერაზი მეცნიერებისა, მაგრამ ჩვენდა სანუგეშოდ მას დარჩა მრავალრიცხვანი შეგირდები საქართველოში, სომხეთში, რუსეთში, ევროპაში და ამერიკაში, რომელთაც მან გაღისცა უნარი დაუღალევი მუშაობისა, თავდადება და სიყვარული მენიერებისა, კრიტიკული მეთოდი კვლევაძიებისა, და რომელნიც ღირსეულად და ფრიად ნაყოფიერად ჩვენს თვალ-

წინ განაგრძობენ თავის მოძღვრის მეცნიერულ მუშაობას. საუკუნობრივ
ნოდ დარჩება ღვაწლი და დამსახურება ნიკო მარტივა საზოგადოდ
მეცნიერებაში და კერძოდ კავკასიის მცოდნეობაში და საუკუნოდ
იქნება ხსენებაც მისი.

ექ. თაყაიშვილი.

6. მარრი

ნ. მარტის დაკარგვით იბერიოლოგიამ, არმენოლოგიამ და საზო-
გადოდ ენათ-მეცნიერებამ დაჭვარგა ერთი უდიდეს წარმომადგე-
ნელთაგანი. ნამდვილი და ლირსეული დაფასება ამ დიდი, თოთქმის
ნახევარი საუკუნის განმავლობაში შემოქმედი მეცნიერისა პატარა
საგანხოო წერილში შეუძლებელია — ეს სპეციალური კვლევის
საგანხოა, და ჩვენ გვსურს მხოლოდ აღვნიშნოთ ღვაწლი მისი.

ბრძანებულ შემდეგ არც ერთს არმენოლოგს და იბერიოლოგს არ
შეუქმნია იმდენი სომხური და ქართული ენათ-მეცნიერების დარგ-
ში, რაც მარტმა შეჰქმნა: გრამატიკების სომხური, ქართული, ჭანუ-
რი, სპეციალური ნაკვლევები სვანური და აბხაზურ ენათა ბუნები-
სა, არა ინდოგერმანული ელემენტების გამოკვლევა სომხურ ენაში
და სხვა... — აი რა მისცა მარტმა სომხურ, ქართულ და კავკასიურ
ენათ-მეცნიერებას.

მაგრამ მარტი წმინდა ლინგვისტიკით არ კმაყოფილდებოდა.
იყო მწერლობის მქელევარი იყო, და კიდევ უფრო ძლიერი, ვიდრე
ენათა. მისი შესანიშნავად გამოცემული სომხური და ქართული
ტექსტები და მათი ყოველ მხრივი მეცნიერულად დამუშავება მოე-
ლი ეპოქაა იბერიოლოგიისა და არმენოლოგიის ისტორიაში.

მარტი არქეოლოგიუ იყო და ძალიან გამოცდილი მთხრელიც,
და როგორც არქეოლოგმა მან დიდი ღვაწლი დასდგა სომხური
ხელოვნების ისტორიას ანისის ნანგრევთა გათხრითა და იქ აღმო-
ჩენილ ხელოვნების (განსაკუთრებით ხუროთმოძღვრების) ნაშთთა
შესწავლით დიდი ომის წინად და ოსმალეთის სომხეთის არქეოლო-
გიური გამოკვლევით თვით ომის დროს. მან აგრეთვე გრიგოლ
ხანძთელის ცხოვრების შესანიშნავი ტექსტის გამოცემას წინ-
წარუმდვინა არქეოლოგიური შენიშვნები თვისი მოგზაურობითგან

ტაო-კლარჯეთში და ამით ცოტა რამ, მაგრამ ფრიად საინტერესო, ქართულ არქეოლოგიურ მეცნიერებასაც შესძინა.

მარრს აინტერესებდა დიდი პრობლემა ქართული ენის სხვა ენებთან ნათესაობისა, რომლის გადასაწყვეტად დიდი შრომა გაუწევიათ სხვა მეცნიერებსაც, მის წინამორბედთ. ამ ძიებაში შექმნა მან თავისი ცნობილი და შესანიშნავი იაფეტური თეორია, რომლის მიხედვითაც ქართული და სხვა ენები ქართული ჯგუფისა (ცანური, მეგრული, სვანური) სემიტურ ენათა ჯგუფის მონათესავე უნდა იყოს. მისი ტერმინოლოგიით ნოეტიურ ენათა ერთი დიდი ოჯახის წევრები არიან სემიტური ჯგუფი ენათა, ქამიტური და იაფეტური, რაიცა უნდა მტკიცდებოდეს მარრის მიერ ნაჩერები მაგალითებით ბევრათა და ფორმათა შედარებათა. აღნიშნა რა განსაკუთრებული თვისებანი, დამახსათებელი იაფეტურ ენათა, მარრი ეძებდა თვით იაფეტურ ენებს და მათ კვალს სხვა ენებში არა მარტო კავკასიაში, არამედ მის გარეშე — მცირე აზიაში, საბერძნეთში, იტალიაში, ისპანიაში, საფრანგეთში, პრიტანის კუნძულებზედ და ბოლოს კავკასიის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთითაც. ზოგიერთი მისი მიმღევარი იაფეტურ ელემენტებს ყველგან ეძებდა დედა-მიწის ყველა ენათა შორის. მარრს ამ ელემენტებით სურდა განესაზღვრა გზანი იაფეტელთა მიგრაციისა, მათი შერევა სხვა ეთნიურ ჯგუფებთან, მათი როლი კულტურათა შექმნაში, განსაკუთრებით ხმელთა შეა ზღვის კულტურისა. მისი აზრით თვით საკუთარი სახელები გეოგრაფიული და ეთნიური ცოცხლად არის დარჩენილი ბევრ ქვეყანაში, სადაც იაფეტურ-ნარევი ერები ცხოვრობენ: ისპანიის იბერები და საქართველოს იბერები ერთსა და იმავე ეთნიურ ჯგუფს აღნიშნავენ, ბასკები, ავეტურ-ქამიური ნარევი ენით, სახელით იგივე მესხები არიან და სხვ... — მარრი სცდილობდა წმინდა იაფეტურ ენათა კვლევით და მათი შედარებით იაფეტურ-ნარევ ენებთან თვით ენის განვითარების პროცესის უფრო ნათლად წარმოდგენას და ენის წარმოშობისა და ცვალებადობის პრობლემებს თვისი იაფეტური თეორიის ნიადაგზედ სწყვეტდა. იაფეტურმა თეორიამ გახადა მარრი მსოფლიოში ცნობილ მეცნიერად.

მარრი ცყო აგრეთვე შესანიშნავი პედაგოგი, ყოველ შურსა და წვრილმან გრძნობათ მოქლებული სხვა მეცნიერთა და თვის მოწაფეთა მიმართ, რომელ სენისგან იშევითოდ არის მეცნიერი, ბევრი დიდიც კი, სავსებით თავისუფალი. მან ბევრი ეროვნების მოწა-

ոյ զամանակ և զամանակ թշնօյրակ, դամույսուլեպել մազալեպառաձ: յահուզելեպօ, սոմեծօ, հուսեծօ, ցըրոքոյլեպօ, ամերոյզելեպօ. մում յահուզելմա մովագոյեմա նշյմենց տօնուանու յահուլու սնուզեր- սություն 1917 դիւն, մուսնո սոմեծօ մովագոյն արօն դռյա սաշոյ- տեսո թարմոմազցենելնո արմենոլոցուսա սոմեծություն դա սպեռու- թո. մուսնո սեւա մովագոյն ամբալուն դռյա յահուլու սագրանցեթո, նորուցեցամո, ամերոյամո, դա մոմցեցարնո մուս ուղարկութա յահուլու տեռորո- նսա հուսետս գարճա ցըրոքամուպ ըմբարան կալոյա-մոյեմ դուրո մո- մացրուս մոյեմ մուլո ցնուա դա մետռուու.

այ լուսիլո ամ դուրո մունոյրակուսա, դա սայառալուա: յև լուսիլո մուս դուրո մուսեցապօ մուսա, հոմ ար ց յահու դուրո პրոնելումա հիզեն միւրլոնծուսա դա կալուրանուս ուստորուսա դա տյու յենամեց- նոյրեծուս դուրո პրոնելուրեմուպ մաս սիմուրեց ար ցածարիչաւթյուն, ար ց յահու մուս դուրո գունության դա տեռորու ար ցամարտլուրելու. „ցըտիսիւրպառունու“ ար ցամուցա սեահուսուլուուցան նատարշմու ույ, հոգորու մարհու ցցոնա դա ար ց մուսան նացուլուսեմեծու սկահուսուլո նելնաթյուրու „լուգամ“ „ցըտիսիւրպառունու“ արմոհենուու ծրութանե- տուս մուխեցմու. տայուս პուրել գունության մարհմա տայու դաանեծա դա մերյ հուստացյուս մուսուլմանոնծուսա դա սամւե-սատածացուն հուս- տացյուս գրուս ցարպելուրելու մաքմացունոնծուս գունության թամո- սցուն, հոմ ամուտ ցարկարու „ցըտիսիւրպառունու“ սայութեծու. յև գու- նության ցըտիսիւրպառու ցամուցա դա տյուունց սահրպու. — յահուլու մուլո միւրլոնծուս ներ-յուրեցնուրեց աշրյու- ց ցածարեցնուրելու արմոհենու դա տանճատան ցամուրյա, հոմ յահ- ուլ սեյրուսիւրուն միւրլոնծուս ծերմենուլուան սուրու գյունու յա- մուրու, ցուրու սոմենուրուան, տոմբու համայուրուցյուս ամ յոյնակնել- տանապ յերմու սալմուրուան, տոմբու համայուրուցյուս սոմենուրուանապ ոյս մզյուս նատարշմու համեցնուր նունու հունու, հոգորու ամենուր ցու- ռուց մտամինուրելո. յիրուսիւրունուս սայահուզելուն որու ցնուա մե- մոջուուր, սաերմենություն դա սոմենություն, մացրամ ծերմենուլու նա- յաջու սուրու մզյուրու ալմոհենու, ցուրու սոմենուր. դա սախոցալու մտյուլո պրուցսո սայահուզելուն յիրուսիւրունուս ցումենություն սուլ սեցարուա ցիցենեծա տելանուր մզյուրան, ցուրու մարհու դա մուս մոմցեցարու թարմուցցունատ դա դռյա ուղարկություն նուցուրու տեռորունու. — տյու ուղարկություն տեռորու ար արուս մարտալու ու սաեսու,

როგორც იგი მარჩმა შექმნა და განავითარა: ენათა ქართული ჭგუბიშიგლი ფილია სტატუსი არ არის გენეტიკურად ნათესავი სემიური ჭგუფი-სა. ქართულ და კავკასიურ ელემენტთა ძებნა მცირე აზის ენათა ნაშორებში, ბერძნულში, ლათინურში, და სახოვადოდ კავკასიურ ელემენტთა როლის გამორკვევა ხმელთაშუა ზღვის კულტურის შექმნაში და სხვ. მარჩრევდ წინად სხვებმაც სკადეს და მარჩმა ამ მხრით ახალი და მართალი ძალიან ცოტა სოჭვა, ხოლო შემცდა-რი გაცილებით მეტი. ერთობ წინააზისია და კერძოდ მცირე აზი-სა და პრეარიული სომხეთის ენათა კვლევა და მისი აღდგენა ახ-ლა იწყება და ჯერ ბევრი რამ არის გასაყოფებელი, სანამ ნათლად წარმოვიდგენდეთ თუ რომელ ენებთან აქვს კავშირი ენათა ქართულ ჭგუფს და სხვა კავკასიურ ენებს, ამით გამოირკვევა საბოლოოდ, თუ რომელ ელემენტებს აღუსრულებიათ დიდი როლი პრეინდო-გერმანული ხმელთაშუა ზღვის კულტურულ შემოქმედებაში. განს-ვენებული მეცნიერი აგრეთვე ხშირად ისეთ სფეროში შედიოდა ხოლმე თვისი იაფეტური თეორიით, სადაც იგი ბატონი არ იყო — სუმერისა, ელამისა, ხეთის ქვეყნისა და ურარტუს ენათა მეცნიერე-ბაში — და აქ სრულიად უშედეგო იყო ხოლმე მისი შრომა, და სხვ. — მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, კვლავ ვიტყვით, მისი ნაღვაწი, მის მიერ დაგროვილი ხვავი მეცნიერული ნაკვლევისა იმ-დენად დიდია, რომ ამ შეცდომებს, ჰიპოთეზათა გამტუნებას და თეორიითა არა სავსებით გამართლებას ისეთი წონა არა აქვს, რომ სიღილის ხარისხი ახალის მარჩმის დამსახურებას მეცნიერების წი-ნაშე. მისი ძლიერი კალმითა და ტემპერამენტით და აზრის დიდი შოხაზულობით გამოიქმული შეცდომებიც კი ბევრს ახალს აძ-ლევს მკვლევარს, და მის შეცდომათ მიხვედრით ხშირად კეშმა-რიტებას შეუძლია მიაღეს იგი. ამას გრძნობს მკვლევარი მარჩმის თვით იმ გამოკვლევებშიც, რომელიც მას თვისი მეცნიერების „გა-საბჭოებისათვის“ დაუწერია!..

ორი რამ იყო მარჩმის ცხოვრებაში, რამაც აქ გვერდს ვერ აუხვევთ და რამაც ძლიერ შეუშალა ხელი მისი ბეღის წარმათებუ-ლებას: მისი გადაჭრებული სიყვარული მეცნიერებისა და მისი მხოლოდ ნახევრად ქართველობა. მარჩმს ისე უყვარდა მეცნიერება, ისეთი ძლიერი შიში ჰქონდა, რომელიმე გარემოებას არ დაეშალა მისთვის მეცნიერული მუშაობა (რაიცა მოასწერებდა მის სულიერ სიკვდილს, ცოცხლად დამარხვას, ცხოვრების მიზნის დაქარგვას),

რომ იგი ყოველ რეეიმს ეგუებოდა. და რათგანაც ძლიერ ფიცხი ტემპერამენტის კაცი იყო, იგი ამ შეგუებას საზღვარს არ უდებდა. მონარქის დროს იგი ვითომიც დიდი მონარქისტი იყო, დემოკრატობის დროს მისკენ იჩენდა ლტოლვილებას, ბოლშევიკების დროს გაბოლშევიკდა და ბოლშევიცური პარტიის წევრად განვიდა ამა სოფლითგან. ამით განსვენებულმა ბევრი თესის მეგობარი და თანამოღვაწე მეცნიერი მოიმდურა. მაგრამ მეც ბედნიერება მქონდა პირადად რამოდენიმეჯერ მენახა განსვენებული, ხანგრძლივ მესაუბრა მასთან და დაცევირეებოდი, და ჩემი ურყევი ჩწმენა ის არის, რომ იგი სხვა და სხვა რეეიმებს, რომელსაც იგი მოესწრო, არა კარიერის გულისათვის, არამედ მეცნიერების სიყვარულით და შეცნიერული მუშაობის საშუალებათა შენახვისათვის ჰეუობდა. შესაც ჰქონდა პოლიტიკურ რეეიმთა სიავ-კარგის თვისი საზომი, მაგრამ ამაზედ არ უყვარდა საუბარი, როგორც არა მოქმედ პოლიტიკოსს, და მისი ღრმა ჩწმენა იყო: ყოველივე უნდა შეეწიროს მეცნიერებას ნამდვილი მისი ჭურუმის მიერ! და აქ იყო სწორედ შისი შეცდომა, ვინაიდან არიან მოვალეობანი ადამიანისა, უმაღლესნი ყოველ მეცნიერულ და მსგავს მოვალეობათა-მოვალეობანი მოქალაქისა საზოგადოების წინაშე, ერთს შვილისა ერთს წინაშე, მოყვასისა მოყვასის წინაშე, და ცხოვრების გზას იგი განვლის სრულის ღირსებით ვისაც ძალუმს, განსაზღვრულ დროს შესაფერი მოვალეობა აღასრულოს, თუგინდ ეს მოვალეობის აღსრულება მისი სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვასაც მოითხოვდეს. მეცნიერსაც მცირედ მაინც მოეთხოვება სხვა მოვალეობათა აღსრულება, გარდა მეცნიერულისა ხოლო მარტმა ყოველივე მეცნიერებას შესწირა და ამიტომ ბოლშევიკიდ ჩაესვენა საფლავში, რაიცა სრულიად არ იყო საჭირო. ეს მისთვის ბოლშევიკებსაც არ მოუთხოვიათ, ეს მხოლოდ თავისი მეცნიერული მოქმედების უზრუნველყოფის გადაჭირებულმა სურვილმა უკარნახა მას. ამ მხრით იგი მეცნიერების მოწამეა, მაგრამ არა აგრძად აღსარებული მის ძელ მეგობარ მეცნიერთაგან, არამედ მათგან მომდურებულად დაცილებული საუკუნოდ.

მაგრამ მარტი მშობელ ერსაც მომდურებული დასცილდა. მაზეზი ამისა უფრო რთულია. უპირველეს ყოვლისა მარტი იყო ნაჩევი სისხლისა: მამით შოტლანდიელი, ხოლო დედით ქართველი. ნაჩევი ყოველი ჩვენთაგანია მაგრამ ჩენი სისხლის შემადგე-

ნელი ელემენტებისა ჩვენ არ ვცილ რა, მხოლოდ ჩვენი ერის შვილად ვერძნობთ თავს. ხოლო როდესაც მამა ან დედა სხვადასხვა ეროვნებისა ჩვენ თვითონ გვახსოვს და ჩვენ თვითონ ვიცით შემადგენლობა ჩვენი სისხლისა, მაშინ ორი აღმიანი მეტყველებს ჩვენში, თუ გინდ ერთს ჰქონდეს უპირატესობა მეორის წინაშე და ჩვენც იძულებული ვიყოთ, ერთი ერის შვილად ვაღიარებდეთ თავს. მარჩიაც ორი აღმიანი იყო მოთავსებული: ქართველი და შორტლანდიელი, რომლის არც ენა იცოდა სიყრმითგან და არც ქვეყანა ენახა, მაგრამ რომელიც მაინც მასში არსებობდა როგორც უცხო. შეაწერებდნენ მას როგორც ქართველს, როგორც ეს მოხდა მაგალითად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გარჩევის დროს განსაკუთრებული კომისიის მიერ, რომლის მეცნიერული უდიდესი ექსპერტი თვითვე იყო პეტერბურგში, მყისე აღიმართებოდა იგი როგორც ფიცხი, კეთილშობილი, მებრძოლი გურული, პატრიოტი ქართველი და ლომივით იცავდა ერონულ ინტერესებიც და თავის საკუთარ ქართველობასაც. ეს გადაჭარბებული ქართველობა მისი კიდევ მეტად სჩანს მის რასიულ პატრიოტიზმში, პხედავს რა ყველგან იაფეტურ ელემენტებს. ხოლო იგრძნობდა რა თავს შეურაცხებულად ქართველთაგან, მაშინვე ის უცხო დაეზიდებოდა მას და აშორებდა სრულიად ქართველობას, შეურაცხებულს მხოლოდ რამოდენიმე ქართველისაგან, და მაშინ ვეღარც საქართველოს ინტერესებს ჰქიდავდა იგი და აღირც სულიერ მოთხოვნილებას გრძნობდა ქართველებთან კავშირისა და ურთიერთობისა. — შემდეგ, ზარრი არმენილოგიც იყო და იბერიოლოგიც. ხოლო გავლენა იმ სომხეთა მეცნიერების სკოლისა, რომლებსაც უჩივის ილია „ქვათა ღალაზში“, უკველად განიცადა მარჩმა და როდესაც მან არა განვებ, არამედ ამ გავლენით, ფიცხად გადააჭარბა სომხური კულტურის ქართულზედ ზემოქმედების განზომვაში და იმაზედ ქართველებმა პროტესტი განუცხადეს იუკადრისა მეცნიერმა და ვეროდესლა შესხლო მიტევება, მით უმეტეს რომ განსაკუთრებით არასპეციალისტები აწარმოებდნ მის წინააღმდეგ პოლემიკას და თვით აჭარბებდნ მეორე მხრით. ამან დაპბადა მარჩის სცენულფილი ნაციონალიზმისაღმი ჯერ მეცნიერებაში და მერე პოლიტიკაშიც, მაგრამ აქაც სცდებოდა და ვერ ამჩნევდა პირველად იმას, რომ ეს ნაციონალიზმი მის მიერ წარმოდგენილ მხარეს მეტი ჰქონდა, ვიდრე ქართველებს და თვით იგი მისთვის სრულ

ლიად უცხო ნაციონალიზმს ემსახურებოდა თავისდა შეუმჩნეველად. ვერ ამჩნევდა ვერც იმას, რომ ნამდვილი მამულიშვილობა მშობელი ერის კულტურის კვლევის დროს მეცნიერს ინტუიციას უძლიერებს, ჰეშმარიტებას უფრო ადვილად დაანაცვებს, ვიდრე მშრალი ობიექტივობა, რომელიც აგრეთვე ხშირად მოჩენებითია, და მარრსაც იგი აროდეს ჰქონია. და ბოლოს მან არც იმის გავება მოისურვა, რომ მეცნიერებაში ნაციონალიზმის დაგმობა უფლებას არ გვაძლევს მთელს ერს და მის შეილთ საზოგადოდ ნაციონალიზმი ე. ი. ეროვნულ უფლებათათვის ბრძოლა დაცუშალოთ. — ამასთანავე მარრი მარტოდ ჰერბერტებისა და კულტურის კვლევის ასპარეზზედ და უკადრისობდა კრიტიკას, კონტროლს, რაოგანაც პირველად მართლაც ჰქვდავდა, რომ მისი კრიტიკოსნი მასთან შედარებით უსუსურნი იყვნენ, ხოლო შემდეგ თვით საკუთარ ქართველ მოწაფეთა იმდინ არა ჰქონოდა, რომ იგინი ოდესმე დიდ რასმე შეჰქმნიდნენ მეცნიერებაში. და აქაც დიდად შესცდა!..

ყოველივე ამით აიხსნება ის წინააღმდეგობა, რომელიც მან გაუწია ქართული უნივერსიტეტის დაარსების სწორედ მის მოწაფეთა მიერ თბილისში. ხოლო როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა განმტკიცებულად მოხსენა მასაც და იანგარიშა, რომ მის საყვარელ მეცნიერებას დამოუკიდებელ სამშობლოშიც კირგად ემსახურებოდა, რუსეთში ბოლშევიზმის მძიმე რეაქტის ატანას საქართველოში გადმოსახლება არჩია მან და ეს მისი სურვილი დიდი პატრიოტული აღტაცებით გვამცნო. მაგრამ საუბედუროდ საქართველო დაიღუპა, სანამ მარრი ქართულ უნივერსიტეტს ეწვეოდა. მარრი დარჩა რუსეთში და შეურიგდა რა რეაქტის, კვლავ ძველებურად, არა მეგობრულად განეწყო ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ქართულ უნივერსიტეტს და ამით საბოლოოდ მოიძურა ქართული უნივერსიტეტიც და ქართველი ერიც. რომლის გაუტეხელმა სულმა ბოლოს იქ შეაფარა თავი და იქითგან ებრძოდა და დაუნდობელ მტერს.

არ ვიცი, ჰქონდა თუ არა განსვენებულს სურვილი, მის საყვარელ გურიაში ყოფილიყო მისი უკანასკნელი და საუკუნო სამკვიდრებელი. თუ შეიძლება საქართველო არა, გურია მაინც უეჭველად უყვარდა მას. ეს ნამდვილად ვიცი. ყოველ შემთხვევაში იგი რუსეთის უცხო მიწაში დაასაფლავეს, მაშინ როდესც იგი ლირსი იყო

ათასგერ მიტევებისა და ჩვენი დედაქალაქის პანთეონში დაკრძალვისა. ქართველი ერი სულგრძელია და საქართველოს მიწა სიცვარულით ჩაიქრავდა გულში თვის წიაღში ქართველი დედისაგინ შობილს დიდ მეცნიერს. მაგრამ ვინ ჰქითხა რა ქართველს ერს, და ან იქნებ არც განსვენებულის უკანასკნელი სურვილი იყო, საქართველოს საფლავში მაინც შერიგებოდა! ვინ იცის...

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ჩვენ შორის, დიდო მეცნიერო, საქართველოს ძედ შობილო უცხოო! ღვაწლი შენი საუკუნო მიბაძვად დარჩეს ყველასთვის, ხოლო ბედი შენი ბევრისათვის სამარადისო გაფრთხილებად!

მ. წერეთელი

ნიკო მარრი

რუსეთში გარდაიცვალა სახელოვანი მეცნიერი, ჩვენი თანამე-
 მამულე აკადემიკოსი ნიკო მარრი. ჩვენ მიზნად არ დაგვისახავს
 განსვენებულის მეცნიერული მოღვაწეობა და დამსახურება აღვ-
 წეროთ. ეს მეტად დიდი და რთული თემა და ის გაზირის ფარგ-
 ლებში ვერ მოთავსდება და მასთან ეს სპეციალისტების საქმეა.
 ჩვენ გვსურს მხოლოდ განსვენებულის ცხოვრება და მოღვაწეობა
 საერთოდ დავახასიათოთ. ნიკო მარრი მამით პოლანდიელი იყო
 და დედით ქართველი. დაიბადა გურიაში და იქ დაიზიარდა. ქუთა-
 ისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა პეტერბურგის უნი-
 ვერსიტეტში, სადაც იწყება მისი მეცნიერული მუშაობა და მოღ-
 ვაწეობა. ჭერ კიდევ სტუდენტი იყო, როდესაც მან გამოაქვეყნა
 პირველი თავისი მეცნიერული შრომა გახ. „ივერიაში“ № 86,
 1888 წ. 2 პრილი, შემდეგი სათაურით „ბუნება და თვისება ქარ-
 თულ ენისა“, სადაც პირველად გამოისქვა აზრი ქართული ენის
 ნათესაობისა სემიტურ ენებთან. (აქვე მოვაგონებო მკითხველს
 სპარსეთის მეოსნის ფირდოსუსის ათასი წლის იუბილეს გამო, რომ
 ამავე გაზირში „ივერია“ 1891 წ. № 138 მოთავსებული იყო განს-
 ცენებულის შრომა „ორიოდე სიტყვა შაპნამეს ქართული თარგმა-
 ნის შესახებ“).

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის დატოვებულ იქნა
 აღმოსავლეთ ენების ფაქულტეტზე საპროფესოროდ. შემდეგში ის
 ამავე უნივერსიტეტის პროფესორია და 1912 წლიდან უკვე პე-
 ტერბურგის მეცნიერების აკადემიის წევრი. მას გამოქვეყნებული
 აქვს თავისი შრომები, რომელთა რიცხვი რამდენიმე ასი იქნება
 უმთავრესად რუსულ ენაზე და აგრეთვე ქართულ, სომხურ, გერ-
 მანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზედ. გასულ წელს შესრულ-
 და 45 წლი მისი მეცნიერულ მუშაობისა, რაც თფილისის უნივერ-
 სიტეტშა სპეციალური კრებულის გამოცემით აღნიშნა.

განსვენებული მარტო აკადემიურ-თეორიულ მუშაობას უნი-
 ვერსიტეტის ფარგლებში არ ეწეოდა, არამედ ის მოგზაურობს,
 აწარმოებს არქეოლოგიურ გათხრებს და თვით კრებს ისტორიულ
 მასალებს თავის საგნისათვის. 1902 წ. მან იმოგზაურა სირია-
 პალესტინაში და შემდეგში გამოსუა ქართულ მონასტრებში იქ-
 ნაპოვნი ქართული ხელნაწერები თავისი კომენტარებით (მასზედ

აღრე იმოგზაურა პროფ. ალ. ცაგარელმა, რომელმაც ამ ხელთ ნაშერთა შესახებ შრომა გამოსცა). საერთოდ დაუფასებელია ის სამსახური, რომელიც განსცენებულმა ქართულ მეცნიერებას გაუწია, ქართულ ისტორიულ-ლიტერატურულ მასალების დამუშავებით და გამოცემით. აგრეთვე დიდი დამსახურება მიუძღვის მას „ვეფხის ტყაოსნის“ შესწავლის საქმეში ნიკო მარჩის შემდეგ პოემის დილეტანტურ კვლევას ბოლო მოეღო და ამიჯრიდან ის მეცნიერულ მეთოდებით სწარმოებდა მის შრომებიდან ამ საგანზედ განსაკუთრებით აღსანიშნავია:

„Witias w barsouoi schkur i nowaja kulturno-istoritscheskaia problema (1907) „Kult jenschschini i rizarstwo“ (1919) „Wstupielnia i saklutschitelnia strofi w Barsowoi koje, schoti is Rustrawa.“

თუმცა მის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი (მაგ: ის ამტკიცებდა რომ რუსთაველი იყო „ხუროთ-მოძღვარი, რომელმაც შესძლონათარგმნ სპარსულ ამბავისათვის ეროვნული სახეობა მიეცა“ და ვითომც ეს „სპარსული ამბავი“, რომელიც მგოსანმა ლექსად გარდათქვა, „ობოლი მარგალიტი“ უნდა ყოფილიყო და ბევრად მაღლა უნდა მდგარიყო რუსთაველის „ქმნილებაზედ“) არ ვამართდენ, მაგრამ მიუხედავად ამისა მისი შრომები პოემის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობისა იყვნენ.

მთავარი საგანი მისი მეცნიერული მუშაობისა იყო გავკასიური ენები. მან ეს ენები მის მიერ დაარსებულ „იაფეტიანთა“ ოჯახს მიაკუთვნა და ქვედგან წარმოიშვა ეგრეთწოდებული „იაფეტური თეორია ენათა მცოდნეობისა“. ამ თეორიის ისტორია მოკლედ შემდეგია: ზემოდ მოხსენებულ გან. „ივერიაში“ ვამოქვეყნებულ შრომაში გამოთქმულ აზრს ქართულ ენის სემიტურ ენებთან ნათესაობის შესახებ, ის 1908 წ. უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენების ფაკულტეტის გამოცემაში: „ძრითადი ცხრილები ძეველ-ქართულ ენის გრამმატიკისა, წინასწარი ცნობით ქართულ ენის სემიტურ ენებთან ნათესაობის შესახებ“, უკვე ლრმა მეცნიერულ საბუთებით ამტკიცებდა. ეს შრომა იყო შედეგი ოცი წლის მუშაობისა, რომელსაც წინაუძღვდა ფილოლოგიური დამუშავება ქართულისა და „კულტურულ-ისტორიულად მასთან დაკავშირებულ — სომხურ ენისა“.

რაღაც მარტო ქართული ენის შედარება სემიტურ ენებთან

საქართვის არ გამოდგა, ამისათვის საჭირო გახდა მის მონაცემები ენათა შესწავლა (მეგრულის, ჭანურისა და სვანურის) და ეს მეტ მისალას ძლევს თავის დებულებათა გასამართლებლად და რადგან ნათესაობა ქართულ და მის მონათესავე ენებისა სემიტურ ენებთან მის დამტკიცებულად მიაჩნდა და სემიტური კი ქამიტურ ენებს ენათესავებიან „სხვა გამოსავალი არ იყო, ამ ენათა ჯუფისთვის, რომელც კავკასიაში მოთავსებული, კვერცხებინა მესამე ძმის — იაფეტის სახელი“. შემდეგში ძველ ლურსმულ წარწერების შესწავლამ მეცნიერი დაარწმუნა, რომ ამავე იაფეტურ ენათა ოჯახს ეკუთვნიან — ქალდური, სუმერული და ძველი ელამური. თავის კლევა-ძეებას ის აფართოებს და იაფეტურ ენებთან დაკავშირებით იკვლევს წინა აზისი, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებისა, სამხრეთ ევროპისა და შემდეგში პამირის ხალხთა ენებს. შედევებს ამ თავის კლევა-ძეებისა ის აქვეყნებს ლაიპციგში გამოცემულ შრომაში.

Der jak hetische kaukasus und das dritte etnische Element im) Bildungsprozeß der mittelländischen kultur.“

და აქ იაფეტურ ენათა ციკლში შეაქვს: ბასკური — ისპანიაში, მკვდარი ეტრესკული იატალიაში და ვერშიული პამირზედ. ამ ხნიდან უკვე მისი აზრით იაფეტალოვია გასტილდა კავკასიის საზღვრებს. შემდეგში ცოტა თუ ბევრად იაფეტური ელემენტების მატარებლად იღმოჩნდნენ სხვა ძველი ენებიც ევროპისა, როგორც მაგალითად ბერძნული, ლათინური, ილბანური და ვერეთვე გერმანული და რუსული. 1924 წლიდან იაფეტოლოვია გადაიქცა თეორიად, რომელმაც მიზნად დაისახა საერთოდ ენისა და სიტყვიერების წარმოშობის შესწავლა და ავრეთვე შედარებით შესწავლა ყველა ჩეენ დრომდის მიღწეულ ძველ ენათა მათ წინა ისტორიულ მდგომარეობაში ამა თუ იმ ეპოქის საზოგადოებრივ ცხოვრების წყობილებასთან დაკავშირებით. მერმედ გამოქვეყნებულ შრომებში „ხმელთაშუა ზღვის ინდო-ევროპიული ენები“ და სხვა, ამტკიცებდა რომ ინდო-ევროპიული ენები წარმოადგენენ ახალ ფორმაციის იაფეტურ ენებისას. „რადგან იაფეტოლოვია საერთოდ ენის წარმოშობისათვის განვითარების შესწავლის შეტყველებად გადაიქცა, საჭირო გახდა ახალი მეთოდოლოგიური ფორმები კვლევა-ძე-ძეებისა. მისი აზრით სიტყვის შექმნისათვის და საერთოდ ენის წარმოშობისათვის გადაწყვეტილი მნიშვნელობა ენიჭება მატერიალურ-ფიზიკურ მხარეს ცხოვრებისას და წარმოების იარაღთა და

საერთოდ სოციალურ ცხოვრების განვითარებასთან იცვლება ურთიერთობის კონტექსტი და მიზანი. ენის განვითარების შესწავლა შეიძლება მხოლოდ თეთ სოციალურ ცხოვრების ფორმების და ბუნების ახსნით და გაგებით. ამნაირად მან ენათა მეცნიერებაში შეიტანა ის თეორია, რომელსაც მატერიალისტური ექსოდება და მასთან დაკავშირდებით ის არსებს „მარქსისტულ მეთოდს“ ენათა კვლევა-ძიებაში. ჩევნი სახელოვანი ისტორიული ივ. ჯავახიშვილი ბრძანებს: „იაფეტური ენები აყალ. ნ. მარრის თეორიის სარბიელს შეადგენს. ეს ცნება თეოთონ ნ. მარრისევ წყალობით მეტად ცვალებადი გამოიდგა და „იაფეტიანთა ოჯახი“ იმდენად გაიზარდა და იზრდება, რომ ლამის არის მოვლი დედამიწის მოსახლეობა დაიჩინოს. ამის და მიხედვით ცვალებადი გამოიდგა თეთ იაფეტიანთა ოჯახის ენის ნიშანდობლივი თვისებებიც... და რომ თვით ფონეტიური მოსაზრებანიც „იაფეტოლოგიაში“ მეტად მეტყველი, რადგან მათი „დამაჯერებლობის შერყევისათვის თვით ნ. მარრის არა ერთხელ შეუწყვია ხელი თავის წინანდელ კატეგორიულ დებულებათა შემდეგში ხშირად უარყოფითა და ახალი კატეგორიული დებულების-ვე წამოყენებით“. არც ეეროპის მეცნიერთა წრეში მოიპოვა საერთო გამართლება ნ. მარრის თეორიაში. მაგრამ თვით პრობლემის დაყრდნობით მან აიძულა ეეროპის მეცნიერება ამ საკითხზე გაროვნად ემუშავნა და თავის კელევა-ძიების საენად გაეხადა. ქართველი ერი და მისი სტორიულ-კულტურული ცხოვრება ხომ ამ საკითხის მთავარი საგანი იყო და ამნაირად ის ეეროპის მეცნიერთა ინტერესების ფარგლებში მოექცა. პარიზის, ბრუსსელის, ლაიპციგის, ბონის და ვენის უნივერსიტეტებში წარმოებული მუშაობა ქართველობის შესწავლისა, ხომ ნითლად იმტკიცებენ თუ რა გულმოღვინეულ იყელვეს ეეროპის მეცნიერება ამ საგანს. და უნდა ითქვას რომ მთავარი დამსახურება ამაში განსვენებულს მიუძღვის. მის მიერ პარიზში წაკითხული ლექციები ქართული ენის შესახებ Graffin და Bryère-ის შეირ (მარრის მოწაფე) ცალკე წიგნად გამოიცა. ინგლისურ ენაზე და გამოსულ ალენის „საქართველოს ისტორიის“ გამოცემას განსვენებულმა მასალების მიწოდებით თუ რჩევით დიდად ხელი შეუწყო. საქართველოს უნივერსიტეტის მეცნიერებთან ვერ იყო კარგ განშეყობილებაში. რატომდაც გამწყრალი იყო მათზე. თუმცა ჩევნი მეცნიერთა და მკელევართა მთელი რიგი (ა. შანიძე, ი. აბულაძე, ს. ყაფხშიშვილი, ს. კაკაბაძე, ი. მიქე-



ლაპე, ვ. ბერიძე, ფუტურიძე და სხვანი) მისი ყოფილი მოწაფებულები შეიძლება ეს იმით აიხსნებოდეს რომ მის თეორიას ყოფილი მისი მოწაფები არ იზიარებდენ. ერთმა ბოლშევიზანურ საზოგადოებაშ ბერლინში („ახალ რუსეთის მეცობართა საზ-ბა“) გამოსცა რამო-დენიმე ურნალი საბჭოთა რუსეთის შესახებ. ერთი ნომერი სა-ქართველოს ჰქონდა მიძღვნილი მთლიანად. ამ ნომერში იყო
 6. მარტის შრომაც „ქართული ენა“. გამსვენებული ვერც აქ ასცდა, რომ ქართველი მეცნიერები წყრომით არ მოვხსენებინა. ამ შრომის შესავალში ის ურჩევდა თავი დაენებებით ქართულ ენის კვლევა-
 სათვის, არა მხოლოდ იმათ, ვისთვისაც ეს ენა უცხოა, არამედ ვისთვისაც ეს ენა მშობლიურია, „მაგრამ რომელთათვის მათი სო-
 ციალური მდგომარეობისა და შეგნების გამო საზოგადოებრივი ცხოვრება საბჭოთა კავშირისა და მასთან დაკავშირებით წარმოშო-
 ბილი ბუნებრივი აუცილებლობა ახალ მეთოდისა ენათა მეცნიერე-
 ბაში უცხოა და არა სასიამოენო“ და მწვავედ მოიხსენიებს „ნაცი-
 ონალისტურად განწყობილ“ ქართველ მცველევართ. მაგრამ მიუხე-
 დავად ამისა შრომა მეტად საინტერესოა და რაც მთავარი დიდ მეც-
 ნიერული მშერმეტყველობით არის დახასიათებული ქართული ენის
 ძლიერება და ქართველი ერის ისტორიულ-კულტურული და ეროვ-
 ნელი სახე. 1923 წ. ჩვენ დავვესწარით მის მოხსენებას ბერლინში:
 „ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედ-
 ვით“ (შემდეგში ის გამოქვეყნდა, „მნათობბში“ № 12. 14) ეს ხომ
 მართლადაც პიმინი ცყო ქართველ ერის კულტურისა! და გაათცებს
 ადამიანს რომ ამდენ სიყვარულთან ქართველ ერისადმი, ის ვერ
 ითმენდა თუ სხვები ქართველი ერის ენისა და კულტურის თვი-
 სებურებას იცავდენ და უცხოთა გავლენით კი არა, არამედ რო-
 გორც თვით ქართველ ერის სულიერ შემოქმედებას ილიარებდნ. ბოლოხანებში ის სულიერად თავის სამშობლოს მეტად დაცილდა
 და მალე მთლად მოსწყდა იმ დროს როდესაც ცალი ფეხით სამა-
 რეში იდგა, ის შევიდა რუსეთის კომუნისტურ პარტიაში და ამით
 თავის სამშობლოს დაპყრობა მტრის მიერ გაამართლა. ამნაირად
 მან პოლიტიკურად და ეროვნულად თავისი ქვეყნის ისტორიულ-
 სახელმწიფოებრივი უფლებები უარცყო, მაგრამ მას დაავიწყდა თა-
 ვისივე ნათქვამი. შემთხვევით არ იყო, რომ ერთმა ქართველმა მეცნიერმა თავის შრომაში ეს მისი ნათქვამდ მოიგონა. თავის
 შრომაში „ქართველი ეროვნება“ 1905 წ. მარტი სწერდა: „სა-

ქართველოს ცხოვრება ხან-და-ხან რამდენისამე თის წლობით გამოვიდა წარმოადგენდა სამწუხარო სურათს, რომელიც ნამდვილი გამოხატულია უცხოელ და შინაურ წყაროებში და რომელსაც ხან-და-ხან მთელი ქართველობა შეეძლო ჩაეგდო სრულს სასოწარკვე-თილებაში, მაგრამ საქართველო მისითან შემთხვევაშიც არ ჰყაო-გავდა იმედს, მაშინაც არ ღალატობდა უკეთეს ბრწყინვალე მომავ-ლის რწმენას, მაშინაც არ ივიწყებდა თავის პატივს, როგორც კა-ცობრიობის წევრისას. როგორც ისტორიულად შექმნილის ნაცე-ონალურ-კულტურულის ერთგულისას". ეს სიტყვები მას დააწერი-ნა ღრმა ცოდნამ ჩვენი ერის ისტორიისამ და იქიდან იმოკითხულ უკვდავებამ ქართულ ეროვნულ სულისა და ნებისყოფის! ვის არ ახსოეს მისი წიგნაკი დეკანოზ კოსტორგოვის წინააღმდეგ. აქ უკვე მეცნიერი პოლიტიკური მებრძოლია და ქართველი ერის თავმოყვა-რეობის დამცელი. იარაღად უტყუარ ისტორიულ საბუთებს ხმა-რობს და მტერს სასტიკად და დაუზოგავად უტევს და საშინალ ამ-არცხებს. ეხლანდელი მტრები ხომ ათიათასჭერ საშინელები არიან ვინემ კოსტორგოვი იყო?! მაშ რა მოხდა ნიკო მარრის სულში რომ მან ესენი იწამა? ეს საიდუმლოებით მოცულია და ეგებ მომავალში ეინმემ ახსნას! ის თუ სამშობლოსათვის დაიკარგა, მაგიერში მისი ერთად ერთი ვაეგი სამშობლოს დაუბრუნდა და უკვე რამოდენიმე წელია, რაც საქართველოს უნივერსიტეტში სამშობლოს მეცნი-ერების მსახურია. ეხლა როდესაც განსვენებული წარსდგა იმის წინაშე, ვინც განიკითხავს ამა ქვეყნისა საქმეთა ჩვენთ, არ გვმარ-თებს მსაჯული ვიყვეთ მისი. სახელოვან მეცნიერს პატივისცემით მოიხსენიებს ყოველი ქართველი და დღეს კი ვიტყვით: "განუტე-ვი უფალო მას ცოდვანი მისი!"

„ნ“

გერონტი ქიქოძე

ლიტერატურულ მუზეუმში დაცული გერონტი ქიქოძის არქივი მწერლის ლრმა და მრავალმხრივ შემოქმედებას და მისი დახვეწილი პიროვნების სულიერ და ინტელექტუალურ ერთიანობას წარმოვიდგენს.

საცნობერესო ხელნაწერთა ფონდში არსებული გ. ქიქოძის 18 უბის წიგნაკი. ეს ჩანწერები გარევაულად ეხმაურება მისი მსოფლმხედველობის ზოგიერთ ასპექტს და მწერლის ცხოვრებისეულ განწყობილებებსაც გამოხატავს.

გთავაზობთ ფრაგმენტებს გერონტი ქიქოძის უბის წიგნაკებიდან.

„ტიციანი აღმოსავლეთში, ტერტულიანი დასავლეთში უკიდურესად მტრულად იყვნენ განწყობილი ჭარბიართული კულტურისადმი, მაგრამ ქრისტიანულ პოლოგეტიკაში უფრო ზომიერმა მიმართულებამ გაიმარჩეა.

კულტურულმა ქრისტიანულმა საზოგადოებამ შეინარჩუნა ანტეცური სკოლა, რომელიც მხოლოდ შემდეგ დაემხო, როცა რომის იმპერის ნანგრევებზე ბარბაროსები დასახლდნენ“.

„ემინი ლონდონიდან წერილს სწერს ერეკლე მეფეს 1758 წ.: კერ კიდევ ინდოეთში გავიგონე შენი სახელი, მაგრამ მხოლოდ ინგლისში გავიგე შენი გამარჯვებების ამბავით.“

ერეკლეს ის ქართველთა და სომეხთა მეფეს უწოდებს“.

....ერთხელ ლამის ცხრა საათზე ერეკლე მეფემ თელავის სასახლეში მიმიწვია მღვდელ ტერ-ფილიპესთან ერთად. საუბრის დროს

ერევლემ სთქვა, მას შემდეგ, რაც ორი მოძმე ხალხი — ქართველები და სომხები რელიგიური დოგმატების დარგში დაშორდნენ ერთ-მანეთს, ისინი განცალკევდნენ და ურჩულოთა ულელქვეშ მოხვდნენ, საჭიროა, რომ ისინი გაერთიანდნენ... (მეფემ თვისის აზრის გასამარტებლად ორივე ხელი შეართო) უამისოდ ვერაცითარ კე-თილშობილ გეგმას ეერ შეადგენენ: ამ მიზნით საჭიროა მხოლოდ ზოგიერთი და უსარგებლო ცერემონიის უჟუგდება".
ემინი.

„რა ძნელია ადამიანის ცნობა, მისი სულის სიღრმეში ჩაწვდომა, რა ხშირად ვცდებით ჩვენ მსგავსი მოტივების გამოცნობაში. თუ ჩვენთვის ასე ძნელია ადამიანის სულის საცდუმლოების ახსნა, მით უმეტეს ძნელი უნდა იყოს გარევანი ქვეყნის საიდუმლოების გამოცნობა“.

„ჩვენი მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენ-ლები ყოველთვის დიდი პუმანისტები იყვნენ. გერ კიდევ XII ს. შოთა რუსთაველი ამბობდა: „მიეც გლახავთა საჭურჭლე, ათავი-სუფლე მონები“. „ლექვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“. არჩილი სწერდა: „გლეხი კაცი თუ წაიქცა, საჭართველო დაბაზუნ-და“. დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალ. ჭავჭავაძე, ავაკი წერეთელი, — ყველა დიდი პროგრესისტები და პუმანისტები იყვნენ, მაგრამ ისინი გამოუკლებლივ ქართველი არისტოკრატიის წრებიდან წარმოსდგებოდნენ. ეგ. ნინოშვილი პირველი დიდი ქართველი მწერალი იყო, რომელიც დემოკრატიის წიალიდან გამო-ვიდა. მან აიღო ის დროშა, რომელიც მანამდე თვალისწინების წარმომადგენლებს ეჭირათ ხელში“.

„სული დაცარიელდა და ელექტრონაკადით არ შეიძლება მისი შეესტება“.

„ეთარგმნიდი უმეტესად, რაც მიყვარდა: ბალზაკი, სტენდალი, მერიმე, დოდე, ვეთანხმები გორკის, რომელიც ამბობდა: „ისწა-ლეთ წერა ფრანგებისაგან“.

„ივანე მაჩაბლის დაკარგვა მეცხრამეტე საუკუნის ქართველი საჭარიშვილი ზოგადოებრივი ცხოვრების არანორმალობას მოწმობს ისევე, როგორც ამას მოწმობს ნიკოლოზ ბარათაშვილის, სოლომონ დოდაშვილის, სერგეი მესხის, ალექსანდრე ყაზბეგის, ილია ჭავჭავაძის, ქოლა ლომთათიძის და სხვა ქართველი მწერლებისა და მოღვაწეების ბედი“.

„აინშტაინი ამტკიცებს, რომ დრო დასრულებულია და სამყარო 2 მილიარდი წლის წინათ შეიქმნა. ნიუტონი კი აღიარებდა, რომ დრო და სივრცე უსასრულო არიან და სამყარო დაუსაბამოა; თუ სიცურე ან დრო ჩვენში არსებობს და არა მე ვარსებობ დროში და სივრცეში, მაშინ საგნობრივი სამყარო ჩემში არსებულა.“

თუ ხელოვნება მხოლოდ სინამდვილეს ასახავს, რა საჭიროა იგი...“

„ზარია ვოსტოკაში“ № 124 დაბეჭდა ვინმე კოსტანაშვილის წერილი „აღსავს ყალბი ციტატებით და უკუღმართი დებულებებით“. „

კონსტანაშვილის ბრალდებანი: „რომ ქიქოძე გვერდს უვლის რუსული აზროვნების თავისებურებას“.

„აპოლიტიკურობას ამეღავნებს უდიდესი გულახდილობით“.

„ბარათაშვილს ქრისტიანულად მოაზროვნე მწერლად თვლის“. შემდეგ საქ. გამომცემლობის მუშაქების თათბირზე კოსტანაშვილის წერილს დასტური გასცა „ზოგიერთმა პასუხისმგებელმა მუშაქა“.

„ამ სამი-ოთხი წლის წინათ აქ მონანიების და თვითგვემის საღამო გაიმართა. გამოვიდნენ მწერლები და დაიწყეს თავიანთი შეცდომების და ცოდვების აღიარება. შალვა დადიანი მეაცრად გააკრიტიკეს მისი „უბედური რუსის“ ანტირუსული ტენდენციისათვის. შალვა ძალიან ღირსეულად გამოვიდა. მან სთქვა: გიორგი რუსის სახე ჩემი გამოგონილი არაა. მე ის რუსი ისტორიკოსების ნაწერების მიხედვით დავხატეო... დამაგერებელი ციტატები მოიყ-

ვანა. რად არ აქცევთ ყურადღებას, რომ ამ რუსის გვერდით მე გამოვიყანე რუსი ხალხის სიმპატიური წარმომადგენელი კუზმაო?

მე ჩემს წიგნს ვერ შეველევო, თუ არ მოგწონთ, ნუ გამოსცემთ. ეს იყო ქვეშარიტად ვაჟკაცური სიტყვა და მან მოწონება დაიმსახურა, თვით კრებაზე დამსწრე მწერლებში...

შალვა იყო ნამდვილი ქართველი ქენტლენი, მოკლებული ყოვალგვარ შურიანობას”.

.... რაც შეეხება ქალებს, მე მათ ყოველთვის მოკრძალებით ვეპყრობოდი. მეგონა, რომ მათი შეურაცხყოფა ჩემი დედის, ჩემი დის შეურაცხყოფა იქნებოდა. ზოგიერთი მხრით მათ უფრო მაღალ არსებად ვთვლიდი, ვიდრე მამაყაცებს. მე დიდ სიამოვნებას მანიქებდა მათი სხეული... განსაკუთრებულ ბეღნიერებას მათ სულიერ დამორჩილებაში ვპოულობდი... უნდა ვაღიარო, რომ ამას ხშირად ვერ ვახერხებდი, ხშირად უმწეო, შეიძლება სასაცილოც ვიყავით მათთან ბრძოლაში...“

მარკ ავრელიუსი: „მოვა დრო, როდესაც შენ ყველანი დაგვავიწყდება და შენ ყველას დავიწყდები“.

პაბლი პიკასო: „მე არ ვწერ ნატურიდან, მე ვწერ ნატურის შემწეობით“.

დე გოლი: „თვითგამორკვევა ერთადერთი პოლიტიკა, რომელიც ღირსია საფრანგეთისა“.

„თუ სივრცე და დრო ჩემში არსებობს და არა მე ვარსებობ დროში და სივრცეში, მაშინ საგნობრივი სამყროც ჩემში არსებულა. კიდევ მეტი: ის არც ჩემამდე ყოფილი და არც ჩემს შემდეგ იქნება. მე ღმერთი... შემომქმედი ვყოფილვარ, ხოლო ეს სამყარო ჩემი ფანტაზია, სიზმარი, ილუზია ყოფილა...“

„დარწმუნებული ვარ, რომ არაფერი იმისაგან რაც მე დამიწერია არ დარჩება ჩემს შემძეგ, მაგრამ მე მიუვარდა ჩემი საშშობლო როგორც შეიღს თვისი ავადმყოფი დედა უყვარს და მე ვცდილობდი მცირ ტკივლების შემსუბუქებას...“

„სულიერი კულტურის დარგში სულ სხვა ხსიათის მონაცემებია არსებობს, ვიდრე ეკონომიკური ცხოვრების სფეროში. კაცობრიობის ეკონომიკაში გრანდიოზული ცვლილებები ხდება ხალხთა გადასახლებების, ომების, ხასალი კონტინენტების აღმოჩენის წყალობით. გვაროვნული წყობილება მონათმფლობელურმა შესცვალა, მონათმფლობელური — ბატონიშვილმა, ბატონიშვილი კაპიტალისტურმა: ამჟამად ჩვენი თაობების თვალშინ კაპიტალისტური წესწყობილება აღმოსავლეთ ევროპასა და ჩინეთში სოციალისტურმა შესცვალა. ამ ცვლილების, რევოლუციების კატაკლიზმების დროს კაცობრიობის მოაზროვნეების მიერ ანთებული ღამპარი ანათებს და ერთნაირ აღტაცებას იწვევს მომზევნო თაობებში. ეკონომიკური რევოლუცია არაფერს აქლებს ამ სინათლეს.“

მარქსი აღტაცებული იყო ანტიკური ბერძნული ხელოვნებით და ლიტერატურით, პომერანიის ესქილით, არისტოტელით, სკულპტურით ან არქიტექტურით, რომელთაც დღემდე მიუღწეველი მხატვრული ძეგლები დაგვიტოვეს. მაგრამ განა, ეს ომი ნიშნავს, რომ მონათმფლობელური საზოგადოება მიაჩნდა წასაპაძად? ცნობილია ენგელსის აღტაცება რენესანსის მოაზროვნეებით, აღმომჩენლებით და მხატვრობით, მაგრამ ეს განა იმას ნიშნავს, რომ ის ამერიკელი ონავარი ოქროს მაძიებელი იყო?“

„თავისი მსოფლმხედველობით ან სტილით სტენდალი უფრო ახლოს დგას ვოლტერთან და დიდროსთან, ვიდრე რუსოსთან“. „განვითარება“ ილიამ შემოიღო?

„შეგიმჩნევიათ თუ არა, რომ ყველაზე გამძლე და სურნელოვანი ცვავილები მთის ფერდობებზე იზრდებიან ყინულის მინდვრე-

ბის ან თოვლის გვირგვინის გვერდით, ხოლო სათბურის მცენარეები ჭინებიან, როგორც კი კელლები გაიხსნება და მათ ციფი ქარი დაპერავს ან მცხუნვარე მზე დახედავს?“

„ერთ ეგვიპტურ ფრანგულ გაზეთში დაბეჭდილი ციფ ცნობა, ვიღაც სიცილიელი მეაფთიაქე წინასწარმეტყველებს, რომ ჩვენი დედა-მიწა აფეთქდება, დაახლოებით 20—25 წლის შემდეგ, როდესაც გამოყენებული ატომური ბომბების ჩაღიაცა მიაღწევს მის შუაღულს...“

ფლობერის გმირის მეაფთიაქე პომეს გაცნობის შემდეგ მე არ მწამს ამ ადამიანის ფილოსოფიას.

„თავისი ცხოვრებით და თავისი პოეზიით გიორგი ქუჩიშვილმა გააკეთილშობილა თავისი ფსევდონიმი, თუმცა ქართველი ხალხის წარმოდგენაში ქუჩიშვილობა არაფერს შეიცავს კეთილშობილს.“

„ვატიკანის საარქივო ფონდში აღმოჩნდა დღემდე უცნობი წყარო საქართველოს ისტორიისა „მონსიორე ლეონის“ თხზულება. ავტორს 31 წელი დაუყვია საქართველოში XVIII ს. უცხოვრია ქართ-კახეთში, იმერეთში რაჭაში და დიდად საინტერესო მასალებს იძლევა იმდროინდელ საქართველოშე“.

„თეირინის კონფერენციის დროს გამართულ საღილზე სტალინი 50 ათას სახრჩობელს მოითხოვდა ნაცისტებისათვის, იმ შემთხვევაში თუ გერმანია დამარცხდებოდა. ეს აღშფოთებას იწვევდა ჩერჩილშინ“.

„ცხრა წლის ვიყავი, რომ მამაჩემმა ვ. გუნიას „საქართველოს კალენდარი“ მიყიდა. ვალერიან გუნია ჩემთვის ეს სახელი და გვარი ჩაღაც უცხოურად უღერდა, მაგრამ მისი კალენდარი გარდა სიზმრის ახსნისა და ადამიანის ბედის წინასწარმეტყველებისა მრა-

ვალ საინტერესო ცნობას შეიცავდა ქართველ და უცხო მოღვაწეების შესახებ, საქართველოს გეოგრაფიაზე და ისტორიაზე. საერთოდ ეს პატრიოტული გრძნობით გაელენილი წიგნი იყო, მე იქიდან, სხვათა შორის, ვისწავლე მთვარის გამოანგარიშება“.

„მე თუმცა რეალური სასწავლებელი გავათავე, მაგრამ ძალიან ცუდი მათემატიკისი ვიყავი, ვინაიდან ყელა მათემატიკურ სახელმძღვანელოს ვყიდდი, რათა ლადო მესხიშვილის და ვასო აბაშიძის წარმოდგენებს დავსწრებოდი“.

„დიდი ქართველი არტისტები ლ. მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვა, ვანო საჩაგიშვილი დიდი შინაგანი განცდის ხელოვანნი იყვნენ, ამიტომ მათი სიცოცხლე ხანმოკლე იღმოჩნდა“.

„ყველა თავისი ისტორიული, ტრაგიკული პერიპეტიების მიუხედავად ქართველმა ერმა ჭანსალი ფესვები შეინარჩუნა და ფესვები ანტიკური იბერიის და კოლხეთის ნიადაგში გადგმული!“.

„თუმცა სტენდალი ამტკიცებს სიყვარულის ორთაბრძოლაში უფრო ხშირად გმარცხდებოდი, ვიდრე ვიმარჯვებდით. მაგრამ ნამდვილად ის რამდენიმე ქალს უყვარდა და ზოგიერთი მათგანი გამოიჩინდა სილამაზით და გონებრივი კულტურით. მატილდასადმი სიყვარულმა მისი მარცხი გამოიწვია ალექსანდრინას მიმართ. ეს ეპიზოდი დამახსიათებელია მისი ფსიქოლოგისათვის.“

სიყვარულის ორთაბრძოლაში ის იყო გაბედული ან გაუბედავი, ერთსა და იმავე დროს, რომანტიკოსი ან ცინიკოსი, დონქუანი ან ვერტერი. მას უყვარდა შექმნილი, სერვანტესი, არისტო კორეკო...“

„ჩემი ცხოვრება ჩეეულებრივ იმაში მდვომარეობდა, რომ მე უბედური მიგნური ვიყავი, მუსიკის და მხატვრობის მოყვარული“.

„მე ვრწმუნდები, რომ ოცნება ყველაფერს მირჩევნია, თვეშემოგონია გონიერადაც კაცის რეპუტაციას“.

„სტენდალი დაიბაზა და აღიზარდა ეპოქაში, როდესაც პოლიტიკური და სოციალური ინტერესი სჭარბობდა ყოველ სხვა ინტერესს, მაგრამ ის ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა რესტაურაციისა და რეაქციის ეპოქაში, როდესაც ესთეტიკურმა ბრძოლებმა სისხლის ოშების ადგილი დაიტირა“.

„შეერალი და მყითხველთა აუდიტორია, მათი ურთიერთობა, — ეს პრობლემა მწვავედ სდგას არა მარტო საქართველოში და საბჭოთა კავშირში, არამედ მთელს მსოფლიოში. არსებობს ორგვარი საფრთხე: შეიძლება მწერალმა !მეტისმეტად ვიწროდ შემოზღუდოს თავისი აუდიტორია. აღარ მასხვეს, რომელიმაც ძველი ფრანგი მწერალი სწერდა მევობარს ქალს: მე მყითხველთა საზოგადოება არ მჭირდება, მე შენც მეყოფი; ბოლოს არც შენ მჭირდები, თავისთავი მეყოფა... არასოდეს არ დამავიწყდება ერთი სცენა რუსთაველის პროსპექტზე (10 წლის წინათ) პოეტი გრაგნილით ხელში საით მიიჩქარის? ტექაში. არ ვიცი, რომელიმაც მდივანს თუ განყოფილების გამგეს ახლად დაწერილი პოემა უნდა წააკითხოს. ეს ტენდენცია ვიწრო აუდიტორიისადმი მიმართვისა და მისი მოწონების დამსახურებისა ერთპიროვნული პოლიტიკური ანარეგლი იყო. აქედან წარმოსდგება ყველა ის სასაცილო ჰიპერბოლები, რომელნიც ჩვენს პოეზიაში გაბატონდნენ: აღმა მიმავალი მდინარეები, აკენებში მწოლიარე მზეები და სხვა.«

არა ნაკლებ უკუღმართია მეორე ტენდენცია. მწერალს სურს აუცილებლად მყინვარშვერიდან, კრემლის გალავნიდან, ეიფელის კოშკიდან ელაპარაკოს კაცობრიობას“.

კონსტანტინეპოლის აღების საბედისწერო როლი საქართველოს დანაწილება და აფხაზეთის გამოყოფაა, მაგრამ ერთობის იდეა არ 29. ლიტერატურის მატიანე

ისპობა, მაგალითად ხრესილის ომში 1757 წელს იმერეთის შეფერის სილომონ 1-ს თურქეთის წინააღმდეგ მეგრელები, აფხაზები და გურულებიც ენმარებოდნენ.

აფხაზეთის ოკუპაცია ჩუსეთის იმპერიის მიერ 1810... აფხაზეთის აჯანყებები 1866 წ., 1877 წ... მასობრივი გადასახლება ოსმალეთში. აფხაზეთის ტერიტორიის პერელება. აფხაზ და ქართველი ინტელეგნტებს გიორგი შერვაშიძეს, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს და სხვა, ჩვენ დღეს ხელი უნდა შევუწყოთ ამ დიდ ტრადიციის გამყარებაში, რომელიც განამტკიცეს ლეონ II, ბაგრატ III, თამარ მეფემ, სოლომონ I, ხოლო მეცხრამეტე საუკუნეში „აღმზრდელის“ ავტორმა აკაკი წერეთელმა და გიორგი III-ის ავტორმა გიორგი შერვაშიძემ.

„ჩვენს შორის არ ყოფილა შელლი და მტრობა ან თუნდაც რაიმე გაუგებრობა. გავიხსენოთ საერთო საფლავები და ციხე-ქალაქები... ხიდები, გზები, ერთად დაღვრილი სისხლი...“

სიტყვა წარმოვთქვი გუდაუთის რაიონის სოფელ გულრიფშში, 20 სექტემბერს, 1956 წ. აფხაზი და რაჭველი კოლმეურნეების წინაშე“.

„ჩვეილი ლიტერატურის და ხელოვნების ჩამორჩენილობაზე: ისინი ვერ ასახვენ ჩვენს თანამედროვე მდიდარ და მღელვარე ცხოვრებას. რა იყო ამის მიზეზი? უწინარეს ყოვლისა ყალბად და ცალმნრივად გაგებული დიქტატურის იდეა, აზროვნების მოქცევა ვიწრო არტიბებში. მთელს სულიერ კულტურას 3—4 ათეული წლის მანძილზე ყინულების მასივი აწეა თავშე. ლიტერატურას, მხატვრობას, თვით მუსიკას მხოლოდ საბჭოთა ადამიანის გმირობა და სულიერი სილამაზე უნდა აესხა, ყოველი მხრიდან გაისმოდა: ჩვენ ამდენი ტონა სიმინდი მოვიწიეთ, ამდენი ძროხა მოვწელეთ, ამდენი ვოჭი გავზარდეთ. მწერლებს ჩვენი ვალი გადევთ. თქვენ ჩვენი გმირული საქმეები უნდა აღნუსხოთ.“

მართალია, იმასაც გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ გოგოლები და სალტიკოვ-შჩედრინები გვჭირდება, მაგრამ თუ ვინმე გაბრიყდებოდა და „მკვდარი სულების“ მსგავს რამე დასწერდა, იმ საშინელ

ლიმიტში მოხვდებოდა, რომლის შესახებ გუშინ აქ ამხ. დ. მჭედლიშვილი გვესაუბრა. ცნობილია, რომ „დამპატიურს“ გამოქვეყნება სრულიადაც აქტივში არ ჩაეთვალა მიხეილ ჭავახიშვილს... მაგრამ რაზივ ხანგრძლივიც უნდა იყოს ზამთარი, ის მაინც თავდება, თოვლი ღნება და თავს ყოფს ენძელა. ეს მარტივი და საყვარელი ყვავილი, რომელიც გაზაფხულის მაუწყებელია“.

„ნაციონალური ხელოვნების შექმნა არ შეიძლება იდეათა ალებ-მიცემობის გარეშე. გორეკი ახალგაზრდა რუს მწერლებს ეუბნებოდა: ისწავლეთ ოსტატობა დიდი ფრანგი მწერლებისა, განსაკუთრებით ბალზაკისა, სტენდალისა, ფლობერისა. ჩვენ ასეთი ოსტატები არ გვყავს. ამ დიდი ფრანგი მწერლების ნაწერები კი მოთელი წლების განმავლობაში აწყვია ჩვენი გამომცემლობების ქარადებში და არაეითარი იმედი არაა, რომ მხეს სინათლეს იხილავთ. ამავე დროს კლასიკური და თანამედროვე რუსული ლიტერატურიდან ყველაფრით გამოცემულია. თვით ისეთი სპეციალური ინტერესის ნაწარმოები, როგორიცაა რადიშჩევის „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვიმდე“. ამავე დროს რუსული ენა ჩვენში ყველაზ იცის და მაღაზიების თაროები, ქუჩის მაგიდები სავსეა რუსული წიგნებით“.

„ქ. გამსახურდიამ კარგად ილაპარაკა სიყვარულის გაუთავებელ დეკლარაციას. შეა საუკუნეებში რაინდი მუხლს იდრეკდა ცოლის წინაშე. ჩვენს ეპოქას ეს პოზა აღარ შეეფერება. ჩვენ გვირჩევთია ფეხშე მდგომარე და მერხშე მჯდომარე სატრფოების ხილვა. ხოლო ყელაფერს ხელიხელჩაიდებული მეგობრები, რომელნაც ერთად მიღიან „ნათელი მომავლისაქნ“.“

„მე არ ვწერ ნატურიდან. მე ვწერ ნატურის შემწეობით — წერდა პიკასო. ამ სიტყვებით ის დაუბირისპირდა იმპრესიონისტებს, მისი მხატვრობა რეაქციას წარმოადგენს იმპრესიონისტის წინააღმდეგ.“

ჩვენი ლადო გუდიაშვილიც ანტიიმპრესიონისტია.

„მე სამყაროს აქსახით არა ისე, როგორც მას კხედავ, არამედ ისე, როგორც გააზრებული მაქეს“. — პიკასო.

„ასეთი იყო ჩემი ცხოვრების გაზაფხული... შესაძლებელი იყოს იმას ხელახლა დავიწყებდი, იმიტომ კი არა, რომ სიცოცხლე სახარბულოდ მიმაჩინდეს, არამედ, იმისთვის, რომ ნაკლები შეცდომები ჩავიდინო, ნაკლებ დავემორჩილო ბრმა ვნებათა ლელვას და და იმ გზით ვიარო, რომელსაც გონება მიკარნახებს“.

„თუ შენს სასახლეში არ მოიპოვება ჭაბუკთა ოქროს ქანდაკებანი, რომელთაც ხელში ჩირალდნები უჭირავთ და ნადიმი ცის მნათობებმა გაგინათოს, თუ შენი ბინა ოქრო-ვერცხლით არ არის გაბრჭყვიალებული, ხოლო მის შემცულ თაღებს ქვეშ კითარის ხები არ იღვრებან, შეგიძლია ჩბილ მწვანეზე წამოწევე, ნაკადულის ნაპირას, ჩრდილოები ხეების ტოტებს ქვეშ და დამატებობელი დასცენება მისცე შენს სხეულს, განსაკუთრებით, როცა გაზაფხული იღიმება და მოლი ყვავილებით ირთვება.“

სული ან შვინვა. სული ან გონება სხეულის შუა ნაწილში, მკერდში იმყოფება, შვინვა მთელს სხეულშია გაფანტული. ისინი (სხეულებრივი) მატერიალური ხასიათის არიან და შეხების შემწეობით მართავენ სხეულს. სული მეტად ნატიფია და უმცირესი სხეულების ნაწილაკებისაგან შედგება...“

„1946 წ. 20 მაისი დიდი თარიღია ქართული ლიტერატურის ცხოვრებაში. მწერალთა სასახლეში ოცდაორი წლის ქალიშვილმა ანა კალანდაძემ თავისი ლექსების რვეული წაგვიკითხა მსმენელებით საესე დარჩაზში. მა დღიდან იწყება ქართული ლირიკის აღორძინება. ვაჟა-ფშაველას შემდეგ პირველი დიდი პოეტი მოგველინა. მას აქვს მეტად ორიგინალური რელიგიური მსოფლშეგრძება, სრულიად ახალი პოეტური მეტყველება. მისი შთაგონების წყაროებს ქართლის ცხოვრება, ბიბლია, დ. გურამიშვილი, გურიის ფოლკლორი წარმოადგენს. გასაოცარია ეროტიკული მოტივების უქონლობა. მისი ლექსები უფრო რელიგიურ პიმნებს ჰგავს, ვიდრე

პირად ლირიკულ აღსარებას. მომცრო ტანისაა, მშვენიერი თვალი არის მიზნის და მიმზიდველი სახე აქვს. თავი უბრალოდ უჭირავს, მაგრამ ლირსეულად. რა მშვენიერია მისი კითხვის მანერა, უკეთ ვთქვათ უმანყოება! მისი ხმის მუსიკა ახლაც მესმის. თუ ჩემს ასაქში ან მდგომარეობაში კიდევ შეიძლება ბედნიერი წუთების განცდა, მე ის გუშინ განეიცადე“.

„დღეს 4 იანვარია, რა იქნება 4 ივლისს? ინფილტრატი... 4 ივლისს ცუდად ვიყავი, მაგრამ ცოცხალი. როგორ ვიქნები 4 იანვარს?...“

პუბლიკაცია მოამზადა ნანა გაისურაპია.

საქართველოს სახელმწიფო გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში 1978 წლის ნოემბერში თინა ჭიჭინაძე-ასათიანისამ შემოიტანა კრიტიკოს ლევან ასათიანის არქივი. ეს საქმაოდ დიდი მასალა მოიცავს 933 ერთეულს. მათ შორის 40 უბის წიგნაყია. ისინი ხასიათების მიხედვით შეიძლება ასე დავაჭროოთ:

1. ქართველი მწერლების და პოეტების შესახებ (მოგონება და ნამბობი ლევან ასათიანის მიერ ჩაწერილი).
2. ქართულ მხატვრულ ნაწარმოებთა გმირების პროტოტიპებისა და ფაბულის შესახებ.
3. მოგონებები რეჟისორებსა და მსახიობებზე.
4. ილიასა და აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.
5. სხარტულა და ქართული მივიწყებული სიტყვები, რომელიც მოსწონებია მწერალს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობისას და ჩაუწერია. აგრეთვე ძევის ეპიტაფიები და ხალხური გამოთქმები.
6. შთაბეჭდილებები (ლენინგრადი, კიევი, სამარყანდი და სხვა.)
7. კონსპექტები, პირთა საძიებლები, ლექციების გეგმები, მუშაობის დღიურები და სხვა.

ამჯრად გთავაზობთ იმ ჩანაწერებს, რომელიც შედარებით ყურადსალებად მივიჩნიოთ.

„პატარა ბიჭი ვიყავ, ერთხელ დედა მიღიოდა სახლიდან, გავიტირე. წამიყვანა. ჩვენ მივედით სონის ტაძარში.

იქ კუბო იდგა, შიგ მოხუცი კაცი ესვენა, შუბლის ერთი მხარე გატეხილი ჰქონდა, ზედ დაფნის ფოთოლი ეფარა, დედამ მითხრა: — დამახსოვრე შვილო, ეს არის ილია ჭავჭავაძე.

ასე ენახე პირველად დიდი მგოსანი“.

„ლეონ ქიაჩელი გაემგზავრა სევასტოპოლიში. მას აჩვენეს ის ადგილი, სადაც იდგა საარტილერიო ნაწალი, რომელშიაც მსახურობდა მცი შვილი თოარი. ეს საარტილერიო პოზიციები მიწას-

თან გაასწორეს გერმანელთა ბომბაომშენებმა. ქვა ქვაზე იყო დადგუ-
ლებული. უფრო ნამსხვრევებად იყო ქცეული ის მიღამო.

მმბობენ ლეო დაემხო მიწაზე ქვითინით. ის მოსთქვამდა მწარე
ხმით და თავს ურტყამდა ქვას. ის დასტიროდა დალუპულ შეილს,
რომლის სისხლით და სხეულის ნაფლეთებით ცყო გაპოხიერებული
ის მიწა“.

— „ერთხელ თბილისში ესენინმა მითხრა:

— ბლოკი გერმანელი იყო, მაიაკოვსკი — ქართველი, ნამდვილი
რუსი პოეტი მე ვარ“.

ამ ორი წლის წინ, გაგრძი ყოფნისას, ბელდამა მოითხოვა ვაჟა-
ფშაველას თხზულებანი. ის იქ ხელიხლა გაეცნო ცაჟას შემოქმე-
დებას. მთლიანად წაიკითხა მისი ლექსები და პოემები. მას უთქ-
ვამს აქმდე უფრო მეტის წარმოდგენისა ეყიავი ვაჟაზე. ბელადს
წაუკითხავს გერმანტი ქიქოძის ორივე წინასიტყვაობა, ვაჟა ფშავე-
ლას თხზულებებზე დართული ერთი 1928 წლის გამოცემაზე, მე-
ორე გვიანდელი. პირველ წინასიტყვაობაში გერმანტი პირველყო-
ფილ, პრიმიტიულ და ჩამორჩენილ ადამიანად სახავს ვაჟა. ფშა-
ველას, მეორე წინასიტყვაობაში კი ამ აზრს აღარ იზიარებს და
კულტურულად და თანამედროვე აზრონების ღონებებს მყოფად მი-
იჩნევს პოეტს.

ბელადს შეუნიშნავს, რომ ქიქოძე იმ თავის პირველ წინასი-
ტყვაობაში უფრო მართებულ აზრს გამოსთქვამს ვაჟას შესახებო,
ვიდრე შემდეგ წერილშით. ვაჟა საერთოდ ჩამორჩენილი მსოფლ-
მხედველობის მწერალი იყოთ.

ბელადის ეს აზრები გამოსთქვა კ. ჩარვეიანმა თბილისის მე-20
საქალაქო პარტყონფერენციაზე 1951 წელს, თავის მოხსენებაში.

„ბელადს კ. ჩარვეიანთან საუბრის დროს უთქვამს, რომ ავეყი
წერეთელისა და ვაჟას შორის კამათში (ენის შესახებ) მართალი იყო
ეყვით“.



„მაიაკოვსკიზე ამბობენ, როცა ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილ
სალაშვილე მაიაკოვსკიმ წაიყითხა თავისი პოემა, დად თეატრში მა-
შინ მას ლოიდან უსმენდა სტალინი.

როდესაც მაიაკოვსკიმ კითხვა გაათავა, სტალინმა მოისურვა
მასთან ლაპარაკი. იმ წუთშივე წავიდნენ მაიაკოვსკის მოსაყვანალ.
ეძებეს, მაგრამ თეატრში ვეღარ ნახეს. გაათავა თუ არ კითხვა, მა-
იაკოვსკის ქუდი დაუხურავს და წასულა.

ასე და ამგვარად შემთხვევით არ მოხდა მაიაკოვსკის შეხვედრა
სტალინთან.

ეს რომ მომხდარიყო, შეიძლება მაიაკოვსკის დღესაც ცოცხალი
ყოფილიყო“.

„ერთხელ პეტრე კაპანაძემ უთხრა თურმე ბელადს:

— გახსოვს სოსო, სემინარია, მღვდლად რომ ემზადებოდი?!

— მაში, კაცო, — გაიცინა სტალინმა — რა კარიერა გამიღუჭდა!
(ვასო პატარაიასაგან)“

„სტალინის ვაჟს, ვასიას უთქვამს:

— უკანასკნელი ხანების მანძილზე მამა ძალიან მოხუცდა, გახ-
და, გული მწყდებოდა, რომ ვუცემოდი.

უმეტეს ნაწილად თავის ოთახში იჯდა, არ გამოდიოდა, ბევრს
კითხულობდა, მუშაობდაო“.

შალვა დადიანის ნათქვამი

„ჭიათურის მილიციის უფროსის

ტყაბლაძის ნამბობი:

ამხანავი სტალინი თბილისში რომ ჩამოვიდა, იმ დროს მე და
ორი მილიციის თანამშრომელი სტალინის დედის დაცვაში ვმსახუ-
რობდით, ეკატერინეს ბინის გვერდით. ერთ ოთახში ვცხოვრობდით.

კეკემ დილიდანვე გაიგო, რომ მისი შვილი თბილისში იყო ჩა-
მოსული და იმ დღეს უნდა მისულიყო მის სანახვად. ის გამოეწყო,



ჩვეულებრივი ჩიხტიკობი დაიხურა, როგორც ყოველდღე ეჭიშვილთავა
ტახტზე მოიფრთხენა და ისე უცდიდა. ხელში გაზეთი ეჭირა,
ცხვირზე სათვალე გაიკეთა და კითხულობდა.

ამ დროს ოთახში სტალინი შემოვიდა, უკან ბერია მოჰყვებოდა.
ის პირდაპირ მივიდა დედასთან, გადაეხეია, მოიკითხა. შემდეგ ჩვენ
შემოგვედა:

— დედა, ესენი ვინ არიან?

— ესენი, შვილო, მე მპატრონობენ, — უპასუხა კეპებ.

— ვინც შენ პატივსა გცემს, ის ადამიანი ჩემთვისაც სასიყვა-
რულოა. — უპასუხა სტალინმა, წამოდგა, ჩენთან მოეიდა, სამივეს
სათითაოდ ხელი ჩამოგვართვა.

ამის შემდეგ დავტოვეთ ოთახი და ჩვენს საღვომში გავედით.

სტალინი დარჩა დედასთან, მოელი საღამო მასთან იყო.

საღამოს მოვიდა ფილიპე მახარაძე და უნდოდა სტალინს ნახვა.
მან არ მიიღო ფილიპე.

(ამბერები გაჩეჩილაძემ გადმომცა).

„მამაჩემს გორში ერთი მეგობარი ჰყავდა, მღვდელი, გვარად
ჩარკვიანი. მამაჩემი და ეს მღვდელი დაიღვამდნენ ლეინოს, სეამდ-
ნენ, თვრებოდნენ.

მამაჩემი უზომოდ სვამდა!“

სტალინის საუბარი მასთანვე
ნ. ბერებინიშვილის ნამბობი“

1951 წელს, საქართველოში ყოფნის დროს, როდესაც ი. სტა-
ლინის მატარებელი გაჩერდა ხაშურის საღვურზე, ხალხი მიაწყდა
ბელადის სალონ-ვაგონს. ის ფანჯარასთან იდგა.

ხალხმა სიყვარულით შესძიხა: იცოცხლე, ბელადო, კიდევ ას
წელიწადს! მან გაიცინა და ხალხს ფანჯრიდან ორივე ხელის ათი-
თითი უჩვენა, ე. ი. „ოთ წელიწადს ვიცოცხლებო კიდევ!“

მიხ. ჭიათურელი:

— ერთხელ, ბელადთან საუბრის დროს, ჩემი დედა გავიხსენე.
ვაქე მისი გარჯილობა, კეთილი გული, სათნოება და სიკეთე.

ბელადმა ყური მიგდო და მერე მოკლედ მომიჭრა:

— ყველას დედა კარგია!

ამით მან ის მითხრა, რომ ოვითოეული რიგიანი ადამიანი ღირ-
სეულად აფასებს და პატივს ცემსო თავის მშობელს“.

(მიშას შეხვედრა მხატვრებთან).

„ბელადს ძალიან უყვარდა ფილმი „ჩაპავეი“. რომელიმე ზანგრ-
ძლივ სხდომის შემდეგ, დალლილები რომ გამოვიდოდნენ, იტყო-
და: „ეხლა ურიგო არ იქნებოდა კარგი ფილმის ნახვა, დავისეენებ-
დითო“.

შევიღნენ სპეციალურ დარბაზში. რასაევირეველია ყველა „ჩაპა-
ვეის“ ნახვას მოინტომებდა. ჩვენების დროს ზოგი თვლემდა, ბე-
ლადი კი ყოველ კადრზე რეაგირებდა, იცინოდა, იძლეოდა თავის
შენიშვნებს.

ბოლოს იყითხა: ყველას მოგეწონათო?

— შესანიშნავია!

— საუცხოვოა!

— ნამდვილად მოგეწონათ?

— ნამდვილად მშენიერია!

— მაშ, მოდი კიდევ ერთხელ ვნახოთო.

დლეეს ვიყავით გამოცხადებული კანდიდთან მე და სიკო დო-
ლიძე, სცენარ „ილია ჭავჭავაძის“ გამო. სცენარი წაყითხული ჰქონ-
და. გვითხრა: ბევრი მუშაობა ჩაგიტარებიათ, საინტერესო მასა-
ლები დაგივროვებიათ არის მთელი რიგი საინტერესო ეპიზოდე-
ბით. ამ სცენარის მიხედვით გადაღებული ფილმი უსაყვარლესი
სურათი იქნება ქართველი ხალხისათვის, მაგრამ საქმე ესაა,
ჩვენ მარტო ჩვენი ხალხისათვის არ ვიღებთ სურათს ილიაზე. იგი
გასავები უნდა იყოს სხეებისათვისაც — რუსებისათვისაც და სხვა.

ილიამ საფუძველი ჩაუყარა ქართულ ბანქს, რომელიც იმ დროს
ქართული სახელმწიფოებრივობის ჩანასახს წარმოადგენდა. ეს იყო
უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის საქმე, მაგრამ სხვებისათვის,
არა ქართველებისათვის, ბანქის ხსენება დაკავშირებულია კაპიტა-
ლისტურ-ფინანსურ ორგანიზაციისთვის. შეიძლება ეს ამბავი ვერ



მივიღეს უცხო მაყურებლის გულამდე. შემდეგ ოლსანიშნავია, ზრდობის ბანქის გარდა, სცენარში იქვენ ნაჩევენები გაქვთ ილიას ბრძოლა ქართული ენისა და კულტურის დასაცავად. ქართველი ხალხის მტრებთან, მეფის მოხელეებთან და რეჯიციონერ მოლვაწეებთან.

ასეთები არიან იანვესკი და სხვები. აქაც უნდა აღნიშნოთ, რომ ილიას ბრძოლას კატკოვ-იანვესკების და მეფის სხვა მოხელეების წინააღმდეგ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ხალხისათვის.

ამ მხრივ განუხომელია ილიას ღვაწლი, მაგრამ აქაც ერთი უხერხეულობა იქმნება: ყველა ეს მოხელეები, ვისაც ილია ებრძოდა, იყვნენ რუსები. არის საშიშროება, რომ ჩვეულებრივი მაყურებელი ამ რუსი მოხელეების წინააღმდეგ ბრძოლას აღიქვამს, როგორც რუსების წინააღმდეგ ბრძოლას, რაც სისურველი არაა, ცხადია.

საერთოდ უნდა ითქვას, მართალია, რუსეთთან შეერთება „უმცირესი ბოროტება“ იყო საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში, მაგრამ მას ქონდა უდიდესი დადგებითი შედეგები, რომელთაც თავი აჩვენეს მთელი თავისი სიძლიერით მე-60 წლებში, ამ ეპოქის მოლვაწეთა შემოქმედებაში ილიას მეთაურობი. აი, სწორედ ამ მომენტს უნდა გავუსცათ ხაზი, წინ წამოწიოთ იგი, თვალსაჩინო გავხადოთ მისი მნიშვნელობა ჩვენი ხალხის ისტორიულ განვითარებაში.

ეს უფრო მნიშვნელოვანი საქმეა დლეს-დლეობით, ვიდრე ხაზებისა მას ბრძოლის, რომელსაც რუსეთის ცარიშმის წინააღმდეგ ეწეოდნენ ქართველი ხალხის მოწინავე ძალები.

უველა ამის გამო სცენარი მოითხოვს ზოგიერთ დამატებას ამ ხაზით წარმართვისათვის. ამის კი სჭირდება დრო, მუშაობა.

ამასთანავე ამხ. კანდიდი გამოთქვამს მოსაზრებას: —

— ნომ არ იქნება უმჯობესი, რომ სცენარს ილიას შესახებ საფუძვლად დაედოს არა მისი ბიოგრაფია, არმედ მისი შემოქმედება, მისი მოთხოვნების და პოემების სიუკეტები, სადაც მოქმედ პირებად ეკრანზე იქნებიან მისი პერსონაჟები? მაგრამ ეს უკვე ახალი სცენარის დაწერას მოითხოვს, ახალ გამოსახვით საშუალებებს, ახალ კონკრეტიას სიუკეტის თვალსაზრისით. იქნებ, ამიტომ, უმჯობესი იყოს, გადავდოთ საერთოდ ამ სცენარის საკი-

თხი და ვილაპარაკოთ ახალ სცენარზე, რომელიც ძალიან სამუშავო ფილმის ახლა შეიქმნას? მე ვგულისხმობ სცენარს ჩვენს გენიოს კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილზე.

(ამის შემდეგ კანდიდმა ილაპარაკა ფალიაშვილის როლისა და მნიშვნელობის შესახებ. ბოლოს გვთხოვა დავწეროთ სცენარი კომპოზიტორზე, რომელიც საფუძვლად დაედება ფილმს, სცენარის დაწერის ვადა — აგვისტოს დამლევს).

მიკოლა ბაჟანი:

„ამ ორიოდე წლის წინად უკრაინის მთავრობის წევრები მიფრინავდნენ ამერიკაში. სადღაც შორეულ ციმბირში იძულებული დაშვება გააკეთეს, მგონი ნისლმა არ გაუშვა.

აეროდრომის უფროსმა წინადადება მისცა ესარგებლათ მათ განკარგულებაში არსებული დროით და იქვე მახლობლად მყოფი კონცლაგრი დაეთვალიერებინათ. უკელანი დასთანხმდნენ. ბანაკში რომ მივიდნენ, კანტორაში ნახეს ერთი ხანდაზმული შავგვრებანი ქალი; ბანაკის უფროსმა რაღაც განსაკუთრებით მიმართა ქალს: „ამხანაგო კაპლან!“ შემდეგ მიუბრუნდა სტუმრებს:

— იცით, ვინ არის ეს ქალი? ფენია კაპლანი, რომელმაც ესროლა ლენინს, ესროლა მიხელსონის ქარხანაში მიტინგის შემდეგ. მას აქეთ ის კონც. ბანაკშია. სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი“.

„ჯაყოს ხიზნების“ სიუჟეტი.

გერონტი ქიქოძე:

— ახალდაბაში ცხოვრობდა თავადი კოლია სუმბათაშვილი. მეტად ლამაზი ახალგაზრდა ცოლი ყავდა. მე ბევრჯერ მინახავს. შესანიშნავი ქალი იყო. თავადი ხანშიშესული იყო, მას ახალგაზრდა ლამაზი მოურავი ჰყავდა; გვაჩად ნემსაძე. თავადის მეუღლე ამ მოურავთან ცხოვრობდა. მოურავმა რასაკვირეელია თვადის ხარჯზე ქვიშხეთში სახლი აიშენა, მამული შეიძინა.

მოხუცი თავადი მერე მასთან ცხოვრობდა სახლში.

ეს ისტორია ვუამბე მიხეილ ჯავახიშვილს. ამის საფუძველზე დაწერა თაისი ცნობილი მოთხრობა „ჯაყოს ხიზნები“.

გერონტი:

— ლეპციგში სწავლის დროს ჩვენთან ერთად სტუდენტად იყო გურული ახალგაზრდა, გვარად დუმბაძე, დიდი მოხერხებული ყმაწვილი იყო. დაუმეგობრდა გერმანელ სტუდენტებს, ერთი გვარად კულტი იყო, მეორე კორტი... კორტი მდიდარი მექანიკის სიძე იყო. დუმბაძეს სამი ბიძა ყავდა. ორი მათგანი გერმანელები. ისინი თვეში თორმეტ-თორმეტ მანეთს უგზავნიდნენ. ეს ფული, ცხადია, საქმარისი არ იყო ლეპციგში საცხოვრებლად.

ერთხელ ამ დუმბაძემ დიდი საღილი გამართა. უკანასკნელი ფულები დახარჯა. მოიწვია მთელი თავისი ამხანაგები, მათ შორის გერმანელი სტუდენტი კურტი. შეა საღილზე მასპინძელს დეპეშა მოუვიდა. ის მოიღუშა, მაგრამ არაფერი თქვა. ყველანი დაინტერესდნენ. კურტი ჩააცილა, გვითხარი დეპეშის შინაარსიო. ბოლოს, როგორც იქნა ვითომ იძულებით, დუმბაძემ გააცნო მას დეპეშის შინაარსი: ზუგდიდიდან სწერდნენ, შენს ქარხნებში მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს და მუშაობა შეჩერდათ (ეს ამბავი 1905 წელს ხდებოდა). დუმბაძემ მშუხარედ თქვა, ეხლა ფულიც არა მაქს, რომ სასწრაფოდ გავემგზავრო და საქმეები მოვაკვაროთ. კურტს შეეცოდა და უთხრა, არ შეწუხდე, ჩემს სიმამრს გამოვართმევ და გასესხებო. მართლაც მეორე დღეს დიდძალი თანხის საბანკო ჩეკი მოუტანა. ამ ფულით გამოემგზავრა საქართველოში დუმბაძე. ცხადია, მას ზუგდიდში არავითარი ქარხნები არ ჰქონდა.

დეპეშა ლეპციგიდანვე გამოუგზავნა მისივე ამხანაგშა იასონ მენაბდემ, რაც წინასწარ იყო გაზრახული“.

დუმბაძის სხვა ხრიკები

გერონტი:

— საშობლოში გამგზავრების წინ, დუმბაძე ცნობილ გერმანელ მეცნიერს კარლ ბეუხერს შეპირებთან საქართველოდან შრომის სიმღერებთან დაკავშირებულ ხალხურ ლექსების ნიმუშებს ჩამოვიტან, ოღონდ რუსეთის მეცნიერებათა ფალემიისადმი მიწერილობა მომეცა, რომ ამ საქმისათვის ეიგზავნებიო. კარლ ბეუხერს თავისი ცნობილი წიგნისათვის „მუშაობა და რიტმი“ მასალა მიაწოდა სტუდენტმა ფილიპე გოგიარიშვილმა. ახლაც იფიქრა ეს ყმაწვილი მასალას ჩამომიტანსო და მისცა მიწერილობა.

დუმბაძე გამოემგზავრა რუსეთში, თან კიდაც გერმანელი ექი-
მი წამოიყენა, ვითომ პირადი მოვალეობის ამსრულებელი. ეს მას
სჭირდებოდა ზედმეტი განდიდებისათვის, როგორც „მდიდარ მე-
ქარხნეს“. ამ „სამეცნიერო მგზავრობიდან“, როგორც სჩანს, მან
დიდი გამორჩენა ნახა. რასაკვირველია, არავითარი ქართული ლექ-
სები მას საქართველოდან არ გაუგზავნია ბიუხერისათვის“.

სუხომლინოვის აგენტი

გერონტი:

— პეტერბურგიში ყოთნის დროს დუმბაძე დაუახლოვდა სამ-
ხედრო მინისტრის სუხომლინოვი ცოლს და მისი საყვარელი გახ-
და. დუმბაძე ლამაზი ყმაწვილი იყო და ამბობდა, თუ ქალთან
ერთხელ ვიცხოვრე, მერე ის აღარა მომშორდება. მართლაც სუ-
ხომლინოვის ცოლს ძალიან უყვარდა იგი. მისი საშუალებით სუ-
ხომლინოვისაგან დუმბაძემ პირველი ომის დროს ფრიად საპასუ-
ხისგვებლო და დამოსარჩენი დავალება მიიღო — იარაღის შექენა.
დუმბაძემ ამ შეკვეთის საიდუმლო მიჰყიდა გარმანის დაზვერვას.
რითაც ყოვლად საზისლარი გამცემლობა ჩადიონა. მის შედეგი
ის გახდა, რომ რუსეთის ჯარმა მიიღო სულ სხვა ყალიბის ყუმბა-
რები, ვიდრე ეს სჭირდებოდა რუსეთის არტილერიას. ეს გამცემ-
ლობა გამომეღავნებული იქნა 1916 წლის დამდეგს და დუმბაძეს
ჩამოხრიობა გადაუწყვიტეს, მაგრამ მას მოუსწრო 1917 წლის რე-
ვოლუციამ.

დუმბაძემ დროებითი მთავრობის ხელისუფლებას განუცხადა,
რომ ის მოქმედებდა არა მერქანტიული მიზნებით, არამედ როგორც
ქართველი ნაციონალისტი. ის გამოუშვეს. ბოლშევიკებს ვერაფე-
რით ვერ გადაურჩებოდა, რომ მას რუმინეთის საზღვარი ფეხით არ
გადაელახა და არ გაძარულიყო უცხოეთში. გერმანიაში დაბრუნე-
ბის დროს, როგორც ამბობენ, მას თვეისი ძველი ვალი გადაუხდია
კურტისათვის, რომ მისი „პატიოსანი“ სახელი არ შებდალულიყო.
ამის შემდეგ ის წავიდა ამერიკაში, იქ მას, როგორც გაიძეგრასა და
ბიზნესშენის, უამრავი ქონება შეუქენია, გარდაცვალების შემდეგ
ამბოენ, 27 მილიონი დოლარი დარჩენია.

— დუმბაძის ამბები თავის დროზე მე ვუამბე მიხეილ ჯავახიშ-
ვილს. ბევრი რამ ამ ამბებიდან მან გამოიყენა თავის „კვაჭი კვაჭან-
ტირაძეში“.

ემისტები

გერონტი:

— 1921 წლის თებერვალში, როცა მენშევიკების ჯარებმა და-ტოვეს, ქალაქში ვიყავი. ლენინის მითითებით გაჩქვეული ნაბიჭე-ბი იქნა გადადგმული იმ დღეებში, რათა მოლაპარაკება ეწარმოები-ნათ ნოე უორდანისათან შეოანხმების საკითხებზე. ლენინის წინა-დადგება შემდეგი იყო: შემდგარიყო საქართველოს მთავრობა პარ-ტიულ საფუძველზე.

ბოლშევიკებისა და მენშევიკებისაგან შექმნილიყო ქართული არმიის ნაწილები.

უორდანისათან შოსალაპარაკებლად გაგვავჩავნეს დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: მიხაელ წერეთელი, მე, გიგო ნათაძე და თედო ლლონტი. ჩვენ წავედით და მივალშიერ ლიხის მიღამოებამ-დე. წითელი არმიის შტაბი ლიხის სადგურში იდგა, მაგრამ ვერ შევძელით ფრონტის გადალახვა, რადგან ბრძოლა სწარმოებდა და ჩვენმა პარლამენტობამ ვერ შესძლო დაკავშირება მენშევიკების სარდლობასთან. ლიხის სადგურზე რამდენიმე ხანს ვიყავით. შტა-ბის უფროსმა გვითხრა, რომ მენშევიკებს საუცხოო ოფიციალური პყავთ, მაგრამ ჯარისკაცები არ უვარეთო. მახსოვს, ჩვენს იქ ყოფ-ნაში მოვიდა და მოუტანა ამბავი, რომ ჩვენმა ნაწილებმა წითელ სადგური ითდესო, უფროსმა წითელ არმიელს სამახარობლოდ ერთი გირეანქა პური უბოძა.

ჩვენი დელეგაცია დაბრუნდა თბილიში და მეორედ გაემგზავ-რა რამდენიმე დღის შემდეგ. მხოლოდ საჯავახოში შევძელით ფრონტის გადალახვა, იქ ვნახეთ ნოე უორდანია. ის სალონ-ვაგონში იჭდა. ფეხებზე პლედი ესურა, დიდი ზერელე და აჩქარებული კა-ცი იყო ლლონტი. მოლაპარაკებილან, მახსოვს არაფერი გამოვიდა, რადგან ამ დროს ბათუმში უკვე მოსულიყო საფრანგეთის სამხედ-რო გემი მენშევიკების მთავრობის წასაყვანად.

მიხაელ წერეთელი თან წაყვა მათ უცხოეთში. ჩემის აზრით, ჩვენი დელეგაციის წევრობა მან იმისთვის გამოიყენა, რომ ფრონ-ტის ხაზს გადასულიყო და გასცლოდა ბოლშევიკებს.

აუგუსტინა შოთა და სულიკო კობიძე.

მიქელ პატარიძე

მწერალ მიქელ პატარიძის დღიური, რომელსაც მკითხველს მცი-
 რეოდენი შემოყულებით ვთავაზობთ, ფრაგმენტულია, მაგრამ მაინც
 დიდი ინტერესით იყითხება. მასში გადმოცემულია 30-იანი წლე-
 ბის (1935—36 წ.წ.) დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია მწერალ-
 თა წრეში. ამასთან ერთად, ეს ჩანაწერი მ. პატარიძის ცხოვრები-
 სეული თუ შემოქმედებითი გამოცდილების ნათელ სურათსაც გვი-
 ხატავს.

კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ მაღალი მოქალაქეობრივი
 ზნეობა და კეშმარიტი პატრიოტიზმი მიქელ პატარიძის შეუბლა-
 ლავი პიროვნების მთავარი ატრიბუტი იყო.

1935 წლის 28 ოქტომბერი

მეონი 20—25 წელიწადია, რაც განზრახული მაქვს დღიურე-
 ბის წერა. 1915—16 წლებში კიდევაც დავიწყე, მაგრამ მაღალ შეე-
 წყვიტე, რადგან სამხედრო სამსახურში წამიყვანეს. ვითომ სამ-
 ხედრო სამსახურში არ შეიძლებოდა წერა. გასაკვირია, აღამიანს
 ყოველთვის უნდა თავის გამართლება, მაშინაც კი, როცა ამის სა-
 ფუძეელი არა აქვს. ქართველმა კაცმა კაცი მოჰკლა. როცა პკითხეს
 სთქვა: არ მომიჯლავს, შემომაკვდაო. ფული გაფლანგა და სთქვა:
 შემომექამაო. ალბათ, ფული თეოთონ იყო დამნაშავე. რამდენ სა-
 ინტერესო მომენტს და ისტორიული მნიშვნელობის ამბებს შევე-
 წარ! ახლა ძვირფასი იქნებოდა ჩემთვის მაშინდელი შთაბეჭდილე-
 ბების წაკითხვა, მაგრამ ერთი სტრიქონიც კი არ დამიწერია.

ძლიერ ვნანობ, ჩემ სიზარმაცეს ვლანძლავ. რადგან ჩემ საკუ-
 თარ თავს ვერ ვიმეტებ, თითქოს ეს ზარმაცობა ჩემ გარეშე იყოს
 და ჩემი სურვილების წინააღმდეგ მოქმედებდეს. ასეც არი მეონი. მაგრამ „лучше поздно, чем никогда“, დავიწყოთ, ჩავწეროთ
 თვალით ნახული და გაგონილი, თანაც წარსულიც მოვიგონოთ,
 როცა ამას სიტყვა მოიტანს. ამრიგად, ის დანაკლისიც შევავსოთ,
 რაც წარსულში მქონია, მაგრამ განა ეს შესაძლებელია? დავიწყე-
 ბის საშინელი სიბნელე ჰფარავს მრავალ ამხანაგს, მეგობარს,

მოვლენას, გრძნობას და განცდას. ყველაფერს თავისი „ბედი“ აქვს. ის რაც გადარჩია მოხვდება ამ რვეულში, მაგრამ ამ რვეულის გადარჩენაც ხომ საეგებია ორის. იქნებ ჩემი მემკვიდრე გადააგდებს მტკრიან ყუთში და როცა მოწყინდება სანავე ყუთში გადაასახლებს, ან მოულოდნელი ცეცხლი შთანხეას მას. რაც უნდა მოხდეს, ეს ჩემი საქმე არ არის. მჯერა, რომ მნახველი ხელი გადაფურცლავს მას და თავს გაირობს.

ვწერ კიდევ მიტომაც, რომ ძლიერ იშვიათად ვიპეჭდები და ამაში რასაყვირეველია, დამნაშავე ისევ ის ზარმაცობაა და იმ ტრინის დაკარგვა, რომელიც საჭიროა, რომ შენ გბეჭდონ და გყითხონ. მე საერთოდ ყოველთვის მიჭირდა სიმღერა და ჩემი ხმის სხვებთან შეხმატებილება. მერე რა რიგ მიყვარს სიმღერა და განსაკუთრებით, ქართული სიმღერა. არც თუ სოლოდ მღერა მეხერხება. ასე რომ ეს ჩემი დღიური შეიძლება არსოლეს არ იქნეს საინტერესო. მე მაინც ვწერ, თუ-გინდ მისთვის, რომ თავს ვასიამოვნო, რადგან ეს სიამოვნება ჩემ ხელთ არის, მაშინ როცა სხვა სიკეთე ასე შორს არის და ხელი კი ძლიერ დამიმოკლდა მათ მისაწვდომად. ხომ პატარა სიხარულსაც შეუძლია აზამიანს პჰოვოს ნუგეში, თუ ამის დიდი სურვილი გაქვთ.

გუშინ შემხვდა ცეკას წევრი ჯაფარიძე, რომელსაც მე ვიცნობ გან. „ახ. კომუნისტის“ რედაქტირაში მუშაობის დროიდან. მაშინ ის კომკავშირის მდივანი იყო, მგლანი. რუსთაველის პროსპექტზე მივდიოდათ. მისი საუბრიდან გამოვარკვეთ, რომ მათ არ სურთ ტორთ-შელიდს მოხსნის მიზეზები სთქვან აშკარად. მხოლოდ უნებურად წამოცდა, რომ მისი მუშაობით უკმაყოფილო იყვნენ. დარწმუნებული ვაჩ, რომ უკმაყოფილება გამოწევეულია მწერალთა შორის შექმნილი არევდარევით, ინტრიგიანობით, რასაც ხელს უწყობდა ეს უზრდელი და უხეში აფამიანი.

ვიყავი კოლაუ ნაღირაძესთან. მას ფეხი მოუტეხია ქუთაისში. ვინ გაიგებს ნამდებილ მიზეზს. კოლაუ აქამდე მიღებული არ არის მწერალთა კავშირში იმავე მალაქიას წყალობით, რადგან ვიღაცას მიუტანია ეპიგრამები და ავტორობა ნაღირაძესთვის დაუბრალებია. ესეც ახასიათებს მალაქიას.

ჩემი მიღებაც ძლიერ გაქიანურდა. პირველ სიაში მე არ ვიყავი. მხოლოდ როცა მიიღეს თ. სახოვია და სხვა მთარგმნელები, მეც შემიტანეს.

თავის დროზე კავშირში მიღების საკითხმა დიდი აღელევებაზე გადაიდო. მოიწვია და შეხლა-შემოხლა. მის შესახებ საჭირო იქნება დაწერილებით მოყოლი. ჯერ გამოვცეს კომისია: ჯავახიშვილის, შანშიაშვილის, ეულის, პ. საყვარელიძის¹, თალავაძის², ლეო ქიაჩელის შემადგენლობით.

ამ კომისიამ ჩატარა მუშაობა: ე. ი. გამორიცხა მრავალი წევრი და ჩამოართვა შეწერლის ლირსება. მრავალი ხალხი დარჩა უკამაყოფილო, მაგრამ თვით ამ კომისიის ნამოქმედარიც დაიწუნეს და ხელისხლა შეუდგნენ სიის გადასინჯვას. კომისიაში შეიყვანეს ბუხნიკაშვილა³ და პ. საყვარელიძე. ეს ბუხნიკაშვილი სწერს ე. ი. სახალხო პიესებს...

ამ კომისიამ მრავალი ხალხი გამორიცხა. გამორიცხეს პ. ინგოროვა, აბაშელი, ნადირაძე, გამსახურდია და მრავალი სხვ. მე რაღა მეოქმნდა.

მასშოვს შემხვდა აკაკი გაწერელია და მეუბნებოდა.

— ჩემი კავშირის კანდიდატად, თუ სტაჟიორად დატოვება სურათოდ არ მინდა. არც სტაჟიორობა, არც წევრობა, არაფერი მინდა, მხოლოდ შეურაცხყოფას ნუ მაყენებენო. მართლაც, ის ძლიერ აღელევბული იყო. გაწერელია ამ ხანებში მუშაობდა გრ. ორბელიანის წერილების გამოცემაზე და ფრიად საინტერესო მუშაობას ეწეოდა.

ამ კომისიის მუშაობამ კიდევ მეტი უკმაყოფილება გამოიწვია. „А судит кто“ — ამბობდნენ ალშფოთებული მხანაგები.

გუშინწინ საღამოს კონსტანტინე ჭიჭინაძემ წაიკითხა ნიბელუნგების თარგმანი. ძლიერ კარგი შაირით არის ნათარგმნი. მხოლოდ ეტყობა რუსთაველის მიბაძვა. იმიტაციაშია გადასული. მეც გამოვედი კამათში, რაც ძლიერ იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

¹ პავლე საყვარელიძე — შეწერალი (1885—1944).

² სევასტი თალავაძე — შეწერალი (188—1937).

³ გრიგოლ (გრიგოლი) ბუხნიკაშვილი — დრამატურგი (1897—1979).

შეიღმა, შანშიაშვილმა, ტ. ტაბიძემ. შემდეგ მიიღეს რეზოლუცია და მისალმება საქართველოს და ბერიას დაჯილდოვების გამო ლუნინის ორდენით.

23.III.35 წ.

დრო ისე გაგვეპარება, როგორც წყალი, რაც უფრო მოუჭერ ხელს, მით უარესია. დრო მიდის და ამას მხოლოდ ახლა ვგრძნობ. 10—15 წლის წინათ ვერ ვამჩნევდი, სრულებით ვერ ვამჩნევდი დროს. ცეხოვრობდი ისე, როგორც მცენარე. რაღაცას კი მოველოდი უკეთესს, მაგრამ იმ უკეთესისათვის არ მიბრძოლია. ის უნდა მოსულიყო, როგორც მოდის კარგი ამინდი ჩვენი ძალდატანების და ენერგიის გარეშე. მაგრამ უკეთესი არ მოვიღა, ან იქნებ კიდევაც მოვიდა და მე ვერ ვხედვ.

მოელი დღე უნიათოდ დაუდიოდი წერილმან მუშაობაში გართული. დაეცრიგე მწერლებს ორდერები ფეხსაცმლის შესაქერად.

სასალილოში ბესო უდენტი, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე, ილო მოსაშეილი, საშა ქუთათელი და ერთი ახალგაზრდა დრამატურგი საუბრობდნენ.

— ის ხალხი, რომელიც ახლა დაიღუპა, სულ პატიოს ბრალია. — ამბობდა ბესო. რასაკვირველია უკელა კეერს უკრიფდა.

— მაგ კამპანიას აკლია კარლო კალაძე: ის გრძნობს თავის დანაშაულს და მიტომ ვერ ჩნდება. — უმატებს სიმონი.

ბესო სხვათაშორის ეხება ახალ პიესებს და ამბობს, რომ არა თუ საქართველოში, რუსეთშიც არ არის კარგი პიესებით.

დრამატულ ნაწარმოებს, რომელიც ღირსებით იღვება სათანადო ღონიშე. ახლა ვერ დაწერს ჩვენი ახალგაზრდა დრამატურგი. რაღვან მათ აკლია კულტურა, სცენის ცოდნა და განათლება.

27—28. III.

მონასტერი აირია, სწორედ ჩვენ მწერალთა კვეშირზე იაქმის. ბენიტო ბუაჩიძის, კ. ლორთვიფანიძის გვლიფი სცდილობს მწერალია კაეშირის მდგვანი — დავით დამეტრაძე გაძევოს მწერალთა

კავშირიდან. ს. ეული, ლისაშეილი, თალაკვაძე და სხევბიც მხარს უჭირენ მგლი დემეტრიაძის გაძევებას. დღეს მთელი დღე მიღის პარტიული ჯგუფის თაბირი ბერისთან და ვინ იცის ეს რითი დამთვრდება. აქ გამოსავალი არ არის. რომელმა ჯგუფმა უნდა უნდა გაიმარჯვოს, რომ მწერლობამ მოიგოს? ამის თქმა ძნელია. პარტიული მწერლები პირდაპირ საშინელებაა თავისი უნიჭობით და თავისი უვიცობით...

ამ ხალხს არ შეუძლია შემოქმედება. მაგრამ დიდი სურვილი აქვს როლის თამაშის.

დღეს ყველა მოლოდინშია, თუ რას მოიტანს თათბირი...

ჩამოვიდა ყირიმიდან მიწიშეილი. ჯერ დამირეკა სახლიდან. მივედი. გამიხარდა ამ კაცის ნახევ. ინტერესებდა აქაური ამბების გაუხდა, ვეცადე შემეცვანა საქმის კურსში. საღამოს უცებ გამოჩნდა სხდომაზე, სადაც მოხსენებით გამოვიდნენ დემეტრიაძე, კლეინტი, პაოლო იაშვილი და სხვები.

გამოვიდა ბენიტო ბუაჩიძეც . გამოჩნდა პავლე საყვარელიძე, ეული, იაკინთე, რომელიც იდგილიდან იდიოტურ შენიშვნებს აძლევდა ბესო კლეინტს. ეს ხალხი მოელის რაღაცას: ისინი კვლევ მოელიან ხელისუფლების ჩიგდებას მწერალთა კავშირში. სწარმოებს ახალი ძალების შეკრება და ფარული თამაში.

რასთვის იბრძვიან? გდია გემრიელი ძვალი — ქართული მწერლობა. ამ ძვალისათვის იბრძვიან ჯგუფები, მაგრამ ამ ჯგუფებში ისეთი ხალხია, რომ მათ კაცი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეკარება თუ დაპკარვა „брезгливость“.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჭორები გრიგოლ რობაქიძის შესახებ არ გამართლდა.

ცეკო მიწიშეილის სახელშე მიღებული ყოფილა გრიგოლის ბარათი, სადაც ის ამბობს, რომ ისე კარგათ ვარ, როგორც არასოდეს. ვწერ წიგნებს და ჩემზე გერმანიაში ლაპარაკობენო. მოკითხვა, ვისაც ვახსოვარო.

არ მჭერა, რომ კარგად იყოს. სამშობლოდან გაღიცვეწილი კაცი როგორ უნდა იყოს კარგად. ყოველ შემთხვევაში, სასიამოვნოა, რომ ცოცხალია.

გუშინ მწერალთა სასახლეში ლაპარაკი არ წყდებოდა მთელი დღე. აქნაბამდი საიდუმლოდ შენახული სააშეარაოზე გამოვიდა. შეეუსწარი ბესო ეღენტის და იაკინთე ლისაშვილის კამათს.

— რა სინდისმა მოგცათ ამის დაწერა, რომ მე ხელს გაფარებდი და ვიცავდი პატიკო ქიქოძეს და მის ტროცკისტულ თეორიებს — ეუბნებოდა ბესო ეღენტი იაკინთეს.

— ოქენ ყოველთვის დასცინოდით ჩვენ ჯგუფს, თქვენ ჰქონდით მტრულ ატმოსფეროს კომუნისტი ამხანაგების ირგვლივ. — ამბობს იაკინთე.

ერთი სიტყვით, მათი საუბრიდან გამოირკვა, რომ კომუნისტი მწერლების (11 კაცს) ჯგუფს შეუტანია განცხადება, რომ გადაეყინებათ როგორც დემეტრაძე, ისე ბესო და მთელი შემაღენლობა.

ამ ჯგუფს კოვში ნაცარში ჩაუვარდა. ლავრენტი ბერიამ უკვე გამოარკვია, როგორც ეტყობა, რომ ფრაქციის თითქმის მთელი შემაღენლობა, მართალია ორი, სამი კაცის გამონაკლისისა, უნიათო, უნიჭო და გაუნათლებელი ხალხია.

უთქვამს კიდეც სანდრო ეულისათვის, შენ განა ღირსი ხარ იმისა, რომ ზიხარ „ნიანგის“ რედაქტორაში და საჭარო ბიბლიოთეკაში.

შურა დუდუჩავა გაუშევლავს. სადაც არ გაგვზავნეთ, ყველგან მოანაგვიანე საქმეო, ჯერ შენი აწეწილი მდგომარეობა მოაწესრიგე და მერე აწერე ხელი პეტიციებისათ.

მხოლოდ პეტრე სამსონიძეს! უთქვამს სრულებით სამართლიანი — „ფრაქცია თავის ღროზე წინააღმდეგი იყო პატიკო ქიქოძისა, გეუბნებოდით, არ დაგვიჭრეთ. ახლა გეუბნებით, რომ დემეტრაძე არ ვარგა და არ გვინდა, მაგრამ მაინც არ გვიჭრები და მაინც ტოვებთო“.

ამ საბუთმა თურმე იქნია თავისი გავლენა. მაგრამ როცა ბერიამ მოითხოვა დასაბუთება დემეტრაძის უფარგისობის, მაშინ ყველა მათგანმა თავის უნიჭო წიგნებზე დაიწყეს ლაპარაკი. ვერც ერთი პრინციპიალური დებულება ვერ წამოაყენეს და ამან გადასწყვიტა მათი დამარცხება...

რაც შეეხება დემეტრაძეს, მისი უკმაყოფილო დარჩენილი, რადგან ასე ცოტა მომხრები აღმოაჩნდა პარტიულ მართავთა შორის.

¹ პეტრე სამსონიძე ცეუთათელაძე — მწერალი, დრამატურგი — (1898—1946).

ნიკო მიწიშეილი ჩამოვიდა, მაგრამ მუშაობას ჯერ არ შედგო-
მია. დავით სულიაშვილს 1 ნერვები ეშლება და მუშაობაზე გული
აიყარა.

15.IV

გუშინ მთელ ქალაქს მოედვა ცნობა სიმონ ჯულელის უეცარი
სცენედილის შესახებ. ხმები სამწუხაროდ გამართლდა. დღეს კი არის
ლაპარაკი, რომ ის მოუწამლავთ. თუ ეს ამბევი გამხილდა, ისევ
დაიწყება რეპრესიები. დაიჭირეს ლევან ასათიანის მეულე...

სრულებით გამოუძიებლად დამატიმრეს ცნობილი ლიტერა-
ტორის ცოლი, მცირეწლოვან ბავშვიანი და ამრიგად, საშინელი შე-
ურაცხყოფა მიაყენეს ოჯახს.

შინიდან ისე წამოვედი, რომ პურის ფულიც კი არ დამიტოვე-
ბია. ეს უფულობა პირდაპირ გააგივებს კაცს.

20.III.

რადგან თითქმის ოთხი თვე დღიურთან არ მისაუბრია, საჭიროა
ამ ოთხი თვის ამბები მოვიგონოთ. უპირველესად ყოვლისა, უნდა
მოვიგონო ჩვენთან ჩამოსულ ბელორუს მწერლებთან ჩემი შეხ-
ვედრა.

კარგად არ მახსოვეს, როდის ჩამოვიდნენ. მგონი, მაისში მოხდა
ეს ამბავი. სამღიგნომ მე დამავალა მათი შეხვედრა, რაც ვიკისრე.
პირველად მივედი. ვავიცანი ჩამოსული ამხანაგები სისტუმრო
„ორიანტში“. ვიქირავე აეტო ინტურისტების და ვასეირნე ქალაქ-
ში. რაც შემეძლო, ავუსხენი ჩვენი წარსული და აწმყო. ვაჩვენე
ქალაქის ყველა ნაწილი თითქმის და შემდეგ კოჯრის გზატკეცილზე
ავიყვანე. მგონი მოეწონათ...

იმავე დღეს.

რა მოხდა ჩვენ ცხოვრებაში? მთავარი, რაც ეხლა აინტერესებს
ყველას ეს გრიგოლ რობაქიძეზე გავრცელებული ხმებია. რადიო-

¹ დავით სულიაშვილი — მწერალი (1884—1964).



ჭორების მიხედვით, ჩვენი ცნობილი ლექტორი, პოეტი, რომელიც შეასრულა
და დრამატურგი სადღაც გაჰქირდა. კაცი ხომ ნემისი არ არის, მაგრამ
ნემსიყით კი დაიკარგება ხოლმე. სამწუხაოროა. ქართულ ლიტერა-
ტურას დაკლდა მეტად მნიშვნელოვანი ძალა.

რობაქიძის უდიდესი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ პო-
ლიტიკაში გაერია და ემიგრანტობა არჩია სამშობლოში დაბრუნე-
ბის. გასაკეირია, რომ ასეთ პატრიოტს ასეთი არაპატრიოტული საქ-
მე მოუკიდა. ახლა მაინც ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ თვითე-
ული მოქალაქე ვალდებულია იყოს და იშრომს საქართვე-
ლოს ფარგლებში. ყველა ვინც ამ გზას არ ადგება, დაიღუპება.
იმ გარემოებას, რომ ჩვენ ბევრი რამ არ მოგვწონს, არსებითი მნიშვ-
ნელობა არა აქვს.

* * *

მაგრამ განსაკუთრებით აგვალელვა სამი პოეტის დაპატიმრე-
ბიმ. (შატბერაშვილი, ნაროუშვილი და შავეგულიძე, უკანასკნელი
კრიტიკოსია)

შატბერაშვილს წინა ღიათ შევხვდი. სრულებით არ მოველოდი
მის დაპატიმრებას და, რასაკეირებელია, აქ მარტო მის ორ ლექსში
არ უნდა იყოს საქმე. სამწუხაორდ, ეს არავინ იცის, ისე როგორც
დანამდვილებით არაფერი ვიცით რობაქიძის დალუპვის შესახებ.
„Но все тайное станет явным“ — ვნახოთ.

1.III-35 წ.

„შინ ვზივარ და ერედიას სონეტებზე ვმუშაობ. ხშირად ეჭვები
გულს მიღრღნის: იქნებ საჭიროც არ იყოს ეს მართლაც საშინელი
შრომა. რითი დაეხმარება აღმშენებლობას სონეტი „არიაზნა“? მაგრამ დაწყებული საქმის მიტოვება არ მსურს, რადგან ეს ღირსე-
ბის საქმეც არი.

დღეს „კომუნისტში“ დავით დემეტრაძე ილაშქრებს დაპატიმ-
რებული პოეტების და პლატონ ქიქოძის წინააღმდეგ.

მე ყოველთვის მაშეოთებდა ეს ხალხი, მათი დაწინაურება და
რედაქტორად დანიშვნა. ახლა არ მახარებს მათი დაჭერა, არც ერთი,
არც მეორე ლიტერატურას არაფერს სძენს, მხოლოდ ვნებს.

ვნახოთ, რა იქნება.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარე შალაქია ტოროშელიძე გა-
 ანთავისუფლეს. ეს კაცი მწერალთა კავშირში ისე უხეშად იქცეოდა,
 რომ სასოწარევეთაში ავღებდა მრავალ ამხანაგს. მისი მოშსნა
 თითქოს ყველას ესიამოვნა.

ახლა, ყველა, ვინც მის წინააღმდეგ იყო, ამ გადაყენებას თა-
 ვის თავს აწერს...“

1958 წელი...

„სამოცი წელი. დახარჯულია სიცოცხლის მარავი. მაინც ახალ-
 ვაზრდულად ეგრძნობ თავს. რად მენანება თვალების დახუჭვა და
 დაძინება? სასწაულებრივ საუკუნეს მოველი, მინდა მოვესწრო ამ
 საუკუნეს. რად დავიბადე ასე აღრე. ზეტა ცოტა დამეგვიანებია.
 არა, ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი დროის ორომტრიალში ჩემი ოფ-
 ლიც და ცრემლიც ურევია“.

პუბლიკაცია მოაშადა 6060 ვადაშაორია 8

გაბრიელ ჯაგუშანურის

გაბრიელ ჯაგუშანურის (1914—1968) უბის წიგნაცმი ჩაუწერია:
 — „ვიცი, დიდი ხნის სიცოცხლე არ მიწერია, მოვლენ მეგობრები და მოყვრები. წილებენ, თუ კი რამ დამიწერია, წილებენ და მიაძარებენ მუზეუმს...“

ხევსურეთის მდიდარმა ფოლკლორმა ასაზრდოვა გაბრიელ ჯაბუშანური. ცხოვრების დიდი სკოლა გამოატარა ხალხის წიაღში ყოფნამ. 1935 წელს უურნალში „ჩევნი თაობა“ გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსი და შემდეგ სიცოცხლის დასასრულამდე გრძელდებოდა მისი პოეზია.

არქივში დაცულია მის ხელნაწერ ლექსთა კრებულები, თარგმანები, პირადი წერილები, უბის წიგნაცები.

გთავაზობთ ზოგიერთ ჩანაწერს უბის წიგნაცებიდან:

„პოეზიის მეავსიტუვენი პოეზიის პორიზონტთა განვრცობაზე გაჰყვირიან, მაგრამ ვაჟას მუზას უმეტესწილად ფშავ-ხევსურეთის მთებს რომ შეჰქოფინებდა, დუნია ქვეყანაზე საფრენი არ დაჰქლებია. საქმე იმაშია, რას და როგორ იტყვი. მინდია იგივე ([.....] ხოლო ეთერი იგივე გრეთხენია.“

„მეუბნებიან, ვაჟამ მთების თემა ამოსწურა და მასზე წერა დადი ფშაველას შემდეგ თავხედობაა. ქართველ კლასიკოს მწერალთა უდიდესი ნაწილი ბარელები იყვნენ და ბარზე წერდნენ. ასე გამოდის, მათ ბარის თემა ამოწურეს და მასზე (ბარზე) წერაც თავხედობაა.“

„უოველმა დამწყებმა, სანამ დიდ ლიტერატურაში შევიღოდეს, წინააღმდეგობებით სავსე გზა უნდა განვლოს. ეს მარგებელიცაა, აკაებებს მომავალ შემოქმედს, ავითარებს თვითორიტიკას. ჩემი ნა-

წერები თავიდანვე რომ ხელაღებით დაებეჭდათ, მე მგონია, გავ-
ფუჭდებოდი, ნაკლებ ზრუნვის დავიწყებდი ნაწარმოების ხარისხ-
ზე, ჩვენ კი ამჟამად ძალიან გვჭირდება მაღალხარისხოვანი მხატვა-
რული წიგნი“.

„ვარგი მწერალი გატელილ მოლზე შერჩევით მოკრეფილ უვა-
ვილებს კიდევ ალამაზებს თავის სახელოსნოში (სულში), აფერა-
დებს მათ ბუნებაში არარსებული ულამაზესი ფერებით, რა თქმა
უნდა, ზომიერების დაცვით, რათა უვავილებმა თავისი პირვანდელი
ელფერი სავსებით არ დაკარგონ, რის შედეგადაც თაიგული უფ-
რო ლამაზსა და მიმზიდველ სახეს ღებულობს.

ასეთი ქმნილება უჭირნობია და მას უმთა სვლა ვერას დააკ-
ლებს. ეს არის ხელოვნების კეშმარიტი ნაწარმოები, ხალხიც ხე-
ლიხელ საგომანებლად ხდის მას“.

„რაც გინდა დიდი მწერალი იყო, ნაწარმოებს იმ მასალაზე
დაწერილს, რომელსაც ორგანულად არ განიცდი, მაინც დაეტყობა
სიცივე და ნაძალადევობა“.

„კეშმარიტი კრიტიკოსი იგივე კეშმარიტი შემოქმედია. სრული
ობიექტურობა კრიტიკოსის ძირითადი მოვალეობაა“.

„ლიტერატურის კეშმარიტი, გზა ყოველთვის რეალიზმი იყო.
უვალა დანარჩენი მიმართულება ლიტერატურაში ამ გზიდან მეტ-
ნაკლები გადახვევის გამოხატულებას წარმოადგენდა“.

„პოეზია არის ფერის, პანგისა და აზრის სინთეზი, ხოლო მისი
ობიექტი კი მთელი ხილული და უხილვე სამყარო“.

„ორგანულად განცდილი გმირი იგივე ჟეტორის სისხლი და ხორიია. ამიტომ ჩევმა წინაშე ასეთი რიგი ღვება:“

მინდია — ვაკა, პაროლი — ბაირონი, ონეგინი — პუშკინი, პეტორინი — ლერმონტოვი“.

„ახალგაზრდა მწერალს, რომელშაც, მწერლობა კარგად და-იწყო, ზედმეტი ხოტბა არ უნდა შევასხათ. ისტორიამ უთვალივი მაგალითი იცის, როცა ახალგაზრდა მწერალი დიდ იმედებს იძლეოდა, მაგრამ ლელო ვერ გაძქონდა და აღრევე ქრებოდა.“

ამავე დროს, არც იმ ახალგაზრდას უნდა ვკრათ ხელი, რომელ-მაც მწერლობა არც თუ ბრწყინვალედ დაიწყო, რადგან ლიტერა-ტურის ისტორიამ აყრეთვე უთვალივი მაგალითი იცის, როცა ახალ-გაზრდა მწერალი ნაკლებ სამედო დებიუტის შემდეგ ბოლოს პო-ულობდა თავის თავს და ჭეშმარიტი მწერალი ხდებოდა“.

„უბედური ვარ და დევნილი, მაგრამ ბოროტი მაინც არ ვაკედი, ვული ისევ ალალი დარჩა“.

„პოეტის ბედი: ცოცხალი ლამის შიმშილით მოკვდეს,
თუმც ხელნაწერთა დარჩა ტომები“.

„დავწერ: ბალადა თეთრი მთისა, სამი ტყუპი ძმისა და მათი ქვრი-ვი დედისა“.

„შენ ლილოს მიწავ, საუკუნოდ თავშეფიცულო,
დედავ, ჩემი სასოს და მზითა და უკუნით საესე,
ფიტრულო დედავ, მეც შენსკენ მოჯდივარ დღეს-ხვალე
მომეცი ძალა სიკვდილთან ვაჟკაცური შემართებისა და
დახვედრისა“.

„არა, სიკვდილი არ მინდა, განა იმიტომ, რომ სიკვდილისწინა
ტანჯვის მეშინია. არა, მზადა ვარ იობის ტანჯვა ივიტანო, ასერ

უარესიც. არა, სიკედილისა მე არ მეშინია, მაგრამ არ მინდა სიც-
ნელე, არარაობა, უმოქმედობა. მე შრომა მინდა, ტანგვა მინდა, სი-
ხარული მინდა, მოძმისოვის გარჯა მინდა.

ლექსები დამრჩება? არ კმარა ჩემთვის, რაცა ეთქვი, მინდა ყო-
ელდღე მებრძოლთა რიგებში ვიდგე, სამშობლოს, მოძმის სიცო-
ცხლეს, სიხარულს, ტანგვას ვუმღეროდე. არა, არ მინდა სიკვდილი.
გაუმარჯოს მარად სიცოცხლეს, უკვდავებას, მარად ქმედობას“.

„დაუწერ: მე შევეჩვიე სიკედილის ლოდინს, ერთ დროს აზრის და
მუზის მფლობელი, ახლა კი ლოხი და ღვინის ლოთი, ჩემს
საბოლოოს ვამზადებ ლოგინს და განვლილ დღეთა ვარ
მადლობელი“.

კუბანიკაცია მოამზადა ლალი გართა ვისა ა.

ლიტერატურის მუზეუმი დაცული უცნობი თარგმანები

მიქილ პატარიძის თარგმანები

მიქელ პატარიძის მთარგმნელობითი მოლვაშეობა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. უცხო ენების ზედმიწევნით და სრულყოფილად ცოდნამ იმთავითვე განაპირობა მის მიერ ქართულად ამეტყველებული რუს და ეკროპელ პოეტთა ნაწარმოებების პოპულარობა. მოვაკინებით, საეციალისტთა უმრავლესობა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მიქელ პატარიძეს, როგორც ნიჭიერ მთარგმნელს, „დიდ გულისხმიერებასთან ერთად ახასიათებდა მაღალი პოეტური კულტურა, დახვეწილი ლექსივისა და მხატვრული გამომსახულობითი ტექნიკის ღრმა ცოდნა“. ყოველივე ამან განაპირობა გემოვნებით შესრულებული თარგმანები.

მკონხველს ეთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

კონსტანტინე გალაონი

მიმავალი ჩრდილოები

ფხიზლობს ოცნება მიმავალი ჩრდილის ყურებით,
მიმავალ ჩრდილთა მიმქრალ დღისას (მე ძლიერ ველირსე)
კოშქზე ვიღოდი, კანკალებდნენ საფეხურები,
საფეხურები კანკალებდნენ ჩემი ფეხის ქვეშ.
რამდენად მალლა მივიწევდი, უფრო მეაფიოდ,
უფრო მეაფიოდ მე ვხედავდი შორეთის ხაზებს
და რაღაც ხმები უცებ ირგვლივ შემომატრქეიეს,
გადმოაფრქეიეს ხმები მიწის და ზეცის გზაზე.
რამდენად მალლა მივიწევდი, უფრო გაშუქდა,
უფრო გაშუქდა ჩათვლემილი მწვერვალი მთათა,
უკანასკნელი, თითქოს ნაზი სხივი მაჩუქა,
თითქოს სხივები წარმოგზავნა დაბინდულ თვალთან.

ეხედაც ჩემს ქვევით უკვე დადგა ღამე ნაყრთომი,
ღამე ნაყრთომი დადგა, მიწა ძილმა დაიპყრო.
ჩემს წინ კი ჩემთვის ელვარებდა აქ დღის მნათობი,
და დღის მნათობის წინ უფსკრული უცებ გაიპო.
გავიგვ უკვე მე მიმავალ ჩრდილის ყურებით,
მიმავალ ჩრდილის დატყვევებას თუ ვით ვეღირსე:
ზევით ვიდოდი, კანკალებდნენ საფეხურები,
საფეხურები კანკალებდნენ ჩემი ფეხის ქვეშ.

თოვლის ფილი

თეორი და ბუმბულა
თოვლის ნაფერთალი
როგორი სუფთაა,
როგორი ფერმყრთალი.
გზები სახიფათო
სწრაფად გაიარა,
მიწისკენ იჩქარის,
ზეცისკენ კი არა.
დასტოვა მზიური,
უსაჩლერო ლაფვარდი
და უცხო მხარეში
ჩამოდის ნავარდით.
ელვარე სხივებში
ის სრიალს ეცადა,
და შემდნარ ფილქებში
დაცულა თეორიდა.
ქროლია ქარებზე
კანკალებს, ნანაობს
და მზრუნველ მკლავებზე
ნებივრად ქანაობს,
მისი საქანელით
ნუგეშცემულია,
მისი ქარტეხილით
გატაცებულია.

და ბოლოს გაიარა
 ეს გზები მზის დარი,
 მიწას მიეკარა
 ვარსკვლავთ-კრისტალი.
 აგდია ბუმბულა
 თოვლის ნაფერთალი,
 როგორი სუფთაა,
 როგორი ფერმქრთალი.

ვალენი ბრიუსოვი

მოვა ბოლო დღე გაცამტვერების
 და ქვეყნის ძალა დაიფიტება,
 ხალხთ ნატამალი წავა ველებით,
 ცხუნე მზის სხივი საღაც იქნება.
 ჩვენი კოშკები, ქვეყნის ბურჯები
 განკითხვის დღეებს ვერ გადურჩებათ,
 უდაბნო მეფობს ყველგან ურგები
 და ორთქლმავალი რონზე ყუჩდება.
 სურონ დაჩრდილავს ხუროთა აზრებს,
 ბალახთ ხალიჩა ქვებს დაეხვევა,
 მხოლოდ უნასი ქალაქში ბაზრობს,
 მეფის დარბაზებს ლომი ეწვევა.
 მაგრამ საშინელ ცარიელ დროშიც
 კაცი გაჩნდება აქ უცნაური,
 წყვდიაღს გაპფანტავს სინათლის დროშით,
 შენობის სიზმრებს არლვევს ხმაური,
 ხავსიან ქუჩით ესმით ნადირებს
 კაცის მსელე[ლ]ობა ფეხის აკრეფით,
 კარებს ჭრიალით ის აატირებს,
 შუქჩე გაჩნდება აქ ქანდაკები.
 ნაირ წარწერებს აამეტყველებს.
 წარსულის სახეს თანდათან იგნებს.
 წიგნართა ნახავს იდუმალ ხვრელებს
 და საიდუმლოს წაართმევს წიგნებს,

და დღე და ღამე შრომაა ბევრი:
 ითვისებს მტკერში დამალულ ცნებებს,
 დაუსრულებელ ღმერთზე ოცნებებს
 და სიხალისეს ქებულს სიმღერით.
 ძმავ, სასურველო, უცხოს დროების,
 შენ გტანჯავს, გიყვარს ხომ ჩვენი ბოლო,
 მაშ, მომისმინე ეს სტრიქონები:
 ვიყავ, ვიტანჯე, წარვედ, ვით ბოლი.

შარლ ბოდლეირი

სპლენი

ტყვიის თაღებით შემოგვხუთავს ზეცა საყანი,
 ნისლთა ტვირთობით გაგვიწყდება, ლამის ილაჭი,
 დღის სიცხადეში ძლიერ მოყონავს ყველა საგანი.
 შურის ფარდები თითქოს იყოს ქვეყნის დარაჭი.

ქვეყნის მაგიერ მოგვაყუთვნეს ჩვენ აეალდამა,
 როგორც ღამურა გახლართული ღამის ბარეში,
 ისე იმედი დაამწყვდია ბნელმა კალთამა
 და დამპალ კედლებს ეხეთქება სიმწუხარეში.
 ხშირ მოაჭირად გარს ევლება ტუსალთ გალიას
 ელამი წვიმა, და დარაჭობს სევდების მონებს,
 ქსოვილმა ხლართმა ა! გონება როგორ არია,
 ობობა კუთხით, რომ დაპჰიდებს ამ საშიშ კონებს.
 კვნესა გაისმის უეცარი თითბრის ზარების,
 თითქოს შეპყვირა ვინმემ ზეცას აქ განცხადებით,
 როგორაც ჩრდილი, უბინადრო და უკარება,
 ქვეყნის გოდება ღმერთს შესჩივლა მან დაქადებით
 პა, უსიმღეროდ იზლაშნება დროგების წყობა.
 სულში — იმედი სტირის, ვაგლახ ცრემლებაშლილი
 სევდის — დედოფლის ზეიმობა მაშინ იწყება
 და მოხრილ ცხელარს დაპჰირიალებს დროშა გაშლილი

აღმოჩებობის ციდება

მალე სულარი ყინულისა მკაცრად დაგვფისავს,
 ცხრენ ზაფხულის ჩაუქრება სიცხოვლე მზესაც,
 კუბოს ყურიან გამუდმებით აქ თითქოს მიწას,
 ისევ ცივ ქვებზე გადაყრილი ხმაურობს შეშა.
 ჩამისახლდება ისევ გულში მკაცრი ზამთარი,
 მასთან კანკალი, აბეზარი შრომა და შური,
 და გული ჩემი, შეცივნებულ ბირთვად გამხდარი
 ვით ჩრდილოეთის მზეს ეხვევა ყინვების ბური.
 შეშის ხმაური ისევ და ისევ, სულის დამწველი,
 თითქოს შენდება საწამებლად აქ ეშაფოტი,
 ჩემი გონება დაბარბაცდა, ვით ძველი კოშეი
 და დაცვიდება „კედელმრღვევით“, როგორც ნაფოტი.
 ერთფეროვანი ხმაურობა, მძიმე, სიშმრული,
 უცნობის კუბოს ფერთებენ უცხო დურგლები.
 ვის ასვენებენ შემოდგომის დღით, შესუდრულით?
 ზაფხულის ცხედარს, შეცივნებულს ცივი ლრუბლებით!

მორის როლითა

პოგვაა

ეს მაკადამი არის ბოლო თავშესაფარი,
 აქ ჩემი სული ტანჯვით დაბერდა.
 სად გაეთხარა ნეტავ ჩემს ბედს ადრე საფლავი?!

როგორც კლევრიტი, მე შიმშილი უյან დამდევდა.
 ო, ბაბილონო, შენი ბუნავთ ლხინის ყარსკვლავი
 ვერ ამატოვებს; ქალა თავის მეტად დასევდდა,
 ტკუილ-შიმშილით სული არის განაძიგრავი
 და თითქოს მატლებს, გათეთჩებულს, ვიღაც მასევდა.
 ვარ მე აჩრდილი, შეცივნული, შმორე ნაგავში,
 ახ! ბედმა მომცა სანატრელმა ასეთი წილი.
 ჩემს სახეს უფრთხის, დამიჭერეთ, ხროვა ნაგაზის.
 ვარ მე ბებერი, მაწანწალა, მეხვევა ტილი,
 მაგრამ დაცინვით ნუ შემხედავთ ნურეინ, ტყვილად,
 მე არავისთან არ მივლია ჩემს

დღეში წყვილად.

ეი აღთქმულ ტყეში, იქ მიყვარდა მე მოსვენება;
 ცამეტ სანთურით აქ ჰქონდოდა შავი უკუნი.
 მათი ციმციმით, მოწყენილით, ვით გასვენება
 მტკურში წარსული, სასწაული ჩინდა საუკუნის!
 და საიდუმლოს აღელვებამ სცხრილა გონება
 თითქოს სამყაროს დაეძინა; დაცარიელდა,
 ცამეტი გვამი, სავარძელში ზის მოჩვენებით,
 ცამეტმა სახემ კედლებიდან მათვალიერა.
 მახსოვს, იქიდან დაეინახე ფანჯრების ყდაში
 ქაჭის გაფრენა, უცნაური, ვარსკვლოვან ცაში
 იტანჯებოდა ის ამიო ძალდატანებით.
 და შექრთა სული ამ ტყეების ისრით ნაკრავი
 დაპერა საათმა აქ ცამეტჯერ რკინის საერავით,
 თითქოს მუქარით კედლებიდან მოდის დანებით.

პოლ ვარდენი

სინთიშვილის გასირინგა

დაისი, თრთოლა, უკანასკნელ სხივთ მოფერებით
 ქარის ალერსით ცახცახებდნენ ყვავილთ ღერები,
 თეთრი ლილია დაღონებით [რომ] თელემდა წყნარი,
 გაფიტორებული ციმციმებდა იქ სარკე წყალის.

სასოწარკვეთა გულის მწარე, მარტო ტირილი,
 ვეხეტებოდი, გზას მიკრავდა ხლართი ტირიფის,
 იქ, თითქოს ჩუმი შრიალებდა ლანდის ხმაური,
 დგებოდა გზაზე უიმედო და უცნაური.
 და მე ვსტიროდი... ჩემთან ერთად ქარიც კვნესოდა,
 მდინარის ჭავლებს ჩემი გმინეა შორით

ესმოდა.

იქ დავდიოდი დავიწყებულ მე მოჩვენებად,
 და ნისლის ბადე მეხვეოდა ვით გასვენება.

ბროლის საჩვეში გაუუღიმებ უკანასკნელად
 ჩემს მოჩვენებას აბორგებულს სამარის კართან.
 აქ აღარავინ მენანება მეგობრის გარდა,
 ძვირფასი ხელი რომ არ მომცა ბოროტს დამხსნელად.
 ო! ჩემი სახე მოყვარული და დატანჭული
 ბროლის კუბოდან მიალერსებს და შემიცოდებს,
 ეს საუბარი ორეულთან, მარ, რომ იცოდე,
 შენ შეგხვდებოდა ჩემ დამცველად ბასრი ხანგალი.
 ახლა არ მცდება საწამებლად ფანდები მკაცრი,
 მოღის აჩრდილი, საშინელი უდაბნოს ვველი,
 მე თითქოს ვიყო, მისი ბუდე და მისი ხვრელი.
 ვერ მოვიცილე შებორკილმა მე ბედის ბაწრით.
 უკანასკნელად რაღაც ლოცვებს ვლულულებ, ვროშავ,
 და რევოლუციით ისევ აჩრდილს შევეგებები:
 ჰა, წასასვლელად მხად არიან ყველა გემები:
 შავი ფრიალებს აჩქარებით ანძაზე დროშა.

პრტურ რემბო

გურიაში (თავისებალი თარიშანი)

სალამოს სივრცემ ფერი იცვალა,
 მინდვრებში გავლა გულს ესიამა,
 ბალახმა ფეხი რომ დამიცვარა
 და გააგრილა შუბლი ნიაემა.
 არც საუბარი და აღარც ფიქრი,
 მომიალერსოს ბუნების კალთამ,
 გადავიკარგო ამ მუების იქით
 და ბუნებაში ვიყო, ვით ქალთან.

ადამ მიცვავისი

დანაირი

ის ოქროს ხანა სად წავიდა ან ჩამ დამალა?
 როს ჭრელი კაბით და ფერადი თაიგულებით
 ვკრეფილით თქვენს ლიმილს და ღნებოდა ასულთ
გულები,
 როს ფრთაფარფატა მტრედს ვგზაუნილია თქვენს
შუამავლად.
 დრო გაიაფდა, თქვენი ფასი მეტად ამალლდა:
 — გავეცი იქრო, მოითხოვეს ლექსი ულევი,
 გული მივეცი — ქორწინების მთხოვეს უღელი.
 ვისაც ვუმლერდი, მან ქონების თხოვნით დამლალა
 და ჩემს საჩუქრებს, ლექსებს და გულს ცრემლებად
დამდნარს
 უკლებლივ ნოქავდა უმაძლრობა თქვენი,
უძირო.
 ეს გული, წინათ ხელგაშლილი, დღეს ძუნწი
გახდა.
 და თუმცა დღესაც ხშირად ვეტრფი და ვარ
უძილო,
 დანიილებო, საჩუქარი, ჩანგი წკრიალა,
 დღეს უველაფერი გავიმეტე, გული კი არა.

გამრივლ ჯაპუშანურის თარგმანი

გამრივლ ჯაპუშანური, როგორც მთარგმნელი, უცნობია სახო-
 გადოებისათვის. მისმა ოქტივმა კი მრავალი კარგი თარგმანი შემოგ-
 ვინახა. როგორც „მოგონებათა ფურცლებში“ ვკითხულობთ, პოეტ-
 მა სკოლის შერჩედანვე კარგი ლიტერატურული სკოლა ენველო,
 ღიდ ყურადღებას უთმობდა ენების შესწავლას. მარტო იმ იეტორ-
 თა დასახელებაც კი, რომელთაც გ. ჯაპუშანური თარგმნილა, მის
 მართლაცდა დაზვეწილ გემოვნებაზე მეტყველებს.

ვრცელია გ. ჯაპუშანურის მიერ თარგმნილ პოეტთ სია. ესენი
 არიან: გ. არპინო, ა. ახმატოვა, ე. ბაგრივევი, ა. ბალმონტი, ს. ბიტო-
 ვოი, ალ. ბლოკი, ვ. ბრიუსოვი, ივ. ბუნინი, ნ. გუმილივი. ს. ესე-
 ნინი, ვ. ვერლენი, რ. თავორი, თ. კოლინევი, ვ. ლაზარევი, მ. ლერ-
 მონტოვი, მ. ლუკონინი, ბ. პასტერნაკი, ალ. პროკოფიევი,
 ალ. პუშკინი, თ. სოლუგუბი, ალ. სურკოვი, ა. ფერი, უ. შექსპირი,
 ჰ. ჰაინ.

რა თქმა უნდა, გ. ჯაპუშანურის ყველა თარგმანი ვერ გამოიჩინ-
 და ოსტატობით, მაგრამ გარკვეული ნაწილი პასუხობს მხატვრული
 თარგმანის დღევანდელ მოთხოვნებს. თითქმის ყოველ მათგანში შე-
 ნარჩუნებულია დედნის აზრი და ფორმა. მთარგმნელი ოსტატუ-
 რად თარგმნის იდიომატურ გამოთქმებს, შემოაქვს ხევსურული და
 ძველი ქართული სიტყვები, როდესაც ისინი უფრო ზუსტად გად-
 მოსცემენ დედნისეულ სიტყვასა თუ გამოთქმას.

აზრის ზუსტად გადმოცემის მიზნით, გ. ჯაპუშანური ზოგჯერ
 სიტყვასიტყვით მიჰყვება ტექსტის დედანს. რის შედეგადაც ქმნის
 ქართული ენისათვის არაბუნებრივ სინტაქსურ წყობასა და რით-
 მებს, მაგრამ უფრო ხშირად მის თარგმანებში არ არის დარღვეული
 ქართული ენის ბუნება და მკითხველზე სასურველ ემოციურ გავ-
 ლენას ახდენს.

ამჟამად გთავაზობთ რამდენიმე ლექსის გ. ჯაპუშანურისეულ
 თარგმანს.

ალექსანდრე პუშკინი

ლ ۱۶ დ ۰

ო, განვედ ჩემგან, საყვარელო ასულის ლანდო,
 ჩემს დაღლილ მზერას აღარ ძალუძა შენი ატანა;
 რატომ გწადია დარღის ბაღე კვლავ დამიბლანდო,
 ო, განვედ ჩემგან, საყვარელო ასულის ლანდო,
 მე აღარ ძალმის ძველებურად შენზე ვიდარდო,
 რაღ დამხარხარებ, ვით დემონი ანდა სატანა:
 ო, განვედ ჩემგან, საყვარელო ასულის ლანდო,
 ჩემს დაღლილ მზერას აღარ ძალუძა შენი ატანა...

მიხეილ ლერმონთოვი

ვ ۲ ۰

ზამთრის მზე არის ლამაზი, ამო,
 ყომრალ ღრუბლებში მოხეტიალე,
 ოდეს თეთრ თოვლზე უქმად, ამაოდ,
 მისი ძალსუსტი შუქი იალებს.
 სწორედ ასევე ჩემს წინ ბრწყინდება
 შენი ხატება, ტურფა ასულო,
 მაგრამ ეგ მზერა, ბედს რომ მპირდება
 განა შეიძლებს აღმინთოს სული?!

კონსტანტინე გალაონი

* *

მისმინე, ღმერთო,
 მე ვტირი და დარღით ვწრიალებ,
 მიწუხრის ბინდში შენ გეაჯები...

რისთვის მიბოძე სული ესე — არმიშიერი, —
თუ მაინც მიმაჯავებდი??!..
დიდი ხარ, ღმერთო,
მიწაც შენი დამლუპავს უხმოდ —
მუნჯია იგიც, ვით ყველა დიდი...
და წელთა სკაში რჩება ფუჭად და უპასუხოდ
ხმა ჩემი მოთქმის: „ — რისთვის?!

ო, რისთვის....“

ვალერი გრიშაშვილი

ახალგაზრდა პოეტის

ფერმერთალო ყმაო, მგზნებარევ მზერით
სამს ალთქმას გაძლევ და აი ერთი —
მიღებ რჩევა: აწყოს ერიდე, —
მყობადი არის — არე პოეტის.
მეორე: არვის არ თანაუგრძნო,
გიყვარდეს თავი უსასლვრო ვნებით,
აი მესამეც: ეყმე უმიზნოდ —
მხოლოდ და მხოლოდ შენ ხელოვნებას.
ფერმერთალო ყმაო, კრძალულო მზერით,
თუ შენ მიიღებ ამ ალთქმას ყოველს,
ძლეულ მონასპად მე დავეცემი —
რწმენით, რომ ქვეყნად პოეტსა ვტოვებ.

თავდორე ცოლუგუაბი

*
* *

ჩეენ სიჩუმითაც ვაუწყებთ ერთურთს,
ვეტყვით ფიქრიან თვალთა ციალით, —
რომ მოვეახლეთ ალთქმულ წრეს უკვე,
საღაც ალინთო ჩეენი ტრფიალი.

იდუმალ ხაზთან შევყოვნდით ორნი
 და არ კუფრთხოდით სიცვლილს სრულებით;
 იხლართებოდნენ თთები თრთოლვით
 და უტყვეი ურეით გვენოო გულები.

* * *

ჰა, სიტყვა ლვთისგან მწვედ დაწყველილი —
 და ცათა მიერ უარყოფილი:
 — არასოდეს,
 ნუ იტყვი ამა სიტყვასა კრულსა
 იგი წვავს ტუჩებს,
 ვით ნალვერდალი
 გეენის ცეცხლით ალმოდებული.

სირბები მარინი

* * *

ეს არც ხშირ ტევრებს დაეცნენ ქარნი,
 არც ფოთოლუენა აყვითლებს ფოთლებს, —
 ეს — სილურგიდან უხილავ კარვის
 ვარსკვლავთ ფსალმუნი იღვრება სწორად.

აი, მე ვხედავ: მოცისფრო კაბით,
 ფარფატა ფრთებზე მჩატე ლრუბლისა,
 მოდის ძვირფასი და ასე კარგი, —
 წმიდა ძით ხელში, — დედა უფლისა.

მას ქვეყნისათვის შემოაქეს ნაშად.
 ალმდგარი ქრისტეს ხელახლა ჭვარცმა;
 „— იცხოვრე შვილო, უვანოდ ასე
 და მერე შეხედი რიცრაფის ცახცახს“.

გამოვლილ გზაზე ურეით ენებული,
 რომ იქნებ ვინე გლახაკში ქრისტე
 შევიცნო, — ღვთისგან მირონცხებული, —
 ხელში ყავარჯინით ბილიქს რომ მისდევს.

გვერდს გავუარო, იქნება კაცმა
 და ვერ შევნიშნო, მას უამსა, იქნებ;
 ფრთა ქერუბინის — ტოტებში ნაძვთა
 და ხის ჭირკვთან კი — მშიერი ქრისტე.

ანა ახმათოვა

* * *

თავს შემოგაელებ ქველობის მჩენი,
 ამ მწველი ტრფობით შენ ნუ შეცები;
 და შეგობრობის და ლოცვად ჩვენის
 წმინდანებს ყველას შევეხვეწები...

მე შენთვის დავთმე პირველმყოფობა,
 ო, მაგიერი რა მსურდეს, აბა,
 და ამიტომაც ძონძებს ობლობის
 ვატარებ, როგორც ნიშნობის კაბას.

* * *

ქარყევნის შემდეგ, თბილად გატრუნვა
 მყუდრო ბუხართან მიყვარდა რული;
 აქ, ამ დროს, ამ გულს ვერ ვუპატრონე
 და უცაბედად მომპარეს გული.

ახალწლის უხვი ხშირდება ლხინი,
 იანვრის ვარდთა იცვარვის ლერი,
 ხოლო ჩემს მკერდში მიყუჩდა უინით
 ჭრიჭინობლების თრთოლვა და მღერა...

ახ, ქურდის პოვნა არ არის ძნელი:
 მე იგი მშერით ვიცანი უკვე;
 ერთი რამ არის აქ საშინელი:
 ის ნადავლს მალე მოიტანს უკან...

ცოცხალი წარსული

დიალოგები კოლაუ ნაღირავასთან და ნინო თარიშვილთან

„ენდეო წინაპართა აჩრდილებს“

კოლაუ ნაღირაძე

1988 წ. 7 ივლისი

ჩვენი დიალოგი რამდენიმე ფრაზის შემდეგ ასე გაგრძელდა:
 — ბატონი კოლაუ, არსებობს ერთი ოფიციალური წერილი, სა-
 ლაც გრიგოლ რობაქიძე მოხსენიებულია, როგორც ფაშისტი და
 ნაცისტი. ხელს აწერენ ქართველი მწერლები. მათ შორის „ცი-
 ფერყანწელებიც“.

— იქ ჩემი ხელის მოწერა არ იქნება.

— დიახ, არ არის. ძალიან მტკიცნეულია, მაგრამ ამ სიაში ჩვენ-
 თვის სათაყვანო სახელებია. გამეორებაც მიჰირს... შეიძლება მათ
 იფიქრეს, გრიგოლ რობაქიძე ემიგრაციაშია და ამ ვითომ „ფორ-
 მალური აქტით“ მაინც არაფერი დაუშედებათ...

— არავითარ შემთხვევაში, არ მესმის ასეთი მსჯელობა. არც
 მესმოდა არასლროს. თქვენ ჩემთან ათი წლის წინათაც ყოფილ-
 ხართ, თხუთმეტი წლის წინათაც და ხედავდით, სამუშაო მაგიდას-
 თან ყოველთვის მეყიდა გრიგოლის სურათი. მირჩევდნენ კიდევაც: ჩამოსხენიო. არასოდეს მიღალატია მისი უსპეტაკესი სახელის-
 თვის, მისი ავტორიცტეტისთვის, პიროვნული ხიბლისთვის...

გრიგოლ რობაქიძე მოგვევლინა, როგორც დიდი ესთეტი და
 განმანათლებელი. მისი შეგირდები ვიყავით ყველა...

— როგორ ფიქრობთ, ალბათ სასურველი არ იქნება ყვე-
 ლა იმ სახელის გამომზეურება, ვინც ხელს აწერს ამ დოკუმენტს...

— მიჰირს ამაზე პასუხის გაცემა...



— და საერთოდ, არც ის იქნება სასურველი, რომ უკლებულებელი ყველაფერი გაეიხსენოთ, რაც იყო: დასმენები, მედროვეთა ცოდნები.. და კიდევ, ხომ არსებობს დიდი და პატარა ცოდვანი...

— შეიძლება, მაგრამ მე მაინც მაქსიმალისტი გახლვართ. არც ერთი ნაბიჯი არ გადამიდგამს ღალატისათვის. ამიტომ არ მეგულება აღამიანი, რომ ჩელის გამოწოდება სირცეების ჩათვალის...

გეთანხმებით, მძიმე დრო იყო. კაენის ცოდვა ტრიალებდა. ვარ მოწმე, როგორ ავალებდნენ სკოლებში მასწავლებლები ბავშვებს, რომ საკუთარი მშობლებისათვის ეჭაშუშათ. რაღაც „პროგრესული იდეალების“ სამსახურისათვის ბავშვებს მასწავლებლისათვის უნდა ეამბნა: რაზე ლაპარაკობდნენ მათი მშობლები და სტუმრები, პერნიდათ თუ არა სახლში ჯერები და ხატები, სააღდგომოდ ლებავლნენ თუ არა კვერცხებს...

ეს იყო მასიური შიშის და ფსიქოზის ხანა. ძალიან ცოტამ გაუძლო ამ დროს.

— ერთი განმაურებული ფაქტი მინდა მოგაგონოთ: პაოლო იაშვილის დაკრძალვის ცერემონია. მოგეხსენებათ, პაოლო იაშვილის ოვითმკელელობა პროვოკაციულ აქტად შერაცხეს...

— დიახ, ასე იყო. ბერიამ გამოაცხადა, რომ არავის პერნდა იაშვილის დაკრძალვაზე დასწრების უფლება, გარდა ოჯახის წევრებისა. მაინც წავედი. მომიახლოედა მწერალთა კავშირის „ჩეკესტი“ ქობულოვი.

— „თქვენ სიაში ხართ?“ — მეკითხება.

— „სია რად მინდა, მეგობარს ვასაფლავებ-მეთქი!“

კივად და ავისმომასწავებლად გაბრუნდა.

ასე იყო: ოჯახის წევრების გარდა, ჩემი პაოლოს სამგლოვიარო პროცესის მარტო მე მიყვებოდი... ჩემი პაოლო... ნეტა, რა მამყოფებს ამდენ ხანს ცოცხალს... ყველა მეგობარი შემომეცალა... ხანდახან ვოკნებობ: დამეკარგოს მეტსიერება... მეჩვენება, რაღაც გაურკვევლ დროში ვცხოვრობ. ყველამ დამტოვა, გარდა მოგონებებისა....

ჩემი თვალით ვნახე ძალიან ბევრი აიმ... მაგალითად, 1924 წელს ვაგონში ამოხოცილი პატრიოტები... სავსე, ვაგონი... ნეტავ, დავკრგო მეხსიერება...

პაოლოს დაკრძალვაზე გიამბობდით: ლრუბლიანი დღვ იყო.

მიცვებოდი ცხედარს და თქვენ წარმოიგინეთ, რაღაც უცნაურ სიჩ-
ყარეს ვკრძნობდი...

იგივე ქობულოვისგან გავიგე მერე:

თავად ბერიას საოცრად გაპკვირვებია ეს ამბავი და უთქვაშს:
იაშვილს ერთადერთი მეგობარი ჰყოლია...

შემდეგ ქაურობას სასწრაფოდ გავიცალი. როგორც მიზჩიეს,
ქუთაისის ერთ-ერთ მთიან სოფელში გავიხიხნე და იქ ვცხოვრობ-
დი დიდხანს.

ახლა? ახლა 96 წლის ვარ. რიღასი უნდა მეშინოდეს? „იმათ-
თვის“ არაფერი არასდროს მითხოვია და არც მიმიღია, რა თქმა
უნდა...

... ხანდახან შემოივლის ვინმე და ვსაუბრობთ... ახლანდელი
ზოგიერთი მწყერლის დიდი მაღლობელი ვარ... ჯანსულ ჩარკვიანშა
შეიიღი მომიწყო სამსახურში... ისე უანგაროდ, დაუყვედრებლად,
როგორც არაფერში გამოსადექ, უკვე მიმავალ კაცს — კოლაუ
ნა-
დირაძეს...

თქვენთან ისევ გიორგი ნატროშვილია დირექტორი?

— არა, ბატონო კოლაუ, ნატროშვილის ნაცვლად ჩევაზ თვა-
რაძე მოიყვანეს და ისიც უკვე წავიდა.

— ააა... (მცირე პაუზის შემდეგ) გიორგის ლიტერატურული
ცხოვრების გზაზე ჰქონდა შეცდომები, მაგრამ უაღრესად განათ-
ლებული პიროვნება გახლდათ, ენციკლოპედიური ცოდნის პატრო-
ნი. ახლა ვინ არის თქვენი დირექტორი, თვარაძე?

— არა, ბატონო კოლაუ, როგორც მოგახსენეთ თვარაძეც წავი-
და და გურჯერობით ვართ უდირექტოროდ.

— თქვენ ახლა წარსულზე შეყვარებული და მცოდნე პიროვნე-
ბა გვირდებათ. ახლა, როგორც არასდროს, ისეთი პატრონობა უნდა
წარსულს...

ერთი მითხარით, ახალგაზრდებს, გწამთ ამ ახალი დემოკრატი-
ის? გერჯერობით Пустой звон... წინაპართა აჩრდილებს დაუჭე-
რეთ, გირჩევთ. მათ ენდეთ ბოლომდე.

აი, აკაკის სურათი. აი, ეს კედელზე რომ მიყიდია, ხედავთ, რა
დიდებულია! აკაკი გახლდათ მოარული პარნასელი, პოეტი — ამ
სიტყვის უმაღლესი გაგებით...

მახსოვს, ქუთაისში აკაკის იუბილე გადაიხადეს.

ერთი ეტლით მიჰყაედათ, ყვავილებით შემცული ეტლების გადაცემასთან ზღვა ხალხი მიჰყვებოდა ფეხით.

რამდენიმე წლის წინ კი იგივე ქუთაისში ერთ თანამედროვე პოეტს გადაუხადეს იუბილე.

არ გაინტერესებთ, რამდენი ეტლი მიჰყვებოდა?

ოცდაათი! ასე ვიცით ქართველებმა ყველაფრის გაუფასურება... საშველი არ არის და არც იქნება მგონია...

შემდეგ ბატონშა კოლაუმ უჩრიდან წიგნი „პოეტის ათასი სტრიქონი“ ამოილო და თავის ავტოგრაფზე გადამალა...

შერე ხალნაშერებსა და წიგნებში გამნეული ფოტოები გვიჩვენა... ისევ გრიგოლ რობაქიძე, ისევ პაოლო, ტიციანი, სერგო კლდიაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი...

„მიხეიო შერეტელს რაღას ერჩოდნენო“ — ჩაილაპარავა და ბოლოს უკვე მერამდენებერ გამეორა თავისი ზნეობრივი ცხოვრებისთვის თითქოს ზუსტად მორგებული ფორმულა, ო. მანდელშტამის სტრიქონები: « Я не отрекаюсь не от живых и не от мертвых».

1988 წ. 7 ივნისი

* * *

„ოვალი მივაწყდე შორეულ ლოდინს“...

ნინო თარიშვილი

— ქალბატონო ნინო, ამ ყუთებში სულ თქვენი ხელნაშერებია?

— აქაც და სხვაგანაც. გარეთ, ჩულანშიც მიწყვია... ლექსებია, ჩინაშერებია, ჩემი ლექციების კონსპექტებია უცხოური ლიტერატურის შესახებ... წერილებიცა სადღაც... მინდა ყველაფერს თავი მოუყარო, მაგრამ განწყობა არა მაქვს. აი, ეს გერმანული ლექსიც უნდა გაღმოვაქართულო. დიდი ხანია შემიკვეთეს, მაგრამ აღარ შემიძლია... იმან, რაც მოხდა, ორი თვის წინ, სამუდამო ტრამეით დამაავადა. ალბათ ვეღარასდროს განვიკურნები...

— 9 აპრილს გულისხმობთ?

— აა თქმა უნდა, სხვა აღარაფერი მაღელვებს. რელიეფის ავით ვინახავ ყველა გაზეთს, რაშიც ამაზე წერია რამე... ღმერთო ჩემო,

რა მოხდა და რატომ? გამუღმებით ამაზე ვფიქრობ... როგორ კი ლიბდება ადამიანი მხეცად?

ესილ ბარნოეს ოჯახში მითხრეს ერთხელ: ადამიანთა მანკი-ერბანი რჩების და ჩევოლუციების ბრალიათ.

ადამიანი სულიერად კვდება მაშინ, როცა შეეჩევაო სისხლს...

ეს ნათევამი მეორეჯერ გვაცნობიერე, როცა უნივერსიტეტში ფრანგული ლიტერატურის ციკლს კვითხულობდი... კერძოდ, ალ-ფერდ და ვინის და ალფერდ დე მიუსეს შემოქმედების კვლევისას, ფრანგი კრიტიკოსების ნაშრომებსაც გავეცანი. ისინი წერდნენ, რომ ამ ავტორთა ნაწილობრივ შემთხვევით არ არის თვითმკვლე-ლობის ან სხვათა მოყვლის კულტი. ნაწილობრით ფინანსებსაც ყოველთვის მკვლელობასთან მივყავართ. კრიტიკოსები ასაბუთებდნენ, რომ ეს ყოველივე რევოლუციის შემფლომი პერიოდის ბრალია, რადგან როდესაც საფრანგეთმა ტერორის ეპოქა გამოიარა, სული-ერი წყობა გარკვეულად შეეცვალა: სული და გული მიაჩინა მკვლე-ლობას, სისხლის ღვრის, უხეში ძალის პრიმატს. გაიხსენეთ მარა-ტის და რობერსერის ხოცაულებრივი. რასაც არ უნდა ემსახურე-ბოდეს სისხლიანი რევოლუცია, ეს არის უხეში ძალა, რომელსაც ადამიანები გადაგვარებისაც მიჰყავს.

იყო დრო, ჩევნში, ადამიანებს კომეაშირში ეპატიებოდნენ და ამისათვის ჭილდოდ აძლევდნენ მაუზერს. ასე დაემყნო ერთმა-ნეთს იდეოლოგია და იარაღი...

გახსოვთ ალბათ, ძეელი ბერძნები მმბობდნენ: სახელმწიფო ფი-ლოსოფოსებმა და პორტებმა უნდა მართონო...

— ეს ალბათ, ქალბატონო, ნინო, სწორი და ნათელი აზრის პრიორიტეტს გულისხმობდა, ხოლო რაც შეეხება ფილოსოფოსებს, დროთა განმავლობაში, ნიცშეს და მარქსის ზოგიერთმა ინტერპრე-ტატორმა გარკვეულად დაგვაშრობა პლატონის იდეალს, რომ სა-ხელმწიფოს ფილოსოფოსები უნდა მართავდნენ. მათ ხომ ფილო-სოფია საკუთარი ტირანიის სახელმძღვანელოდ გამოიყენეს.

— ეს ცუდმა ინტერპრეტატორებმა, თორემ თუნდაც ნიცშეს ფილოსოფიას, მრავალი ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვა-ვებული იდეოლოგია თავისად მიიჩნევდა...

ივილოთ ნაპოლეონ ბონაპარტე. იგი ზოგისთვის დამპყრობელია, ხოლო საფრანგეთისათვის ეროვნული სიმბოგი. ბონაპარტეს სახელი საფრანგეთთან ასოცირდება.

— საფრანგეთში რომელ წლებში სწავლობდით?

— არასოდეს. საერთოდ უცხოეთის არცერთ ქვეყანაში არ ვარ ნამყოფი. მე ვსწავლობდი თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებელში, ჩეტიძის ქუჩაზე. განსაკუთრებული პედანტიზმით გვასწავლიდნენ რუსეთის ისტორიას. რუსეთის ისტორიის მასწავლებელი იყო ბოლშევიკი ბისტროვი, როგორც მახსოვს, გამუდმებით ასეთ სტრიკონებს გვაზეპირებინებდა:

«Земля наша велика и обильна,
Но порядка в ней нет...»

საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურა საერთოდ არ იყითხებოდა. ივანე გომართელი, როდესაც სახელმწიფო სათათბიროს წევრი იყო, დიდი მღელვარებით სკამდა საქართველოს გიმნაზიებში ქართულის სწავლების საკითხს. ამბობდნ, თავისი მჭერმეტყველებით მოხიბლაო სახელმწიფო სათათბირო...

— წერა სასწავლებელში დაიწყეთ?

— სანამ ამას გიპასუხებდეთ, ერთი ეპიზოდი მინდა გიამბოთ, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე დამამახსოვრდა. წმინდა ნინოს სასწავლებელში გვყვდა ძალიან სიმპათიური პედაგოგი — ქარბელაშვილის ქალი, რომელიც დაავადდა და ლოგინს მიეჭავა. ხშირად ვნახულობდით. ლოგინზე ოდნავ წამოწევაც არ შეეძლო და ხმალაბლა ღაბარაკიც ძალზედ უჭირდა.

1918 წ მაცხოვა. მივედით მასთან და რას ვხედავთ; ეს შძიმე ევად-მყოფი ქალი ლოგინზე წამომხტარი, საშინლად გამხდარი, ევად-მყოფური ხელები გაუშლია და ხმამაღლა ყვირის:

— ჩვენი დროშა, ქართული დროშა, ჩვენი დროშა!

მაშინ ბავშვი გახლდით და არც დროშის მნიშვნელობა მესმოდა, მაგრამ ამ შთაბეჭდილებამ საოცრად ამაღლვა. მივხვდი. რაღაც არაჩვეულებრივი ფაქტის წინაშე ვიდექი:

1921 წლის 26 თებერვალსაც იმავე სასწავლებელში ესწავლობდი და მახსოვს, ალბათ ამ ემოციური შთაბეჭდილებიდან გამომდინარე ასეთი ლექსი დავწერე:

სასახლეზე აღარ არის; აღარ არის

ჩვენი დროშა

და წითელმა ბოლშევიკმა ჩვენზე რაღაც
წამოროშა...

1921 წელს, ანექსიის შემდგომ, დღევანდველი „რუსთაველის“ კინოთეატრთან დაიღინახ კოჯრის გზიდან დაბრუნებული, ტაბახმელაში ბრძოლაგამოვლილი რუსი ჯარისკაცები. რაღაც საშინელი და საცოდავი შესახედავები იყვნენ: დაფლეთილები, ჩაძოხეულები... პურს გამალებით გლეჭდნენ და ჭამდნენ. ეტყობა, ძალიან შიოდათ. ისე ჩანდა, თოთქოს სისხლიანი ხელებით ასრულებდნენ ამ ცხოველური ჭამის რიტუალს.

ამ დროს კი საფრანგეთს მიმავალი მენშევიკები წინაღიადებას აძლევდნენ ხალხს, წამოდითო, ჩვენც დროებით მივდივართ და მალე დავბრუნდებით.

წმინდა ნინოს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კი დაწყო ჩემი ლიტერატურული ცდები, რასაც ოფიციოზი ცივად ან ლანდვით ხვდებოდა. მაშინ მოითხოვდნენ, რომ დაგვეწერა ლექსები ვასაბჭოებაზე, წითელ დროშაზე, ინდუსტრიალიზაციაზე.

მე კი ვწერდი: ჩემი ოცნება, ჩემი გული ისე ჩუმია,

ვით არაბეთის უარშიო გლოვის მითები,

ვით სარკოფაგში დაღვენთილი სანთლის მუმია...

და ა. შ... როდესაც ლიტერატურულ საღამოებზე გამოვდიოდი, კრიტიკის ქარტეტხლში მატარებდნენ: „რა დროს ლიტერატურაო“. ერთხელ გახეთ „მუშაშიც“ გამაკრიტიკეს. მაინც ვწერდი. ვმეგობრობდი ქართველ პოეტთან. განსაკუთრებით „ცისფერყანწელებთან“. „ცისფერყანწელთა“ პრესაშიც ვბეჭდავდი, რაც გულწრფელად სწყინდა სოსო გრიშაშეილს, როგორც აყალებიური ჭალფის წარმომადგენელს.

„ცისფერყანწელთაგან“ ყველაზე კეთილი დღამიანი იყო პაოლო იაშვილი. ის ერთხელ ძალიან დამექმარა და აი, როგორ:

1924 წელს უნივერსიტეტიდან გარიცხეს თავადიშვილები. მაგალითად: ერეკლე აბაშიძე, მაგდა ამილახვარი, მიქელაძეები და სხვა. მეც თან მიმაყოლეს.

— მე ხომ თავადიშვილი არა ვარ-მეთქი? — ვიკითხ.

— შენ ლექსისთვის გამოგრიცხესო — მიპასუხეს.

ეს იყო ლექსი: „არავინ მოღის“.

ფიქრებმა სწრაფად იცვალეს ფერი,
თვალი მივანდე შორეულ ლოდინს
ო, არსად არის თვალი ცისფერი —
არაერი მოდის, არაერი მოდის... და ა. შ.

პრინციპში სწრაფედ მიხედნენ ამ ლექსის შინაარსს. პოლიტიკური ვითარებიდან იყო გამომდინარე და იმ დროის განწყობილებას გამოხატავდა. მაშინ აღმიანები პაროლივით ეკითხებოდნენ ერთმანეთს: „მოდიან? არაერი მოდის?“

როდესაც მენშევიები წავიდნენ, ვფიქრობდით, ისინი უცხოეთში შეასრულებდნენ დიდ ქართულ მისიას, მსოფლიოს გააცნობდნენ ჩეენს ბეჭს და მერე უკვე განმათავისუფლებელი მისით ჩამოვიდოდნენ.

მახსოვს, ერთხელ მარიჯანთინ ვიყავით. მარიჯანის შეილი, დოდო ალექსიძე მაშინ 15 წლის ბიჭი გახლდათ.

— წაგვიყითხე რამეო, — სთხოვეს სტუმრებმა.

დოდო ადგა. ტელეფონი იმიტაციურად მიიდო ყურთან და ჩაძიხა:

— მოვიდნენ, მოვიდნენ? — არა, არა, არ მოსულან! მოვლენ, მოვლენ, მაგრამ ჯერ არ მოსულან. დადგება დრო და მოვლენ!

ასე ელოდებოდა იმ „წასრულებს“ ხალხი...

ჩემი ლექსის სტრიქონი „ო, არსად არის თვალი ცისფერი“, ეგონათ ნოე ქორდანიას მიეუძღვენი. თურმე ეკითხებოდნენ ერთმანეთს: რა ფერის თვალები ჰქონდათ ნოე ქორდანიას?

სიტყვა გამოგრძელდა. როგორც გიოხარით, უნივერსიტეტიდან გამრიცხეს. გაიგო ეს პაოლო იაშვილმა, წამიუვანა განათლების კომისარიატში მარიამ ორახელაშვილთან და დიდი მეცადინეობის შემდეგ ღლადგინეს...

— „ცისფერყანწელთაგან“ კიდევ ვინ იყო თქვენთვის გამოჩეული?

— გრიგოლ რობაქიძე... ერთხელ „ცისფერყანწელებმა“ კაუე „ქიმერიონში“ წამიყვანეს. დიდი სუფრა იყო გაშლილი. სუფრის თავში იჯდა უცხოეთიდან ახლად ჩამოსული გრიგოლ რობაქიძე.

იჯდა იმპოზანტური პოზით, გაშეშებული და ორი საათის მანძილზე ერთი სიტყვაც კი არ უთქვაშს. ამ პოზით და რაღაც დამუხტული დუმილით ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას იხდენდა. მონას-ზულივით ვუყურებდი...

მომისმენია მისი დიდებული შეცვრმეტყველება. ასეთივე დიდებული დუმილც იცოდა მან...

უცხოეთში იყო, შეიღი რომ მოუკვდა. ეს მმბავი პოეტ შალვა ქარმელის სიკედლთან ერთად გაიგო... მახსოვს, ლექსი გამოუგზავნა ოვანეს თუმანიანს:

ალბათ იქნები საფლავის ხნულთან,
ოვანეს ტყბილო, მიიკარ გულთან
ჩემი ალკა და შალვა ქარმელი...

— შალვა ქარმელს თუ იცნობდით?

— ეიცნობდი უფრო მის შემოქმედებას. ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა ქუთასიში. დიდი იმედის მომცემი, ნიჭიერი პოეტი... ძალიან მომწონდა მისი:

გადმოკიდულა ციდან სემირამიდას ბალი,
გულია ერთი ციდა და მთის ოდენა დალი...

შევენიერი ლექსია...

— რობაქიძის პოეზიაზე რას იტყვით?

— მე ამ საკითხშე კონკრეტული აზრი მაქვს: ის უფრო ლიტერატურის თეორეტიკოსია, ვიდრე პოეტი.

— რა იყო გალაკტიონისა და „ცისფერყანწელების“ კონფლიქტის მიზეზი?

— კონკრეტული მიზეზი მგონი არც ყოფილა... გალაკტიონის ხომ არავის ეკარებოდა და არც არავინ იკარებდა მას.

გალაკტიონს შევხედრივარ კიდეც, მაგრამ არაფერს ნიშნავდა ჩენი შევხედრა... არასოდეს გამჩენია მასთან ურთიერთობის სურვილი...

ანტიპატიურადაც ვიყავი განწყობილი, თუმც დიდად მომწონდა მისი პოეზია...

— ტერენტი გრანელი თუ გინახავთ?

— მინახავს, არა ერთგზის. გარეგნულად ფუტურისტებს ბაძავდა თითქოს, პოზით, ანირებული ტანსაცმლით, არეული სიარულით, მაგრამ როგორც პოეტი, აბსოლუტურად განსხვავდებოდა მათგან. ის არის პოეტი-ინდივიდი.

— თანამედროვე პოეტებს თუ კითხულობთ?

— იშვიათად, იმიტომ რომ არ მხიბლავს ისინი. ანდრე შენიე



ამბობდა, რომ ყველას შეუძლია დაწეროს ლექსი. ისწავლოს ვერაბერიანის
ფიკაცია, მაგრამ ყველა პოეტი არ არის, რამეთუ — Le Coeur
C'est le Poète“. (მხოლოდ გულია პოეტი)... არიან პოეტები შეი-
ღოდ ვერსიფიკატორები, მაგრამ დღევანდელ პოეზიაში ვერსიფი-
კაციაც შეცვალეს და მოყიოხვის ბარათებს ჰგვანან თანამედროვე-
თა ლექსები. შეიძლება ცცლები, რაუგან ყველაფერს არ ვკითხუ-
ლობ...

— ქალბატონო ნინო, თქვენი მდიდარი არქივის მუშეუმისოვის
გადაცემა გადავიწყვეტიათ...

— კი, გადავცემ როდისმე, მაგრამ ჯერ არა. ახლა არაფრის
თავი არ მაქვს. არც არაფერზე ვმუშაობ...

ნუგეშად კი მარლთაც „არავინ მოდის“...

ნეტავ, რით დაბოლოედება ჩვენი ამბავი?..

1989 წ. 15 ივნისი.

სამარარი ჩაიჭრა 6060 ზო ფერია

ప ० ८ ५ ८ ६ ०

తెచ్చణికాపఠించి

మించాల్వెబి నీలొ క్రైష్ణికామిసి భ్రయ్వెల్వంబిసి శేసాశ్రేధ (ప్రశ్బల్యింయాప్రియేబి మించి-	5
— శాభ్యేసి గుర్రామి వానింద్రేషి డా లూలిడి తింగ్తుశ్వేంలిమి)	
లుంగమి ఏప్ప్రేర్వేబండా నీలొసి భింగమ్హాంగి (మించేంల గ్రయ్వెంయిశ్వేంలిసి అంజ్యి-	39
— శింబ్రేవ్యోపిత ప్రుప్లింయింయాప్రియా మించించాల్దా ప్రుప్లి మించేంప్రేషి)	
నెంబ్ర్యుట్రీ నొయి లుంమింగమిసి శ్రుంబండి లుంమింగిల్లాన్ న్సామింగింగిం (ప్రశ్బల్యిం-	45
— ప్రుప్లింయాప్రియా మించించాల్దా డావొసి శ్రుంప్లింగింలిమి)	
గ్రీగ్రంల వ్యామింగిసి మింగమ్హేబి న్యాల్యూఎం శ్రుంగిన్సింగిమి) (ప్రశ్బల్యింయాప్రియా మించి-	57
— శాభ్యేల శాభ్యుశింగ్రుమిసి మింగమ్హేబి డా శ్రుంబండి ల్యేస్బేబి (ప్రశ్బల్యింయాప్రియా	
— మించించాల్దా ర్సుస్ముదాన్ క్రాంత్రుశింగ్రోలిమి)	97
మించించా వ్యాల్మోగ్రానిసి శ్రుంబండి ల్యేస్బేబి డా లుంగ్నా వ్యైల్మోగ్రానిసి మింగమ్హేబి	126
— (ప్రశ్బల్యింయాప్రియా మించించాల్దా న్యెలా డ్యెన్సిశ్వేంలిమి)	
గ్రీగ్రంల లుంబాంగిసి వ్యైరింగ్రుమిసి (ప్రశ్బల్యింయాప్రియా మించించాల్దా ర్సుస్ముదాన్ డాశ-	150
— శ్వేంలిమి)	

కొరక్కొరక్కొర

డావొసి సార్కాశింగ్రోలిసి సాశ్లో — గ్రోర్గో తింగ్ఫాంశ్వేంలి	157
— శింగ్రేల పార్కారిందిసి ఏంజ్యోగి — నొనొ వ్యాంగ్యారోరిం	
— శాంగ్ల్యుర డాంసెల్లిసి ఏంజ్యోగి — నొనొ క్రోఱ్రోరిం	216
— ఏం క్రేర్వె, ఏం క్రేర్వె మ్మేబ వ్యైన్గ్స్ న్సాంగ్లోల్లిసి లుం-	
— మింగింగ్రోర్గోన్ — తినొ క్రోంబాల్వెద్జె	236

పాశాణికా కారిటాప్లెం వ్యాంగ్యారోరిం

ప్రెస్ట్రోప్లెండ్రుస్

శాల్వ్రా అంప్రోక్సిం మింగమ్హేబి (ప్రశ్బల్యింయాప్రియా మించించాల్దా ప్రోప్లా వ్యాంగ్యింద్రేషి)	295
— శార్ట్రోల్లి గ్రమిగ్రాన్ట్ర్యుబిసి వ్యైరింగ్రుమిసి సార్కా మ్హేరాంగిశ్వేంలిసింగిమి (ప్రశ్బల్యిం-	
— ప్రియా మించించాల్దా లూలిడి ప్రోమింగిమి)	327
— శార్ట్రోల్లి గ్రమిగ్రాన్ట్ర్యుబిసి మ్హేర్ కీర్త్తుంగ్రేబ్రుల్లి ల్యోర్త్తుంగ్రార్ప్రుల్లి సాల్వమ్హేబి-	
— శా డా శ్రేష్ట్యోట్రుబిసి మింగమ్హేబి డార్మాట్రోబి (టార్గమ్హేబి డా లుంసాంగ్ప్రేఫ్రాద్ మించిం-	
— డా వ్యైర్ శింగ్రేల్లాశ్వేంలిమి)	388



სამი ნეკროლოგი (ქართველი ემიგრანტები ნიკო მარის გარდაცვალების შემდეგ) პუბლიკაცია მოამზადა მარინე სუბულურმა) 418

თარიღის მიზანის უბის წიგნის მიზანი

ჩირონი კიბობი — (პუბლიკაცია მოამზადა ნანა მაისურაძემ)	442
ლევან ასათიანი (პუბლიკაცია მოამზადა სულიო კობიძემ)	454
მიქელ პატარიძე (პუბლიკაცია მოამზადა ნინო ვადაცეკორიამ)	464
ბაბრიშვილ ჭაბურეანი (პუბლიკაცია მოამზადა ლალი შარტაშვილმა)	474

ლიტერატურის განვითარების დაცელი უცხოები თარიღის ნივარები

მიქელ პატარიძის თარგმანები — ქ. ბალონიტი, შ. ბოდლერი, პ. ვერ-ლენი, შ. როლინა, ა. შიცევიჩი (პუბლიკაცია მოამზადა ნინო ვადაცეკორიამ)	478
გაბრიელ ფაბრიზანურის თარგმანები — ა. პუშკინი, შ. ლერმონტოვი, ქ. ბალიონიტი, გ. ბრიუსოვი, თ. სოლოგუბი, ხ. ესენინი (პუბლიკაცია მოამ-ზადა რუსულდან ქანტურიშვილმა)	487

ცოცხალი წარსელი

დიალოგები კოლაც ნალირაძესთან და ნინო თარიშვილთან (ჩაიწერა ნინო ხოლორიამ)	492
--	-----

մինչեւառ շ. տուժուց
մեծարքություն հեգայինուն ք. Կընառացուց
Ծըյնուցու հեգայինուն դ. հանձնաց
յուրաքանչիւն ն. Կատաֆոր
ցամամշեցու ն. հաշուցու

ՏԸ 4992

ჩափահան վարժութեաս 10.12.91. Կըլպոնիւրուլու սահյելան 3.09.91. Շահմաբեր 60X84^{1/16}, և մեջքու վալալու և միջնական արևորունական հարուստուն ծագություն մեջքու մալալու. Վորոնեժու նախագծու պարագանեան 29,3. Սառնութեառ-սագամություն պարագանեան 22,97. Վորոնեժու սալցման արարութեան 29,3.

Մասնակիութեան Ն 28. Հունիսի 5 000.

Ըստ 10 ման.

Գայությունուն ամերանու, հուստացունու գամե. № 42, տօնունու 1992

ଶାହୀରତପ୍ରେଲାଲ ରୁଦ୍ରପତ୍ରବଳୀଙ୍କି ଶୈଖିଦ୍ୱିତୀ ଶିଶ୍ରୂଷାରେ
ଲେଖାରୁଧ୍ରମୀନ୍ଦ୍ରିୟରେ ଶିଶ୍ରୂଷାରେ ଲେଖାରୁଧ୍ରମୀନ୍ଦ୍ରିୟରେ ୫.

36060
200600000000